

მაინ რიდი

უთავო მხედარი

ნაწილი პირველი - პროლოგი

ტრამალის შამბნარში შეფარებულ ტეხასურ ხარირემს შუალამის ძილი ცხენის ფლოქვების თქარათქურმა დაუფრთხო.

მას მწვანე საწოლი არ მიუტოვებია, ადგომაც კი არ უცდია, ეს თვალუწვდენელი ტრამალი მარტო მისი სამფლობელო როდი იყო. ღამდამობით ამ ადგილებში ველური ცხენებიც დახეტიალობდნენ. ხარირემმა ოდნავ ასწია თავი. მისი ქორბუდა რქები შამბნარს გადაეფარა. მერე ყური მიუგდო: განმეორდება თუ არა ხმაურიო.

კვლავ მოესმა თქარუნი, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად გაიწკრიალეს ფლოქვებმა.

ეტყობა, ქვაზე ლითონმა გაკვესა. ამ უჩვეულო ხმამ შეაშფოთა ხარირემი. უეცრად წამოხტა, ორი ათეული იარღი გაირბინა; მაგრამ უმაღვე შეჩერდა და უკან დაიწყო ცქერა: უნდოდა, დაენახა, ვინ დაუფრთხო ძილი.

სამხრეთის მოწმენდილ მთვარიან ღამეში ხარირემმა თავისი უბოროტესი მტერი — ადამიანი შეიცნო. იგი ცხენზე ამხედრებული უახლოვდებოდა მას. ინსტინქტური შიშით შეპყრობილი ცხოველი მზად იყო გასაფრენად, მაგრამ მხედრის უჩვეულო გარეგნობამ, რაღაც არაბუნებრივმა სანახაობამ ადგილზე გააქვავა. ჩაიმუხლა, აკანკალებული უკანა ფეხებით მწვანე მოლს შეეხო, თავი მოაბრუნა და დაჟინებით მიაცქერდა დაუპატიჟებელ სტუმარს დიდრონი, მუქი წაბლისფერი თვალებით, რომლებიდანაც ერთდროულად შიში და დაბნეულობა გამოკრთოდა.

რას უნდა გამოეწვია ცხოველის ასეთი დაჟინებული და გამომცდელი მზერა? ცხენს ყველაფერი თავის რიგზე ჰქონდა. უნაკლოდ

შეკაზმული, ლაგამამოდებული ბედაური იყო და ისეთი არაფერი გა-
აჩნდა, რომ გაკვირვება ან შეშფოთება გამოეწვია.

მაგრამ ადამიანი? თვითონ მხედარი? დიახ, სწორედ მხედრის
გარეგნობაში იმალებოდა საშინელი საიდუმლოება.

მხედარს რაღაც აკლდა: მას თავი არ ჰქონდა. და ეს უგუნურმა
პირუტყვმაც კი შეამჩნია. ხარირემი ცოტა ხანს კიდევ შეჰყურებდა
უთავო მხედარს შეშინებული თვალებით, მერე კი შეძრწუნებულმა
კვლავ შეკრა კამარა; და აღარც შეჩერებულა, სანამ მდინარე ლე-
ონას ტალღები არ გადალახა და საშინელი მხედრისაგან თავი ვარ-
გა მოშორებით არ დაიგულა.

მხედარი კი გზას ისე განაგრძობდა, თითქოს შეშინებული ხა-
რირმის გაქცევა კი არა, მისი არსებობაც არ შეემჩნიოს.

ისიც მდინარისაკენ გაემართა, მაგრამ ხარირემივით როდი ჩქა-
რობდა: წინ მიდიოდა ნელა, მშვიდად, ისე უხმაუროდ, გეგონებო-
დათ, მანუხზე მიათამაშებს ბედაურსო. თითქოს ღრმა ფიქრებში
გართულს სადავე მიეშვა, რის გამოც მისი ცხენი დროდადრო გზის
პირას ამოსულ ბალახს წიწკნიდა. როცა ტრამალის მგლების ყმუ-
ილზე ცხენი თავს მალლა ასწევდა, დაიფრუტუნებდა და ჩერდებოდა,
მხედარი არც შეძახილით და არც რაიმე მოძრაობით მას არ აჩქა-
რებდა. ჩანდა, რაიმე უბრალო შემთხვევა ვერ გამოაფხიზლებდა.

არავითარი ხმა, არავითარი ჩურჩული არ ამჟღავნებდა მის შინა-
გან სულიერ განწყობილებას.

დამფრთხალი ხარირემი, საკუთარი ცხენი, მგელი და შუალამის
მთვარე იყვნენ მისი უტყვი ფიქრების მოწმენი.

მხედარს მხრებზე წამოგდებული ჰქონდა ფართო მექსიკური წა-
მოსასხამი, რომლის კალთებს ნიავი არხევდა და მის სხეულს აჩენ-
და. ფეხზე წყალგაუმტარი ვეფხვის ტყავის ჩექმები ეცვა.

ლამის ნესტისა და ტროპიკული ცის ღვართქაფისაგან თავდაცუ-
ლი მხედარი წინ მიიწევდა მდუმარედ, როგორც მოციმციმე ვარ-

სკვლავები, უზრუნველი, როგორც ბალახებში მომღერალი ჭრიჭინობელა, იდუმალებით მოცული, როგორც ტრამალის ნიავი, რომელიც მის ტანსაცმელს ელამუნებოდა.

ბოლოს, თითქოს ფიქრებიდან გამოერკვაო, მხედარი რაღაცამ ააჩქარა. ცხენმა თავი ასწია, მხიარულად დაიჭიხვინა. კისერმოღერებულმა და ნესტოებდაბერილმა, ჯერ ჩორთით გასწია წინ და მალე ნავარდზე გადავიდა.

იგი მდინარის სიახლოვემ ააჩქარა. ცხენი არ შეჩერებულა, სანამ მხედარს ანკარა წყალი ორივე მხრიდან მუხლებამდე არ შემოადგა. ცხოველი წყალს დაეწაფა, წყურვილი მოიკლა, მდინარე გადალახა და ციცაბო ნაპირს აუყვა. მალლობზე მხედარი შეჩერდა. თითქოს ელოდა, როდის დაიბერტყავდა ცხენი წყლის წვეთებს.

უნაგირის, უზანგისა და მოსართავეების ჟღარუნე ტექა-ქუხილივით გაისმა ცხენის ტანიდან დაბერტყილ თეთრი ღრუბელივით შეფეფებში. ამ თვითშექმნილ ღრუბლებში გამოჩნდა უთავო მხედარი. ის წინანდებურად განაგრძობდა გზას.

სწორ გზაზე დამდგარ ცხენს აღარ გადაუხვევია. თამამად მიქროდა, თითქოს ნაცნობ ბილიკზე მინავარდობსო.

წინ მოტიტვლებული სავანა გადაჭიმულიყო. ლაჟვარდოვან ცაზე, შორეთში, გამოიკვეთა დამახინჯებული კენტავრის სახის მსგავსი გამოსახულება, რომელიც თანდათან მიეფარა თვალს და მთვარის იდუმალი შუქის მიღმა სრულად შთაინთქა წყვილიაღში.

1 - გადამწვარი ტრამალი

ლაჟვარდოვანი, მოკრიალებული ციდან შუადღის მცხუნვარე მზე უხვად აფრქვევდა სხივებს ტეხასის უზარმაზარ ველს. ეს ადგილი ძველი ესპანური ქალაქის, სან ანტონიო დე ბეჯარის სამხრეთით მდებარეობდა და მისგან ასე მალე იყო დაშორებული. მზის ოქროსფერ სხივებში ისახებოდა უჩვეულო საგნები, რომლებიც უცხო

იყო აქაური ლანდშაფტისათვის. ისინი მეტყველებდნენ, რომ იმ ადგილებში, სადაც ადამიანური ცხოვრების არავითარი ნიშანწყალი არ არსებობდა, ადამის ძე გამოჩნდა. საგნებს, რომლებზედაც მოგახსენებთ, შორი მანძილიდანაც კარგად გაარჩევდით. ეს იყო ფურგონები, რომელთა ნახევარწრისებური ხის სარტყლები ნეკნებივით ამოჩრილიყო ზემოდან გადაჭიმულ თეთრი ტილოს ქსოვილში. მათი რაოდენობა ათს არ აღემატებოდა და ამიტომ არ შეიძლებოდა სავაჭრო, ანდა მთავრობის ქარავანი ყოფილიყო. უფრო სავარაუდო იყო, რომ ისინი ეკუთვნოდა ვინმე ახალმოსახლე ემიგრანტს, რომელიც ზღვით მოვიდა და ახლა მოგვიანებით დასახლებულ მდინარე ლეონას ნაპირისაკენ მიემართებოდა. გრძელ მწკრივად გაჭიმული ფურგონები ისე წელა მიიზღაზნებოდნენ სავანის ტრამალზე, ვერც კი იტყოდით, მოძრაობენო. მხოლოდ მათი განლაგება გაფიქრებინებდათ, რომ წინ მიიწევდნენ. შავი სხეულები, რომლებიც ფურგონებს შორის მოჩანდა, იმაზე მეტყველებდა, რომ მათში ცხენები იყო შებმული. გულისგამგმირავი ჩხავილით აფრენილი ღაღლა და შუადღისას დასასვენებლად წამოწოლილი, შიშისაგან ლტოლვილი ანტილოპაც იმას მოწმობდა, რომ ქარავანი მოძრაობდა.

ამ პაპანაქება შუადღისას, როცა ტროპიკული ცხოვრება ჩამკვდარია და ყველა სულიერი ჩრდილში იმალება, მხოლოდ პატივმოყვარეობით ან ანგარებით შეპყრობილი ადამიანი არღვევს ტროპიკული ბუნების ამ კანონებს და მცხუნვარე მზეს ეჯიბრება.

გამასავათებელი შუადღის სიცხის მიუხედავად, ქარავნის მეპატრონე გზას განაგრძობდა. სწორედ ამ შეუპოვრობაზე ეტყობოდა, რომ ახალმოსახლე ემიგრანტი იყო და არა ჩვეულებრივი მოგზაური. თითო ფურგონში რვა-რვა ღონიერი ჯორი ება. მათი ტვირთი სულ სხვადასხვაგვარი იყო.

იქ იყო დიდძალი სანოვაგე, ძალზე მდიდრული ავეჯი და ცოცხალი ინვენტარი — შავკანიანი მონები ბავშვებითურთ. შავკანიანი და

ყვითელი მონები ფურგონებს გვერდით მიჰყვებოდნენ. ზოგ მათგანს შიშველი ფეხები ისე დახეთქოდა, რომ უკან ჩამორჩენილიყო და ძლივს მოლასლასებდა. წინ მსუბუქი კარიოლი მიდიოდა, რომელშიც კენტუკური ჯორები შეებათ. კოფოზე ლივრეაში გამოწყობილი შავკანიანი მეეტლე იჯდა და სიცხისაგან იტანჯებოდა. აშკარად ჩანდა, ეს ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილი ხიზანი კი არ იყო, არამედ მდიდარი სამხრეთელი, რომელსაც წინასწარ შეეძინა მამული და ახლა თავისი ავლადიდებით იქ მიემგზავრებოდა.

მართლაც ასე გახლდათ. ქარავანი ეკუთვნოდა პლანტატორს, რომელმაც მატაგორდის ყურეს ზღვით მოაღწია და ნავსადგურ ინდიანოლაში გადმოვიდა. ახლა კი ტრამალის გადალახვა სურდა, რათა თავის სამფლობელომდე მიეღწია. ქარავნის თანმხლებ მხედრებს, ჩვეულებისამებრ, წინ თვითონ პლანტატორი — ვუდლი პოინდექსტერი მიუძღოდა. იგი ორმოცდაათ წელს იქნებოდა მიღწეული; მაღალსა და გამხდარს, მოყვითალო სახეზე სიამაყე და მკაცრი გამომეტყველება აღბეჭდოდა. სადად შეკერილი, მაგრამ ძვირფასი ტანსაცმელი ეცვა. ხიფთანი ტანზე ხალვათად ადგა. შავი ატლასის ჟილეტი და უბრალო ქსოვილის შარვალი ამშვენებდა. ჟილეტის შიგნით მოუჩანდა ძალიან ნაზი ქსოვილის პერანგი, რომელიც კისერთან შავი ბაფთით იყო შეკრული. უზანგში გაყრილ ფეხებზე მოთრიმლული რბილი ტყავის ფეხსაცმელები ეცვა. ლივორნული, ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდი სახეს უჩრდილავდა.

პოინდექსტერს მარჯვნივ და მარცხნივ მხარდამხარ მხედრები მოჰყვებოდნენ; ერთ მხარეს — ასე, ოცი წლის ჭაბუკი, მეორე მხარეს კი — მასზე ექვსი-შვიდი წლით უფროსი მხედარი. პირველი პლანტატორის შვილი გახლდათ, რომლის სიცოცხლით აღსავსე, ნათელი სახე მამის მკაცრ, ამაყ გამომეტყველებასა და პოინდექსტერის მარცხნივ მომავალ მხედრის — მისი დისშვილის — პირქუშ სახესთან შედარებით, სრულ კონტრასტს წარმოადგენდა.

ახალგაზრდას ტანთ ცისფერი, სამხრეთული ჰავის შესაფერი, ფრანგული ბამბის ქსოვილის შარვალ-ხალათი ეცვა, რომელიც ისევე უხდებოდა, როგორც თეთრი პანამის ქუდი.

მისი მამიდაშვილი, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი მოხალისე ოფიცერი, მუქლურჯი მაუდისაგან შეკერილ სამხედრო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და მაუდისავე ქუდი ეხურა. შორიახლოს მათ კიდევ ერთი ცხენოსანი მოსდევდათ. მას თეთრი კანი არ ჰქონდა, მაგრამ შეიძლებოდა თეთრკანიანად მიგელოთ.

უხეში სახის ნაკვთები, იაფფასიანი ტანსაცმელი, მარჯვენა ხელში მაგრად ჩაბღუჯული, ხარის ზურგის ტყავისაგან დაწნილი მათრახი, რომელსაც დიდი ხელოვნებით ატყლაშუნებდა, ნათელს ხდიდა, რომ იგი ფორნის უკან ლასლასით მომავალი შავკანიანი მონების ზედამხედველი იყო.

კარიოლში, რომელიც ერთსაჯდომიან ეტლსა და ლანდოს შორის რაღაც საშუალოს წარმოადგენდა, ორი არსება მოჩანდა. მათ შორის ერთს, ახალგაზრდა ლედის, ნუშის გულივით თეთრი პირისკანი ჰქონდა, მეორეს კი — სრულიად შავი. პირველი ვუდლი პოინდექსტერის ქალიშვილი იყო, შავკანიანი გოგო კი — ლედის პირისფარეში.

მგზავრები მისისიპის ნაპირებიდან, ლუიზიანიდან მოდიოდნენ. თვით ვუდლი პოინდექსტერი ამ შტატის მკვიდრი არ იყო. მას კრეოლისა არა ეცხო რა, მაგრამ მისი ვაჟის სახის იერი და განსაკუთრებით კი ქალიშვილის მშვენიერი სახე, რომელიც კარიოლის სარკმელში ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე, მეტყველებდნენ, რომ ისინი ერთ-ერთი იმ ქალწულის შთამომავალნი იყვნენ, რომელმაც კეთილი ცხოვრების იმედით ას წელზე უფრო მეტი ხნის წინათ გადმოცურა ატლანტის ოკეანე.

ვუდლი პოინდექსტერს თვალუწვდენელი შაქრის პლანტაციები ჰქონდა. იგი სამხრეთელ არისტოკრატთა წრეშიც კი გამოირჩეოდა

თავისი ამპარტავნობით, ხელგაშლილობითა და სტუმართმოყვარეობით. სწორედ ამ ხელგაშლილობის გამო გახდა იძულებული, დაეტოვებინა მშობლიური კერა მისისიპის ნაპირზე და შემორჩენილ მსახურებთან ერთად ტეხასის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე უკაცრიელ ტრამალზე დასახლებულიყო.

მშემ თითქმის ბენიტს მიაღწია. მგზავრები საკუთარ ჩრდილს აბიჯებდნენ. აუტანელი სიცხისაგან გათანგული, გასავათებული თეთრკანიანი მხედრები ხმამაღულვლად ისხდნენ უნაგირებზე. ზანგებმაც კი, რომლებიც პაპანაქება სიცხეს ადვილად იტანენ, ლაყბობა შეწყვიტეს, შექუჩდნენ და ფურგონების უკან უსიტყვოდ მოჩანჩალებდნენ. გულის გამაწვრილებელ სინჰუმეს დროდადრო შოლტის გატყლაშუნება ან სქელტუჩა შავკანიანი მეეტლეების ხმამალალი წამოძახილი „უ-ჰა“ არღვევდა. ქარავანი ისე მიიზღაზნებოდა, თითქოს სიბნელეში ხელების ფათურით მიიკვლევს გზასო. სინამდვილეში ეს არც იყო გზა. მხოლოდ გათელილ, ნედლ ბალახს ემჩნეოდა წინათ გავლილი ეტლების ნაკვალევი. ფურგონებში შებმული ცხოველები თავს არ იზოგავდნენ, მაგრამ ქარავანი წინ მაინც ტაატით მიიწევდა. პოინდექსტერის ვარაუდით, მის ახალ კარ-მიდამომდეოც მიღზე მეტი არ იყო დარჩენილი და იმედი ჰქონდა, დაღამებამდე მიაღწევდა. სწორედ ამიტომ, შუადღის პაპანაქების მიუხედავად, გზას განაგრძობდნენ. ასეული იარდით წინ წასულმა ზედამხედველმა ანაზდად აღვირი მოზიდა, თითქოს რალაც დაბრკოლებას წააწყდაო, და მეეტლეებს ანიშნა, შეჩერებულიყვნენ. შემფოთებული ჩანდა.

ხმები დადიოდა, — სწორედ ამ ადგილებში ინდიელები გამოჩნდებიან ხოლმეო. იქნებ მართლა წითელკანიანი მძარცველები არიან? ზედამხედველის მოქმედებაში მისი შემფოთების ნამდვილი მიზეზი არ ჩანდა.

— რა მოხდა, მისტერ სანსომ? — იკითხა პლანტატორმა, როცა მხედარი მიუახლოვდა.

— ბალახია გადამწვარი. ტრამალზე ხანძარი ყოფილა.

— ხანძარი! ახლაც ხომ არ იწვის ტრამალი? — სწრაფად იკითხა ქარავნის პატრონმა და შეშფოთებული მზერა კარიოლს შეავლო, — სად არის ხანძარი? რატომ ბოლს ვერ ვხედავ?

ზედამხედველი მიხვდა, რომ განგაში ტყუილუბრალოდ ატეხა და ბუტბუტს მოჰყვა:

— არა, სერ, არა, მე არ მითქვამს, რომ ტრამალი ახლა იწვის. მე მხოლოდ ისა ვთქვი, ტრამალი გადამწვარა და მიწა კი კუპრივით გაშავებულა-მეთქი.

— ეგ არაფერია! მე მგონი, შავ ტრამალზედაც ისევე დამშვიდებით შეგვიძლია განვაგრძოთ გზა, როგორც მწვანეზე მივდიოდით.

— რას სულელობ, ჯომ სანსომ, სად გაგონილა ასეთ უბრალო რამეზე აურზაურის ატეხა? ხომ იცი, შეშინებული ხალხი გონს რა გვიან მოეგება! ეი, თქვენ, ყარაჩებო! გადაუჭირეთ მათრახები ჯორებს და დროზე დაიძარით ადგილიდან! გაინძერით, გაინძერით!

— მაგრამ, კაპიტანო კოლჭაუნ, — შეეპასუხა ზედამხედველი ჯენტლმენს, რომელმაც ასე მკაცრად დატუქსა, — გზა როგორ ვიპოვოთ?

— რისი გზა? რას ბოდავ? გზას არ ვადგავართ?

— მე მგონია, დავკარგეთ. ბორბლების ნაკვალევი აღარ მოჩანს. იგი, ბალახთან ერთად, ცეცხლს შთაუნთქამს.

— ეგ არაფერი. იმ ბორბლების კვალის გარეშეც გადავლახავთ ამ გადამწვარ ადგილს. ნაკვალევს კი ცეცხლისაგან გადარჩენილ ბალახზე ვიპოვით მეორე ნაპირზე.

— დიახ, თუკი ასეთი ნაპირი გადარჩა, — მიამიტად ჩაილაპარაკა ზედამხედველმა. იგი აღმოსავლეთის შტატების მკვიდრი იყო, მაგრამ დასავლეთის ტრამალეებშიაც ბევრი ეხეტიალა და ამ საქმეში

კარგად ერკვეოდა, — ცხენზე ვზივარ, მთელ ტრამალს მაღლიდან გადავცქერი, მაგრამ ვერავითარ მეორე ნაპირს ვერ ვხედავ.

— გაინძერით, ზანგებო! გაინძერით! — შეჰყვირა კოლჭაუნმა და მოსაუბრის შენიშვნა უყურადღებოდ დატოვა. მან დეზი შემოჰკრა ცხენს და წინ გაიჭრა, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა, ბრძანება იმიტომ არსებობს, რომ უნდა შესრულდესო.

ქარავანი ისევ დაიძრა, მაგრამ მიაღწია თუ არა იმ მიჯნას, საიდანაც ყველაფერი ცეცხლს შთაენთქა, ყოველგვარი მითითების გარეშე შეჩერდა.

თეთრკანიანი მხედრები შეჯგუფდნენ და ბჭობა გამართეს, როგორ მოქცეულიყვნენ. წინ გადაშლილი სივრცის შემყურე ყველა დარწმუნდა, თუ რა გასაჭირში ჩაცვივდნენ. სადამდისაც კი თვალი გასწვდებოდა, მთელი მიდამო ქვესკნელივით გაშავებულიყო, მწვანე ბალახის ერთი ღეროც არსად გადარჩენილიყო. ცეცხლის გამანადგურებელ სუნთქვას ნაცარტუტად ექცია ტრამალის ბალახი და სურნელოვანი ყვავილები.

ირგვლივ, თვალსაწიერზე, ყველაფერი გავერანებულიყო. ცას ამ ადგილზე თავისი ჩვეულებრივი ლურჯი ფერი მუქნაცრისფრად შეცვალა; ზედამხედველი მართალი გამოდგა. გზის კვალი არ ჩანდა. ცეცხლს ტრამალის ბუნებასთან ერთად ნაკვალევიც შთაენთქა.

— როგორ მოვიქცეთ? — კითხულობდა თავგზააბნეული პლანტატორი.

— რამე უნდა ვიღონოთ, ძია ვუდლი! გზა უნდა გავაგრძელოთ. ნახანძრალი ტრამალის იქით მდინარე უნდა იყოს. თუ ფონი ნახევარი მილის შემდეგ ვერ ვიპოვეთ, მაშინ დინებას ან აღმა უნდა ავუყვებო, ან დაღმა, ეს ადგილზე უნდა გადაწყდეს.

— მაგრამ, კასიუს, ასე ხომ გზას დავკარგავთ?

— სრულებითაც არა! ეს გადამწვარი სივრცე, ვფიქრობ, არც ისე დიდი უნდა იყოს. გზა თუნდაც ცოტათი აგვერიოს, მაინც მდინარეს მივადგებით.

— ძალიან კარგი, ჩემო დისწულო, შენ უკეთ იცი და ამიტომ, მოგენდობი.

— საშიში არაფერია, ძია! ამაზე უარესიც შემხვედრია. ზანგებო, წინ! მომყევით.

ყოფილმა მოხალისე ოფიცერმა ამაყად გადახედა კარიოლს, რომლის ფარდებს იქითაც შემკრთალი, მშვენიერი სახე გამოჩნდა. ცხენს დეზი შემოჰკრა და თვითკმაცყოფილებით აღსავსემ წინ გასწია.

ქარავანი ისევ დაიძრა. ჯორებმა ფეხს აუჩქარეს. თვალისათვის უცხო, შავი გარემო პირუტყვს თითქოს უფრო აჩქარებდა. შეეხებოდა თუ არა მათი ფლოქვები ნაცარს, ისევ სწრაფად აშორებდა.

ერთი მილი თუ მეტი გაიარეს, ისევ გაისმა შეჩერების ბრძანება. ამჯერად ბრძანება სწორედ იმ ადამიანმა გასცა, რომელმაც რამდენიმე ხნის წინათ მეგზურობა იკისრა. მან ცხენის სადავე მოზიდა და შეაჩერა. სახეზე წინანდელი თვითკმაცყოფილების ღიმილი გაჰქრობოდა. დაბნეული ჩანდა. ეტყობოდა, მხარი ექცა. ლანდშაფტი, თუკი შეიძლება მას ასე ეწოდოს, შეიცვალა და გაუარესდა. მიწის ზედაპირი ჰორიზონტამდე წინანდებურად კუპრივით ჩაშავებულიყო, მაგრამ ახლა უსწორმასწორო გახდა. ბორცვები და ვაკე ადგილები ერთმანეთს ენაცვლებოდა.

ხეები აქა-იქ შემორჩენილიყო, მაგრამ მათზე არ ითქმოდა, ხეებიყო. ჯგუფ-ჯგუფად თუ განდეგილივით მართო მდგარი ხეების თხელი, სელივით ბუსუსიანი ფოთლები ცეცხლს მოესპო და ახლა გარუჯულტოტებიანი ნარჩენებიდა იდგა.

— გზა ხომ არ დაკარგე, დისწვილო? — ჰკითხა პლანტატორმა და კოლჰაუნს სწრაფად მიუახლოვდა.

— არა, ძია, ჯერ არ დამიკარგავს. გარემოს დასათვალისწინებლად შევჩერდი. გზა ამ ველით უნდა განვაგრძოთ. ნუ სწუხხარ. სავსებით სწორი მიმართულებით მივდივართ. პასუხს ყველაფერზე მე ვაგებ.

ქარავანი კვლავ დაიძრა, ჯერ ციცაბოზე დაეშვა, გაივავა და შემდეგ გორაკს შეუდგა. გორაკის თავზე კვლავ შეჩერდა.

— გზა დაკარგე, არა, კაშ? — გაიმეორა თავისი შეკითხვა პლანტატორმა.

— დასწყევლოს ღმერთმა! შეიძლება ეგრეცაა, — უპასუხა დისშვილმა საკმაოდ უკმეხად, რაკი ასე უნდობლად ეპყრობოდნენ, — ან კი, მითხარი, რომელი ეშმაკი გაიგნებდა გზას ამ ჯოჯოხეთში?! არა, არა, — უცებ შეიცვალა აზრი, როგორც კი მოახლოებული კარიოლი დაინახა, — მე უკვე ვიცი, რომელი მიმართულებით უნდა გავწიოთ.

როგორც მეგზური, იგი წინ წავიდა, მაგრამ დაბნეულობა ეტყობოდა. შავკანიანმა მეეტლეებმა, მიუხედავად მათი გულგრილობისა, მაინც შეამჩნიეს, რომ მეგზური დაიბნა. ქარავანი პირდაპირ კი არ მიდიოდა წინ, არამედ ერთ ადგილს ტკეპნიდა და პატარა ვაკე ადგილებს უვლიდა გარს.

ყველა ნასიამოვნები დარჩა მეგზურის შეძახილით, რამაც მათ რწმენა დაუბრუნა. გაისმა მათრახების შეწყობილი ტყლაშუნი და მხიარული წამოძახილები. კვლავ იპოვეს გზა, სადაც რამდენიმე ხნის წინათ ფურგონებს გაეველო. ბორბლებისა და პირუტყვის ფლოქვების ნაკვალევი იმდენად ახალი ჩანდა, თითქოს ასეთივე ქარავანმა გადამწვარ ტრამალზე ერთი საათის წინ გაიარაო. ისინიც ალბათ მდინარე ლეონასაკენ მიემართებოდნენ. შეიძლება ის ფორტ ინჯისაკენ მიმავალი მთავრობის ქარავანი ყოფილიყო.

ამაზე უკეთესს რას ინატრებდნენ? ისღა დარჩენოდათ, ნაკვალევს გაჰყოლოდნენ. ეს ფორტი სწორედ იმ მხარეს მდებარეობდა, საითაც მათი გზა მიდიოდა. იგი მხოლოდ მცირეოდენი მანძილით იყო დაშორებული იმ ადგილიდან, სადაც მათი მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო. ჩიხში მომწყვდეულმა მეგზურმა, რომელმაც მანამდე აღარ იცოდა, რა ელონა, თავი ასწია, წელში გასწორდა, წინანდელი ყოყოჩა იერი კვლავ დაუბრუნდა და ბრძანება გასცა, განეგრძოთ გზა. გაიარეს დაახლოებით ერთ მილზე მეტი, მაგრამ ისინი პირდაპირ წინ კი არ მიდიოდნენ, არამედ ისევ გადამწვარ ვაკე ადგილებს უვლიდნენ გარს.

კასიუს კოლჭაუნს ყოყონა იერი ისევ გაუქრა და მისი ადგილი მოწყენილობამ და ნაღვლიანმა გამომეტყველებამ დაიჭირა. სახეზე აშკარად აღებეჭდა სასოწარკვეთა, როცა მიხვდა, რომ ორმოცდა-ოთხი ბორბლის ნაკვალევი იმ ათი პიტსბურგული ფურგონისა და კარიოლის კვალი იყო, რომელსაც ამჟამად თვითონ მოსდევდა უკან და რომლებთანაც ერთად გამოიარა მთელი გზა მატაგორდის ყურედან.

2 - ლასოს კვალი

აშკარა იყო, ვუდლი პოინდექსტერის ფურგონები თავიანთ ნაკვალევს მიჰყვებოდნენ.

— ჩვენივე ნაკვალევი! — შეშფოთდა კოლჭაუნი, როცა ეს შეამჩნია, ცხენი შეაჩერა და ერთი ლაზათიანად შეიკურთხა.

— ჩვენივე ნაკვალევი?! რაო, კასიუს, ხომ არ გინდოდა გეთქვა, რომ ჩვენ მივყვებოდით... საკუთარ ნაკვალევს?

— დიახ, ძია, სწორედ ასეა. ჩვენ ორჯერ შემოვუარეთ ერთსა და იმავე ადგილს. შეხედეთ! აი, ჩემი ცხენის უკანა ფეხის ნაკვალევი. ეს კი ფეხშიშველა ზანგების კვალია. გარდა ამისა, ადგილმდებარეობაც მცნო. ეს სწორედ ის მაღლობია, სადაც უკანასკნელად შევჩერდით. მერე კი დაბლა დავეშვიტ. ბედი არა გვწყალობს! ერთი-ორი მილი ტყუილუბრალოდ ვიყიალეთ, — ახლა მოსაუბრის სახეზე, შეძრწუნების გარდა, მწუხარება და სირცხვილიც იხატებოდა. მისი მიზებით იყო, რომ ქარავანს ნამდვილი მეგზური არ ახლდა.

ინდიანოლაში დაქირავებული მეგზური მათ იმ ადგილამდე მიჰყვა, სადაც უკანასკნელად დასცეს ბანაკი. იქ მეგზურს ტლანქი ხასიათის სამსახურიდან გადამდგარ მოხალისეთა კაპიტანთან წალაპარაკება მოუვიდა, თავისი გასამრჯელო მოითხოვა და უკან გაბრუნდა. პოინდექსტერის დისწულს ახლა ამას ძალიან სწუხდა, თან თავისი ყოყლოჩინობისაც რცხვენოდა, ასე თავდაჯერებით რომ აცხადებდა, ქარავანს სწორი გზით წავიყვანო.

როცა კარიოლი მოახლოვდა და იქიდან მომზირალი მოელვარე თვალები მისი დაბნეულობის მოწმენი გახდნენ, კოლჭაუნმა კიდევ უფრო დაირცხვინა.

პოინდექსტერს აღარაფერი უკითხავს. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ გზა დაეხნათ. თვით ფეხშიშველმა ზანგებმაც კი იცნეს თავიანთი ნათესურები და მიხვდნენ, რომ ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიდნენ.

თეთრკანიანმა მხედრებმა ისევ ბჭობა გამართეს. მდგომარეობა ძალზე გართულდა. პლანტატორიც კი დარწმუნდა, რომ ადგილზე მისვლას იმ დღეს ვერ შეძლებდა, როგორც ამას აქამდე ვარაუდობდა.

მაგრამ ეს საბოლოო უბედურება არ იყო. შეიძლებოდა უარესიც მომხდარიყო. ბევრი ხიფათი მოელოდათ გადაძწვარ ტრამალზე. იქნებ იძულებული გამხდარიყვნენ, ღამე გაეთიათ გადახრუკულ ველზე, სადაც ერთ ცვარ წყალსაც კი ვერ იშოვიდნენ პირუტყვისათვის? შეძლებდნენ კი აქედან ერთ ღამეში გაღწევას?

როგორ უნდა ეპოვათ გზა? მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, თუმცა ჯერ კიდევ ისე მაღლა იდგა, რომ ძნელი გამოსაცნობი იყო, რომელ მხარეს ჩავიდოდა. ცოტას თუ კიდევ მოიცდიდნენ, ადგილმდებარეობაშიც გაერკვეოდნენ.

მაგრამ რაღა აზრი ექნებოდა იმის ცოდნას, თუ საით მდებარეობდა აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი? მათ გზა დაკარგეს.

კოლჭაუნი ახლა უკვე ფრთხილობდა. ერიდებოდა, თვითონ განესაზღვრა, საით წასულიყვნენ.

ათი წუთი უშედეგოდ თათბირობდნენ.

შორს, ცის ტატნობზე, შავი სვავების გუნდი გამოჩნდა. ისინი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდნენ. რამდენიმე მიწაზეც დაეშვა. დანარჩენები კი გზააბნეული მგზავრების ზემოთ ირაოს უვლიდნენ. მათ მოქმედებაში რაღაც ავისმომასწავებელი იგრძნობოდა.

შემდეგ თითქოს ღმერთმა მოწყალე თვალთ გადამოხედაო, სასოწარკვეთილთ მხნეობა დაუბრუნდათ.

მიზიზი?

მათ დაინახეს მხედარი, რომელიც პირდაპირ ქარავნისკენ მოაგელვებდა ბედაურს. მოულოდნელი სანახაობა იყო: ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ ადგილზე ადამიანს შეხვდებოდნენ. ყველას სიხარული ჩაუდგა თვალეში; მათკენ მომავალი მხედარი მაცხოვრის გამოსხადებად მიიჩნეს.

— ჩვენკენ მოდის, არა? — თვალეხს არ უჯერებდა პლანტატორი.

— დიახ, მამა, პირდაპირ ჩვენკენ მოდის, — უთხრა ჰენრიმ; ქუდი მოიხადა, ჰაერში აიქნია, თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა, რომ მხედრის ყურადღება მიეპყრო.

მაგრამ არავითარი ნიშანი არ იყო საჭირო. მხედარმა უამისოდაც შენიშნა გაჩერებული ქარავანი. მას ნავარდით მოჰყავდა ცხენი პირდაპირ მათკენ და მალე მოახლოვდა.

მხედარმა სადავე მხოლოდ მაშინ მოზიდა, როცა ქარავანს ჩაუარა და იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც პლანტატორი და მისი თანამგზავრები იდგნენ.

— მექსიკელი ყოფილა, — წაიჩურჩულა ჰენრიმ, როცა მისი ჩაცმულობა შეათვალა.

— ეგ უკეთესი, — ჩურჩულითვე უპასუხა პონდექსტერმა, — მით უფრო კარგად ეცოდინება გზა.

— მაგას მექსიკელის არა სცხია რა, გარდა სამოსისა, — წაიბუზღუნა კოლჰაუნმა, — ახლავე გავიგებ.

— Buenos dias, cavallero! Esta vilstra Mexicano?

— არა, ჭეშმარიტად არა, — უარყოფის ნიშნად გაიღიმა უცნობმა, — მექსიკელი არა ვარ. შემძლია ესპანურად გელაპარაკოთ, თუ თქვენ ასე გირჩევნიათ, მაგრამ გავკადნიერდები და გეტყვით, უკეთესად გამიგებთ, თუ ინგლისურად ვისაუბრებთ. დარწმუნებული ვარ, ის თქვენი მშობლიური ენაა.

კოლჰაუნმა გაიფიქრა, ალბათ სწორად ვერ გამოვთქვი აზრი, ან გამონათქვამში დავუშვი შეცდომად და აღარაფერი უპასუხა.

— ამერიკელები ვართ, სერ, — წარმოთქვა პოინდექსტერმა ისეთი გრძობით, თითქოს ეროვნული სიამაყე შეულახესო. შემდეგ თითქოს მოერიდაო იმ კაცის განაწყენებას, ვისგანაც დახმარებას ელოდა და დასძინა: — დიახ, სერ, ჩვენ ყველანი ამერიკელები ვართ — სამხრეთის შტატიდან.

— ეს ადვილი გამოსაცნობია, თუ ქარავნის ბოლოს შეხედავ, — უპასუხა უცნობმა. მან მზერა მონა-ზანგებზე გადაიტანა და სახეზე ოდნავ შესამჩნევი ზიზღი გამოეხატა, — მე იმასაც მივხვდი, — დაუმატა მან, — რომ ტრამალზე პირველად მოგზაურობთ. გზა აგებნათ, არა?

— დიახ, სერ და გაგნების არავითარი იმედი აღარ გვაქვს, თუ თქვენ არ გამოიჩინთ დიდ სიკეთეს და არ მიგვასწავლით.

— არავითარი დიდი სიკეთე ეგ არ იქნება. ტრამალი უნდა გადაამელახა და სრულიად შემთხვევით წავაწყდი თქვენს ნაკვალევს. შევნიშნე, რომ გზა დაგბნეოდათ და ცხენი თქვენკენ გამოვაჭენე.

— თქვენი მხრივ ეს უდიდესი კეთილშობილებაა. მადლობელი ვართ, სერ. ჩემი გვარი პოინდექსტერია — ვუდლი პოინდექსტერი — ლუიზიანიდან. ფორტ ინჯის ახლოს, მდინარე ლეონის სანაპიროზე ვიყიდე მამული. დაღამებამდე გვინდოდა მიგვეღწია იქამდე, მაგრამ შევძლებთ?

— არაფერი დაგაბრკოლებთ, თუკი ჩემს რჩევას დაუჯერებთ.

ეს რომ თქვა, უცნობი მხედარი მცირე მანძილით დაშორდა მათ და განზე გადგა. ეტყობოდა, ადგილმდებარეობას აკვირდებოდა, თითქოს სურდა განესაზღვრა მიმართულება, საითაც მოგზაურები უნდა წასულიყვნენ.

გორაკის თავზე მდგარი ცხენი და კაცი ისეთი მშვენიერი სანახავი იყო, რომ მხოლოდ კარგი ხელოვანი თუ დახატავდა.

მხედარი ოცდაოთხ წელზე მეტისა არ იქნებოდა. ახოვანი იყო, სახის ლამაზი ნაკვთებით. ტანზე მოხდენილად ადგა მექსიკელი რანჩეროს კოსტიუმი, ზემოდან ხავერდის მოკლე ქურთუკი ამშვენებდა, ქვემოთ კი — გვერდებზე თასმებიანი შავი შარვალი. ფეხზე ბიზონის ტყავის ჩექმები ეცვა, რომლის ქუსლებზე მძიმე დებები შემოევკრა. წელზე მეწამული კრეპის შარფი შემოერთყა, თავზე ოქროთი მოსირმული შავი მაუდის ქუდი ეხურა. იგი იჯდა მექსიკურ უნაგირზე, რომელსაც ძველებური ყაიდის ისეთივე ტყავის მოჩუქურთმებული აღკაბმულობა ჰქონდა, როგორც კონკისტადორების ბედაურებს.

კარიოლის სარკმელზე ჩამოფარებულ ფარდებს უკან გამომზირალი თვალები მხედარს ყურადღებით შეჰყურებდნენ. ლუიზა პოინდექსტერმა სიცოცხლეში პირველად იხილა ოცნებაში წარმოდგენილი გმირი. უცნობი მხედარი სიამაყით აივსებოდა, რომ სცოდნოდა, როგორი ცეცხლი აღაგზნო მან ახალგაზრდა ქალწულის გულში. მაგრამ საიდან უნდა შეეტყო ეს? მან ხომ ქალიშვილის არსებობაზე არაფერი იცოდა. მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი კარიოლს ისე, როგორც მარგალიტის მაძიებელი შეხედავს ნიჟარას, როცა ეჭვითაც კი არ იცის, რომ მასში ძვირფასი თვალია დამალული.

— სინდისს ვფიცავ, — წარმოთქვა მან და პოინდექსტერისაკენ შემოაბრუნა თავი, — არსად არავითარი კვალი არ ჩანს, საითაც თქვენ გსურთ წასვლა, მაგრამ მაინც გავაგნებ გზას. თქვენ მოგიხდებათ მდინარე ლეონის გადალახვა ფორტიდან ხუთი მილით ქვემოთ. მეც მდინარის იქითა ნაპირზე მინდა გადასვლა და შეგიძლიათ ჩემი ცხენის ნაკვალევს გამოჰყვეთ. კარგად ბრძანდებოდეთ, ჯენტლმენებო!

ასე უეცრად დაემშვიდობა მათ, დები ჰკრა ცხენს და ნავარდით გასწია.

უცებ მგზავრებმა შენიშნეს, რომ უცნობი კვლავ მათკენ მოემუწებოდა. ათ წამში მხედარი მათთან გაჩნდა.

— ვშიშობ, ჩემი ცხენის ნაკვალევი ვერაფერ სამსახურს გაგიწევთ. ხანძრის შემდეგ აქ მუსტანგებს გაუვლიათ, მათი ნაფეხურებით ტრამალი თითქმის დაფარულია. მართალია, ჩემი ცხენი დაჭედლილია, მაგრამ თქვენ ამ ნაფეხურებს ერთმანეთისგან ვერ განასხვავებთ, მით უმეტეს, მშრალ ნაცარზე, სადაც ყველა ნაკვალევი ერთმანეთს ჰგავს.

— მაშ, რა ვქნათ? — განწირული ხმით ჰკითხა პლანტატორმა.

— ძალიან ვწუხვარ, მისტერ პოინდექსტერ, მაგრამ არ შემიძლია გამოგყვეთ. ფორტში სასწრაფოდ უნდა მივიტანო რაღაც საყურადღებო ცნობა. თუ ჩემი კვალი დაკარგეთ, იარეთ ისე, რომ მზე მარჯვნივ დარჩეს, ჩრდილი კი მარცხნივ ეცემოდეს, ხოლო დახრის კუთხე გზასთან თხუთმეტ გრადუსს არ აღემატებოდეს. ხუთი მილი პირდაპირ უნდა იაროთ. იქ დაინახავთ ერთ მაღალი კვიპაროსის კენწეროს, რომელსაც მეწამული ფერით შეიცნობთ. გეზი პირდაპირ იმ ხისაკენ აიღეთ. იგი მდინარის ნაპირზე დგას და ფონიც იქვეა.

უცნობმა კვლავ მოზიდა აღვირი და მზად იყო გასაფრენად, მაგრამ რაღაც ძალამ აიძულა, ცხენი ისევ შეეჩერებინა.

მან მხოლოდ ახლა შენიშნა კარიოლიდან გამომზიარალი მოელვარე თვალები. მათი პატრონი ჩრდილს მიჰფარებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაო სინათლე იდგა იმისთვის, რომ კაცს ადვილად შეეძლო გაერჩია. უცნობმა მხედარმა ისიც შენიშნა, ეს თვალები ნაზად და ინტერესით რომ შესცქეროდნენ მას.

მხედარმაც ესროლა საპასუხოდ აღტაცებული მზერა, მაგრამ ეს სხვებისაგან შეუმჩნეველად ვერ მოახერხა. კადნიერებაში რომ არ ჩამოერთმიათ, ერთბაშად პლანტატორისაკენ მოიხედა, რომელიც მას თავაზიანობისათვის მადლობას უხდიდა.

— მე სრულიადაც ვერ ვიმსახურებ თქვენს მადლობას, რაკი ბედის ანაბარად გტოვებთ. მაგრამ, საუბედუროდ, ჩემი დრო განსაზღვრულია.

– თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით, სერ, – მიმართა პოინდექსტერმა, – როგორც დაგვარიგეთ, ისე მოვიქცევით და ვფიქრობ, მზის შემწეობით გზასაც გავიგნებთ.

– ჩრდილოეთით ცა იქუფრება. ჩანს, იქით ღრუბლები გროვდება და შესაძლოა, ერთ საათში მზე დაფაროს. ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო ადრე მოხდება, სანამ იმ ადგილამდე მიაღწევდეთ, საიდანაც კვიპაროსის დანახვას შეძლებთ. ასე ვერ მიგატოვებთ. თუმცა უკეთესი რამ მოვიფიქრე, – განაგრძო მან მცირე დუმილის შემდეგ, – ჩემი ლასოს კვალს გამოჰყევით.

ამასობაში უცნობმა მხედარმა უნაგირიდან ჩამოხსნა დახვეული თოკი. ერთი ბოლო მიწაზე დააგდო, ხოლო მეორე – უნაგირს მიამაგრა. შემდეგ მოხდენილი მოძრაობით მოიხადა ქუდი და კარიოლისაკენ ნახევრად მობრუნებულმა თავი დაუკრა იქ მყოფთ. მერე ცხენს დეზი ჰკრა და გააჭენა.

ცხენის უნაგირზე მიბმული ლასო ნაცარტუტად ქცეულ ტრამალზე ისეთ კვალს ტოვებდა, თითქოს გველი მისრიალებსო.

– საოცარი ყმაწვილია, – შენიშნა პლანტატორმა და თვალი გააყოლა. მხედარი სულ მალე ნაცრის შავ კორიანტელში მიიმალა, – სახელი მაინც მეკითხა...

– საოცრად გულბვიადია, – წაიბურტყუნა კოლჰაუნმა, რომელსაც არ გამოჰპარვია არც უცნობის მიერ წამით ნასროლი მზერა კარიოლისაკენ და არც მისი ბიძაშვილის საპასუხო გამოხედვა, – რაც შეეხება სახელს, არა მგონია, ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. მართალს მაინც არ გვეტყოდა. ტეხასი სავსეა მაგნირი ახალგაზრდებით, რომლებიც აქ მოსვლისთანავე საეჭვო მიზნების გამო სახელებს იცვლიან.

– არა ხარ მართალი, კაშ, – შეეპასუხა ახალგაზრდა პოინდექსტერი, – ხანდახან უცნაურად მსჯელობ. ეტყობა, იგი კარგად აღზრდილი, ნამდვილი ჯენტლმენია და მე ვიტყვოდი, უდავოდ ღირსია, საუკეთესო სახელს ატარებდეს.

— ჯენტლმენი! ეშმაკმა დალახვროს, მერე ასეთი ჭრელაჭრულა ტანსაცმლით? ჩემს დღეში არ მინახავს, ნამდვილ ჯენტლმენს მექსიკური სამოსი სცმოდეს. ეგ ვინმე გარეწარი უნდა იყოს.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მშვენიერმა ლედიმ თავი გამოყო კარიოლიდან, სრულიად მოურიდებლად, თვალებით გააცილა მიმავალი მხედარი და მანამდე გასცქეროდა, სანამ უცნობი თვალს არ მიეფარა. იქნებ სწორედ ეს იყო კოლჭაუნის გესლის მიზეზი.

— რა მოხდა, ლუ? — შეეკითხა იგი ისე ხმადაბლა, რომ სხვას არავის გაეგონა მისი ხმა და კარიოლს მიუახლოვდა, — შენ, მგონი, დაუყოვნებლივ გამოდევნებას აპირებ? იქნებ გინდა, დაეწიო იმ ყოყლოჩინას? ჯერ კიდევ არ არის გვიან; შემოძლია ჩემი ცხენი გათხოვო.

ახალგაზრდა ქალი სავარძელში გადაწვა. ჩანდა, თავისი ბიძაშვილის არც სიტყვები მოსწონდა, არც ტონი, მაგრამ არ შეპასუხებია, რომ წყენა არ გამოემჟღავნებინა, არც წარბები შუკრავს. თავისი უკმაყოფილება ქალიშვილმა უფრო შეურაცხმყოფელი ფორმით გამოხატა — ხმამაღალი კისკისი იყო მისი ერთადერთი პასუხი.

— მაშ ასე, არა?! როგორღაც არ მომეწონა შენი საქციელი. მისი აქ ყოფნის დროს ისე ჩანდა, თითქოს იმ ფოსტალიონთან დარჩენის დიდი სურვილი გქონდა. იქნებ თავისი ტანსაცმლით მოგაჯადოვა?.. ლამაზი ბუმბული და ფრთები მშვენიერ ჩიტებს ამშვენებს. ეგ კი ყვავია, ფარშავანგის ფრთებით მორთული. ალბათ მალე მომიხდება მაგისი გაბრდღვნა ისე, რომ ზედ ტყავიც ავაყოლო.

— გრცხვენოდეს, კასიუს! შენი სიტყვები ნამდვილი ჭორიკანობაა!

— ჭორზე შენ უნდა გეფიქრა, ლუ! ვიღაც არამზადას რომ ყურადღებას აქცევ, ვიღაც ჯამბაზს! ეჭვი არ მეპარება, ეგ ფორტის ოფიცრების მიერ დაქირავებული ფოსტალიონია და მეტი არაფერი.

— შენ ფიქრობ, წერილების დამტარებელია, არა? ოჰ, როგორ მინდა, სწორედ მაგნაირმა წერილების დამტარებელმა მომიტანოს ხოლმე სასიყვარულო ბარათები.

— მე მგონი, უმჯობესია, დაედევნო და თვითონ უთხრა ყოველივე. შემიძლია, ცხენი შემოგთავაზო.

— ჰა, ჰა, ჰა! ყვეყნივით ლაპარაკობ. ვთქვათ, გადავწყვიტე, დავედევნო ტრამალის ფოსტალიონს. შენი ბანტი ცხენით რას დავეწევი? ისე დააგვლევებს თავის სისხლისფერ ბედაურს, სანამ უნაგირის შეცვლას მოასწრებ, გაუჩინარდება კიდევ. არა! ძალიანაც რომ მინდოდეს, ვერ დავეწევი...

— ფრთხილად ილაპარაკე, მამაშენი გაიგონებს.

— თვითონ გაფრთხილდი, შენი ლაპარაკი არ გაიგონოს! — უპასუხა ახალგაზრდა ლედიმ ახლა უკვე სერიოზულად, — მართალია, ჩემი მამიდაშვილი ხარ და მამაჩემს სრულყოფილ ადამიანად მიაჩნია, მაგრამ მე — არა! ეს ბევრჯერ მითქვამს შენთვის, ხომ მართალია?

კოლჰაუნმა წარბები შეყარა და მოიღუშა. ლუიზას ასეთი სიტყვები მას საშინლად სტანჯავდა.

— რა უფლება გაქვს, ჩემი მრჩეველი იყო. მე რჩევას მართლ ერთი ადამიანისაგან ვიღებ, მართლ მის საყვედურს მოვისმენ, — განაგრძო ლედიმ, — ამიტომ ძალიან გთხოვ, მისტერ კაშ, თავი შეიკავო ასეთი რჩევა-დარიგებებისაგან. ჩემი ფიქრებისა და აზრების ბატონ-პატრონი მე თვითონ გახლავართ, ასევე ჩემი საქციელისაც, სანამ შევხვდებოდე იმ ადამიანს, ვისაც ჩემი საქციელის განსჯის უფლება ექნება. ეს ადამიანი კი შენ არასოდეს იქნები!

ამას რომ ლაპარაკობდა, სიბრაზისა და ზიზღისაგან ლედი თვალებიდან ცეცხლს აკვებსებდა.

იგი კვლავ გადაწვა კარიოლის სავარძელში და ფარდები ჩამოსწია, რითაც სამსახურიდან გადამდგარ კაპიტანს აგრძნობინა, რომ მასთან ლაპარაკი აღარ სურდა.

ადგილზე გაქვავებული კაპიტანი მეეტლეების ხმამალალმა შეძახილმა გამოარკვია. ფურგონები კვლავ დაიძრნენ ტრამალზე, რომელიც ახლა კოლჭაუნის ფიქრებზე შავი არ უნდა ყოფილიყო.

3 - გზის მაჩვენებელი

მგზავრები გზის გაგნებაზე უკვე აღარ წუხდნენ. გველივით დაკლავნილი ლასოს კვალი ისე ნათლად ემჩნეოდა ტრამალს, რომ მას ბავშვიც კი გაჰყვებოდა. ნაკვალევი ხანძარს გადარჩენილ ძეძვნარს შორის მიიკლავნებოდა. იქ, სადაც გადამწვარი მიწა მთლიანად გაშიშვლებულიყო, კვალი განზე უხვევდა. ეს უეჭველად განზრახ იყო გაკეთებული, რომ ფურგონებს დაუბრკოლებლად ევლოთ.

— რამდენ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენს ჩვენზე ეს ყმაწვილი! — შენიშნა პოინდექსტერმა, — ძალიან ვნანობ, რომ სახელი არა ვკითხეთ. თუ მას ფორტთან რაიმე კავშირი აქვს, უთუოდ კიდევ შევხვდებით.

— არც მე მეპარება ეჭვი და დიდი იმედიც მაქვს, რომ მას კვლავ ვნახავთ, — დაუდასტურა ვაჟიშვილმა.

პოინდექსტერის ასულმა, რომელიც კარიოლის სარკმლის ფარდების ჩრდილში სავარძელზე მოკალათებულიყო, ყველაფერი მოისმინა, — მამის ვარაუდიცა და ძმის პასუხიც. თვითონ არაფერი უთქვამს, მაგრამ თვალები, რომლებიც ჰენრისთვის მიეპყრო, ამბობდა, რომ უცნობთან შეხვედრის იმედს მისი გულიც ექოსავით იმეორებდა.

გახარებული, რომ ეს მომქანცველი მგზავრობა მალე დამთავრდებოდა და მზის ჩასვლამდე თავის ახლადშეძენილ მამულს იხილავდა, პლანტატორი მშვენიერ ხასიათზე დადგა. მისმა გოროზმა და არისტოკრატულმა გულმა ყველას მიმართ მოწყალედ დაიწყო ძგერა. ჯერ ბედამხედველს დაუწყო შინაურულად ლაზღანდარობა,

მერე „ბიძია“ სციპიოს გაეხუმრა, დაწყლულებული ქუსლებით გაჭირვებით რომ მოლასლასებდა. იქით „დეიდა“ ჰლოა გაამხნევა, რომელსაც ხელში ჩვილი ეჭირა.

„განსაცვიფრებელია! მშვენიერია!“ — შეიძლება წამოიძახოს ამ არაჩვეულებრივი სურათის ხილვისას ადამიანმა, მაგრამ სწორედ ამ სურათით შეგვიძლია გავიგოთ, რას წარმოადგენს პატრიარქალური მონათმფლობელური ინსტიტუტი, რომელსაც ასე პათეტიკურად აღწერენ თვით ლუციფერის მიერ მოსყიდული მჯღაბნელები. ყოველივე ეს კი ხდება მას შემდეგ, როცა ამდენი იღვაწეს მონათმფლობელობის მოსასპობად.

* * *

პლანტატორის კარგ განწყობილებას კოლჰაუნის გარდა ყველა იზიარებდა. ეს აშკარად ეტყობოდათ სახეზე შავკანიან მონებს, რომელთაც პოინდექსტერი ყოვლისშემძლე ღმერთად და თავიანთი ბედისა თუ უბედობის მიზეზად მიაჩნდათ. მათ თავიანთი ბატონი ღმერთზე ნაკლებად უყვარდათ, მაგრამ ღმერთზე მეტად ეშინოდათ მისი, თუმცა პოინდექსტერი, სხვა მონათმფლობელებისგან განსხვავებით, დიდი სიახით არ გამოირჩეოდა. იგი მონების ტანჯვა-წამებით არავითარ სიამოვნებას არ ღებულობდა. უყვარდა, როცა მისი მონები კარგად ჩაცმულ-დახურულნი იყვნენ და ტანზე სიმსუქნისაგან კანი ასკდებოდათ. მათი პატრონის სიმდიდრის საზომიც ხომ ეს იყო! მართალია, პოინდექსტერსაც კეთილ საქმედ მიაჩნდა ხანდახან მონების მათრახით აჭრელება, მაგრამ მის მონებს ნაიარევი არსად ემჩნეოდათ. ამას კი მისისიპის მონათმფლობელთაგან ბევრი ვერ დაიკვებინდა. ამიტომ არც იყო გასაკვირი, რომ ასეთი სამაგალითო პატრონის ხელში მონებსაც გადაედოთ ბატონის კარგი განწყობილება და ლაყბობას მოჰყვნენ.

როგორც უცნობი წინასწარმეტყველებდა, მზე მანამდე ჩავიდა, სანამ კვიპაროსი გამოჩნდებოდა.

მგზავრები ამას არ შეუშფოთებია, რადგან ლასოს კვალი წინანდებურად კარგად ჩანდა და მზის საშუალებით გარემოს გაგნება არ სჭირდებოდათ, მაგრამ ღრუბლები, რომლებმაც ცა გადაგრაგნეს, თითქოს მათ სულსაც დააწვა.

— შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ღამდება, — წარმოთქვა პლანტატორმა, თან ოქროს საათი ამოიღო და დახედა, — ჯერ მხოლოდ დღის სამი საათი ყოფილა. ის ყმაწვილი სწორედ ბედზე გადაგვეყვარა. ის რომ არ გამოჩენილიყო, მზის ჩასვლამდე გადამწვარ ტრამალს თავს ვერ დავაღწევდით და ღამის გათევაც ნამდვილად იქ მოგვიწევდა.

— ო, რა შავი საწოლი იქნებოდა, — განზრახ გაიხუმრა ჰენრიმ, რათა საუბრისთვის უფრო მეტი სიხალისე მიეცა, — უჰ, რა საზარელ სიზმრებს ვნახავდი, მართლაც იძულებული რომ გავმხდარიყავით და იქ დაგვეძინა.

— რა თქმა უნდა, მეც, — დასძინა ლუიზამ, რომელმაც თავისი ლამაზი სახე კარიოლის ფარდებიდან გამოყო და გარემო შეათვალიერა, — დარწმუნებული ვარ, ტარტაროსს და პლუტოს ვიხილავდი სიზმარში.

— ჰა! ჰა! ჰა! — იკრიჭებოდა კოფოზე წამოსკუპებული შავკანიანი მეეტლე, რომელიც პლანტაციის დავთრებში პლუტო პოინდექსტერად იყო მოხსენებული, — ახალგაზრდა მისსა მე მნახავს სიზმარში ამ შავ ტრამალზე. ღმერთმანი! კარგი სერი კი იქნება! კარგ სანახავს კი ნახავს! ჰა! ჰა! ჰა!

— ძალიან ადრე კი დაიმედდით ყველანი, — წარმოთქვა ამ დროს მოახლოებულმა კოლჰაუნმა და ლაპარაკში ჩაერია, — მართლაც აქ არ მოგიწიოთ ღამის გათევამ, კიდევ უარესი რამე თუ არ მოხდა.

— რას გულისხმობ იმ უარესში, კაშ? — ჰკითხა პლანტატორმა.

— მე ვფიქრობ, ბიძაჩემო, იმ ახალგაზრდამ მოგვატყუა: ჯერ კიდევ დარწმუნებით არ შემიძლია ვთქვა ეს, მაგრამ რაღაც ავისმო-

მასწავებელი ნიშნები კია. ხუთ მილზე მეტი გამოვიარეთ, მგონი ექვსიც და სად არის აღთქმული ხე? მეც ორივ თვალით გავყურებ ჰორიზონტს, მგონი, სხვებზე უარესად არა ვხედავ, მაგრამ ვერავითარ ხეს ვერ ვამჩნევ.

— მაგრამ რატომ უნდა მოვეტყუებინეთ?

— აჰ, რატომ? მე მგონი, ამისთვის მას ბევრი მიზეზი ჰქონდა.

— ერთი მაინც დაასახელე! — გაისმა წკრიალა ხმა კარიოლიდან, — დიდი გულისყურით მოგისმენთ!

— შენ, რა თქმა უნდა, დიდი გულისყურით მოისმენ, რაც იმ უცნობს შეეხება, — დამცინავად უთხრა კოლჰაუნმა, — მაგრამ ვშიშობ, ჩემი მოსაზრება რომ გამოვთქვა, რამდენადაც შენი გულმოწყალების ამბავი ვიცი, ცუდუბრალო განგაშის ატეხაში ჩამომართმევ!

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას იტყვი, მისტერ კასიუს. ვფიქრობ, შეგიძლია გარისკო და გამოგვცადო. ისეთი კარგი მეომრისა და მოგზაურისაგან, როგორც შენა ხარ, ჩვენ არ მოველით ცუდუბრალოდ განგაშის ატეხას.

კოლჰაუნი მიუხვდა დაცინვას და შეიძლება აღარც ეთქვა ის, რის თქმასაც აპირებდა, რომ საქმეში სწორედ ამ დროს თვითონ პოინდექსტერი არ ჩარეულიყო.

— მოდი, კასიუს, აგვიხსენი! — სთხოვა პლანტატორმა. მის ხმაში დისშვილის ავტორიტეტისადმი პატივისცემა იგრძნობოდა, — რაც შენ თქვი, ეგ უკვე უბრალო ცნობისმოყვარეობის საგანი აღარ არის. რა მიზეზით უნდა შევეყვანეთ შეცდომაში იმ ახალგაზრდას?

— აბა, რა ვიცი, ბიძაჩემო, — თქვა სამსახურიდან გადამდგარმა ოფიცერმა წინანდებურად ყოყონა ტონით, მაგრამ ბრალდებიდან ცოტა უკან დაიხია, — მე დაბეჯითებით არ ვამბობ, მოგვატყუა-მეთქი, მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ შესაძლოა, გზა აგვირია.

— რისთვის?

— აბა, რომელი ერთი თქვას კაცმა. ყველაფერი ხდება. მოგზაურ ქარავნებს, ჩვენზე გაცილებით ძლიერებსაც, ესხმიან თავს, ძარცვავენ, ხოცავენ.

— ღმერთო დაგვიფარე! — წამოიძახა ლუიზამ, რომელიც ცდილობდა, იმაზე შეშინებული სახე მიეღო, ვიდრე სინამდვილეში მომხდარი თავდასხმის დროს ექნებოდა.

— ინდიელები? — იკითხა პოინდექსტერმა.

— ხანდახან ინდიელებიც, მაგრამ უფრო ხშირად თეთრკანიანები, რომლებიც თავს ინდიელებად აჩვენებენ და არა მარტო მექსიკელები სჩადიან ამას. ამისათვის საჭიროა ცოტაოდენი ყავისფერი საღებავი, ცხენის ფაფრისაგან დამზადებული პარიკი, შიგ გარჯობილი რამდენიმე ფრთა და რაც შეიძლება დიდი ღრიანცელის ატეხა. თუ თეთრკანიანი ინდიელები გაგვძარცვავენ, რაც არცთუ ისე იშვიათად ხდება, ჩვენ იგი სანახევროდ დავიმსახურეთ კიდევ გულუბრყვილო ნდობით, რომელიც იმ უცნობს გამოვუცხადეთ.

— ღმერთო ჩემო, დისშვილო! ეს სერიოზული ბრალდებაა. შენ გინდა თქვა, რომ ის წერილების დამტარებელი, თუ მართლაც წერილების დამტარებელია, მახეს გვიგებს?

— არა ძია, მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ასეთი რამ ხშირად ხდება-მეთქი და შეიძლება ის უცნობი გვაცდუნებს...

— მაგრამ ძნელად დასაჯერებელია, — გაისმა კარიოლიდან ეჭვით საუსე სიტყვები.

— არა, — წამოიძახა ყმაწვილმა ჰენრიმ, რომელიც ყველაზე წინ მიდიოდა, მაგრამ ამ საუბრიდან არაფერი გამოჰპარვია, — შენი ეჭვები უსაფუძვლოა, კასიუს. მე ასეთ რამეს ცილისწამებას ვუწოდებ. და ეს რომ ასეა, შემიძლია დაგიმტკიცო. მოიხედე!

ყმაწვილმა ცხენი შეაყენა და მიუთითა ბილიკის ბოლოს მდგარ ხეზე, რომელიც საუბარში ჩარევამდე კარგად გაერჩია. ეს იყო სვეტივით აღმართული მაღალი კაქტუსი, რომლის მწვანე, წვნიანი ღერო ცეცხლს გადარჩენოდა.

ჰენრი პოინდექსტერმა თანამგზავრთა ყურადღება თვითონ მცენარისაკენ კი არ მიმართა, არამედ პატარა თეთრ საგანზე, რომელიც კაქტუსის ერთ-ერთ ეკალზე იყო მიმაგრებული. ეს ბარათი იყო.

— აბა ვნახოთ, რა წერია, — თქვა ყმაწვილმა, ცხენი კაქტუსთან მიაგდო და ხმამაღლა წაიკითხა.

„აქედან კვიპაროსი ჩანს!“

— აბა, სად არის? — იკითხა პოინდექსტერმა.

— ბარათზე ფანქრით დახატულია ხელი, რომლის გაშვერილი თითი, უეჭველია, კვიპაროსისაკენ მიმართულებას გვიჩვენებს, — უპასუხა ჰენრიმ.

ყველამ იმწამსვე თითის მიმართულებას გააყოლა მზერა.

მზე რომ ჩასული არ ყოფილიყო, კვიპაროსი მაშინვე გამოჩნდებოდა, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ სავსებით მოკრიალებულ ლურჯ ცას ღრუბლებისაგან ნაცრისფერი გადაჰკრავდა. მგზავრების გულმოდგინება, როგორმე შეენიშნათ ჰორიზონტზე ხის კენწეროს მსგავსი რამ, უშედეგოდ რჩებოდა.

— არაფერი ხის მსგავსი არ ჩანს, — დარწმუნებით თქვა კოლჰაუნმა და იმწამსვე თავისი უღირსი ბრალდება გაიმეორა, — ეს ოინების ჯაჭვის რგოლია, რომლითაც ის არამზადა ვერაგულად გვათამაშებს.

— ცდები, კასიუს, — წარმოთქვა იმავე ხმამ, რომელიც ასე ხშირად ეწინააღმდეგებოდა მას, — აი, გახედე დურბინდით! თუ თვალის გამჭრიახობა ჯერ არ დაგიკარგავს, ჰორიზონტზე დაინახავ საგანს, რომელიც ძალიან ჰგავს ხეს, მაღალ ხეს, ალბათ კვიპაროსს.

კოლჰაუნმა მედიდურად უარყო ბიძაშვილის წინადადება და დურბინდი არ გამოართვა. იცოდა, ეს მის დანაშაულს გაამჟღავნებდა. ახლა მას ლუიზას სიტყვების სიმართლეში ეჭვი აღარ ეპარებოდა. მაშინ თვითონ პოინდექსტერმა აიღო ტოკრიტი, თავის ახლომხედველი თვალებისათვის მომართა და გარკვევით გაარჩია ტრამალის ბოლოს კვიპაროსის მოწითალო კენწერო.

— ჭეშმარიტად კვიპაროსია, — თქვა მან, — ის ყმაწვილი პატიოსანი კაცი ყოფილა. შენ მართალი არ იყავი, კაშ. მე მჯეროდა, რომ ის უცნობი არ მოგვატყუებდა. მისტერ სანსომ! ბრძანება გაეცი, მეეტლეები დაიძრან.

კოლჰაუნს აღარც საუბრის გაგრძელება სურდა და აღარც თანამგზავრებთან ყოფნა. გაჯავრებულმა დებები შემოჰკრა ცხენს და ტრამალზე გააჭენა.

— მაჩვენე ბარათი, ჰენრი! — სთხოვა ლუიზამ, — მაინტერესებს ვნახო ბარათი, რომელმაც ასეთი დიდი სამსახური გაგვიწია, — ჩამოიღე კაქტუსიდან და მომიტანე.

ჰენრიმ მორჩილად შეუსრულა დას თხოვნა და არც უფიქრია, თუ ლუიზას კიდევ სხვა რამეც ედო გულში, როცა ამ დავალებას აძლევდა.

— მორის ჯერალდი! — ჩაიბუტბუტა ახალგაზრდა ქალმა, როცა მეორე მხარეს გვარი და სახელი წაიკითხა, — მორის ჯერალდი! — გაიმეორა მან, ბარათი სათუთად ჩაიკრა გულში და იქვე შეინახა, — ვინც არ უნდა იყო, საიდანაც არ უნდა იყო მოსული, სადაც არ უნდა წახვიდე, რაც არ უნდა გახდეს მომავალში, ამიერიდან ჩვენ ერთი ბედი უნდა გვქონდეს! მე ვგრძნობ ამას, ვიცი ეს...

4 - შავი გრიგალი

თავისი ბედი რომ წინასწარ გადაწყვიტა, ლუიზა რამდენიმე წუთს ჩუმად იჯდა. თავი ხელებში ჩაერგო ისე, რომ მისი თეთრი თითებით საფეთქლებს ეხებოდა.

მისი ოცნება დიდხანს არ გაგრძელებულა.

ლუიზას უეცარი წამოძახილები მოესმა, მაგრამ ნათქვამი ვერ იქნა და ვერ გაარჩია. როცა სიტყვები მკაფიოდ გაიგონა, ძმის ხმა იცნო, ხოლო ნათქვამის კილომ აგრძნობინა, რომ მდგომარეობა საგანგაშო იყო.

— შეხედე, მამა! ნუთუ ვერ ხედავ?

— რას, ჰენრი, სად?

— აი, იქ, ფურგონებს იქით, ახლა ხომ დაინახე?

— ვხედავ, მაგრამ ვერ ამიხსნია, რა უნდა იყოს. ისინი მაგონებენ... — პოინტექსტერი შედარებას ეძებდა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა და გასაჭირში ჩავარდა, — ნამდვილად არ ვიცი, რა უნდა იყოს.

— ზღვაზე ამოვარდნილ გრიგალს ჩამოჰგავს, — მიეშველა სამსახურიდან გადამდგარი კაპიტანი, რომელმაც დაინახა ეს უცნაური მოხაზულობის „საგნები“ და კარიოლთან შეკრებილებს ისევ შეუერთდა.

— ჩამოჰგავს, მაგრამ ის არ უნდა იყოს. ეს ადგილი ზღვიდან ძალიან დიდი მანძილითაა დაშორებული. მე არ გამიგონია, ასეთი რამ ტრამალზე ხდებოდა.

— რაც არ უნდა იყოს, კი მოძრაობს, — თქვა ჰენრიმ, — შეხედეთ! ხან უახლოვდებიან ერთმანეთს, ხან ისევ სცილდებიან. რომ არ მოძრაობდნენ, კაცი შეიძლება შემცდარიყო და ეფიქრა, შავი მარმარილოს უზარმაზარი ობელისკებიანო.

ჩრდილოეთის მხრიდან ჰორიზონტზე უეცრად გამოჩნდა ცამდე აზიდული, კუპრივით შავი ათამდე სვეტი. მსგავსი რამ მანამდე არც ერთ მათგანს არ ენახა. ისინი ჯერ სვეტებად აიმართნენ, მერე ერთმანეთს გადაეხლართნენ და წარამარა იცვლიდნენ სიდიდეს, ადგილსა და მოხაზულობას. თანაც ისე ელვისებურად გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, ისე სწრაფად იხრებოდნენ და სწორდებოდნენ, თითქოს უზარმაზარი ზღაპრული გოლიათები ყინულზე ფანტასტიკურ ილეთებს აკეთებენო.

ამ უჩვეულო მოვლენის სიახლოვემ, რომელიც წინათ არც ერთ მათგანს არ ენახა, ბუნებრივია, შეაშფოთა მგზავრები. მოსალოდნელი ხიფათის შეგნება მცველას გული შეუკუმშა. თითოეულ მათგანს სჯეროდა, თავს რაღაც გარდაუვალი უბედურება დაატყდებოდათ. ამ უცნაური სვეტების დანახვისთანავე ფურგონები შეჩერდნენ. მეეტლეები და ზანგები, რომლებიც ფეხით მოლასლასებდნენ, შიშისაგან

აყვირდნენ. ცხენებს კანკალი აუვარდათ და ჭიხვინი მორთეს, ხოლო ჯორებმა ყურთასმენის წამლები ყროყინი ატეხეს. ამას თან ერთვოდა შავი კომკებიდან მომდინარე ჩანჩქერის შხუილის მსგავსი ბუბუნი, რაც დროდადრო თოფის ჭექის, ანდა შორეული ქუხილის-მაგვარ ხმაურში გადადიოდა. გუგუნნი სულ უფრო მკაფიოდ ისმოდა და ძლიერდებოდა. მოსალოდნელი საშიშროება თანდათან ახლოვდებოდა.

ამ მძიმე წუთებში მოპირდაპირე მხრიდან შემოესმათ შემფოთებული ძახილი, მაგრამ ამ ხმამ მაინც ყველას შვება აგრძნობინა.

როცა მგზავრები მობრუნდნენ, დაინახეს მხედარი, რომელიც მთელი სისწრაფით მათკენ მოაქროლებდა კუპრივით შავ ბედაურს. ეს იყო უცნობი, რომლის ლასოს კვალსაც მისდევდნენ. ახალგაზრდა ლედიმ პირველმა იცნო იგი.

— წინ, — იყვირა მხედარმა, როგორც კი ხმის მიწვდენაზე მიუახლოვდა ფურგონებს, — წინ! წინ! რაც შეგიძლიათ ჩქარა.

— რა იყო? — შეეკითხა შეშინებული პლანტატორი, — რაიმე უბედურება ხომ არ გველის?

— დიახ. როცა იქ დაგტოვეთ, ამას არ მოველოდი. მდინარეს რომ მივაღწიე, მაშინ შევნიშნე.

— რა, სერ?

— შავი გრიგალი.

— ქარიშხალს გულისხმობთ?

— დიახ.

— ვიცი, რომ ქარიშხალი ზღვაზე საშიშია, მაგრამ თუ ტრამალზე გიანი მოჰქონდა, ეს არ მსმენია, — თქვა კოლჰაუნმა. ისიც ვიცი, რომ მისი სიცივე ძვალსა და რბილში ატანს, მაგრამ...

— სიცივე კი არა, სერ, — შეაწყვეტინა უცნობმა, — მას გამანადგურებელი სუნთქვა მოაქვს, თუ არ იჩქარეთ და თავი არ დააღწიეთ. მისტერ პოინდექსტერ, — მიმართა მან პლანტატორს მოუთმენლად,

— მე გეუბნებით, რომ თქვენცა და თქვენი თანამგზავრებიც განსაცდელში ხართ. გრიგალი ყოველთვის არაა საშიში, მაგრამ ეს... თვითონვე შეხედეთ იმ შავ სვეტებს, ხედავთ?

— შევყურებთ და ვერ გაგვიგია, რა უნდა იყოს.

— თავისთავად ეგ სვეტები არაფერს წარმოადგენს, ისე კი ქარიშხლის მომასწავებელია. იქით გაიხედეთ! ვერ ამჩნევთ, შავ ღრუბელს მთელი ცა რომ დაუბურავს? აი, რისი უნდა გეშინოდეთ. არ მინდა, ზედმეტად შეგაშფოთოთ, მაგრამ იმ ღრუბლების ჩრდილში სიკვდილი იმალება. იგი მოძრაობს და ჩვენკენ მოდის. თქვენი ხსნა მხოლოდ სისწრაფეს შეუძლია. თუ ახლა არ იჩქარეთ, მერე გვიან იქნება. ათი წუთის შემდეგ წამოგვეწევა და მერე... აჩქარდით, სერ, გემუდარებით! მეეტლეებსაც უბრძანეთ, რაც შეუძლიათ, იჩქარონ!

პლანტატორს უარის თქმა არც უფიქრია. ბრძანება გასცა, ფურგონები მთელი სისწრაფით დაძრულიყვნენ.

შიშმა, რომელმაც თავის კლანჭებში მოაქცია ცხოველებიცა და ადამიანებიც, მათრახი ზედმეტი გახადა. კარიოლი და ცხენოსნები, როგორც წინათ, ახლაც წინ მიუძღოდნენ ქარავანს. უცნობი კი უკან მოდიოდა, თითქოს საშიშროებისაგან იცავდა მათ. დროდადრო ცხენს აჩქარებდა და უკან იხედებოდა: ყოველი მობრუნებისას მისი შეშფოთება იზრდებოდა. პლანტატორმა ეს შენიშნა, ცხენდაცხენ მიუახლოვდა და ჰკითხა:

— კიდევ არის საშიშროება, სერ?

— ვწუხვარ, რომ ამას გეუბნებით, მაგრამ საშიშროებას ჯერ არ გაუვლია. ვიმედოვნებ, ქარი მიმართულებას შეიცვლიდა.

— ქარი, სერ? მე ვერაფერს ვამჩნევ.

— აქეთ არა. მაგრამ აი, იქ არის გრიგალი და პირდაპირ ჩვენკენ მოემართება. გასაოცარი სისწრაფით გვიახლოვდება! იმედი აღარა მაქვს, რომ ამ შავი ტრამალის გადალახვას დავასწრებთ ქარიშხალს.

— რა უნდა ვქნათ? — წამოიძახა შეშინებულმა პლანტატორმა.

— არ შეიძლება, უფრო ავაჩქაროთ პირუტყვი?

— ამაზე ჩქარა? შეუძლებელია.

— ასეთ შემთხვევაში, ვშიშობ, დავაგვიანებთ!

როცა ეს სამწუხარო ვარაუდი გამოთქვა, ერთხელ კიდევ შებრუნდა იქით, საიდანაც ქარიშხალი იყო მოსალოდნელი, თითქოს სურდა განესაზღვრა, რა სისწრაფით უახლოვდებოდა გრიგალი.

— დიახ, უკვე გვიანაა! ის ჩვენზე სწრაფად მოძრაობს.

— ღმერთო, ღმერთო, სერ! განა ასეთი დიდი საფრთხე გველის? ნუთუ არაფერს არ შეუძლია ჩვენი ხსნა?

უცნობმა პასუხი დააგვიანა. რამდენიმე წამს დუმდა, თითქოს რაღაცას ფიქრობდა. მერე მზერა ზეციდან ფურგონებზე გადაიტანა.

— ნუთუ ხსნის არავითარი იმედი არ არის? — კვლავ იკითხა პლანტატორმა მოუთმენლად.

— არის! — წამოიძახა მხედარმა, — გადარჩენის იმედი არის. ადრე არ მიფიქრია ამაზე. გრიგალს ვერ გავუსწრებთ, მაგრამ საფრთხეს კი გადავურჩებით. იჩქარეთ, მისტერ პოინდექსტერ! უბრძანეთ თქვენს ხალხს, ახლავე ცხენებსა და ჯორებს თავები მაგრად შეუხვიონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ჯერ დაბრმავდებიან, შემდეგ გაცოფდებიან. შესახვევად საბნები, წამოსასხამები — ყველაფერი გამოდგება. როცა ამას მორჩებიან, ყველანი ფურგონებში ჩასხდნენ. მთავარია, ყველა ჭუჭრუტანა კარგად ამოიფსოს. თავად მე კი კარიოლს მივხედავ.

ეს მითითება რომ მოისმინა, პოინდექსტერი ზედამხედველის დახმარებით იმწამსვე შეუდგა მეეტლეებისათვის სათანადო ბრძანებების გაცემას, ხოლო უცნობმა თავისი ბედაურით კარიოლისაკენ გაქუსლა.

— ქალბატონო, — მიმართა მან იმდენად თავაზიანად, რამდენადაც ამის უფლებას მდგომარეობა იძლეოდა, — ყველა ფარდა უნდა ჩამოუშვათ. აუცილებელია, თქვენი მეეტლეც კარიოლში შემოვიდეს; თქვენც, ჯენტლმენებო! — მიმართა მან ჰენრისა და კოლჰაუნს,

— რალა თქმა უნდა, თქვენც, სერ, — უთხრა იმ წუთას მისულ პოინდექსტერს, — ადგილი ყველას გეყოფათ. ოღონდ გთხოვთ, დააჩქაროთ! დროს ნუ დაკარგავთ. რამდენიმე წუთში გრიგალი აქ იქნება!

— თქვენ, სერ? — დიდი ინტერესით ჰკითხა პლანტატორმა იმ ადამიანს, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა მათი განსაცდელიდან დახსნისათვის, — თქვენ რას აპირებთ?

— ჩემზე ნუ ღელავთ. მე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე. ეს ჩემთვის პირველი შემთხვევა არ არის. შედით კარიოლში! დრო აღარ ითმენს. ხომ გესმით ზუზუნი! ჩქარა, თორემ მტვრიანი ღრუბლების კორიანტელში აღმოვჩნდებით.

პლანტატორი და მისი შვილი ცხენებიდან ჩამოხტნენ და კარიოლში მოთავსდნენ. კოლჰაუნმა არასდიდებით არ ინდომა ცხენიდან ჩამოსვლა. რალა მას უნდა ეშინოდეს რალაც მოჩვენებითი განსაცდელისა, თუკი ეს მექსიკურ სამოსში გამოწყობილი უცნობი არ უფრთხის? უცნობმა ახლა ზედამხედველს შესთავაზა უახლოეს ფურგონში შესვლა. ეს უკანასკნელი სიტყვის შეუბრუნებლად დაემორჩილა. რაკი ყველანი დააბინავა და სხვებზე ზრუნვას მორჩა, უცნობმა ახლა თავის თავს მიხედა. სწრაფად გაშალა სერაპე, რომელიც უნაგირზე ჰქონდა მიმაგრებული, თავზე გადაახურა თავის ბედაურს, მერე მისი კიდები უკან გადმოსწია, ცხენს კისერზე შემოახვია და განასკვა. ასეთივე სისწრაფით გახსნა ჩინური აბრეშუმის შარფი და სომბრეროს გარშემო შემოიხვია. მისი ერთი ბოლო ბაფთის ქვეშ გაატარა დასამაგრებლად, ხოლო მეორე ბოლო ძირს ჩამოუშვა და ამრიგად, აბრეშუმის პირსაბური დაამზადა.

სანამ სახეს ამით დაიფარავდა, ერთხელ კიდევ გაიხედა კარიოლისაკენ; კოლჰაუნი ჯერ კიდევ ცხენზე იჯდა.

უცნობის გულში კაცთმოყვარეობამ სძლია იმ უნებლიე ზიზღს, რომელიც მას კოლჰაუნის მიმართ გასჩენოდა:

— ერთხელ კიდევ გთხოვთ, სერ, შიგნით შეხვიდეთ. თორემ ათ წუთში ცოცხალი აღარ იქნებით.

უცნობის მიერ წინასწარ გამოჩენილმა სიფრთხილემ, მისმა თხოვნის კილომ და კეთილმა დამოკიდებულებამ თავისი გაიტანა.

კასიუს კოლჭაუნი არ შედრკებოდა და არც უკან დაიხევდა მოსაკლავად მომხდური ისეთი მტრის წინაშე, რომლის მოსპობაც შესაძლებელი იქნებოდა. მაგრამ ეს ისეთი მტერი იყო, რომელსაც შებრძოლებით ვერაფერს დააკლებდა. ამინდი თვითონვე ამტკიცებდა ამას; ისეთი ხმაური ატყდა, კაცს ჭექა-ქუხილი ეგონებოდა და ამ შუადღისას ისე ჩამობნელდა, შუალამის უკუნი მასთან ჩრდილადაც არ გამოჩნდებოდა. ვინ არ იგრძნობდა შიშს ასეთი გამანადგურებელი საშინელების წინაშე?!

მიწამ და ზეცამ თითქოს პირი შეკრეს, გაერთიანდნენ და კოლჭაუნს ძალა არ ეყო, წინ აღდგომოდა მათ. ცხენიდან რომ ჩამოდიოდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ჩამოსვლა სულაც არ სდომოდეს და ფარდებით მაგრად დაგმანულ კარიოლში შევიდა.

* * *

ძნელია, კალმით აღიწეროს, რაც შემდეგში მოხდა. ეს სანახაობა მგზავრთაგან არავის უნახავს, რადგან ვერავინ გაბედა მისთვის თვალის გასწორება. რომც გაებედათ, მაინც ვერაფერს დაინახავდნენ. ხუთი წუთი გავიდა, რაც პირუტყვებს თავები შეუხვიეს და ყოველივე წყვილიაღმა მოიცვა. მოგზაურებმა ამ საშინელების მხოლოდ დასაწყისი შენიშნეს.

ერთ-ერთი შავი სვეტი ფურგონთან შეხეთქების შემდეგ შავ ნაცარტუტად დაიშალა. გეგონებოდათ, ზეციდან თოფისწამლის დეღგმა წამოვიდაო. მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მოხდა: გეგონებოდათ, ცა გაიხსნაო, წუთით განათდა, ამ დროს მგზავრებმა ისეთი სიცხე იგრძნეს, თითქოს ღუმლის შიგნით ყოფილიყვნენ. შემდეგ სუსხიანი, თითქოს ყინულოვანი მთებიდან მონაბერი ქარი მომძლავრდა, რომელიც გამაყრუებლად სტვენდა და ზუმუნებდა.

რამდენიმე წამი და გრიგალი უკვე მათთან იყო; სუბტროპიკულ ზონაში მდებარე ტრამალეებზე ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, რომელიც არქტიკის ოკეანეში წყლისაგან ყინულოვან მთებს ქმნის.

ალარაფერი ჩანდა, აღარც არაფერი ისმოდა. ფურგონებს შეხეთქებული ქარი ზუმუნებდა და ღმუოდა. ჯორები ინსტინქტურად შებრუნდნენ ქარისაკენ ზურგით და გაყუჩდნენ. კარიოლსა და ფურგონებში მგზავრების ხმას გრიგალის ღმუილი ახშობდა. ყველა ჭუჭრუტანა დაგმანული იყო. ეს რომ არა, ქარი ადვილად მიაგნებდა მათ. გახევებული ტილო, რომელიც მგზავრებს წვიმისა და მზისაგან იფარავდა, ყველაზე მეტად ახლა გამოადგათ. საკმარისი იყო, კაცს რამდენიმე წამით თავი გარეთ გამოეყო და წამსვე გაიგუდებოდა. გადამწვარი ტრამალის ფერფლი მთლიანად ჰაერში ტრიალებდა და ყველგან სიკვდილი მიჰქონდა.

ერთ საათზე მეტხანს დააქროლებდა გრიგალი ამ შავი ღრუბლების მტვერს და მგზავრებს საშუალებას არ აძლევდა, გარეთ გამოეხედათ.

დაბოლოს, კარიოლის ფარდებთან ახლოს გაისმა ხმა, რომელმაც მგზავრებს ამცნო, რომ თავისუფალნი იყვნენ:

— შეგიძლიათ, გამოხვიდეთ! — დაიძახა უცნობმა, რომელსაც თავისი აბრეშუმის შარფი სომბრეროს ფარფლებზე უკან გადაეგდო, — ქარიშხალი ჯერ არ ჩამდგარა და თქვენი მგზავრობის დამთავრებამდე არც ჩადგება; შეიძლება სამ დღესაც გასტანოს, მაგრამ საშიში უკვე არაფერია. ქარიშხალმა ფერფლი მთლიანად ახვეტა, რიო გრანდეს მიმართულებით წაიღო და საეჭვოა, თქვენ მას წამოეწიოთ.

— სერ! — მიმართა პლანტატორმა, რომელიც აჩქარებით ჩამოდიოდა კარიოლის საფეხურებზე, — მაღლობას გიხდით...

— ჩვენი სიცოცხლის გადარჩენისათვის, მამა! — დაიყვირა ჰენრიმ, გახარებულმა იმით, რომ შესაფერისი სიტყვა მოძებნა.

— სერ, იმედი მაქვს, პატივს დაგვდებთ და გვეტყვიოთ თქვენს სახელს.

— მორის ჯერალდი, — უპასუხა უცნობმა, — თუმცა ფორტში თუ მორის მუსტანგერს იკითხავთ, უფრო ადვილად მიპოვით.

— მუსტანგერი, — ზიზღით ჩაილაპარაკა კოლჰაუნმა, თუმცა ისე კი, რომ ლუიზას გაეგონა.

— მუსტანგერი და მეტი არაფერი! — დანანებით წარმოთქვა არისტოკრატმა პონინდექსტერმა, რომელიც თავისი აღზრდისა და მდგომარეობის შესაბამისად წოდებრივ და თანამდებობრივ განსხვავებას განსაკუთრებით ცივი გონებით სჯიდა ხოლმე.

— გზის გასაგნებად მე აღარ ვარ საჭირო. აღარც ჩემი ლასო დაგჭირდებათ, — თქვა ველურ ცხენებზე მონადირემ, — კვიპაროსი აქედან კარგად მოჩანს. პირდაპირ მისკენ იარეთ, მდინარეს რომ გადალახავთ, ფორტის თავზე დროშას დაინახავთ და დაღამებამდე მიაღწევთ კიდევ დანიშნულების ადგილს. მე მეტი დრო აღარ მაქვს და უნდა დაგემშვიდობოთ.

თვით ჯოჯოხეთურ ცხენზე ამხედრებული სატანა არ ემგვანებოდა მორის მუსტანგერზე მეტად ლუციფერს, როდესაც იგი მეორედ დასცილდა პლანტატორსა და მის თანამგზავრებს, მაგრამ არც მხედრის გამურულ სახეს და არც მის უბრალო ჩამომავლობას არ შეეძლო ლუიზა პონინდექსტერის თვალში დაემცირებინა მორის მუსტანგერი.

როცა მხედარმა თავისი სახელი წარმოთქვა, — ლუიზამ იგი თითქმის უკვე იცოდა, ქალიშვილმა კიდევ უფრო ახლოს მიიკრა თოვლივით თეთრ მკერდზე მისი ბარათი და ნაზად მიესიყვარულა. მერე ჩუმად დაიწყო ბუტბუტი ისე, რომ სხვას არავის გაეგონა: „მორის მუსტანგერ! მართალია, გამურული, თავმდაბალი და უპრეტენზიო ხარ, მაგრამ შენ მოხიბლვე კრეოლი ქალიშვილის გული. ღმერთო ჩემო! როგორ ჰგავს ლუციფერს, მაგრამ მისი შეჯავრება როგორ უნდა შეეძლო?!“

5 - მუსტანგერის ქობი

იქ, სადაც „კაკლის მდინარედ“ წოდებული რიო დე ნუესა იღებს სათავეს და იერთებს უამრავ ნაკადულს, განსაცვიფრებელი, თვალწარმტაცი ადგილებია. რიო დე ნუესა „ბორცვებიან ტრამალად“ წოდებულ მაღლობზე მიედინება. მისი ნაპირები დაფარულია მუხნარისა და კაკლის ჭალებით, რომლებიც ტყის უზარმაზარ მასივებს ქმნიან. ადგილ-ადგილ ეს ტყე იცვლება მარადმწვანე ჯუჯა მუხნარით, აქვე ხარობს ყველა ჯიშის აკაცია, სანდალოზის ხე, ველური ალოე, უცნაური ჯიშის ცერეუსი, კაქტუსი, ხისებრი იუკა. ეს ეკლიანი მცენარეულობა მიწის მუშის თვალს ვერ გაახარებს, რადგან იგი მწირ ნი-ადაგზე იზრდება; სამაგიეროდ, ბოტანიკოსისა და ბუნების სილამაზის თავყანისმცემლისათვის არის მიმზიდველი; განსაკუთრებით, როცა ცერეუსი თავის უზარმაზარ ყვითელ ყვავილებს გაშლის, ანდა შამბნარის თავზე სისხლისფერ დროშასავით გადმოკიდებული ფუკიერა მეწამული ფერის მოელვარე ყვავილებს გადაფურჩქნის. ნაკადულები ამ ადგილებში ისეთი ანკარაა, რომ მათში გეცის საფირონისებური სილურჯე ირეკლება. აქაურ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს ღრუბელი თითქმის არასოდეს ეფარება. ამ ჯანსაღ მიდამოებში არც ავადმყოფობა იცის, აქ ვერც ერთმა ეპიდემიამ ვერ გაიკვლია გზა.

ამ დიდებული ადგილებში ჯერ არც ერთ ცივილიზებულ ადამიანს არ აუშენებია სახლი. იქაურ ბილიკებზე ფეხი არავის დაუდგამს, გარდა ინდიელი კამანჩისა და ლიპანოს ტომების წარმომადგენლებისა. იმათაც მხოლოდ ცხენებზე ამხედრებულებს თუ გაუვლიათ, როცა ლეონის ნაპირებზე ან ნუესის ქვემოთ მცხოვრებ ადამიანთა გასაძარცვავად წასულან.

სწორედ ამიტომ მიუჩნევიათ ბუნების ნამდვილ შვილებს თავის საყვარელ სამფლობელოდ ეს ადგილი. ტეხასში სხვა არც ერთ ადგილას არ შეგხვდებათ ამდენი ირემი და ანტილოპა. შედარებით იმ-

ვიათი სანახავია აქ გარეული ღორი, ქრცვინი და ოპოსუმი. სხვადასხვა ფერისა და სილამაზის ჩიტების ჟრიაშული აცოცხლებს გარემოს. მგელს, რომელიც მარტოდმარტო დაეხეტება; ხოლო მისი სახესხვაობის მხდალი კოიოტების დიდი ჯგუფები ხროვად დაწანწალებენ მთელ დაბლობზე. მძვინვარე ოთხფეხთა შორის შეიძლება ნახოთ ცხოველთა შორის ყველაზე უფრო კეთილშობილი და მშვენიერი – ადამიანის ყველა მეგობარ ცხოველთგან გამორჩეული – ცხენი.

მაგრამ ადამიანი მისთვის საყვარელ ბუნების წიაღში არ ტოვებს ცხენს მარტო. იგი ნადირობს მასზე, იჭერს და ათვინიერებს. აქ შეიპყრო და გახედნა მორის მუსტანგერმაც ერთ-ერთი მათგანი.

* * *

ნუესის შენაკადთა შორის ყველაზე ანკარა მდინარე ალამოს ნაპირზე იდგა უბრალო, მაგრამ თვალწარმტაცი სახლი, რომლის მსგავსს ტეხასში ბევრს შეხვდებით.

სახლის კედლები შუაზე გაპობილი და მიწაში ჩასობილი იუკას მორებისგან იყო გაკეთებული, რომელიც გიგანტური შროშანის სატევარივით ბასრი ფოთლებით გადაეხურათ.

სახლის შიგნით დარჩენილი ჭუჭრუტანები, დასავლეთ ტეხასელთა წესის თანახმად, თიხით როდი იყო შელესილი. კედლებზე გაეკრათ ცხენის ტყავები, რომლებიც ლურსმნის ნაცვლად პიტას ფოთლის წანაზარდი ეკლებით იყო მიჭედებული.

ნახევარწრედ ჩამწკრივებული ხეები, რომლებზეც სახლის სახურავი იყო დაყრდნობილი, ტყის ამფითეატრის შთაბეჭდილებას ქმნიდა. სახლი ჩრდილში იდგა. ხეების ტევრით გადაბურული ეს ადგილი, ჩანდა, გულდასმით შეერჩია პატრონს საცხოვრებლად. მისი შემჩნევა მხოლოდ მდინარის ნაპირიდან შეიძლებოდა და ისიც მაშინ, თუ სახლს გაუსწორდებოდით.

სახლი ქოხზე ან კარავზე დიდი არ იქნებოდა. მხედველობაში თუ არ მივიღებთ მაღლა დატანებულ ბუხრის მილს, მას ერთადერთი

ჭრილი ჰქონდა — ეს იყო კარი, რომლის ჩარჩოზე ცხენის ტყავი გაეკრათ და ცხენის ტყავისვე ანჯამებით დაეკიდებინათ.

სახლს უკან იდგა იუკას ფოთლებით გადახურული ღია ფარდული, რომელსაც ექვსი ბოძი ჰქონდა საყრდენად, გარშემო კი, მახლობლად მდგარ ხეებზე, ლატნებით მიმაგრებული მესერი ერტყა. აქ მიწა დათხრილი, გაქედილი და ალაგ-ალაგ დატკეპნილი იყო ცხენის ფლოქვებით. ეს ადგილი ველური ცხენების — მუსტანგების — საჩხეს წარმოადგენდა.

საჩხეში, მართლაც, თორმეტიოდე ცხენი იყო დამწყვდეული. მათი თვალის გუგების ბრიალი და შმაგი მოძრაობა ამტკიცებდა, რომ ამ ცხოველებისათვის ახლახან წაერთმიათ თავისუფლება. ისიც ნათლად ჩანდა, თუ რა ძნელად ასატანი იყო მათთვის ამ ჩრდილით დაბურულ საჩხეში ტყვეობა.

სახლი შიგნით სუფთა და მყუდრო იყო. მუსტანგების ძვირფასბეწვიანი ტყავები ოთახის გასალამაზებლად ჩამოეკიდებინა პატრონს. აქ ნახავდით შესანიშნავ ტყავებს: შავს, წაბლისფერს, თოვლივით თეთრს. ფერები ისე იყო შეხამებული, რომ აშკარად იგრძნობოდა მათი შემრჩევის დახვეწილი გემოვნება. ოთახში ძალზე უბრალო ავეჯი იდგა. საწოლი ცხენის ტყავისაგან იყო დამზადებული. შედარებით მცირე ზომის, მაგრამ ასეთივე ნახელავი გახლდათ ის წყვილი სკამი, ოთახში რომ იდგა. მაგიდა იუკას ხისაგან გამოეჩორკნათ. ოთახის კუთხეში კიდევ ჩანდა იმ საწოლის მსგავსი რაღაც.

ასეთ ქოხში უეჭველად მოულოდნელი იყო წიგნების თარო და ზედ ორი ათეული წიგნი, მაგიდაზე დაწყობილი კალმისტარი, სამელნე, ბარათები და გაზეთები.

აქ ცივილიზაციის სხვა ბევრი დამამტკიცებელი საბუთიც მოიძებნებოდა: ტყავის დიდი ჩემოდანი, „ვესტლემი რიჩარდის“ მარკის ორლულიანი სანადირო თოფი, წყლის სასმელი ვერცხლის ფინჯანი, მონადირის რქის საყვირი და სასტენი.

იატაკზე ერთ კუთხეში ელაგა უმთავრესად თუნუქისაგან დამზადებული სამზარეულოს ნივთები, მეორე კუთხეში შემოწნული ბოთლი იდგა. ჩანდა, იმ ჭურჭელში უფრო მაგარი სასმელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ალამოს ანკარა წყალი. დანარჩენი ნივთებიც ნამდვილად შეეფერებოდა ამ ადგილს: მაღალი, წაწვეტებული მექსიკური უნაგირი, აღვირი, რომლის ბოლოც ცხენის ძუისაგან იყო დაწნული.

ასეთი იყო მუსტანგერის საცხოვრებელი შიგნით და გარეთ. ამ ანსამბლს მხოლოდ მისი ორი მკვიდრი აკლდა. ოთახის შუაგულში მდგარ სკამზე იჯდა ადამიანი, რომელიც არაფრით ჰგავდა მუსტანგერს. ისეთი მორჩილი შესახედაობა ჰქონდა, რომ ვინმე ოთახში შესულს უყვებნოდ შეეძლო ეთქვა, მსახურიყო.

მას კარგად ეცვა და არც ჭამა-სმის ნაკლებობა ეტყობოდა. ზორბა, ჩასუქებული, წითურთმიანი და ლოყებღაუღაჟა მამაკაცი იყო. ტანზე უხეში ქსოვილის კოსტიუმი ეცვა, შარვალი და პაჭიჭები ბამბანარევი ხავერდისა იყო, საკუთრივ ხავერდისა კი დიდჯიბეებიანი სანადირო კოსტიუმი ეცვა, ოდესღაც ბოთლისფერი მწვანე, რომელიც ახლა გახუნებულიყო და ყავისფერი დასდებოდა. ფართოფარფლებიანი ქუდი თვალეებზე ჰქონდა ჩამოფხატული. მისი მიტკლის პერანგით, კისერზე შემოხვეულ ბამბის წითელი ცხვირსახოციტა და ირლანდიური ფეხსაცმლებით მთავრდებოდა.

ჩაცმულობაც რომ არა, ადვილად გამოიცნობდით, რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა. ამ მამაკაცის ტუჩები, ცხვირი, თვალები, მთელი მისი გარეგნობა შეუცდომლად მიგახვედრებდათ, რომ ირლანდიელთან გქონდათ საქმე. და თუ ვინმეს ამაში მაინც შეეპარებოდა ეჭვი, საკმარისი იყო, პირი გაეღო, რომ წამსვე გაგახსენდებოდათ, — ასეთი გამოთქმები გოლუეის საგრაფოში გამიგონიაო. რაკი თვითონ ერთადერთი ადამიანი იყო ამჟამად სახლში, შეიძლება გეფიქრათ, თავის თავს ელაპარაკებაო. მაგრამ ეს ასე არ იყო. ცეცხლის პირას ცხენის ტყავზე იწვა უზარმაზარი ირლანდიური ქოფაკი,

რომელსაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ესმოდა, რასაც ელაპარაკებოდნენ. ქოხში მყოფი ადამიანი სწორედ მას ელაპარაკებოდა.

— ოჰ, ტარა, ჩემო ძვირფასო! — წამოიძახა გამოწყობილმა მამაკაცმა, — არ გინდა, დავბრუნდეთ ბალიბალაჰში? ღმერთთა მოწამე, კარგია ახლა ძველ ციხე-კოშკში სუფთა ქვებზე სირბილი! მერე როგორ საჭმელს გაჭმევდი. თორემ ცარიელი ძვალი და ტყავილა ხარ. კაცი ყველა ნეკნს დაგითვის. ეჰ, ჩემო კარგო! მე თვითონაც იქით მიმიწევს გული. მაგრამ ვინ იცის, როდის გადაწყვეტს ჩვენი ახალგაზრდა ბატონი სამშობლოში დაბრუნებას და როდის წაგვიყვანს უკან. არა უშავს რა, ტარა! ის მალე დაბრუნდება ახალშენში და დამპირდა, თქვენც თან წაგიყვანთო. ესეც კარგია, ჩემო ბებერო ქოფაკო. ეშმაკმა დალახვროს, სამი თვეა, ფორტში არ ვყოფილვარ. შეიძლება იმ ირლანდიელ ჯარისკაცებში, ამ ბოლო ხანებში რომ გამოგზავნეს, ვინმე ნაცნობი მაინც მენახა. მაშ, დავლიოთ მაინც, ჰა, ტარა!

ძაღლმა თავის სახელის ხსენებაზე თავი ასწია და თითქოს თანხმობის ნიშნად დაიქსუტუნა.

— კარგი კი იქნებოდა ახლა რამდენიმე ყლუპის გადაყლურწვა, — განაგრძო დაწყებული საუბარი ქოხში მყოფმა მამაკაცმა და კუთხეში მიდგმულ შემოწნულ ბოთლს თვალი ხარბად შეავლო, — მომიხდებოდა ყელის გასველება, მაგრამ ბოთლი თითქმის ცარიელია და ახალგაზრდა ბატონი მოისაკლისებს. გარდა ამისა, ვერაფერი დიდი პატიოსნებაა უკითხავად დაღვევა, არა, ტარა?..

ძაღლმა კვლავ ასწია თავი სახელის გაგონებაზე და ისევ დაიქსუტუნა.

— „ჰო“ თქვი არა, ტარა? ახლაც იმასვე იმეორებ, ხომ? ნუ მაქვებ! არა. ვისკის არ შევეხები. მხოლოდ საცობს მოვხსნი და დავყნოსავ. ბატონი ხომ ამას ვერ გაიგებს.

ამ სიტყვების შემდეგ სკამიდან წამოდგა და იმ კუთხისკენ გაემართა, სადაც ბოთლი იდგა. მისი უცოდველი განცხადების მიუხედავად (რომ ბოთლს მხოლოდ უყნოსავდა და მეტი არაფერი), ბოთლისაკენ მაინც ქურდულად მიიპარებოდა. ეტყობოდა, ან თავის პატროსნებაში ეპარებოდა ეჭვი, ანდა ცდუნების წინაშე ნებისყოფის იმედი არა ჰქონდა.

ერთ ხანს ჩუმად იდგა, მერე მზერა კარისაკენ გადაიტანა. აიღო შემოწნული ბოთლი, საცობი ამოაძრო და ბოთლის ყელი ცხვირთან მიიტანა. რამდენიმე ხანს ამ მდგომარეობაში დაყო. ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ძაღლმა წინანდებურად რამდენჯერმე დაიქსუტუნა. ყნოსვამ კაცი მხოლოდ ცოტა ხნით დააკმაყოფილა. ბოთლის ძირი თანდათან მალლა მიიწევდა და თავი პროპორციულად ტუჩებისაკენ ეშვებოდა.

— ეშმაკმა დალახვროს! — წამოიძახა მან და ერთხელ კიდევ გაიხედა ქურდულად კარისაკენ, — ჩემი სისხლი და ხორცი ვერ იტანს, რომ გემო არ გავუსინჯო ასეთ მშვენიერ ვისკის. რაც იქნება, იქნება, მხოლოდ ენის წვერს გავისველებ. შეიძლება, ენაც კი დავიწვა, მაგრამ არა უშავს...

მაგრამ ენის წვერის გასველების მაგიერ, ირლანდიელმა, მგონი, ხორხის დაღბობა და ცოტა უფრო მეტი რამ გადაწყვიტა.

პირის თორმეტიოდე გაწკლაპუნების შემდეგ მან უზენაესი კმაყოფილება გამოხატა, საჩქაროდ დაუცო ბოთლს საცობი, თავის ადგილზე დადგა, თვითონაც ძველ ადგილს დაუბრუნდა და სკამზე მოკალათდა.

— ტარა, შე ძველო ქურდო, შენა! — წარმოთქვა მან, — ეს შენ წამაქებე. მაცდუნე, ხომ?! არა უშავს, ბატონი მაინც ვერ გაიგებს; ეგეც რომ არ იყოს, მალე ფორტში გაემგზავრება და ახალს მოიტანს.

რამდენიმე ხანს ქურდობაცაცა ჩუმად იჯდა; ან თავის ჩადენილ საქციელზე ფიქრობდა, ანდა იმ სიამოვნებით ტკბებოდა, რაც ირლანდიურმა არაყმა მიანიჭა. სიჩუმე ბოლოს ასეთი მონოლოგით დამთავრდა:

— მიკვირს, რად გადაწყვიტა მასტერ მორისმა ასე სასწრაფოდ ახალშენში დაბრუნება? იმ წინწკლებიან მუსტანგს დავიჭერ თუ არა, მაშინვე წავალ. ღმერთო! ან იმ ცხენის დაჭერა რად დაუჟინია? აქ რაღაც უჩვეულო ამბავი უნდა იმალებოდეს, მართო ის რად ღირს, რომ სამჯერ წავიდა წინწკლებიანი მუსტანგის დასაჭერად და ვერა და ვერ გადააცვა კისერზე ქამანდი... თავს მოვიკლავ და, იმ წინწკლებიან მუსტანგს დავიჭერო, ამბობს. იჩქარე კი, ბატონო! განკითხვის დღემდე აქ არ დავრჩეთ. მოიცა! ეს რა არის?

ტარა უეცრად წამოიჭრა, გარეთ გავარდა და ხმამაღლა ყეფა ნელი წკმუტუნით შეცვალა.

— ფელიმ! — გაისმა ხმა გარედან, — ფელიმ?

— ეს კი ბატონია, — წაიბუტბუტა ფელიმმა, სკამიდან წამოხტა და ძაღლს გარეთ გაჰყვა.

6 - წინწკლებიანი მუსტანგი

ფელიმი არ შემცდარა. ეს მისი ბატონის, მორის ჯერალდის ხმა იყო.

როგორც მსახური მოელოდა, ბატონი ცხენზე ამხედრებული დაბრუნდა. მისი სისხლისფერი ცხენი ოფლს გაეშავებინა.

სისხლისფერი ცხენი მართო არ იყო. უნაგირის კეხზე მიმაგრებული ლასოს ბოლოზე მისი ამხანაგი იყო გამობმული, უფრო სწორად რომ ითქვას — ტყვე. ახლად დაჭერილ მუსტანგს ყბებზე მაგრად ჰქონდა შემოჭერილი ტყავის თასმა, რომელსაც კისერზე გადაცმული და ყურებთან გადატარებული მეორე თასმა იჭერდა.

რაც შეეხება ფერს, ეს იყო არაჩვეულებრივად შეფერილი მუსტანგი, რომლის მსგავსს ძაღზე იშვიათად შეხვდება ადამიანი, იქაც

კი, სადაც მუსტანგები ჯოგებად დადიან და ათასნაირი უცნაური ფერი სრულებითაც არაა გასაკვირი.

წაბლისფერი ცხენი აქა-იქ ისე იყო ჩამუქებული, კაცს შავი ეგონებოდა. ამ ფონზე ალაგ-ალაგ თეთრი წინწკლები ეყარა.

ეს მუსტანგი ჩვეულებრივ მუსტანგზე მოზრდილი, მაგრამ ინგლისურ ცხენთან შედარებით ტანმორჩილი ჩანდა; უფრო ტანმორჩილი, ვიდრე მორის ჯერალდის სისხლისფერი მუსტანგი, რომელიც წინწკლებიანის დატყვევებაში დაეხმარა პატრონს.

მუსტანგებზე ნადირობიდან დაბრუნებული პატრონი მსახურს მაშინაც არ უნახავს ისეთი კმაყოფილი და გახარებული, როცა მორისს ექვსიოდე მუსტანგი მოუყვანია ლასოზე გამობმული.

ფელიმს არასოდეს ენახა ასეთი ლამაზი ცხენი.

— ჰო, ჰო, ჰო, — შესძახა ირლანდიელმა მუსტანგის დანახვაზე და თან ქუდი მაღლა აისროლა, — მადლობა წმინდა ვირჯინიას და წმინდა პატრიკს! მასტერ მორისმა, როგორც იქნა, დაიჭირა წინწკლებიანი მუსტანგი. ეშმაკმა დალახვროს, ფაშატია! ოჰ, რა ცხენია! აღარ მიკვირს თქვენი ამდენი წვალების ამბავი. ბოლინოსლოს ბაზარზე რომ გამაყვანინა, რასაც დავაფასებ, მომცემენ. სად დავამწყვდიოთ, საჩხეში, სხვებთან ერთად?

— არა, ვაითუ დაწიხლონ. აქ, ჩრდილში დავაბათ. კასტრო, იმედია, თავაზიანობას გამოიჩენს და ღამეს ხეებს ქვეშ გაატარებს. ფელიმ, გინახავს ოდესმე ასეთი ლამაზი ცხენი?

— არასოდეს, მასტერ მორის, არასოდეს მთელ ჩემს სიცოცხლეში! ისე კი ბალიბალაჰში ბევრი ჯიშიანი ცხენი მინახავს. ისეთი ლამაზია, გადაყლაპავს კაცი! მაგრამ ისეთი გამოხედვა აქვს, იქნებ თვითონ გადაყლაპოს ვინმე. ჯერ არ გავიხედნიათ?

— არა, ფელიმ, ჯერ დრო არა მაქვს და მაგისტრისაც მოვიცლი. ასეთი მშვენიერი ცხენი აჩქარებით არ უნდა წაახდინო. მაგისტრის გახედნას იქ, ახალშენში შევუდგები.

— როდის აპირებთ ახალშენში წასვლას?

— ხვალ. ალიონზე უნდა გავუდგეთ გზას, რომ ფორტამდე ერთ დღეში მივალწით.

— ღმერთო, როგორ მიხარია, რომ იცოდეთ... მაგრამ იქნებ არც კი იცით, რომ ვისკი გვითავდება. ყოველ შემთხვევაში, ბოთლში ძალზე ცოტა დარჩა. მერედა, ეს ვაჭრუკანებიც იტყუებიან, წყალსაც ბლომად ურევენ და აკლებენ კიდევ. ერთი გალონი ინგლისური ვისკი სამჯერ მეტ ხანს გვეყოფოდა, ვიდრე ეს ამერიკული როტქეიტი, როგორც მას თვითონ იანკები ეძახიან.

— აღარ ახსენო ვისკი და მისთვის თავს ნულარც შეიწუხებ! მე მგონი, იმდენი კი დარჩებოდა, რომ ამაღამ გვეყოს და ხვალინდელი მგზავრობისთვისაც მათარები შევივსოთ. აბა, ცოცხლად, მოხუცო ბალიბალაჰ! ჯერ წინწკლებიანი მუსტანგი დავაბინავოთ და შემდეგ ვილაპარაკოთ ვისკის ახალ მარაგზე, — გაიცინა მუსტანგერმა და ცხენიდან ჩამოხტა.

* * *

წინწკლებიანი მუსტანგი კასტროს სადგომ ადგილზე დააბინავეს, ხოლო თვითონ კასტრო ხეზე გამოაბეს და ფელიმმა მას წმენდა დაუწყო.

დაღლილობისაგან გასავათებული მუსტანგერი ცხენის ტყავის საწოლზე წამოწვა. არც ერთი მუსტანგის დევნის დროს არ გაწვალებულა ასე. წინწკლებიანი მუსტანგის ხელში ჩაგდების სურვილის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ ეს საიდუმლოება არც ფელიმმა იცოდა, არც კასტრომ და არც ვინმე სულიერმა, მუსტანგერის გარდა.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღე უნაგირზე გაატარა — უკანასკნელი სამი დღე კი შეუსვენებლივ კვალდაკვალ მისდევდა წინწკლებიან მუსტანგს და დაღლილობისაგან არაქათგამოცლილი იყო, დაძინება ვერ იქნა და ვერ შეძლო. დროდადრო დგებოდა, ოთახში ბოლთას სცემდა, ჩანდა, აფორიაქებული და როგორღაც აღგზნებული უნდა ყოფილიყო.

ეს რამდენიმე ღამეა, უძილობა სტანჯავდა. ახლაც ვერ მოეხერხებინა დაძინება, ხშირად გვერდს იცვლიდა და ისე წრიალებდა, რომ ფელიმს კი არა, ტარასაც კი უკვირდა.

ფელიმს შეიძლებოდა ამის მიზეზად წინწყლებიანი მუსტანგის ხელში ჩაგდებათ გამოწვეული სიხარული მიეჩნია, მაგრამ იცოდა, რომ მორისის მოუსვენრობა უფრო ადრე დაიწყო, სანამ წინწყლებიან მუსტანგს იხილავდა. ფორტიდან უკანასკნელად რომ დაბრუნდა, რამდენიმე დღის შემდეგ იხილა მორის მუსტანგერმა „იეგუა პინტა“ — წინწყლებიანი მუსტანგი. ამიტომაც არ შეიძლებოდა ის ყოფილიყო მისი აფორიაქების მიზეზი. შეიძლება, მიზნის მიღწევამ, დამშვიდების ნაცვლად, საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო და უფრო ააფორიაქაო, ფიქრობდა ფელიმი. დაბოლოს, ისარგებლა რა იმით, რომ ის ბატონის ძიძიშვილი იყო, როცა მუსტანგერმა კვლავ შეიცვალა გვერდი, ჰკითხა:

— ღვთის გულისათვის, მითხარით, რა დაგემართათ?

— არაფერი, ფელიმ, არაფერი! რატომ მეკითხები?

— როგორ არა გკითხოთ, ახალშენიდან უკანასკნელად რომ დაბრუნდით, მას შემდეგ თვალი არ მოგიხუჭავთ. რამ დაგიფრთხოთ ძილი? იქნებ რომელიმე მექსიკელმა გოგომ მოგხიბლათ, აი, „მუჩაჩებს“ რომ ეძახიან? არა, ამას ვერ დავიჯერებ. შეუძლებელია ჯერალდთა ძველი გვარის შთამომავალზე ასეთი ნაყარნუყარი ხალხის შვილმა მოიპოვოს გამარჯვება.

— სისულელეა, ჩემო კარგო! არაფერიც არ მომსვლია. ალბათ მოგეჩვენა.

— შესაძლოა, მომეჩვენა, მაგრამ თქვენც რომ გეჩვენებათ და ძილში რაღაც-რაღაცას წამოიყვირებთ ხოლმე?

— ძილში, ფელიმ? რა გაიგონე?

— ბევრი არაფერი, რაღაც ისეთი გრძელი სახელი და გვარია, რომ ინდიელებისა არ უნდა იყოს. მგონი ასე იწყება, პონი...

— სახელი! ფელიმ, სახელი!

— ღმერთო! სწორად არ მახსოვს, რაღაც ისე გრძელა, რომ ჩემისთანა უცოდინარი კაცი, აბა, რას დაიმახსოვრებს. ისეთი სახელია, რომ ქვეყნის სახელსა ჰგავს, მგონი, ლუაბე უნდა იწყებოდეს და მერე პოინტ.

— ოჰ, — შეაწყვეტინა ირლანდიელმა, — მგონი, რაღაც დამესიზმრა და ალბათ სხვა სახელებსაც ვიტყვოდი.

— მართალია, მასტერ, სიზმარში ვიღაც ლამამ ქალს ახსენებდით, ეტლის ფარდები ჩამოშვებულია და ის მანც იცქირებაო. მერე ვითომ რაღაც საშიშროება მოხდა და თქვენ გადაარჩინეთ...

— მიკვირს, ეს რა სისულელეები მომსვლია თავში ღამით...

— მეც მიკვირს, — გამომცდელად შეხედა ფელიმმა ბატონს, — ანდა როგორ შეიძლება, თქვენ იანკების ქალებმა მოგხიბლოთ. ეს ხომ უბედურება იქნებოდა. რას იტყვის ის ქერათმიანი და ცისფერთვალება ქალიშვილი, ბალიბალაჰიდან ოცი მილის მოშორებით რომ ცხოვრობს.

— მგონი, რაღაც გონებაზე ვერა ხარ კარგად, ფელიმ.

— ეგ არაფერი, სხვაც ვერ არის კარგად გონებაზე.

— ვინ, ფელიმ? იმედი მაქვს, ეგ მე არ მეხება.

— თქვენ? არასოდეს! მაგრამ რა აზრი აქვს თქვენს აქ ყოფნას, თუ სიცოცხლის საუკეთესო დღეებს უქმად გაატარებთ? ანდა, რა უნდა გააკეთოთ აქ, ცხენების დაჭერის გარდა? რაში გჭირდებათ ყოველივე ეს? თქვენს მოხუც მამიდას ბალაჰის ციხე-კოშკში დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენია. ვინ უნდა მოუაროს ქონებასა და ოჯახს?

— შენ ნამდვილად ვექილად ხარ დაბადებული, ფელიმ, — გაიცინა მორისმა, — აფსუს, რა დიდებული იურისტი იქნებოდი! ერთი აქ მოდი, მგონი, დაგავიწყდა, რომ დილას აქეთ არაფერი მიჭამია. რა გაქვს საკუჭნაოში?

— ბევრი არაფერი. ეს სამი დღე, რაც თქვენ წინწკლებიან მუსტანგს დასდევდით, ხომ არაფერი შეგვემატებოდა. ცოტა ირმის ხორცი და მჭადი გვაქვს, თუ გინდათ, ხორცს გავაცხელებ.

— კარგი, დავიცდი.

— მე მგონი, უფრო კარგად დაიცდით, ცოტა ყელს თუ გაისველებთ.

— მართალია, აბა, მომიტანე.

— ისე, სუფთა მოგიტანოთ, თუ წყალთან ერთად? თუმცა მაგას რაღა წყლის დამატება უნდა.

— ერთი ჭიქა გროგი მხოლოდ. ახალი წყალი მოიტანე ნაკადულიდან.

ფელიმმა აიღო ვერცხლის ფინჯანი და ის-ის იყო, ნაბიჯი კარისკენ უნდა გადაედგა, რომ ტარა ყფით წამოხტა და გარეთ გავარდა. ფელიმი ცოტა შეშინებული წავიდა კარისაკენ.

ძაღლის ყეფა მალე მხიარული წკმუტუნით შეიცვალა, ეტყობოდა, სტუმარი ნაცნობი იყო.

— მოხუცი ზებ სტუმპია, — თქვა ფელიმმა, რომელმაც ჯერ მალვით გაიხედა გარეთ და შემდეგ გულადად გავიდა.

აღამიანი, რომელმაც ასე თავისუფლად შემოაბიჯა მუსტანგერის ქოხში, ისევე განსხვავდებოდა მათგან, როგორც თვით ქოხში მცხოვრებნი ერთმანეთისაგან.

იგი ექვსი ფუტის სიმაღლისა იქნებოდა. ნიანგის ტყავის მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, რომელშიც შინ ნაქსოვი შალის განიერი შარვლის ტოტები ჰქონდა ჩატანებული. ირმის ტყავისაგან შეკერილი ხალათი პერანგის მოვალეობასაც ასრულებდა, ზემოდან კი გადაეცვა ოდესღაც მწვანე ფერის პიჯაკი. თავზე ფართლებჩამოშვებული, დაჭმუჭნილი ნაცრისფერი გაცვეთილი ქუდი ეხურა.

ახალმოსული ისე იყო აღჭურვილი, როგორც უღრანი ტყეების მონადირეს შეეფერება. ვაზნების ჩანთა და დიდი, ნამგალივით მოღუნული საპირისწამლე მარჯვენა მხარზე ღვედით ჰქონდა ჩამოკიდებული. პიჯაკზე ფართო ტყავის ქამარი შემოერთყა და ზედ ტყავისავე ქარქაში ეკიდა, საიდანაც ირმის რქისტარა გრძელი სანადირო დანა გამოჩრილიყო. ის ტეხასის სხვა მონადირეებივით ეფექტის

მოსახდენად არასოდეს იცვამდა მოკასინებსა და პაჭიჭებს, არც ირმის ტყავისაგან შეკერილ არშიამოვლებულ ლაბადას ატარებდა. ყველაფერი უბრალო ჰქონდა, თითქმის ტლანქი ცი. ასეთ ტანსაცმელში გამოწყობილი და შეიარაღებული კაცი ორმოცდაათიოდე წლისა იქნებოდა. სახის ფერი მოშავო ჰქონდა, ხოლო მისი ნაკვეთები, ერთი შეხედვით, კაცს მკაცრად და უშურად მოეჩვენებოდა. მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებოდით, მისი ნაცრისფერი წვრილი, მოციმციმე თვალები გაგრძნობინებდნენ, რომ მათმა პატრონმა კარგი ხუმრობის ფასიც იცოდა და თვითონაც არ აკლდა იუმორის გრძობა.

„დაბადებით და აღზრდით კენტუკიდან ვარ“, — უპასუხებდა იგი, როცა სადაურობას ჰკითხავდნენ. ახალგაზრდობის ადრეული წლები ნადირობაში გაეტარებინა ქვემო მისისიპის უსიერ ტყეში. და ახლაც ეს ჭარმაგი კაცი ტეხასის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში განაგრძობდა თავის საყვარელ საქმიანობას.

ტარას მხიარული ცქმუტვა ნათლად ადასტურებდა ახალმოსულისა და ძაღლის პატრონის კარგ ურთიერთობას.

— საღამო მშვიდობისა! — მოკლედ მოჭრა ზებმა, როცა მისი მაღალი ტანი ქოხის კარში შემოიძარბა.

— საღამო მშვიდობისა, მისტერ სტუმპ, — შესაგებებლად წამოდგა სახლის პატრონი, — შემობრძანდით და დაბრძანდით!

ზებს ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია; მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადადგა და ოთახის შუაგულში აღმოჩნდა. მერე ტლანქად შემობრუნდა და იმ სკამზე ჩამოჯდა, სადაც ცოტა ხნის წინათ ფელიმი იჯდა. სკამის სიდაბლის გამო მუხლები ნიკაპამდე უწევდა, ხოლო თოფი მწვერვალისფერად დასდგომოდა თავზე.

— ეს რა სკამია, დასწყევლოს ღმერთმა! — ბუტბუტებდა უხერხულად მჯდარი ზები, — რა სჯობია მორბე ჩამოჯდომას, იცი მაინც, რომ არ ჩაჯიტიყდება.

— აქ დაბრძანდით, — უთხრა მუსტანგერმა, — და კუთხეში დადგმულ ტყავის ჩემოდანზე მიუთითა, — ეს უფრო მყარი დასაჯდომია.

მოხუცმა ბებმა მიიღო რჩევა, თავისი უზარმაზარი მოღუნული სხეული გაშალა და ჩემოდანზე გადაინაცვლა.

— ჩვეულებისამებრ ქვეითად ბრძანდებით, მისტერ სტუმპ?

— არა, ჩემი ბებერი ცხენი თან მახლავს, ხეზე გამოვაბი. სანადიროდ არც ვყოფილვარ.

— თუ არ ვცდები, მუდამ ქვეითად ნადირობთ.

— მე ხომ ახალბედა არა ვარ, ცხენზე შემჯდარმა ვინადირო. ვინც ასე ნადირობს, სულელია და მეტი არაფერი.

— მაგრამ ტეხასში ხომ საყოველთაოდ ასეა მიღებული.

— საყოველთაოდ მიღებულია თუ არა, ეს მე არ მეკითხება. ჩემი აზრით, ეს სულელური მოდაა, ბარმაცი ყეყეჩების მოდა! ქვეითად ერთ დღეში უფრო მეტ ნადირს დაეხოცავ, ვიდრე ცხენზე მჯდომი — ერთი კვირის განმავლობაში. მე ვიცი, თქვენთვის ცხენი აუცილებელია, რადგან სულ სხვა რამეზე ნადირობთ, მაგრამ როცა დათვზე, ირემზე ან ინდაურზე ცხენით ნადირობ, უნდა გახსოვდეს, ერთ მიღზე ესმით ხმაური. ჩემი ცხენი იმიტომ მყავს, რომ ნანადირევი ავკიდო.

— სწორედ მაგ მიზნით გეახელით. მაგრამ ჩემს ცხენზე ნუ შეწუხდებით. საიმედოდ დავაბი. მოგვიანებით კი საძოვარზე გავუშვებ.

— საჭმელზე არ დამეწვევით? ფელიმი სწორედ ვახშმის სამზადისშია. ძალიან ვწუხვარ, რომ ირმის ხორცის მეტი არაფერი შემიძლია შემოგთავაზოთ.

— ირმის ხორცს რა შეედრება. მე შენ გეტყვი, დათვის ხორცი აჯობებს. მაგრამ ნანადირევი ნაკვერჩხალზე შემწვარი მიყვარს. შეწვაში მეც შემიძლია ფელიმს დავეხმარო. მისტერ ფელიმ, თუ არ დაიბარებთ, ჩემი ცხენის უნაგირზე ნანადირევი ინდაურია ჩამოკიდებული. აქეთ რომ მოვდიოდი, მაშინ მოვკალი.

— სწორედ იშვიათი ბედი გვექონია! საჭმელი ამ ბოლო ხანს შემოგვაკლდა. ეს სამი დღეა, ერთ უცნაურ მუსტანგს დავდევი და თოფი თან არ წამიღია. ფელიმი, მე და ტარა შიმშილის პირას ვართ მისული.

მუსტანგერის ეს ბოლო შენიშვნა ზებ სტუმპმა უყურადღებოდ დატოვა და ისეთი ხმით იკითხა, „რომელი მუსტანგიო“, რომ ცხადი გახდა, ამ ამბით დიდად იყო დაინტერესებული.

— ფაშატი, თეთრწინწკლებიანი მუქი წაბლისფერი ფაშატი.

— ეშმაკმა დასწყევლოს! მეც ხომ ამ საქმეზე მოვედი.

— მართლა?

— მე ვნახე ის მუსტანგი, ფაშატიო, თქვენ ამბობთ? ამაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ერთხელაც არ მიმიშვა ნახევარ მილზე ახლოს. ისე კი, რამდენჯერმე მოგვკარი თვალი ტრამალზე. მე მინდა, ის თქვენ დაიჭიროთ, თუ რატომ, ახლავე გეტყვით. მას შემდეგ, რაც ერთმანეთს უკანასკნელად შევხვდით, ლეონის ახალშენში ვიყავი. იქ ჩამოვიდა ერთი კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ მისისიპიდან ვიცნობ. მდიდარი პლანტატორია; სულ ლხინსა და ნადიმებს მართავდა. მასთან ინდაურის და ირმის ხორცი მიმქონდა ხოლმე. გვარად პოინდექსტერია.

— პოინდექსტერი?

— დიახ, სწორედ ეგ გახლავთ. მის სახელს მისისიპის ნაპირებზე ყველა კარგად იცნობს — ორლეანიდან დაწყებული სანტ-ლუიმდე. დიდი ქონების პატრონი იყო. არც ახლა უნდა იყოს ღარიბი. ასამდე მონა ზანგი ჩამოუყვანია თან. გარდა ამისა, თავისი დისშვილი ახლავს. მისი გვარი კოლჰაუნია. მასაც ბევრი ფული აქვს და არც იცის, რა უყოს. ბიძას აძლევს, მაგრამ ისეთი ყმაწვილია, არა მგონია, უანგაროდ აკეთებდეს ამას. ახლა გეტყვი, რად მინდოდა თქვენი ნახვა. მაგ პლანტატორს ქალიშვილი ჰყავს, ცხენოსნობის დიდი მოტრფიალე. ლუიზიანაში ყველაზე უკარება და გადარეულ ცხენებზე ჯდებოდა. ჰოდა, იმ ქალმა მოისმინა წინწკლებიანი მუსტანგის ამბავი და

მოსვენება აღარ მისცა მამამისს, სანამ პირობა არ ჩამოართვა, იმ მუსტანგისათვის ფასს არ დავიშურებო. ისიც კი თქვა, იმ მუსტანგში ორას დოლარს მივცემო. რა თქმა უნდა, როცა მუსტანგერები ამას გაიგებენ, ყველა მონიდომებს ამ ცხენის ხელში ჩაგდებას. და აი, არავისთვის არაფერი მითქვამს, ისე გამოვატენე ცხენი აქეთ. დაიჭირეთ წინწკლებიანი მუსტანგი და ზებ სტუმში თავდებია, რომ ორას დოლარს მიიღებთ.

— გარეთ ხომ არ გამომყვებით, მისტერ სტუმპ? — უთხრა ახალგაზრდა ირლანდიელმა, წამოდგა და კარისაკენ გაემართა.

უეცარი მიპატიუებით გაკვირვებული მონადირე უკან გაჰყვა.

მასპინძელი წინ გაუძღვა სტუმარს. ფარდულთან რომ მივიდნენ, მორისმა ხელი ფარდულისაკენ გაიშვირა და ჰკითხა:

— ხომ არა ჰგავს ეს მუსტანგი იმას, რომელზეც ლაპარაკობდით?

— რაც გინდათ მიყავით, თუ ის არ იყოს! დაგიჭერიათ და ეს არის! ჩათვალეთ, ორასი დოლარი ჯიბეში გიდევთ. ეშმაკმა წამიღოს, თუ ეს მუსტანგი მაგ თანხად არ ღირდეს. ო, რა მშვენიერი ცხენია. ძალიან კი ესიამოვნება მის პოინდექსტერს. შმაგი და გადარეული კი ჩანს!

7 - შფოთიანი ღამე

ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ ძველი მონადირე კარგ გუნებაზე დააყენა: მისი მოსვლის მიზანი — წინწკლებიანი მუსტანგის დატყვევება და პოინდექსტერისათვის მიგვრა — ნაწილობრივ განხორციელებული იყო. კიდევ უფრო კარგ გუნებაზე დააყენა ისინი სასიამოვნო სითხემ, რომელიც, ფელიმის აზრით, ჭურჭელში ცოტაღა იყო დარჩენილი; მაგრამ ვისკი იმდენი აღმოჩნდა, რომ ინდაურის შეწვამდეც მოასწრეს ყელის გასველება, შემწვარ ინდაურსაც დააყოლეს და ჩიბუხების გაბოლების დროსაც სიამოვნებით გადაკრეს რამდენჯერმე. ლაპარაკი ვახშმის დროს, როგორც ეს ტრამალის

მკვიდრთაგან იყო მოსალოდნელი, ნადირობის ამბებსა და ინდიელებზე ჩამოვარდა. ზებ სტუმპი, ეს ცოცხალი ენციკლოპედია, საუბრის სული და გული გახლდათ. იგი იმგვარად ჰყვებოდა ამბებს, რომ აღელვებული ფელიმი თავს ვერ იკავებდა და გაოცებისაგან ხან რას წამოიძახებდა, ხან რას.

მაგრამ ეს საუბარი შუალამემდე შეწყდა. შესაძლოა, მოსაუბრეთა გადაწყვეტილებას, მოესვენათ, ვისკის დაცარიელებულმა ჭურჭელმა უბიძგა; თუმცა კი ნამდვილი მიზეზი სხვა იყო. დილით მუსტანგერი ახალშენში აპირებდა გამგზავრებას და ყველანი ადრიანად უნდა ამდგარიყვნენ თადარიგის დასაჭერად. მოუშინაურებელი და მოუთვინიერებელი მუსტანგები, გზაში ხიფათის თავიდან აცილების მიზნით, ერთმანეთზე უნდა გადაებათ. ბევრი სხვა წვრილმანიც უნდა მოემზადებინათ მგზავრობისათვის.

მონადირემ თავისი ცხენი გრძელი თოკით დააბა, რომ ღამით ბალახი ეძოვა; ქოხში შემობრუნებულს ხელში გაყვითლებული შალის საბანი ეჭირა, რომელიც ნიადაგ თან დაჰქონდა.

— ჩემს საწოლზე მოისვენეთ, — ზრდილობიანად შესთავაზა მას-პინძელმა, — მე კი იატაკზე, ცხენის ტყავზე დაწვები.

— არა, — უპასუხა სტუმარმა, — არც ერთი თქვენი საწოლი არ გამოადგება ზებ სტუმპს დასაძინებლად. მე პირდაპირ მიწაზე ძილს ვამჯობინებ. იქ რიგიანადაც მძინავს და გადმოვარდნის შიშიც არა მაქვს.

— თუ ასე გინდათ, მაშინ იატაკზე დაწექით, აი, აქ ყველაზე კარგი ადგილია. ტყავსაც გაგიშლით.

— ნუ წუხდებით და დროს ტყუილად ნუ კარგავთ. მე ისეთი ბიჭი ვარ, იატაკზე ვერ მოვისვენებ. ჩემი საწოლი ტრამალის მწვანე ბალახია.

— რაო?! თქვენ გინდათ, გარეთ დაიძინოთ? — გაუკვირდა მუსტანგერს, როცა დაინახა, რომ მისი სტუმარი მხარზე გადაგდებული შალის ძველი საბნით კარისაკენ მიდიოდა.

— სწორედ ეგრება.

— ღამე გაითოშებით, საშინელი სიცივეა.

— არაფერია, სიცხისაგან დახრჩობას სიცივისაგან გათოშვა მირჩევნია.

— ხუმრობთ, მისტერ სტუმპ?

— ჭაბუკო! — დაჟინებით შეაწყვეტინა მონადირემ, — ექვსი წელიწადი იქნება, ზებ სტუმპს ღია ცის ქვეშ სძინავს. ოდესღაც მისისიპის ნაპირზე სახლის მსგავსი რამ ჭადრის ფულუროში მქონდა. მაშინ ჩემი დედაბერი ცოცხალი იყო და იქ მისი გულისათვის ვცხოვრობდი. როცა ის იმქვეყნად წავიდა, ჯერ ლუიზიანაში გადავინაცვლე, მერე კი აქეთ გამოვჩიე. მას შემდეგ ტეხასის ლურჯი ცაა ჩემი ერთადერთი თავშესაფარი.

— თუკი ასე გირჩევნიათ...

— მირჩევნია, — მოკლედ მოუჭრა მონადირემ. ზღურბლს გადააბიჯა და ქოხსა და მდინარეს შუა მობიბინე მოლისაკენ გასწია.

ძველი საბნის გარდა, მონადირეს ექვსი ან შვიდი იარღის სიგრძე ცხენის ძუისაგან დაწნული საბელი — კაბრიესტო ეჭირა ხელში. ამ საბლით, ჩვეულებრივ, ცხენებს აბამენ საძოვარზე, მაგრამ ახლა იგი სხვა მიზნისათვის იყო განკუთვნილი.

მონადირემ მთვარის შუქზე კარგად შეათვალიერა მოლი, მერე მასზე წრისებურად შემოავლო საბელი. წრეში შევიდა, შალის საბანში გაეხვია და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩაეძინა კიდევ. ამას მისი ძლიერი სუნთქვა ადასტურებდა.

მაგრამ ძველ მონადირეს არ დააცალეს მშვიდი ძილით დატკობა. განცვიფრებული ფელიმ ო'ნილი მის ყოველ მოძრაობას უთვალთვალედა.

— წმინდაო მარიამ! — ბუტბუტებდა იგი, — ნეტავ რად უნდა, საბელი რომ შემოივლო?

ირლანდიელის გულში ცნობისმოყვარეობისა და სტუმრისადმი მორიდების გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს; ბოლოს ცნობისმოყვარეობამ სძლია. სწორედ ამ დროს, როცა ზებ სტუმპმა ხვრინვა ამოუშვა, ფელიმი ქურდულად მიეპარა და გამოაღვიძა.

— ეშმაკმა წაგიღოს, შე ირლანდიელო ვირო! — წამოიძახა გამოღვიძებით გაგულისებულმა სტუმპმა, — მე მეგონა, უკვე გათენდა. საბელი რად შემოვავლე საწოლს? ქვეწარმავლებისაგან თავის დასაცავად!

— რომელი ქვეწარმავლებისაგან, მისტერ სტუმპ? გველებისაგან?

— რა თქმა უნდა, გველებისაგან! დაგწყევლოს ეშმაკმა, წახვალ თუ არა დასაძინებლად?

საყვედურის მიუხედავად, ფელიმი მაინც კმაყოფილი დაბრუნდა ქოხში. თუ ტეხასში რისიმე უნდა შინებოდა ადამიანს ინდიელების შემდეგ, ეს გველები იყო. რაც აქ ჩამოვიდა, ფელიმს ერთი ღამე არ სძინებია მშვიდად. ნიადაგ გველებზე მოფიქრალს, ხანდახან ძილშიც ელანდებოდა ისინი. რა ცუდია, რომ წმინდა პატრიკმა იმქვეყნად გადასახლებამდე აქაურობაც არ მონახულა და არ მოსპო გველებიო, ფიქრობდი იგი. ფელიმი ამ განცალკევებულ ქოხში მართოდმართო ცხოვრობდა და კაბრიესტოს ამ თვისებებისა არაფერი გაეგებოდა. ახლა, როცა ცხენის ძუისაგან დაწნული საბელის საიდუმლოება შეიტყო, აღარ დაუყოვნებია, რომ გამოეყენებინა იგი. შემობრუნდა თუ არა, ქურდულად შეიპარა ქოხში, რომ ახლახან ჩაძინებული ბატონი არ გაეღვიძებინა, კაბრიესტო მოძებნა, გარეთ გამოვიდა და საბელი ქოხის კედლების ირგვლივ შემოატარა. ქვეწარმავლებისაგან თავდასაცავი სანგარი ქოხს რომ შემოავლო, შიგნით შევიდა, თან თავისთვის ბუტბუტებდა: „ღმერთო! რამდენი გველიც არ უნდა ბოგინებდეს ტეხასში, ფელიმ ო'ნილი ამაღამ მაინც მშვიდად დაიძინებს“.

ამ მონოლოგის შემდეგ მუსტანგერის ქოხში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. წმინდა პატრიკის თანამემამულე, რომელიც კაბრიესტოს მაგიურმა ძალამ უშიშარ ადამიანად აქცია, ცხენის ტყავზე მიწვა და იმწამსვე ჩაიძინა. ყველა, თვით ტარა და ტყვე მუსტანგიც კი განცხრომას მისცემოდნენ. ამ მყუდროებას არღვევდა მხოლოდ ზებ სტუმპის ცხენი, რომელიც გემრიელად ახრამუნებდა ნოყიერ ბაღასს.

მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ მოხუცი მონადირეც ფხიბლობდა, ნაცვლად იმისა, რომ მშვიდად წოლილიყო, ადგილზე წრი-ალებდა და ხშირად გვერდს ინაცვლებდა, თითქოს რაღაც ამადელვებელ ფიქრებს დაეთრთხოთ მისთვის ძილი. ერთი ათჯერ მაინც რომ იცვალა გვერდი, წამოჯდა და ირგვლივ მიმოიხედა.

— ეშმაკმა დასწყევლოს ამ უმეცარი ირლანდიელის თავი! — გამოსცრა კბილებში მონადირემ, — ძილი დამიფრთხო. კარგი იქნება, გამოიყვანოს კაცმა და მდინარეში ჩააყოფინოს თავი. მაშინ ისწავლიდა ჭკუას. ახი კი იქნებოდა, მაგრამ იმ მეორე ირლანდიელისა მერიდება. ის სულ სხვა კაცია. ახლა ალბათ დიღამდე აღარ დამეძინება, — წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, ტანზე საბანი შემოიხვია და გულაღმა დაწვა. დაძინება მაინც ვერ შეძლო. ბოლოს წამოჯდა და თავისთავს დაუწყო ლაპარაკი. ისევ ფელიმზე ჯავრობდა.

სტუმპი ყოყმანობდა, სისრულეში მოეყვანა თუ არა თავისი განზრახვა ფელიმის მიმართ, მაგრამ უცებ ისეთი რამ შენიშნა, რომ ფიქრები სხვა რამეზე გადაიტანა. ოცი ფუტის დაშორებით, ბაღასში, რაღაც გრძელი და ვიწრო სხეული მოძრაობდა. გაკლაკნილ მოყვანილობასა და მბზინავ კანზე, რომელიც მთვარის შუქზე ვერცხლისფრად ელავდა, ადვილად იცნობდით მას.

— გველი! — ჩურჩულით წარმოთქვა სტუმპმა, როცა თვალი ქვეწარმავალზე შეაჩერა, — საოცარია, ღამით, ისიც ამ დროს, რა სახის გველი უნდა იყოს? ჩხრიალას არა ჰგავს, რადგან ეს მასზე გაცილებით დიდი ჩანს. თუმცა აქაური ჩხრიალა გველები დიდებიც არიან.

მაგრამ ფერი რომ ჩხრიალას არ უგავს!. აა... გიცანი, შე წყეულო! ეს ჩიკენია, კვერცხებს ეძებს და პირდაპირ ჩემკენ კი მოიწევს.

მონადირის ხმაში შიში სრულიადაც არ იგრძნობოდა: მან იცოდა, რომ გველი კაბრიესტოს ვერ გადმოლახავდა. შეეხებოდა თუ არა ცხენის ძუის საბელს, როგორც ცეცხლისაგან, უკუიქცეოდა. ასეთი მაგიური წრით თავდაცულს შეეძლო არხეინად ყოფილიყო, თუნდაც ტრამალის მცურავთაგან ეს გველი ყველაზე შხამიანი გამომდგარიყო. მაგრამ იგი სრულებითაც არ იყო შხამიანი. პირიქით, ჩიკენებს შორისაც კი გამოირჩევიან ასეთი ჯიშის გველები თავისი უწყინარობით, თუმცა ჩრდილოეთ ამერიკის გველებს შორის ისინი თითქმის ყველაზე მოზრდილნი არიან.

მონადირის სახეზე მხოლოდ ცნობისმოყვარეობა ისახებოდა. მისთვის საშიში არაფერი იყო. მაშინაც კი არ შეუხრია წარბი, როცა გველი კაბრიესტოსთან მივიდა და თავი მაღლა ასწია, მაგრამ შეეხო საბელს თუ არა, უკანვე გაცურდა. უკუიქცეული გველი ხომ სულ აღარ არის საშიში.

მონადირე ერთ-ორ წუთს გაუნძრევლად შეჰყურებდა, როგორ მიხობავდა მცურავი. ვერ გადაეწყვიტა, გამოდევნებოდა მოსაკლავად, თუ თავი მიენებებინა. ეს რომ ჩხრიალა, მაგართავა ან მაკასინი ყოფილიყო, თვით ედემის ბალშიც კი დაედევნებოდა და ნიანგის ტყავის ჩექმებით თავს გაუსრესდა. მაგრამ უწყინარი ჩიკენი მონადირის გულში ზიზღს არ იწვევდა. თუმცა უეცრად ზებ სტუმპს კარგი აზრი დაებადა, ფეხზე წამოხტა და წელში მოხრილი მცურავს დაედევნა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ დაეწია კიდეც; ზებ სტუმპმა მოულოდნელად კამარა შეკრა და ათივე თითი მცურავის წელს გარშემო შემოაჭდო. თვალის დახამხამებაში გველის გრძელი, მბრწყინავი სხეული მიწას მოსწყდა და მონადირის ხელებში დაიწყო კლაკვნა.

— ახლა კი მიფრთხილდი, მისტერ ფელიმ, — წამოიძახა მან, — თუ ამ მშვიდარა ირლანდიელის გული ისე არ ავაცახცახე, რომ დილამდე

ვერ შეძლოს დაძინება, მაშინ ძერა ინდაურისაგან ველარ გამომირჩევია და ეგ არის. მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა ძილის დაფრთხობა! — სტუმპი ქოხისკენ გაემართა. უხმაუროდ გაიარა ჩაბნელებული ადგილი, გველი თავისი ტორებისაგან გაათავისუფლა და შეუშვა საბლის წრეში, რომელიც ფელიმს დიდის გულმოდგინებით შემოევლო თავისი საწოლისათვის. მერე მოღზე გაშლილ საწოლს მიუბრუნდა, მხრებზე საბანი მოიხურა და ბუტბუტი დაიწყო:

— გველი კაბრიესტოს წრიდან ვერ გამოვა, — ეს უეჭველია; ისიც უდავოა, რომ გამოსაძრომის ძებნაში ყველგან მიცურდება და თუ ნახევარ საათში ამ ბალღივით მხდალ ფელიმს ზედ არ შეახობდა, მაშინ თვით ზებ სტუმპი ყოფილა ბალღი, — მონადირეს ამის გარდა კიდევ რომ ეთქვა რამე, კაცი მაინც ველარაფერს გაიგონებდა: იმავ წამს ისეთი გამაყრუებელი ღრიალი ატყდა, რომ არა მარტო ალამოს ახლომახლო ნაპირებთან, არამედ თვით მისგან რამდენიმე მილით დაშორებულ ადგილებშიც კი ყველა სულიერი გაიღვიძებდა.

ეს იყო თავზარდაცემული ადამიანის ხმა, ან, უფრო სწორად, ისეთი ღრიალი, რომელიც მხოლოდ ფელიმ ო'ნილის ყელს შეეძლო ამოეშვა. მისი ხმა მალე ჩაინთქა ყეფას, ფრუტუნსა და ხვიხვინში, რაც რამდენიმე წუთს გრძელდებოდა.

— რა მოხდა? — საწოლიდან წამოხტა მუსტანგერი და შეშინებული მსახურისაკენ გაიკვლია გზა, — რა ეშმაკი დაგემართა, ფელიმ? ხომ არაფერი მოგეჩვენა?

— ოჰ, მასტერ! ღვთის გულისათვის! უარესი რაღა უნდა დამემართოს, გველმა მომიღო ბოლო. მთელი სხეული დამიკბინა. შემიბრაღე, წმინდაო პატრიკ, უბედური და დაღუპული ცოდვილი. ნამდვილად მოგკვდები!

— გიკბინა? აბა სად? — ჰკითხა მორისმა, რომელმაც საჩქაროდ აანთო სანთელი და ქოხში შემოსული მონადირის დახმარებით ნაკბენი ადგილის ძებნა დაიწყო.

— ნაკბენი არა გაქვს, — უთხრა მუსტანგერმა, როცა ფელიმი დიდი ყურადღებით გადააბრუნ-გადმოაბრუნა.

— ნაკაწრიც კი არა აქვს, — მოკლედ მოუჭრა სტუმპმა.

— მაგრამ ის ჩემს ტანზე დახობავდა. ახლაც კი ვგრძნობ, მოწყალეებასავით ცივი იყო.

— ან კი ნამდვილად იყო აქ გველი? — დაეჭვებით იკითხა მორისმა, — შენ უთუოდ დაგესიზმრა, ფელიმ, მეტი არაფერი.

— რის სიზმარი, მისტერ მორის! ნამდვილი გველი იყო. ღმერთო, შენ ხომ იცი, რომ მართალს ვამბობ!

— შეიძლება მართლაც იყო გველი, — თქვა მონადირემ, — აბა ვნახოთ, იქნებ ვიპოვოთ კიდეც. საკვირველი კია, ქოხს გარშემო კაბრიესტო აქვს შემოვლებული. საიდან უნდა შემომძვრალიყო? აგერ! — განაგრძო მან და კუთხისკენ გაიშვირა ხელი, სადაც მცურავი რგოლებად დახვეულიყო, — ეს ხომ ჩიკენია! — წამოიძახა მან, — მტრედზე უწყინარი ჩიკენი. ეს რას გიკბენდა, მისტერ ფელიმ, მაგრამ მაინც ვასწავლი, როგორ უნდა კბენა.

ეს რომ თქვა, გველს ხელები ჩასჭიდა; მაღლა ასწია, მთელი ძალით იატაკზე დაანარცხა და ჩექმის ქუსლით თავი გაუსრისა.

— გათავდა, მისტერ ფელიმ! — უთხრა სტუმპმა, — შეგიძლია წახვიდე და დილამდე მშვიდად დაიძინო, — ამ სიტყვებით მან ფეხი გაჭკრა თავგასრესილ მცურავს, ქოხიდან მხიარულად გამოვიდა და მესამედ გაიშოტა მოღბე.

8 - მცოცავი მორიელი

მუსტანგერის ქოხში ისევ მყუდროება დამკვიდრდა. ძაღლის ყეფაც მიყურდა. მუსტანგები ისევ დაწყნარდნენ და მშვიდად იდგნენ ხეების ჩრდილში.

ქოხში მყუდროებას ცხენის ტყავზე წამოწოლილი ფელიმის მოუსვენარი წრიალიდა არღვევდა, მას კაბრიესტოს მაგიური ძაღლისა უკვე აღარაფერი სჯეროდა.

ზებს მაშინვე ჩაეძინა, როგორც კი კაბრიესტოს წრეში შევიდა და დაწვა. სამაგიეროს მიგებამ ნერვები დაუმშვიდა და მონადირემ განცხრომას მისცა თავი.

მაგრამ ცოტა ხანში კვლავ ატყდა აურზაური, რომლის წამომწყები ისევ ფელიმი იყო.

— მიშველეთ, მოვკვდი! — ყვიროდა ის. ყვირილმა არამართო ქოხში მძინარე მისი ბატონი, არამედ გარეთ, მოღბე მწოლარე ზებ სტუმპიცი წამოახტუნა, — წმინდაო ღვთისმშობელო! უცოდველთა განმკითხავო! მიშველე მე უბედურს! მისხენი და დამიფარე!..

— რისგან დაგიფარო? ვისგან გიხსნა? — ჩაეკითხა ბატონი, რომელიც წინანდებურად სწრაფად წამოდგა და სინათლე აანთო, — რა დაგემართა, შე შეჩვენებულო?

— ისევ გველი, თქვენო მოწყალეებავ! ოჰ, კეთილო სულო! იმაზე შხამიანი გველი, მისტერ სტუმპმა რომ მოკლა. მთელი გულმკერდი დაკბენილი მაქვს. სადაც გადამიარა, ისე მეწვის, თითქოს ბალიბა-ლაჭელ ცხენების მჭედელს გახურებული შანთით დავედალო.

— ეშმაკმა წაგიღოს! — ყვიროდა კარში შემოსული საბანწამოსხმული ზებ სტუმპი, — ეს მეორედ გამაღვიძე, შე ყვეყნო ირლანდიელო. ბოდიშს ვიხდი, მისტერ ჯერალდ, ყვეყნები ყველა ქვეყანაში საკმარისად არიან და მათ შორის ამერიკაშიც, მაგრამ ფელიმის მსგავსს არსად შევხვედრივარ. ეგ ამაღამ არ დაგვაძინებს, თუ მდინარეში არ ჩავახრჩეთ.

— ოჰ! მისტერ სტუმპ, ძვირფასო, ასე ნუ ლაპარაკობ. აქ მეორე გველია. დარწმუნებული ვარ, ისევ ქოხშია. სულ ერთი წუთის წინათ ვიგრძენი, როგორ გადამიარა ტანზე.

— ეგ ნამდვილად სიზმარში ნახე! — უთხრა დარწმუნებული ტონით მონადირემ, მაგრამ გულში დაეჭვდა, — დამიჯერე, ვერც ერთი გველი ცხენის ძუისაგან დაწნულ თოკს ვერ გადალახავს. ის ნამდვილად შიგნით, ქოხში იქნებოდა, როცა სახლს ლასო შემოავლე. არა მგონია, ორნი ერთად დამალულიყვნენ. ახლავე მოვძებნი.

— ოჰ ღმერთო! აი, ნახეთ! — ყვიროდა ფელიმი, პერანგს იხდიდა და შიშველ მკერდს აჩენდა, — აი ნახეთ, კვალი სწორედ ნეკნებზეა! ხომ გითხარით, აქ მეორე გველი იყო! ოჰ, წმინდაო ღვთისმშობელო, რა მომელის? ცეცხლისაგან დამწვარივით მეწვის.

— გველი?! — წამოიძახა სტუმპმა, როცა შეშინებული ირლანდიელისაკენ გადადგა ნაბიჯი და სანთელი მიაშუქა, — მაგრამ არა, ეს გველის კვალი არ უნდა იყოს! ეს უარესი რამ არის!

— გველზე უარესი? — შეჰყვირა ზარდაცემულმა ფელიმმა.

— აბა, რა გითხრა, ეს დამოკიდებულია იმაზე, ვიპოვი თუ არა ბაღასს სასწრაფოდ. თუ ვერ ვიპოვე, მაშინ ველარაფერს გეტყვი.

— ოჰ, მისტერ სტუმპ, ნუ ამბობ, საშიშიაო!

— რა არის? — თვალები ფელიმის მკერდზე დიაგონალივით გადაჭიმულ ხაზზე შეაჩერა მორისმა. ეს ხაზები ისე წითელი ჩანდა, თითქოს გავარვარებული შანთის კვალი ყოფილიყო, — რისგანაა? — უფრო შეწუხდა, როცა შენიშნა მონადირის დაფიქრებული სახე, იგი უცნაურ ნაკვალევს აკვირდებოდა, — ჩემს დღეში არაფერი მინახავს ამისთანა. საშიშია რამე?

— ძალიან საშიშია, მისტერ ჯერალდ, — თქვა სტუმპმა.

მორისი ქოხიდან გაიყვანა და ჩურჩული დაუწყო, რათა ფელიმს არაფერი გაეგონა.

— რა არის? — იკითხა აღელვებულმა მორისმა.

— შხამიანი მორიელის კვალია.

— შხამიან მორიელს უკბენია?

— კბენით არა მგონია, მაგრამ სხეულზე მისი მიკარებაც კი სასიკვდილოა.

— ღმერთო! ნუთუ ასეთი საშიშია?

— დიახ, მისტერ ჯერალდ. არაერთხელ მინახავს ჯანმრთელი, საღსალამათი ადამიანი ასეთივე წითელ ხაზს მოუკლავს. თუ სწრაფად არ უშველეთ, ჯერ ძალიან მაგრად შეახურებს, შემდეგ კი გონს

დააკარგვინებს, თითქოს ცოფიან ძაღლს ეკბინოს. მაგრამ ნუ შევაშინებთ საწყალს, სანამ გავიგებდე, მოიძევება თუ არა აქ ის, რამაც უნდა უშველოს. ერთი ბალახია, უფრო სწორად, მცენარე, ის თუ ვიპოვე, მაშინ აღარაფერი უჭირს. მაგრამ უბედურება ის არის, მთვარე თვალს მიეფარა და ხელის ცეცებით თულა მოვძებნი. მდინარის ციცაბო ნაპირზე იცის ეს მცენარე. თქვენ ქოხში შედით და დაამშვიდეთ, მე წავალ და ბედსა ვცდი. ახლავე აქ გავჩნდები.

მუსტანგერისა და მონადირის საიდუმლო ჩურჩულმა უფრო ააფორიაქა ფელიმი.

როგორც კი მონადირე მცენარის მოსატანად ბნელში გაუჩინარდა, ფელიმი ქოხიდან გამოიჭრა და წინანდელზე უფრო საწყალობელი ხმით აბლავლდა. დიდი ენერჯის დახარჯვა დასჭირდა მუსტანგერს ფელიმის დასამშვიდებლად. აწყნარებდა, არავითარი საშიშროება არ მოგელისო, თუმცა ამაში თვითონაც არ იყო დარწმუნებული.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარში ზებ სტუმპი ისეთი გამომეტყველებით შემოიშართა, რომ დაძაბული ვითარება წამსვე სასიამოვნო განწყობილებამ შესცვალა. მისი კმაყოფილი სახე უსიტყვოდ ხდიდა ნათელს, რომ ეპოვა ის, რის საძებრაც წავიდა. მარჯვენა ხელში რამდენიმე ოვალური მუქმწვანე ფოთოლი ეჭირა, თითოეული თავშემართული, თანაბრად დაყრილი ბასრი ეკლებით იყო დაფარული. მორისმა იგი ორეგანოს ფოთლებად შეიცნო.

— ახლა ნულარ გეშინია, მისტერ ფელიმ! — ანუგეშა კარში შემოსულმა მონადირემ, — საშიში აღარაფერია. ეს ფოთლები შენი სისხლიდან სწრაფად ამოსწოვს სითხეს. ახლა კი გაჩერდი, ნულარ გაჭკივი! მთელი ოცი მილის მანძილზე ძილი დაუფრთხე ყველა სულიერს. თუ ასე იყვირებ, იცოდე, ინდიელები მოვლენ და ეს მრავალფეხაზე უარესი იქნება. მისტერ ჯერალდ, სანამ მე წამალს მოვამზადებდე, შესახვევი მოძებნეთ რამე.

მონადირემ ქარქაშიდან დანა ამოაძრო. პირველად კაქტუსს ეკლები მოაცილა და ფოთლები ერთი დიუმის სისქეზე გაფცქვნა. თითოეული რვა ფენად გაჭრა, მერე მუსტანგერის მიერ მომზადებული სუფთა ქსოვილის ნაჭერზე დააწყო და მოხერხებულად დააფინა ფელიმს დასიცხულ ადგილზე.

კაქტუსის ფოთლებმა სწრაფად იმოქმედა. მცენარის მწარე წვენმა მაშინვე მოსპო შხამი და ფელიმი შიშისაგან განკურნა. დარწმუნებულს, რომ საშიშროებამ გაიარა და მთელი ღამის ღელვისგან განაწამებს, მაგრად ჩაეძინა.

მორიელის ამოა ძებნის შემდეგ, რომელსაც მექსიკაში ალაკრანს ეძახიან და გველის მსგავსად კაბრიესტოს გადალახვისა არ ეშინია, იმპროვიზატორმა-ექიმმა ჩუმად დატოვა ქოხი, დასაძინებლად კვლავ მოლს მიაშურა და დილამდე არც გამოუღვიძია.

* * *

გარიჟრაჟზე სამივენი ფეხზე იყვნენ. ფელიმს ყოველივე დავიწყებოდა. შემწვარი ინდაურის ნარჩენებით ისაუბმეს და მაშინვე გამგზავრებისათვის თადარიგს შეუდგნენ.

მუსტანგების ერთმანეთზე გადაბმაში ტეხასელ მონადირეს ბალიბალაჰელი მეჯინიბე შველოდა. მორისი თავის ბედაურსა და წინწკლებიან მუსტანგს დასტრიალებდა თავს, განსაკუთრებული ყურადღებით მაინც თავის ულამაზეს ტყვეს უვლიდა — ფრთხილად და უვარცხნა ფაფარი, მოაცილა ტალახის ლაქები, რაც აშკარად მეტყველებდა, თუ რა ძნელი იყო სამდღიანი რბოლა და მის ამაყ კისერზე ლასოს გადაცმა.

— თავი დაანებეთ! — თქვა ზებმა, რომელიც განცვიფრებული შეჭყურებდა მუსტანგერის მოძრაობას, — მაგას რაღა მოვლა და გალამაზება უნდა, ვუდლი პოინდექსტერი ისეთი კაცი როდია, სიტყვა უკან წაიღოს. ზებ სტუმში არ ვიყო, თუ ორასი დოლარი არ მიიღო.

მორისმა არაფერი უპასუხა, მაგრამ ღიმილი, რომელიც ტუჩებზე დასთამაშებდა, მოწმობდა, რომ კენტუკელი ვერ ჩასწვდომოდა წინწკლებიან მუსტანგზე ასეთი ბრუნვისა და ყურადღების მიზეზს.

საათსაც არ გაუვლია, მუსტანგერი უკვე თავის სისხლისფერ ბედაურზე იჯდა, წინწკლებიანი მუსტანგი კი ლასოთი მოჰყავდა. ერთმანეთზე გადაბმულ მუსტანგებს ფელიმი მოჰყვებოდა.

თავის ცხენზე ამხედრებული ზებ სტუმპი ძლივს მიჩანჩალებდა უკან; ხოლო ტარა, რომელიც ბალახებში ეკლიან ადგილებს ერიდებოდა, დაღლილი მიძუნძულებდა.

9 - სასაზღვრო ფორტი

ფორტი იწვის თავზე ვარსკვლავებით მოჭედილი დროშა ფრიალებდა. ამ ჭეშმარიტად სასაზღვრო პუნქტში, რომელიც მხოლოდ ახალგაზრდა ვერნეტს შეეძლო დაეხატა, ყოველთვის სამხედრო, სამოქალაქო, ველური თუ ცივილიზებული ადამიანები ირეოდნენ. მათი შესახედაობა, ჩაცმა-დახურვა, ხელობა, კანის ფერი, გარეგნობა და საზოგადოებრივი მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო. თვით ფორტიც უჩვეულო სანახავი გახლდათ. ვარსკვლავებით მოჭედილი დროშა ბასტიონებსა და ქონგურებიან კედლებზე როდი ფრიალებდა. არსად მოჩანდა სანგრები, იდუმალი შესასვლელები, საპყრობილე, მიწაყრილი თუ ციხესიმაგრისათვის დამახასიათებელი სხვა რამ.

ორასი ცხენისათვის განკუთვნილ თავლას გარს უხეშად გამოთლილი ალაგორბიას სარებისაგან ნაკეთები მესერი ერთყა. მის გარეთ უმარტივესი არქიტექტურული სტილით ნაგები ათიოდე შენობა იდგა. ეს იყო ჩვეულებრივი, წნულკედლებიანი, თიხით შელესილი ქოხები. ყველაზე დიდ ნაგებობას ყაზარმა წარმოადგენდა; მის უკან ჰოსპიტალი, საინტენდატო სამსახურის საწყობები და ჯარისკაცთა სადგომის უფროსის სამყოფელი იდგა; ერთ მხარეს საპატიმრო იყო,

ხოლო მეორე მხარეს, უფრო გამოსაჩენ ადგილას – ოფიცერთა სასაძილო და საცხოვრებელი. გარეგნულად ყველაფერი სადა გახლდათ. სადგომები მოებათქაშებიანათ კირით, რომელიც ბლომად მოიპოვება ლეონის ნაპირებზე. ყველაფერი ლაზათიანად და სუფთად გამოიყურებოდა.

იქვე ახლოს მიჯრით მიყოლებული სხვა სახლებიც იდგა, მაგრამ არა იმაზე მეტი, რამდენიც ფორტ ინჯში. ეს ნაგებობები დროშის ჩრდილის ფარგლებს გარეთ იყო განლაგებული, მაგრამ მისი მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ეს იყო ჩანასახი დასახლებული პუნქტებისა, რომლებიც, ჩვეულებრივ, ამერიკული სამხედრო ნაწილების გარშემო იყრიდნენ თავს და მალე დაბად ან დიდ ქალაქად გადაიქცეოდნენ ხოლმე. ფორტ ინჯში საჭმელ-სასმელითა და წვრილმანით მოვაჭრენი სახლობდნენ. მათი მარაგი ფორტ ინჯის სამხედრო ნაწილის საინტენდანტო საწყობს როდი ეკუთვნოდა; იქვე ცხოვრობდა სასტუმროს პატრონი, რომლის თეთრი ქვით მოპირკეთებულია ბარი და ხის თაროებზე ჩამწკრივებული მოელვარე ჭურჭელი თავისკენ იზიდავდა უსაქმურ ადამიანებს.

ამ დასახლებას ეკუთვნოდნენ ბანქოს უსაქმური და ჩხუბისთავი მოთამაშენიც, რომელთა მაგიდებზე ფაროსა და მონტეს თამაშს, უმეტეს შემთხვევაში, ოფიცრების ჯიბეების დაცარიელება მოჰყვებოდა ხოლმე.

აქვე იყვნენ ოცამდე საეჭვო ყოფაქცევის შავთვალა სენიორიტა, მონადირეები, მეეტლეები, მუსტანგერები და გაურკვეველი პროფესიის ადამიანები, რომლებიც, როგორც წესი, ყველა ქვეყანაში სამხედრო ნაწილებს დაჰყვებიან კულში.

ლეონა ამ ადგილზე ნაკადულივით პატარაა. იგი სოფელსა და ფორტს უკან ჩამოუდის. წინ გადაჭიმულია მწვანე მცენარეულობით დაფარული დაბლობი, რომელსაც მუქმწვანე არშიასავით აკრავს ტყის ზოლი. ტყეებში ბევრია მუხა, კაკალი და თელა, რომლებიც არსებობისათვის ებრძვიან ეკლებიან კაქტუსსა და ანონას, მხოხავ და

ხვიარა მცენარეებსა და ათასი ჯურის პარაზიტებს, რომელთა სახე-
ლები ბოტანიკოსებმაც კი არ იციან. მდინარის ორივე ნაპირზე სამ-
ხრეთითა და აღმოსავლეთით პლანტატორების სახლები მოჩანს.
მათი უმრავლესობა ახალია და უბრალოდ ნაგები. განსაკუთრებულ
ყურადღებას ერთი მათგანი იქცევს: ეს არის ვეებერთელა ნაგებობა
ბრტყელი სახურავითა და მოჩუქურთმებული მოაჯირით. მისი თეთ-
რი კედლები ტყის მწვანე ფონზე გამოირჩევა. ესაა ჰასიენდა კასა
დელ კორვო.

ამ თვალწარმტაც ტერიტორიებზე ზოგჯერ ამერიკის შეერთებუ-
ლი შტატების ქვეითი ჯარის — დრაგუნთა ღია ლურჯ, ცხენოსანთა
მუქლურჯ და ღია მწვანე ფერის მუნდირებს შენიშნავდით. ფორმაში
გამოწყობილები აქ ძალიან ცოტა იყვნენ, მხოლოდ მორიგე ოფიცე-
რი, გუშაგთა უფროსი და თვითონ გუშაგები დადიოდნენ ფორმით.
მათი თავისუფალი ამხანაგები ყაზარმის ან ფარდულის წინ ტრი-
ალებდნენ. წითელი ფლანელის ხალათები და ჩექმები ეცვათ, თავზე
კი ფარფლებიანი ქუდები ეხურათ. ისინი შერეულიყვნენ იმ ხალხში,
რომელთაც სამხედრო საქმესთან არაფერი კავშირი არა ჰქონდათ:
ირმის ტყავის ფრენჩიანი და ირმის ტყავისავე პაჭიჭებიანი მაღალი
მწყემსები, მექსიკურად ჩაცმული მუსტანგერები, თვითონ მექსიკე-
ლები ფართო შარვლებითა და მხრებზე მოსხმული სერაპეებით,
დიდებებიანი ჩექმებით, პეწიანი, ოდნავ გვერდზე მოგდებული
სომბრეროებით. ისინი ფორტში მეგობრული ვიზიტით, სავაჭროდ
ან მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების დასადებად ჩამოსულ ინ-
დიელებს ელაპარაკებოდნენ. ინდიელების კარვები ახლოს მოჩან-
და. მხრებზე წამოსხმული ჰქონდათ წითელი, მწვანე და ლურჯი შა-
ლის სქელი ქსოვილები, რომლებიც ვერ ფარავდა მათი აღნაგობის,
შეიძლება ითქვას, კლასიკურ სილამაზეს. ამ სილამაზეს ჩრდილს
ვერ აყენებდა ის საზიზღარი სვირინგები, რითაც ისინი კანს იმახინ-
ჯებდნენ და ისედაც გრძელი, ჭუჭყიანი ცხენის ძუით დაგრძელებუ-
ლი თმა. ამ ყველაფერს დაუმატეთ კიდევ ეთიოპიის შავკანიანი

მკვიდრნი, ზოგიერთი ოფიცრისა და პლანტატორის მსახურები; ამას დაუმატეთ ორი, ბორბლებზე შემდგარი ექვსგირვანქიანი ქვემეხი იქვე ახლოს დადგმული ყუმბარის ყუთებით; ერთი ან ორი კარავი ექსცენტრიკული ოფიცრებისათვის, რომლებიც რატომღაც ტილოს ქვეშ ძილს არჩევენ; შაშხანების პირამიდა, რომელიც გუშაგ ჯარის-კაცთა კუთვნილებას შეადგენს. წარმოიდგინეთ ყოველივე ეს და თქვენი გონების თვალწინ გადაიშლება ტეხასის სასაზღვრო ფორტი — ცივილიზაციის უკიდურესი სანაპირო.

* * *

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, რაც პლანტატორი თავის ახალ სამფლობელოში ჩამოვიდა, ფორტი იწვის წინ, მოედანზე, სამი ოფიცერი იდგა და ჰასიენდა კასა დელ კორვოს გასცქეროდა.

სამივენი ახალგაზრდები იყვნენ: მათ შორის ყველაზე უფროსი ოცდაათი წლისაც არ იქნებოდა. მის სამხრეებზე ორი ბოლი ადას-ტურებდა, რომ კაპიტანი იყო. მეორე ოფიცრის სამხრეებს გარდი-გარდმო კვეთდა ხაზი — უფროსი ლეიტენანტის განმასხვავებელი ნიშანი. ხოლო მესამეს, რომელიც მათ შორის ყველაზე უმცროსი ჩანდა, სრულებით უხაზო სამხრეები ჰქონდა — იგი უმცროსი ლეიტენანტი გახლდათ.

ისინი იმჯერად სამსახურიდან თავისუფალნი იყვნენ და კასა დელ კორვოს ახალ მკვიდრებზე, ლუიზიანიდან გადმოსახლებულ პლანტატორსა და მის ოჯახზე საუბრობდნენ.

— ახალმოსახლეობაზე გვეპატიჟება, — თქვა კაპიტანმა, რაც იმას გულისხმობდა, რომ კასა დელ კორვოში ფორტის ყველა ოფიცერი იყო დაპატიჟებული, — ჯერ სადილი, შემდეგ ცეკვები — ეს ძალზე მნიშვნელოვანი დღეა. იქ ახალშენის ყველა არისტოკრატსა და ლამაზმანს ვიხილავთ.

— არისტოკრატებს?! — სიცილით იკითხა დრაგუნთა ლეიტენანტმა, — არისტოკრატები აქ ცოტანი უნდა იყვნენ; რაც შეეხება ლამაზმანებს, მგონი, არც ისინი იქნებიან ბევრნი.

— ცდებით, ჰენკოკ. ლეონის ნაპირებზე ორივე საკმაოდ ბევრია. ამერიკის შტატებიდან აქ არაერთი შესანიშნავი ოჯახი ჩამოსახლდა. პოინდექსტერთან ვნახავთ ყველას, ეჭვიც არ მეპარება. რაც შეეხება არისტოკრატობას, იგი თვით მასპინძელს იმდენი აქვს, მისი აცრა ან დამყნობა რომ შეიძლებოდეს, ყველა სტუმარს ამყოფინებდა; სილამაზის შესახებ კი სანაძღვოს ჩამოვალ, პოინდექსტერის ქალიშვილის მსგავსს საბინას აქეთა ნაპირზე ვერ ნახავთ. ინტენდანტის დის-შვილმა სილამაზეში პირველი ადგილი იმას უნდა დაუთმოს.

— ნუთუ მართლა?! — გაბმით და წყნარად წარმოთქვა მსროლელთა ლეგიონის ლეიტენანტმა, რომელიც, ეტყობოდა, ამ სიტყვებმა გააღიზიანა, — მაშინ მის პოინდექსტერი საოცარი სილამაზის პატრონი უნდა იყოს.

— ისეთია, როგორც გითხარით, თუ მას აქეთ არ შეიცვალა, რაც უკანასკნელად ბარონ ლაფურშთან, მეჯლისზე ვნახე. იქ ახალგაზრდა კრეოლები იყვნენ და საქმე კინალამ ერთმანეთის ხმალში გაწვევამდე მივიდა.

— პრანჭიაა?

— სულაც არა, კროსმენ. პირიქით, დამერწმუნეთ, ძალიან მაღალი სულის პატრონია, მაგრამ მამაკაცთან თავის დაჭერაც კარგად იცის, თუ ეს უკანასკნელი შინაურულად გალაზღანდარებას მოუწოდობებს. მამის ამაყი ხასიათი მოსდგამს. ეს პოინდექსტერთა საგვარეულო ნიშანია.

— სწორედ ისეთი ქალი ყოფილა, მე რომ ვეძებ, — იხუმრა ახალგაზრდა დრაგუნმა, — და მართლაც ისეთი ლამაზი თუა, როგორც თქვენ ამბობთ, კაპიტანო სლოუმენ, მგონი, შემეცვარდება კიდევ. მადლობა ღმერთს, ჩემი გული თავისუფალია, კროსმენივით სხვისი ტყვე არა ვარ.

— მოითმინეთ, მისტერ ჰენკოკ, — უთხრა ქვეითი ჯარის ოფიცერმა, რომელიც საღი გონებით გამოირჩეოდა, — მე არ მიყვარს სანაძ-

ლელს ჩამოსვლა, მაგრამ ახლა მზად ვარ, დიდ თანხაზეც დაგენაძ-
ლელთ, თქვენ ამასვე ვერ იტყვით, ვერც იხუმრებთ, როცა ლუიზა პო-
ინდექსტერს იხილავთ, რა თქმა უნდა, თუ გულახდილი იქნებით.

— დარდი ნუ გაქვთ, სლოუმენ. მომხიბლავ თვალთა იმდენი ცეც-
ხლი გადამიტანია, მათი აღარ მეშინია.

— მაგრამ არა ისეთი მომხიბლავი თვალებისა, როგორიც მას
აქვს.

— ეშმაკმა დალახვროს! ლამის უნახავად შემაყვაროთ ის ქალი.
მართლაც მომხიბლავი და შეუდარებელი უნდა იყოს.

— დიახ, ასეთი იყო, როცა უკანასკნელად ვნახე.

— რამდენი ხანია მას შემდეგ?

— ლაფურშთან ბალის შემდეგ? მოიცადეთ, გავიხსენო! — რვა თვე
იქნება. სწორედ მას შემდეგ, მექსიკიდან რომ დავბრუნდით, საზო-
გადოებაში პირველად მაშინ გამოვიდა. ასე ამბობდნენ: „ცის კამა-
რაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა, დაბადებული ბრწყინვალეებისა
და დიდებისათვის!“

— რვა თვე საკმაო ხანია, — ღრმა ჩაფიქრების შემდეგ შენიშნა
კროსმენმა, — გასათხოვარი ქალისთვის დიდი დროა — განსაკუთ-
რებით კრეოლისათვის, რომელსაც თექვსმეტ წლამდე არ აცლიან
და თორმეტი წლისა შესრულდება თუ არა, მაშინვე ათხოვებენ. მის-
მა სილამაზემ ამ ხნის მანძილზე შეიძლება თავისი პირველი ბრწყინ-
ვალეობა დაკარგა კიდევ.

— არა მჯერა. შემეძლო მენახა და შემემოწმებინა კიდევ, მაგრამ
ვიცი, ისინი ახლა სახლს რთავენ და სტუმრებისათვის არა სცალიათ.
მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინათ მაიორი იყო კასა დელ კორვოში
და იმდენი ილაპარაკა მის პოინდექსტერის სილამაზეზე, კინაღამ
ცოლი წაეჩხუბა!

— სულს გეფიცებით, კაპიტანო სლოუმენ! — წამოიძახა დრაგუნ-
თა ლეიტენანტმა, — თქვენ ისე აღაგზნეთ ჩემი ცნობისმოყვარეობა,

რომ, მგონი, სანახევროდ უკვე შემიყვარდა კიდევ ლუიზა პოინდექსტერი!

— სანამ მთლიანად შეგიყვარდებოდეთ, — უთხრა სლოუმენმა, — ნება მომეცით, სერიოზული რჩევა მოგცეთ; ხომ იცით, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია.

— ამ ეკალში ძმას გულისხმობთ, არა? ჩვეულებრივ, ასე ამბობენ ხოლმე.

— ძმაცა ჰყავს, მაგრამ მე მას არ ვგულისხმობ, ძმა შესანიშნავი ახალგაზრდაა. პოინდექსტერებიდან მხოლოდ ისაა, სიამაყის ჭია გულს რომ არ უღრღნის. ის კი, ვისაც ვგულისხმობ, ქალის ძმასთან სრულ კონტრასტს წარმოადგენს.

— მისი არისტოკრატი მამა? არა მგონია, ჰენკოკებთან დამოყვარება იუკადრისოს!

— ვეჭვობ, რომ იუკადრისებს; ჰენკოკები იანკები არიან, ის კი კეთილშობილი სამხრეთელია! მაგრამ მე არც მოხუც პოინდექსტერს ვგულისხმობ.

— მაშ ვინღაა ის საშინელი მხეცი, ანდა რას წარმოადგენს, მართლა მხეცია თუ კაცი?

— ძნელად ითქმის — კაციანო. ქალის მამიდაშვილია, ბანქოს საეჭვო მოთამაშე — კასიუს კოლჰაუნი.

— მგონი, ეგ სახელი სადღაც გამიგონია.

— ვფიქრობ, მეც გამიგონია, — თქვა ლეიტენანტმა.

— ყველას გაუგონია, ვისაც კი მექსიკის ომში რამე გაუკეთებია, უფრო სწორად, ვისაც სკოტის კამპანიაში მიუღია მონაწილეობა. კოლჰაუნმა იქ ცუდი სახელი მოიხვეჭა. იგი მისისიპის შტატიდანაა და იქაურ მოხალისეთა ლეგიონში იყო კაპიტნად; თუმცა ბანქოს მაგიდასთან უფრო ხშირად ხედავდნენ, ვიდრე ყაზარმებში. ერთი თუ ორი ისეთი საქმეც ჰქონდა, რომ ჩხუბისთავისა და ჭირვეული კაცის

სახელი დაუმკვიდრა. ცუდი სახელი მექსიკის ომამდეც ჰქონია. ახალორლეანელ თავგზებელალებულთა შორისაც კი საშიშ კაცად ითვლებოდა.

— მერე რა? — თქვა ახალგაზრდა დრაგუნმა გამომწვევად, — ვის რაში სჭირდება იცოდეს, კასიუს კოლჰაუნი საშიში კაცია თუ უწყინარი. ჩემთვის სულერთია, აკი ქალის მამიდაშვილიაო?

— მგონი, კოლჰაუნი ლუიზას უნდა ეტრფოდეს.

— როგორ გგონია, ქალიც თანაუგრძნობს?

— ამას ვერ გეტყვით. მხოლოდ ის ვიცი, ან უფრო სწორად, ვეჭვობ, რომ ქალის მამას უნდა მოსწონდეს. ამ მოწონების მიზეზიც მითხრეს საიდუმლოდ. ძველი ისტორიაა — ქონების გირავნობის სიგელის გავლენა. პონდექსტერი ისეთი მდიდარი აღარაა, წინათ რომ იყო. ასე რომ არ იყოს, ამ მხარეში ვერც ვიხილავდით.

— თუ ლედი ისეთი ლამაზი და მიმზიდველია, როგორც თქვენ ამბობთ, ვფიქრობ, კასიუს კოლჰაუნიც მალე ჩამოაკითხავს?

— ჩამოაკითხავს?! მამ, თქვენ არაფერი გცოდნიათ! ის უკვე აქაა. თან ჩამოჰყვა და ბინაც იქ დაიდო. ზოგიერთი იმასაც ამბობს, პლანტაცია ერთად იყიდესო. ამ დილით ვნახე, სასტუმროს ბარში სვამდა და როგორც ყოველთვის, ბაქიობდა და იბლინძებოდა.

— შავგვრემანია, ულვაშა, ოცდაათიოდე წლისა იქნება; სანახევროდ სამხედრო ყაიდაზე შეკერილი ლურჯი მაუდის ფრენჩს იცვამს, წელზე კოლტის სისტემის რევოლვერი ჰკიდია.

— ფრენჩის შიგნით მონადირის დანასაც ატარებს, თუ დააკვირდით, დიახ, სწორედ ის არის.

— ჯანდაბას მისი გარეგნობა! — გაბრაზებით წამოიძახა დრაგუნმა, — ძია სემის არმიის ოფიცრებს არ შეჰფერით გარეგნობის წინაშე შიში, თუნდაც ჩხუბისთავის წინაშე, თუ წამეჩხუბა, ნახავს, ვინ უფრო სწრაფად გამოჰკრავს თითს რევოლვერის სასხლეტს — მე თუ ის.

ამ დროს საყვირმა დილის შეკრება აუწყა მოსაუბრეებს. ეს იყო ცერემონია, რომელსაც პატარა ფორტშიც ისევე მკაცრად იცავდნენ

და რეგულარულად ატარებდნენ, როგორც არმიის კორპუსში. ოფიცრები ერთმანეთს დაშორდნენ და თავიანთ სადგომებს მიაკითხეს, რათა ასეულები დაეწყოთ დათვალიერებისათვის, რომელსაც ფორტის უფროსი მაიორი ატარებდა.

10 - კასა დელ კორვო

ჰასიენდა, ანუ მამული კასა დელ კორვო ლეონის ტყიან ნაპირს ხუთ კილომეტრზე და კიდევ უფრო მეტ მანძილზე მიჰყვებოდა, სამხრეთით კი, ტრამალზე, ორი იმოდენა სიგრძე ჰქონდა. თვითონ სახლს, ჩვეულების მიხედვით, თუმცა უსაფუძვლოდ, ჰასიენდას უწოდებდნენ. იგი ფორტ ინჯიდან ქვემეხის გასროლის მანძილზე მდებარეობდა და მის თეთრ კედლებს ლეონის გასწვრივ აღმართული მაღალი ტყე ფარავდა.

აქ მიღეულ მთვარესავით ირკალებოდა მდინარე, რომელიც სამი მხრიდან ერტყმოდა ჰასიენდას – ამრიგად, სახლი სამი მხრიდან წყლით იყო დაცული, რკალის შემაერთებელ პარალელოგრამაზე ჰასიენდა იყო აშენებული. სწორედ აქედან წარმოსდგა მისი სახელი – კასა დელ კორვო – სახლი რკალზე.

კასა დელ კორვოს არქიტექტურული სტილისათვის, მექსიკის სხვა სახლების დარად, შეიძლება მავრიტანულ-მექსიკური გეწოდებინათ: იგი ერთსართულიანი იყო, ბრტყელსახურავიანი, მოაჯირშემოვლებული. გალავანს შიგნით ეზო მოეკირწყლათ, მას ადგილობრივი მკვიდრნი პათიოს ეძახიან. იქვე იყო შადრევანი, ქვის კიბე სახურავზე ადიოდა. უზარმაზარი მასიური ალაცაფის კარი დიდთავიანი ლურსმნებით იყო მოჭედილი; შესასვლელის ორივე მხარეს კედელში ორი თუ სამი, რკინის მოაჯირით დაცული სარკმელი იყო დატანებული. ასეთია, ძირითადად, მექსიკური ჰასიენდა და კასა დელ კორვო ძალზე უმნიშვნელოდ თუ განსხვავდებოდა ლათინური ამერიკის უზარმაზარ ტერიტორიაზე მოფენილი სხვა ამგვარი სახლები-საგან.

ასეთი იყო ის კარმიდამო, რომელიც შეიძინა ახალმა ლუიზიანელმა მემამულემ.

იქ, სადაც მაღალი და გამხდარი ვაკერო ფართოფარფლებიანი შავი მბრწყინავი ქუდიოთა და ჭადრაკული სერაპეითი დეზების ჟღარუნით ამაყად დააბობებდა ბელტებზე, ახლა ლურჯ ფრენჩში ან წამოსასხამში გამოწყობილ „ავტორიტეტულ ზედამხედველს“ შეხვდებით, რომლის შოლტის ტყლაშუნიც ყოველგვარ კუთხეში გაისმის. იქ, სადაც აცტეკისა და ანაჰუაკის ტომთა ჩამომავალი ცხვრის ტყაპუტშემომდარცული წითელკანიანი ბავშვები მოწყენით დალასლასებდნენ, ახლა ეთიოპიის შვილები, მამაკაცები და ქალები, მხიარულად ყბედობენ, ლაყბობენ, ცეკვავენ და მღერიან, თითქოს არ იზიარებდნენ იმ აზრს, რომ მემკვიდრეობითი მონობა უბედურებაა.

* * *

სულ სხვა მხრივ ქროდა ლუიზა პონინდექსტერის ფიქრები, როცა ის სარკის წინ დადგმულ დივანში ჩაეშვა და თავის მოსამსახურე გოგო ფლორინდას უბრძანა, მოემზადებინა სტუმრების მისაღებად, რომელთაც უკვე ელოდებოდნენ.

ეს იყო სწორედ იმ დღეს, პონინდექსტერმა ახალმოსახლეობის გადახდა რომ გადაწყვიტა, სუფრის გაშლამდე ერთი საათით ადრე. შეიძლება სწორედ ამით იყო გამოწვეული ახალგაზრდა კრეოლი ქალის მოუსვენრობა, რომელიც მის საქციელში იგრძნობოდა. ამას განსაკუთრებით კარგად ამჩნევდა ფლორინდა.

ახალგაზრდა ლედი ხმამაღლა გამოთქვამდა თავის ფიქრებს და ფლორინდაც ექოსავით იმეორებდა. თავისი ცხოვრების მანძილზე ლუიზა მიეჩვია ისე ეცქირა თავისი მსახურისათვის, როგორც ნივთისათვის, რომელთანაც სრულიადაც არ მიაჩნდა საჭიროდ დაემალა თავისი აზრები, როგორც არ მალავენ ფიქრებს სკამთან, სავარძელთან, მაგიდასთან ანდა სხვა რომელიმე ავეჯთან. ამ საგნებსა და ფლორინდას შორის განსხვავება ის იყო, რომ იგი ცოცხალი არსება

იყო და მისი უპირატესობა მხოლოდ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობით ამოიწურებოდა.

რაც ფლორინდა შემოვიდა, იგი ათი წუთის განმავლობაში შეუჩერებელივ ლაპარაკობდა ათას წვრილმანზე, რასაც მისი ქალბატონი ხანდახან წამოძახილით შეაწყვეტინებდა ხოლმე.

— ოჰ, მის ლუ! — ამბობდა ზანგი ქალი, როცა თითებით ეხებოდა ქალბატონის მბზინავ კულულებს, — რა მშვენიერი თმა გაქვთ! ხის გრძელი ხავსი გეგონება... არა, მუშკსა ჰგავს, კვიპაროსიდან რომ გადმოეკიდება ხოლმე; მაგრამ თქვენი სხვა ფერისაა — შაქრის სახედელში დამდგარი ბადაგივით ბრწყინავს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლუიზა პონინდესტერი კრეოლი გახლდათ. ამის შემდეგ, მგონი, საჭიროც აღარაა ვთქვათ, რომ მოშავო ფერის თმა ჰქონდა, მომსახურე გოგომ უხეშად ხის ხავსს რომ შეადარა. მაგრამ შავი კი არ ითქმის, უფრო მოელვარე მუქი-წაბლისფერი, სწორედ ისეთი, კუს ჯავშანს ანდა ზამთრის პირად დაჭერილ სიასამურს რომ აქვს ხოლმე.

— ოჰ! — განაგრძო ფლორინდამ და თან ქალბატონის კულულები ხელებზე გადაიფინა. შავ ხელებზე გადაფენილი ახლა უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ლუიზას წაბლისფრად მოელვარე თმა, — მე რომ ასეთი თმა მქონდეს ამ ცხვირის მატყლის ნაცვლად, ისინი სულ ფეხებთან ეყრებოდნენ.

— რაო, რაო? კარგად ვერ გავიგე, რას გულისხმობ? — იკითხა ახალგაზრდა ქალბატონმა, რომელიც თითქოს ოცნების ბურანიდან გამოერკვაო, — რა თქვი? ფეხებთან ეყრებოდნენო, ვინ? რა?

— თავს შევაცვარებდი. აი, რა უნდა მეთქვა.

— ვის?

— ყველა თეთრ ჯენტლმენს, პლანტატორებს, ფორტის ოფიცრებს, ყველას, თქვენი თმით, მის ლუ, ყველას დავიმორჩილებდი.

— ჰა, ჰა, ჰა! — გადაიკისკისა ლუიზამ. შეხედა ფლორინდას, წარმოიდგინა ის თავისი თმით და ამ აზრმა გაამხიარულა, — ყველა მამაკაცს დაიმორჩილებ, თუ ჩემი თმა გექნება?

— არა, მის, არა მარტო თმა, — თქვენი სახე, თქვენი ალებასტრით თეთრი კანი, თქვენი მაღალი ტანი, თქვენი დიდებული გამოხედვა. ოჰ, მისს ლუ, თქვენ ხომ ძალიან ლამაზი ხართ! მე ეს თეთრი ჯენტლმენებისაგანაც გავიგონე. მაგრამ რაში მჭირდება, რას ამბობენ ისინი, მე თვითონაც კარგად ვხედავ.

— პირფერობა გისწავლია, ფლორინდა.

— არა, მის, გეფიცებით, არც ერთი თვალთმაქცური სიტყვა არ წამომცდენია, მოციქულებს გეფიცებით.

ვინც მის ქალბატონს შეხედავდა, ეჭვს ვერ შეიტანდა მოსამსახურე გოგოს გულწრფელობაში, როგორი გადაჭარბებულიც არ უნდა მოსჩვენებოდა ქება. იმის აღიარება, რომ ლუიზა პოინდექსტერი ლამაზი იყო, მარტო მის გარშემო მყოფი საზოგადოებრივი აზრის განმეორება იქნებოდა. მისი სილამაზე შეხედვისთანავე აჯადოებდა ყველას, გარეშესაც და შინაურსაც. ეს იყო არნახული სილამაზე და ამიტომ შეუძლებელია, კალმით აღწერო იგი. ფუნჯს შეუძლია ცოტაოდენი წარმოდგენა შეუქმნას მნახველს, მაგრამ ყველა მხატვარი უძლური აღმოჩნდება ცივ, უგრძობელ ტილოზე წარმოსახოს მის თვალთა ცეცხლოვანი ელვარება, რომელიც მთელ სახეს ეფრქვეოდა. სახის კლასიკური ნაკვთები ჰქონდა, მაგრამ არა — ბეციური და ცივი, არამედ მიმზიდველი, ჭეშმარიტად მიწიერი. წინწამოწეული, ამობურცული ტუჩები ვნებიან იერს ჰმატებდა. არიან მამაკაცები, რომლებიც ქალის ღვთებრივ სილამაზესთან შედარებით ხორციელ სილამაზეს აძლევენ უპირატესობას. ლუიზა პოინდექსტერში ისინი ღვთაებას ვერ აღმოაჩენდნენ, რომ თაყვანი ეცათ. ის იყო ხორციელი სილამაზის ტრიუმფი, ქალი, რომელიც უნდა შეგვეყვარებინათ.

ფლორინდას გულწრფელ ფიცს ახალგაზრდა ქალბატონი უბრუნველი, მაგრამ არა უნდობელი სიცილით შეხვდა. ლუიზას არ

სჭირდებოდა შეხსენება — ლამაზი ხარო. მშვენივრად ხვდებოდა თავის მომხიბვლელობას. ეს ერთი შეხედვითაც შეეძლო თვითონვე შეემჩნია სარკეში, როცა ფლორინდა აცმევდა.

ლუიზა ისევ გაიტაცა ოცნებამ, საიდანაც ფლორინდას ხმამ გამოაფხიზლა.

ფლორინდა არ გაჩუმებულა მაშინაც კი, როცა თავისი ქალბატონის დაბნეულობა შენიშნა. ეტყობა, გონებით რაღაც საიდუმლოებაში ჩაწვდომა სურდა და ყოველნაირად ცდილობდა განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

— ოჰ, — ამბობდა ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, — ფლორინდა რომ ისეთი მშვენიერი იყოს, როგორც ახალგაზრდა ქალბატონია, მაშინ ის არც არაფერზე იფიქრებდა და არც არავისზე იწუხებდა!

— იწუხებდა! — გაიმეორა გაოცებულმა ლუიზამ, — რას გულისხმობ წუხილში?

— ღმერთო ჩემო, მის ლუ, ფლორინდა არც ისეთი ბრმა და ყრუა, თქვენ რომ გგონიათ. დიდი ხანია, გამჩნევთ, როგორ ზიხართ გაჩუმებული სულ ერთ ადგილას, თანაც ისე ღრმად ამოიოხრებთ ხოლმე, თითქოს გინდათ გული თან ამოაყოლოთ. ლუიზიანაში ასე არ იქცეოდით!

— რა მოგივიდა, ფლორინდა! ვშიშობ, გონებაზე ვერა ხარ კარგად, ან იქნებ ლუიზიანაშივე ვერ იყავი ჭკუაზე. შეიძლება აქაურმა ჰავამ დაგცადა.

— ღვთის გულისათვის, მის ლუ! ეს კითხვა თქვენივე თავს მიეცით. ნუ განმირისხდებით, რომ ასე გავკადნიერდი. ფლორინდა თქვენი მონაა — თავის შავკანიან დასავით უყვარხართ. როცა თქვენ ოხრავთ, მას გული უკვდება. აი, ამიტომ გელაპარაკებით ასე, ნუ განმირისხდებით.

— სრულიადაც არა. ანდა რატომ უნდა გაგიჯავრდე? როდის გითხარი, გიჯავრდები-მეთქი. მხოლოდ ეგ არის, რომ ცდები. რაც ნახე

ან გაიგონე, ეს მხოლოდ შენი ფანტაზიის ნაყოფია. რაც შეეხება ოხვრას, ახლა მაგისტვის არა მცალია. ასამდე სტუმარს ველი, თითქმის ყველა უცნობია, მათ შორის ახალგაზრდა პლანტატორები, ოფიცრები, რომლებსაც შენ უსათუოდ დაატყვევებდი, ჩემი თმა რომ გქონდეს. მე კი სულაც არა მაქვს განზრახვა, რომ ისინი მოვხიბლო — არც ერთი მათგანი! მალე დამიწანი თმა — ისე, რომ მახე არავის დაუვგო.

— ოჰ! მის ლუ, გულით მეუბნებით მაგას? — შეეკითხა ფლორინდა გულწრფელი ინტერესით, — თქვენ ამბობთ, რომ არც ერთი ჯენტლმენი სტუმრებიდან არ მოგწონთ? მაგრამ მათ შორის ხომ იქნება ორი-სამი ძალიან, ძალიან ლამაზი. ის ახალგაზრდა პლანტატორი, ის ორი ოფიცერი, ახალგაზრდები... ხომ იცით, ვისზედაც ვამბობ. ისინი თქვენ გეკურკურებოდნენ და დარწმუნებული ხართ, რომ არც ერთ მათგანზე არ ოხრავთ?

— ისევ ეს „ოხრავთ“! გეყოფა, ფლორინდა, ტყუილუბრალოდ დროსა ვკარგავთ! ნუ გავიწყდება, რომ ას სტუმარზე მეტი გვეყოლება და ნახევარი საათი მაინც დამჭირდება, რომ მოვემზადო.

— ფიქრი ნუ გაქვთ, მის ლუ, ფიქრი ნუ გაქვთ, ყველაფერს მოვასწრებთ. თქვენს მორთვას რა ბევრი რამე უნდა. ყველა კაბაში მშვენიერი ხართ. პირველობას მაშინაც კი ვერავინ წაგართმევთ, პლანტაციის მომუშავე გოგოს კაბა რომ ჩაიცვათ.

— რა დაგემართა, ფლორინდა, რატომ პირფერობ? იქნებ გინდა, რამე მთხოვო? პლუტოსთან ხომ არ გინდა შეგარიგო?

— არა, ქალბატონო, მე აღარასოდეს ვიმეგობრებ პლუტოსთან. მან სილაჩრე გამოიჩინა, როცა შავ ტრამალზე ქარიშხალი ამოვარდა. ოჰ, მის ლუ! რა უნდა გვექნა, ის ახალგაზრდა ჯენტლმენი რომ არ მოგვშველებოდა?

— ის რომ არ გამოჩენილიყო, ჩემო ფლორინდა, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გადაჩებოდა.

— ოჰ, ქალბატონო! მერე რა ლამაზია! გახსოვთ მისი სახე? მისი ხშირი თმა, სწორედ თქვენი თმის ფერი აქვს, მხოლოდ ცოტა ტალღოვანი, ჩემი თმის მსგავსად. ის პლანტატორი და ფორტის ოფიცერი მასთან ვერ მოვლენ. ისეთი ლამაზია, რომ შეუძლია ყველა ქალი მოხიბლოს.

ბოლო წუთამდე ახალგაზრდა ქალბატონი სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ცდილობდა, ახლაც შეეკავებინა თავი; მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა. შემთხვევით თუ წინასწარი განზრახვით, ფლორინდამ თავისი ქალბატონის სულის ყველაზე მგრძობიარე სიმს შეახო ხელი.

ლუიზას არ უნდოდა საიდუმლოს გამჟღავნება მონასთანაც კი. ამიტომ ძალიან ესიამოვნა, როცა გარედან ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა. ამან დააჩქარებინა მორთვა-მოკაზმვა და საშუალება მისცა, თავი აერიდებინა საუბრისათვის, რომელიც შესაძლოა, გაგრძელებულიყო, ოთახში რომ დარჩენილიყვნენ.

11 - მოულოდნელი გამოცხადება

— ეი, შენ, ყარაჩო! სად არის შენი ბატონი?

— მისტერ პოინდექსტერი, სერ? მოხუცი თუ ახალგაზრდა ბატონი?

— ახალგაზრდას რა თავში ვიხლი! მე მისტერ პოინდექსტერი მინდა. სად არის?

— დიახ, სერ, ორივენი შინ გახლავან, თუმცა მომაგონდა, არც ერთი არ არის შინ, არც მოხუცი და არც ახალგაზრდა. მდინარის პირას არიან და ახალ მესერს აკეთებენ.

— მდინარის პირას? შორსაა აქედან?

— ოჰ! სერ! ზანგის ჭკუით, იქამდე სამი-ოთხი მილი იქნება, მეტი არა.

— სამი-ოთხი მილი? შენ სულ დაგიკარგავს გონი, ზანგო! განა მისტერ პოინდექსტერის პლანტაცია ამ სიგრძეზეა გადაჭიმული? ჩე-

მი აზრით კი, ის ისეთი კაცი არ არის, მესერი სხვის მამულს შემოავ-
ლოს. მომხედე აქეთ! როდის დაბრუნდება? ვფიქრობ, ეს მაინც გე-
ცოდინება.

— მალე უნდა დაბრუნდნენ — ახალგაზრდა ბატონი, დიდი ბატონი
და მისტერ კოლჰაუნიც. ძალიან დიდი ლხინი იქნება. რა სუნი მოდის
სამზარეულოდან! ჰო! ჰო! ყველაფერს ამზადებენ: შემწვარს, მო-
ხარშულს, ათასნაირ ნამცხვარს. ისეთი ლხინი გვექნება, როგორიც
იქ, მისისიპიში! გაუმარჯოს მისტერ პოინდექსტერს. რა, თქვენ არ
დაგვატიჩეს? იქნებ ჩვენი ბატონის მეგობარი არა ხართ?

— ეშმაკმა წაგიღოს, აღარ გახსოვარ? მე კი ჩაგყურებ მაგ მახინჯ
სახეში და მახსენდები.

— ღმერთო, ნუთუ ეს მისტერ სტუმპია, ირმის ხორცი და ინდაურე-
ბი რომ მოჭქონდა იქ, ძველ პლანტაციაში! როგორ არა, მისტერ
სტუმპ, ზანგს ახსოვხართ, ყველაფერი ახსოვს, თითქოს გუშინწინ-
დელი ამბავი იყოს. თქვენ ამას წინათ აქაც ყოფილხართ, მაგრამ მე
ვერ გნახეთ. ახლა შეეტლეთ ვარ, ეტლს დავაქროლებ. ჩვენი ახალ-
გაზრდა ლამაზი ქალბატონი მის ლუ დამყავს. მშვენიერი ქალია.
არა უშავს, მისტერ სტუმპ, დაუცადეთ დიდ ბატონს. ვფიქრობ, ძალი-
ან მალე დაბრუნდება.

— რაკი ასეა, დავუცდი, — თქვა მონადირემ, ფეხი უზანგიდან ნე-
ლა ჩამოიღო და მეორე უზანგზე დაყრდნობილი უნაგირიდან ჩამოხ-
ტა, — შენ ეი, — უთხრა ზანგს და აღვირი ხელებში მიაჩენა, — ერთი
ექვსიოდე სიმიინდის ტარო დაუგდე, თორემ ოც მიღზე მეტი გამოვი-
არე. თან ელვასავით მოვქროდი. რას იზამ, შენი ბატონისთვის ვირ-
ჯებოდი.

— ოჰ, მისტერ ზებულონ სტუმპ, ეს თქვენა ხართ? — გაისმა ზარი-
ვით წკრიალა ხმა ვერანდიდან და ლუიზა პოინდექსტერი გამოჩნდა,
— განა არა, მაშინვე ვიფიქრე, — განაგრძო ახალგაზრდა ლედიმ და
მოაჯირთან მივიდა, — თუმცა არ მოველოდი, რომ ასე მალე გნახავ-

დით. როგორც მახსოვს, ასე თქვით, შორეულ მგზავრობაში მივდივარო. ძალიან მესიამოვნა, რომ გხედავთ; მამას და ჰენრისაც ძალიან გაუხარდებათ თქვენი ნახვა. პლუტო! ახლავე გაეშურე მზარეულ ჰლოასთან და ნახე, რით შეუძლია გაუმასპინძლდეს მისტერ სტუმპს. ვიცი, არ გისადილიათ. როგორ გამტვრიანებულხართ, მოგზაურობიდან დაბრუნდით, არა? ფლორინდა, ბუფეტში ჩაირბინე და ყელის გასასველებელი რამე მოიტანე. ძალიან ცხელა... რას არჩევდით: პორტვინს, ხერესს თუ ბორდოს წითელ ღვინოს? აჰ, ახლა მომაგონდა, თქვენ მონონგაჰელა ვისკი ყველაფერს გირჩევენიათ. მგონი, გვაქვს. ფლორინდა, აბა გაიქეცი და ნახე! ამობრძანდით ვერანდაზე, მისტერ სტუმპ და მოისვენეთ. ვეცდები, მამას მოსვლამდე შეგიქცითო.

ახალგაზრდა ლედის უფრო ადრეც რომ შეეწყვიტა ლაპარაკი, პასუხს მაშინვე მაინც ვერ მიიღებდა. მისტერ სტუმპმა ახლაც კარგა ხანს ვერ მოახერხა პასუხი. გარინდებული მისჩერებოდა ლუიზას, თითქოს მშვენიერებით მოხიბლულს ენა ჩაუვარდაო.

— მის ლუიზა, — როგორც იქნა, წარმოთქვა მან, — როცა იქ, მისისიპის ნაპირზე ვნახულობდით, ვფიქრობდი, რომ მთელ დუნიაზე ყველაზე ლამაზი არსება თქვენ იყავით, ახლა კი ვხედავ, რომ არამართო აქ, მიწაზე, ზეცაშიც არ იქნება თქვენი ბადალი! იოსაფატ!

მოხუცი მონადირის ნათქვამი გადაჭარბებული არ იყო. ახლად მორთულ-მოკაზმულ ლუიზაზე და მის ბრწყინვალე თმებზე ჰაერის გამოცვლას ვერავითარი გავლენა ვერ მოეხდინა. პირიქით — ცივ ჰაერს მისი ღაწვები შეეწითლებინა და უფრო მიმზიდველი გაეხადა; თხელ ინდურ თეთრ მარმამში გამოკვალთული მშვენიერი ქალიშვილი ულამაზესი ჩანდა.

— იოსაფატ! — კვლავ წამოიძახა მონადირემ, — ბევრი ლამაზი ქალი მინახავს, ჩემი ცოლიც არ იყო ცუდი შესახედავი, როცა ის პირველად ვნახე კენტუკიში, რაც მართალია, მართალია, მაგრამ, იცით, რას გეტყვით: ყველა მათგანის სილამაზე რომ აიღო ცალ-ცალკე და

შეაერთო, თქვენისთანა ანგელოზის მეათასედი ნაწილიც ვერ გამოვა.

— ოჰ! მისტერ სტუმპ! თქვენგან ასეთ ქათინაურებს არ მოველოდი. ეს ალბათ აქ, ტეხასში ისწავლეთ. ასე თუ გააგრძელებთ, ვშიშობ, მართალი კაცის სახელს დაკარგავთ! ახლა კი დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გწყურებიან. აბა, ჩქარა, ფლორინდა! მე მგონი, ვისკი მინდაო, ასე თქვით?

— თუ არ მითქვამს, სულერთია, ასე ვფიქრობდი და ეს იგივეა. დიანახ, ქალბატონო, მე ჩემი სამშობლო ქვეყნის სასამელს ვამჯობინებ უცხოურს. და თუ შესაძლებლობაა, მხოლოდ მას გეახლებით. ტეხასს ამ მხრივ არ შევუცვლივარ.

— მისტერ სტუმპ, წყალიც მოგართვათ? — იკითხა ფლორინდამ, რომელსაც მონონგაჰელათი ნახევრად შევსებული ჭიქა მოჰქონდა.

— არა, გოგო, წყალი რა ჯანდაბად მინდა! დილას აქეთ, თავი მომაბეზრა. სხვა სასამელის გემო დღეს არც გამისინჯავს.

— ძვირფასო მისტერ სტუმპ! მართლა ასე აპირებთ დალევას? ყელს დაგწვავთ! ცოტა შაქარი ან თაფლი დააყოლეთ.

— რატომ გავაფუჭო სასამელი? ვისკი მონონგაჰელა ისედაც კარგი სასამელია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თქვენ ჭიქაში ჩაიხედეთ. აი, ნახეთ, დავლევ თუ ვერა. აბა, გავსინჯოთ.

მონადირემ ჭიქა ტუჩებთან მიიტანა და სამი ყლუპის შემდეგ ფლორინდას ცარიელი დაუბრუნა. ქალბატონმა და გოგომ უეცარმა განცვიფრებით წამოიყვირეს.

— თქვენ ამბობდით, ყელს დაგწვავსო, არა? რა ბრძანებაა! ის კი არა, ყელი ჩამიწმინდა. ახლა კი შემიძლია ველაპარაკო მამათქვენს იმ წინწყლებიან მუსტანგზე.

— ჰო, მართლა! ხომ არაფერი შეგიტყვიათ იმ ულამაზესი ცხენისა?

— მართლაც რომ ულამაზესი სულდგმულია, სწორად შენიშნეთ.

— რაიმე ახალი გაიგეთ მასზე, რაც აქედან წახვედით?

— არამართო გავიგე, არამედ ვნახე და ხელიც შევახე.

— მართლა?!

— შეპყრობილია.

— როგორ გამახარეთ! ერთი სული მაქვს, მანამ ვნახავ, შევჯდები და გავისეირნებ. რაც ტეხასში ვარ, ერთი კარგი ცხენი არა მყოლია. მამაჩემი შეპირებულია, რადაც არ უნდა დამიჯდეს, მაგ წინწკლებიან მუსტანგს გიყიდო, მაგრამ ვინ არის ის ბედნიერი, ვინც დაატყვევა?

— რა თქმა უნდა, მუსტანგერმა.

— მუსტანგერმა?

— დიახ, მან, ვინც ყველაზე უკეთ ისვრის ლასოს ამ ტრამალზე და ყველაზე უკეთ იცის ცხენზე ჯდომა. მექსიკელებს უქებენ ცხენოსნობას, მაგრამ მე არ შემხვედრია არც ერთი მექსიკელი, რომელიც მას აჯობებდა. მის ძარღვებში კი მექსიკელის წვეთი სისხლი არ ჩქეფს. იგი ისეთივე თეთრია, როგორიც მე.

— მისი სახელი და გვარი?!

— უნდა გამოგიტყდეთ, მისი გვარი არასოდეს არ გამიგია. სახელად კი მორისი ჰქვია. აქ მას ყველა მორის მუსტანგერს ეძახის.

მოხუცი მონადირე არ დაჰკვირვებია, როგორი ინტერესით შეეკითხა ქალიშვილი, არც ის შეუმჩნევია, თუ როგორ შეუფაკლდა დაწვები შემკითხველს, როცა პასუხი მოისმინა. მაგრამ ფლორინდას მზერას არც ერთი გამოჰპარვია და არც მეორე.

— ოჰ! მის ლუ! — წამოიძახა ამ უკანასკნელმა, — ეს სწორედ იმ მამაცი თეთრი ჯენტლმენის სახელია, გადამწვარ ტრამალზე რომ გვიხსნა!

— დიახ, — დასძინა მონადირემ და ახალგაზრდა ლედი პასუხისაგან დაიხსნა, — სწორედ ამ დილით მომიყვა მაგ ამბავს. ის გახლავთ, ის. მან შეიპყრო წინწკლებიანი მუსტანგი. ახლა კი გზაშია და აქეთ მოემუშრება. წინწკლებიანი მუსტანგიც მოჰყავს და მისი სხვა თორ-

მეტი ამხანაგიც. დაღამებამდე აქ იქნება. მე კი ჩემი ფაშატით დავწინაურდი, რათა მამათქვენს ვახარო წინწკლებიანი მუსტანგის შეპყრობის ამბავი. ვიცი, ხმა რომ გავარდება, ყველა მის ყიდვას მოინდომებს. ეს თქვენი გულისთვის გავაკეთე, ლუიზა. მახსოვს, როგორ დაინტერესდით, როცა მამათქვენს ველაპარაკებოდი იმ მუსტანგზე.

— ოჰ, მისტერ სტუმპ, რა კეთილი ხართ! რა მადლიერი ვარ თქვენი. მაპატიეთ, ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ. მამა მალე დაბრუნდება. დღეს სტუმრები გვყავს დაპატიჟებული და უნდა მოვემზადო. ფლორინდა, აბა, მარდად გაიქეცი და მისტერ სტუმპისათვის საუბმე დააჩქარებინე... — მისტერ სტუმპ, — განაგრძო ახალგაზრდა ლედიმ ხმადაბლა და მონადირეს მიუახლოვდა, — შეიძლება ახალგაზრდა ჯენტლმენი მაშინ მოვიდეს, როცა აქ სტუმრები იქნებიან, — ის მათ არ იცნობს. მიხედეთ, რომ უყურადღებოდ არ დატოვონ. აქ, ვერანდაზე, ღვინო და სანოვაგე იქნება. ხომ გესმით, რასაც ვამბობ, მისტერ სტუმპ?

— ეშმაკმა წამილოს, თუ რამე მესმოდეს... როცა ღვინოზე ან ამის მსგავს რამეზე მელაპარაკებით, ყოველივე მესმის. მაგრამ რომელ ახალგაზრდა ჯენტლმენზე მეუბნებით, ეს ვეღარ გამიგია.

— ნამდვილად იცით, ვისაც ვგულისხმობ! ჯენტლმენი, ვინც მუსტანგები უნდა მოიყვანოს.

— მორის მუსტანგერი! იმაზე ამბობთ? არ შემცდარხართ, ჯენტლმენი რომ უწოდეთ. თუმცა ბევრ სხვა მუსტანგერზე არ ითქმის. ის კი ნამდვილი ჯენტლმენია დაბადებით, აღზრდით, მოქმედებით, მიუხედავად იმისა, რომ ცხენებზე მონადირეა და ამასთანავე — ირლანდიელიც.

ლუიზა პოინდექსტერს თვალები სიხარულისაგან წამოწოთო, როცა მორის მუსტანგერზე ისეთივე აზრი მოისმინა სხვისგან, რასაც თვითონ ფიქრობდა.

— მაგრამ უნდა გითხრათ, — განაგრძო ზებ სტუმპმა, რომელსაც რაღაც ეჭვმა გაურბინა გონებაში, — ჩემი მასპინძლობა იმ ახალგაზრდას ეწყინება. გახსოვთ, მისისიპიზე ამბობდნენ, „ისეთი ამაყია, როგორც პოინდექსტერიო“. მაპატიეთ, ლუიზა, რომ ასეთი სიტყვა წამომცდა. დამავიწყდა, რომ პოინდექსტერს ველაპარაკები — ამპარტავანს კი არა, უღამაზესს.

— ოჰ, მისტერ სტუმპ! რაც გენებოთ, ის მითხარით, ხომ იცით, რომ თავს შეურაცხყოფილად არ ვიგრძნობ თქვენი ლაპარაკით.

— მიგულეთ მუდამ თქვენს ერთგულ ადამიანად და გულწრფელ მეგობრად, სანამ პირში სული მიდგას, მის პოინდექსტერ.

— ათასი მადლობა. მაგრამ რისი თქმა გინდოდათ? რატომ ეწყინება თქვენი მასპინძლობა?

— მე მინდოდა მეთქვა, რომ თქვენს ჭერქვეშ ჩემს მასპინძლობას არავითარი ფასი არა აქვს. თუ მამათქვენმა არ მიიპატიჟა, ის ხელს არაფერს დააკარებს. უნდა გამიგოთ, ლუიზა. ის ისეთი საწყალი და ღარიბი თეთრკანიანი როდია, რომ მისი სამზარეულოში გასტუმრება შეიძლებოდეს.

ახალგაზრდა ლედი ერთი თუ ორი წუთი იდგა ისე, რომ ხმა არ ამოუღია. ჩანდა, გაურკვეველ ფიქრებს მოეცვა და მთლიანად ამ ფიქრებში იყო ჩაფლული.

— კეთილი, ნუ შეწუხდებით, — უთხრა ბოლოს ისეთი ტონით, რომ მიხვდებოდით, რაღაც გადაწყვეტილება მიეღო, — კეთილი, მისტერ სტუმპ, თქვენ ნუ უმასპინძლებთ. მხოლოდ შემატყობინეთ, როდესაც მოვა. მაგრამ სადილობის დროს თუ მოვიდა, მაშინ გარეთ ვერავინ გამოვა. სადილობის დროს რომ მოვიდეს, მოაცდევინეთ, ხომ შეძლებთ?

— რა თქმა უნდა, რაკი თქვენა მთხოვთ.

— შემატყობინეთ მისი მოსვლა და თვითონვე გაუუწევ მასპინძლობას.

– მე კი მგონია, ჭამის მადას სრულებით დაუკარგავთ. თქვენი შემხედვარე და ხმის გამგონე, მშვიერი მგელიც დაკარგავს ჭამის მადას, არათუ ვაცი. აქ რომ მოვედი, მზად ვიყავი, უმი ინდაური გადამეყლაპა. ახლა კი შემიძლია, მთელი თვე არაფერი ვჭამო.

ამ სიტყვებს ლუიზამ კისკისით უპასუხა და ზებ სტუმპს ხელით მიუთითა ეზოს იმ კუთხისაკენ, საიდანაც ფლორინდა მოდიოდა ლანგრით ხელში. უკან პლუტო მოსდევდა უფრო ფართო და მძიმედ დატვირთული ხონჩით.

– ოჰ, ძვირფასო გოლიათო! არა მგონია, ჭამის მადა მანამდე დაგიცხრეთ, სანამ ლაზათიანად არ დანაყრდებით. აი, პლუტო და ფლორინდაც მოდიან და რაც მათ მოაქვთ, ის უფრო გასიამოვნებთ, ვიდრე ჩემი აქ ყოფნა. მაშ, დაგტოვებთ, ნახვამდის, ზებ სტუმპ, ანდა როგორც აქაურები იტყოდნენ, ასტა ლუეგო!

ლუიზა უდარდელად შეგოგმანდა დერეფანში, მაგრამ თავის ოთახში რომ შევიდა, ისევ საგონებელს მიეცა.

„ის ჩემი ბედია, – ჩურჩულებდა ახალგაზრდა ქალი, – ვგრძნობ, ვიცი! მაგრამ ვერ ვბედავ, პირისპირ შევხვდე, არც ის შემიძლია, ხელისკვრით მოვიშორო. არ შემიძლია, არც მინდა და არც ვიზამ!“

12 - ველური ფაშატის მოთვინიერება

მექსიკურ სახლს ყველაზე მეტად ამშვენებს ბანი, რომელსაც აქ ასოტეას უწოდებენ. მას ჭერად ცა, ხოლო იატაკად თვითონ სახლის სახურავი აქვს. კარგ ამინდში – თუმცა აქ ყოველთვის კარგი ამინდია – ბანს არჩევენ ხოლმე სტუმრების მისაღებად, განსაკუთრებით მაშინ, სადილობა რომ გადავა და ჩამავალი მზის მეწამული სხივებით ნაფერი ორიზავას, პოპოკატეპეკის, ტალუკას და ტყუპი დების თოვლიანი მწვერვალები გამოჩნდება; როდესაც კონკისტადორების შთამომავალ ანდალუზიის შვილთა გონებას ხერესი და მადეირას ჯიშის მაგარი ღვინოები გაათბობს, ისინი სახლის ბანზე ადიან

და იქიდან გადასცქერიან ქვეყანას, რომელიც სახელგანთქმულ წინაპართა გმირობამ მოუხვეჭა.

ტრადიციულად ყველა ოჯახი, რომელიც კი მექსიკურ ჰასიენდაში ცხოვრობს, სალამოს ბანზე ატარებს. ლუიზიანელი პლანტატორის ოჯახმაც ჰასიენდაში გადმოსვლის დღიდანვე შეისისხლხორცა ეს წესი.

იმ სალამოსაც, სტუმრებმა სამასლაათოდ და დასასვენებლად სასტუმროს ბანი არჩიეს და იქ შეიკრიბნენ. ჩამავალმა მშემ სხივები შეაფრქვია მხიარულ და ბრწყინვალე საზოგადოებას, რომლის მსგავსი აქამდე კასა დელ კორვოს ბანზე არ შეკრებილიყო. სტუმრების ნაწილი ბანის მოზაიკურ ფილაქანზე დასეირნობდა, ნაწილი ფეხზე მდგარი საუბრობდა, ხოლო ზოგიერთი მოაჯირს დაყრდნობოდა და შორს, ჰორიზონტისაკენ იცქირებოდა. ასეთ კრებულს მაშინაც კი ვერ ნახავდით, როდესაც ამ სახლის წინანდელი მფლობელი მხოლოდ ცისფერი სისხლის კოაჰულიელ და ტეხასელ იდაღოებს იწვევდა.

ახალ მამულში გადმოსვლის მისალოცად ვუდლი პოინდექსტერს მის ახლო, ლეონის ნაპირებზე მცხოვრებლების გარდა, შორეული გონსალელი და კასტროვილელი სტუმრებიც ეწვივნენ. სან ანტონიოდანაც კი ჩამოსულიყვნენ პლანტატორის ძველი მეგობრები, რომლებმაც ასევე ტეხასის სამხრეთ-დასავლეთით ამჯობინეს დაბინავება. ბევრმა მათგანმა ას მიღზე მეტი გამოიარა, რომ ამ წვეულებას დასწრებოდა.

მდიდრული ნადიმისათვის პლანტატორს არც თავი დაუზოგავს და არც ფული. ფორტის ოფიცერთა მუნდირებისა და სამხრეულების ბრჭყვიალი, ფორტიდანვე მოყვანილი სასულე ორკესტრი და კასა დელ კორვოს მარნის რჩეული ღვინოები ბრწყინვალე იერს აძლევდა ამ წვეულებას.

ამ საზოგადოების მშენებელმა მაინც ლუიზა პოინდექსტერი გახლდათ. მის სილამაზებზე მითქმა-მოთქმამ უფრო ადრე ჩამოაღწია ტეხასში, ვიდრე თვითონ ლუიზა ჩამოვიდოდა.

დედოფალივით მოლიმარი ქალიშვილი სტუმრების ხარ ერთ, ხან მეორე გგუფთან გამოჩნდებოდა ხოლმე. საყოველთაო ყურადღებით გარემოსილ ლუიზას ასი წყვილი თვალი მაინც მისჩერებოდა. ერთნი – აღტაცებით, მეორენი – შურით. მისი სილამაზით მოხიბლული მეგობრებით, ახალგაზრდა პლანტატორებით, ახალბედა ვეჯილებით, სახელმოხვეჭილი, ჯერ კიდევ სამსახურში მყოფი ან სამსახურიდან გამოსული ჯარისკაცებით გარშემორტყმულ ლუიზას, წესით, ამაყად და ბედნიერად უნდა ეგრძნო თავი.

თუმცა ეს აზრი შეიძლებოდა გასჩენოდა მხოლოდ უცხო ადამიანს, რომლისთვისაც სრულიად უცნობია კრეოლი ქალიშვილის ხასიათი, განსაკუთრებით კი ლუიზა პოინდექსტერისა.

ამ ბრწყინვალე საზოგადოებაში იმყოფებოდა პიროვნება, რომელიც ერთსაც კარგად იცნობდა და მეორესაც.

იგი თვალს ადევნებდა ლუიზას ყოველ მოძრაობას და ცდილობდა, აეხსნა მისი მიზნები. ეს ადამიანი კასიუს კოლჰაუნი იყო. იგი ფეხდაფეხ დასდევდა ლედის ზემო თუ ქვემო სართულის ოთახებში, მაგრამ აჩრდილივით ახლო მანძილზე კი არა, ფარულად ირჩევდა ადგილს, შეუმჩნეველად გადაინაცვლებდა და ისე დგებოდა, ვითომც არაფერიაო. სინამდვილეში კი მის ყოველ მოძრაობას უთვალთვალებდა, თითქოს სამძებრო პოლიციის აგენტი ყოფილიყო. მაგრამ უცნაური ის გახლდათ, რომ კოლჰაუნი არც კი უსმენდა ქალიშვილის საპასუხო სიტყვებს იმ ქათინაურებზე, რომლებსაც ყოველი მხრიდან სეტყვასავით აყრიდნენ და რომლის მიზანსაც მისი ღიმილის გამოწვევა შეადგენდა. არც იმ ცხადი და დაჟინებული არშიყობისათვის მიუქცევია ყურადღება, ახალგაზრდა დრაგუნმა ჰენკოკმა რომ დაუწყო ლუიზას.

ბანზე ასვლის შემდეგ კოლჭაუნმა შენიშნა მოაჯირთან მდგარი ლუიზა, რომელიც გზისკენ იყურებოდა. სამსახურიდან გადამდგარმა მოხალისეთა კაპიტანმა თვალი ველარ მოაშორა ბიძაშვილს. სტუმრებმა შენიშნეს ეს დაჟინებული და გამომცდელი მზერა, რომლითაც იგი ლუიზას შეჰყურებდა. კასა დელ კორვოს ახალგაზრდა დიასახლისი მოაჯირთან ხშირად მიდიოდა და ცის დასალიერამდე გადაჭიმულ დაცემულ ვაკეს გასცქეროდა, თითქოს იქ რაღაცის შემჩნევას ლამობსო.

როცა ტრამალზე ჩამავალი მზის სხივებში მოძრავი საგნები გამოჩნდა და ბანზე მყოფებმა ცხენების ჯოგი და რამდენიმე მხედარი გაარჩიეს, სამსახურიდან გადამდგარმა ოფიცერმა უკვე ეჭვით იცოდა, ვინც უნდა ყოფილიყო მათ წინ მომავალი ცხენოსანი. მათმა გამოჩენამ ყველა დააინტერესა, თუმცა იგი სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული.

კარგა ხნით ადრე, სანამ პოინდექსტერის სტუმრები ცხენების ჯგუფსა და მხედრებს გაარჩევდნენ, ლუიზამ მათი მოახლოება ჰორიზონტზე ავარდნილი მტვრის კორიანტელით შენიშნა. ამ წუთიდან ახალგაზრდა ლედი სტუმრებს დაუბრუნდა და ისე ჩაება საუბარში, ვითომც არაფერიაო. თან ფარულად უთვალთვალებდა თანდათანობით მოახლოებულ მტვრის ბულს. ლუიზამ იცოდა, რისგანაც ავარდა მტვერი, მაგრამ ეჭვიც არა ჰქონდა, თუ ეს სხვისთვისაც იყო ცნობილი.

— ველური ცხენები? — წარმოთქვა ფორტ ინჯის კომენდანტმა მაიორმა, რომელმაც ჯიბის დურბინით გახედა ტრამალს, — მგონი, ვიღაცას აქეთ მოჰყავს, — ჰო, ვხედავ, ეს მორის მუსტანგერია, რომელიც ცხენების დაჭერაში ეხმარება ხოლმე ჩვენს ბიჭებს. ეტყობა, ცხენები პირდაპირ თქვენთან მოჰყავს, მისტერ პოინდექსტერ.

— ეგ თუ მართლაც ის ახალგაზრდა კაცია, ვინც ახლა დაასახელეთ, საკვირველი არაფერია, — თქვა კასა დელ კორვოს პატრონმა,

— მე დავავალე იმ კაცს ორმოცამდე ცხენის დაჭერა. იქნებ ეს პირველი პარტია იყოს, რომელიც ჩვენთან მოჰყავს.

— დარწმუნებული ვარ, რომ ასეა, — თქვა ჰენრიმ, — იმ ცხენოსანში მორის ჯერალდი შევიცანი.

პლანტატორის ქალიშვილსაც იგივე შეეძლო ეთქვა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ეს ამბავი სულაც არ აინტერესებდა, რადგან შენიშნა, რომ კოლჰაუნის ბოროტი თვალები მისკენ იყო მიპყრობილი.

ბოლოს ცხენოსნები მოახლოვდნენ. მორისი მოხდენილად იჯდა ცხენზე და ლასობე წინწკლებიანი მუსტანგი ჰყავდა გამობმული.

— რა ლამაზია! — წამოიძახა ერთად რამდენიმე ხმამ, როცა დატყვევებული მუსტანგი სახლის წინ მოიყვანა მორისმა.

უცხო გარემოში მოხვედრილ მუსტანგს თითქმის ყველა კუნთი უთრთოდა.

— ნამდვილად ღირს მის სანახავად დაბლა ჩასვლა! — თქვა მაიორის ცოლმა.

— ჩავიდეთ დაბლა! რას იტყვით, მის პონინდექსტერ?

— ოჰ, სიამოვნებით, — უპასუხა დიდი სახლის პატარა დიასახლისმა.

ქალებს მაიორის ცოლი ჩაუძღვა. მამაკაცებიც, რა თქმა უნდა, უკან გაჰყვნენ.

უნაგირბე მჯდარი ცხენებზე მონადირე, დატყვევებული მუსტანგითურთ ოციოდე წამის განმავლობაში ამ რჩეული საზოგადოების შუაგულში იმყოფებოდა.

ჰენრი პონინდექსტერმა ყველაზე სწრაფად ჩაირბინა კიბე და მუსტანგერს გულწრფელად მიესალმა.

ლუიზამ ოდნავ დაუკრა თავი მორისს. მეტი ყურადღების გამოჩენა ვერ გაბედა, საზოგადოებას არ მოეწონებოდა ეს, თუნდაც სცოდნოდათ, რომ მორისს ადრევე ჰქონდა პატივი ქალის გაცნობისა.

ქალთაგან მხოლოდ მაიორის ცოლი მიესალმა მუსტანგერს შინაურულად და ისიც ისეთი ამპარტავნული იერით, თითქოს რაღაც დიდი მოწყალება გაიღო. მაგრამ ყმაწვილი კაცისთვის ლუიზას ფარული და სწრაფი გამოხედვის შემჩნევაც საკმარისი იყო.

მაგრამ მართლ ლუიზას თვალები როდი შეჰყურებდა მოწონებით მუსტანგერს. ირლანდიელი ნამგზავრ, გამტვრიანებულ სამოსშიც კი მშვენიერი შესახედავი იყო. გამოვლილ ოც მილს ვერ დაექანცა იგი. ტრამალის ქარს ოდნავ შეეცვალა მისთვის სახის ფერი. მტვერი, რომელიც შეყვარებულივით ჩაჰკონებოდა ტალღისებურ თმებში, ვერ ფარავდა თმის ბუნებრივ ელვარებას. ამ მაღალი წრის არაერთ ქალს მიეპყრო მორისისაკენ ფარული მზერა და მალულადვე ცდილობდნენ მისი საპასუხო გამოხედვის დაჭერას. ინტენდანტის მშვენიერი დისშვილი აღტაცებით შესციცინებდა სახეში. ზოგიერთი იმასაც ამბობდა, ინტენდანტის ცოლიც შორიდან უთვალთვალებდაო, მაგრამ ეს ფორტის სახელმოხვეჭილი ჭორიკანას — ექიმის ცოლის გამოგონილი უნდა ყოფილიყო.

— ჭეშმარიტად, — თქვა პოინდექსტერმა, როცა დატყვევებული ცხოველი შეათვალა, — ეს ის მუსტანგია, მოხუცი ზებ სტუმპში რომ მელაპარაკებოდა.

— დიახ, ის გახლავთ, — უპასუხა მორისისაკენ მომავალმა ზებ სტუმპმა, — სწორედ ის არის.

— გასაგებია, გასაგებია, — საჩქაროდ უპასუხა პოინდექსტერმა, რომელსაც უნდოდა, ზედმეტი ახსნა-განმარტებისაგან თავი დაეღწია. მაგრამ სტუმპმა განაგრძო:

— ამ ყმაწვილს ჩემს მისვლამდე შეეპყრო იგი. მე კი სულზე მივუსწარი: ცხენი შეიძლება სხვას წაეყვანა, რაც მის ლუიზას ძალზე ეწყინებოდა.

— მართალს ბრძანებთ, მისტერ სტუმპ! თქვენ ძალიან ყურადღებიანი ხართ. არ ვიცი, როგორ შევძლებ ამ სიკეთის გადახდას, — უპასუხა ლუიზამ.

— ეს სრულებითაც არ იქნება ძნელი, მის. მე თქვენთვის ისეთი არაფერი გამიკეთებია. ეგ იყო, მხოლოდ ტრამალზე გავისეირნე. მაგრამ იმის სანახავად, თუ როგორ დაგშვენდებათ წინწკლებიან მუსტანგზე ჯდომა, ფრთაგაყრილი ქუდით, თუნდაც კლდოვან მთე-ბამდე ვივლი.

— ოჰ! მისტერ სტუმპ! გამოუსწორებელი პირფერი ხართ! მიმოიხედეთ ირგვლივ და ბევრ ისეთს დაინახავთ, რომელთათვისაც ეს ქათინაური უფრო შესაფერისი იქნება.

— კარგი! — თქვა გებმა და ნაუცბათევად ქალები შეათვალიერა, — მე როდი უარვყოფ, რომ აქ ბევრი ლამაზია, მაგრამ როგორც ლუიზიანაში ამბობდნენ, ლუიზა პოინდექსტერი მხოლოდ ერთია.

გების ამ ნათქვამს გულიანი ხარხარი მოჰყვა, რომელშიც ქალების მხოლოდ რამდენიმე ხმა იყო გარეული.

— ამ ცხენში ორასი დოლარი უნდა გადაგიხადოთ, — პოინდექსტერმა მორისს წინწკლებიან მუსტანგზე მიუთითა, — ასე მოვრიგდით მე და მისტერ სტუმპი.

— თქვენს გარიგებაში მე მონაწილეობა არ მიმიღია, — უპასუხა მუსტანგერმა მრავალმნიშვნელოვნად, მაგრამ თავაზიანი ღიმილით, — მე ფულს არ ვიღებ. ეს ცხენი არ იყიდება.

— ოჰ, მართლა?! — წარმოთქვა პლანტატორმა და ნაწყენმა უკან დაიხია.

პლანტატორი, ისევე, როგორც ფორტის ოფიცრები, განცვიფრებული დარჩნენ ასეთ მაღალ საფასურზე უარით. ორასი დოლარი მოუთვინიერებელ მუსტანგში, როცა მისი ჩვეულებრივი ფასი ათიდან ოც დოლარამდეა! მუსტანგერი ალბათ გაგიჟდა.

მაგრამ მორისმა მათ მსჯელობას დრო არ მისცა.

— მისტერ პოინდექსტერ, — თავაზიანად განაგრძო მან დაწყებული საუბარი, — თქვენ ადრე ისეთი კარგი საფასური მოგიციათ სხვა მუსტანგებში, რომ მინდა, ახლა საჩუქარი მოგიძღვნათ. ირლანდიაში ასეთ ნობათს „საბედოს“ უწოდებენ. ჩვენი ჩვეულების თანახმად,

როცა ცხენებზე სავაჭრო გარიგება სახლში ხდება, საჩუქარს — „საბედოს“ — უძღვნიან არა მყიდველს, არამედ მისი ოჯახის ყველაზე ლამაზ წევრს. თუ ნებას მომცემთ, ამ ჩვეულებას აქ, ტეხასის მკვიდრთა შორისაც შემოვიტან.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — გაისმა რამდენიმე მამაკაცის ხმა, რომელთაგან ორი ან სამი უდავოდ ირლანდიური აქცენტით იყო წარმოთქმული.

— რა თქმა უნდა, მისტერ ჯერალდ! — წამოიძახა პლანტატორმა. მისი კონსერვატიზმი საერთო სურვილმა გატეხა, — როგორც ინებებთ.

— გმადლობთ, ჯენტლმენებო, გმადლობთ! — თქვა მუსტანგერმა, — მუსტანგი ჩემი საჩუქარია, „საბედო“; და თუ მის პოინდექსტერიც დათანხმდება ამ საჩუქრის მიღებას, მაშინ ვიტყვი, რომ სამი დღის ჯაფას, რაც მის დატყვევებას მოვანდომე, ამოდ არ ჩაუვლია-მეთქი. უფრო მიუკარებელიც რომ ყოფილიყო, მაშინაც არ გამიჭირდებოდა მისი დაჭერა.

— მე ვღებულობ თქვენს საჩუქარს, სერ და დიდი მადლიერიც ვარ თქვენი, — თავისუფლად წამოდგა წინ და პირველად დაილაპარაკა ახალგაზრდა ლედიმ, — მაგრამ, — განაგრძო ლუიზამ და მუსტანგზე მიუთითა, — მგონი, თქვენი ტყვე გახედნილი არ უნდა იყოს და გაურკვეველი მომავლის მოლოდინში შიშისაგან ცახცახებს. ვაითუ ლაგამი არ მოეწონოს და წინააღმდეგობა გამიწიოს, მაშინ რა უნდა ვქნა?

— მართალია, მორის! — უთხრა მაიორმა, რომელიც ლუიზას სიტყვების ფარულ აზრს ვერ ჩასწვდა, — მის პოინდექსტერი მართალს ამბობს. მუსტანგი მართლაც გაუხედნავია, — ეს ყველასთვის ცხადია. აბა, ჩემო კარგო, გვიჩვენე შენი ოსტატობა და ცხენსაც პირველი გაკვეთილი მიეცი. ქალბატონებო და ბატონებო! — მიმართა მან საზოგადოებას, — ცხენის გახედნა ერთ ნახვად ღირს. მით უმეტეს,

მათთვის, ვისაც ასეთი რამ ჯერ არ უხილავს. აბა, მორის, მოახტი შენებურად და გვიჩვენე, რა ცხენოსანიც ხარ! ამ მუსტანგს რომ ვუყურებ, არც ისე იოლი საქმე იქნება მაგის გახედნა.

— მართალი ბრძანდებით, მაიორო: არც ისე იოლი იქნება, — წამოიძახა მორისმა და წინწკლებიან მუსტანგს კი არა, აცახცახებულ ლუიზას შეხედა, რომელმაც თავისი განცდების დასათარავად ძალა მოიკრიბა, უკან დაიხია და ხალხს შეერია.

— არა უშავს რა, — განაგრძო მორისმა დამამშვიდებელი ტონით, — თვალებიდან ცეცხლს კი აკვესებს, მაგრამ სანაძლეოს დავდებ, რომ კისერს მოვუგრეხთ. აბა, სცადეთ!

მაიორის წინადადების უარყოფას მორისის სახელის დაკარგვა მოჰყვებოდა. ამავე დროს ეს იყო მისი, როგორც ცხენოსნობაში გაწვრთნილი ხელოვნისა და მოჯირითის, სიმამაცის გამოცდა. ცხენოსნობაში სახელის მოპოვება კი ტეხასის ტრამალზე არც ისე იოლია.

თანხმობა მორისმა იმით გამოხატა, რომ უნაგირიდან სწრაფად ჩამოხტა, საკუთარი ცხენის სადავე ზებ სტუმპს გადასცა და წინწკლებიან მუსტანგს მიუახლოვდა.

ერთადერთი პირობა, რაც მორისმა მოითხოვა, ადგილის გათავისუფლება იყო, რაც იმწამსვე შეასრულეს. საზოგადოების უმრავლესობა, მათ შორის ქალები, ბანზე დაბრუნდნენ.

მორისმა დაუთრიმლავი ტყავის თასმა ქვედა ყბასა და ყურებზე ისე მოახვია ცხენს, როგორც აღვირს უკეთებენ ხოლმე, ხელში მტკიცედ დაიჭირა და ზურგზე მოექცა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა წინწკლებიან მუსტანგს ადამიანი ზურგზე შეაჯდა, მას პირველად მიაყენეს შეურაცხყოფა. გულისგამგმირავი, გაავებული ჭიხვინი აღმოხდა ველურ ფაშატს. ამით მან ყველას აგრძნობინა, რომ მონურ ყოფასა და დამცირებას ვერ შეურიგდებოდა.

ცხენი ინსტინქტურად უკანა ფეხებზე შედგა და რამდენიმე წამს ასე იყო გაჩერებული. მუსტანგერი მიუხვდა ვერაგობას და უმაღ

ორივე ხელი ყელზე შემოაჭდო. ისე მიეკრა ცხენის კისერს, თითქოს შეედუღაბაო. ასე რომ არ მოქცეულიყო, ცხენს შეეძლო ზურგზე გადაწოლილიყო და მთელი თავისი სიმძიმით გაესრისა იგი. პირველმა ხერხმა რომ არ გაუმართლა, მუსტანგმა ახლა სხვაგვარად სცადა მხედრის ჩამოგდება. მაღლა აიქნია გავა. მოჯირითისათვის ასეთ შემთხვევაში უფრო ძნელია თავის შემაგრება.

მუსტანგერმა უარი თქვა უნაგირსა და აღვირზე, რაც ძალზე გამოადგებოდა. მაგრამ უნაგირითა და აღვირის გამოყენებით ცხენის გახედნა ტრამაღზე დიდ ვაჟკაცობად არ ჩაითვლებოდა.

როცა მუსტანგი უკანა ფეხებით ტლინკების ყრას მოჰყვა, მორისი შემობრუნდა, ხელები ტანზე შემოჰხვია, ფეხები მაგრად შემოუჭირა და ასე შეიმაგრა ცხენის ზურგზე თავი. მუსტანგმა ორჯერ თუ სამჯერ ისევ აიქნია გავა, მაგრამ მხედრის გამოცდილებამ თავისი გაიტანა. დაბოლოს, თითქოს შეიგნო, ასეთი ცდა უნაყოფო არისო, გაშმაგებული პირუტყვი ადგილს მოსწყდა და წინ გაიჭრა.

ეს ნავარდი სადმე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ არა მაყურებელთა თვალწინ. სტუმრები და მასპინძლები მაინც ბანზე დარჩნენ და ცხენის მომთვინიერებელს დაუწყეს ლოდინი.

ყველა ფიქრობდა, მუსტანგერი ცხენიდან ჩამოვარდებოდა და მოკვდებოდა, ან მძიმედ მაინც დაშავდებოდა.

ერთ ადამიანს ეს გულით ეწადა; მაგრამ იყო მეორეც, რომლის სიცოცხლეს მუსტანგერის მშვიდობით დაბრუნებაზე იყო დამოკიდებული. მას რომ მოესურვებინა, ერთი „ჰოს“ თქმით უმდიდრეს, სახელოვან კაცს გაჰყვებოდა ცოლად. მაშ, რა დაემართა ლუიზა პოინდექსტერს, ლუიზიანელი შაქრის პლანტაციების მეპატრონის ამაყ და მშვენიერ ქალიშვილს, რაღა უბრალო, ღარიბ ტეხასელ მუსტანგერზე ფიქრმა და ოცნებამ გაიტაცა? როგორ შეიყვარა ახალგაზრდა კრეოლმა ქალმა მორის ჯერალდი? ეს თვით მისი გონებისთვისაც კი

მიუწვდომელი საიდუმლოება იყო. ლუიზა გამჭრიახი გონების პატრონი იყო. მაგრამ აქ მაინც უძლური აღმოჩნდა, ამოეხსნა ეს საიდუმლოება.

თუმც მთელ ქვეყანას არ ამცნობდა და თავის თავსაც უმაღავდა, მაგრამ სწორედ ასეთივე გრძნობა დაუფლებოდა ლუიზასაც.

გადამწვარ ტრამალზე გამოხედვით, სიტყვით და მოქმედებით ჩასახული გრძნობა ჩაფერფვლის ნაცვლად სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა, როცა მორისი წინწკლებიან ველურ მუსტანგზე გადამჯდარი უკან დაბრუნდა. მუსტანგი უკვე მოთვინიერებულიყო — იგი აღარ ცდილობდა მხედრის ჩამოგდებას.

— მის პოინდექსტერ! — მიმართა მუსტანგერმა, — რომელსაც ყურადღებაც არ მიუქცევია მის პატივსაცემად ატეხილი ტაშისათვის და ცხენიდან ჩამოხტა, — მინდა გთხოვოთ, მიხვიდეთ ცხენთან, კისერზე ლასო მოაბათ და საჯინიბოში წაიყვანოთ. მაშინ იგი თავის მომთვინიერებლად თქვენ ჩაგთვლით და მუდამ თქვენი მორჩილი იქნება, თუ აჩვენებთ იმას, რამაც წაართვა მას თავისუფლება.

პრანჯია ქალი თვალთმაქცობად ჩათვლიდა ამ წინადადებას და უარს იტყოდა მის შესრულებაზე, ხოლო მორცხვი, გამოუსვლელი ქალიშვილი შეშინდებოდა და უკან დაიხევდა. მაგრამ ლუიზა პოინდექსტერი უყოყმანოდ, ყოველგვარი მანჭვა-გრეხისა და შიშის გარეშე — მტკიცე ნაბიჯებით წამოვიდა წინ, ცხენის ძუისაგან დაწნული ლასო აიღო, მოთვინიერებულ მუსტანგს კისერზე გადააცვა და კასადელ კორვოს საჯინიბოში წაიყვანა.

მის ყურებში კი კვლავ ბარივით რეკდა მუსტანგერის სიტყვები, რომლებსაც მისი გული ექოსავით იმეორებდა:

„იგი თავის მომთვინიერებლად თქვენ ჩაგთვლით, მუდამ თქვენი მორჩილი იქნება, თუ აჩვენებთ იმას, რამაც წაართვა მას თავისუფლება“.

13 - პიკნიკი ტრამალზე

ვარდისფერი განთიადის პირველი სხივები ფორტ ინჯის თავზე აღმართულ დროშას შეეფრქვია. ბინდბუნდი ჯერ კიდევ არ აკრეფილიყო ოფიცერთა საცხოვრებელი სახლების წინ მდებარე მოედნიდან.

მოედნის ცენტრში პატარა საბარგო ფურგონი იდგა, რომელშიც წყვილი მექსიკური ჯორი იყო შებმული. ჯორები ყურებს აპარტყუნებდნენ, თანაც ისე მოუთმენლად ტორავდნენ მიწას და იქნევდნენ კუდებს, კაცი ადვილად მიხვდებოდა, დიდი ხანია, წასვლის მოლოდინში არიან და მოთმინება დაუკარგავთო.

იქ მნახველებიც არ იყვნენ, თუ არ ჩავთვლით შალის კოსტიუმში გამოწყობილ მამაკაცს, რომელსაც ფარფლებჩამოშვებული ქუდი ეხურა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ რიჟრაჟზე ძნელი გასარჩევი იყო მისი სახე, წამსვე იცნობდით მონადირე გებ სტუმპს. იგი იჯდა ბებერ ცხენზე, რომელსაც თავის პატრონსა და მექსიკურ ჯორებზე ნაკლებად როდი სურდა ადგილიდან დაძრულიყო.

ფურგონის გარშემო ერთი ორომტრიალი იდგა. მოფუსფუსე ადამიანები წინ და უკან დარბოდნენ სახლის კარსა და ფურგონს შორის.

დაახლოებით ათ კაცამდე იქნებოდა. სხვადასხვაგვარად ეცვათ და კანის ფერითაც განირჩეოდნენ. უმრავლესობა სხვადასხვა სახეობის ჯარების მეომარი იყო. გაცვეთილი ტანსაცმელი ეცვათ. ორი მათგანი მზარეული უნდა ყოფილიყო, ხოლო ორი ან სამი — ოფიცერთა მსახური ჯარისკაცები.

ერთი კარგად ჩაცმული ბანგი ისე მედიდურად დაალაჯებდა მათ შორის, რომ ყველაზე დიდი თანამდებობისა ის უნდა ყოფილიყო. ეს გაფხორილი ვაჟბატონი ფორტის გარნიზონის უფროსის — მაიორის სახლში გახლდათ ლაქიად. ამ ჭრელ ხალხს მეთაურობდა გემდეგი, რომელსაც მკლავზე ჩინის აღმნიშვნელი სამი ხაზი ეკერა. ფურგონი

სურსათ-სანოვაგითა და ნაირ-ნაირი სასმელებით უნდა დაეტვირთათ, ყველაფრით, რაც პიკნიკისათვის იყო საჭირო.

ეტყობოდა, ქალაქკარეთ პატარა ლხინისათვის კი არა, დიდი ნადიმისათვის ემზადებოდნენ. ფურგონში ჩააწყვეს სანოვაგით სავსე დიდი და პატარა ზომის კალათები, თორმეტი მოვერცხლილყელიანი ბოთლი, აუარებელი კონსერვი და ყავისფერი თუნუქის ყუთი. ნუგბარი სურსათ-სანოვაგისა და სასმელების სიუხვის მიუხედავად, ერთ-ერთი იქ მყოფთაგანი სამზადისით მაინც უკმაყოფილო ჩანდა. ეს იყო მოხუცი მონადირე ზებ სტუმპი.

— აქეთ მოიხედე, ზემდეგო, — მიმართა მან, ვისაც მომარაგება ჰქონდა მინდობილი, — აქ რაღაც სასმელი გვაკლია. მე ვიცი, ტრამალზე აღმოჩნდება ხალხი, რომლებიც მთელ ამ ფრანგულ შამპანურს ერთ ყლუპს სხვა უბრალო სასმელს არჩევენ.

— ერთ ყლუპს უბრალო სასმელს არჩევენ? ცხენებს გულისხმობთ?

— ეშმაკსაც წაუღია ცხენები. მე პირუტყვის სასმელზე კი არა, მონანგაჰელაზე გელაპარაკები.

— აჰ! მომაგონდა. მართალი ბრძანდებით, მისტერ სტუმპ. ვისკის დავიწყება არ შეიძლება. მგონი, სწორედ ახლა ვნახე დოქით საწყობში. კომპ! ვისკის წამოღება არ დაგავიწყდეს.

— არის, ზემდეგო! — დაიძახა შავკანიანმა მსახურმა, — აი, აქ არის, — და ამ სიტყვებით მან მოზრდილი დოქი ფურგონში ჩადო.

ამით პიკნიკისათვის მზადება, ზებ სტუმპის აზრით, დამთავრებული იყო და ახლა მოუთმენლად ელოდა ადგილიდან დაძვრას.

— მზადა ხართ თუ არა, ზემდეგო? — შეეკითხა იგი და უზანგებიდან ფეხები გამოიღო.

— ჯერ ყველაფერი არ მოგვითავებია, მისტერ სტუმპ. მზარეული ამბობს, წიწილებს გადაბრუნება უნდაო.

— ღმერთმა დასწყევლოს წიწილებიცა და მზარეულიც. რა სჯობია ტრამალის ინდაურს. მერე როგორღა მოვკლა ინდაური, მზემ ამოსვლა და ცაზე ათი მილის გავლა თუ დამასწრო. მაიორმა მითხრა,

რაც არ უნდა მოხდეს, ინდაური მოინადირეო. მზის ამოსვლის შემდეგ ეს არც ისე ადვილია. ინდაური, ზემდეგო, ფორტის ჯარისკაცით სულელი კი არაა. ტრამალის მცხოვრებთაგან ყველაზე ჭკვიანია. ინდაურზე მონადირე მზეს თან უნდა აჰყვეს, ანდა ადგომა დაასწროს კიდევ.

— მართალია, მისტერ სტუმპ, მაიორს უნდოდა გარეული ინდაურის ხორცი. სწორედ ასე მითხრა. თქვენ მეტი კი ამას ვერაფერს შეძლებს.

— ეჭვი არ მეპარება, რომ უნდა; მაგრამ თუ გინდა სადილისათვის ერთ-ერთი მათგანი მოკლა, ადრე უნდა ადგე. მე სანადიროდ დრო მესაჭიროება, წინააღმდეგ შემთხვევაში მეგზურობას ვერ დაგპირდებით. ასე რომ, ზემდეგო, თუ გინდა, თქვენი ლხინი ინდაურის ხორცმა დაამშვენოს, ბრძანება გაეცი, რომ დავიძრათ.

მონადირის სიტყვებმა ისე იმოქმედა სერჟანტზე, რაც კი შეეძლო, ყველაფერი იღონა თავის მსახურთა დასაჩქარებლად. მალე სურსათ-სანოვავით დატვირთული ფურგონი, რომელსაც წინ ზებ სტუმპი მიუძღოდა, გზას მიიკვლევდა ლეონისა და კაკლის მდინარეს შუა დაცემულ ტრამალზე.

* * *

ფურგონების წასვლის შემდეგ მოედანი დაცარიელდა, მაგრამ ოც წუთსაც არ გაეგლო, რომ იმავე ადგილზე უკვე სულ სხვაგვარად ჩაცმულმა ხალხმა იწყო თავის მოყრა.

აქ იყვნენ ცხენებზე შემსხდარი ქალბატონები. მათ მეჯინიბები არ ახლდნენ, როგორც ეს ინგლისშია მიღებული ნადირობისას, არამედ ჯენტლმენები: მეგობრები, ნაცნობები, მამები, ძმები, შეყვარებულები და ქმრები. ვინც კი პოინდექსტერთან ლხინზე იყო მიწვეული, თითქმის ყველას აქ მოეყარა თავი.

პლანტატორიც აქ იყო თავისი შვილებით — ჰენრითა და ლუიზათი. მისი დისშვილი კასიუს კოლჰაუნი ასეთ რამეს როგორ დააკლდებოდა. ლუიზა იჯდა წინწკლებიან მუსტანგზე, რომელმაც კასა

დელ კორვოში გამართული ლხინის დროს საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

საქმე ისაა, რომ ფორტის ოფიცრებმა განიზრახეს, პოინდექსტერის გულთბილი სტუმართმოყვარეობისათვის სამაგიერო მიეზღათ. მაიორი და სხვა ოფიცრები ახლა მასპინძლები იყვნენ, პლანტატორი და მისი მეგობრები — მიპატივებული სტუმრები. წვეულება სტუმრების საკადრისი ფუფუნებით რომ მოეწყოთ, პირველ რიგში, შესაფერისი ადგილისა და დროის შერჩევა იყო საჭირო. სტუმრებს სიამოვნება მოჰგვარა დიდებული სანახაობის — ველურ ცხენებზე ნადირობის — მოლოდინმა. მასპინძლებმა ეს მათ საამებლად მოიფიქრეს.

ნადირობის სარბიელად აირჩიეს ტრამალი, სადაც მუსტანგები ჯოგებად ძოვდნენ. ასეთი ადგილი ფორტ ინჯიდან სამხრეთით ოცი მილით იყო დაშორებული.

სწორედ ამიტომ შეიკრიბნენ ასე ადრინადად სტუმარ-მასპინძელნი და სურსათ-სანოვაგეც ბლომად მოიმარაგეს. როცა ლეონას კრისტალივით გამჭვირვალე წყლის ზედაპირზე მზის სხივები ალიცლიცდა, კომპანია უკვე მზად იყო გასამგზავრებლად. უკან შორიახლო დრაგუნთა ოცეულის ესკორტი მოსდევდათ. ისევე, როგორც წინწასულ ფურგონს, მასაც თავისი წინამძღოლი ჰყავდა. მაგრამ ის გახუნებულ კოსტიუმში ჩაცმულ, ფარფლებჩამოშვებულქუდიან მონადირეს როდი ჰგავდა.

— დროა, მორის! — გასძახა მაიორმა, როცა შენიშნა, რომ ყველანი შეიკრიბნენ, — ჩვენ მზადა ვართ. ქალბატონებო და ბატონებო! ამ ყმაწვილმა ზედმიწევნით იცის ველური ცხენების თვისებები და მათზე ნადირობა. თუ ტეხასში მოიძებნება ვინმე, რომელსაც შეუძლია გვაჩვენოს ველური ცხენების ქამანდით დაჭერა, ეს მორის მუსტანგერია.

— ასე ძალიან ნუ მაქვებთ, მაიორო! — უთხრა ახალგაზრდა ირლანდიელმა, — ეს გადაჭარბებულია და არც დამიმსახურებია. მე შემძლია მხოლოდ გაჩვენოთ ის ადგილი, სადაც მუსტანგები ძოვენ.

„თავმდაბალი ახალგაზრდაა“, — გაიფიქრა ლუიზამ.

— მაშ, დავიძრათ, — გასცა ბრძანება მაიორმა; მაშინვე მხიარული კომპანია მორის ჯერალდის წინამძღოლობით საპარადო მოედნიდან დაიძრა.

* * *

საუზმემდე ოცი მილის გავლა ტეხასში ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ ამბავს არა მარტო მხედრები, ცხენებიც კი არად აგდებენ. სამი საათის მგზავრობის შემდეგ დანიშნულ ადგილს მიაღწიეს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ უკანასკნელი რამდენიმე მილი საშინლად მოშეებულებმა გაიარეს.

საბედნიეროდ, სურსათ-სანოვავის ფურგონს არ დაჰკვიანებია. სანამ მზე შუბის ტარზე დადგებოდა, მხიარულმა საზოგადოებამ ნუესის ნაპირზე მდგარ უზარმაზარი კაკლის ხის ჩრდილში გაშალა სუფრა და ღრეობას შეუდგა.

გზაში საყურადღებო არაფერი მომხდარა. მუსტანგერი, როგორც მეგზური, ჩვეულებრივ, წინ მიდიოდა. საზოგადოებას, ერთი-ორი ადამიანის გამოკლებით, მისთვის არც ეცალა. უმრავლესობა მორისს მხოლოდ მაშინ ამჩნევდა, როცა ცხენოსნობაში მისი გაწაფულობისა და დახელოვნების მოწმე ხდებოდა. გზად ნაკადულებსა და ხეებს ყველა გვერდს უვლიდა. მას კი პირდაპირ მიჰყავდა თავისი ბედაური და ზედ გადაევლებოდა ხოლმე.

ისეთი ეჭვიც გამოთქვეს, თავის გამოჩენას ცდილობსო. ამის ავტორი კასიუს კოლჰაუნი იყო. სამსახურიდან გადამდგარი კაპიტანი ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მართალს ამბობდა.

თუნდაც ასე ყოფილიყო, ამას თავისი გამართლება ჰქონდა. ძნელი იქნებოდა ტეხასელი მუსტანგერის დადანაშაულება. გაიხსენეთ, რომ იგი ოც წყვილ ბრწყინვალე თვალთა არტილერიის ცეცხლქვეშ

იმყოფებოდა. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ მათ რიცხვში ლუიზა პოინდექსტერის თვალებიც იყო... ყველაფერი კარგად ასწონ-დასწონეთ და მგონი, აღარ გაგიკვირდებათ, თუ რატომ სურდა მას თავის გამოჩენა.

სხვები მასზე არანაკლებ ცდილობდნენ თავის გამოჩენას. ახალგაზრდა დრაგუნი ჰენკოკი არაერთხელ ეცადა დაემტკიცებინა, რომ ცხენოსნობაში ახალბედა არ იყო. მსროლელთა ლეგიონის ლეიტენანტი დროდადრო მიატოვებდა ხოლმე ინტენდანტის დისშვილს, რათა ცხენზე ჯდომის ხელოვნება მასაც ეჩვენებინა და როცა მოწონების ჩურჩული მისწვდებოდა მის სმენას, იგი თავისი აღიარებული სატრფოსაკენ როდი იხედებოდა.

14 - მანადა

სან ანტონიოს გერმანული სარდაფებიდან წამოღებული, ჭიქებში ჩასხმული ღვინო ჯერ ისევ ისროდა შხეფებს, როცა მოსაუბრეთა ბუბუნი მაცნედ გაგზავნილი მექსიკელი ვაკეროს ყვირილმა დაარღვია.

ნახევრად გამოთქმული გრძნობები მოქეიფეებს ამ ყვირილმა შეაწყვეტინა და მისი ადგილი მხიარულმა სიცილმა დაიჭირა.

დამქირავებელთა მიერ სუფრაზე მიწვეული მორისი ამ ხმის გაგონებაზე წამოდგა, სასმისი დაცალა, ცხენს მოახტა და დაიძახა:

— Cavallada?

— არა, — უპასუხა მექსიკელმა, — მანადა.

— ნეტავ რას ლაქლაქებენ? — დაინტერესდა კოლჰაუნი.

— მუსტენოს, მექსიკურად მუსტანგს ნიშნავს, — უპასუხა მაიორმა;

— მანადა კი ფაშატ მუსტანგებს ჰქვია. ამ დროს ფაშატები ცალკე ძოვენ თუ...

— რა თუ? — მოუთმენლად იკითხა სამსახურიდან გადამდგარმა კაპიტანმა.

— ...თუ თავს ვირები არ ესხმიან, — გულუბრყვილოდ უპასუხა მაიორმა, რამაც საექვო ხარხარი გამოიწვია.

გაუგებრობით გამოწვეულმა უხერხულობამ და ხარხარმა კოლჰაუნს სიმწრისაგან სახე შეუცვალა, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა. იგი ისეთი ადამიანი არ იყო, რომ საუბარში მომხდარ თუნდაც საბედისწერო მარცხს ადვილად შეგუებოდა.

— მართლა?! — გაბმით წარმოთქვა კოლჰაუნმა, თანაც ისე, რომ უშუალოდ არავისთვის მიუმართავს, — არ ვიცოდი, რომ ვირები ასეთ შემთხვევებში საშიშარნი იყვნენ.

ეს რომ თქვა, ლუიზა პოინდექსტერისათვის არ შეუხედავს, თორემ შეეძლო დაენახა, როგორი სიამოვნება მოჰგვარა ქალს მისმა პასუხმა. ახალგაზრდა ლედი თავისი აშკარა გულცივობის მიუხედავად, ვინმეს გონებაამხვილობაზე ალტაცებას ვერ მალავდა. გამოწკლისს არც კოლჰაუნს წარმოადგენდა ამ შემთხვევაში.

ახალგაზრდა დრაგუნი ჰენკოკი და მსროლელთა ლეგიონის ლეიტენანტი ასე როდი ფიქრობდნენ. მათ შენიშნეს, რომ ლუიზა კოლჰაუნის პასუხით ნასიამოვნები დარჩა და ოფიცრები იმ რწმენით განიმსჭვალნენ, რომ კასიუს კოლჰაუნს მოპოვებული ჰქონდა ან ახლო მომავალში მოიპოვებდა თავისი ბიძაშვილის კეთილგანწყობას. ამ ვარაუდმა ფარულად ორივეს დასწყვიტა გული, განსაკუთრებით ჰენკოკს.

ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო. მანადა ახლოვდებოდა.

— ცხენებზე, — გაისმა ყოველი მხრიდან.

ცხენებს ჯერ ჭამა არ დაემთავრებინათ და პირიდან ყვითელი სიმინდის მარცვლები მოუჩანდათ, როცა აღვირები გაუკეთეს. ტროპიკულ სიცხეში ოც მილზე ჭენებით სიარულსაც თავისი კვალი დაეტოვებინა, პირუტყვებს ოფლი არ შეშრობოდათ. სანამ კაცი ასს დაითვლიდა, ქალბატონებიცა და ჯენტლმენებიც უკვე ცხენებზე ისხდნენ მომარჯვებული მათრახებით.

იმწამსვე ველური ფაშატები სწორედ იმ ქედის თავზე გამოჩნდნენ, სადაც ცოტა ხნის წინათ მაცნე იდგა. მექსიკელი თვითონაც მუსტანგერი იყო ხელობით და ცხენზე შემჯდარი, ჯოგს შუაში მოქცეოდა, თანაც ცდილობდა, რომელიმე მათგანის კისერზე ლასო გადაეცვა. გაშმაგებული ცხენები ქშენით მოქროდნენ, თითქოს რაღაც საშინელი ურჩხული მოსდევდათ. წამდაუწუმ უკან იხედებოდნენ, წინ კი ვერც ფურგონებს ხედავდნენ და ვერც ცხენოსნებს.

— რაღაცას დაუფრთხია, — თქვა მორისმა, როცა პირუტყვების აღგზნებული რბოლა და უკან-უკან ცქერა შეამჩნია.

— რა მოხდა, კრესპინო? — გასძახა მან მექსიკელს, რომელსაც ქედიდან შეეძლო დაენახა მდევარი. პასუხის მოლოდინში ყველანი დადუმდნენ. ბევრს სახეზე დაბნეულობა და შიში აღებეჭდა: ხომ შეიძლებოდა მდევრები ინდიელები ყოფილიყვნენ!

— Un asino cimmaron! — დაიყვირა მექსიკელმა. ექსკურსანტებმა ვერაფერი გაიგეს, — Un macho! — დაუმატა შემდეგ მან.

— მეც ეგრე ვფიქრობდი! — ჩაიბურტყუნა მორისმა.

— უნდა შევაჩეროთ ეგ ცუდლუტი, თორემ ნადირობას ჩაგვიშლის. ულაცი ვირი ფაშატ მუსტანგებს რომ დაედევნება, მათ ველარაფერი შეაჩერებს. ვირი აქეთ მოდის?

— ძალიან ახლოს არის და პირდაპირ ჩემკენ მოდის.

— თუ მოახერხო, გადააცვი თავზე ქამანდი, თუ არადა, ესროლე. თავიდან უნდა მოვიშოროთ.

იქ მყოფთათვის გაურკვეველი დარჩა, თუ ვინ მოსდევდა მუსტანგებს, რადგან მხოლოდ მუსტანგერმა იცოდა, რასაც ნიშნავდა: „Un asino cimmaron“, „Un macho“.

— გაგვაცანი, მორის, საქმის ვითარება! — ბრძანა მაიორმა.

— შეხედეთ! — თქვა ახალგაზრდა ირლანდიელმა და ხელი ქედისაკენ გაიშვირა.

ყველამ გორაკისაკენ გაიხედა, საიდანაც ფრინველის სისწრაფით მოქროდა მამალი ვირი, ჩვეულებრივ, სისულელისა და სიზანტის სიმბოლოდ რომ ითვლება.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, განსხვავება Un macho-სა და მის მოშინაურებულ სახესხვაობას შორის ძალიან დიდია.

ველური მუსტანგებისოდენა იყო. და თუ მათ შორის ყველაზე სწრაფად მორბენალს ვერ გაასწრებდა, სისწრაფეში ტოლს მაინც არ დაუდებდა. მაყურებლებმა ერთმანეთისათვის ერთი-ორი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრეს, რომ ფაშატი მუსტანგები ზედ მოადგნენ.

შენიშნეს თუ არა ცხენოსნები, პირუტყვებს თითქოს დაავიწყდათ თავიანთი საშინელი მდევარი, ახლა სხვა მხარეს იბრუნეს პირი და იქით გაქუსლეს.

— ქალბატონებო და ჯენტლმენებო! — შესძახა მორისმა გარშემომყოფთა გასაგონად, — შეიმაგრეთ თავი ადგილებზე. მე ვიცი, სადაც ძოვენ ისინი და ახლა იქით მიეშურებიან. ისევ მალე წავადგებით თავზე, უკეთეს სანადირო პირობებში. ახლა თუ გამოვედევნეთ, დაგვემალებიან და ვეღარც ვიპოვით. აბა, სენიორ კრესპინო! ესროლეთ მაგ უბრდელს. ვირი ახლა სწორედ სათოფე მანძილზეა.

მექსიკელმა უნაგირიდან მოხსნა მოკლელულიანი თოფი, სწრაფად მიიბჯინა კონდახი მხარზე, დაუმიზნა და ესროლა. ვირმა სროლის ხმაზე დაიბლავლა, მაგრამ ეტყობოდა, ეს მისი მხრიდან მხოლოდ გამოწვევა იყო. ტყვია არც გაჰკარებია. კრესპინოს ნასროლმა მიზანს ვერ მიაღწია.

— მე გავაჩერებ მაგას, თორემ დაღამებამდე არ მოასვენებს მუსტანგებს, — თქვა მორისმა და დეგები შემოჰკრა ცხენს. კასტრო ისარივით მოსწყდა ადგილს; მორისი დაედევნა ვირს, რომელიც ისე მისდევდა მუსტანგებს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

მუსტანგერმა ვირს გზა წინიდან მოუჭრა. სისხლისფერმა ბედაურმა თავისი პატრონი ვირს მიუახლოვა ისეთ მანძილზე, საიდანაც ლასოს სროლა შეიძლებოდა.

ქამანდი თვალის დახამხამებაში ელვასავით დაიკლაკნა და ველური ვირის გრძელი ყურებისა და კისრისაკენ დაეშვა.

სტყორცნა თუ არა ქამანდი, მუსტანგერი შეჩერდა, სისხლისფერი ცხენი თითქოს ღერძზე შემოატრიალესო, ისე შემობრუნდა, მერე ნახევარწრე მოხაზა, დაჰყვა პატრონის ნებას და ადგილიდან მოწყვეტის მოლოდინში შეჩერდა.

ყველა დაძაბული შესცქეროდა, როცა ველური ვირი წინ გაიჭრა და დაუჭიმავე საბელი აითრია. მერე დაინახეს, პირუტყვი ყალფზე შედგა და მყისვე ბურგზე დაეცა. იგი კისერზე მოულოდნელად შემოხვეული თოკისაგან მხოლოდ დარეტიანებული და სუნთქვაშეკრული იყო. მექსიკელმა მუსტანგერმა ეს დარეტიანება საუკუნოდ უქცია, როცა პირბასრი დანით — მაჩატეთი, ყელი გამოლადრა.

ამ შემთხვევამ ნადირობის დაწყება დააყოვნა. ყველა მუსტანგერს ელოდებოდა. ის კი ცხენიდან ჩამომხტარიყო, მიწაზე გამხლართულ ცხოველს კისრიდან ლასოს ხსნიდა და ახვევდა.

მორისი უეცრად აჩქარდა და საბლის დახვევა სწრაფად განაგრძო, რაც მოულოდნელი საშიშროებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. იგი თვალის დახამხამებაში ცხენს მოახტა. ეს მხოლოდ რამდენიმე კაცმა შეამჩნია. უმრავლესობა თავის დამფრთხალ ცხენებს აოკებდა. მნახველები ვერ მიმხვდარიყვნენ, რამ გამოიწვია ტაქტიკის ასეთი უეცარი შეცვლა. ნუთუ იმან, რომ წინწკლებიან მუსტანგზე მჯდარი ლუიზა თვალის დახამხამების უმალ მოსწყდა ადგილს და დამფრთხალ მუსტანგებს დაედევნა უკან, თითქოს იმ მიზნით, რომ ყველასთვის გაესწრო?

მაგრამ ველურ ცხენებზე მონადირემ ლუიზას საქციელი სულ სხვაგვარად გაიგო: ასეთი უმიზნო გამოდევნება ახალგაზრდა ქალის განზრახვა არ უნდა ყოფილიყო. მორისმა იცნო: ეს იყო სწორედ ის ჯოგი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ წინწკლებიანი მუსტანგი ეკუთვნოდა. ამხანაგებთან შეერთების სურვილით აღგზნებული ცხოველი ახლა თავის ნებაზე მიაქროლებდა მხედარს.

ასე ფიქრობდა მორისი და მალე ეს ყველასათვის ცხადი გახდა.

სამიჯნურო ინტრიგით ამოძრავებულნი თითქმის ყველანი უკან დაედევნენ ახალგაზრდა ლედის: კოლჭაუნი, ჰენკოკი, კროსმენი, აგრეთვე ათამდე ახალგაზრდა — პლანტატორები, ვექილები და სხვები. ყოველი მათგანი ნატრობდა, რა ბედნიერება იქნება, რომ სწორედ მე დავეწიო.

მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერა გრძნობდა ამკარა საშიშროებას. ყველამ იცოდა, რომ ლუიზა პოინდექსტერი შესანიშნავი ცხენოსანი იყო. წინ იპოდრომივით სწორი ტრამალია გადაშლილი; დაე, მუსტანგმა ინავარდოს, სანამ მოეწყინება, ლუიზას მაინც ვერ გადმოაგდებს, ცხენის ჭენებამ კი რა ზიანი უნდა მოუტანოსო, ასე ფიქრობდნენ ისინი.

მხოლოდ ერთადერთი ადამიანი არ ეთანხმებოდა ამ საერთო მოსაზრებას. ეს გახლდათ მუსტანგერი, რომელმაც პირველმა გამოამჟღავნა შეშფოთება.

მორისმა უკანასკნელმა დაძრა ცხენი, იგი ლასოს დახვევამ შეაყოვნა. როცა ცხენს მოახტა, დანარჩენი მდევერებისაგან ასი ნაბიჯით იქნებოდა ჩამორჩენილი. ყველაზე წინ კოლჭაუნი მიქროდა. ეტყობოდა, იგი აღარც თავს უფრთხილდებოდა და აღარც ცხენს ზოგავდა. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ჰენკოკი და კროსმენი, შემდეგ კი „მაჩანჩალები“.

მორისმა ჯერ „ჩამორჩენილებს“ ჩაუქროლა, მერე სათითაოდ ლიდერებსაც გადაასწრო, ბოლოს კი, როცა მოხალისეთა კაპიტანიც ჩამოიტოვა, თვალი მოჰკრა, როგორ უწყალოდ სცემდა დეზებს კოლჭაუნი თავის ცხენს.

როცა წინ გაჭრილი სისხლისფერი ცხენი წინწკლებიან მუსტანგს ჩამოეთარა და კოლჭაუნმა მხედველობიდან დაკარგა თავისი მიზანი, კბილებში გინება გამოსცრა.

ტრამალზე გაუგონარი სისწრაფით მიქროდა ფაშატების ჯოგი. მათივე მსგავსი ფაშატი კი, რომლის ზურგზე ახალგაზრდა ლედი მო-
ჩანდა, ოთხასიოდე იარდით ჩამორჩენოდა მათ. ასეთივე მანძილი
ჰყოფდა წინწკლებიან მუსტანგსა და სისხლისფერ ცხენს, რომლის
ზურგზე მჯდარ თვალწარმტაც სამოსში გამოწყობილ მხედარს გუ-
ლით ეწადა დასწოდა ფაშატს. უკან სამოქალაქო და სამხედრო
ტანსაცმელში გამოწყობილი მხედრების ჯგუფი მოსდევდათ; სულ
ბოლოს კი დრაგუნთა ოცეული მოაჭენებდა ცხენებს, ახლახან რომ
მიეტოვებინა ბანოვანები და ჯენტლმენები, რომლებიც ცხენებზე კი
ისხდნენ, მაგრამ მხოლოდ ხელებს იქნევდნენ და ადგილიდან დაძ-
ვრას არც აპირებდნენ. ოცი წუთის შემდეგ სურათი შეიცვალა. სცე-
ნაზე — ამ ზურმუხტოვან ტრამალზე, იგივე პერსონაჟები დარჩნენ.
მაგრამ მათ შორის განლაგება შეცვლილიყო, ყოველ შემთხვევაში,
ისინი უფრო დიდი მანძილით დასცილებოდნენ ერთმანეთს. ფაშა-
ტების ჯოგმა წინწკლებიან მუსტანგს მოუგო მანძილი, — წინწკლები-
ანმა მუსტანგმა — სისხლისფერ ცხენს, ხოლო სისხლისფერი ქურა-
ნის მეტოქენი უკვე აღარ ჩანდნენ.

ველური ფაშატები, წინწკლებიანი მუსტანგი და სისხლისფერი
ცხენი თავიანთი მხედრებით — ესენილა დარჩნენ ტრამალზე.

15 - გაქცეულის შეპყრობა

კიდევ ერთი მილი გაირბინეს. დევნა გრძელდებოდა, მაგრამ
არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ველური ფაშატები კვლავ შე-
უსვენებლივ მიქროდნენ, მაგრამ, ეტყობოდათ, უკვე აღარაფრისა
ეშინოდათ. წინწკლებიანი მუსტანგი დროდადრო დაიჭიხვინებდა
ხოლმე, მაგრამ მისი ყოფილი თანამოძმენი ყურსაც არ იბერტყავ-
დნენ. ლუიზა უნაგირზე მშვიდად და უშიშრად იჯდა. სისხლისფერი
ბედაური გაფიცებული ჩანდა, თუმცა პატრონივით გულნატკენი მა-
ინც ვერ იქნებოდა.

— მიდი, კასტრო! — დაჰკვივლა მორისმა. მის ხმაში ოდნავი გულსწყრომაც გაისმა, — დღეს რა ეშმაკი გედება ფეხებში, სხვა დროს არ გჩვეოდა ასეთი რამ. ხომ გახსოვს, მაშინ როგორ დაეწიე, ახლა კი მხედარიც ზედ ზის; წინ გაიხედე, შე ზარმაცო... წინწკლებიანმა მუსტანგმა, მგონი, ნაბიჯს უმატა. იმიტომ ხომ არა, რომ გაწვრთნილია; ან იქნებ ცხენი უფრო სწრაფად გარბის, როცა მასზე მხედარი ზის?

მორისი თვალს არ აშორებდა ლუიზას, რომელსაც ახლა უფრო სწრაფად მიაქროლებდა წინწკლებიანი მუსტანგი. დროდადრო ვაჟი თვალით ზომავდა მანძილს, რომელიც მათ ერთმანეთისაგან ყოფდა.

ამ ხნის განმავლობაში იგი იმაზე ფიქრობდა, დაეძახა თუ არა ლუიზასათვის. მისი ძახილი ქალს შეიძლება გაეგონა, მაგრამ სიტყვებს ვერ გაარჩევდა. ამიტომაც გადაიფიქრა. ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ დაეწეოდა, თანაც იცოდა — პირუტყვის შესაჩერებლად სიტყვები კი არა, მოქმედება იყო საჭირო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მორისი თავს იტყუებდა, რომ დაეწეოდა წინწკლებიან მუსტანგს, ლასოთი კისერს მოუგრებდა და საითაც სურდა, იქით წაიყვანდა, მაგრამ თანდათან დარწმუნდა, რომ ეს მხოლოდ მისი მცდარი ვარაუდი იყო. დევნა ახლა ჭალაში გრძელდებოდა, სადაც მიდამო ხშირად ჩირგვნარით იყო დაფარული. ეს მდევარს ახალ სიძნელეს უქმნიდა. ლტოლვილი შეიძლებოდა ხშირ ჩირგვნარს შეფარებოდა და მხედველობიდან დაჰკარგოდა. ველური ფაშატები დროდადრო გამოჩნდებოდნენ ხოლმე. მალე სულ მიეფარნენ თვალს. წინწკლებიანი მუსტანგი ახლა მათ უკვე ვეღარ დაეწეოდა.

რა ელონა? ახალგაზრდა ლედი ტრამალზე დაიკარგებოდა, შამბნარში, თუ ველური ფაშატების ჯოგს შუაში მოექცეოდა, საშიშროება ამით ოდნავადაც არ მცირდებოდა.

უცებ ისეთი საშინელი რამ გაახსენდა, რომ შიშისაგან ზარდაცემულმა ესლა წამოიყვინძო:

— ღმერთო დიდებულო! ვაითუ ველური ულაყები გამოჩნდნენ! ეს გარემო ხომ მათი უსაყვარლესი ადგილია. ერთი კვირის წინაც აქ იყვნენ; სწორედ ამ თვეში იციან გაცოფება.

დებები ისე მაგრად შემოჰკრა ბედაურს, რომ დების თავები გაუსისხლიანდა. კასტრომ, რომელიც ჩიტივით მიფრინავდა, საყვედურით მოხედა პატრონს.

ამ მძიმე წუთებში ცხენმაც და მისმა პატრონმაც ველური ფაშატები მხედველობიდან დაკარგეს. ასეთივე ბედი ეწიათ წინწკლებიან მუსტანგსა და მის მხედარსაც.

ველური ფაშატების გაუჩინარებამ მაგიური ზეგავლენა მოახდინა წინწკლებიან მუსტანგზე. თითქოს მათი გაუჩინარება დევნის შეწყვეტის ნიშანი ყოფილიყო, მან ჯერ ნაბიჯს უკლო, ცოტა ხნის შემდეგ კი გაჩერდა.

მორისი გაიჭრა ტყეში განაკაფ მინდორში და ახოს შუაგულში უძრავად მდგარი წინწკლებიანი მუსტანგი დაინახა. მის მხედარს ხელში აღვირი ეჭირა და უნაგირზე მშვიდად და მოხდენილად იჯდა, თითქოს მორისის მიახლოებას ელოდებო.

— მის პონდექსტერ! — შესძახა გაოცებულმა მორისმა, როცა მისი ცხენი ხმის მისაწვდენ მანძილზე მიუახლოვდა წინწკლებიან მუსტანგს, — როგორ მიხარია, რომ იგი კვლავ თქვენი მორჩილია, მეშინოდა ვაითუ...

— რისა გეშინოდათ, სერ? — შეეკითხა ახალგაზრდა ლედი. ამ კითხვამ განაცვიფრა მუსტანგერი.

— რა თქმა უნდა, საფრთხის, რომელიც თქვენ მოგელოდათ, — უპასუხა ენის ბორძიკით.

— დიდი მადლობა, მისტერ ჯერალდ; მაგრამ არ ვიცოდი, თუ საფრთხე მელოდა.

– „არ ვიცოდი, თუ საფრთხე მელოდა“, – გაიმეორა კიდევ უფრო გაოცებულმა ირლანდიელმა, – ლტოლვილ მუსტანგზე მჯდარი, ისიც შიშველ ტრამალზე!

– მერე რა? ჩამომადგებდა? მე კარგი მხედარი ვარ, სერ.

– ვიცი, მის, მაგრამ ეს ვერ გიშველიდათ გზის გაგნებაში იქ, სადაც ადგილობრივი მკვიდრნი – ტუხასელებიც კი ვერ იკვლევინებდას.

– ოჰ, გზა რომ დამკარგოდა! ეს იყო საფრთხე?

– ესეც საშიში იყო და სხვა რამეც. ხომ შეიძლებოდა, რომ ინდიელებს გადააწყროდით...

ლედიმ ლაპარაკი აღარ აცალა.

– მერე რა? განა ჩვენ ახლა კამანჩებთან ზავი არა გვაქვს? ანდა რა უნდა ევნოთ ჩემთვის ამ მამაც და ზრდილ ადამიანებს? ყოველ შემთხვევაში, სანადიროდ რომ მოვდიოდით, მაიორმა ასე გვითხრა. ასეთ შეხვედრას არც ავარიდებდი თავს. დიდი სურვილი მაქვს, ვნახო ცხენებზე ამხედრებული, ტრამალზე მოჯირითე კეთილშობილი ველურები და არა ისეთები, ამას წინათ ახალშენში რომ ვნახე – ჩვენს ცეცხლოვან წყალს ნაზიარები, ფერდაკარგულები და მობარბაცენი.

– მე აღტაცებული ვარ თქვენი გამბედაობით, მის, მაგრამ თუ უფლებას მომცემთ, ვიყო თქვენი ერთ-ერთი მეგობართაგანი, გავკადნიერდები და გირჩევთ, მეტი სიფრთხილე გამოიჩინოთ. ის „კეთილშობილი ველურები“, როგორც თქვენ მათ უწოდეთ, ყოველთვის ფხიზლები როდი არიან საკუთარ ტრამალზეც; და არც ისეთი ზრდილობიანები და კეთილშობილები გახლავან, როგორც თქვენ მიგიჩნევიათ, მათ რომ შეხვედროდით...

– რომ შევხვედროდი და რამე გაებედათ, ყურადღებასაც არ მივაქცევდი. ცხენს მოვაბრუნებდი და ჩემი მეგობრებისაკენ გამოვაჭენებდი. არა მგონია, ამისთანა სწრაფ ცხენს დასწეოდნენ. თქვენც ხომ გამოსცადეთ, რა ძნელია მისი დაწევა?

ახალგაზრდა ირლანდიელს განცვიფრებისაგან გაუფართოვდა თვალები, რომლებშიც ახლა გაკვირვება და უნდობლობა ერთდროულად ისახებოდა.

— მაგრამ, — განაგრძო მან მცირეოდენი პაუზის შემდეგ, — თქვენ ხომ მუსტანგმა წაგართვათ სადავე და თავის ნებაზე მიგაქროლებდათ. ეს როგორ გავიგოთ?

— არა, არა! — საჩქაროდ უპასუხა ლუიზამ, რომელსაც ოდნავ დაბნეულობა დაეტყო, — ცხენმა მართლაც წამართვა სადავე, მაგრამ ეს მხოლოდ ცოტა ხნით. მერე შევნიშნე, რა ადვილად შემეძლო მისი შეჩერება და ასეც მოვიქეცი: არ დაგინახავთ?

— ადრეც შეგეძლოთ შეგეჩერებინათ? — ეშმაკური კითხვა დაუსვა მორისმა და მოუთმენლად დაელოდა, რას უპასუხებდა ქალი.

— შემეძლო, რა თქმა უნდა, შემეძლო, უფრო მაგრად რომ მომეწია აღვირი. მაგრამ ხომ ხედავთ, სერ, მე მიყვარს ნავარდი, განსაკუთრებით ტრამალზე, სადაც არ გეშინია, რომ გოჭს, შინაურ ფრინველებსა და ადამიანებს გადაეყრები.

მორისი გაკვირვებული შესცქეროდა. მისი სამშობლო განთქმული იყო მამაცი, მოჯირითე ქალებით, რომლებიც ძალზე შმაგ ცხენებზე სხდებოდნენ, მაგრამ მის წინ იდგა მხედარი ქალი, რომლის მსგავსი მას არასოდეს ენახა.

სწორედ ამ გაკვირვებამ და აღტაცებამ შეუშალა ხელი და პასუხი დააგვიანა.

— მართალი რომ ითქვას, — განაგრძო ლუიზამ მომხიბლავი უბრალოებით, — არც მიდარდია, ცხენმა რომ გამომიტაცა. ძალზე მოსაწყენია, როდესაც ადამიანს პირში ეუბნებიან ქათინაურებს. მინდოდა სუფთა ჰაერზე მარტო ვყოფილიყავი. აი, ხომ ხედავთ, მისტერ ჯერალდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა!

— მარტო ყოფნა გსურდათ? — შეეკითხა იმედგაცრუებული მუსტანგერი, — ვნანობ, რომ ასეთი სამწუხარო შეცდომა ჩავიდინე და

თქვენს მარტოობას შევუშალე ხელი. გარწმუნებთ, მის პოინდექსტერ, მხოლოდ იმიტომ დაგედევნეთ, რომ მეგონა, საფრთხე გელოდათ.

— თქვენი მხრივ, ეს დიდი კეთილშობილებაა, სერ: ახლა ვხვდები, რომ საფრთხე მართლაც იყო. დიდი მადლობელი და მოხარული ვარ, რომ დამედევნეთ. მე მგონი, სწორად გავიგე: საფრთხეში თქვენ ინდიელებს გულისხმობდით?

— არა, ნამდვილად არა, თავიდან მათზე არ მიფიქრია.

— სხვა რა? მითხარით, რომ მომავალში უფრო ფრთხილად ვიყო...

მორისმა უცებ არ უპასუხა. რაღაც ხმაური მისწვდა მის სმენას და შებრუნდა, თითქოს შეკითხვა არ გაუგონიაო.

ახალგაზრდა ლედიმ შეატყო, რომ მორისი გაფაცოცებით უსმენდა რაღაცას და თვითონაც ყური მიუგდო. რაღაც უჩვეულო გულისგამგმირავმა ხმებმა შეზარა იგი. სულ უფრო ახლოს გაისმა იგივე ხმები. ბოლოს ფლოქვების თქარათქურიც მისწვდა მის სმენას. ეს ხმები მის გარშემო ჰაერს არხევდა.

მუსტანგერი მიხვდა, საიდან მოისმოდა ეს ხმები. სიტყვებმა, რომლებიც უნებლიეთ მოსწყდა მის ტუჩებს, პირდაპირ უპასუხა ახალგაზრდა ლედის მიერ დასმულ კითხვას.

— ველური ულაყები! — შემფოთებით წარმოთქვა მან, — ვიცოდი, რომ ისინი აქ დაეხეტებოდნენ და, აი, გამოჩნდნენ კიდევ.

— ეს არის საფრთხე? ამას გულისხმობდით?

— დიახ.

— მერე რა საფრთხე მოგველის მათგან? ეგენი ხომ მუსტანგები არიან და მეტი არაფერი?

— მართალია, მაგრამ წლის ამ დროს ველური ულაყები ვეფხვებივით შმაგდებიან და დაუნდობლები ხდებიან. გაავებული ველური ცხენი უფრო საშიშია, ვიდრე მგელი, ჯიქი ან დათვი.

— რა ვქნათ? — ახალგაზრდა ქალს პირველად დაეტყო შიში. იგი მიუახლოვდა მამაკაცს, რომელმაც ერთხელ უკვე დაიხსნა განსაცდელისაგან. სახეში შეჰყურებდა მორისს და აღელვებული, პასუხს ელოდებოდა.

— თავს თუ დაგვესხმიან, — უპასუხა მორისმა, — თავის გადარჩენის ორი გზა დაგვრჩენია. პირველი — ხეზე უნდა ავიდეთ და ჩვენი ცხენები საჯიჯგნად მათ დავუტოვოთ.

— მეორე? — მხნედ შეეკითხა ლუიზა, რაც აშკარად მიუთითებდა მის გონებრივ სიღინჯზე და იმაზეც, რომ მზად იყო, შეხვედროდა ყოველგვარ განსაცდელს, — ყველაფერი მოვიმოქმედოთ, მაგრამ ცხენებს ნუ დავუტოვებთ. ეს გაჭირვებიდან არაჭეშმარიტი, უღირსი გამოსავალი იქნებოდა.

— ამის საშუალება არც გვაქვს. რაც ახლა მოგახსენეთ, ვერ შევძლებთ მის განხორციელებას. აქ ისეთი დიდი ხე არსად ჩანს, რომ შეგვიფაროს. თუ ველური ცხენები თავს დაგვესხმიან, სხვა არჩევანი არ დაგვრჩენია, ჩვენი ცხენების სისწრაფეს უნდა მივანდოთ თავი. საუბედუროდ, — განაგრძო მან და თან ორივე ცხენი გამომცდელი თვალით შეათვალიერა, — მათ დღეს ბევრი ირბინეს და ძალიანაც დაიღალნენ. სწორედ ესაა სიძნელე. ის ველური ცხენები ნამდვილად დასვენებულები იქნებიან.

— მაშ რაღას ვაგვიანებთ წასვლას?

— ჯერ არ არის საჭირო აჩქარება. რაც უფრო მეტს დაისვენებენ ჩვენი ცხენები, უმჯობესია. შეიძლება ის ველური ულაცები ჩვენკენ არც კი წამოვიდნენ; და თუ წამოვიდნენ, იქნებ თავს არც დაგვესხან. ვინ იცის, რა ხასიათზე იქნებიან იმ დროს. თუ ერთმანეთს ებრძვიან, აუცილებლად თავს დაგვესხმიან. ამ დროს ისინი გონს კარგავენ, დაუფიქრებლად გაგლეჯენ თვისტომს, თუნდაც მასზე მხედარი იჯდეს. სამწუხაროდ, ის არის, რასაც ველოდი. ერთმანეთს ებრძვიან და სწორედ აქეთ მოდიან.

— კი მაგრამ, მისტერ ჯერალდ! დროს რატომ ვკარგავთ? მოწინააღმდეგე მხარეს გავაჭენოთ ცხენები.

— ეს არ გვიშველის. იქ მოტიტვლებული ველია და თავს ვერსად შევაფარებთ. ადვილად დაგვეწევიან. ჩემი აზრით, სულ სხვა მხარეს უნდა წავიდეთ. თუ ხმების მიხედვით ვივარაუდებთ, ცხენები ახლა სწორედ იმ ადგილისაკენ მიმავალ ბილიკზე უნდა იყვნენ. თუ ავჩქარდებით, ველურ ულაცებს შევეჩხვებით და მერე მათ კბილებს თავს ველარ დავაღწევთ. უნდა მოვიცადოთ, უკან შემოვუაროთ და გავძვრეთ როგორმე. თუ ეს მოვახერხებთ და ერთი-ორი მილი გავიარეთ, მერე ერთი ადგილი ვიცი, სადაც უშიშრად შეიძლება თავის შეფარება. დარწმუნებული ხართ, რომ შეძლებთ მუსტანგის თქვენს ნებაზე ტარებას?

— სავსებით, — სწრაფად უპასუხა ახალგაზრდა ლედიმ.

16 - ველური ცხენები

უნაგირებზე ისხდნენ და ელოდნენ. ახალგაზრდა ლედი შედარებით დამშვიდებული ჩანდა. მან თავი მუსტანგერს მიანდო. ამ უკანასკნელს კი ორივეს სიცოცხლის გადასარჩენად უნდა ებრუნა და ამიტომ უფრო ღელავდა. ლუიზამ იცოდა, რომ საფრთხეში იყვნენ, მაგრამ თუ რა საშინელი საფრთხე ელოდათ, ამაზე სრული წარმოდგენა არა ჰქონდა. როცა დაინახა, მორისისთანა კაციც შიშობდა, მიხვდა, რომ მართლაც საშინელი განსაცდელი უახლოვდებოდათ. მაგრამ იმაზე ფიქრი, რომ მორისის ეს შიში ნაწილობრივ მისი სიცოცხლის საფრთხეში ყოფნით იყო გამოწვეული, სიამოვნებდა და ახარებდა.

— მგონი, ახლა კი შეიძლება დავიძრათ, — უთხრა მორისმა, როცა ერთხელ კიდევ ფრთხილად მიაყურადა, — ჩემი ვარაუდით, ის ადგილი, სადაც უნდა გავიდეთ, ცხენებმა უკვე გაიარეს. გემუდარებით, მტკიცედ იჯექით უნაგირზე. სადავე მაგრად დაიჭირეთ. ცხენი ჩემ

გვერდით ატარეთ, როცა გზა ამის საშუალებას მოგვცემს. ჩამორჩენით კი არავითარ შემთხვევაში ჩემი ცხენის კუდის სიგრძეზე მეტად არ ჩამორჩეთ. მე წინ უნდა წავიდე გზის გასაკვლევად. ისინი ამ ახოსკენ მოდიან და უკვე ნაპირს მოადგნენ კიდევ. ჩვენი გაქცევის დროა.

ტრამალზე დასადგურებული სიჩუმე უცებ ისეთმა ღრიანცელმა დაარღვია, თითქოს ეს ხმა შეშლილებით სავსე თავშესაფრიდან გამოდისო. ველური ცხენების ხვიხვინი ათჯერ მაინც უფრო ძლიერად გაისმოდა. ამას თან ერთვოდა ერთმანეთში არეული ცხენის ფლოქვების ქუხილისებური ხმა, ტოტების მტვრევისაგან გამოწვეული ბუზუნი, ტკაცანი, ლაწალუწი, გამძვინვარებული ფრთხვინვა, ფრუტუნი, ქშენა, ნეკნებსა და ბარძაყებში ჩარტყმული წიხლების ყრუ ბაგუნი; სიბრაზისა და ტკივილისაგან აღმომხდარი დრტვინვა. ყოველივე ეს ისეთ საზარელ ხმას გამოსცემდა, გეგონებოდათ, დედამიწა ზანზარებსო.

აშკარად ჩანდა, ველურ ცხენებს სისხლისმღვრელი ბრძოლა ჰქონდათ გამართული. ისინი ჯერ კიდევ არ ჩანდნენ.

დიდხანს არც დაუგვიანიათ. როგორც კი მორისმა ახალგაზრდა ლედის ადგილიდან დაძვრის ნიშანი მისცა, ჩირგვებს შორის ღია ადგილზე ველური ცხენები გამოჩნდნენ. კიდევ ერთი წამი და ისინი ახოში შემოსასვლელ ვიწრო ადგილებში მომსკდარი ზვავივით შემოიჭრებოდნენ.

ეს იყო ცოცხალ არსებათაგან შექმნილი ზვავი — ყველაფერზე ლამაზი, რაც კი ბუნებაში არსებობს. ამ შემთხვევაში ადამიანებმაც უნდა დაიხიონ და ადგილი ცხენებს დაუთმონ. არა ცივილიზებული საზოგადოების მიერ ყოველგვარ უფლებააყრილ ცხენებს, კუზიან, ფეხმოქცეულ, თავჩაქინდრულ, დალალებისა და მოჯირითე ჯენტლმენების მიერ დასახიჩრებულ პირუტყვებს, რომელთა შორის

ათასში ერთსა აქვს შერჩენილი ცხენის სახე, არამედ ველური, მწვანე ტრამალის შვილებს, რომლებიც ტრიალ მინდორზე ამოსული ყვავილივით ლაღად იბრდებიან და ვითარდებიან.

ბრწყინვალე სანახაობაა, მაგრამ ძაღვს საშიში გასართობია არა მარტო უსუსური ქალისათვის, არამედ მამაკაცისათვისაც. მით უმეტეს, თუ მაყურებელი ტრიალ ველზეა და ცხენების თავდასხმა ემუქრება.

— აქეთ! — დაიძახა მორისმა, ცხენს დეზები შემოჰკრა, გადაიხარა, რათა ირიბად გაჭრილიყო წინ და ველურ ცხენებს ზურგში მოჰქცეოდა, — შეგვნიშნეს! აბა, მარდად, მის პონინდექსტერ! გახსოვდეთ, ეს სიცოცხლისთვის ბრძოლაა.

შეხსენება არც იყო საჭირო. ველური მუსტანგების საქციელი ნათლად ადასტურებდა, რომ მხოლოდ წინწყლებიანი მუსტანგის სიმარდებზე იყო დამოკიდებული ახალგაზრდა ლედისა და თვით მუსტანგის სიცოცხლეც. ახოში რომ შემოიჭრნენ და ცხენოსნები შენიშნეს, ველურმა მუსტანგებმა ერთმანეთთან ბრძოლას თავი ანებეს. ისე უეცრად შეჩერდნენ, თითქოს გამობრძმედილი მეთაური ჰყოლოდეთ და იმას ებრძანებინოს ბრძოლის შეწყვეტა. როგორც ცხენოსანთა რაზმი ჩამწკრივდება ერთ ხაზზე და საიერიშოდ მოემზადება ბრძოლის წინ, სწორედ ისე დადგნენ ველური მუსტანგებიც. ურთიერთმტრობა დროებით შეწყვიტეს, თითქოს საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენო. წამიერი შეჩერება შესაძლოა მათმა გაცემათმა გამოიწვიო, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ლტოლვილთათვის ველური ულაყების ეს წამიერი დაყოვნებაც მისწრება იყო. იმ ოც წამში, სანამ ველური მუსტანგები გაცეებისაგან გამოერკვეოდნენ, ლტოლვილებს საშუალება მიეცათ, ზურგში მოქცეოდნენ მათ და დასდგომოდნენ ბილიკს, რომელიც ხსნის ერთადერთი გზა იყო. ველურმა ცხენებმა მათი განზრახვა შენიშნეს, იმწამსვე შემობრუნდნენ და ფრუტუნითა და ჭიხვინით უკან დაედევნენ.

დროდადრო მორისი უკან მოიხედავდა ხოლმე. მართალია, მანძილი, რაც მათ თავდაპირველად მოიგეს, არ მცირდებოდა, მაგრამ მაინც შეშფოთებული ჩანდა. მარტო რომ ყოფილიყო, ველური ცხენების გამოდევნება სასაცილოდაც არ ეყოფოდა. მან იცოდა, მისი სისხლისფერი ბედაური წინ არავის გაუშვებდა, მაგრამ წინწყლებიანმა მუსტანგმა ძალიან შეანელა ნავარდი. თითქოს გადარჩენა არც უნდოდა. სახლში დაბრუნების მოსურნე ცხენივით უკან იგრეხდა კისერს.

— რას უნდა ნიშნავდეს ეს? — ბუტბუტებდა მუსტანგური და სისხლისფერ ბედაურს თავს უკავებდა, რომ დიდი მანძილით არ გადაესწრო წინწყლებიანი მუსტანგისათვის. თუ რაიმე წინააღმდეგობამ შეგვაჩერა, დავილუპებით.

— ვინარჩუნებთ მოგებულ მანძილს? — შეეკითხა ლუიზა, როცა მისი შეშფოთება შეამჩნია.

— ჯერჯერობით, კი. საუბედუროდ, წინ დაბრკოლება გველის. ვიცი, ძალიან საზრიანი მხედარი ბრძანდებით და ძნელი დაბრკოლების გადალახვაც შეგიძლიათ, მაგრამ თქვენი ცხენი? მე აღარ მწამს მისი. თქვენ უფრო კარგად იცნობთ მას, ვიდრე მე. როგორ ფიქრობთ, შეუძლია გადაგახტუნოთ?

— რაზე, სერ?

— ახლავე დაინახავთ, უკვე ახლოს ვართ ამ ადგილთან.

ისინი მხარდამხარ მიაჭენებდნენ ცხენებს და ისე საუბრობდნენ, თანაც წუთში ერთ მილ მანძილს მაინც ფარავდნენ.

მართლაც, მალე შენიშნეს დაბრკოლება. ეს იყო პირდაღებული ნაპრალი. სიგანით თხუთმეტი ფუტი იქნებოდა, სიღრმით — უფრო მეტი, სიგრძე კი ორივე მხარეს თვალსაწიერამდე გასდევდა.

მხედრებს მარჯვნივ ან მარცხნივ რომ გადაეხვიათ, ველური მუსტანგები გზას მოუჭრიდნენ და დაეწეოდნენ.

უფსკრული ნახტომით უნდა გადაელახათ. სხვა არჩევანი არ იყო. თხუთმეტი ფუტი სიგანის გადალახვა კი არც ისე იოლი რამაა. მორისმა იცოდა, რომ მისი ბედაური ასეთ დაბრკოლებას ადვილად დაძლედა, მაგრამ წინწკლებიანი მუსტანგი?..

— როგორ ფიქრობთ, თქვენი ცხენი გადახტება მეორე ნაპირზე? — მზრუნველად ჰკითხა მუსტანგერმა ახალგაზრდა ლედის, როცა ისინი ციცაბო ნაპირს მიუახლოვდნენ.

— დარწმუნებული ვარ, გადახტება, — დარწმუნებით მიუგო ლუიზამ.

— დარწმუნებული ხართ, რომ არ ჩამოვარდებით?

— ჰა, ჰა, ჰა! — დამცინავად გადაიკისკისა ქალმა, — საოცარია, რომ ირლანდიელი ასეთ კითხვას იძლევა. დარწმუნებული ვარ, სერ, თქვენი თანამემამულე ქალი ასეთ სიტყვებს შეურაცხყოფად მიიღებდა. მეც, ჭაობიანი ლუიზიანის მკვიდრიც კი, ასეთ სიტყვებს სასიამოვნოდ ვერ ჩავთვლი. ჩამოვვარდები კი არა, ჯოჯოხეთშიც რომ ჩავიდეს, თან ჩავყვები.

— მაგრამ, მის პოინდექსტერ, — ისევ შეეპასუხა მუსტანგერი, რომელიც დარწმუნებული არ იყო წინწკლებიანი მუსტანგის შესაძლებლობაში, — თუ ოდნავ მაინც ეჭვი გეპარებათ, იქნებ მიგვეტოვებინა იგი? მე ვიცი, რომ ჩემი ცხენი მშვიდობით გადაგვიყვანს გალმა ნაპირზე. თუ მუსტანგს აქ დავტოვებთ, ალბათ ცხენების შემდგომ დევნასაც თავს დავაღწევთ.

— აქ დავტოვო ჩემი ლუნა?! აქ დავტოვო, რომ ფეხქვეშ გაქელონ და დაგლიჯონ? არა, მისტერ ჯერალდ. ჩვენ ან ერთად გადავევლებით თავს ნაპრაღს, ანდა ორივე უფსკრულში გადავიჩხებით. ჩემთვის წინწკლებიანი მუსტანგი ფასდაუდებელი საუნჯეა.

ახალგაზრდა ლედიმ მუსტანგერის გამამხნეველ მაგალითს არ დაუცადა და გაბედულად გადაეწვლო თავს ნაპრაღს.

როცა მუსტანგერმა დაინახა, როგორ გადაეწვლო ნაპრაღს ლუიზამ, თავში სამი აზრი დაებადა. უფრო კარგად რომ ვთქვათ, თავში

კი არ დაებადა, გულში აღეძრა სამი გრძნობა. პირველი იყო უბრალოდ განცვიფრება; მეორე — უდიდესი თაყვანისცემა. მესამე ასე ადვილად არ ითქმის. ეს გრძნობა მაშინ ჩაესახა, როცა ლუიზამ თქვა, ჩემთვის წინწკლებიანი მუსტანგი ფასდაუდებელი საუნჯეაო.

— რატომ? — ეკითხებოდა მორისი თავის თავს, როცა ნაპრაღზე ხტებოდა. ეს ფიქრი კასტროს მეორე ნაპირზე აღმოჩენასთან ერთად დამთავრდა.

მართალია, ნაპრაღი გადალახეს, მაგრამ განსაცდელი ამით არ მთავრდებოდა. ნაპრაღი არც ველური ცხენებისათვის იქნებოდა ძნელი დაბრკოლება. მორისმა ეს იცოდა და კვლავ არანაკლები შეშფოთებით იცქირებოდა უკან.

შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც იყო შეშფოთებული. ისედაც მცირე მანძილი და დრო, რომელიც მათ დევნის დასაწყისში მოიგეს, შეყოვნებით კიდევ უფრო შემცირდა. ველური ცხენები ახლა უფრო ახლოს იყვნენ, ვიდრე აქამდე.

მორისი წინანდებურად მხნედ აღარ გამოიყურებოდა. ეტყობოდა, რაღაცას ფიქრობდა, საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიეღო და ეს ტანჯავდა.

ნაპრაღს ჯერ კიდევ არ დასცილებოდნენ დიდი მანძილით, რომ მორისმა სადავე მოსწია და ცხენი ისე შემოატრიალა, თითქოს უკან დაბრუნება განიზრახაო.

— მის პოინტეტერ! — მიმართა მან ახალგაზრდა ლედის, რომელიც ის-ის იყო, გაუთანასწორდა, — თქვენ წინ უნდა წახვიდეთ მართლ.

— რატომ, სერ? — აღვირი მოსწია და უეცრად შეაყენა ცხენი ლუიზამ.

— თუ ერთად ვიარეთ, ველური ცხენები დაგვეწევიან. რაღაც უნდა ვიღონო, რომ ეს გაგიჟებული ჯოგი შევაჩერო. ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა. ღვთის გულისათვის, გამოკითხვას ნუ დამიწყებთ! ათი წამის შემდეგ უკვე გვიან იქნება. გაიხედეთ წინ. ხომ ხედავთ

წყლის მოლაპლაპე ზედაპირს? ეს ტრამალის პატარა ტბაა, პირდაპირ იმ მიმართულებით წადით. იქ მაღალ ცოცხალ ორღობეში ამოჰყოფთ თავს. ტბასთან ეს ორღობე ერთდება. იქ ნახავთ შესასვლელ ჭიშკარს დასახური ლატნებით. თუ მე დროზე ვერ მოვიდე, ცხენიდან ჩამოხტით და შესასვლელი ლატნებით დაკეტეთ.

– თქვენ, სერ? თქვენ რომ საფრთხეში ვარდებით?

– ჩემზე ნუ შიშობთ! მარტო უფრო გაბედულად ვიმოქმედებ! ეგ წინწყლებიანი მუსტანგი რომ არა... – ღვთის გულისათვის, იჩქარეთ! ლატნებით ჭიშკრის ჩაკეტვა არ დაგავიწყდეთ. წადით!

ერთ-ორ წამს ახალგაზრდა ქალი გაოგნებული იდგა. არ უნდოდა, მარტო დაეტოვებინა ის ადამიანი, რომელიც მისი გადარჩენისათვის საკუთარ სიცოცხლეს აგდებდა საფრთხეში. საბედნიეროდ, ის არ იყო მშიშარა ქალიშვილი, ენდობოდა თავისი მრჩევლის საზრინანობას, იცოდა, რომ დაუფიქრებელ ნაბიჯს არ გადადგამდა და სწორედ ამიტომ დატოვა იგი და ცხენი პატარა ტბის მიმართულებით გააჭენა.

იმწამსვე მორისმა ბედაური საწინააღმდეგო მიმართულებით გააქროლა ნაპრალისაკენ, რომელიც ის იყო, გადმოლახეს.

თავის თანამგზავრს რომ დასცილდა, მორისმა უნაგირის ჩანთიდან ამოიღო უშესანიშნავესი იარაღი – ეს იყო ფალიაზე ჰარტფორდის დაღიანი კოლტის სისტემის ექვსვაზნიანი რევოლვერი და არა დინის, ადამსისა და მათი ჯურის ვაჟბატონების მიერ ყალბად გაუმჯობესებული რაღაც მიმბაძველობის შედეგი.

– თუ ერთს მაინც მოვახვედრე და დავაწვინე გაღმა ნაპირზე, ეს ხელს შეუშლის სხვა მუსტანგებს გადმოხტომაში, ან შეაყოვნებს მათ იმდენად, რომ ლუიზა სამშვიდობოს იქნება გასული. წინ დიდი წაბლისფერი ულაცი მოუძღვით. ის გადმოხტება პირველი.

მუსტანგერის უკანასკნელი სიტყვები რევოლუერის ხმამ დაფარა. ველურ უღაყებში ყველაზე დიდი – წაბლისფერი დაეცა და რამდენჯერმე გადატრიალდა. მისი გვამი სწორედ ნაპრაღის პირას გაიშლართა.

ექვსიოდე მუსტანგი, რომლებიც მას ახლოს მოსდევდნენ, შედგა; შეჩერდა მთელი ჯოგიც.

მუსტანგერი იქ აღარ დარჩენილა. ისარგებლა ჯოგში შექმნილი არევდარევიტა და შეჩერებით, რაც მეთაურის სიკვდილმა გამოიწვია და მეტი ტყვია აღარ დაუხარჯავს, ცხენი დასავლეთისაკენ მოაბრუნა და დაედევნა წინწკლებიან მუსტანგს, რომელიც უკვე მოლაპლაპე პატარა ტბას უახლოვდებოდა.

მეთაურის დავარდნით გამოწვეულმა შიშმა თუ მისმა ერთადერთ გადასახტომ ადგილზე გაშლართვამ ველური ცხენები აიძულა, დევნა შეეწყვიტათ. მორისი წყნარად გამოუდგა თავის თანამგზავს და პატარა ტბის ნაპირას დაეწია. ქალს მუსტანგერის ყველა დავალება შეესრულებინა, მხოლოდ შემოსასვლელი დაეტოვებინა ღიად. ლუიზა ისევ ცხენზე იჯდა. მას უკვე აღარაფრის ეშინოდა, მაგრამ სიტყვები ვერ ეპოვა, რომ მხსნელისთვის მადლობა ეთქვა.

განსაცდელი უკვე შორს იყო.

17 - მუსტანგებისთვის დაგებული მახე

ახლა, როცა საფრთხე აღარ ემუქრებოდათ, ახალგაზრდა ლედიმ ინტერესით დაიწყო გარემოს დათვალიერება. ტბის ნაპირს ცხენის ფლოქების უამრავი ნაკვალევი აჩნდა. ეტყობოდა, ეს ველური მუსტანგების წყლის სასმელი საყვარელი ადგილი იყო.

ტბას მთლიანად მაღალი ღობე ერტყა. ორი ერთმანეთისაგან დაცილებული ცოცხალი სარების ორღობე ტრამალის სიღრმეში შორს იჭრებოდა. ტრამალის მხრიდან შემოსასვლელი ვიწრო იყო და ლატნებით იხურებოდა. საჭიროების შემთხვევაში, როცა ლატნებს

დახურავდნენ, ცხენები ველარც გარეთ გადიოდნენ და ველარც შიგნით შედიოდნენ.

— ეს რისთვისაა? — იკითხა ახალგაზრდა ლედიმ და ორღობებზე მიუთითა.

— მუსტანგებისათვის დაგებული მახეა, — უპასუხა მორისმა.

— მუსტანგებისათვის დაგებული მახე?

— დიახ, ეს კორალია. ამით ველურ ცხენებს იჭერენ. ისინი ან თვითონ მოდიან აქ წყლის დასალევად და ორღობეებში დაეხეტებიან, ანდა მუსტანგერები ერეკვებიან ხოლმე ორღობისაკენ, მერე კი ლატნებით ჭიშკარს კეტავენ. კორალში გამომწყვდეული მუსტანგების დაჭერა ლასოთი უკვე ადვილი საქმეა.

— საბრალო პირუტყვები! ეს კორალი თქვენია?

— დიახ, მაგრამ მე ამ ხერხით არ ვნადირობ. მარტო მიყვარს ნადირობა და იშვიათად თუ შევეგუები ვინმეს, ცხენების აქ შემორეკვას კი ოცი ვაცი მაინც სჭირდება. ამის გამო არ შემიძლია კორალით ვისარგებლო. ჩემი იარაღი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ მას, ეს ლასოა.

— დიდი ხელოვნებითაც ხმარობთ, არა? ასე გადმომცეს და საკუთარი თვალითაც ვნახე.

— ეგ ჩემი გადაჭარბებული შექებაა, მაგრამ ცდებით. ტრამალზე შეხვდებით მექსიკელებს, რომლებიც ისე მარჯვედ ხმარობენ მას, თითქოს ლასოსთან ერთად დაბადებულანო. რაც შეეხება ჩემსას, რასაც თქვენ ხელოვნება უწოდეთ, ისინი მოუქნელობად მიიჩნევენ.

— დარწმუნებული ხართ, მისტერ ჯერალდ, რომ თქვენი თავმდაბლობა მეტოქეების გადაჭარბებული შეფასებით არაა ნაკარნახევი? მე სრულიად საწინააღმდეგო რამ მსმენია.

— ვისგან?

— თქვენი მეგობრის, ზებულონ სტუმპისაგან.

— ჰა, ჰა! მოხუც ზებს ლასოს საქმეში ბევრი არ დაეჯერება.

— მეც მინდოდა მესწავლა ლასოს სროლა, — თქვა ახალგაზრდა ლედიმ, — მაგრამ მითხრეს, ეს ქალების საქმე არააო. ჩემი აზრით, იგი სრულიად უვნებელი რამაა და ადამიანს სიამოვნების მეტს არაფერს მიანიჭებს.

— ქალების საქმე არააო?! ჭკუმატიტად, ისრით სროლასა და ციგურებით სრიალზე უწყინარი გასართობია. მე ვიცნობ ერთ ქალს, რომელიც ლასოს სროლაში დიდადაა დახელოვნებული.

— ამერიკელია?

— არა, მექსიკელი და რიო გრანდეში ცხოვრობს. ხანდახან ესტუმრება ხოლმე ლეონის ნაპირებს. აქ მისი ნათესავები ცხოვრობენ.

— ახალგაზრდაა?

— დიახ, თქვენი ხნისა იქნება, მის პოინდექსტერ.

— მაღალია?

— თქვენზე დაბალია.

— მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო ლამაზი იქნება. გამიგონია, მექსიკელი ქალები ძალიან ლამაზები არიან და ჩვენ, ამერიკელებს, ბევრად გვჯობიანო.

— ვფიქრობ, კრეოლებს ეს არ ეხება.

— მაინტერესებს, შევძლებ ლასოს სროლას? — განაგრძო ახალგაზრდა ლედიმ ისე, თითქოს ქათინაური ვერ შენიშნაო, — უკვე პატარა აღარ ვარ. მექსიკელები ლასოს სროლას ბავშვობიდანვე სწავლობენ და ამიტომაც არიან ასე გაწაფულნი.

— თქვენ არც იმდენი ხნისა ხართ და ერთი ან ორი წლის ვარჯიშია საჭირო, რომ გამოცდილი მუსტანგერივით ისროლოთ ლასო, — წააქება მორისმა, — მე, მაგალითად, სამი წელია, ლასოს სროლა ვისწავლე და... — შეჩერდა, რომ ტრაბახში არ ჩამოერთმიათ ნათქვამი.

— და ახლა მთელ ტეხასში ყველაზე კარგად თქვენ ისვრით მას, — დაამთავრა მისი სათქმელი ქალმა.

— არა, არა! — სიცილით შეესიტყვა მორისი, — ეს ზებ სტუმპის შეცდომაა. ის ჩემს ხელოვნებას ლასოს სროლაში თავისი საკუთარი ხელოვნებით სჯის.

„თავმდაბლობაა, თუ ეს კაცი მასხრად მიგდებს?“ ფიქრობდა ქალი.

— თქვენ უეჭველად მეგობრებთან დაბრუნება გსურთ და იმიტომ სწუხხართ, — უთხრა მორისმა, როცა ქალის გაოგნებული სახე დაინახა, — მამათქვენი ალბათ შეშფოთებულია, რომ ამდენ ხანს არ ჩანხართ. თქვენი ძმა, თქვენი მამიდაშვილი...

— აჰ, დიახ! — სწრაფად უპასუხა ქალმა ისეთი ხმით, რომელშიაც წყენა და სინანული ისმოდა, — აღარც კი მახსოვდა ისინი. დიდი მადლობელი ვარ, სერ, რომ ჩემი მოვალეობა მომაგონეთ. დავბრუნდეთ!

ისევ შესხდნენ ცხენებზე. ქალმა აღვირი უხალისოდ აკრიფა, თანაც ისე გულგრილად შედგა ფეხი უზანგში, რომ ეტყობოდა, სურდა, ერთხანს კიდევ დარჩენილიყო მუსტანგების ხათანგში.

* * *

როცა ისევ ტრამალზე გავიდნენ, იმ ადგილისაკენ, სადაც პიკნიკი იყო გამართული, მორისი უმოკლესი გზით გაემართა. მათი უკან დასაბრუნებელი გზა იმ მიწის ბოლს ემთხვეოდა, „სარეველებიანი ტრამალის“ სახელით რომაა ცნობილი ტეხასში. ეს ადგილი ასე მონათლეს იმ ახალმოსახლეებმა, რომლებსაც სახელების დარქმევაში ბევრი არაფერი გაეგებოდათ.

ახალგაზრდა ლუიზიანელი ლედის თვალწინ გადაიშალა მრავალფეროვანი ყვავილებით მოფენილი ვრცელი ბაღნარი, რომლის ერთი ბოლო ცის ლურჯ თავს ებჯინებოდა.

ამ სანახაობის ხილვა ძალიან დაბალი გემოვნების ადამიანსაც კი გაათაქიბებდა. მე თვითონ ვიცნობდი ერთ უბირ მონადირეს, რომელიც საერთო სილამაზეს ვერ ამჩნევდა. იგი შეჩერდებოდა ხოლმე „სარეველებიანი ტრამალის“ შუაგულში. ყვავილები მკერდამდე

სცემდა. დიდხანს გასცქეროდა თვალისმომჭრელი თაიგულების რხევას, შემდეგ მდუმარედ განაგრძობდა გზას და ამ დროს იგი უფრო მგრძნობიარე ხდებოდა ყველას მიმართ.

— რა ლამაზია აქაურობა! — წამოიძახა აღფრთოვანებულმა ახალგაზრდა ლედიმ და ცხენი უნებლიეთ შეაყენა.

— მოგწონთ ეს ველური ბაღი, მის პოინდექსტერ?

— მომწონს? აქ რაღაც უფრო მეტია, თუ შეიძლება ასე ითქვას, სერ. ისეთს ვერაფერს ინატრებ, რომ ეს სურათი შეავსო, — სრულყოფილი ბაღნარია!

— გარდა სახლებისა, არა?

— ჩემი აზრით, ისინი მხოლოდ ხედს გააფუჭებდნენ. მიყვარს, როცა ბუნების წიაღში არ ჩანს სახლი, ხეებს შორის გამოჩრილი ბუხრით ან კრამიტის სახურავით, მე შემიძლია ვიცხოვრო ხეების ჩრდილქვეშ, დიახ, სწორედ ხეების ჩრდილქვეშ მინდა ვიცხოვრო და...

სიტყვა „მიყვარდეს“ იწვევდა წინ მის ფიქრებში. ეს სიტყვა ჰქონდა ენის წვერზეც მომდგარი, მაგრამ მარჯვედ შეიკავა თავი და სრულიად სხვა მნიშვნელობის სიტყვით „მოვკვდე“-თი შეცვალა იგი.

მუსტანგერის პასუხი ცივად და პროზაულად მოგეჩვენებოდათ.

— ვშიშობ, მის, ასეთი მარტივი ცხოვრება ჩქარა მოგებზრდებოდათ უსახლკაროდ, საზოგადოების გარეშე...

— თქვენ, სერ? რატომ თქვენ არ მოგებზრდათ? თუ მე სწორად ვარ ინფორმირებული მისტერ ზებულონ სტუმპისაგან, თქვენ რამდენიმე წელია, ასე ცხოვრობთ. ასეა, არა?

— მართალია. მე სხვა მოწოდება არცა მაქვს.

— როგორ მინდა, მეც შემეძლოს, იგივე ვთქვა. მე მშურს თქვენი! დარწმუნებული ვარ, სამუდამოდ რომ აქ მეცხოვრა, მხიარული და კმაყოფილი ვიქნებოდი.

— მართო? მეგობრების გარეშე? უთავშესაფროდ?

— მე ეგ არ მითქვამს, მაგრამ თქვენ ხომ არ გითქვამთ, როგორ ცხოვრობთ? გაქვთ თუ არა სახლი?

— სახლი? იგი ასეთ მყვირალა სახელს არ იმსახურებს, — სიცლით უთხრა მუსტანგერმა, — ქოხი შეიძლება უფრო უწოდო, რასაც ჩემი ჯაკალე წარმოადგენს. იგი ყველაზე უპრეტენზიოა ჩვენს მხარეში.

— სად არის? ახლოა იმ ადგილებთან, დღეს რომ ვიყავით?

— აქედან შორს არაა. ერთი მილი იქნება. დასავლეთით, აი, იმ ხის კენჭერობს ხედავთ? აი, ისინი იცავენ მზისა და ქარისაგან ჩემს ქოხს.

— როგორ მინდა, ერთი შევხედო მაინც! უბრალო ქოხიაო, ასე თქვით, არა?

— დიახ, ასე მოგახსენეთ.

— განცალკევებულად დგას, არა?

— ათი მილის მანძილზე ახლომახლო არც ერთი სახლი არ მეგულება.

— ხეებს შორის ჩამდგარი და თვალწარმტაცია, არა?

— ეს დამოკიდებულია თვალზე და ვის როგორ მოეწონება.

— მე მინდოდა მენახა და მერე განმესაჯა, როგორია. იქამდე მხოლოდ ერთი მილია, როგორც თქვით, არა?

— ერთი მილი იქით, ერთი მილიც უკან — სულ ორი იქნება.

— ეგ არაფერია, სულ ოც წუთს მოვუნდებით.

— მე მგონი, თქვენიანებს მოთმინება დაეკარგებათ.

— მაპატიეთ, მაგრამ სტუმართმოყვარე ვერ ბრძანებულხართ, მისტერ ჯერალდ! — თქვა ქალმა და მის სახეს უცბად წყენის ჩრდილმა გადაურბინა, — მე მაგაზე არ მიფიქრია, — თქვენ მგონი, მარტო არ უნდა ცხოვრობდეთ. თქვენს ჯაკალეში, როგორც თვითონ უწოდებთ მას, სხვა წევრიც უნდა იყოს.

— დიახ, მე მარტო არ ვცხოვრობ. იმ დღიდანვე, რაც იქ ჩავსახლდი, ჩემთან ცხოვრობს...

ქალს წყენა ახლა უფრო ნათლად დაეტყო.

სანამ მუსტანგერი თავის სათქმელს დაამთავრებდა, მისმა მსმენელმა უკვე წარმოიდგინა, ვისაც აღწერდა მორისი. ეს იქნებოდა მისი ხნოვანების ახალგაზრდა ქალი, მოწაბლისფრო კანით, ნუშისებრი თვალის ჭრილით, გამოკვეთილი მახვილი ცხვირით, მარგალიტივით კრიალა კბილებით, მოვარდისფრო ლოყებით, კასტროს ძუის მსგავსი თმით; მძივებითა და სამაჯურებით შემკული; საგულდაგულოდ მოქარგული ქვედატანით, პატარა ფეხებზე მორგებული მოკასინებითა და შემოტმასნილი ფოჩებიანი პაჭიჭებით. ასეთი ტანსაცმლითა და სამკაულებით უნდა ყოფილიყო მორთული, ლუიზას აზრით, მუსტანგერის ქოხში მცხოვრები მეორე ადამიანი, რომელიც უეცრად წარმოისახა მის წარმოდგენაში.

— თქვენი ჯაკალეს მეორე ბინადარს იქნებ არ ესიამოვნოს სტუმარი, განსაკუთრებით — უცხო?

— პირიქით, ის ყოველთვის მოხარულია სტუმრების ნახვისა, ხოლო უცნობი იქნება იგი თუ ნაცნობი, მისთვის სულერთია. ჩემი ძიძისშვილი საზოგადოებას თავს არ არიდებს, მაგრამ ამ ბოლო დროს ბევრს ვერავის ხვდება.

— თქვენი ძიძისშვილი?

— დიახ, ფელიმ ონილი, ჩემი არ იყოს, ზურმუხტოვანი კუნძულის, გოლუეის საგრაფოს მკვიდრია, ოღონდ ჩემზე ბევრად უკეთესი აქცენტი აქვს.

— ოჰ! ირლანდიურად ლაპარაკობს? იცით, როგორ მიყვარს, როცა გოლუეის მკვიდრნი ლაპარაკობენ! გამიგონია, ყველაზე მრავალფეროვანი დიალექტიაო, ხომ ასეა, მისტერ ჯერალდ?

— თვითონ იქაური ვარ და ჩემთვის ძნელია განსჯა, მაგრამ თუ ფელიმის სტუმართმოყვარეობით ისარგებლებთ, თუნდაც ნახევარი საათით, ეჭვსგარეშეა, მისი მოსმენის შემდეგ შესაძლებლობა გექნებათ, საკუთარი აზრი იქონიოთ ამ დიალექტზე.

— ძალიან მესიამოვნება. ეს ჩემთვის სრულიად ახალი სამყაროა. დაე, მამამ და სხვებმაც მოითმინონ. იქ ქალები ჩემ გარდა საკმარისად დარჩნენ. ანდა ჩვენი კვალის ძეხნით გაერთონ. ეს უფრო საინტერესოა, ვიდრე მუსტანგებზე აღთქმული ნადირობა. სერ, მე მზად ვარ, თქვენი სტუმართმოყვარეობით ვისარგებლო.

— ვშიშობ, ვერაფრით გაგიმასპინძლებით. ფელიმი რამდენიმე დღეა, მარტოა და რადგან იგი არ ნადირობს, ალბათ საკუჭნოც ცარიელი ექნება. ბედი გქონიათ, რომ საუბმე მოასწარით.

* * *

ლუიზამ ინახულა ალამოს ნაპირზე მარტოდმარტო მდგარი ქობი. შიგნით შევიდა და მოჩვენებითი ინტერესით დაწვრილებით დაათვალიერა მუსტანგერისა და ფელიმის კერა. როცა ქობში შენიშნა წიგნები, საწერ-კალამი, მელანი, ქაღალდები და სხვა ისეთი ნივთები, რომლებიც მუსტანგერის განათლებაზე მიუთითებდნენ, ძალზე ესიამოვნა. მოჩვენებითი კმაყოფილებით ისმენდა ფელიმის ლაპარაკს, რომელსაც მან მშვენიერი უწოდა. ლუიზამ ანგარიში გაუწია ფელიმის სტუმართმოყვარეობას და თავმდაბლად გასინჯა ყოველივე, რაც კი შესთავაზეს, გარდა იმ „სასიამოვნო“ სითხისა, რაზედაც ყველაზე მეტს ეხვეწნენ — დალიეო. დაბოლოს, მხიარულმა და კარგ ხასიათზე მყოფმა დატოვა მათი კერა.

მაგრამ მისი მხიარულება ხანმოკლე აღმოჩნდა. როცა „სარეველებიანი ტრამალი“ უკანვე გადმოსერეს, მას დრო ჰქონდა, ყველაფერზე ეფიქრა, აეწონ-დაეწონა და გონებაში სხვადასხვანაირად შეემოწმებინა.

ლუიზა არ ნანობდა იმას, რომ იგი არასწორად მოექცა მამას, ძმას და მეგობრებს, როცა დროზე არ აცნობა, გადავრჩი და ჯანმრთელად ვარო. არც იმაზე წუხდა, რომ მის მოქმედებას ქალიშვილისათვის საძრახ საქმედ და ქარაფშუტობად ჩათვლიდნენ. ღრუბელი, რომელმაც მისი გაცისკროვნებული სახე დანისლა, უფრო მტანჯველი მიზეზით იყო გამოწვეული: მთელი დღის განმავლობაში

– ფორტიდან ტრამალამდე მოგზაურობის დროს, მის ლტოლვილ ცხენს რომ დაეწია, ულაცი მუსტანგები რომ დაედევნენ და მისი ერთადერთი დამცველი მორისი იყო, ტბის ნაპირზე საუბრისას, „სარველებიანი ტრამალის“ გადმოლახვის დროს, თავის ჭერქვეშ, ყველგან, სადაც კი იმ დღეს ერთად იყვნენ, ლუიზას თანამგზავრი თავაზიანად იქცეოდა – როგორც ჯენტლმენი და მეტი არაფერი.

18 - ეჭვის კვალზე

იმ ორმოციოდე მხედრიდან, რომლებიც ლტოლვილ წინწკლებიან მუსტანგს დაედევნენ, მხოლოდ რამდენიმე მიჰყვა შორამდე. როცა ველური ფაშატები, წინწკლებიანი მუსტანგი და მუსტანგერი თვალს მიეფარნენ, მდევრებმა მხედველობიდან ერთმანეთიც დაკარგეს. ცოტა ხნის შემდეგ ისინი ორ-ორნი, სამ-სამნი და მარტოდ-მარტონიც კი დახეტილობდნენ ტრამალზე. ბევრ მათგანს არაფერი გაეგებოდა კვალში ჩადგომისა, ვერც იმას არჩევდნენ, ნაკვალევი ახალი იყო თუ ძველი, და მას აღმა-დაღმა მიჰყვებოდნენ.

დრაგუნთა ესკორტმაც, ახალგაზრდა ოფიცრის მეთაურობით, რომელსაც სამხედრო სასწავლებელი ვესტ პოინტში ახლახან დაემთავრებინა, დაკარგა კვალი და იმავე მანადის ძველ ნაფეხურებს სრულიად სხვა მიმართულებით გაჰყვა. სტუმრების უმრავლესობაც მათ დაედევნა.

მხოლოდ ერთი მათგანი მიიკვლევდა გზას სწორი მიმართულებით — იგი განმარტოებით დიდ ძლიერ წაბლისფერ ცხენზე ამხედრებულიყო; მართალია, მისი ცხენი შესახედავად ბევრი ვერაფერი შვილი გახლდათ, მაგრამ ამტანი და სწრაფი იყო. ლურჯი, ნახევრად სამხედრო ყაიდაზე შეკერილი პიჯაკი და ამავე ფერის კეპი, რომელთაც ჩვეულებრივ ატარებდა, მოწმობდა, რომ ეს მხედარი კასიუს კოლჰაუნი უნდა ყოფილიყო. იგი მათრახითა და დეზებით ამხნევებდა ცხენს, რათა დაუზოგავად ერბინა. თვითონ კი მწველი ფიქრები

სტანჯავდა. მშვიერი მეძებარივით წაეგრძელებინა კისერი, ნაკვალევს დაშტერებოდა და იმედი ჰქონდა, რომ თავისი გულმოდგინების შედეგად სათანადო ჯილდოს მიიღებდა.

თუ რა მოჰყვებოდა ამას, საბოლოოდ, თვითონაც არ იცოდა, მაგრამ დროა დრო ბუდეებიდან ამოჩრილ რევოლვერებს ისე შეავლებდა ხოლმე თვალს, რომ თავის ავისმომასწავებელ ბრახვებს ამჟღავნებდა.

კოლჰაუნსაც სხვებსავით დაებნეოდა გზა, მაგრამ ერთი გარემოება დაეხმარა. სხვებთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მისთვის კარგად ცნობილი ცხენების ნაკვალევს მისდევდა. კოლჰაუნს ნათლად ახსოვდა ამ ორ ცხენს შორის შედარებით მობრძილი ფლოქვების ნაკვალევი, რომელიც პირველად გადამწვარი ტრამალის ფერფლზე იხილა. რაღაც შეუცნობმა ინსტინქტმა უკარნახა მაშინ, დაემახსოვრებინა ეს ნაკვალევი და ახლა ადვილად არჩევდა მას.

კოლჰაუნი მალე ჭალაში შევიდა და იმ ახლში ამოყო თავი, სადაც წინწკლებიანი მუსტანგი ისე ანაზდად შეჩერდა. აქამდე გეზის აღებაში ადვილად და სწორად ერკვეოდა. აქ კი, ახლში, კოლჰაუნი უკვე დაიბნა. ველური მუსტანგების ნაფლოქვარზე წინწკლებიანი მუსტანგისა და მუსტანგერის ბედაურის ნაკვალევი ისევ მოჩანდა, მაგრამ ამ ადგილზე მათ ჭენებით აღარ ევლოთ.

აქ ორი ცხენი შეჩერებულიყო და ერთმანეთს ამოსდგომოდნენ გვერდში.

ველური ფაშატების ნაკვალევთა შორის ნალების ანაბეჭდი აღარ მოჩანდა. და არა მარტო იქ, საერთოდ, აღარსად შეინიშნებოდა დაჭედილი ცხენების ნაფლოქვარი. მიწა მყარი და წვრილი კენჭებით იყო მოფენილი. აქ მხოლოდ მონავარდე ცხენს შეეძლო კვალის დატოვება. ნელი ნაბიჯით მოსიარულე ცხენი წვრილი კენჭებით მოფენილ მყარ ნიადაგს ვერაფერს დააკლებდა.

მოთმინებადაკარგულ მადევარს თავგზა აებნა. იგი ველური ცხენების ნაკვალევს უკირკიტებდა და გარშემო უვლიდა, მაგრამ ამაოდ. ვერ იქნა და ვერ აღმოაჩინა ის გზა, რომლითაც დაჭედილი ცხენები წასულიყვნენ.

კოლჰაუნის გაოცება ახლა ძლიერმა შეშფოთებამ დაჩრდილა. სწორედ ამ დროს მისი უსიამოვნო ფიქრები მარტოდმარტო მომავალი მხედრის გამოჩენამ შეწყვიტა.

ეს მარტოდმარტო მომავალი მხედარი უცნობი არ იყო მისთვის. მისი უზარმაზარი სხეული, უხეში სამოსი, გრძელი წვერი და ზორზობი ცხენი, რომელსაც ადამიანი ასი მილის მანძილზეც კი გაარჩევდა, კარგა ხნის წინათაც ენახა კოლჰაუნს. ისინი ჯერ კიდევ მანამდე იცნობდნენ ერთმანეთს, სანამ ტეხასის ტრამალზე დაადგამდნენ ფეხს.

— რაო, ვერ მიაგენით ახალგაზრდა ლედის კვალს, მისტერ კოლჰაუნ? — ჰკითხა მოახლოებულმა მონადირემ მისთვის უჩვეულო თანაგრძნობით და როცა კოლჰაუნის მოღუშულ სახეს შეხედა, თვითონვე გამოიტანა დასკვნა, — დასწყევლოს ეშმკმა! რა უნდა დამართოდა? ნუთუ ლუიზასავით მარჯვე ცხენოსანს ის წყველი მუსტანგი სადავეს წაართმევდა? მაგრამ რაიმე დიდი ხიფათი მაინც არ შეემთხვეოდა. მუსტანგერი დაეწევა და თავისი ლასოთი ისევ მოუგრებს კისერს წინწკლებიან მუსტანგს. აქ რატომ შეჩერებულხართ?

— საგონებელში ვარ ჩავარდნილი. ვერ გამირკვევია, საით წავიდნენ. მათი ნაკვალევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ შეჩერებულან. შემდეგ კი რომელი მიმართულებით წასულან, ეს ველარ გამიგია.

— დიახ! მართალი ხართ, მისტერ კასიუს! ისინი აქ შეჩერებულან და ერთმანეთის ახლოსაც მდგარან. ველური ფაშატების კვალს აღარ გაჰყოლიან. ნამდვილად ასეა. საით უნდა წასულიყვნენ? — ზებსტუმპმა ყურადღებით მოათვალიერა ყოველი გოჯი, თითქოს პასუხს კასიუს კოლჰაუნისაგან კი არა, მიწისაგან ელოდა.

– ვერსად ვერ შევნიშნე მათი ნაკვალევი, – უპასუხა ყოფილმა კაპიტანმა.

– ვერ შენიშნეთ? მე კი შევნიშნე, აი, ნახეთ! ხედავთ, ბალახი ებრაელის სიფათზე მიჭყლეტილი ცხვირივით რომაა გასრესილი, სწორედ ესაა დიდი ფლოქვის ნაკვალევი; აი, მის გვერდით პატარაც. აი, გზა, საითაც წასულან, ეს კი იმას ამტკიცებს, რომ აქედან ისინი ფაშატებს აღარ გამოდევნებინან. გავყვეთ ნაკვალევს?

– რა თქმა უნდა!

ზებს აღარაფერი უთქვამს, ისე დაადგა ახალ ნაკვალევს.

მალე მისმა თანამგზავრმაც გაარჩია ნაკვალევი. ეს იყო ადგილი, საიდანაც ლუიზა და მორისი ჭენებით გაეცალნენ ულაც მუსტანგებს. ცხენის ფლოქვები აქ ღრმად დასჩენოდა მიწას.

ნაკვალევი ისევ გაქრა, თუმცა გამოცდილი და საზრიანი მეგზურისათვის, ზებ სტუმპისთვის – არა. ასეული ფლოქვის ნაკვალევში შეეძლო ამოეცნო დაჭედილი ცხენის ნაფეხური.

– ერიჰა! – დაიყვირა ახალი აღმოჩენით განცვიფრებულმა მონადირემ, – ეს რა მომხდარა? პირდაპირ საოცრებაა!

– ეს ხომ ველური ფაშატების ნაკვალევია და მეტი არაფერი! – გაეპასუხა კოლჰაუნი, – როგორც ჩანს, მათ წრიულად უვლიათ და უკანვე დაბრუნებულან.

– თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ იმათ გაუსწრიათ ველური ფაშატებისათვის და მგონი, მდევრებს ადგილი შეუცვლიათ.

– რას გულისხმობთ ადგილის შეცვლაში, მისტერ სტუმპ?

– იმას, რომ ახლა თვითონ ველური ფაშატები მისდევნენ ცხენოსნებს უკან.

– საიდან ასკვნით ამას?

– მათი ცხენების ნაკვალევი ველური ფაშატების ნაფეხურით არის გაქელილი! მაგრამ ეს ფაშატი მუსტანგების ფლოქვების კვალს არ ჰგავს. ეს როგორღაც უფრო დიდი ფლოქვების კვალია. იოსაფატ! ეს ხომ ულაცი მუსტანგების ნაკვალევია! ღმერთო, ნუთუ...

— რა ნუთუ?

— ნუთუ წინწკლებიან მუსტანგს დაედევნენ? მაშ მის პოინდექსტერი განსაცდელში ჩავარდნილა. აბა, მომყევით!

მოხუც მონადირეს პასუხისთვის არ დაუცდია, ისე გასწია წინ უშნო ჩორთით. კოლჭაუნი უკან დაედევნა და ცდილობდა, მისთვის გაუგებარი სიტყვები აეხსენებინა.

ზებ სტუმპმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია კოლჭაუნის შეკითხვებს, თავისი საქციელის გამო ბოდიშის ღირსადაც არ გახადა, მხოლოდ ხელი ჩაიქნია და ამით ალბათ ანიშნა: „ნუ მაწუხებ, ახლა შენთვის არა მცალიაო“.

როცა ზებ სტუმპი ნაპრალს ასი იარდით მიუახლოვდა, სახიდან მოწყენის ჩრდილი გაუქრა, ცხენი შეაჩერა და მხოლოდ ახლაღა გახდა კოლჭაუნი ახსნა-განმარტების ღირსი.

— ოჰ! მაშ ეს იყო საფრთხე? — წამოიძახა კოლჭაუნმა, — საიდან იცით, რომ გადარჩნენ?

— აი, შეხედეთ!

— მკვდარი ცხენი! ჩანს, ახლახანს მოუკლავთ; მერე, რას ნიშნავს ეს?

— იმას, რომ მუსტანგერმა მოკლა ის.

— და, თქვენი აზრით, ამის სიკვდილმა შეაშინა დანარჩენები და დევნა შეწყვიტეს?

— დევნა აქ შეუწყვეტიათ, მაგრამ არა შიშის გამო, მოკლული ცხენის გვამს შეუშლია ხელი.

— თქვენი აზრით, ამ ნაპრალზე გადახტნენ? ეს შეუძლებელია, — აღმოხდა კოლჭაუნს.

— გადახტნენ ისევე უვნებლად, როგორც თოფის ჭექის ხმა გადავა ამ ნაპრალის გაღმა ნაპირზე. ვერა ხედავთ იქ მათ ნაკვალევს? მისს პოინდექსტერი პირველი გადამხტარა! იოსაფატ! ოჰ, რა გოგოა! ორივენი მანამდე გადამხტარან, სანამ ამ ულაცს მოკლავდა მუსტანგერი, აქ სხვა ადგილას შეუძლებელია გადახტომა. ყოჩაღ,

მუსტანგერ! ულაცი სწორედ ნაპრალის ვიწრო ყელთან დაუწვინა და გზა ჩაუხერგავს.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ის და ჩემი ბიძაშვილი ერთად გადახტნენ?

— ერთად არა, — დაიწყო ზებმა, რომელმაც შეკითხვის მიზეზს ალღო ვერ აუღო, — წინწკლებიანი მუსტანგი პირველად გადამხტარა. რაც შეეხება ველურ ულაციებს, არც ერთი მათგანი მეორე ნაპირზე არ გადამხტარა. მე უკვე ვხვდები, როგორ მომხდარა ყოველივე. მუსტანგერი გადამხტარა და ტყვია ამ ულაციისთვის დაუხლია. ეს იგივეა, თავი სადმე შეათარო და კარი მაგრად ჩაიკეტო. ალბათ ულაციებმა მეთაურის სიკვდილი დაინახეს და უკუიქცნენ. აი, გზაც ნაპრალის პირას, საიდანაც გაქცეულან.

— მერედა, ველურ ულაციებს არ შეეძლოთ, ნაპრალი სხვა ადგილას გადაელახათ და დევნა განეგრძოთ?

— ასეთ შემთხვევაში მათ ათი მილის გარბენა მოუწევდათ. ხუთი წინ და ხუთი უკან, რომ ამავე ადგილას მოსულიყვნენ, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა, მისტერ კოლჰაუნ. ნულარ ღელავთ, ისინი ველარ დაედევნებინ მის ლუიზას. ნაპრალზე გადახტომის შემდეგ იგი მშვიდად გაჰყვებოდა გვერდით მუსტანგერს. ალბათ წყვილი ბატკანივით მიდიოდნენ. აღარავითარი ხიფათი აღარ მოელოთ. ახლა უკვე იქ იქნებიან, სადაც საჭმელ-სასმელით დატვირთული ფურგონები დგანან.

— წავიდეთ! — დაიყვირა კოლჰაუნმა.

— ძალიან ნუ აჩქარდებით, გეთაყვა, — უთხრა სტუმპმა, იგი ნელა ჩამოვიდა ცხენიდან და ქარქაშიდან დანა ამოიღო, — მე მხოლოდ იმას გთხოვთ, ერთი ათი წუთით მომიცადოთ.

— მოგიცადოთ?! რისთვის? — გულფიცხად იკითხა კოლჰაუნმა.

— ეს ულაცი უნდა გავატყავო. უმაღლესი ხარისხის ტყავი ახალშენში ხუთ დოლარად მაინც გაიყიდება. ხუთ დოლარს კი ტრამალზე ყოველდღე ვერ იპოვი.

— ღმერთმა დასწყევლოს მაგ ტყავის მომგონი! — გაბრაზებით წამოიძახა ფიცხმა სამხრეთელმა, — მაგას თავი მიანებეთ და წამოდით.

— არაფრის დიდებით! — ცივად მოუჭრა მონადირემ, თან თავისი მახვილი დანის წვერით გაშხლართულ ულაცს მუცელი გაუფატრა, — თქვენ თუ გინდათ, დაბრუნდით, მისტერ კოლჰაუნ; გებ სტუმპი აქედან ფეხს მანამ არ მოიცვლის, სანამ ულაცის ტყავს თავის ცხენს არ აჭკიდებს.

— წამოდით, გებ, თქვენ ხომ იცით, რომ მე მარტო გზას ვერ გავიგნებ.

— ამას მართალს ამბობთ. არც მითქვამს, გზას გაიგნებთ-მეთქი.

— გამიგონეთ, ჯიუტო მოხუცო! დრო ახლა ჩემთვის ძალზე ძვირფასია. მაგის გატყავებას კი ნახევარ საათს მოუნდებით.

— ოც წუთსაც არ მოვანდომებ.

— თუნდაც ოცი წუთი იყოს. ახლა ოცი წუთი ჩემთვის ხუთ დოლარზე უფრო ძვირფასია. თქვენ ხომ თქვით, ეს ტყავი ხუთი დოლარი ღირსო. დაანებეთ თავი და მე აგინაზღაურებთ ამ თანხას.

— ამინაზღაურებთ? ეს რაღაც გაუგებარი დიდსულოვნებაა, მაგრამ მაგ წინადადებას ვერ მივიღებ. ეს, ჩემი მხრივ, ვერაგი სურვილი იქნებოდა. იმაზე უფრო ვერაგი სურვილი, ვიდრე ეს ღიპიან მექსიკელს მოუვა თავში. როგორ მივიღო ფული იმ საქმეში, რაც არ გამიკეთებია, მით უმეტეს, თქვენ ჩემთვის უცნობი არა ხართ და ერთი გზითაც უნდა წავიდეთ. ხოლო მეორე მხრივ, არ შემიძლია ხუთ დოლარად ღირებული ცხენის ტყავი ფუტურო ხესავით დასაღპობად გაეწირო. სხვა რომ არა იყოს რა, სვავები და კოიოტები დაგლეჯენ და დაძიძნიან.

— ძალიან დასანანია, მაგრამ მე რა უნდა ვქნა?

— ძალიან გეჩქარებათ? ვწუხვარ, რომ ვერ გამოგყვებით. მაგრამ მოიცაო! რაღა მე დამიცადლოთ, გზას უჩემოდაც გაიგნებთ. იმ ხის კენწეროს ხომ ხედავთ? შორს, ცის თალი რომ დაბლა ეშვება. იქ მაღალი ჩინარი დგას, ხედავთ?

— ვხედავ.

— ჰოდა, თავისუფლად შეგიძლიათ უჩემოდ დაბრუნება. ჩინარს გვერდით ჩაუვლით და კვლავ ველური ფაშატების ნაკვალევს გაჰყვებით, ოღონდ მოპირდაპირე მიმართულებით. ასე მიხვალთ იქ, საიდანაც წამოვედით. იქვე დაგხვდებათ თქვენი ბიძაშვილი — მის პოინდექსტერი და მთელი თქვენი კომპანია, რომლებიც ალბათ იმ სისაძაგლეს — ფრანგულ შამპანურს სვამენ და მხიარულობენ. იმედი მაქვს, შამპანურის სმით გაერთობიან და მონონგაჰელა გადაავიწყდებათ, თორემ რით უნდა გავისველო ყელი, როცა დავბრუნდები?..

ზებ სტუმპს თავისი ენამზეობა დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ კოლჰაუნი გზას დაადგა. როგორც კი ჩინარი შეიცნო, მაშინვე დეგები შემოჰკრა თავის წაბლისფერ ცხენს და ნავარდით წაიყვანა.

— ღმერთო! — წამოიძახა მონადირემ, როცა მისი სწრაფი გაუჩინარება შენიშნა, — დიდი ჭკუა არ უნდა იმის გამოცნობას, თუ რატომ აჩქარდა ასე. არც ისე დიდი გულთმისანი ვარ, მაგრამ ვხვდები, რომ ეჭვმა ააჩქარა. იგი ახლა ეჭვს ჩაუდგა კვალში.

* * *

ზებ სტუმპი არ შემცდარა. სწორედ შავბნელმა ეჭვმა აიძულა კასიუს კოლჰაუნი, სასწრაფოდ გასდგომოდა გზას. ამ ეჭვმა პირველად გადამწვარ ტრამალზე იჩინი თავი. ამ გრძნობას სულ უფრო უძლიერებდა თვალთ ნანახი და ყოველივე ის, რასაც ფიქრში წარმოდგენდა ხოლმე. ეს ეჭვი ახლა ისე ძლიერ დაეუფლა, რომ ყველა სხვა გრძნობა დაჩრდილა.

მუსტანგერის მიერ წინწკლებიანი მუსტანგის საჩუქრად მირთმევა და მისი მოთვინიერება; საჩუქრის მიღება ლუიზას მიერ და ამით

გამოწვეული სიხარული, რომლის დაფარვას ქალი არ ცდილა; ყოველივე ეს და სხვა წვრილმანები, რომლებიც ახლა მის გონებაში ამოტივტივდა, კოლჭაუნის ეჭვიანობას კიდევ უფრო აძლიერებდა. ყოველივე ამან კი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მორის მუსტანგერი იყო მისი ყველაზე ძლიერი მეტოქე.

ველურ ცხენებზე მონადირის დაბალ სოციალურ მდგომარეობას ასეთი რწმენა კი არა, ეჭვიც კი არ უნდა აღეძრა მასში, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგრამ კოლჭაუნი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ლუიზა პოინდექსტერს; იგი ბავშვობიდანვე ამჟღავნებდა სულიერ დამოუკიდებლობასა და ხასიათის სიმტკიცეს, არაფრით არ შეიძლებოდა მის გვარიშვილობას ნდობოდა და ეფიქრა, რომ ქალი ანგარიშს გაუწევდა ქედმაღლურ საგვარეულო ტრადიციებს. მუსტანგერის სოციალური მდგომარეობა მრავალი ქალისათვის გადაულახავ ზღუდედ აღიმართებოდა არა იმის გამო, რომ ამას არათანაბარი ქორწინება მოჰყვებოდა, არამედ თუნდაც იმიტომ, რომ მას მოუსაზრებელ, უგუნურად გადადგმულ ნაბიჯად ჩათვლიდნენ. მაგრამ კასიუს კოლჭაუნის ბილწ გონებას, როცა თავისი ბიძაშვილის ხასიათს ითვალისწინებდა, ეს გარემოებაც არ მიაჩნდა საიმედო საფუძვლად.

ის დღე მისთვის ავისმომასწავებლად დაიწყო და ამით გაღიზიანებული პიკნიკის ადგილისაკენ მიიჩქაროდა. ეკლესიის სამრეკლოს მსგავსი ხე ჰქონდა გეზად აღებული. იქვე მონახავდა მანადის ნაკვალევსაც და მერე ადვილად გაიგნებდა გზას, რადგან საკუთარ ნაკვალევს გაუყვებოდა.

ცხენი უფრო სწრაფად მიჰყავდა, ვიდრე ეს დადლილ ცხოველს შეეძლო. უცებ ორი ცხენოსანი დაინახა, რომლებიც იმავე გზით იქითკენ მიემურებოდნენ, საითაც თვითონ მიიჩქაროდა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ზურგიდან შენიშნა და დიდი მანძილითაც იყო დაშორებული მათგან, მყისვე იცნო ორივე.

კოლჭაუნის მსგავსად, ისინიც ველური ფაშატების ნაკვალევს მისდევდნენ. ამ ნაკვალევზე გვერდითა ბილიკიდან უნდა გამოსულიყვნენ. ორივე მხედარი ერთმანეთის მხარდამხარ მოდიოდა და ეტყობოდათ, საინტერესო საუბარში უნდა ყოფილიყვნენ გართულნი, რაკი ვერ შენიშნეს მხედარი, რომელიც ცდილობდა, გზა მოეჭრა მათთვის. როგორც ჩანდა, კოლჭაუნივით არ ჩქარობდნენ. ძალზე ნელა მიიწევდნენ წინ, განსაკუთრებით კი წინწკლებიანი მუსტანგი.

მათმა სიახლოვემ, უნაგირზე ჯდომის პოზამ, გარემოსადმი აშკარა უყურადღებობამ, ნება-ნება, ტაატიო სიარულმა და ყველა იმ წვრილმანმა, რომლებიც კოლჭაუნმა შენიშნა და გონებაში ერთად მოუყარა თავი, სასოწარკვეთამდე მიიყვანა იგი და კინალამ გააგვიყა.

ბუნებრივმა ინსტინქტმა სამხრეთელ რაინდს უკარნახა, სწრაფად მიეჭებებინა ცხენი და უხეშად შეეწყვეტიებინა მათთვის საუბარი. თავისი განზრახვა რომ შეესრულებინა, დეგები შემოჰკრა თავის ისედაც გატანჯულ ცხენს და ძალა დაატანა, უფრო აჩქარებულიყო.

რამდენიმე წამის შემდეგ ცხენმა ნაბიჯს ისე უკლო, რომ იფიქრებდით, მისმა პატრონმა გადაწყვეტილება შეცვალაო. კოლჭაუნის ცხენის ფლოქვების თქარუნს ჯერ კიდევ არ მიეღწია წინ მიმავალი ცხენოსნების ყურამდე, თუმცა კოლჭაუნი ორასი იარდითაც არ იყო დაშორებული მათგან. მის ყურამდე უკვე აღწევდა ლუიზას წკრიალა ხმა. ჩანდა, იგი თანამგზავრზე მეტს ლაპარაკობდა. რამდენად საინტერესო უნდა ყოფილიყო ეს საუბარი ორივესათვის, რომ კოლჭაუნის მოახლოება ვერც კი შენიშნეს!

იქნებ ყური მოჰკრას, რაზე საუბრობენ? მაგრამ გამოდგება თუ არა ფარული მიყურადებისათვის ეს ადგილი? შეძლებს კი, ისე მიუახლოვდეს, რომ რამე გაიგონოს? ვითომ რატომ არ უნდა სცადოს ბედი?

წინ მიმავალი მხედრები ისე გართულიყვნენ საუბრით, რომ კოლჭაუნს იმედი მიეცა, მათ ლაპარაკს ყურს მოგვკრავო. მით უმეტეს, სავანის ბალახი ხავერდით რბილი იყო და ცხენის ფლოქვების ხმა ოდნავდა ისმოდა.

კოლჭაუნის ცხენი ძალზე ჩუმად, უხმაუროდ, მაგრამ სწრაფად მიიწევდა წინ. რამდენიმე წამში დაეწია კიდეც წინწკლებიან მუსტანგსა და მუსტანგერის სისხლისფერ ბედაურს. კოლჭაუნმა ცხენი ჩორთიდან ნაბიჯზე გადაიყვანა, რომ მათი ცხენებისათვის აეწყო ფეხი. თვითონ კი კისერი გველივით წაიგრძელა და დიდი გულმოდგინებით მიუგდო ყური, იქნებ რაიმე გავიგონო. მის მოქმედებაში რაღაც ბოროტი განზრახვა იმალებოდა. კოლჭაუნის გამომეტყველებიდან ჩანდა, რომ იგი მზად იყო, უშვერი ლანძღვა-გინებით მიემართა მათთვის, ანდა დანა ან რევოლვერი ეშიშვლებინა. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რას მოისმენდა ახლა.

ბედისწერა იყო თუ იღბალი, მათი საუბრიდან ვერაფერი გაიგონა.

წყვილად მიმავალი მხედრები ისე გართულიყვნენ საუბრით, რომ გარემოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ სამაგიეროდ, მათი ცხენები ფხიზლობდნენ. ნაბიჯით მიმავალი კოლჭაუნის წაბლისფერი ცხენი დაღლილობის გამო ფეხს მძიმედ ადგამდა. ამ მძიმე ნაბიჯებში წინწკლებიანი მუსტანგისა და სისხლისფერი ბედაურის მახვილ სმენას მისი სიახლოვე აგრძნობინა. მათ მაშინვე კისრები წაიგრძელეს და დაიჭიხვინეს. ცხენებმა კოლჭაუნი გასცეს.

— კაშ! — წამოიძახა ლედიმ და მის ხმაში წყენა უფრო გაისმა, ვიდრე გაკვირვება, — აქა ხარ? სად არის მამა, ჰენრი და დანარჩენი ხალხი?

— მე რას მეკითხები, ლუ? ეგ მეც შენსავით ვიცი.

— რას ამბობ, მე მეგონა, ჩვენს შესახებდრად წამოხვედი. ისინი?.. აჰ! როგორ გაქაფულა შენი ცხენი! ჩანს, შენც ჩვენსავით ძალიან გიტყნებია.

— რა თქმა უნდა, ვაჭენე. მე იმწამსვე დაგედევნე, იმედი მქონდა, დაგეწეოდი და გიშველიდი.

— მართლა! არ ვიცოდი, რომ უკან მოგვდევდი. დიდი მადლობელი ვარ შენი, კაშ! მადლობას ვუხდიდი ამ მამაც ჯენტლმენს; ისიც მაშინვე დამედევნა და მეცა და ლუნაც გადაგვარჩინა საშინელი განსაცდელისაგან. იცი, რომ ველური ცხენები დაგვედევნენ და სიკვდილს დავაღწიეთ თავი?

— ვიცი.

— შენ რა, დაინახე?

— არა. კვალს მოვყვებოდი და ყველაფერი ვიცი.

— კვალს?! შენ თვითონ გაიკვლიე გზა?

— დიახ, ზებ სტუმპის დახმარებით.

— ოჰ! ისიც შენთან იყო? და კვალს მოჰყვებოდი? მაინც სადამდე მოჰყვევით?

— ნაპრაღამდე. ზებმა შენზე მითხრა, ნაპრაღზე გადამხტარაო. მართალია?

— ლუნა გადახტა.

— და შენ ზედ იჯექი?

— აბა, სად ვიქნებოდი! ეს რა კითხვაა, კაშ! როგორ გგონია, სად ვიქნებოდი? კუდზე ხომ არ გამოვებმებოდი?

— შენც გადმოხტი? — ჰკითხა ლუიზამ და ხმაში ცვლილება დაეტყო, — უკან გამოგვეყვი?

— არა, ლუ. ნაპრაღიდან პირდაპირ აქეთ გამოვეშურე. ვფიქრობდი, იქ ჩემზე ადრე მიხვიდოდი.

პასუხმა თითქოს დააკმაყოფილა ლუიზა.

— ძალიან მიხარია, რომ დაგვეწიე. ჩვენ ნელა მოგვეყავდა ცხენები. ლუნა ძალიან დაღლილია. საწყალი ცხენი! არ ვიცი, როგორ ჩააღწევს ლეონამდე.

მას შემდეგ, რაც კოლჰაუნი დაეწია, მუსტანგერს სიტყვა აღარ დაუძრავს. მიუხედავად იმისა, ესიამოვნებოდა თუ არა ახალგაზრდა

ლედის თანამგზავრის ასეთი საქციელი, მან ნაჩქარევად გაწყვიტა საუბარი, მიატოვა ისინი და წინ წავიდა. ვერ გაარკვევდით, ნებით თუ უნებლიეთ მოიმოქმედა ეს. იგი ხმაამოუღებელივ მიუძღოდა, თითქოს ისევ მეგზურის როლს ასრულებსო.

კოლჭაუნი წინ წასულ მხედარს მაინც გამომცდელად უცქერდა. მისი მზერა დემონისებური ხდებოდა მაშინ, როდესაც ლუიზა დროდადრო აღტაცებით შეავლებდა ხოლმე თვალს მუსტანგერს. დანიშნულ ადგილამდე რომ დიდი გზა ჰქონოდათ, ეს მოგზაურობა ალბათ ტრაგიკულად დასრულდებოდა. ტრამალზე სხვა მონადიმეთა გამოჩენამ თავიდან ააცილა ასეთი დასასრული. მილოცვის შეძახილებმა ყველა სხვა ფიქრი გაუფანტა იქ მყოფთ.

19 - ვისკი და წყალი

ფორტ ინჯის დროშის ქვემოთ განლაგებულ შენობებს შორის, რაც მომავალი ქალაქის ჩანასახს წარმოადგენდა, სასტუმრო ყველაზე დიდი ნაგებობა იყო. ეს ასე გახლდათ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე გაშენებულ ყველა ტეხასურ ქალაქში. მხოლოდ ესპანელებისა და მექსიკელების მიერ დაარსებულ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა გაფანტულად ცხოვრობს, პირველობა ციხესიმაგრეებსა და მონასტრებს ეკავათ. ახლა კი იქაც სასტუმროებმა დაჯაბნეს ციხესიმაგრეები და მონასტრები, ზოგან კი ეს უკანასკნელნი ფუნდუკებად გადააკეთეს.

ფორტ ინჯის სასტუმრო ყველაზე დიდი შენობა გახლდათ, მაგრამ არც სიდიდით, არც არქიტექტურული სტილით და არც სილამაზით არ გამოირჩეოდა. იგი ხის მორებისაგან იყო ნაშენები და T-ს ფორმა ჰქონდა. შენობის ვერტიკალურ ნაწილში მოეთავსებინათ სასტუმრო — მომსვლელთა დასაძინებელი და სასადილო ოთახები, ხოლო მისი ჰორიზონტალური ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ სასმელებისა და ბახუსის თაყვანისმცემლებისათვის იყო განკუთვნილი. აქ მოურიდებლად იფურთხებოდნენ კიდევც. ეს იყო ბარი, ანუ „სალონი“.

გარეთ ტოტემშემოსხეპილი და კენჭეროშემოკაფული ათი ფუტის სიმაღლე მუხის ერთადერთ ტოტმე დაკიდებული აბრა ირწეოდა. აბრის ორივე მხარეზე ამოტვიფრული იყო ბრწყინვალე სახელით შემოსილი, სამხრეთამერიკელი გმირის, გენერალ ტეილორის სურათი. სრულიადაც არ იყო საჭირო, აბრისათვის შეგეხედათ და ისე დაგედგინათ სასტუმროს სახელწოდება. ასეთი სურათის მფარველობის ქვეშ მყოფი სასტუმროსათვის მხოლოდ „სახელდახელო“ შეიძლებოდა ეწოდებინათ. ეს წარწერა სწორედ ზედგამოჭრილი იყო. გარეთ ყველაფერი საკმაოდ ტლანქად გამოიყურებოდა. შიგნით კი, განსაკუთრებით „სალონში“ თუ შეხვიდოდით, ყველაფერი სანახევროდ დამზადებული დაგხვდებოდათ. პიტნაზე დაყენებული, დატკბილული და ჩაცვიებული არაყი, გამაგრილებელი ხერესი, ინგლისური არაყი – ჯინი, შეზავებული წყლით, შაქრითა და ყინულით. აგრეთვე მრავალი ნაირ-ნაირი ხილისა და არაყისაგან დამზადებული სასმელები, რომელთაც სახელდახელოდ დაგიმზადებდნენ, თუ ამერიკულ ვერცხლის ფულს გადაიხდიდით.

თუ ოდესმე გიმოგზაურიათ ამერიკის სამხრეთ, ან სამხრეთ-დასავლეთ შტატებში, მაშინ „სალონის“ აღწერა ზედმეტია. თუკი ერთხელ მაინც შეგხვდათ უბედურება და „სალონი-ბარი“ იხილეთ, მას თქვენი მესხიერებიდან დავიწყების მდინარეც ველარ ამოშლის. დახლი ანუ ბარი კედლიდან კედლამდეა სიგრძივ გაჭიმული; მის უკან თაროებია მოწყობილი. თაროებზე ჩამწკრივებული სურები და ბოთლები, რომლებშიც არა მარტო ყველა ძირითადი ფერის, არამედ მათი ერთმანეთთან შეზავების შედეგად მიღებული ნაირფეროვანი ლიქიორებია ჩამოსხმული. დახლში ან თაროებსა და დახლს შუა გვერდულად მიდი-მოდის მშვენიერი შესახედაობის ახალგაზრდა, ეგრეთ წოდებული ბარმენი. მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა უწოდოთ მებუფეტე, თორემ კბილებში სურას გითავაზებთ. იმ მშვენიერ ახალგაზრდა ჯენტლმენს აცვია მხოლოდ ბამბის ქსოვი-

ლის ლურჯი ხალათი, ანდა სელის თეთრი პერანგი, რომლის მაქმანიანი სახელოები, მგონი, ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე დატყუვნილა. ეს მშვენიერი შესახედაობის ყმაწვილი, როცა გამაგრილებელ ხერესს აზავებს, პირდაპირ სახეში შემოგყურებთ და პოლიტიკაზე გესაუბრებათ. მის მხრებს უკან კი იმ დროს ღვინო, წყალი და ყინული ჭიქიდან ჭიქაში გადადის, ნაირფეროვან წინწკლებს ისვრის, ანდა მის სუნამონაფრქვევ თავს შარავანდედივით ადგება. დახლის თეთრქვიშამოყრილი იატაკი თამბაქოს ნამწვავებითაა მოფენილი. პიტნის, არყისა და ლიმონის ქერქის სურნელება ტრიალებს.

სასტუმრო „სახელდახელო“ თუმცა ცოტა რამით განირჩეოდა სხვა ტეხასული სასტუმროებისაგან, მაგრამ მას თავისი დამახასიათებელი ნიშნები მაინც ჰქონდა. მისი პატრონი გაქნილი იანკი კი არა, გერმანელი გახლდათ.

იმ მხარეში, ისევე, როგორც სხვაგან, გერმანელები კარგი სატყეულ-სასმელის მომმარაგებლად ითვლებიან. „სახელდახელოს“ პატრონი გერმანელიც ამართლებდა ამ სახელს. მას საკუთარი ბარი ჰქონდა, ასე რომ, ამ სალონის სტუმრებს მაქმანიან პერანგებში გამოწყობილი და სუნამონაპკურები მშვენიერი ახალგაზრდა ჯენტლმენის ნაცვლად, შეკვეთილ ლიქიორს დინჯი ტევტონი უზავებდა. იგი ყოველთვის ფხიზლად გამოიყურებოდა, თითქოს არასოდეს შეესვას ის მაცთუნებელი და სასიამოვნო სითხე, რომლითაც მყიდველებს უმასპინძლდებოდა. სამშობლოში მას ობერდოფერად იცნობდნენ, ტეხასში კი „მოხუც დოფერს“ უწოდებდნენ.

დოფერის ბარს კიდევ ჰქონდა ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც შეიძლება არც აღგვენიშნა, რადგან იგი ტეხასის სხვა ბარებისაგან არც განასხვავებდა. როგორც უკვე ვთქვით, შენობას T-ს ფორმა ჰქონდა და სალონ-ბარი მის ჰორიზონტალურ ნაწილში იყო მოთავსებული. ამ ორი ნაწილის შემაერთებელ კედელს მთელ სიგრძეზე დახლი გასდევდა. შენობის ჰორიზონტალურ ნაწილს თავსა

და ბოლოში, ორივე მხარეს, დატანებული ჰქონდა კარი, რომლებიც მომავალი ქალაქის მოედანზე გადიოდა.

ბარებს ასე იმიტომ აწყობდნენ, რომ ჰაერი კარგად გაწმენდილიყო; ჰაერის გაწმენდა კი აუცილებელია იქ, სადაც წელიწადში ექვსი თვის განმავლობაში თვით ჩრდილშიც, 30 გრადუსი სიცხეა.

ტეხასსა და სამხრეთ-დასავლეთ შტატებში, შეიძლება ითქვას, მთელ ამერიკაშიც, სასტუმროებს ორმაგი დანიშნულება აქვთ. იგი ერთდროულად კლუბიც არის და ბირჟაც. ეს უფრო იაფი და მოხერხებულია. სწორედ ამიტომ არ არის ამერიკაში კლუბები და თვით ატლანტის სანაპირო შტატების დიდ ქალაქებშიც არ მიაჩნიათ საჭიროდ მათი არსებობა. სალონი და ბარი შეხვედრის და დასვენების უმთავრეს ადგილად არის მიჩნეული.

ასეთ სალონში ყველა ჯურისა და წრის ადამიანები იკრიბებიან. ამაყი პლანტატორიც კი ვერ ითაკილებს იქ შესვლას, ვერც გაბედავს, იუკადრისოს ღვინოს დაღვევა იმავე ოთახში, სადაც „მდაბიო ნაყარნუყარი თეთრკანიანები“ სხედან. იმ „ნაყარნუყარ“ ხალხს ხშირად მათზე უფრო ამაყად უჭირავს თავი. აქ შეხვედობდით ახალშენში მცხოვრებ ყველა კლასისა და პროფესიის ადამიანებს, გარდა გლეხებისა, რადგან ქვეყნის ამ ნაწილში და არც ტეხასში გლეხები საერთოდ არ არიან.

რაც „მოხუცმა დოფერმა“ ტეხასში სასტუმრო გახსნა და თავისი აბრა ჩამოვიდა, მის სალონში არასოდეს მოუყრია თავი იმდენ ხალხს, რამდენსაც იმ ღამით, ფორტ ინჯის ოფიცრების მიერ გამართული პიკნიკის შემდეგ.

როგორც ჩანდა, პიკნიკის ყველა მონაწილემ, ქალების გამოკლებით, აუცილებლად ჩათვალა, ნახევარი საათი მაინც გაეტარებინა „მოხუცი დოფერის“ სალონში. როცა სურებს შორის ნაზად მოწიკწიკე ჰოლანდიურმა საათმა თერთმეტჯერ ჩამოკრა, ფორტის ოფიცრები, მდინარის ნაპირზე ახლო მცხოვრები პლანტატორები, სანოვაგით მოვაჭრენი, მომმარაგებელი მენარდეები, „სპორტსმენები“

და სხვა გაურკვეველი პროფესიის ადამიანები ერთმანეთის მიყოლებით შევიდნენ სალონში. მათ პირდაპირ დახლს მიაშურეს, თავიანთი საყვარელი სასმელი დაუკვეთეს და უკან დაბრუნებულნი მოქეიფეთა ერთ-ერთ ჯგუფს შუერთდნენ.

რვა კაცისაგან შემდგარ ასეთ ჯგუფს, რომელთა წევრების ნახევარი სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი, სამი ოფიცერი შეემატა. ესენი იყვნენ მკითხველისათვის უკვე ცნობილი ქვეითი ჯარის კაპიტანი, დრაგუნი ჰენკოკი და ცხენოსანთა ნაწილის ლეიტენანტი კროსმენი.

მათ შორის ჩამდგარიყო ხანდაზმული ოფიცერი, რომელსაც მაიორის სამხრეები ეკეთა. ვინაიდან ფორტ ინჯში ის იყო უმაღლესი სამხედრო ჩინის მატარებელი, ცხადია, ფორტის უფროსიც ის გახლდათ. ოფიცრები ისე თავისუფლად საუბრობდნენ, თითქოს მათ შორის არავინ იყო უფროს-უმცროსი. საუბრის საგანი იმდღევანდელი პიკნიკი და იქ მომხდარი ამბები იყო.

— თქვენ ნამდვილად გეცოდინებათ და გვითხარით, მაიორო! — მიმართა ჰენკოკმა, — საით გააჭენა ლუიზა პონიდექსტერმა ცხენი?

— მე საიდან უნდა ვიცოდე? — უპასუხა მაიორმა, — ეგ მის ბიძამვილს — მისტერ კასიუს კოლჰაუნს ჰკითხეთ.

— ვკითხეთ, მაგრამ მაინცდამაინც ვერაფერი გვიპასუხა. მე მგონი, მან ჩვენზე მეტი არაფერი იცის. კოლჰაუნი უკან დაბრუნებულებს არც ისე შორს შეხვედრია იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიყავით დაბანაკებული. ისინი კარგა ხანს არ ჩანდნენ. თქვენ რომ მათი გაქაფული ცხენებისათვის შეგეხედათ, იტყოდით, დიდი ჯაფა დასდგომიათო. იმ ხნის განმავლობაში, რაც ისინი არ ჩანდნენ, რიო გრანდემდე და უფრო შორ მანძილზეც შეეძლოთ ჩასვლა და უკან დაბრუნება.

— შეამჩნიეთ, როგორი მოლუშული და ჩაშავებული ჰქონდა სახე კოლჰაუნს, როცა უკან დაბრუნდა, — ჰკითხა კაპიტანმა, — მე ვიტყოდი, იმ დროს იგი საშინლად ღელავდა.

— მართლა, ძალიან ნაწყენი ჩანდა, — უთხრა მაიორმა, — მაგრამ, კაპიტანო სლოუმენ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს აიხსნება ..

— ეჭვიანობით? სხვა რა უნდა იყოს ამისი მიზეზი?

— რაო? მორის მუსტანგერი და ლუიზა? აჰ! ეს შეუძლებელია, ყოვლად დაუშვებელია.

— კი მაგრამ, რატომ, მაიორო?

— ჩემო ძვირფასო სლოუმენ, ლუიზა პოინდექსტერი ლედია, ხოლო მორის ჯერალდი...

— შეიძლება ჯენტლმენია, ვინ იცის.

— ჰმ! — დაცინვით წამოიძახა კროსმენმა, — ცხენებით მოვაჭრე! მაიორი მართალია, ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელია.

— ოჰ, ჯენტლმენებო! — განაგრძო ისევ ქვეითი ჯარის ოფიცერმა და თავი მრავალმნიშვნელოვნად გააქნია, — თქვენ მის პოინდექსტერს ისე ვარგად არ იცნობთ, როგორც მე. ის ექსცენტრიკული ქალია, მეტი რომ არაფერი ვთქვათ. იქნებ თქვენც შენიშნეთ ეს?

— განაგრძეთ, განაგრძეთ, სლოუმენ! — უთხრა მაიორმა დაცინვით, — მე მგონი, თქვენ ცილს სწამებთ მას. ნამდვილად ცილს სწამებთ. ალბათ თვითონ ჩაგივარდათ გულში მის პოინდექსტერი, თუმცა თავს წმინდა იოსებად ასალებთ!

— წარმოსადევ ჰენკოკსა და კროსმენზე რომ იყოს ლაპარაკი, კიდევ ჰო, მაგრამ უბრალო მუსტანგერზე ეჭვიანობა...

— ის მუსტანგერი ირლანდიელია, მაიორო! და მგონი, ვიცი კიდევ, რატომაც ვეჭვიანობ...

— ვინც არ უნდა იყოს, — შეაწყვეტინა მაიორმა და კარისაკენ გაიხედა, — აი, თვითონ მუსტანგერიც. იგი მართლის მთქმელი და პირდაპირი ყმაწვილია. ჰკითხეთ და თვითონვე გეტყვით ყველაფერს, რაც ასე ძლიერ გაინტერესებთ.

— არა მგონია, გიპასუხოთ, — ჩაილაპარაკა სლოუმენმა, როცა ჰენკოკი და ორი-სამი ოფიცერი, მაიორის რჩევის თანახმად, ახალ-მოსულისაკენ გაემართნენ.

მორისმა თეთრქვიშამოყრილ იატაკზე ჩუმად გაიარა და დახლთან თავისუფალი ადგილი დაიკავა.

— ჭიქა ვისკი და წყალი, გეთაყვა, — თავმდაბლად მიმართა მან დახლში მდგომს.

— ვისკი და წყალი? — გაიმეორა ბარმენმა, რომელსაც აშკარად შეეცყო, მაინცდამაინც არ ესიამოვნა ამ ახალი სტუმრის შემოსვლა, — თქვენ ვისკი და წყალი ითხოვეთ, არა? ჭიქა ორი ცენტი ღირს.

— მე თქვენთვის ფასი არ მიკითხავს, — უპასუხა მუსტანგერმა, — ერთი ჭიქა ვისკი და წყალი გთხოვეთ. გაქვთ თუ არა?

— გვაქვს, გვაქვს, — წამოიძახა მუსტანგერის მკაცრი ტონით, ცოტა არ იყოს, შეშინებულმა გერმანელმა, — რამდენიც გნებავთ! ინებეთ!

სანამ დოფერი ვისკის წყლით აზავებდა, მორისი თავისუფლად, მაგრამ თავმდაბლად პასუხობდა სალამზე ფორტის ოფიცრებს. ბევრ მათგანს ის პირადად იცნობდა, რადგან საქმეებზე ხშირად უხდებოდა ფორტში ყოფნა. მაიორის რჩევის თანახმად, ოფიცრები მზად იყვნენ, მისულიყვნენ მასთან და ეკითხათ, რაც მათ აინტერესებდათ. მაგრამ ამ დროს ერთი პიროვნების გამოჩენამ განზრახვაზე დროებით ხელი ააღებინა.

ახალშემოსული კასიუს კოლჭაუნი იყო. მისი თანდასწრებით საჩოთიროდ მიიჩნიეს ასეთ საგანზე საუბარი.

ოფიცრებისა და სამოქალაქო სამსახურის ადამიანთა ერთ ჯგუფს კოლჭაუნი მისთვის ჩვეული ყოყლოჩინობით მიუახლოვდა და ისე დაუკრა თავი, როგორც შეეფერებოდა იმათ, რომლებთანაც ერთად გაატარა მთელი დღე და ცოტა ხნის წინათ დასცილდა.

სამსახურიდან გადამდგარ მოხალისეთა კაპიტანზე მთვრალი თუ არ ითქმოდა, კარგა მაგრად შეზარხოშებული მაინც იყო. თვალები უბრწყინავდა, გაფითრებულ შუბლზე აქა-იქ ბლუჯა-ბლუჯად ჩამოშლოდა თმა და ქუდი გვერდზე მოჰქცეოდა.

— მობრძანდით, ჯენტლმენებო! — ყვირილით მიმართა მან მაიორის გარშემო შეჯგუფებულ ხალხს და დახლისაკენ გაემართა, — იმდენი ვსვათ, რომ მოხუც დოფერს არ ვათქმევინოთ, სინათლეს ცუდუბრალოდ მახარჯვინებნო. აბა, შემოვატაროთ ჭიქა! ყველას გეპატიუებით! რას იტყვით?

— თანახმა ვარ, თანახმა! — გაისმა რამდენიმე ხმა.

— თქვენ, მაიორო?

— სიამოვნებით, კაპიტანო კოლჰაუნ.

ჩვეულების თანახმად, მიპატიუებულები დახლის წინ გამწკრივდნენ. თითოეულმა მათგანმა შეუკვეთა მისთვის იმ წუთში ყველაზე სასიამოვნო სასმელი.

კოლჰაუნმა მწარე სასმელით შეზავებული ყავისფერი ხერესი მოითხოვა.

— ყავისფერი ხერესი და მწარე სასმელი თქვენ შემიკვეთეთ არა, მისტერ კოლჰაუნ? — პირმოთნედ ჰკითხა დახლზე გადმოხრილმა გერმანელმა კოლჰაუნს, რომელიც ყველას პოინდექსტერის მამულის თანამესაკუთრედ მიაჩნდა.

— რა თქმა უნდა, შე გამოთაყვანებულო გერმანელო! ხომ გითხარი, ყავისფერი ხერესი-მეთქი! გითხარი თუ არა?!

— ახლავე, ბატონო, ახლავე! ხერესი და არაყი, ხერესი და არაყი, — იმეორებდა დოფერი და თან ჩქარობდა, მალე დაედგა სასმისი გულღრძო სტუმრისათვის.

შემთხვევით იყო თუ განზრახ, კოლჰაუნი თავისი მიპატიუებული სტუმრების უკან დადგა. ამრიგად, იგი მორის ჯერალდის გვერდით აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი კი ვისკისა და წყალს წყნარად შეექცეოდა, თანაც ახლადმოკიდებულ სიგარას აბოლებდა და მხიარულ კომპანიას მოწყალედ შესცქეროდა.

ისინი ზურგშექცევით იდგნენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ერთმანეთს.

— მინდა, სადღეგრძელო ვთქვა! — დაიყვირა კოლჭაუნმა და ჭიქას დაავლო ხელი.

— აბა, გისმენთ! — უპასუხა რამდენიმე ხმამ.

— გაუმარჯოს ამერიკას ამერიკელებისათვის და ეშმაკსაც წაუღია ყველა უცხოელი ჩამოთრეული, განსაკუთრებით კი ირლანდიელები.

ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები რომ თქვა, კოლჭაუნმა ნაბიჯი უკან გადადგა და მუსტანგერს დაეჯახა. ამ უკანასკნელს ტუჩებთან მიტანილი ჭიქიდან ვისკი გულზე გადმოეღვარა.

ამ დაჯახებას წინ ისეთი შეურაცხმყოფელი სადღეგრძელო უძლოდა, რომ კოლჭაუნის ეს მოქმედება წინასწარ განზრახული და ადრევე მოფიქრებული უნდა ყოფილიყო.

ყველა იქ მყოფი მოელოდა, რომ შეურაცხმყოფელი იმწამსვე მიუზღავდა კოლჭაუნს სამაგიეროს. მაგრამ იმედგაცრუებულნი და განცვიფრებულნი დარჩნენ მუსტანგერის საქციელით. ზოგიერთმა ისიც გაიფიქრა, მორჩილად გადაეცაპა შეურაცხმყოფაო.

— თუ მუსტანგერი ამას მოითმენს, — წასჩურჩულა ჰენკოკმა სლოუმენს, — მაშინ იგი კინწისკვრით უნდა გააძევოს კაცმა სალონიდან.

— ნუ შეწუხდებით, ეს არ მოხდება, — უპასუხა ჩურჩულით სლოუმენმა.

— ხომ იცით, სანაძლეოს ჩამოსვლა არ მიყვარს, მაგრამ ერთი თვის ხელფასს ჩამოვდივარ, თუ მუსტანგერი მას სამაგიეროს არ გადაუხდის. ამდენსავე ვდებ, თუ მუსტანგერის სახით კასიუს კოლჭაუნი საშიშ მეტოქეს არ შეიძენს, რომელსაც ახლა თითქოს თავისი დასველებული პერანგის გაწმენდა უფრო აინტერესებს, ვიდრე მიყენებული შეურაცხმყოფისათვის სამაგიეროს მიზღვა. თქვენ იმას არ იცნობთ. იგი სწორუპოვარი სატანაა.

როცა ოფიცრები ასე ჩურჩულებდნენ, კაცი, რომელსაც ეს ჩურჩული შეეხებოდა, დახლის წინ იდგა. მან თავისი ჭიქა დახლზე დადგა, ჯიბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო და პერანგზე ჩამოღვრილი ვისკის შემშრალეობა დაიწყო.

მისი მოქმედება ცივი და აუღელვებელი იყო, თუმცა სიმბდალესთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა; ხოლო ვისაც ეჭვი ეპარებოდა მუსტანგერში, მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა და ახლა მოვლენათა განვითარებას ადევნებდა თვალს.

ცდა დიდხანს არ დასჭირვებიათ. იქ მყოფ ადამიანთა ვარაუდი და ჩურჩული ოც წამზე მეტხანს არ გაგრძელებულა. ამის შემდეგ დაიწყო მოქმედება, ან, უკეთესად რომ ვთქვათ, წარმოითქვა სიტყვები, რომელიც მოქმედების შესავალი უნდა ყოფილიყო.

— მე ვარ ირლანდიელი, — თქვა მუსტანგერმა და ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიღო.

პასუხი ძალიან უბრალო და დაგვიანებული ჩანდა, მაგრამ მის მნიშვნელობას ყველა იქ მყოფი შეუცდომლად მიხვდა. ველურ ცხენებზე მონადირეს კასიუს კოლჰაუნისათვის ცხვირში წკიპურტიც რომ გაეკრა, ეს იმაზე ნათლად ვერ გამოხატავდა იმას, რომ კოლჰაუნის გამოწვევა მიღებული იქნა.

— თქვენ? — ზიზლით წარმოთქვა კოლჰაუნმა, როცა დოინჯშემოყრილი მისკენ მობრუნდა, — თქვენ? — განაგრძო მან და თან მუსტანგერი თავიდან ფეხებამდე გაზომა, — ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ თქვენ ირლანდიელი იქნებოდით! ჩაცმულობის მიხედვით მექსიკელი მეგონეთ.

— ჩემი გარეგნობა რაში გეკითხებათ, მისტერ კასიუს კოლჰაუნ! მაგრამ რაკი პერანგი დამისველეთ, ჩემს ვალდებულებად ვთვლი, იგივე გავიმეორო.

ეს რომ თქვა, მუსტანგერმა თავისი ჭიქა აიღო და სანამ სამსახურიდან გადამდგარი მოხალისეთა კაპიტანი თავს მიაბრუნებდა, მო-

ნონგაჰელას ნარჩენი სახეში შეასხა. კოლჰაუნს ხველება და ცხვირის ცემინება აუტყდა, რამაც, ეტყობა, ბევრ იქ მყოფს დიდი კმაყოფილება მოჰგვარა.

მოწონების ჩურჩული მალე მიწყდა. მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ ლაპარაკის დრო აღარ იყო. მუსტანგერის მოქმედებით გამოწვეული მოწონების შეძახილები სამარისებურმა სიჩუმემ შეცვალა. ყველამ დაინახა, რომ დავამ ძალზე სერიოზული ხასიათი მიიღო და იგი ორთაბრძოლით უნდა დასრულებულიყო. არავითარ მიწიერ ძალას არ შეეძლო ამ შეტაკების თავიდან აცილება.

20 - საშიში მდგომარეობა

როცა აღკოჰოლის შხაპი მიიღო, კოლჰაუნმა თავის ექვსვაზნიან რევოლვერის ტარს წაატანა ხელი, მაგრად ჩაბლუჯა და ბუდიდან ამოიღო. ელოდა, როდის დაეწურებოდა თვალებიდან ვისკი, რომ მოწინააღმდეგეს გასწორებოდა.

მუსტანგერმაც იგივე გაიმეორა და მსგავსივე იარაღით აღჭურვილი მომზადებული იდგა, რათა სროლაზე სროლითვე ეპასუხა.

ყველაზე უფრო მხდალები თავის გადასარჩენად კარს მიაწყდნენ. ერთი ზედახორა გამართეს და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე გასულიყვნენ გარეთ. მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩა სალონში; ზოგი მათგანი ყოყმანობდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო; ზოგი კი ამ ამბავს გულგრილად შეხვდა. შეიძლება იმიტომაც, რომ ფიქრობდნენ, აჩქარებით საქმე არ წავახდინოთ და გაქცევისას ბურგში არ მოგვხვდესო.

ექვსიოდე წამის განმავლობაში კვლავ ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით. შესაძლოა, მოწინააღმდეგენი რომ სხვები ყოფილიყვნენ, ეს დრო უფრო მცირეც ყოფილიყო. ორ ჩვეულებრივ ადამიანს შეიძლება დაუფიქრებლად ესროლა ერთმანეთისათვის, მაგრამ არც კოლჰაუნი და არც ჯერალდი ჩვეულებრი-

ვი ადამიანები არ იყვნენ. ორივეს ენახა ბრძოლა ქუჩაში, მონაწილეობაც მიეღოთ მასში და იცოდნენ, რას წარმოადგენს ასეთ ადგილზე სროლის დაწყება. ორივეს მხოლოდ მიზანში მოხვედრება უნდოდა.

ამ გარემოებამ შეაყოვნა ისინი.

ისინი, ვინც გარეთ გაიქცნენ და ყოველ წამს ელოდნენ გასროლას, ამ დაყოვნებას უფრო მტკივნეულად განიცდიდნენ. მათი დამშვიდება შეეძლო მხოლოდ რევოლვერის ხმას, რასაც მოუთმენლად ელოდნენ. მაგრამ იმედგაცრუებული დარჩნენ, როცა, გასროლის ნაცვლად, მცირე ჯგუფთან ერთად დარჩენილი მაიორის ხმამაღალი ავტორიტეტული ბრძანება მოესმათ.

— შეჩერდით! — ეს სიტყვები მან ისეთი კილოთი წარმოთქვა, რომ ეტყობოდა, ხელქვეითთა უსიტყვო მორჩილებას იყო ჩვეული, იმავე დროს ქარქაშიდან ხმალი იშიშვლა და მოწინააღმდეგეთა შუაში აღმართა.

— შეჩერდით! არ ისროლოთ! ორივეს გიბრძანებთ. იარაღი ძირს დაუშვით, თორემ ღმერთს ვფიცავარ, ვინც პირველი გამოჰკრავს თითს სასხლეტს, მარჯვენას მოვკვეთავ! შეჩერდით-მეთქი!

— რატომ? — დაიყვირა გაცხარებისაგან წამოჭარხლებულმა კოლჰაუნმა, — რატომ, მაიორო რინგვუდ? ისიც იმ შეურაცხყოფის შემდეგ და... მერე ვისგან...

— თქვენ პირველმა მიაყენეთ შეურაცხყოფა, კაპიტანო კოლჰაუნ.

— მერე რა მოხდა! მე არ შემიძლია, ის დაუსჯელი დავტოვო. გზიდან ჩამომეცალეთ, მაიორო. ეს ამბავი თქვენ არ გეხებათ. არც ჩარევის უფლება გაქვთ!

— მართლა?! ჰა, ჰა, ჰა! სლოუმენ! ჰენკოკ! კროსმენ! გაიგონეთ, რა თქვა? მე უფლება არა მაქვს ჩავერიო! მისმინეთ, სამსახურიდან გადამდგარო მოხალისეთა კაპიტანო კასიუს კოლჰაუნ! იცით, სად იმყოფებით, სერ? მისისიპის შტატში ხომ არ გგონიათ თავი, სადაც

მონათა გამათრახება რაინდობად ითვლება? ეს სამხედრო ფორტია და რაც აქ მოხდება, სამხედრო კანონს ექვემდებარება. მე კი მისი ახლანდელი უფროსი გახლავართ. ამიტომ გიბრძანებთ, თქვენი რევოლვერი იმავე ბუდეში ჩაღოთ, საიდანაც ამოიღეთ. ამწუთსავე, თორემ ჰაუპტვახტში ჩაგსვამთ გარნიზონის რიგითი ჯარისკაცისადმი.

— ნუთუ? — წყენით წამოიძახა მისისიპელმა, — აი, რა მშვენიერ ქვეყნად გინდათ გადააქციოთ ტეხასი! მაშ, როგორც არ უნდა შეურაცხყოთ კაცი, თუ მაიორ რინგვუდისაგან წინასწარი თანხმობა არა აქვს, თავმოყვარეობის დასაცავად ველარ უბრძოლია? ასეთია კანონი ამ ქვეყანაში?

— სრულებითაც არა, — უპასუხა მაიორმა, — მე არცა ვარ და არც ვყოფილვარ ისეთი ადამიანი, რომ დავის დროს პატიოსან ანგარიშსწორებას წინ გადავედგო. თქვენ სრული თავისუფლება გეძლევათ, თქვენცა და თქვენს მოწინააღმდეგესაც, სურვილისამებრ, ერთმანეთი ამოხოცოთ. მაგრამ ახლა არა. უნდა იცოდეთ, მისტერ კოლჰაუნ, ასეთი რამ სხვა ადამიანების სიცოცხლესაც აგდებს საფრთხეში. მათ კი არავითარი სურვილი არა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ თქვენს დავაში. არც მე მსურს, სხვისთვის გამიზნული ტყვიას შევუშვირო მკერდი. მოითმინეთ, სანამ ყველანი საჭირო მანძილზე გავალთ აქედან და მერე ისროლეთ, რამდენიც გენებოთ. ახლა, სერ, მგონი, თანახმა უნდა იყოთ, არა?

მაიორი რომ უბრალო ადამიანი ყოფილიყო, შესაძლოა არც შესრულებინათ მისი ბრძანება, მაგრამ მისი ოფიციალური მდგომარეობა ფორტში, ხნოვანება, აგრეთვე ის, რომ იგი დიდი ხელოვნებით ხმარობდა იარაღს და ტყუილუბრალოდ არ უყვარდა სიტყვების ხარჯვა ყველაფერი ეს ანგარიშგასაწევი იყო. მისი გაშიშვლებული ხმალი ჰაერის ფუჭი შერხევისათვის როდი იყო ამოღებული. მოდავეებმა ეს მშვენივრად იცოდნენ. სწორედ ამიტომ ორივემ იმწამსვე რევოლვერების ლულები დაბლა დახარეს, თუმცა იარაღი ხელიდან არც ერთს არ გაუშვია.

კოლჰაუნი წარბებშეკრული იდგა და კბილებს ისე აღრჭიალებდა, თითქოს მტაცებელი მხეცი ყოფილიყო, რომელსაც მსხვერპლზე თავდასხმაში დროებით ხელი შეუშალეს. მუსტანგერი კი მშვიდად გამოიყურებოდა, თითქოს არაფერი სწყენოდა და არც ირლანდიური სისხლი ჰქონოდა.

— ვფიქრობ, მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი ორთაბრძოლა, არა? — წარმოთქვა მაიორმა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ მათ შორის დავის მოგვარება სხვანაირად არ შეიძლებოდა.

— მე არ მაქვს ამისი დიდი სურვილი, — თავმდაბლად უთხრა მორისმა, — თუ მისტერ კოლჰაუნი ბოდიშს მოიხდის თავისი სიტყვებისა და საქციელისათვის.

— უნდა მოიხადოს, დავა მან წამოიწყო, — წამოიძახა რამდენიმე დამსწრემ.

— ვერ ეღირსება! — ზიზღით წარმოთქვა კოლჰაუნმა, — კაშ კოლჰაუნი ჩვეული არაა ბოდიშის მოხდას. ბოდიში მოვუხადო და ისიც ამ აჭრელეებულ მაიმუნს!

— კმარა! — დაიყვირა ახალგაზრდა ირლანდიელმა, რომელსაც ახლალა დაეტყო აღელვება, — მე მას სიცოცხლის შენარჩუნების უკანასკნელი საშუალება მივეცი, მაგრამ არ ისურვა. ახლა კი წმინდა მარიამს ვფიცავ, ერთ-ერთი ჩვენგანი ამ ოთახიდან ცოცხალი ვერ გავა, მაიორო! თქვენცა და თქვენს მეგობრებსაც გთხოვთ, გაბრძანდეთ აქედან. აღარ შემიძლია მისი წრეგადასული თავხედობის ატანა.

— ჰა, ჰა, ჰა! — დაცინვით გადაიხარხარა სამხრეთელმა, — სიცოცხლის შენარჩუნების უკანასკნელი საშუალება მომცა! მიბრძანდით აქედან, მიბრძანდით და მე მაგას ვაჩვენებ!

— მოითმინეთ! — დაიძახა მაიორმა, — ეს კიდევ არ გვაძლევს აქედან უვნებლად გაღწევის საშუალებას. როგორც კი ზურგით შევბრუნდებით, შეიძლება სროლა ატეხოს. ჩვენ გარეთ უნდა გავიდეთ,

სანამ სროლას დაიწყებდეთ. გარდა ამისა, ჯენტლმენებო, — მიმართა მაიორმა გარშემომყოფთ, — დუელის წესები უნდა იყოს დაცული. ასეთ შემთხვევაში კი ორივეს ერთნაირი იარაღი უნდა ჰქონდეს!

— უეჭველად! — დაუდასტურეს იქ დამსწრეებმა, რომლებიც ამავე დროს მოდავეებს შესცქეროდნენ სახეებში.

— რომელიმე თქვენგანს ხომ არაფერი აქვს ამის საწინააღმდეგო? — იკითხა მაიორმა.

— მართალი მოგახსენოთ, მე არ შემიძლია, ამის წინააღმდეგი ვიყო, — უპასუხა ირლანდიელმა.

— მე ვიბრძოლებ იმ იარაღით, რომელშიც ხელში მიჭირავს, — ჯიუტად განაცხადა კოლჰაუნმა.

— თანახმა ვარ! მეც თქვენნაირი იარაღი მაქვს, — გაეპასუხა მუსტანგერი.

— ორივეს კოლტის ექვსვაზნიანი რევოლვერები გაქვთ, — თქვა მაიორმა, როცა ყურადღებით გასინჯა მათი იარაღი. ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. ერთნაირად ხართ შეიარაღებული.

— სხვა იარაღი ხომ არაფერი აქვთ? — იკითხა ახალგაზრდა ჰენკოკმა, რომელსაც ეჭვი ჰქონდა, კოლჰაუნს ფრენჩის ქვეშ დანა აქვს დამალული.

— მე სხვა არაფერი მაქვს, — თქვა მუსტანგერმა ისე გულწრფელად, რომ მისი სიტყვების სიმართლეში ეჭვი არავის შეჰპარვია.

ახლა ყველა კოლჰაუნს მიაჩერდა, რომელიც ყოყმანობდა და პასუხს აგვიანებდა. იგი მიხვდა, რომ სიმართლე უნდა ეთქვა.

— რა თქმა უნდა, — თქვა მან, — მე დანაც მაქვს. ხომ არ გინდათ, ჩამომართვათ? ყველას აქვს უფლება, იბრძოლოს იმ იარაღით, რომელიც გააჩნია.

— მაგრამ, კაპიტანო კოლჰაუნ, — უთხრა ჰენკოკმა, — თქვენს მოწინააღმდეგეს დანა არა აქვს. თუ მასთან თანასწორი იარაღით ბრძოლისა არ გეშინიათ, მაშინ დანა უნდა შემოიხსნათ.

— სწორია, უნდა შემოიხსნას, — დაიძახეს აქეთ-იქიდან.

— მომეცით დანა, კაპიტანო კოლჭაუნ! — დაბეჯითებით მიმართა მაიორმა, — ექვსმა ტყვიამ ყველა გონიერი ადამიანი უნდა დააკმაყოფილოს და ფოლადის ჩარევა აღარ დაგჭირდებათ. სანამ თქვენ სროლას დაამთავრებთ, ერთ-ერთი თქვენგანი...

— ეშმაკსაც წაუღია დანა!.. — შეაწყვეტინა კოლჭაუნმა და ფრენის ღილები გაიხსნა. ცოტა ხნის შემდეგ დანა ამოიღო, სალონის კუთხეში ისროლა და კვეხნით წარმოთქვა, დანა არ დამჭირდება ამ ტრელბუმბულიანი ჩიტივით გამოწყობილ ვიგინდარასთან ანგარიშის გასასწორებლადო.

— ჯერ საქმით გვიჩვენეთ, რა შვილიც ბრძანდებით და მერე ილაპარაკეთ. არ გეგონოთ, თქვენმა ბრტყელ-ბრტყელმა სიტყვებმა შემაშინოს, მისტერ კოლჭაუნ! ძალიან გთხოვთ, იჩქარეთ, ჯენტლმენებო! ერთი სული მაქვს, ამ მკვეხარას ბოლო მოვუღო.

— ძაღლო! — ბოღმით წაისისინა სამხრეთელმა, — წყეულო ირლანდიელო ძაღლო! მოგაძებნინებ შენს სოროს. მე შენ...

— გრცხვენოდეთ, კაპიტანო კოლჭაუნ! — შეაწყვეტინა მაიორმა, რომლის სიტყვებს ყველა იქ დამსწრემ დაუჭირა მხარი, — სად გაგონილა პატივსაცემ საზოგადოებაში ასეთი სიტყვების წარმოთქმა. ცოტა კიდევ მოითმინეთ, გავალთ და მერე, რაც გინდოდეთ, ისა თქვით. ახლა, ჯენტლმენებო! — მაიორმა გარშემო მყოფთ მიმართა, — ჩვენ მხოლოდ ერთი რამ დაგვრჩენია. პირობა უნდა დავადებინოთ, მანამ გარეთ არ გავალთ, სროლა არ დაიწყონ.

საქმეს თავისთავად ისიც აძნელებდა, რომ დათქმული არ ჰქონდათ დუელის დაწყების ნიშანი. სიტყვიერი პირობა ასეთი დაძაბულობის დროს ვერ შეაკავებდა მოშულარათ. ერთ-ერთი მათგანი არ დაუცდიდა ნიშანს და ისე დაიწყებდა სროლას.

— სროლა აუცილებლად ნიშნის მიცემის შემდეგ უნდა დაიწყონ, — თქვა მაიორმა, — რომელიმე თქვენგანს ხომ არ შეუძლია შემოგვთავაზოს წინადადება, რა დავაწესოთ დუელის დაწყების ნიშნად?

— მე ვფიქრობ, შემძლია, — თქვა აულელვებელმა კაპიტანმა სლოუმენმა და წინ წამოდგა, — ეს ჯენტლმენები ჩვენთან ერთად გამოვიდნენ გარეთ. თქვენ კარგად იცით, სალონს ორივე მხარეს დატანებული კარი აქვს. მე ვერავითარ განსხვავებას ვერ ვამჩნევ მათ შორის; შემდეგ ამ ერთნაირ კარში მოპირდაპირე მხრიდან ისევ შემოვიდნენ და სროლა მხოლოდ მაშინ დაიწყონ, როცა კარის ზღურბლს გადმოაბიჯებენ.

— შესანიშნავი წინადადებაა, — დაიძახა რამდენიმე მამაკაცმა.

— ნიშანი რაღა დავაწესოთ? — იკითხა მაიორმა, — გასროლა?

— არა, სალონის ზარი!

— ამაზე უკეთესს ვერაფერს მოვიფიქრებთ, კარგია, — დაასკვნა მაიორმა და კარისაკენ გაემართა.

— ღმერთო ჩემო, მაიორო! — წამოიყვირა დოფერმა და გამოვარდა დახლიდან, სადაც აქამდე იდგა და შიშისაგან ცახცახებდა, — ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა უნდა ისროლონ ჯენტლმენებმა და ისიც შიგ სალონში? დაამსხვრევენ ბოთლებს და ჩემს ლამაზ სარკეებს, ჩემს ბროლის საათს, რომელიც ორას დოლარამდე დამიჯდა. დამიღვრიან საუკეთესო ღვინოებს... აჰ! მაიორო, ხომ დამელუპა და დამექცა ოჯახი, ხომ გავლატაკდი... ღმერთო ჩემო! ეს იქნება...

— ნუ გეშინიათ, ობერდოფერ! — მიუბრუნდა მაიორი და შეჩერდა, — ეჭვი არ არის, ყველაფერს აგინაზღაურებენ. ყოველ შემთხვევაში, აქაურობას თავი უნდა გაარიდოთ. თუ სალონში დარჩით, შეიძლება ბოთლის მაგივრად, თქვენ მოგხვდეთ ტყვია. მე მგონი, ეს ცოტა უარესი იქნება, ვიდრე ბოთლების ან სარკის დამსხვრევა.

ამ სიტყვების შემდეგ მაიორმა მიატოვა სალონის უბედური მეპატრონე და გარეთ გავიდა, სადაც სხვადასხვა კარიდან გამოსული მოწინააღმდეგენი დაინახა. „მოხუცი დოფერი“ კი ჯერ ისევ თავისი სალონის შუაგულში იდგა, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა ამ საშიშ მდგომარეობაში. მაიორის გარეთ გასვლიდან ექვსი წამის შემდეგ იმანაც დატოვა სალონი.

კრიალა სურებითა და ძვირფასი სარკეებით მორთულ, გაბრდღვიალებულ სალონში სრული სიჩუმე ჩამოწვა, რასაც მხოლოდ ბროლის საათის ტიკტიკი არღვევდა.

21 - დუელი სალონში

სალონიდან გასვლის შემდეგ მაიორი მოშუღართა საქმეში აღარც ჩარეულა. მას, როგორც ოფიციალურ პირს, — ფორტის უფროსს, უფლება არა ჰქონდა, წახეხალისებინა დუელის მონაწილენი, კიდევ მეტი — მას არ უნდა მიექცია ყურადღება, დაიცავდნენ თუ არა ორთაბრძოლის მონაწილენი წესებს. ეს საქმე ახალგაზრდა ოფიცრებმა ითავეს და პირობების მომზადებასაც დაუყოვნებლივ შეუდგნენ.

ბევრი დრო აღარც დაუკარგავთ. პირობები უკვე დათქმული იყო. ისღა დარჩენოდათ, ვინმე გამოეყოთ და ზარი დაერეკვინებინათ, რაც დუელის დაწყების ნიშანი იქნებოდა. ეს ძალიან ადვილი საქმე გახლდათ და სრულიად არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ გააკეთებდა ამას.

უკუნეთი ღამე ჩამოწვა, მაგრამ სალონის წინ ჯგუფ-ჯგუფად თავშეყრილ ხალხს მაინც გაარჩევდით. უმრავლესობას სამხედრო ტანსაცმელი ეცვა. აქ მარტო ის ოფიცრები როდი იყვნენ, სალონიდან ყველაზე გვიან რომ გამოვიდნენ — სხვებსაც მოეყარათ თავი. ამათ დაუმატეთ ჯარისკაცები, რომლებიც იმ ღამით თავისუფალნი იყვნენ საგუშაგო სამსახურისაგან. მათაც გაეგოთ, მოედანზე რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა; ქალები, რომელთაც ნაჩქარევად წამოეხურათ რაღაც და გარეთ ისე გამოსულიყვნენ: ჯარისკაცების ცოლები, მრეცხავები და რამდენიმე საეჭვო ყოფაქცევის სენიორიტა. ისინი ადრე მოსულებს ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ — რა მოხდაო.

მოსაუბრენი ერთმანეთს ჩურჩულით მიმართავდნენ. ყველამ იცოდა, რომ ფორტის კომენდანტი და ხელისუფლების სხვა წარმო-

მადგენლებიც აქ იყვნენ. სწორედ ეს გარემოება გახლდათ იმის მიზეზი, რომ ყაყანს ვერ გაიგონებდით. ბრბო სალონის წინ კი არა, მისგან თორმეტიოდე იარდის დაშორებით იდგა. ყველას სალონისაკენ ჰქონდა მიპყრობილი მზერა. ისე მტკიცედ და დაჟინებით იცქირებოდნენ, რომ ადვილი მისახვედრი იყო, მთელი მათი ყურადღება ამ დიდ სანახაობას შთაენთქა. მოწინააღმდეგეებს ხის მორებისაგან ნაშენები ორი სქელი კედელი ჰყოფდა. ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, მაგრამ მათი მოძრაობა ისე ჰგავდა ერთმანეთს, თითქოს ერთი და იგივე გრძნობა ამოძრავებდათ. ასე იდგნენ მოპირდაპირე კარის შესასვლელებთან. ორივე მხარეს კარიდან კაშკაშა შუქი იფრქვეოდა და განიერ ზოლად ეფინებოდა ქვაფენილით მოკირწყლულ მიწის ზედაპირს. არც ერთი მათგანი არ იდგა შესასვლელის წინ. ორივე მისგან ცოტა მოშორებით — გვერდულად აჰყუდებოდა კედელს ისე, რომ სინათლის არეში არ მოხვედრილიყვნენ. თითქოს სტარტზე არიანო, ორივენი ოდნავ მოხრილიყვნენ წელში. იყურებოდნენ სალონის შიგნით, საიდანაც ბროლის საათის ტიკტიკის გარდა, ჩქამიც კი არ ისმოდა. მეტოქეები წინასწარ დათქმულ ნიშანსლა ელოდნენ.

მათი განზრახვის მიხვედრას დიდი გამჭრიახობა არ სჭირდებოდა. მოედანზე შემთხვევით მოხვედრილ გამვლელსაც კი შეეძლო ეთქვა, რომ ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. ჩახმახმომართული და ხელში მაგრად ჩაბლუჯული რევოლვერები, დაძაბული, ნერვიული დგომა, მაყურებელთა სამარისებური სიჩუმე და ის ცხოველი ინტერესი, რომლითაც ისინი ამ ორ ადამიანს თვალს ადევნებდნენ, სიტყვებზე ნათლად მეტყველებდნენ, რომ აქ გაიმართებოდა ბრძოლა, რომელსაც შეიძლება სიკვდილიც მოჰყოლოდა.

გასროლის ნიშანი ვიღაცის მქუხარე ხმამ წარმოთქვა. ეს იყო უბრალო სიტყვა — „დარეკეთ“!

ბოძთან, რომელზეც სასტუმროს ზარი ეკიდა, სამი თუ ოთხი შავი სილუეტი მოჩანდა. ბრძანებამ ისინი იმწამსვე აამოძრავა. მათი ხელების მოძრაობა სიბნელეში ბუნდოვნად მოჩანდა. ზარმა გაიჟღირა ალა.

დიდხანს არ გაგრძელებულა რეკვა. პირველმა ჩამოკვრამ ოცჯერ ვერ მოასწრო შეერხია ჰაერი, როცა ზარის დასარეკად გამოყოფილმა ადამიანებმა შენიშნეს, რომ მათი სამსახური უკვე აღარ იყო საჭირო. მოწინააღმდეგენი სალონში შეცვივდნენ. გაისმა რევოლვერების გასროლის მჭახე ხმა და დამსხვრეული შუშის ზრიალი. ზარის მრეკავები დარწმუნდნენ, რომ ისინი მხოლოდ ზედმეტ ხმაურს იწვევდნენ. თოკს ხელი უშვეს და დანარჩენებივით გარინდებულებმა სალონში გამართულ ბრძოლას მიაყურადეს.

მოშუღართა გარდა არავის დაუნახავს, როგორ ჩატარდა ეს უცნაური დუელი. ზარის ხმის გაგონებისთანავე ორივე მოწინააღმდეგე სალონში შევარდა. არც ერთი არ დაყოვნებულა და დამალვა არ უცდიდა. ასეთი საქციელი სახელს გაუტეხდა ხალხის თვალში. ასი თვალი მაინც უცქეროდა. მაყურებლებმა იცოდნენ, რა პირობაც იყო დათქმული. მოწინააღმდეგეთ ზღურბლზე გადაბიჯებამდე არ უნდა ესროლათ.

როგორც კი მოწინააღმდეგენი ოთახში აღმოჩნდნენ, დუელი დაიწყო. პირველმა ორმა გასროლამ სალონი ბოლით აავსო. ორივე ფეხზე იდგა, მიუხედავად იმისა, რომ დაიჭრნენ. თეთრი ქვიშის იატაკზე სისხლი ნაკადად იღვრებოდა. გასროლის მეორე ჯერიც ერთდროულად გაისმა. ეს უკვე ალალებდებ ნასროლი ტყვიები იყო, რადგან მოპირდაპირეებს მიზანში ამოღებას კვამლი უშლიდა. შემდეგ მხოლოდ ერთმა გაისროლა. მალე კიდევ გაისმა სროლის ხმა და სიჩუმე ჩამოწვა. თუ აქამდე ისმოდა, როგორ დააბოტებდნენ სალონში მოწინააღმდეგენი, ახლა ეს ხმაურიც მიწყდა.

სამარისებური დუმილი ჩამოწვა. იქნებ დახოცეს ერთმანეთი? იქნებ ორივე გარდაიცვალა? ორმა ერთმანეთის მომდევნო გასროლამ მსმენელებს აუწყა, რომ ორივე ცოცხალი იყო. შესვენება იმით იყო გამოწვეული, რომ მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ კვამლში გაერჩიათ ერთმანეთი. არც მოძრაობდნენ და არც ხმას იღებდნენ, რომ ადგილსამყოფელი არ გაეცათ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ახლა უფრო ხანგრძლივი.

ეს სიჩუმეც ორმხრივი სროლით დაირღვა. სროლის ხმას კი ორი მძიმე სხეულის იატაკზე დავარდნის ხმა მოჰყვა. მერე ისევ გაიგონეს იატაკზე გადაბრუნების, ფორთხვისა და ცალფა გასროლის ხმა. ეს უკვე მეთერთმეტე და უკანასკნელი გასროლა იყო.

გარეთ მხოლოდ დენთისაგან დამდგარ კვამლის სვეტებს ხედავდნენ, რომელიც ორივე კარიდან ცისაკენ მიიწევდა. ამას თან ერთვოდა რევოლვერის გასროლის მჭახე ხმა. ეს იყო და ეს, მეტი აღარაფერი დაუნახავთ. მოსმენით კი უფრო ბევრი რამ მოისმინეს: მას შემდეგ, რაც ზარს ჩამოჰკრეს, ერთიმეორეს მოსდევდა დამსხვრეული შუშების ზრიალი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაბრუნებული ავეჯის ბრაგვანი და რევოლვერების სროლის მჭახე ხმა.

ქუჩაში მყოფებმა თერთმეტი გასროლა დათვალეს და ახლა სულგანაბულები ელოდებოდნენ მეთორმეტესა და უკანასკნელს.

გასროლის მაგივრად გაიგონეს ადამიანის ხმა, რომლითაც მუსტანგერი იცნეს.

— ჩემი რევოლვერის ლულა თქვენს საფეთქელზეა მიბჯენილი! ერთი ტყვია კიდევ დამრჩა. ბოდიში მომიხადეთ, თორემ სიცოცხლეს გამოგასალმებთ.

ქუჩაში მდგარი ბრბო მიხვდა, რომ დუელი დასასრულს უახლოვდებოდა. ყველაზე უფრო გამბედავებმა სალონშიც კი შეიჭვრიტეს. მოშუღარნი იატაკზე გაშხლართული იწვნენ და სისხლში ცურავდნენ. ეტყობოდა, ორივე მძიმედ იყო დაჭრილი. თეთრი იატაკი

სისხლს წითლად შეეღება. აქა-იქ ჩანდა სისხლის წითელი ნაკვალევი, რომლის მიხედვით კაცი დაასკვნოდა, რომ ისინი ერთმანეთთან მიფორთხებულებიყვნენ, რათა უკანასკნელი ტყვიები დაეხალათ ერთმანეთისათვის. ხავერდის შარვალში გამოწყობილი ალისფერ-შარფიანი მამაკაცი ოდნავ წამოწეულიყო, თავს დასდგომოდა მეორეს და რევოლვერის ლულა მის საფეთქელზე მიედო.

იმწამსვე გაიგონეს კოლჭაუნის ხმაც, რომელშიც წინანდებური ყოყონობის ნატამალიც აღარ იგრძნობოდა. მან წუწუნით და სინანულით წაიჩურჩულა:

— კარგი, მაგას ნუ იზამთ! დაუშვით რევოლვერი, ბოდიშს ვიხდი.

22 - საიდუმლოებით მოცული ძღვენი

ტეხასში დუელი უჩვეულო ამბავი როდია, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, იგი ტეხასელებს ცხრა დღეს მაინც არ ეყოფათ სალაპარაკოდ. ხშირ შემთხვევაში სამ დღეში მოათავებენ მასზე ჭორაობასა და ლაქლაქს. ერთი კვირის შემდეგ კი იგი მოშუღარების, მათი ნამდვილი მეგობრებისა და ნათესავების მეტს არავის ახსოვს.

ასე ხდება მაშინაც კი, როცა დუელში ცნობილი და საპატიო ხალხი მონაწილეობს. მდაბიოთა და ტეხასში ნაკლებად ცნობილი ადამიანების დუელის დასავიწყებლად ერთი დღეც კმარა. არ მახსოვს, ასეთ შემთხვევებში ვინმე დაესაჯოთ ან შეურაცხყოფის მიყენებისათვის ზარალი აენაზღაურებინოთ. ასეთ უკანონო საქციელს რაიმე „უბედურ შემთხვევებს“ მიაკუთვნებენ და ყველაფერი ამით თავდება.

მიუხედავად იმისა, რომ ვასიუს კოლჭაუნი და მორის ჯერალდი ახალშენში უცხონი არ იყვნენ, მათ შორის მომხდარმა დუელმა აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა და ინტერესი გამოიწვია. ამას ჩხუბისთავად ცნობილ ვასიუს კოლჭაუნის ბაქიაობამ და ჯერალდის უცნაურმა განმარტოებულმა ცხოვრებამაც შეუწყო ხელი. ამ ორი ადა-

მიანის ნაკლი და ღირსება იქცა იმ დღეებში მსჯელობის საგნად. ყველაზე მეტად ამ ამბავს იქ განიხილავდნენ, სადაც მათ ერთმანეთის სისხლი დაღვარეს — დოფერის სალონში.

გამარჯვებულმა ქება-დიდება, სახელი და მეგობრები შეიძინა. მოწინააღმდეგის მხარეზე კი ძალიან ცოტანი იყვნენ. უმრავლესობა დუელის შედეგით კმაყოფილი დარჩა. მართალია, დიდ ხანს არ გავლო კოლჭაუნის ტეხასში გამოჩენიდან, მაგრამ თავისი უტიფრობითა და თავხედობით მან არაერთხელ გაანაწყენა სალონის სტუმრები და თავის წინააღმდეგ აამხედრა.

ახალშენის მცხოვრებთა უმრავლესობა ამიტომაც ამბობდა: ირლანდიელმა კოლჭაუნს ძალიან კარგი გაკვეთილი ჩაუტარაო. ერთი სიტყვით, დუელის შედეგით თითქმის ყველა კმაყოფილი იყო.

როგორ განიცდიდა დამარცხებას კასიუს კოლჭაუნი, არავინ იცოდა. ეს გაბღენძილი და ყოყონა ადამიანი სალონში აღარ გამოჩენილა. თუ რატომ და რა მიზეზით, ყველა ხვდებოდა. ეს წყენით როდი იყო გამოწვეული. მძიმე, თითქმის მომაკვდინებელმა ტრილობებმა სარეცელს მიაჯაჭვეს იგი.

მორისიც საწოლს მიჯაჭვული აღმოჩნდა. მას არა ჰქონდა ისეთი მძიმე ტრილობები, როგორც მის მოწინააღმდეგეს, მაგრამ მაინც უნდა წოლილიყო. იძულებული გახდა, „მოხუცი დოფერის“ სასტუმროში დარჩენილიყო. აქ მას ულაზათო ავეჯით გაწყობილი პატარა ოთახი მისცეს. მორისს, დოფერის თვალში, არც გამარჯვებულის სახელმა უშველა. სასტუმროს პატრონი მაინც უყურადღებოდ მოექცა.

მორისს არ შეეძლო გამარჯვება ეზიჰმა — ბევრი სისხლი დაკარგა და ლოგინში დასუსტებული იწვა. მისი სადმე გადაყვანაც არ მოხერხდა, რადგან ავადმყოფის განძრევა არ შეიძლებოდა. საბედნიეროდ, ფელიმი ახლდა, თორემ მაშინ უარესად მოუვლიდნენ.

— წმინდაო პატრიკ! ეს ხომ სამარცხვინო ამბავია, — თავისთვის ბუზღუნებდა ფელიმი, — ამაზე დიდი სამარცხვინო ამბავი რაღა იქ-

ნება — ნამდვილი ჯენტლმენი სალორზე პატარა სოროში მოათავსო. ისეთი ჯენტლმენი, როგორც თქვენ ხართ, მისტერ მორის! ან რანაირი სასმელ-საჭმელი მოაქვთ? ოჰ! კარგად ნასუქი ირლანდიური ღორიც კი უარს იტყვის იმაზე, რასაც ჩვენ გვაჭმევენ. იცით, რას ლაპარაკობდა ქვემოთ ეგ ბებერი დოფერი?

— წარმოდგენა არა მაქვს, ფელიმ და არც მაინტერესებს. ხოლო თუ შენი სიტყვები არ გინდა გაიგონონ, ცოტა ხმადაბლა ილაპარაკე.

— ეშმაკმა დალახვროს ეს კედლები და ეშმაკსვე გადაუბუგავს აქაურობა. ნუთუ თქვენთვის სულერთია, რას ლაპარაკობენ თქვენზე? სულაც არ დავეძებ, ჩემს ნათქვამს თუ გაიგონებენ. ეგ გერმანელი ამაზე უარესად მაინც ვეღარ მოგვემსახურება. მაინც გეტყვით ყველაფერს, უნდა იცოდეთ ყოველივე.

— აბა, კარგი, მითხარი, რა თქვა?

— ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ელაპარაკებოდა ერთ თავის ძველ მეგობარს, რომ გარდა მოვლის, სასმელ-საჭმლის და ოთახის ქირისა, იმ ღამით დამსხვრეული ყველა საგნის ღირებულებაც მაგას უნდა ვაზღვევინო.

— მე უნდა მაზღვევინოს?

— დიახ, მისტერ მორის და იმ იანკის კი არაფრის გამორთმევას არ უპირებს. ეს ხომ უნამუსობაა; მარტო ბილწი გერმანელი თუ მოიფიქრებდა ასეთ რამეს. ვისი მიზნითაც დაიმსხვრა მაგის სარკეები და ბოთლები, დაე, იმან გადაიხადოს და არა თქვენ — ჯერალდთა შთამომავალმა. ოჰ, ერთი მაგის თავი ჩამაგდებინა ხელში და მერე მე ვიცი.

— კი მაგრამ, მუსტანგერმა რატომ უნდა გადაიხადოსო, ამაზე რა თქვა, ვერ გაიგონე?

— როგორ არა, მისტერ მორის, ასე ამბობს: ჩიტის ხელში მყავს და რატომ უნდა გავუშვაო.

— არა უშავს რა, მალე დარწმუნდება, რომ შეცდომა მოუვიდა. ეგ ანგარიში ცაში მონავარდე ჩიტს წარუდგინოს. მე მზად ვარ, ზარალის ნახევარი ავუნაზღაურო. შეგიძლია ეს უთხრა კიდევ, თუ სიტყვამ მოიტანოს, ან თვითონ გკითხოს რაიმე. მართალი რომ ვთქვა, ისიც არ ვიცი, ამდენი თანხა საიდან უნდა გადაუხადო. ბევრი რამე დაიმსხვრა, არა? როგორც მახსოვს, გარშემო ყველაფერს ზრიალი გაჰქონდა. თუ არ ვცდები, საათი ან სარკე უნდა დამსხვრეულიყო, ან რაღაც სხვა იმის მსგავსი.

— დიდი სარკე და ბროლის რაღაც ნივთი, საათზე რომ იდგა. ეს ყველაფერი ორასი დოლარი ღირსო, ამბობენ, მაგრამ მე მგონი, აჭარბებენ, მაგის ნახევარიც არ ეღირება.

— ასეც რომ იყოს, ახლა მაგის გადახდაც გამიჭირდება, ფელიმ. ალბათ ალამოს ნაპირზე მოგიხდება წასვლა ჩემი გადამალული განძეულის ჩამოსატანად. ეს ვალი ხომ უნდა დავფარო. ალბათ ჩემს დეგებს, ვერცხლის ფინჯანს და შეიძლება თოფსაც კი გამოვეთხოვო.

— არაფრის დიდებით! უთოფოდ როგორღა უნდა ვიცხოვროთ?

— ცხენის ხორციით უნდა ვიკვებოთ, ამისთვის კი ლასოც საკმარისია.

— მე მგონი, ეგ იმაზე ცუდი საკვები არ იქნება, რასაც ეგ დოფერი გვაჭმევს. რაც აქა ვარ, ერთთავად მუცელი მტკივა.

საუბარი კარის დაუკითხავად გაღებამ შეაწყვეტინათ. გამოჩნდა ჭუჭყიან სამოსში გამოწყობილი მსახური, რომელიც, ვერ გაარჩევდით, კაცი იყო თუ ქალი. გრძელ, ძარღვიან ხელში კალათა ეჭირა.

— რა არის ეგ, გერტრუდა? — შეეკითხა ფელიმი, რომელმაც ეტყობოდა, იცნო შემოსული.

— ეს ერთმა ჯენტლმენმა გადმომცა.

— ვინ ჯენტლმენმა, გერტრუდა?

— არ ვიცი, ბატონო. ძალიან უცნაური ჯენტლმენი ჩანდა.

— ფელიმ, ნახე, რა არის.

ფელიმმა თავგადაკერილი კალათა გახსნა. შიგ ბლომად ღვინო და სხვა სასიამოვნო სასმელებით სავსე ბოთლები ეწყო, ასევე, საშაქარლამოსა თუ სამზარეულოში დამზადებული მრავალნაირი ტკბილეული. არავინ იცოდა, ვინ იყო გამომგზავნი, მაგრამ ყველაფერი ისე ფაქიზად და კოხტად ელაგა კალათაში, რომ ეტყობოდა, ქალის ნახელავი უნდა ყოფილიყო.

მორისმა გულდასმით დაათვალიერა ყველაფერი. იგი წერილს ეძებდა. მაგრამ კალათაში არც წერილი აღმოჩნდა და არც სადარბაზო ბარათი. აშკარა იყო, ეს გულუხვად შერჩეული ძღვენი შეძლებულ ოჯახიშვილს უნდა გამოეგზავნა. მაგრამ ვის?

როცა მორისი ამაზე ფიქრობდა, მის გონებაში ლუიზა პოინდექსტერის მშვენიერი სახე ამოტივტივდებოდა ხოლმე. ძღვენის გამოგზავნას სწორედ მის ქველმოქმედებას უკავშირებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს დაუჯერებელი ჩანდა, მაინც იმედი ჰქონდა, ასე იქნებოდა, და გული ბედნიერებისაგან უძგერდა.

მაგრამ რამდენადაც უფრო მეტს ფიქრობდა, ეს სასიამოვნო რწმენა თანდათან ეფანტებოდა. ბოლოს, ეს რწმენა შეერყა და მისგან მხოლოდ არამყარი იმედილა შერჩა.

— ძალიან კეთილი ჯენტლმენი კი ჩანს, მაგრამ ვინ უნდა იყოს, მისტერ? — ჰკითხა ფელიმმა.

— წარმოდგენაც არა მაქვს; შეიძლება ფორტის რომელიმე ოფიცერია... თუმცა არც ერთი მათგანისაგან არ მოველი ასეთი სიკეთის გამოჩენას.

— არავითარი ოფიცერი! არც ერთ ოფიცერს და საერთოდ მამაკაცს, არ შეეძლო კალათაში საჭმელ-სასმელის ასე ფაქიზად ჩალაგება.

— ვითომ რატომ?

— ვითომ რატომ? ოჰ, მისტერ! მე რას მეკითხებით? განა ვერა გრძნობთ ქალის თითების სურნელებას; აბა შეხედეთ, რა კოხტად

არის შეფუთული ყველაფერი. ამას მამაკაცის ხელი ვერასოდეს მოახერხებს. ეს, რა თქმა უნდა, ქალის ხელია; ნამდვილად ლედი უნდა იყოს.

— სისულელეა, ფელიმ! მე არ ვიცნობ არც ერთ ლედის, რომელიც ჩემით იყოს დაინტერესებული.

— როგორ თუ არ იცნობთ? სიკვდილს რომ გადაარჩინეთ? დიდი უმადურობაც იქნებოდა მისი მხრივ, თქვენზე არ ებრუნა.

— ვის გულისხმობ, ფელიმ?

— ვითომ თვითონ ვერ ხვდებით? აი, იმას, ჩვენთან, ქოხში რომ იყო, წინწკლებიანი მუსტანგი რომ აჩუქეთ და სამაგიეროდ ერთი გახვრეტილი გროშიც არ მიგიღიათ. თუ ეს მისი გამოგზავნილი საჩუქარი არაა, მაშინ ფელიმ ონილი ბალიბალაჰში დაბადებულთაგან ყველაზე დიდი ბრიყვი ყოფილა... ეჰ... ნეტავ ის ლურჯთვალება ლამაზი რას იტყოდა, რომ იცოდეს, როგორ განსაცდელში იმყოფებით?

— ხომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ექიმმა თქვა, ერთ კვირაში შეგიძლია ადგეო. ამაზე ნულარ ნაღვლობ, ფელიმ.

— არა, ბატონო, მე მაგ განსაცდელზე როდი ვამბობ, თვითონ მშვენივრად იცით, რა განსაცდელზეც გელაპარაკებით. მე მგონი, ჭრილობა თქვენ ლამაზი თვალებისაგან გაქვთ გულში მიყენებული. ეს იარა უფრო მტკივნეულია, ვიდრე ნატყვიარი. შეიძლება პირუკუც მოხდა — თქვენმა თვალებმა დაჭრა ვილაცის გული და ეს ყველაფერი მისი ნახელავია.

— ცდები, ფელიმ, ეს კალათა ფორტიდან გამოგზავნილი იქნება. ყოველ შემთხვევაში, რაც არის, არის, მოდი, ჭაშნიკი გაუუსინჯოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფს ძალიან ესიამოვნა ნუგბარი სასმელ-საჭმელი, მაინც მის გამომგზავნზე ფიქრი უფრო სიამოვნებდა.

ნუთუ ეს ყოველივე ახალგაზრდა ლედიმ მოიმოქმედა, მისი მოსისხლე მტრის ბიძაშვილმა და, როგორც ამბობდნენ, მისივე სატრფომ?

ეს შეუძლებლად ეჩვენებოდა.

მაგრამ თუ არა ლუიზა, მაშინ ვინ?

მუსტანგერი თავის ცხენს მისცემდა, ცხენების მთელ ჯოგს მისცემდა, ოღონდ ამ ძღვენის გამომგზავნი ლუიზა პოინდექსტერი გამომდგარიყო.

* * *

ორი დღე გავიდა. საიდუმლო კვლავ გამოუცნობი რჩებოდა. ავადმყოფი კვლავ გაახარა ახალი ძღვენის მიღებამ. ეს ძღვენიც პირველად გამოგზავნილს ჰგავდა. კალათა ისევ ისეთი იყო, მხოლოდ ახალი საჭმელებითა და ძვირფასი ღვინოებით სავსე.

— ისევ იმ ჯენტლმენმა მოიტანა. აი, პირველად რომ მოვიდა, უცნობმა ჯენტლმენმა, — მსახურმა ქალმა ისლა დაუმატა, რომ ჯენტლმენი ძალიან შავი იყო, ბრწყინვალე ქუდი ეხურა და ჯორბე იჯდაო.

მორისი როგორღაც კმაცოფილი არ დარჩა ქველმოქმედი ჯენტლმენის აღწერით, მაგრამ აზრი ფელიმსაც კი არ გაუზიარა.

კიდევ ორმა დღემ განვლო და იმავე „შავმა ჯენტლმენმა“ მესამედ მოიტანა კალათით ძღვენი. პალმის ტოტებისაგან დაწულ კალათის სახელურზე ლენტით წერილი იყო დამაგრებული.

— ისიდორასაგან ყოფილა! — წარმოთქვა შეცბუნებულმა მუსტანგერმა, როცა ხელმოწერას დახედა.

წერილი გულგრილად გახსნა და წაიკითხა:

„ძვირფასო სერ! ერთი კვირაა, რაც ჩემი ბიძის, სილვიოს სახლში ვიმყოფები. თქვენი დაჭრის ამბავი და ის, რომ დოფერის სასტუმროში ცუდად გივლიან, ერთდროულად შევიტყვე. გიგზავნით პატარა

ძღვენს. გამოიჩინეთ იმდენი სიკეთე და თავმდაბლობა, რომ მიიღოთ იგი – უმნიშვნელო საჩუქარი იმ უდიდესი სიკეთის სამახსოვროდ, რაც თქვენ მე დამდეთ.

ამ წერილს უნაგირზე მჯდომი გწერთ. რამდენიმე წამი და რიო გრანდესაკენ გავემგზავრები.

თქვენ ხართ ჩემი სიცოცხლის მსხნელი და მომნიჭებელი იმისა, რაც ქალიშვილისთვის ყველაფერზე ძვირფასია! ნახვამდის!

ისიდორა კოვარუბიო დე ლოს ლანოს“.

– გმადლობთ, ტკბილო ისიდორა! – წაიბუტბუტა მუსტანგერმა, თან წერილი დაკეცა და საწოლზე დაუდევრად დააგდო, – ლუიზა პოინდექსტერი რომ არა, ნამდვილად შენ შეგიყვარებდი.

23 - შურისძიების აღთქმა

თავის ოთახში გამოკეტილი კოლჰაუნი არც ისეთი მზრუნველობით ყოფილა გარემოსილი. მიუხედავად იმისა, რომ მის გარშემო სიმდიდრე და ფუფუნება სუფევდა, არ შეეძლო დაემშვიდებინა თავი იმ ფიქრით, რომ რომელიმე სულიერი არსება ბრუნავდა მასზე და მისი მდგომარეობა გულთან ახლო მიჰქონდა. სისხლითა და ხორციით ეგოისტს, მეგობრობა და მეგობარი სრულიად არ სწამდა. ახლა საწოლს მიჯაჭვული და სიკვდილთან მებრძოლი დღენიადაგ იმაზე ფიქრობდა, გამარჯვებული გამოვიდოდა თუ არა ამ ბრძოლაში, თუმცა ეს ყველასთვის სულერთი იყო.

თუ ვინმე თანაგრძნობით ეკიდებოდა, ესეც მხოლოდ და მხოლოდ ნათესაური მოვალეობის გრძნობით იყო გამოწვეული. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ბიძაშვილებთან ისეთი დამოკიდებულება ჰქონდა, რომ ისინი პატივს არ სცემდნენ. ხოლო ბიძას – ამაყ ვუდლი პოინდექსტერს სძულდა თავისი დისშვილი და ამავე დროს, ეშინოდა კიდევ მისი.

სიძულვილი და შიში მის მიმართ დიდი ხნის ამბავი არ იყო. ეს გრძნობა ბიძა-დისშვილს შორის ახლახან წარმოიშვა. პოინდექსტერი კოლჭაუნის მოვალე, ან, უკეთესად რომ ითქვას, მოგირავნე იყო. ხოლო კოლჭაუნი — კრედიტორი ან დამგირავებელი. ეს ვალი იმდენად დიდ თანხას შეადგენდა, რომ სინამდვილეში კასა დელ კორვოს მფლობელი კოლჭაუნი გახლდათ. მესაკუთრის უფლება მამულზე მას ყოველ წუთში შეეძლო საჯაროდ განეცხადებინა.

ბოლო ხანებში თავისი ძალაუფლება საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოიყენა. იგი დიდი ხანია, რაც ლუიზა პოინდექსტერზე იყო შეყვარებული და მისი ცოლად შერთვა სურდა. მაგრამ მიხვდა, რომ ამ უკანასკნელის თანხმობას ცოლობაზე ვერ მიაღწევდა. კოლჭაუნის გრძნობის მიმართ ლუიზა გულგრილი იყო და ამას არც მალავდა.

კოლჭაუნმა ქალის მამაზე მოპოვებული ზეგავლენით გადაწყვიტა ლუიზას ხელში ჩაგდება. ამიტომ არც იყო საკვირველი, რომ ავადმყოფობის დროს კოლჭაუნს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე ეს სხვა პირობებში შეიძლებოდა გამოეჩინათ.

როცა ავადმყოფი სიკვდილს ებრძოდა, გარშემო მყოფთ როგორღაც კიდევ თავაზიანად ექცეოდა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც კი მოიკეთა, თავისი ბუნებრივი მძვინვარე ხასიათი, რაც კიდევ უფრო გააძლიერა განცდილმა დამარცხებამ, კვლავ დაუბრუნდა. მას ყველგან თავგზეულაღებული ჩხუბისთავის სახელი ჰქონდა გავარდნილი. რა წრეშიც არ უნდა მოხვედრილიყო, მუდამ პირველობას ჩემულობდა. ახლა კი ტუხასში აღარავის სჯეროდა მისი გულადობისა და ეს უკლავდა გულს.

ახალშენის ქალების წინაშე დამარცხებული ადამიანის სახით გამოჩენა ძნელ საქმეს წარმოადგენდა, უფრო მეტიც: იმ ადამიანის თვალწინ გამოჩენა, რომელსაც აღმერთებდა და პატივს სცემდა, მომაკვდინებლად მიაჩნდა. მერე ვინ დაამარცხა? ვილაც უსახელო

ავანტიურისტმა. სწორედ ეს ვერ აეტანა და წონასწორობას კარგავდა. ასეთი რამ ჩვეულებრივ კაცსაც კი დაამწუხრებდა, კოლჭაუნი ხომ პირდაპირ იტანჯებოდა.

დამარცხებასთან შერიგების აზრს, როგორც ამას ჩვეულებრივი ადამიანი იზამდა, ახლოსაც არ იკარებდა. მან გადაწყვიტა, შური ეძია იმის წინააღმდეგ, ვინც თავზეხელაღებული ჩხუბისთავის სახელი წაართვა, პატივი ახადა და თავი მოსჭრა. როგორც კი გამოკეთდა და სიკვდილი აღარ ემუქრებოდა, დიდი გულმოდგინებით შეუდგა შურისძიების გეგმის მოფიქრებას.

მორის მუსტანგერი უნდა მოკვდეს! თუ მისი ხელით არა, სხვისი ხელით მაინც. ამ საქმეში თანამზრახველი ახალშენშივე უნდა მოიძებნოს. ეს არც ისე საძნელო საქმეა.

დაქირავებული მკვლელები ტუხასის ტრამალზე მეტია თუ იტალიის ქალაქებში, ეს კიდევ საკითხავია. ისეთ ადგილს სად იპოვით, სადაც ოქროს არ შეეძლოს, აღმართოს მკვლელის ხანჯალი.

კოლჭაუნს ოქრო ბევრი ჰქონდა, გაცილებით მეტი, ვიდრე მკვლელის დაქირავებისთვის იყო საჭირო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მკვლელის დაქირავება. და თავის ოთახში განმარტოებული ახლა მუსტანგერის მოკვლის გეგმებს აწყობდა.

თვითონ არც ფიქრობდა მუსტანგერის მოკვლას. დამარცხებამ კოლჭაუნი მშიშარა გახადა. მაშინაც კი ვერ აღმართავდა ხელს მუსტანგერზე, თვითონ რომ ჩასაფრებოდა და ანაზღაურად დასხმოდა თავს ცხენებზე მონადირეს. საკუთარი ხელით მუსტანგერის მოკვლა უკვე აღარ შეეძლო. მას სჭირდებოდა თანამონაწილე, რომელიც მის განზრახვას თავისი მარჯვენით მოიყვანდა სისრულეში. მაგრამ სად უნდა მოენახა იგი?

საუბედუროდ, მან იცოდა, ანდა ეჩვენებოდა, რომ იცოდა სწორედ ამ საქმისათვის საჭირო კაცი. ის საჭირო კაცი მექსიკელი გახლდათ, მორისივით მუსტანგერი; იმჟამად ახალშენში ცხოვრობდა

და ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელთაგან ირლანდიელს თავი შორს ეჭირა.

როგორც წესი, მუსტანგერობა ტეხასში საძრახ საქმედ ითვლებოდა. ამ საქმისათვის დაბადებულნი მექსიკელები და შერეული სისხლის ინდიელები იყვნენ. მაგრამ ამ ხელობას ხანდახან ფრანგები და ამერიკელებიც მისდევდნენ, ეს უკანასკნელნი ცივილიზებული საზოგადოების ნაძირლებს წარმოადგენდნენ. ხშირ შემთხვევაში ისინი კანონგარეშე გამოცხადებული ადამიანები იყვნენ. მუსტანგერების ახალშენებში გამოჩენას ყოველთვის ჩხუბი და აყალმაცალი მოსდევდა. მათთან განმარტობით შეხვედრა მუდამ ხიფათით მთავრდებოდა. ტეხასის ისტორიაში ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა გარეულ ცხენებზე მონადირე მუსტანგერები შეერთდებოდნენ, შეიარაღებულ ბანდას შექმნიდნენ, ინდიელებით გადაიცვამდნენ და მოგზაურებს ძარცვავდნენ.

კასიუს კოლჭაუნის მეხსიერებაში სწორედ ასეთი გარეწარი ამოტივტივდა. გაახსენდა, რომ სასტუმროს სალონში რამდენჯერმე შეხვდა იმ მექსიკელს. განსაკუთრებით დაამახსოვრდა, რომ იგი იმ დამესაც ნახა ბარში შემოსული, როცა მორისთან მოუხდა შეტაკება. მოაგონდა, რომ სწორედ ის მექსიკელი იჩენდა ყველაზე დიდ გულმოდგინებას, როცა კოლჭაუნი საკაცით მიჰყავდათ სალონიდან სახლამდე. გაახსენდა ის უცნაური გამოთქმებიც, რომლებითაც მექსიკელი მის მოწინააღმდეგეს ამკობდა. ყოველივე აქედან კი ის დასკვნა გამოიტანა, რომ მექსიკელს მორის ჯერალდთან ცუდი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა. შემდეგში კი შეიტყო, რომ ეს მექსიკელი მუსტანგერის მოსისხლე მტერი იყო.

ამ მონაცემების მიხედვით, მექსიკელი სწორედ ისეთი კაცი ჩანდა, როგორც კოლჭაუნს ესაჭიროებოდა. მან იხმო იგი და ამის შემდეგ ორივე ხშირად იკეტებოდა დაჭრილის ოთახში და ჩუმად საუბრობდა.

ამ შეხვედრებში, ერთი შეხედვით, საეჭვო არაფერი ჩანდა. თუმცა კოლჭაუნი ამას არც დაგიდევდა. ყველამ იცოდა, რომ მექსიკელი მუსტანგერი ცხენებითა და მსხვილი რქოსანი პირუტყვით ვაჭრობდა და შეიძლება ეფიქრათ, სავაჭრო გარიგებას აწარმოებენო. ყოველ შემთხვევაში, ეჭვი არავის აუღია. პირველ ხანებში თვითონ მექსიკელიც კი ასე ფიქრობდა, რადგან მათი პირველი შეხვედრების დროს ნამდვილად საქმიანი გარიგებების შესახებ საუბრობდნენ. ცბიერმა სამხრეთელმა იცოდა, რომ ასე ადვილად არ უნდა განდობოდა უცნობს. ერთ-ერთი ასეთი ხელსაყრელი საქმიანი საუბრის დროს, როდესაც ღვინოს შეექცეოდნენ, კოლჭაუნმა ფრთხილად დაიწყო ნიადაგის მოსინჯვა. ცდილობდა, შეეტყო, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მექსიკელს მორის მუსტანგერთან.

სამსახურიდან გადამდგარმა მოხალისეთა კაპიტანმა პირველივე საუბრიდან შეიტყო, რომ მექსიკელი ყოველ ბოროტ საქმეს იკისრებდა, თუნდაც მორის მუსტანგერის მოკვლა დაევალებინა.

მექსიკელს არც დაუმაღლავს, რომ მორის მუსტანგერი სძულდა, თუმცა ამ სიძულვილის მიზეზი არ უთქვამს, მაგრამ კოლჭაუნი მიხვდა, რომ მექსიკელს მორისი იმავე მიზეზით სძაგდა, რისთვისაც თვითონ კოლჭაუნი მოეკიდა მტრად მორის ჯერალდს. მამაკაცთა შორის ასეთმა სიძულვილმა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ტროის ომი გამოიწვია. იგივე განმეორდა ტეხასშიც — ამის მიზეზი ქალი გახლდათ.

ამ შემთხვევაში მშვენიერი ელენე რიო გრანდეში მცხოვრები ერთი შავთვალება ასული იყო, რომლის სახლშიც მორის მუსტანგერი ხანდახან სტუმრად დადიოდა. მორისმა ქალის თვალებში უფრო მეტი თანაგრძნობა ამოიკითხა, ვიდრე თვითონ ქალის თანამემამულემ.

მექსიკელს ქალის სახელი არ უთქვამს. კოლჭაუნი კი უსმენდა მის ნახევრად გულწრფელ აღსარებას და იმედი ესახებოდა, იქნებ

ჩემი მოსისხლე მტრის გული იმ შავთვალამ მართლაც მოინადიროსო.

გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი კოლჭაუნი რამდენჯერმე შეხვდა მექსიკელს და თავისი შავბნელი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, კოლჭაუნმა სწორედ მასზე შეაჩერა არჩევანი.

რა კავშირით შეიკრნენ ერთმანეთთან, როგორი იყო მათი განზრახვა და შეთანხმდნენ თუ არა, ეს საიდუმლოებად დარჩა. ქვეყანამ მხოლოდ ის შენიშნა, რომ კაპიტანი კასიუს კოლჭაუნი და მიგელ დიასი, რომელსაც მეტსახელად „ელ კოიოტს“ ეძახდნენ, ხშირად იყვნენ ერთად. ასეთ „უბედურ ვარსკვლავზე“ დაბადებულ მეგობრობას ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა.

24 - ასოტეაზე

ტეხასის პლანტაციებში ცუდლუტებს ვერ ნახავთ. აქ სამუშაოდლე ალიონზე იწყება; ზარი, რქის საყვირი ან გონგი, რომელიც შავკანიან მონებს სამუშაოზე უხმობს, მათ ბატონებსაც წამოაყენებს ხოლმე მდიდრული საწოლებიდან.

ასეთი ჩვეულება იყო გამეფებული კასა დელ კორვოში წინათ. იგივე ჩვეულება დარჩა ამერიკელი პლანტატორების მოსვლის შემდეგაც. ეს თავისთავად, ბუნებრივად მოხდა და არა მიმბაძველობის შედეგად.

ტეხასში, სადაც მუდმივი გაზაფხული დგას, საამო, სურნელოვან დილის ჰაერზე ყოფნა ერთ რამედ ღირს. დასვენებით შუადღისას ისვენებენ, როცა მთელი ბუნება მანათობელი მზის მოჭარბებული ღიმილით იჭმუხნება.

სამხრეთ დასავლეთ ტეხასის ლაჟვარდებში მონავარდე ყოველ ფრინველსა და ყვავილზე მშვენიერი კასა დელ კორვოს სახლის ბანზე მოსეირნე ასული იყო. სიცოცხლით სავსე და მშვენიერი ახალგაზრდა ლედი სახლის ბანზე გადმომდგარი შესცქეროდა ტეხასის მზეს.

იგი ბანის კიდესთან იდგა. მზერა აღმოსავლეთისაკენ მიემართა და ღამის ცვარისაგან ჯერ ისევ სველ მოაჯირს ეყრდნობოდა. მის თვალწინ მდინარის ნაპირამდე გადაშლილი ბალნარი მოჩანდა. მდინარის მეორე ნაპირი ციცაბო იყო. ფრიალო ნაპირის თავზე კი ფართოდ გადაშლილიყო ტრამალი.

მაგრამ ქალიშვილი არც მომხიბლავ ლანდშაფტს შეჰყურებდა, ვერც ამომავალ მზეს ამჩნევდა, თუმცა მლოცველივით გადმომდგარიყო ბანზე. ბალნარსა და ჭალაში მოჭიკჭიკე ფრინველთა ჟივილ-ხივილიც ვერ იპყრობდა მის ყურთასმენას. ლუიზა სადღაც შორს იცქირებოდა და ახლომახლო ვერაფერს ამჩნევდა. მოკრიალებული ცა სრულ კონტრასტს ქმნიდა მის მონუსხულ წარბებსა და მოღუშულ შუბლთან. თავის ფიქრებთან განმარტოებულიყო. ვერავინ ამჩნევდა მის მოწყენას, არც არავინ ეკითხებოდა ამის მიზეზს. მისი საიდუმლო მისივე ჩურჩულმა გასცა.

— შეიძლება მძიმედაა დაჭრილი, იქნებ სიკვდილიც კი ემუქრება!

ლუიზა, ცხადია, თავის მამიდაშვილ კოლჰაუნზე არ დარდობდა. ექიმმა ერთი დღის წინ გასინჯა კოლჰაუნი და თქვა, საშიში აღარაფერია, ავადმყოფი გამოჯანმრთელების გზაზეა დამდგარიო. თუ ახალგაზრდა ლედის ჩურჩულს მოჰკრავდა ვინმე ყურს, მაშინვე დარწმუნდებოდა, რომ იგი კოლჰაუნზე არა სწუხდა.

— ისიც კი არ შემოიძლია, ვინმე გავაგზავნო მასთან და მისი ჯანმრთელობის ამბავი ვიკითხო. ვერავის ვენდობი. ვინ იცის, რა მძიმე მდგომარეობაშია, როგორ ცუდად უვლიან. წერილის გაგზავნა მაინც შემეძლოს, ანდა ისეთი ვინმე მაინც მყავდეს, მისი ნახვა დამევალებინა! ნეტავ ზებ სტუმპს რაღა დაემართა, სად გადაიკარგა?

ახსენა თუ არა ზებ სტუმპი, მდინარის მეორე ნაპირზე შორს გადადევნა თვალი გზას. ეს იყო ჩვეულებრივი შარაგზა, რომელიც ფორტ ინჯსა და მდინარე ლეონას ქვედა ნაწილზე გაშენებულ პლანტაციებს შუა გადიოდა. იგი ტრამალს ლეონის ნაპირიდან დაშორე-

ბით კვეთდა და მხოლოდ იქ უახლოვდებოდა მდინარეს, სადაც ლეონა უხევდა და მაღალ ციცაბო ნაპირს მიჰყვებოდა. ფორტის მიმართულებით ნახევარი მილის მანძილზე ყველაფერი მოჩანდა, ფორტის მოპირდაპირე მხარეს კი, დაბლა, მდინარის დინების გაყოფებით, გაშლილ ხედს იქით, ნახევარი მილის მანძილზე ლეონის ორივე ნაპირს ისეთი ჩირგვნარი მისდევდა, რომ აღარაფერი ჩანდა.

ახალგაზრდა ლედი გზას ფორტის მიმართულებით გასცქეროდა. ზებ სტუმპს იგი აქედან ელოდა. მაგრამ გზაზე ძეხორციელიც არ ჩანდა. ამ ამბავს ახალგაზრდა ქალი არ უნდა აეღელვებინა, რადგან არავინ დაჰპირებია, მოვალე. იდგა ასე და რაღაც მოლოდინით გაჰყურებდა გზას.

ცოტა ხნის შემდეგ რაღაც ძლიერმა შინაგანმა ბიძგმა უკან მოახედა.

მოლოდინმა ახლა კი ნამდვილად გაუმართლა: ტყიდან გამოშვალ ბილიკზე ცხენი გამოჩნდა. მასზე იჯდა არაბულ კოსტიუმში გამოწყობილი მხედარი, რომელიც ლუიზას პირველად მამაკაცი ეგონა. მაგრამ როცა მოახლოვდა, მასში ლუიზამ ქალი შეიცნო. მხედარს პირზე გამჭვირვალე აბრეშუმის ქსოვილი ჰქონდა ჩამოფარებული, მაგრამ ლუიზამ მაინც გაარჩია მისი ოვალური მოყვანილობის შავგვრემანი სახე, ვარდისფერი ღაწვები და მოელვარე მშვენიერი თვალები.

არც შარფსა და არც ცხენზე უცნაურად ჯდომას არ შეუშლია ხელი ლუიზასთვის, გარკვევით გაერჩია, რომ მხედარ ქალს ტანიც ისეთივე მომხიბლავი ჰქონდა, როგორც სახე.

მას საკმაო მანძილის დაშორებით ჯორზე მჯდომი მამაკაცი მოსდევდა უკან. ის მანძილი, რომელიც მხედარ ქალსა და მამაკაცს ყოფდა, აგრეთვე მისი ჩაცმულობა, აშკარად მეტყველებდა, რომ ჯორზე მჯდომი მამაკაცი ქალის მსახური იყო.

— ვინ უნდა იყოს ეს ქალი? — თავისთვის ბუტბუტებდა ლუიზა პონდექსტერი. ლორწეტი სწრაფად მიიტანა თვალებთან, რომ უფრო

კარგად დაენახა უჩვეულო ტანსაცმლით მორთული ქალი, მერე ლორწეტი დაბლა დაუშვა და ახლა შეუიარაღებელი თვალით დააკვირდა უცნობს.

— უთუოდ მექსიკელია; ჯორბე მჯდომი ალბათ მისი მსახურია. ვილაც დიდებული სენიორა უნდა იყოს. მე კი მეგონა, ყველა მექსიკელი რიო გრანდედან მექსიკაში გადავიდა. ნეტავ, მის მსახურს კალათა რად უჭირავს ხელში? ან კალათაში რა აქვს? რად მიდის ფორტისაკენ? უკვე მესამედ ვხედავ ამ კვირაში. ეს სენიორა, ალბათ, მდინარის ქვემოთ რომ პლანტაციებია, იქ ცხოვრობს სადმე. ან რანაირად ზის ცხენზე? ასე უფრო მოხერხებულია, მაგრამ ამას შტატებში ქალისათვის შეუფერებელ საქციელად ჩათვლიან. ო, როგორ ამხედრდებიან ჩვენი პურიტანი დედები ცხენზე ჯდომის ასეთი წესის წინააღმდეგ. თითქოს უკვე მესმის კიდევ მათი საპროტესტო შეძახილები...

ლუიზას გაეცინა, მაგრამ მისი სახის გამომეტყველება ისე მოულოდნელად შეიცვალა, თითქოს მზეს უეცრად შავი ღრუბელი გადაეფარაო. ახალგაზრდა ლედის სახე ანაზღად გაუფითრდა. მისი გაფითრება შეიძლებოდა აბრეშუმის გამჭვირვალე რიდეჩამოფარებული ქალის ელვისებურ მოძრაობას გამოეწვია. ამ დროს მოულოდნელად ჯაგნარიდან ისკუპა ანტილოპამ, რომელიც ბუჩქნარიდან გამოსულ ცხენზე თავდასხმას აპირებდა. ნადირმა ვერც კი მოასწრო კამარის შეკვრა, რომ მხედარმა ქალმა რიდე სწრაფად გადაიგდო უკან და ადამიანის დანახვით შეშინებულ ანტილოპას დაედევნა. მხედარმა მარჯვენა ხელით ჰაერში რამდენჯერმე შემოხაზა წრე.

— ნეტავ რას აპირებს, — ჩურჩულებდა ბანზე მდგარი ლუიზა, — აჰა! მგონი, ვხედავ, ლასოს უნდა ატრიალებდეს ჰაერში.

სენიორას არ დაუყოვნებია თავისი ოსტატობის გამოჩენა ამ ეროვნული იარაღის ხმარებაში. ქალმა კისერზე გადააცვა ლასო ანტილოპას, მოსწია და ცხოველი თავისივე ნაკვალევზე აათართხალა.

სენიორას მხლებელი სწრაფად მიიჭრა იქ, სადაც ანტილოპა სიკვდილს ებრძოდა. ჯორიდან ჩამოხტა, დანით ბოლო მოუღო ცხოველს, ნადავლი უნაგირზე გადაკიდა, თვითონაც ჯორზე შეჯდა და თავის ქალბატონს დაედევნა.

სენიორას უკვე მოესწრო ლასოს დახვევა, სახეზე კვლავ რიდე ჩამოეფარებინა და გზას ისე განაგრძობდა, თითქოს აქ არაფერიყო.

ლუიზას სწორედ მაშინ მოელუშა სახე, როცა სენიორამ ქამანდით ჰაერში წრე მოხაზა. ახალგაზრდა ლედის გაოცებისაგან კი არ შესცვლია სახე, არამედ სულ სხვა უსიამოვნო გრძნობამ გაჰკრა გულში. ჭმუნვისა და წყენის კვალი მის სახეზე მას შემდეგ არ გამქრალა, რაც მხედრები აკაციის ხეივანში შევიდნენ და თვალს მიეფარნენ.

„ნეტავ ვიცოდე, ის არის თუ არა! შენი ხნისააო, ასე მითხრა. ოდნავ შენზე დაბალიაო. რამდენადაც ამ სიშორიდან გარჩევა შეიძლება, სწორედ ის უნდა იყოს. სახლი რიო გრანდეში აქვს. ხანდახან ლეონის ნაპირზე ნათესავებს ესტუმრება ხოლმეო. რატომ სახელი არ ვკითხე?..“

25 - გადაუცემელი ძღვენი

უკვე რამდენიმე წუთი გავიდა, რაც მხედრები აკაციების ხეივანს მიეფარნენ, მაგრამ ლუიზა პონინდექსტერი კვლავ სახლის ბანზე იდგა ჩაფიქრებული. ახალგაზრდა ლედის გონება ისევ მის თვალწინ მომხდარი ეპიზოდის გარშემო ტრიალებდა და მისი გამომეტყველებიდან ნათლად ჩანდა, რომ ისევ ნაღველისაგან იტანჯებოდა.

აქამდეც არაერთხელ უფიქრია იმ მშვენიერ მხედარ ქალზე. არაერთხელ დატანჯულა მსჯელობითა და ფიქრით, თუ რატომ დადიოდა ის სენიორა აქ, მაგრამ ანტილოპაზე ლასოთი ნადირობის შემდეგ ამ ფიქრებს ეჭვიანობაც დაერთო.

ლუიზას შვება მოჰგვარა ცხენოსნის გამოჩენამ სწორედ იმ ადგილზე, სადაც ცოტა ხნის წინათ სენიორა და მისი მსახური გაუჩინარდნენ. შვებით ამოისუნთქა, როცა ცხენოსანმა გადმოუხვია იმ

ბილიკზე, რომელიც ჰასიენდასაკენ მიემართებოდა. ლორნეტი მოიმარჯვა და ცხენოსანში ზებ სტუმპი შეიცნო.

— სწორედ ისაა, ვისი ნახვაც მინდოდა! — წამოიძახა ახალგაზრდა ლედიმ მხიარულად, — ხომ შეიძლება ბარათი გავატანო, იქნებ იმ სენიორას ვინაობაც იცოდეს, ისინი აუცილებლად გზაში შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ეს კი შესაძლებლობას მომცემს, ისე გავიგო მისი ვინაობა, რომ ზებ სტუმპმა ეჭვიც არ აიღოს. მასთანაც კი სიფრთხილე მმართვეს. რომ ვიცოდე, მას მოვწონვარ თუ არა, ასეთი სიფრთხილე სულაც არ დამჭირდებოდა. გამომწვევია მისი გულგრილობა! თანაც — ლუიზა პონინდექსტერის მიმართ! ღმერთო ჩემო! მეტი აღარ შემიძლია!

ამასობაში ძველი მონადირე ჰასიენდას მოადგა და ცხენი შეაჩერა.

— ძვირფასო მისტერ სტუმპ! — მიესალმა ლუიზა წკრიალა ხმით, რომლის მოსმენაც ზებ სტუმპს ძლიერ უყვარდა, — როგორ მიხარია თქვენი ნახვა, ჩამოდით ცხენიდან და მალლა ამობრძანდით. მე ვიცი, ცნობილი მთამსვლელი ხართ და ეს პატარა ქვის კიბე ვერ შეგაშინებთ. სახლის სახურავიდან თქვენ თვალწინ ისეთი ხედი გადაიშლება, რომ აქ ამოსვლას აღარ ინანებთ.

— ეშმაკმა დასწყევლოს სახლის სახურავიცა და იქიდან გადაშლილი სანახაობაც, მაგრამ თქვენთვის, ლუიზა, თუნდ გემის ანძაზე ავცოცდები. ჩემს ბებერ ცხენს მიხვებავ და ახლავე მანდ გავჩნდები.

ზებ სტუმპი ცხენიდან ჩამოხტა და თავის ჯაგლაგს მიმართა:

— აბა, მარდად, ჩემო ბებერო, თავი მალლა ასწიე, იქნებ პლუტო სიმინდით გაგიმასპინძლდეს.

— როგორ არა, მისტერ სტუმპ, — ჩაურთო ეზოში იმ წუთს შემოსულმა მეეტლემ, — ზანგი დაუყრის სიმინდს თქვენს ცხენს, თქვენ კი ახალგაზრდა ქალბატონთან ადით.

— შენ ძალიან კეთილი ზანგი ხარ, პლუტო, და სხვა დროს, აქეთ რომ გამოვივლი, ნანადირევ ოპოსუმს წამოგიღებ. ისეთი ხორცი აქვს, ორი წლის ქათამი გეგონება.

ზებ სტუმპში კმაყოფილი გაემართა ქვის კიბისაკენ. ორ-სამ საფეხურს ერთად აბიჯებდა და მალე სახლის ბანზე გაჩნდა. ახალგაზრდა ლედი კიდევ მიესალმა და გულთბილად მიიღო მონადირე. მერე ხელი გამოსდო და ბანის შორეული კუთხისაკენ წაიყვანა. ძველი მონადირის გამჭრიახმა თვალმა მაშინვე შეამჩნია, რომ ახალგაზრდა ლედი ძალიან ღელავდა და მისი ბანზე ასვლის მიზეზი მარტო იქიდან გადაშლილი ლამაზი ხედი არ უნდა ყოფილიყო.

— მითხარით, მისტერ სტუმპ! — მიმართა მან, როცა თავისი ლამაზი თითები მონადირის ფრენის სახელოს ჩასჭიდა და ნაცრისფერ თვალეში ჩახედა, — თქვენ ყველაფერი გეცოდინებათ. როგორაა? მძიმედ არის დაჭრილი?

— თქვენ რა, მისტერ კოლჰაუნზე მეკითხებით?..

— არა, არა. მისი ამბავი დაწვრილებით ვიცი. მისტერ კოლჰაუნზე არ გეკითხებით.

— აბა, იმის გარდა მხოლოდ ერთი ადამიანი ვიცი ჩვენს მხარეში, ვინც ახლახან დაიჭრა. ის ხომ მორის მუსტანგერია, მასზე მეკითხებით?

— დიახ, დიახ, სწორედ მასზე! თვითონაც კარგად იცით, მორისმა ორჯერ დამიხსნა სიკვდილისაგან. მერე რა ვუყოთ, რომ ჩემს მამიდაშვილს წაეჩხუბა. მითხარით, გეთაყვა, მძიმედაა დაჭრილი?

ასეთ გულახდილობას ხუმრობა აღარ შეეფერებოდა. ზებ სტუმპსაც აღარ დაუყოვნებია.

— არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ერთმა ტყვიამ კოჭს ზევით რბილში გაუარა. უბრალო განაკაწრია და მეტი არაფერი. მეორე ტყვია მარცხენა ხელში აქვს მოხვედრილი. საშიში არც ეს ჭრილობაა. ოღონდ ესაა, ბევრი სისხლი დაკარგა. მაგრამ ახლა უკვე კარ-

გადაა. რამდენიმე დღეში ადგება კიდევ. თვითონ მითხრა, ტრამალზე ცხენით ერთსაათიანი გასეირნება უფრო მომიხდება, ვიდრე ტეხასელი ექიმების მკურნალობაო. უნდა ვაღიარო, მეც აგრე მგონია. მაგრამ ფორტის ქირურგი წამლობს და ჯერჯერობით ადგომის ნებას არ აძლევს.

— სად არის ახლა?

— სასტუმროში, სადაც დუელი მოხდა.

— ალბათ ვარგად არ უვლიან. ვარგი არაფერი მსმენია მაგ სასტუმროზე. აქ მომიცადეთ, მისტერ სტუმპ, მინდა მასთან რაღაც გაგატანოთ. ვიცი, თქვენი ნდობა შეიძლება. ასე არ არის? დარწმუნებული ვარ, ამას ჩემი გულისთვის გააკეთებთ. ახლავე დავბრუნდები.

ლუიზას აღარ დაუცდია, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ზებ სტუმპზე მისი სიტყვები და მსუბუქად დაეშვა ქვის კიბეზე.

რამდენიმე წუთში უკანვე დაბრუნდა. ხელში სურსათ-სანოვაგით და სასმელებით სავსე კალათი ეჭირა.

— ძვირფასო მისტერ სტუმპ, ვერ წაუღებთ ამას მისტერ ჯერალდს? კალათში ფლორინდამ ცოტა სასმელ-საჭმელი, მურაბები და სხვა სანოვაგე ჩააწყო. ნუგბარი საჭმელები ავადმყოფისათვის მარგებელია, სასტუმროში კი სად ექნებათ. მხოლოდ ნუ ეტყვი, ვინ გაუგზავნა, ნურც სხვა ვინმეს ეტყვი, მისტერ სტუმპ, ვიცი, თქვენ შეგიძლიათ საიდუმლოს შენახვა, ჩემო ძვირფასო გოლიათო.

— შეგიძლიათ ენდოთ ზებ სტუმპს, მის ლუიზა. ძე ხორციელი ვერ გაიგებს, ვისგანაა ეს კალათი. მაგრამ ისიც უნდა გითხრა, ავადმყოფი ტკბილეულის ნაკლებობას არ განიცდის და იმდენი აქვს, რომ ტკბილისმოყვარულთა მთელ სკოლას გაუმასპინძლდება.

— ტკბილეული მიაქვთ? ვის?

— ამის თქმა კი არ შემიძლია, რადგან თვითონაც არაფერი ვიცი, მის ლუიზა. მე მხოლოდ ის გავიგე, რომ სასმელებითა და ტკბილეულობით გავსებული კალათი სასტუმროში ვიღაც მექსიკელ მსახურს მიუტანია. მაგრამ ვისგან იყო გამოგზავნილი, არ ვიცი. თუმცა ის

მსახური ახლახან ვნახე. რამდენიმე წუთის წინ აქეთ რომ მოვდი-
ოდი, გზაზე შემომხვდა. ცხენზე მამაკაცურად მჯდარ უცნობ ქალს
მისდევდა. ალბათ ქალის მსახურია, რადგან კარგა მანძილის დაშო-
რებით მიჰყვებოდა. ახლაც ისეთივე კალათი ეჭირა ხელში, როგო-
რიც მორისმა ამ რამდენიმე დღის წინათ მიიღო. ჩემი ვარაუდით, კა-
ლათი ისევ სასტუმროში მიჰქონდა.

ზებ სტუმპისათვის კითხვების მიცემა საჭირო აღარ იყო. ყველა-
ფერი ნათელი გახდა. მორის ჯერალდსა და ლუიზა პოინდექსტერს
შუა მესამე ადამიანი იდგა – ლუიზა პოინდექსტერის მეტოქე, შეიძ-
ლება მეტოქეზე მეტიც. ლასოთი შეიარაღებული ლედი მორისის
სატრფო, ანდა შესაძლოა საცოლევც ყოფილიყო.

კალათი, რომელიც ახალგაზრდა ლედიმ ამ ლაპარაკში მოაჯირ-
ზე შემოდგა და ხელით ეჭირა, უეცრად გაუვარდა და ქვებზე დაეცა,
ბოთლები დაიმსხვრა, ხოლო სანოვაგე მიმოიფანტა. ხელის მოძრა-
ობა, რომლითაც კალათი დაბლა გადააგდო, თითქოს უნებლიე იყო,
მაგრამ წინასწარ გამიზნულს უფრო ჰგავდა. ლუიზა პოინდექსტერმა
მოაჯირიდან დაბლა რომ გადაიხედა და ქვებზე მბრწყინავი ბოთლე-
ბის ნამსხვრევები დაინახა, თითქოს გულიც დაემსხვრა.

– რა უბედურებაა! – წარმოთქვა მან, თან ცდილობდა, მღელვან-
რება დაემალა, – ყველაფერი დაიმსხვრა! რას იტყვის ახლა ფლო-
რინდა? მაგრამ თუ მისტერ ჯერალდი ისეთი მბრუნველობითაა გა-
რემოსილი, როგორც თქვენ თქვით, მაშინ ჩემი გაგზავნილი ძღვენი
არც დასჭირდება. ძალიან მიხარია, რომ უყურადღებოდ არ დაუტო-
ვებიათ. გევედრებით, მისტერ სტუმპ, ამას ნურავის ეტყვით. ხომ
იცით, ჩემი მამიდაშვილის მოსისხლე მტერია და ეს ამბავი ახალშენ-
ში მითქმა-მოთქმას გამოიწვევს, ძვირფასო ზებ, ხომ არავის ეტ-
ყვით?

– თუ გინდათ, შემოგფიცავთ, კრინტსაც არ დავძრავ, მის ლუიზა,
შეგიძლიათ მოხუც ზებს ენდოთ.

— ვიცი. დაბლა ჩავიდეთ, თორემ მზე ძალზე აცხუნებს. იქ თქვენს საყვარელ მონონგაჰელას მივაკითხოთ.

ლუიზა მოჩვენებითი მხიარულებით დაეშვა ქვის კიბეზე და თან „ახალ ორლენულ ვალსს“ ღიღინებდა.

მოხუცმა მონადირემ მიპატიჟება სიხარულით მიიღო და უკან გაჰყვა. მართალია, იგი კარგა ხანია, ქალის სილამაზეს გულგრილად შესცქეროდა და ახლა შეპირებულ მონონგაჰელაზე ფიქრობდა, მაგრამ მის თვალწინ მიმავალ, თითქოს სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილ მხრებს არ შეიძლებოდა, კაცი ალტაცებაში არ მოეყვანა.

ეს სიამოვნება დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც კი პირველ სართულზე ჩავიდნენ, ლუიზა გამოემშვიდობა. მას შემდეგ, რაც მოხუც მონადირეს უნებლიეთ წამოსცდა, მორისს ყურადღება არ აკლიაო და ლუიზასათვის ზოგიერთი რამ ცნობილი გახდა, მოხუცი მონადირე მას უკვე აღარ აინტერესებდა. ათასგვარმა კითხვამ, რომლებიც ახალგაზრდა ქალს ცოტა ხნის წინათ უტრიალებდა გონებაში, მისთვის ახლა ინტერესი დაკარგა. მან მონონგაჰელას შეატოვა მოხუცი მონადირე და თვითონ საჩქაროდ შევიდა თავის ოთახში, რათა წყენა არავისთვის შეემჩნევიდნენ. ლუიზა პონდექსტერი თავის სიცოცხლეში პირველად იტანჯებოდა ეჭვით. ეს იყო მისი პირველი ნამდვილი სიყვარული.

მექსიკელი სენიორას ყურადღება და მზრუნველობა მართო უბრალო მეგობრობას არა ჰგავდა. მათ შორის უფრო ახლო კავშირი უნდა ყოფილიყო — ასეთი ფიქრები ტანჯავდა ახალგაზრდა ლედის.

რაც მორისმა მოუთხრო სენიორაზე და რაც თვითონ ლუიზამ საკუთარი თვალით იხილა, იმას მოწმობდა, რომ ეს სწორედ ისეთი ქალი იყო, რომელსაც შეეძლო მოეხიბლა კაცი, რომელიც თავშეკავებასა და გრძნობების დამორჩილებაში ტოლს არავის დაუდებდა.

კასა დელ კორვოს პატარა ქალბატონს მეტის მოთმენა უკვე აღარ შეეძლო. სურდა, რაც შეიძლება ჩქარა ენახა მექსიკელი სენიორა. როგორც კი ზებ სტუმპი წავიდა, მონას უბრძანა, წინწკლებიანი

მუსტანგი შეეკაზმათ. ლუიზა ცხენზე შეჯდა, მდინარე გადალახა და მეორე ნაპირზე გავიდა.

* * *

ახალგაზრდა ლედიმ ფორტის მიმართულებით წაიყვანა ცხენი და, როგორც მოელოდა, გზაზე უკანდაბრუნებულ მექსიკელ სენიორას გადაეყარა. თუმცა უნდა ითქვას, ეს სენიორა კი არა, მისი ხნის ქალიშვილი იყო — სენიორიტა.

მათი შეხვედრის ადგილას გზა ხეივნის ჩრდილით იყო დაფარული. რაკი მზე არ აწუხებდა, მექსიკელ ქალიშვილს რიდე მხრებზე გადაეგდო. თავზე გარეული ცხენის ფაფარივით ხშირი და ყორნის ფრთებივით შავი თმა ეყარა. შავგვრემანი სახე მომხიბლავი და მიმზიდველი ჰქონდა.

როგორც ზრდილობა მოითხოვს და უცნობთა წესია, ისინი ერთმანეთის წამიერი თვალის შევლებით დაკმაყოფილდნენ. მაგრამ გვერდიგვერდს რომ ჩაუარეს და მოპირდაპირე მიმართულებით გაეშურნენ, არც ერთს არ მოუთმინა გულმა და მეტოქეებმა ერთხელ კიდევ შეათვალიერეს ერთმანეთი. ორივე დაახლოებით ერთნაირ ფიქრს შეეპყრო. მართლ ლუიზა პოინდექსტერს როდი სმენოდა მექსიკელ ქალიშვილზე, ამ უკანასკნელსაც შეეტყო ახალგაზრდა ლამაზი ლედის გამოჩენა მათ მხარეში.

ჩვენ არ შევუდგებით იმის გადმოცემას, რას ფიქრობდა ახალგაზრდა მექსიკელი ქალიშვილი ამ შეხვედრის შემდეგ. საკმარისი იქნება, ვთქვათ, რომ ლუიზა პოინდექსტერი მექსიკელ ქალიშვილთან პირისპირ შეხვედრამდე უფრო დამშვიდებული იყო. კასა დელ კორვოს ახალგაზრდა ქალბატონი უხმოდ იჯდა უნაგირზე და ღრმა სასოწარკვეთილებას მისცემოდა.

„რა ლამაზია! — გაიფიქრა მან, როცა მეტოქეს გვერდით ჩაუარა, — დიახ, ძალიან ლამაზია და ეს მისი უბრალო მეგობარი არ შეიძლება იყოს!“

— ეჭვი არ მეპარება, — ფიქრობდა ქალი, — რომ მორისს იგი უყვარს! ნამდვილად უყვარს! სწორედ ამით აიხსნება ჩემ მიმართ მისი გულგრილობა. მე სულელმა კი ლამის გული შევწირე!

როგორმე უნდა დავაღწიო თავი, უნდა ამოვიგდო გონებიდან! ადვილი სათქმელია... როგორ შევძლებ ამას?.. აღარ შევხვდები! ყოველ შემთხვევაში, უნდა ვეცადო, რომ არ შევხვდე. რაც მოხდა იმის შემდეგ, ის ჩვენს მამულში ვეღარ მოვა. შემთხვევით თუ შევხვდებით ერთმანეთს და ეს შემთხვევითობაც უნდა ავიცილო თავიდან...

26 - კვლავ ბანზე

საყვარელი ადამიანის დავიწყება შეუძლებელია. მართალია, დრო უებარი მკურნალია, მაგრამ სიყვარულის ცეცხლით ანთებული გულის ჩაქრობა განშორებას არ შეუძლია.

სიყვარულს ისე დაერია ხელი ახალგაზრდა ლედისათვის, რომ იოლად ვეღარ დააღწევდა თავს. გრძნობა სულ უფრო უღვივდებოდა და ყოველგვარ წინააღმდეგობას სძლევდა. სიყვარული იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ქალს დაავიწყა მოვალეობა, რჩევა ეკითხა მშობლისათვის. მანვე გაარღვია ვიწრო წოდებრივი ზღუდე და თავის სიყვარულზე პასუხი რომ მიეღო, ახალგაზრდა ქალი სხვა ხელისშემშლელ მიზეზს ვეღარაფერს ხედავდა. პირველი დაბრკოლება უმნიშვნელოდ მიაჩნდა. იგი უკვე სრულწლოვანი გახლდათ და თავის თანამემამულე ქალიშვილთა უმრავლესობის მსგავსად ფიქრობდა, რომ სიყვარულის საკითხში არჩევანი თვითონ უნდა გაეკეთებინა. ვისაც ნამდვილად ჰყვარებია, განა ოდესმე კლასობრივ განსხვავებაზე უფიქრია? სიყვარული ასეთ წვრილმანებს არ ითვალისწინებს. ყოველ შემთხვევაში, ლუიზა პოინდექსტერი ამას სულაც არ დაგიდევდათ.

იმედგაცრუება მისთვის უცნობი არ იყო, მაგრამ ამ ოცნების დამსხვრევა ძალზე ღრმა კვალს დატოვებდა მის სულში. ლუიზა წინასწარ გრძნობდა კარსმომდგარ უბედურებას, მაგრამ იმედოვნებდა, დრო განკურნავდა მის იარას. ერთი მხრივ, სჯეროდა, რომ იპოვიდა თავისი ძლიერი გრძნობის შესაფერ გულის სწორს, მეორე მხრივ კი, თავისი სიცოცხლით სავსე და მხიარული ხასიათის იმედი ჰქონდა. მაგრამ დღეები მიდიოდა და ვერაფრით ამოიგდო თავიდან მორისზე ფიქრი.

დროდადრო ეჩვენებოდა, თითქოს სძულდა კიდევ ან ცდილობდა, შესძულებოდა მუსტანგერი. იმ წუთებში მზად იყო, მოეკლა; სხვისი ხელით სიკვდილიც რომ დამუქრებოდა მორისს, მის დასახმარებლად ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი განცდები იყო. კარგად რომ დაფიქრდებოდა, თავის უბედურებას ისევ საკუთარ თავს აბრალებდა.

ლუიზასთვის სულერთი იყო, ვინ იყო მორისი. თუნდაც მისი და მთელი კაცობრიობის მოსისხლე მტერი ყოფილიყო, გინდა ლუციფერი, მაინც ეყვარებოდა. ერთხელ ხომ თვითონვე შეადარა იგი ლუციფერს.

ლუიზას არ შეეძლო მორის ჯერალდის შეძულება. თავისთვის ძალა უნდა დაეტანებინა, რომ მის მიმართ თუნდაც გულგრილობა გამოეჩინა. არ შეეძლო თავი შეეკავებინა, არ ასულიყო და თვალი არ ედევნებინა იმ გზისათვის, სადაც პირველად თავისი მეტოქე იხილა. ყოველდღე რამდენჯერმე ადიოდა ბანზე.

უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვიტა, მორიდებოდა იმ კაცთან შეხვედრას, ვისაც თავისი უბედურების მიზეზად თვლიდა, ცხენზე შეჯდებოდა ხოლმე და ახალშენის ქუჩებში დადიოდა, იქნებ სადმე გზაზე მორისს გადავეყარო.

მას შემდეგ, რაც ლუიზამ დაასკვნა, რომ მორისს სხვა ქალი უყვარდა, სამი დღე გავიდა. ახალგაზრდა ლედი კასა დელ კორვოს სახლის ბანზე იდგა. უცებ კვლავ შენიშნა მექსიკელი სენიორიტა,

რომელსაც კვლავ თან ახლდა მხლებელი კალათით ხელში. ეს კალათი ლუიზასათვის პანდორას ყუთი იყო, რომელიც მრავალ უსიამოვნო ფიქრს აღუძრავდა. იგი ეჭვიანობისაგან კანკალებდა და თანაც შურდა, რომ უფლება არ ჰქონდა, ავადმყოფზე თვითონ ეზრუნა.

ღონა ისიდორა კოვარუბიო დე ლოს ლანოსი რიო გრანდეში მცხოვრები მდიდარი მემამულის ქალიშვილი აღმოჩნდა. ვუდლი პოინდექსტერის მამულიდან ერთი მილის დაშორებით მცხოვრები ჰასიენდას მდიდარი მეპატრონე კი მექსიკელი ქალიშვილის ბიძა ყოფილიყო. აქ ექსცენტრიკული ახალგაზრდა ლედის სახელით იცნობდნენ ისიდორას. მას დიდი ოსტატობით შეეძლო ლასოს სროლა, გარეული ცხენის მოთვინიერება, მაგრამ საკუთარი სურვილების დაოკება არ შეეძლო.

ასეთი ცნობები მოაგროვა ლუიზამ მექსიკელ ქალიშვილზე.

ყოველივე ამან არათუ გაუფანტა ეჭვები და შური, პირიქით, უფრო განუმტკიცა. ლუიზა თვითონაც თავნება იყო და დამოუკიდებელი ხასიათის ადამიანს თავყვანს სცემდა. მისი აზრით, ასეთი ქალი ყველას მოეწონებოდა და რაღა ახალგაზრდა ირლანდიელი უნდა ყოფილიყო გამონაკლისი?

გაიარა რამდენიმე დღემ. ლუიზას მექსიკელი ქალიშვილი აღარ დაუნახავს.

— ალბათ ჭრილობები უკვე შეუხორცდა და მუდმივი მზრუნველობა აღარ ესაჭიროება, — ასე ფიქრობდა ბანზე მყოფი ლედი, რომელსაც ჩვეულებისამებრ ხელში ლორწოვანი ეჭირა. ეს იყო დილით, მზის ამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ, სწორედ იმ დროს, მექსიკელი ქალიშვილი რომ გამოჩნდებოდა ხოლმე. ლუიზა გაჰყურებდა იმ მხარეს, საიდანაც თავის მეტოქეს მოელოდა. ამ დროს ფორტის მხრიდან მომავალი მხედარი შენიშნა და მოულოდნელობისაგან გახევდა. ეს მორის ჯერალდი იყო.

ცხენზე დაძაბული იჯდა და თოხარიკით მოჰყავდა ბედაური. ლუიზამ იგი მაინც იცნო. ლორნეტით გახედა და შეამჩნია, მარცხენა ხელი კისერზე ქსოვილით ჰქონდა ჩამოკიდებული.

როგორც კი იცნო მორისი, ქალი მოაჯირს მოეფარა ამოიოხრა.

ეს არც სიბრაღულით გამოწვეული ოხვრა იყო და არც — შეშფოთებით. ის მხოლოდ ლუიზას ღრმა გულისტკივილსა და სევდას გამოხატავდა: ავადმყოფი გამოჯანმრთელების გზაზე იყო დამდგარი და მომვლელის მზრუნველობა აღარ ესაჭიროებოდა. მას ახლა თვითონ შეეძლო ენახა თავისი მომვლელი და ალბათ მასთან მიდიოდა.

ბანის მოაჯირსა და აყვავებულ იუკას ამოფარებული ლუიზა გზად მიმავალ მხედარს უთვალთვალებდა. ლორნეტი მოიმარჯვა და ისე მოაახლოვა მხედარი, რომ არა მარტო მისი ყოველი მოძრაობა შეეძლო დაენახა, არამედ სახის ნაკვეთებსაც კი არჩევდა.

ახალგაზრდა ლედის ტანში სასიამოვნო ჟრუნტელმა დაუარა, როცა შენიშნა, რომ მორისმა კასა დელ კორვოს რამდენიმე აღტაცებული მზერა ესროლა. ხოლო როცა მუსტანგერმა ჭალას მიაღწია, ცხენი ჩრდილში შეაჩერა და მისი სახლისაკენ მზვერავივით დაჟინებით ცქერა დაიწყო, ახალგაზრდა ლედი სიხარულით ფეხზე ძლივს იდგა.

ლუიზამ წარმოიდგინა, რომ მორისი ამ წუთას მასზე ფიქრობდა. მაგრამ ეს წამიერი სიხარული ისევე გაქრა, როგორც მზის დაბნელების დროს სხივები გაქრებიან ხოლმე. მორის ჯერალდმა ცხენი დაძრა და გზასთან ერთად გაუჩინარდა ჭალაში.

სად უნდა წასულიყო? რა თქმა უნდა, დონა ისიდორა კოვარუბიო დე ლოს ლანოს სანახავად.

მერე რა, რომ იგი ერთ საათზე უფრო მალე დაბრუნდა. ხომ შეიძლება ერთმანეთს ტყეში შეხვედროდნენ, დაეჭვებული ლუიზას თვალწინ, რომელსაც აყვავებული იუკას ფოთლები ეფარებოდა. ერთი საათი სრულიად საკმაოდ დროა ისეთი შეყვარებულებისათვის, რომლებიც ერთმანეთს ყოველდღე ხვდებიან.

ლუიზამ კვლავ არად ჩააგდო ის ამბავი, რომ უკან დაბრუნებულმა მორისმა ჭალაში ისევ შეაჩერა ცხენი და დიდხანს შეჰყურებდა ჰასიენდა კასა დელ კორვოს სასახლეს.

ეს ან დაცინვა იყო, ან — გამარჯვებულის დღესასწაული.

— რა თქმა უნდა, მას შეუძლია იზეიმოს, მაგრამ რატომ მექცევა ასე უღმობლად? რატომ დგას ახლა აქ, ჩემი სახლის წინ, როცა მის ტუჩებს ჯერ კიდევ წვავს დონა ისიდორას ლანოს მხურვალე კოცნა?

27 - მიყვარხარ! მიყვარხარ!

დასევდიანებული ლუიზა პოინდექსტერი კვლავ გამოჩნდა ბანზე. იგი ფართო ქვის კიბით აღიოდა ზემოთ და იქიდან ისეთი ამბების მოწმე ხდებოდა, რომ სულ უფრო მეტად იტანჯებოდა. ლუიზამ სიტყვა მისცა თავის თავს, დაიფიცა კიდევ, რომ ბანზე აღარ ავიდოდა, ყოველ შემთხვევაში, კარგა ხანს მაინც. მაგრამ მის სიტყვასა და ფიცზე უფრო ძლიერი გრძნობა უნებლიეთ აიყვანდა ხოლმე ზემოთ, სანამ მზე ცვარნაპკურებ ტრამალის ბალახს შეაშრობდა.

ისევე, როგორც წინადღით, ლუიზა მოაჯირთან იდგა და გზას უთვალთვალებდა. ახლაც შენიშნა მხედარი, რომელსაც მკლავი მკერდთან ჰქონდა ჩამოკიდებული. ლუიზა ახლაც მოაჯირსა და იუკას ყვავილებს მოეფარა.

მხედარმა კი ზუსტად გაიმეორა გუშინდელი საქციელი: ჭალაში გააჩერა ცხენი და კასა დელ კორვოს სასახლეს მიაცქერდა.

შიშმა და იმედმა ერთად დაისადგურა ლუიზას გულში. ერთ წამს კიდევ გადაწყვიტა, საფარიდან გამოსულიყო და დანახვებოდა, მაგრამ სიფრთხილემ სძლია. მხედარი წავიდა.

ოცი წუთი არ იქნებოდა გასული, როცა ერთი ცხენოსანი კიდევ გამოჩნდა გზაზე. ისიც იმავე მიმართულებით მიდიოდა, საითაც მორისი. მხედარი ქალი გახლდათ.

ახალგაზრდა ლედის ეჭვიან გულს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. როგორი მწარეც არ უნდა ყოფილიყო სინამდვილე, ამაზე მეტად ველარაფერი დატანჯავდა. მან გადაწყვიტა, ყოველივე გაეგო, თუნდაც ამას მისი იმედების დამსხვრევა მოჰყოლოდა.

ლუიზა იმ ჩირგვებისაკენ გაემართა, სადაც დაახლოებით ოცი წუთის წინათ მუსტანგური გაუჩინარდა. მას აკაცციების ჩრდილში, ბილიკის ნაპირ-ნაპირ, ბალახებზე მიჰყავდა ცხენი, რომ ფლოქვებით ქვას არ შეხებოდა და ხმაური არ გამოეწვია. ახალგაზრდა ლედი უნაგირზე მოხრილი იჯდა, თითქოს ვიღაცას ემალებაო და თან გაფაციცებით წინ იცქირებოდა.

ლუიზამ გორაკის მწვერვალს მიაღწია, საიდანაც ყველაფერი ხელისგულივით მოჩანდა. მის წინ მაღალი ხეებით გარშემორტყმული მშვენიერი სახლი იდგა. თამამად შეიძლებოდა სასახლეც გეწოდებინათ. ეს იყო დონა ისიდორას ბიძის, დონ სილვიო მარტინესის რეზიდენცია.

იმ ადგილას სხვა შენობებიც იდგა, მაგრამ ლუიზამ მხოლოდ ამ სახლსა და მისკენ მიმავალ გზას დაუწყო თვალთვალი. რამდენიმე ხანს ამოდ შეჰყურებდა სახლსაც და გზასაც. არაფერს გამოჩენილა. მხოლოდ რამდენიმე უბელო ცხენი ძოვდა ბალახს.

სად არიან მორისი და ისიდორა ახლა, ტყეში თუ სახლის კედლებს შიგნით? თუ ტყეში არიან, იცის თუ არა ეს დონ სილვიომ? თუ სახლში არიან, ნეტავ როგორ უყურებს ამ ამბავს ისიდორას ბიძა? — ეკითხებოდა ლუიზა თავის თავს. უეცრად ცხენის ჭიხვინი და ფლოქვების ხმაური შემოესმა. ახალგაზრდა ლედიმ გაიხედა იქით, საიდანაც ხმაური მოდიოდა. მუსტანგური ქვემოდან პირდაპირ მისკენ მოემშურებოდა. ლუიზას ადრევე შეეძლო მორისის დანახვა, მაგრამ ისე დაფიქრებით მიშტერებოდა გარემოს, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა.

ისევე, როგორც პირველად ჩაუარა გვერდით კასა დელ კორვოს, მორისი ახლაც მარტო იყო. არც იმას უჩანდა პირი, რომ ვინმესთან

ერთად ყოფილიყო, მით უმეტეს, სატრფოსთან. დამალვა უკვე შეუძლებელი იყო. წინწკლებიანმა მუსტანგმა ძველ ნაცნობს სალამზე სალმითვე უპასუხა. მისი პატრონი კი იძულებული გახდა, მუსტანგერის ამოსვლას დალოდებოდა.

— გამარჯობა, მის პოინდექსტერ, — მიმართა მუსტანგერმა (თუმცა საერთოდ ტრამალზე მიღებულია, ქალმა პირველად დაიწყოს ლაპარაკი), — მარტო ხართ?

— მარტო ვარ. რა ხდება?

— მარტოდმარტო ამ ბუჩქნარებში? თუმცა მომაგონდა, თქვენ ერთხელ მითხარით, მარტო სეირნობას ვარჩევო.

— მგონი, სეირნობა თქვენც მარტოს უნდა გიყვარდეთ, მისტერ ჯერალდ, მაგრამ ამჯერად არა მგონია, მარტო ყოფილიყავით.

— მეც ნამდვილად განმარტოებით მიყვარს სეირნობა და საამისო მიზეზიც მაქვს. საუბედუროდ, ახლა „სასტუმროში“ ვცხოვრობ, როგორც მას ჩემი მასპინძელი დოფერი უწოდებს. იქ ისეთი აურზაურია, რომ ჯანმრთელი ადამიანიც დაავადდება, მე კი, მოგეხსენებათ, დაჭრილი ვარ. აქ სეირნობა პირდაპირ ნებივრობაა. ამ აკაცის ხეების ჩრდილში, მექსიკელები მეზქვიტოს რომ ეძახიან, საკმაო სიგრილეა და ისეთი ნიავი უბერავს, მომაკვდავსაც კი გამოაცოცხლებს, თქვენც ასე არ ფიქრობთ, მის პოინდექსტერ?

— ეს თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, სერ, — დაბნეულად უპასუხა ახალგაზრდა ლედიმ, — აქ ხომ ხშირად სეირნობთ!

— ხშირად?! მეორედ ვარ აქ, მას შემდეგ, რაც უნაგირზე ჯდომა შეეძელი. მაგრამ მინდა გკითხოთ, მის პოინდექსტერ, საიდან იცით, რომ მე ამ გზაზე წინათაც გამოვიარე?

— ოჰ! — სახეზე ფერმა გადაჰკრა ლუიზას, — საიდან ვიცი? მე ჩვეულებად მაქვს სახლში ბანზე ასვლა. იქიდან შესანიშნავი ხედი იშლება, განსაკუთრებით დილაობით, როცა სასიამოვნო ნიავი ქრის და ბალიდან ჩიტების გალობა მოისმის. ჩვენი სახლის ბანიდან გზა

კარგა მანძილზე მოჩანს. სწორედ იქიდან დაგინახეთ, როცა სახლს ჩამოუარეთ და აკაციების ჩრდილში კარგა ხანს იდექით.

— მაშინ დამინახეთ? — შეეკითხა დაბნეული მორისი, რომელსაც გაახსენდა, რა დიდხანს იდგა და უმზერდა კასა დელ კორვოს.

— რა თქმა უნდა, მაშინ დაგინახეთ. გზა ჩვენი სახლიდან ხომ ექვსასი იარდითაა დაშორებული. იქიდან ლედიც კი შევნიშნე, თუმცა მისი ცხენი თქვენსაზე გაცილებით პატარაა. დიდი ხელოვნებით გადააცვა ლასო კისერზე პატარა ანტილოპას. თქვენი ნაამბობის მიხედვით, მაშინვე შევიცანი მექსიკელი ქალიშვილი.

— ისიდორა?

— დიახ, ისიდორა!

— ჰო, მართლა! ის რამდენიმე ხნით აქ იყო ჩამოსული.

— და ძალიან კეთილად გეპყრობოდათ, არა?

— ნამდვილად ასეა. მადლობა კი ვერ გადავუხადე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიმართ ძალიან მეგობრულადაა განწყობილი. თუმცა ფეხს არ შეადგამს ობერდოფერის სასტუმროში, რადგან მას ყველა დამპყრობელი ეჯავრება.

— მართლა? ალბათ ამიტომ არჩია თქვენთან შეხვედრა აკაციების ჩრდილში.

— სულაც არ შევხვედრივარ ისიდორას, ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ რამდენიმე თვეა. ალბათ კიდევ რამდენიმე თვე გავა, რომ ვერც შევხვდები. იგი თავის სახლში — რიო გრანდეში დაბრუნდა.

— ნუთუ რასაც თქვენ ამბობთ, მართალია, მისტერ ჯერალდ? თქვენ მას შემდეგ არ გინახავთ ის... ისე წავიდა ბიძის სახლიდან?

— დიახ, — გაცხებით უპასუხა მორისმა, — არ მინახავს ისიდორა. მაგრამ შევითყვე, რომ ბიძასთან მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა, ავადმყოფობის დროს ჩემთვის სანოვაგე გამოეგზავნა. მართალი მოგახსენოთ, ასეთი დახმარება ძალიან მჭირდებოდა ობერდოფერის დაწყველილ სასტუმროში. თუ ამას დავუმატებთ სასტუმროს პატრონის ჩემდამი ცუდ დამოკიდებულებას, თქვენთვის ყველაფერი გასაგები

გახდება. დონა ისიდორამ დიდსულოვნად გადამიხადა მადლობა უმნიშვნელო სამსახურისთვის, რომელიც ერთხელ გაუწიე.

— სამსახური? შეიძლება, მითხრათ, რა იყო ეს, მისტერ ჯერალდ?

— რა თქმა უნდა. უბრალო შემთხვევა იყო. ერთხელ ისიდორა „გარეული კატისა“ და მისი თვისტომი ინდიელებისაგან დავისხენი. შემთხვევით ჩაუვარდათ მათ ხელში, როცა რიო გრანდედან თავისი ბიძის სახლში მოდიოდა. ის მხეცები მთვრალეები იყვნენ. ახალგაზრდა ქალს სიკვდილზე უფრო საშინელი რამ ემუქრებოდა. მე რომ დროზე არ მიმესწრო, ვინ იცის, რა დაემართებოდა.

— და ამას ეძახით უმნიშვნელო სამსახურს? ძალიან თავმდაბალი ხართ, მისტერ ჯერალდ, ეს რომ ჩემთვის გაეკეთებინა ვინმეს...

— რითი მიუზღავდით სამაგიეროს? — მუსტანგერმა მრავალმნიშვნელოვნად დასვა მახვილი ბოლო სიტყვაზე.

— შევიყვარებდი, — სწრაფად უპასუხა ლუიზამ.

— მაშინ, — მორისმა თავისი ცხენი წინწკლებიან მუსტანგთან მიავდო, ქალისკენ დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა: — ნახევარ სიცოცხლეს მივცემდი, რომ „გარეული კატისა“ და მისი მთვრალი ამფსონების ხელში მენახეთ, ხოლო დარჩენილ ნახევარს მათი ხელიდან თქვენს დახსნას შევწირავდი.

— მართლა ასე ფიქრობთ, მისტერ ჯერალდ? ხომ არ დამცინით? ბავშვი ხომ არ ვარ. მართალი მითხარით.

— დიახ, ასეა! — უპასუხა მორისმა და აკოცა. უზანგებზე შემდგარმა ლუიზამ უნაგირიდან წამოიწია და ერთმანეთს გადაეხვივნენ. ვნებით საფხვს აღტაცებულმა ქალმა ესლა უთხრა:

— შენს ხელთ ვარ... მიყვარხარ! მიყვარხარ!..

28 - აკრძალული სიამოვნება

ანგლოსაქსი ემიგრანტების საცხოვრებლად მოსვლამდე ერთი საუკუნით ადრე, როცა კონკისტადორთა შთამომავლებმა კოლონი-

ად აქციეს ტეხასი, იქ მთავარ პრობლემას ადგილობრივ მოსახლეობასთან — ინდიელებთან ურთიერთობა წარმოადგენდა. საომარ მდგომარეობაში იყვნენ, თუ დროებითი ბავი ჰქონდათ დადებული ახალმოსახლეებთან, კოლონისტთა საუბარი მაინც ადგილობრივ მკვიდრთ შეეხებოდა. ერთი მხრივ, იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ რამდენად საშიში იყვნენ ინდიელები, მეორე მხრივ — რამდენ ხანს გასტანდა მშვიდობა და როდის გაიკრავდნენ ხელს ინდიელები იარაღზე.

ტეხასში მექსიკელთა ბატონობა ამერიკელთა ბატონობამ შეცვალა, მაგრამ საუბრებზე, სადილებზე, სამხარსა თუ ვახშამზე ახალი ბატონებიც ისევ ინდიელებზე საუბრობდნენ. პლანტატორის სასახლესა და მონადირის ქოხში დათვის, ვეფხვის, გარეული კატისა და ღორის სახელი უფრო მშვიდად წარმოითქმებოდა, ვიდრე სიტყვა „ინდიელი“. „ინდიელი მოდისო“ — ტეხასელი დედები ამ სიტყვებით ბავშვებს აშინებდნენ, თუმცა ტეხასში ინდიელის ხსენებაზე უფროსებსაც აკანკალებთ.

კასა დელ კორვო ჯენტლმენის საცხოვრებელი სასახლეაო, ვერ იტყოდით. მას ციხესიმაგრესავით გალავანი ჰქონდა შემოვლებული, მაგრამ მის მკვიდრთა გულში, საზღვრისპირა ყველა სხვა მცხოვრების მსგავსად, შიშს დაესადგურებინა. პოინდექსტერებმა ტეხასში მოსვლამდე ცოტა რამ იცოდნენ ინდიელებზე და ისიც სხვისი მონათხრობის მიხედვით. დღეს დღე მისდევდა და მათთვის თანდათანობით ნათელი ხდებოდა, თუ როგორი შიშის ზარს სცემდნენ ინდიელები აქაურ მოსახლეობას და უკვე სჯეროდათ, რომ ინდიელები მართლაც საშიში ხალხი იყო. თუ კიდევ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარებოდა, ფორტის კომენდანტის უკანასკნელ წერილს, ტრამალზე გამართული პიკნიკიდან ორი კვირის გავლის შემდეგ რომ მიიღეს, ყველა ურწმუნო თომა უნდა დაეჯერებინა.

წერილი დილაადრიან მსროლელთა ლეგიონის ცხენოსანმა მოიტანა. ოჯახის უფროსმა ვუდლი პოინდექსტერმა წერილი საუბრის

წინ მიიღო, სწორედ მაშინ, როცა მთელი მისი ოჯახი — თვითონ ლუიზა, ჰენრი და დისშვილი კოლჰაუნი — სუფრას შემოუსხდა.

— საგანგაშო ამბებია! — წამოიძახა პოინდექსტერმა, როცა წერილი გადაიკითხა, — ვერაფერი სასიამოვნო ამბავია, თუ ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ რაკი მაიორს სჯერა, ეჭვი არ მეპარება, მართალი იქნება.

— არასასიამოვნო ამბებია, მამა? — შეეკითხა ლუიზა და თანაც ლაწვები შეუფაკლდა. მუსტანგერთან შეხვედრა გაახსენდა.

„...თუმცა რა უნდა მოეწერა მაიორს? გუშინ შევხვდი და ისიც აკაციების ჩრდილში. ნუთუ მაიორმა დამინახა? ღმერთო ჩემო! ეს რომ მამამ გაიგოს...“

— ინდიელები საომრად ემზადებიანო, ასე მწერს მაიორი.

— ოჰ, მეტი არაფერი?! — უნებურად აღმოხდა ლუიზას, თითქოს ეს ამბავი საშიში არ ყოფილიყოს, — ისე შეგვაშინეთ, მამა, მე უარესი რაღაც მეგონა.

— უარესი?! რა უაზროდ მსჯელობ, ლუიზა, რა დაგემართა? ამაზე უარესი და საშიში რა იქნება?!

ლუიზას მოაგონდა გადამწვარ ტრამალზე გზის დაკარგვის ამბავი, ულაცი მუსტანგების დადევნება, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. საუბარი კოლჰაუნმა განაგრძო.

— მაიორი დარწმუნებულია, რომ ინდიელები ომს გვიპირებენ? რას გწერს ამაზე, ძია?

— რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ხმა, მაგრამ არ ვერწმუნეთ, ახლა კი ყოველივე ნათელიაო. წუხელ „გარეულ კატად“ მონათლული სემინოლთა ტომის ბელადი ყოფილა ფორტში თავისი ხალხით და უთქვამს, უკვე ერთი თვეა, ტეხასში მაცხოვრებელი ინდიელების ქოხების წინ აჭრელებული ლატნები გამოფინეს და საომარი ცეკვები იმართებო. კამანჩების ტომის რამდენიმე რაზმი უკვე გამოსულა სალაშქროდ და ყოველ წუთს უნდა ველოდოთ მათ თავდასხმასო.

— თვითონ „გარეული კატა“ რა, მათზე უკეთესია? — ჰკითხა ლუიზამ, როცა მუსტანგერის მონაცოლი გაახსენდა, — ის თვითონ ინდიელებს განუდგა და ჩვენ გვემხრობა. ასეთი კაცი მათთვისაც საშიშია და ჩვენთვისაც.

— მართალი ხარ, შვილო. მაიორი წერილის ბოლოს სწორედ ასევე მწერს. მაფრთხილებს, ფრთხილად ვიყო ამ ორპირ კაცთან, რომელიც იმწამსვე გადავა ინდიელთა მხარეზე, როგორც კი ამაში თავის სარგებელს დაინახავსო.

— რას იზამ, — განაგრძო პლანტატორმა, წერილი განზე გადადო, ყავა და ნამცხვარი მოიწია ახლოს, — დარწმუნებული ვარ, აქ ვერც ერთი წითელკანიანი ვერ შემოაღწევს — სემინოლი იქნება ის თუ კამანი. კასა დელ კორვოს ქონგურებს ვერ შეჰბედავენ.

სანამ კიდევ ვინმე რამეს იტყოდა, სასადილოში, სადაც ისინი ისხდნენ, შავკანიანმა მონამ შემოყო თავი. ეს მეეტლე პლუტო გახლდათ.

— რა გინდოდა, პლუტო, — ჰკითხა პატრონმა.

— ჰო, ჰო! არაფერი, ისე შემოვიხედე, მის ლუსთვის მინდოდა მეთქვა, საუბმეს მალე მორჩეს: წინწკლებიანი მუსტანგი შეკაბმული ელოდება. ლაგამის ამოდებალა უნდა. წინწკლებიან მუსტანგს არ უყვარს ქვებზე დგომა, ტრამალზე სეირნობა ურჩევნია.

— შენ რა, სასეირნოდ მიდიხარ, ლუიზა? — შეეკითხა მოღუშული პლანტატორი.

— დიახ, მამა, გასეირნება მინდოდა.

— არ შეიძლება.

— მართლა?!

— ვფიქრობ, მარტოდმარტო სეირნობა შენთვის არასაკადრისი საქციელია.

— რატომ ფიქრობთ ასე, მამა? მე ხომ ხშირად მისეირნია მარტო?

— დიახ, ძალიან ხშირად.

ამ ბოლო შენიშვნამ ახალგაზრდა ლედი წამოაწითლა, თუმცა არ იცოდა, რა ჰქონდა მამას მხედველობაში.

ორაზროვანი სიტყვის განმარტება ლუიზას არ მოუთხოვია. პირიქით — ისეთი პასუხი გასცა მამას, რომ შეეცადა, ყველაფერი მიეფუჩეჩებინა.

— თუ ასეა, სულაც არ ვისეირნებ და ოთახში გამოვიკეტები. თქვენ, ჯენტლმენებმა, კი საქმეებზე ისეირნეთ. ალბათ ასე უნდა გავატარო ჩემი ცხოვრება ტეხასში...

— არა, შვილო. მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ ისეირნო, თუკი გესიამოვნება. მაგრამ თან ჰენრი ან კასიუსი წაიყვანე. მე მხოლოდ მარტოღმარტო სეირნობას გიშლი და ამისი მიზეზიცა მაქვს.

— რა მიზეზი?

ეს კითხვა ლუიზამ უნებურად წარმოთქვა და მაშინვე იკბინა ტუჩებზე, თავი რომ ვერ შეიკავა. შიშისაგან გაინაბა და პასუხს ელოდებოდა.

პასუხმა ოდნავ შეუმსუბუქა მდგომარეობა.

— სხვა რა მიზეზი გინდა, — უპასუხა პლანტატორმა, — გარდა მაიორის ამ წერილისა? გახსოვდეს, შვილო, ტეხასი ლუიზიანა არაა. იქ ქალიშვილს ყველგან უშიშრად შეუძლია სიარული, ისე, რომ შეურაცხყოფასა და გაძარცვავზე არ იფიქროს. მაგრამ ტეხასი სხვაა. აქ ჩვენი სიცოცხლე საფრთხეშია. აქ ინდიელები არიან.

— მე სახლიდან ისე შორს არ მივდივარ, რომ ინდიელებისა მეშინოდეს. ხუთ მილზე შორს არასოდეს წავსულვარ.

— ხუთი მილი, — ირონიულად წარმოთქვა სამსახურიდან გადამდგარმა კაპიტანმა, — გინდ ხუთი მილი გაგივლია და გინდაც — ორმოცდაათი. სულერთია, სახლიდან ასი იარღის დაშორებითაც რომ შეხვდე ინდიელებს, შეიძლება იგივე განსაცდელი გეწვიოს, რაც ასი

მილის მანძილზეა მოსალოდნელი. როცა ომს აპირებენ, მათ გამოჩენას ყველგან უნდა მოელოდე. ჩემი აზრით, ძია ვუდლი მართალია. ძალიან დიდ სისულელეს ჩადიხარ, მარტო რომ სეირნობ.

— ოჰ! შენ ასე გგონია?! — ახალგაზრდა ლედი თავისი მამიდაშვილისაკენ მობრუნდა და სიძულვილით აღსავსე მზერა მიაპყრო, — მაგრამ ხომ ვერ მეტყვი, რა სამსახური შეგიძლიათ გამიწიოთ, სეირნობის დროს ინდიელებს რომ გადავეყაროთ? თუმცა არა მგონია, რომ ასე მოხდეს. ისე, კარგი სანახავეები კი ვიქნებით ორივე ერთად გათხუპნილ ველურებს შორის. შენ უნდა გეშინოდეს, თორემ მე რა. გავიქცევი და ბედის ანაბარა მიგატოვებ. ნუთუ მართლა ასე საშიშია, ხუთი მილით დავცილდე სახლს? აბა, დამისახელე მთელ ტეხასში ცხენოსანი, რომელიც ჩემს წინწკლებიან მუსტანგს დაეწევა. ვერ შეძლებ ამას, მისტერ კაშ!

— გაჩუმდი, შვილო! — უბრძანა პონინდექსტერმა, — ასეთი სისულელებების ლაპარაკი გაგონილა? ნუ მიაქცევ ყურადღებას, კასიუს. ტეხასში, ინდიელების გარდა, სხვა მრავალი რამეცაა სახიფათო. აქ იმდენი კანონგარეშე გამოცხადებული გარეწარია თავმოყრილი, რომ გიკრძალავ შორ მანძილზე სეირნობას, რასაც აქამდე სჩადიოდი.

— თქვენი ნებაა, მამა! — უპასუხა ლუიზამ და მაგიდას მოშორდა, — მე, რა თქმა უნდა, დაგემორჩილებით, მაგრამ შინ ჯდომისაგან შეიძლება ავადაც გავხდე. წადი, პლუტო! — მიმართა მან შავკანიან მონას, რომელიც ჯერ კიდევ კარში იდგა და იკრიჭებოდა, — შეიყვანე ლუნა საჯინიბოში ან საძოვარზე გააგდე, სადაც მოგესურვება. თუ გინდა, ტრამალზე გაუშვი და ინავარდოს, სულერთია, აღარ მესაჭიროება.

ეს რომ თქვა, ახალგაზრდა ლედიმ მედიდურად დატოვა სადარბაზო ოთახი და ამით მაგიდასთან მსხდომ სამ ჯენტლმენს საშუალება მისცა, ეფიქრათ, თუ რა მწარე დაცინვა იმალებოდა მის სიტყვებ-

ში. მაგრამ ეს არ იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. გრძელ დერეფანში თავისი ოთახისაკენ მიმავალი ლუიზა ხმადაბლა ჩურჩულებდა, თითქოს მის ბაგეებს სიტყვები უნებურად სწყდებოდა. იგი ეკითხებოდა საკუთარ თავს, მაგრამ პასუხისთვის ვერ მიეგნო. უბრალოდ ეჭვიანობს? ვის შეეძლო ეთქვა რამე მისთვის? იცის თუ არა ჩვენი შეხვედრის ამბავი?

29 - ელ კოიოტი შინაა

კოლჰაუნმაც ლუიზასავით სწრაფად მიატოვა საუბრე, მაგრამ მასავით თავის ოთახს როდი მიაშურა. იგი სახლიდან გავიდა.

მართალია, ჭრილობები ჯერ ისევ აწუხებდა, მაგრამ სახლის ახლომახლო სიარული უკვე შეეძლო.

მაგრამ ახლა უფრო შორს განიზრახა წასვლა. საუბრის დროს ატეხილმა დავამ, თუ წერილში წაკითხულმა ამბავმა, თითქოს ძალა შეჰმატაო, ჯობზე დაყრდნობილი კოლჰაუნი აღარ გრძნობდა უძლურებას და ფორტ ინჯისაკენ გაეშურა.

პასიენდასა და ფორტს შუა მდებარე მწირი მინდორი კოჭლობით გაიარა და მიუახლოვდა აკაციების ჩირგვნარს, რომელსაც მაღალი ხეები ფარავდა. ხეების შუაგულში, სამხრეთ-დასავლეთ ტეხასში გავრცელებული შელესილი, წნული ქოხი — ჯაკალე იდგა.

ჯაკალე სწორედ შესაფერ სადგომ სოროს წარმოადგენდა ნახევრად ველური და ტლანქი მექსიკელი მუსტანგერის — მიგელ დიასისათვის, რომელსაც ტყუილუბრალოდ არ ეძახდნენ ელ კოიოტს, უდაბნოს ძაღლს.

ველური ძაღლი ყოველთვის როდი იყო თავის ბუნაგში. მიგელ დიასის სადგომისათვის უკეთესი რამ არც შეიძლებოდა გეწოდებინათ. იგი იშვიათად ათევდა ღამეს ქოხში. ეს მაშინ ხდებოდა, როცა მუსტანგებს დაიჭერდა და ახალშენში გასაყიდად მიჰყავდა ხოლმე.

კოლჭაუნს ბედმა გაულიმა. მასპინძელი შინ დაუხვდა. მექსიკელს, ეტყობოდა, ზომამე მეტი დაელია. კარგა ლაზათიან გამოძინებასაც ვერ გამოეფხიზლებინა მთლიანად, თუმცა არასოდეს იყო ფხიზელი.

— გაუმარჯოს, სერ! — პროვინციული კილოთი მიესალმა იგი სტუმარს, როცა ეს უკანასკნელი კარში გამოჩნდა, — საწყალ დიასს თქვენი მოლოდინი არა ჰქონდა! დაბრძანდით. აი, სკამი! ჰა, ჰა, ჰა! — თვითონვე გაეცინა, მუსტანგის თავის ქალა რომ სკამად მონათლა. იუკას ხისაგან გამოჩორკნილი მაგიდა, მუსტანგის კიდევ ერთი თავის ქალა და ლერწმის საწოლი, რომელზედაც თვითონ ელ კოიოტს ეძინა ხოლმე — აი, ეს იყო ჯაკალეს მთელი მორთულობა.

* * *

კოჭლობით მოქანცულმა კოლჭაუნმა მასპინძლის მიპატიუება მიიღო და მუსტანგის ქალაზე ჩამოჯდა. მას დრო არ დაუკარგავს და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— სენიორ დიას! — მიმართა მან, — მოვედი, რათა...

— სენიორ ამერიკანო! — შეაწყვეტინა ნახევრად მთვრალმა მექსიკელმა, — რატომ ხარჯავთ ცუდუბრალოდ სიტყვებს? კარამბო! მე ძალიან კარგად ვიცი, რისთვის მოხვედით. თავიდან უნდა მოგაშოროთ ის ეშმაკის კერძი ირლანდიელი!

— სწორია.

— ძალიან კარგი; აკი დაგპირდით, მოგაშორებთ-მეთქი, ხუთასი პესოს საფასურად, როცა საამისოდ ხელსაყრელი შემთხვევა მომეცემა. მიგელ დიასი სიტყვის კაცია, ტყუილუბრალოდ არაფერს დაგპირდება. მაგრამ ხელსაყრელი დრო ჯერ არ დამდგარა, არც შემთხვევა მომეცა. კაცის მოკვლასაც ცოდნა უნდა. ტრამალზეც კი შეიძლება კვალს მიაგნონ. და თუ იპოვეს მკვლელი, ჰა! რა გადამარჩენს მერე? ხო არ გავიწყდებათ, კაპიტანო, რომ მე მექსიკელი ვარ. ამერიკელი რომ ვიყო, დონ მაურისოს ადვილად მოვიშორებდი გზი-

დან. ვიტყვდი, რომ ვინახუბეთ და მე უვნებელი დავრჩი. ეს საკმარისი იქნებოდა. მაგრამ მექსიკელისათვის კაცის მოკვლა ხუმრობა საქმე როდია. ჩვენ რომ კაცს მაჩეტე ვაძგეროთ გულში და სისხლი დავღვაროთ, ამას მკვლელობას დაარქმევენ. თქვენ კი, ამერიკელები, სულელური კანონებითა და თორმეტი „პატიოსანი“ ნაფიცის მსაჯულით ასე იტყვით: დიახ, მოჰკიდეთ ხელი და ჩამოახრჩვეთ ეს საბრალო. ამიტომაც ასეთ დროს მის მოკვლას ვერ გავბედავ. თქვენზე ნაკლებ არც მე მძულს, მაგრამ სახრჩობელაზე ქანაობა სულაც არ მინდა. მარჯვე დროს უნდა დაველოდო.

— ახლა თქვენს ხელთაა! — უთხრა ვერაგმა კოლჰაუნმა და დაქირავებული მკვლელისაკენ გადაიხარა, — აკი თქვით, ეს საქმე ადვილად მოგვარდება, თუ ინდიელებთან ურთიერთობა გამწვავდაო...

— დიახ, ასე ვთქვი. ასე რომ იყოს...

— მაშ ახალი ამბავი არ იცით?

— რომელი ახალი ამბავი?

— კამანჩის ტომი ომს გვიპირებს.

— ნუთუ მართლა! — წამოიძახა ელ კოიოტმა და თავისი საწოლიდან მართლაც იმ მგელივით წამოხტა, მსხვერპლს რომ შეიგულეებს და თავდასხმისათვის ემზადება. წმინდაო მარიამ! მართალს ამბობთ, სენიორ კაპიტანო?

— ნამდვილად. ეს ცნობა ახლა მიიღეს ფორტში. მე კი თვითონ ფორტის უფროსმა მაცნობა.

— ახლა კი შეუძლია მოისვენოს დონ მაურისიომ. ხომ შეიძლება, კამანჩებმა მოკლან! ჰა, ჰა, ჰა!

— დარწმუნებული ხართ?

— უფრო კარგად დავრწმუნდებოდი, მისი თავის საფასურად ხუთასის ნაცვლად, ათასი დოლარი რომ მოგეცათ. ღირს კიდევ ამ თანხად.

— რა თანხად?

— ათას დოლარად.

– მოგცემთ.

– თქვენ შეგიძლიათ ათასი დოლარი მომცეთ? მაშინ კამანჩები აუცილებლად მოკლავენ მორისს, სენიორ კაპიტანო. შეგიძლიათ დაბრუნდეთ კასა დელ კორვოში და ტკბილ ძილს მისცეთ თავი.

– ათასი პესო მოამზადეთ.

– ის ფული თქვენ გელოდებათ.

– ძალიან კარგი! მშვიდობით!

– წმინდაო მარიამ! – წამოიძახა ბილწმა ავაზაკმა, როცა მისი სტუმარი თვალს მიეფარა, – ბედნიერი შემთხვევაა, აი, როგორ გამიღიმა ბედმა. ათას დოლარს მაძლევენ იმ კაცის მოკვლაში, რომლის თავიდან მოშორება თვითონვე სრულიად უსასყიდლოდ მქონდა გადაწყვეტილი. მაშ კამანჩები ომს აპირებენ?! მით უკეთესი, თუ ეს მართალია, მაშინ შესანიღბად ის ტანსაცმელი დამჭირდება, ინდიელებთან ბავის გამო რომ სამი წელია, უქმად მაქვს შენახული. გაუმარჯოს მეომარ ინდიელებს! გაუმარჯოს ტრამალის მასკარადს!

30 - ისრით ნასროლი ბარათები

ლუიზა პოინდექსტერი თაყვანს სცემდა მამაკაცთა სპორტის ყველა სახეობას. მათ შორის, რა თქმა უნდა, მშვილდოსნობასაც ეტანებოდა. მშვილდი და ისარი მის ხელში გასართობიც იყო და ნების მორჩილიც. ისრის სროლა მან ჰოუმას ტომის ინდიელებთან ისწავლა. ერთ დროს ძლიერი ტომის გადარჩენილი ჩამომავალნი მისი-სიპის ნაპირას, პოინტ კოუპოს ახლოს, ატჩაფალიის ყურეში ბინადრობდნენ.

თავისი მშვილდ-ისარი ლუიზამ მისი-სიპიდან წამოიღო, მაგრამ ახალ საცხოვრებელ ადგილზე ჯერ ხელიც არ ეხლო. ყუთი, რომელშიც მშვილდ-ისარი ჰქონდა შენახული, არც კი გაუხსნია. ფორთოხლის ხისაგან გაკეთებული მშვენიერი მშვილდი და ფრთიანი ისრები საკუჭნაოში ეყარა.

მაგრამ დადგა მათი გახსენების დროც. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მამამ ლუიზას მართოდმართო სეირნობა აუკრძალა.

ქალი მშობლის ბრძანებას უსიტყვოდ დაემორჩილა. არა მართო სეირნობაზე თქვა უარი, საერთოდ, ცხენზე შემჯდარიც აღარავის უნახავს. წინწკლებიანი მუსტანგი ან საჯინბოში იყო ბაგასთან დაბმული, ან საჩეხეში მიმორბოდა.

მაგრამ წინწკლებიანი მუსტანგი ლუიზას უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ახალგაზრდა ლედი ყოველდღე ნახულობდა და ზრუნავდა მასზე. პლუტო ლუნას დიდი გულმოდგინებით უვლიდა. სამურველითა და ჯაგრისით ყოველდღე ვარცხნიდა და ასუფთავებდა; ცხენი ისევე გაკრიალებული იყო, როგორც მისი მომვლელის პირის კანი.

როცა ლუნას ინახულებდა და სახლის საქმეებს მორჩებოდა, ლუიზა დანარჩენ დროს ისრის სროლაში ატარებდა. ცხენით სეირნობის სანაცვლოდ ახალგაზრდა ლედი ისეთი აღფრთოვანებით შეუდგა მშვილდოსნობას, რომ ეტყობოდა, ეს გასართობი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

სასროლ ადგილად ბალი და მისი მომიჯნავე ბუჩქნარი შეარჩია. ეს გახლდათ ფართო, გაშლილი ადგილი, რომელსაც სამი მხრიდან მდინარე ჩაუდიოდა, ხოლო მეოთხე მხრიდან ჰასიენდას კედელს ემიჯნებოდა.

ბალის განაპირა, ყვავილებით მოფენილ, ნახევარწრისებურ ადგილზე ბევრი ძველისძველი ძეგლი იდგა. ქვაში გამოკვეთილი ადამიანებიც გაცრეცილიყვნენ. აშკარად ჩანდა, რომ ეს ძეგლები ესპანელ მოქანდაკეთა ნახელავი იყო. აქ იყო დიდი კონდეს, კამპეადორის, ამერიკის აღმომჩენის, ფერდინანდისა და მისი ენერგიული დედოფლის, ორი დიდი კონკისტადორის — კორტესის, პისაროს და თავისი ერთგულებითა და სილამაზით სახელგანთქმული ინდიელი ქალის — მალინჩეს ძეგლები.

ეს ძეგლები ლუიზა პოინდექსტერის მშვილდ-ისრის სამიზნე არ გამხდარა, თუმცა არაერთხელ შეუნიშნავთ მალინჩეს ქანდაკების

წინ მდგარი ახალგაზრდა ლედი, რომელიც ინდიელი ქალიშვილის სახის ნაკვთებს დაჟინებით უმზერდა, მაგრამ მის დაჟინებულ მზერაში ოდნავი სიძულვილიც კი არ ჩანდა ინდიელი ქალისადმი, რომელიც სიყვარულის ორთაბრძოლაში დამპყრობელ კორტესთან დამარცხდა.

ლუიზა მდინარის პირსა და ბაღს შორის უზარმაზარი ხეების დაფენილ ჩრდილში ვარჯიშობდა. ეს ხეები თვითონ ამოსულიყო და გაზრდილიყო. კედარი, თუთა, კაკალი და სხვა მცენარეები ალბათ რამდენიმე საუკუნის წინათ აღმოცენდა.

ამ ხეების ჩრდილქვეშ უყვარდა ჯდომა ლუიზას. აქ სეირნობდა მდინარის ნაპირას, სადაც თვალს ადევნებდა გამჭვირვალე ტალღებს, რაკრაკით რომ მიედინებოდა თავქვე.

აქ შეეძლო თავის ფიქრებთან განმარტოება, რასაც ამ ბოლო დროს ძალზე შეეჩვია. მამა, რაც უნდა ცუდ გუნებაზე ყოფილიყო, განმარტობას არ დაუშლიდა. თუ ტრამალზე მარტო სეირნობის დროს საფრთხე ემუქრებოდა, აქ ბაღში, მის უშიშროებას, ერთი მხრივ, განიერი და ღრმა მდინარე იცავდა, ხოლო მეორე მხრივ — კასა დელ კორვოს მაღალი კედლები, რომლის გადასალახავად ოცდაათსაფეხურიანი კიბე იყო საჭირო. პლანტატორი ძალიან კმაყოფილი გახლდათ ქალიშვილის ასეთი უწყინარი გართობით. ეჭვები, რომლებიც მას გაუჩნდა, — და უნდა პირდაპირ ითქვას, არცთუ უმიზნოდ, თანდათანობით გაეფანტა.

შეიძლება მოტანილი ამბავი ყალბი იყო? ენა ყველაფერს იტყვის. შესაძლოა, ბოროტი ენის პატრონებს ლუიზასთვის სახელის გატეხა უნდათ? იქნებ შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს მისი ქალიშვილი და მორის მუსტანგერი, მას კი ეს ამბავი სულ სხვაგვარად გადასცეს?

მართლაც, ხომ შეიძლებოდა, სრულიად შემთხვევით შეხვედროდნენ ერთმანეთს აკაციების ჩირგვნარში? განა ლუიზას შეეძლო,

არ გამოსაუბრებოდა და მდუმარედ აევლო გვერდი იმ ადამიანი-სათვის, ვინც ორჯერ დაიხსნა საშინელი განსაცდელისაგან? იქნებ უბრალოდ მადლობა გადაუხადა და ბოროტმა ადამიანებმა გააზვიადეს ეს ამბავი? რაკი ასე იოლად თქვა უარი ცხენით სეირნობაზე, პოინდექსტერმა ეს კარგის მომასწავებელ ამბად მიიჩნია. როცა ლუიზას სურვილს წინააღმდეგობას უწევდნენ, იგი ასე ადვილად როდი უთმობდა მათ. ახალგაზრდა ლედის მუდამ შინ ყოფნა და მამის ბრძანებისადმი უსიტყვო მორჩილება იმაზე მეტყველებდა, რომ მას გული არც ისე ძალიან სწყდებოდა.

ასე ბჭობდა მოსიყვარულე მამა, რომელსაც ვარაუდების გარდა, სხვა საშუალება არ გააჩნდა თავისი ქალიშვილის განწყობილების გამოსაცნობად. სხვა ქვეყნის ან სხვა კლასის შვილი რომ ყოფილიყო, ვუდლი პოინდექსტერი პირდაპირ ჰკითხავდა ლუიზას და პირდაპირ პასუხსაც მოითხოვდა მისგან. მაგრამ ასეთი მეთოდი მისისიპიში მიღებული არ არის. აქ ათი წლის ბიჭი და თხუთმეტი წლის გოგონაც აღუდგებიან წინ ასეთ შეკითხვას და დაკითხვად ან გამოძიებად მონათლავენ.

ვუდლი პოინდექსტერს მშობლის ავტორიტეტის მოშველიება ვერ იხსნიდა. მამას მზეთუნახავი ქალიშვილისა, რომელსაც ყველა პირში შესციცინებდა და ქება-დიდებით ამკობდა (რაც ხშირად აფუჭებს ადამიანებს), ასეთი დაკითხვის დიდი იმედი არ შეიძლებოდა ჰქონოდა. მართალია, ის მამა გახლდათ და კანონით უფლება ჰქონდა, შვილისაგან მორჩილება მოეთხოვა, მაგრამ ვუდლი პოინდექსტერმა თვითონვე კარგად იცოდა, ნებიერი ქალიშვილი არ დაემორჩილებოდა, თუ ეს მორჩილება მის სურვილებს დათრგუნავდა.

ამიტომ ვუდლი პოინდექსტერი ლუიზას უსიტყვო მორჩილებით კმაყოფილი დარჩა. ტრამალზე ცხენის ჭენების ნაცვლად მისი ქალიშვილი ახლა ბაღში სეირნობდა და ისრებს ესროდა უბედურ დღეზე დაბადებულ ჩიტებს, რომლებიც სამიზნეზე უახლოვდებოდნენ.

ვუდლი პოინდექსტერი გულმავიწყი აღმოჩნდა. მას არ გახსენებია თავისი ახალგაზრდობა, თუმცა ბევრი რამ ჰქონდა გასახსენებელი. ეს რომ არა, ერთხელ მაინც იპოვიდა შემთხვევას, შეუმჩნევლად უკან გაჰყვებოდა ქალიშვილს ბაღში და ნახავდა, რას აკეთებდა იგი მდინარის პირას, მაღალი ხეებით დაფარულ ჩრდილში.

ლუიზა არც ისე ნაღვლობდა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ. მისი ქალიშვილი გარშემო გაუფრთხილებლად ჩამომსხდარ ჩიტებს როდი ესროდა ისარს. ისარს ბოლოში წერილს მიამაგრებდა და წყალგაღმა, უსიერი ტყისაკენ ტყორცნიდა. უფრო უცნაური ის იყო, რომ ქალიშვილის მიერ ნასროლი ისარი ბოლოზე მიმაგრებული იმავე წერილით ან სხვა მსგავსი ქალღლით უკან ბრუნდებოდა.

მოისართა გარდა, ამის მნახველი არავინ იყო. ძველმა სიბრძნემ: „სიყვარულს წინ ვერაფერი დაუდგებაო“, ტეხასშიც თავისი გაიტანა. ლუიზა პოინდექსტერსა და მორის ჯერალდს გულით ეწადათ ერთმანეთის ნახვა და როცა ეს აუკრძალეს, მშვილდ-ისრის დახმარებით ატყობინებდნენ ერთმანეთს ყოველივეს.

31 - მდინარის გადალახვა

ისრის სროლით ერთმანეთთან კავშირი დიდხანს არ გაგრძელებულა. მხოლოდ გულგრილ შეყვარებულებს შეუძლიათ წერონ ასე წერილები, ისრის სასროლ მანძილზე იყვნენ დაშორებულნი და ერთმანეთის უნახაობა მოითმინონ. არც მორის ჯერალდსა და არც ლუიზას პოინდექსტერს არ შეეძლოთ სიყვარული სიახლოვის გარეშე.

ასეც მოხდა. ამჯერად ისინი ერთმანეთს მზის სხივების მოღალატე, კაშკაშა სინათლეზე კი არ შეხვედრიან, არამედ შუალამისას, როცა მათი შეხვედრის მოწმე მარტო ვარსკვლავები იყო.

ისინი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ბაღის იქით, პატარა ჭალაში, ორჯერ შეჰფიცეს ერთმანეთს სამუდამო ერთგულება, აქვე დათქვეს მესამე შეხვედრის დრო.

ზვიად პლანტატორს კი, რომელსაც ასე ეამაყებოდა თავისი ქალიშვილი, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ სწორედ ლუიზა აუმხედრდა მშობლის ავტორიტეტს.

საკუთარი პირმშო, ცისფერსისხლიანი სამხრეთელი არისტოკრატი, ლამაზი, განათლებული ქალიშვილი, რომელსაც ყოველი ბრწყინვალე მამაკაცის ხელი შეეძლო მოეპოვებინა, ღამით პაემანს უნიშნავდა ვიღაც ცხენებზე მონადირეს.

ეს სიზმარშიც რომ ენახა ვუდლი პოინდექსტერს, მაშინაც არ დაიჯერებდა. მას ეჭვითაც კი არ შეეძლო წარმოედგინა, თუ რა შემზარავი და გამანადგურებელი ამბავი ემუქრებოდა. ლუიზას მორჩილება, მართლმართო ტრამალზე ცხენით სეირნობაზე უარის თქმამ, ვუდლი პოინდექსტერი ძალიან ასიამოვნა, თუმცა, მართალი უნდა ითქვას, ერჩივნა, ლუიზა ძმასთან ან მამიდაშვილთან ერთად სეირნობაზე დასთანხმებოდა, რაზეც ახალგაზრდა ლედიმ სასტიკი უარი განაცხადა, ხოლო მამაც აღარ ჩასციებია, გინდა თუ არა, ასე მოიქეციო. მამა დამშვიდდა, რაკი ლუიზა სახლიდან სასეირნოდ აღარ გადიოდა, დაუნდობელ ჭორიკანებს სალაპარაკო მაინც აღარაფერი ექნებოდათ. თუმცა ქალიშვილის მორჩილებამ მას სანანებლად გაუხადა თავისი მსჯავრი და ახლა ფიქრობდა, როგორ გაეუქმებინა იგი.

ისეთი ღამე იდგა, როგორიც მხოლოდ სამხრეთში იცის, როცა ბადრი მთვარე საფირონისფერ ცაზე ნელა მიცურავს, უნისლო მთები კი ისე მოჩანან, გეგონება, ხელით მისწვდებიო. ოღნავი სიოც კი არ ქრის და ტროპიკული ხეების დიდი ფოთლები სამარისებურად დუმან. ასეთ ღამეს მხოლოდ იმ ადამიანთან გინდა ყოფნა, რომელმაც ბუნების საიდუმლო კარნახით შენი გული მოინადირა. ასეთ ღამეს სურვილი გწვავს, სატრფოს ხელები კისერზე გქონდეს შემოჭდობილი, ჩაჰყურებდე თვალებში, მთვარის შუქზე უჩვეულოდ რომ ციმციმებენ.

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ფორტ ინჯის ქვეითთა სამხედრო ნაწილს დოლის ცემით, ხოლო კავალერისტებს საყვირით აუწყეს, დაწოლის დროაო. უფრო სწორად რომ ვთქვათ, შუალაძე იყო მოახლოებული, როცა ობერდოფერის სასტუმროდან მხედარი გავიდა. იგი მდინარის ნაპირს მიჰყვა და სულ მალე ქუჩაში გვიანობამდე მოხეტიალე მგზავრებმაც დაკარგეს მხედველობიდან.

პატარა ჭალა, ტრამალის მცხოვრებნი რომ ხეთა „კუნძულს“ უწოდებდნენ, სწორედ იმ გზის პირას მდებარეობდა, საითაც ახლა ახალშენიდან წამოსული მხედარი მიეშურებოდა.

ჭალაში რომ შევიდა, უნაგირიდან ჩამოხტა და ცხენი ხეზე მიაბა. შემდეგ უნაგირის კეზზე მიბმული ცხენის ძუსაგან დაწნული თოკი ჩამოხსნა, თითქოს ქამანდის სასროლად ემზადებო, ხელზე დაიხვია და ჭალიდან ჰასიენდა კასა დელ კორვოს მიმართულებით წავიდა.

სანამ ჭალიდან გამოვიდოდა, ცასა და მოქათქათე მთვარეს ახედა. საიმედო რომ ვერაფერი შენიშნა, გულზე ჯავრი შემოაწვა და წაიდუღუნა:

— ეტყობა, მთვარე დილაამდე არ ჩავა, მე კი ამას ვერ დაველოდები!

დიდ ქალაქებში მიღებულ გვიანობამდე ლხინს თავისი კვალი დაეჩნია „მზვერავისათვის“. წამიერად მოღუშულ სახეზე ჯანლი გადაეყარა. იგი შემობრუნდა, მერე იმ გადაშიშვლებულ მიდამოს გახედა, მდინარისაგან რომ ყოფდა. მდინარის გაღმა ნაპირზე ჰასიენდა კასა დელ კორვო მოჩანდა.

— იქნებ არ სძინავთ? მაგრამ ამ შუალამისას როგორ არ ეძინებათ? ვისაც სინდისი სუფთა აქვს, ამ დროს ტკბილად უნდა ეძინოს! თუმცა რა! სწორედ ამ სახლში იმყოფება ერთი უსინდისო ადამიანი. თუ მას არ სძინავს, უეჭველად შემამჩნევს ღია ადგილზე გავლისას. მარტო მე რომ მეხებოდეს, სულაც არ ვინაღვლებდი. წმინდაო პატ-

რიკ, გამბედაობის გარდა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ! ეშმაკმა და-
ლახვროს, მთვარის ჩასვლამდე მოცდა უგუნურობაა. რამდენიმე სა-
ათს არ ჩავა... უნდა ვცადო ბედი, რაც იქნება, იქნება!

ეს რომ თქვა, სწრაფი, ქურდული ნაბიჯებით გაიარა შიშველი ად-
გილი და მიადგა ფრიალო კლდეს, რომელიც მდინარე ლეონის გა-
მოღმა ნაპირზე აზიდულიყო. იქ ათ წამსაც არ დაყოვნებულა, ისე და-
ეშვა მდინარისაკენ ჩამავალ გველივით დაკლაკნილ ბილიკზე, რო-
მელსაც, ეტყობა, კარგად იცნობდა.

მალე მდინარის ბორცვიან ნაპირზე გამოჩნდა. გაღმა მხარეს,
უზარმაზარ ხეზე, პატარა ნავი იყო მიბმული.

რამდენიმე ხანს დაკვირვებით გაჰყურებდა მდინარის მეორე ნა-
პირს. ეტყობოდა, ადგილმდებარეობას ზვერავდა, რომ გაღმა არა-
ვის გადააჰყროდა.

როცა დარწმუნდა, არავინ არისო, ლასო ექვსიოდეჯერ წრი-
ულად დაატრიალა ჰაერში და მდინარის მეორე ნაპირისაკენ ისრო-
ლა, მარყუქი ნავის კიჩოს გამოსდო და ლასოთი მეორე ნაპირზე მო-
ითრია, მერე შიგ ჩახტა, ნავის ფსკერზე დაწყობილი ნიჩბები აიღო,
კიდებებზე დაამაგრა, მდინარე გადაცურა, ნავი თავის ძველ ადგი-
ლას მიაყენა და ისევ დააბა. მერე ერთ უზარმაზარ ხის ჩრდილში გა-
ირინდა. ეტყობოდა, რალაც ნიშანს ელოდებოდა.

32 - სინათლე და ჩრდილი

მორისს დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი დანიშნული ხის ძი-
რას. სწორედ იმ დროს, როცა ნავში ჩახტა, კასა დელ კორვოს ჰასი-
ენდას სარკმელი თავის ანჯამაზე შემოტრიალდა. სარკმელი რომ არ
მიხურულიყო, იგი ძვირფასი ბრილიანტის თვლებით შემკულ პატა-
რა თეთრ ხელს ეჭირა. მალევე ბაღში ჩამავალი კიბის თავზე კოხტა
აღნაგობის ტანი გამოჩნდა. ლუიზა ერთ-ორ წამს გარინდებული იდ-
გა და რალაცას გაფაციცებით უსმენდა. ძნელი სათქმელია, გაიგონა

თუ არა მან ნიჩბის ხმაური. გარემოს ჭრიჭინობელების ჭრიჭინი აყრუებდა. ამიტომ შესაძლოა, ვერც გაეგონა წყლის წყნარი შხაპუნი. თუმცა ამას არა ჰქონდა მნიშვნელობა, მით უმეტეს, ოთახში გატარებული უკანასკნელი ორი საათი ისე მიიზღაზნებოდა, რომ ლუიზას ეჩვენებოდა, დრომ სვლა შეწყვიტაო. როგორც იქნა, მოაღწია დათქმულმა დრომ და ქალიშვილმა ქვის კიბე უჩუმრად ჩაიარა, თითქოს მისრიალებსო, ბუჩქნარში ფრთხილად მიიპარებოდა. უზარმაზარი ხის ძირში ძლიერი მკლავები შემოეხვია.

როცა შეყვარებულებმა ხვევნა-კოცნით გული იჯერეს და საღი გონება დაუბრუნდათ, ლაპარაკიც დაიწყეს. გონს პირველად ლუიზა მოეგო.

- ხვალ, ღამით კვლავ შევხვდებით, ხომ, ძვირფასო?
- ხვალ, ზეგ, მაზეგ და ყოველდღე... მაგრამ საქმე გამომიჩნდა...
- რა საქმე?
- ხვალ სისხამ დილით ალამოს ნაპირზე, ქოხში უნდა წავიდე.
- მართლა? ეს აუცილებელია?

ლუიზას ხმაში წყენა გაისმა. ალამოს ნაპირზე განმარტოებით მდგარი ქოხის ხსენება ლუიზამ ავისმომასწავებლად მიიჩნია. იგი მასში ყოველთვის უსიამოვნო გრძნობებს აღძრავდა ხოლმე.

ის იქ გულლიად მიიღეს და ქოხში გატარებული წუთები მის სიცოცხლეში უდავოდ ყველაზე ძვირფას მოგონებად დარჩა, მაგრამ, სამწუხაროდ, მორისის საცხოვრებლის გახსენებაზე ეჭვი აღედრებოდა ხოლმე.

- ისეთი საქმე მაქვს, რომ ჩემი გამგზავრება მართლაც აუცილებელია.
- ვინმეს უნდა შეხვდე?
- ფელიმის გარდა არავის, თუ ცოცხალი დამიხვდა. ათი დღის წინათ გავაგზავნე იქ, სანამ ინდიელების ამბები დაიწყებოდა.
- მარტო ფელიმი გელოდება? მართალი მითხარი, მორის, ნუ მომატყუებ.

— რატომ მეკითხები ამას, ლუიზა?

— მიზეზი არ შემიძლია გითხრა. ალბათ სირცხვილით დავიწვები, ყველაფერი რომ გაგიმხილო, რაც ხანდახან თავში მომივა ხოლმე.

— ფიქრების განდობისა ნუ შეგეშინდება! მე არაფერს არ დაგიმა-
ლავ. შენც ყველაფერი გულახდილად მითხარი, საყვარელო!

— შენ ასე გინდა, მორის?

— რა თქმა უნდა. ვგრძნობ, რაც არ უნდა მითხრა, შევძლებ ყოვე-
ლივე აგისხნა. ვიცი, ჩვენი შეხვედრები საეჭვო მითქმა-მოთქმას გა-
მოიწვევს, თუ ვინმემ გაიგო. სწორედ ამიტომ ვბრუნდები ქოხში
ალამოს ნაპირზე.

— და იქ უნდა დარჩე?

— ერთი ან ორი დღე. მინდა ჩემი ნივთები შევაგროვო და ტრა-
მალზე ცხოვრებას საბოლოოდ დავემშვიდობო.

— მართლა?

— რა, გიკვირს?

— არა, მაგრამ რაღაც არ მჯერა. ან უბრალოდ არ მესმის შენი.
ალბათ ვერც ვერასოდეს გაგიგებ.

— უბრალო საქმეა. რაღაც გადაწყვეტილება მივიღე. ვიცი, მაპა-
ტიებ, როდესაც ყველაფერს დაწვრილებით გეტყვი.

— გაპატიებ? რა გაქვს საპატიებელი?

— ის, რომ დაგიმალე და... ერთი სიტყვით, მე ის არ ვარ, ვინც
გგონივარ.

— ღმერთმა ნუ ქნას, ის არ იყო, როგორსაც მე გიცნობ: კეთილ-
შობილი, ვაჟკაცური, ლამაზი; მამაკაცებში იშვიათად შევხვედრი-
ვარ შენნაირ ადამიანს! მორის! ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარხარ!

— იმაზე მეტად არა, ვიდრე მე, მაგრამ დროებით უნდა დავშორ-
დეთ.

— უნდა დავშორდეთ...

— დიახ, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით.

— რამდენი ხნით?

— სანამ სამშობლოში წავალ და დავბრუნდები.

— ეს ხომ მთელი საუკუნეა! მაინც რატომ უნდა წახვიდე?

— ჩემს ქვეყანაში მიწვევენ — ირლანდიაში, რომელიც აქ, შენც კარგად იცი, ძალიან ეჯავრებათ. სულ ოცი საათის წინ მივიღე ბარათი. მინდა საჩქაროდ წავიდე იქ და დაბრუნებისთანავე დავუმტკიცო შენს ამაც მამას, რომ კაცმა, ვინც მისი ქალიშვილის გული მოინადირა... მოვინადირე კი, ლუიზა?

— ვითომ არ იცი! შენ კარგად იცი, რომ მოინადირე კი არა, დაატყვევე და ჩემს გულსა და გონებას სხვა აღარაფერზე ფიქრი აღარ შეუძლია. ნუ დამცინი, მორის...

ამ სიტყვებს კვლავ აღტაცებული ხვევნა-კოცნა მოჰყვა. კეთილშობილმა და მშვენიერმა ლუიზამ გული, სული და სხეული იმ კაცს ჩააბარა, ვინც მისი სიყვარული მოიპოვა.

ბალახებსა და ბუჩქებში შეყურსული ჭრიჭინობელები დადუმდნენ, ხეებზე შემომსხდარი კაჭკაჭებიც მიჩუმდნენ, ღამის ფრინველთა ხმაური სრულიად მიწყდა, თითქოს თავიანთი სიჩუმით შეყვარებულთა მიმართ მოკრძალებას გამოხატავდნენ.

მაგრამ ხმაურის დროებითი შეწყვეტა სულ სხვა მიზეზით იყო გამოწვეული. ბაღში ნაბიჯების ხმა გაისმა. ფეხები ისე ქურდულად ეხებოდნენ მოლს და ისე ფრთხილად მოიწევდნენ წინ, რომ ძალზე მახვილი სმენა იყო საჭირო ამ ოდნავი ფაჩუნის გასაგონად.

შეყვარებულები ისე იყვნენ გართულნი, რომ არაფერი გაუგონიათ. არც ადამიანის შავი ჩრდილი შეუნიშნავთ, რომელიც ყვავილებს შორის დაძრწოდა, ხან ქანდაკებებს უკან იმალებოდა, ხან კი ბუჩქებში დაძვრებოდა, სანამ მათგან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით ერთ უზარმაზარ ხეს არ ამოეფარა.

ნეტარებით თავდავიწყებული შეყვარებულები სრულიად არ ფიქრობდნენ, რომ მიყურებული ბუნება ხელს უწყობდა ადამიანს, ყური მიეგდო მათი საუბრისათვის. მუხთლად მოქათქათე მთვარე კი მათ ყოველ მოძრაობას აჩენდა.

ხეს ამოფარებულმა შავმა აჩრდილმა მთელი მათი საუბარი მო-
ისმინა და მთვარის შუქზეც ყოველივე ნათლად დაინახა. მგონი, არ-
ცაა საჭირო ვახსენოთ, ვინ იყო იგი. მაგრამ ვასიუს კოლჭაუნის სა-
ხელი თვითონვე თხოულობს, რომ გამოვამბეუროთ — დიახ, ეს ვა-
სიუს კოლჭაუნი იყო.

33 - საიდუმლოს ფარდა აეხადა

როგორ მოხდა, რომ ლუიზა პოინდექსტერის მამიდაშვილი შუ-
აღამისას, ან უფრო სწორად რომ ითქვას, ალიონზე წამოდგა? ნუთუ
გააფრთხილეს — შეეყვარებულები ერთმანეთს ხვდებიანო? იქნებ
თავისი ეჭვების გასაფანტავად ან დასადასტურებლად გამოვიდა
ბაღში? კოლჭაუნი შეეყვარებულთა შეხვედრის შემთხვევითი მოწმე
გახდა, თუ ადრე მიუტანეს ამბავი — მორისი და ლუიზა ერთმანეთს
ხვდებიანო?

შემთხვევით მოხდა. კაპიტანი ვერ გიპასუხებდათ, რატომ ავიდა
შუაღამისას სახლის ბანზე და რატომ წამლავდა ცერუსის ყვავილთა
საამო სურნელებით გაჟღენთილ ჰაერს თამბაქოს ბოლით. სამსახუ-
რიდან გადამდგარი მოხალისეთა კაპიტანი არცთუ სევდიანად გა-
მოიყურებოდა. მუსტანგერის რევოლვერით მიყენებულ ჭრილო-
ბებს უკვე შეეკრათ პირი, მაგრამ დამარცხებით გამოწვეული ბოღმა
ისევ გულზე აწვა. იგი ბედს ემდუროდა, მაგრამ შურისძიების იმედი,
რომლის თაობაზეც ელ კოიოტთან მოილაპარაკა, დამარცხების
სიმწარეს ნაწილობრივ უნელებდა.

როგორც ვუდლი პოინდექსტერი, კოლჭაუნიც კმაყოფილი იყო
ლუიზათი, რომელიც სახლიდან სასეირნოდ აღარ დადიოდა. მშვილდოსნობის ტრფიალის მიზეზი, რასაც ახალგაზრდა ლედი ბო-
ლო დროს იჩენდა, ისევე როგორც პოინდექსტერისათვის, მისთვისაც
საქმიანობა იყო. ამ გარემოებამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა,
რომ ლუიზას მისდამი გულგრილობა ქალურ თამაშად ან საკუთარი
ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნია. ამ ბოლო დროს ლუიზა ნაკლებადაც

დასცინოდა. სწორედ ამან ჩაუსახა გულში სასიამოვნო იმედი, იქნებ ჩემი ეჭვები მართალი არ იყოსო. კოლჭაუნს აქამდე არავითარი საბუთი არა ჰქონდა იმისა, რომ ლუიზა ახალგაზრდა ირლანდიელს ეტრფოდა. დღეები მიდიოდა, საეჭვო კი არაფერი ჩანდა და ბოლოს კოლჭაუნმა ირწმუნა, რომ მისი ეჭვები უსაფუძვლო იყო.

ასეთი ფიქრით იმშვიდებდა თავს ბანზე მყოფი კოლჭაუნი. მან უზრუნველად მოუკიდა ცეცხლი სიგარას და მიუხედავად იმისა, რომ შუალამე იდგა, სულაც არ ნანობდა, რომ აქ, სახლის ბანზე, უმიზნოდ დახეტილობდა. იქნებ ოთახის შეხუთულ ჰაერს გამოექცა და აქ სუფთა ჰაერზე გამოვიდა, ან ბადრმა მთვარემ აცდუნა, თუმცა ასეთი რომანტიკული მიდრეკილებებით ის არ გამოირჩეოდა.

პირში სიგარაგაჩრილი და მოაჯირზე დაყრდნობილი კოლჭაუნი მდინარისაკენ იცქირებოდა. მდინარის გაღმა ხეივნიდან გამოსული მხედარი შენიშნა, მაგრამ მის დანახვაზე არ აღელვებულა. იცოდა, რომ იქ გზა გადიოდა. ალბათ ვინმე მგზავრია, რომელიც ღამის სიგრილეში ამჯობინებს სიარულსო, გაიფიქრა. მართლაც ისეთი გრილი ღამე იდგა, დაღლილობისაგან არაქათგამოცლილ მგზავრსაც კი გაიტყუებდა სასეირნოდ. შეიძლებოდა რომელიმე ახლო მცხოვრებ პლანტატორს ობერდოფერის სალონში ზედმეტად შეაგვიანდა და ახლა უკან ბრუნდებოდა ახალშენიდან. დღე რომ ყოფილიყო, იქნებ კიდევ ეცნო მხედარი, მაგრამ მთვარის სინათლეზე მხოლოდ იმის გარჩევა შეიძლებოდა, რომ მხედარი მამაკაცი იყო.

სამსახურიდან გადამდგარმა კაპიტანმა მგზავრს მაინც გააყოლა თვალი. ისე უნებურად, როგორც წყალწაღებულ, უპატრონო ნივთს გააყოლებენ ხოლმე მზერას.

მგზავრი რომ „ხეთა კუნძულს“ მიუახლოვდა და შიგ შევიდა, კოლჭაუნი მხოლოდ მაშინ დაინტერესდა.

— რა ეშმაკად შეუხვია იქით? — ჩაიბურტყუნა მან და სიგარა საჩქაროდ კბილებიდან გამოიღო.

— ეს რაღა ჯანდაბაა, ცხენიდან ჩამოვიდა! — განაგრძო მან, როცა უცნობი ხეივნიდან ქვეითად გამოსული დაინახა.

— აქეთ მოდის, სწორედ იმ ადგილზე, სადაც მდინარე უხვევს! დაბლა დაეშვა, მდინარისაკენ... ბაღში შემოსვლას ხომ არ აპირებს? იქნებ მდინარის გადმოცურვა უნდა? ნუთუ ქურდია?

პირველად ეს გაიფიქრა კოლჭაუნმა. მართალია, ესპანური ამერიკის ქვეყნებში მათხოვრებიც კი ცხენებზე სხედან და ქურდისაგან მით უფრო მოსალოდნელია ეს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ შუაღამისას კაცი ცხენით მოსულიყო ხილისა და ბოსტნეულის მოსაპარავად.

მას შემდეგ, რაც უცნობი ქვემოთ დაეშვა, კოლჭაუნი ჰასიენდას ბანიდან ველარ ხედავდა მას. ბუჩქნარი, რომელიც მდინარის გაღმა ციცაბო ნაპირის დაბლობ ნაწილს მოსდებოდა, უცნობს ფარავდა.

კოლჭაუნს შეშფოთება თანდათან უძლიერდებოდა. ამ დროს წყლის შხაპუნი მოესმა, თითქოს ვიღაც ნიჩბებს უსვამსო. ნიჩბები ძალზე სუსტად გამოსცემდა ხმას, მაგრამ ეს მაინც გარკვევით გაიგონა.

— ნიჩბებს უსვამს, — ბუტბუტებდა კოლჭაუნი, — ნავით გამოცურა მეორე ნაპირზე და ახლა პირდაპირ ბალისაკენ მოდის. მაინც რა ეშმაკი უნდა?

კოლჭაუნს უკვე აღარ შეეძლო ბანზე გაჩერება. გადაწყვიტა, ჩუმად ჩასულიყო ქვემო სართულზე, გაეღვიძებინა მამაკაცები, მათ შორის მსახურებც, ჩასაფრებოდნენ უცნობს და შეეპყროთ იგი. ის იყო, ხელი გაუშვა მოაჯირს, რომელსაც ეყრდნობოდა, რომ ამ დროს შემოესმა სულ სხვა ხმაური, რამაც აიძულა ისევ ადგილზე გაქვავებულიყო და ბალისკენ გადაეტანა მზერა. ეს იყო ანჯამაზე შემოტრიალებული კარის ჭრიალი ან სარკმლის გამოღებისაგან გამოწვეული ხმაური, რომელიც ქვედა სართულიდან ისმოდა.

კოლჭაუნმა კისერი წაიგრძელა და მოაჯირიდან დაბლა გადაიხედა. ძარღვებში სისხლი გაეყინა და სახე მიღეულ მთვარესავით გაუფერმკრთალდა.

ქვემოთ მისი ბიძაშვილის — ლუიზას სარკმელი იყო გაღებული. ამ ფანჯარას იგი კარგად ცნობდა. თვითონ ლუიზა კი კიბის თავზე შემდგარიყო და თავი დაეხარა, ეტყობოდა, ბაღში ჩასვლას აპირებდა.

თეთრი კაბა შილიფად ადგა, თავზე კი პატარა თავსაფარი წაეკრა, მთვარის ვერცხლისფერ შარავანდედში გახვეულ ღამის ფერიას ჰგავდა.

კოლჭაუნმა იმწამსვე მოისაზრა, რომ მისი ბიძაშვილის ბაღში გამოსვლასა და უცნობის მიერ მდინარის გადმოლახვას შორის რაღაც კავშირი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ვინ იყო ის კაცი? თუმცა მორის მუსტანგერის მეტი ვინ იქნებოდა?

ფარული შეხვედრა! წინასწარ დაუნიშნავთ შეხვედრის ადგილი. ეჭვი არ არის, ნამდვილად ასეა. სანამ კოლჭაუნი საიდუმლოს ამოცნობაზე ფიქრობდა, ლუიზა უხმაუროდ დაემუშა ქვის კიბებზე, აქ ერთხელ კიდევ გაიელვა მისმა თეთრმა კაბამ და მერე ხეების ჩრდილში, სადაც ნავი იდგა, გაუჩინარდა.

კოლჭაუნი უსიტყვოდ და უმოძრაოდ იდგა ბანზე, გაოგნებული. როცა ლუიზას თეთრი კაბა ხეების ჩრდილში გაუჩინარდა, მან ჩურჩულიც გაიგონა; ახლალა მოეგო გონს და მოქმედება გადაწყვიტა.

მან გადაიფიქრა მამაკაცების გაღვიძება. ყოველ შემთხვევაში, იმ წუთებში მაინც სურდა თვითონ გამხდარიყო ბიძაშვილის შერცხვენის პირველი მოწმე. მერე კი...

კოლჭაუნი ისე აღელდა, რომ იმ წუთებში ველარაფერი მოიფიქრა. ინსტინქტის ბრმა კარნახით მოქმედებდა. სასწრაფოდ ჩამოვიდა ბანიდან და იმ ადგილისაკენ გაემართა, სადაც ლუიზა გაუჩინარდა. კიბებზე რომ ჩადიოდა, მუხლები ეკვეთებოდა. ბაღში მიმავალსაც

სული კბილით ეჭირა. იგი ამოეფარა უზარმაზარ ხეს, მაგრამ მუხლების კანკალს ვერაფერი მოუხერხა. ხეს ამოფარებულმა კი ისეთი სურათი დაინახა, ლამის გული გაუჩერდა.

კოლჭაუნს ესმოდა შეყვარებულთა ფიცი. ესმოდა მათი აღსარება, რომ სამარის კარამდე ეყვარებოდათ ერთმანეთი. მან მოისმინა მუსტანგერის გადაწყვეტილება, რომ მეორე დილით გაემგზავრებოდა, მალე დაბრუნდებოდა და წაიყვანდა ლუიზას. საშინელი ტანჯვა მოჰგვარა ლუიზას სიტყვებმა, როცა იგი ევედრებოდა მორისს, ნუ წახვალთ. მოისმინა ისიც, როგორ დაარწმუნა მუსტანგერმა ლუიზა, რომ მისი წასვლა აუცილებელი იყო და ბოლოს როგორ დაითანხმა ქალი.

მათი თავდავიწყებული ხვევნა-აღერსის მოწმეც გახდა. ისედაც აკანკალებულმა ფეხი ნერვიულად გაიქნია, ქვიშით მოკირწყლული ბალის ბილიკიდან კენჭები ჰაერში აიტყორცნა და ჭრიჭინობელები დააფრთხო.

რატომ იმ წამსვე არ გაიჭრა წინ და დანის ერთი მოქნევით არ გაშხლართა სატრფოსა და თავის ფეხებთან მუსტანგერი? რატომ მოსვლისთანავე არ მოიმოქმედა ეს? სხვა საბუთი ხომ აღარ იყო საჭირო? რისთვის მოითმინა? იმის გამო ხომ არა, რომ მთვარის შუქზე კარგად მოჩანდა მუსტანგერის წელზე დაკიდებული მოელვარე „კოლტის“ სისტემის ექვსვაზნიანი რევოლვერი?

შესაძლოა ასეც იყო. ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად სამაგიეროს მიზღვევის ძლიერი სურვილისა, კოლჭაუნს რაღაცამ შეუშალა ხელი, იმწამსვე ეძია შური. მან შეყვარებულები სწორედ მაშინ მიატოვა, როცა ისინი დასამშვიდობებლად ეხვეოდნენ ერთმანეთს და სახლისაკენ მოკურცხლა. შეყვარებულებს არც შეუმჩნევიათ, ვინმე თუ უთვალთვალებდათ.

34 - რაინდული განზრახვა

კასიუს კოლჭაუნმა მაშინვე თავისი ბიძაშვილის, ჰენრი პოინდექსტერის საწოლ ოთახს მიაშურა. სანთლის საძებრად დრო არ დაუკარგავს და მიხვეულ-მოხვეულ დერეფანში მიიკვლევდა გზას. სანთელი არც იყო საჭირო. მთვარის სხივებს ჰენრის საწოლი ოთახისათვის საკმაო სინათლე მოეფინა. ოთახში უბრალო ავეჯი იდგა: პირსაბანი, მაგიდა, ორი სკამი და კოლოებისაგან თავდასაცავი ფარდებიანი საწოლი.

ფარდების ქვეშ, საწოლზე, ჰენრის მშვიდად ეძინა. ლამაზი თავი მშვიდად ედო ბალიშზე, მოელვარე კულულები გასწეწოდა. კოლჭაუნმა მარმაშის ფარდა გადასწია, მთვარის შუქი მძინარე ჰენრის სახეზე დაეცა და მისი არისტოკრატული, მამაცი სახე გამოჩნდა.

ჰენრის სახის ნაკვთები კოლჭაუნისაგან ძალიან განსხვავდებოდა. ფიზიკურად ორივეს ლამაზი გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც ჰიპერიონი და სატურნი.

— გაიღვიძე, ჩქარა! გაიღვიძე! — ყვირილით მივარდა კოლჭაუნი ბიძაშვილთან და მაგრად შეანჯღრია.

— აჰ! შენა ხარ, კაშ? რა მოხდა? იმედია, ინდიელები არ დაგვესმინან თავს.

— უარესი! ჩქარა! ადექი და შენი თვალით ნახე! იჩქარე, თორემ გვიან იქნება. შენი თვალთ ნახე შენივე სირცხვილი და თავისმოჭრა. მალე, თორემ პოინდექსტერთა გვარი მთელი ტეხასის ყბადასაღები გახდება!

ასეთი გამომწვევი სიტყვების შემდეგ პოინდექსტერთა ოჯახში, რა თქმა უნდა, ისეთი არავინ აღმოჩნდებოდა, რომ ძილი განეგრძო. ნათქვამით გაოგნებული პოინდექსტერთა ოჯახის უმცროსი წარმომადგენელი სწრაფად წამოხტა საწოლიდან.

— ჩაცმაზე დროს ნუ დაკარგავ, — ხმამაღლა უთხრა აღელვებულმა კოლჭაუნმა, — მარტო შარვალი ჩაიცვი. ტანსაცმელი რა ჯანდაბად გინდა! ახლა მაგისი დრო არ არის. იჩქარე!

ოც წამსაც არ გაუვლია, რომ ბამბის შარვალ-ხალათში გამოწყობილი ჰენრი პონდექსტერი მორჩილად მისდევდა უკან თავის ბიძაშვილს. ჰენრიმ ჯერ კიდევ არ იცოდა, რატომ გააღვიძა კოლჰაუნმა ასე მოურიდებლად.

— რა მოხდა, კაშ? — იკითხა მან, როცა ამ უკანასკნელმა ხელით ანიშნა — შეჩერდიო, — რას ნიშნავს ყოველივე ეს?

— შენი თვალით ნახე! მოდი ახლოს! აი, გაიხედე ამ ხეებს შორის, იქით, სადაც შენი ნავი აბია. ხედავ რამეს?

— რაღაც თეთრი მოჩანს. თითქოს ქალის კაბააო. ნამდვილად კაბაა. კაბა კი არა, ქალია!

— დიახ, ქალია. როგორ ფიქრობ, ვინ უნდა იყოს?

— ვერ გეტყვი. შენი აზრით, ვინ უნდა იყოს?

— მეორეს ვერა ხედავ... შავებში რომაა?.. მის გვერდით.

— კაცი უნდა იყოს? დიახ, კაცია!

— ეგ ვინლაა, შენი აზრით?

— მე საიდან მეცოდინება, კაშ? შენ იცი?

— დიახ. ეგ კაცი მორის მუსტანგერია!

— ქალი?

— ქალი — შენი დაა... მის მკლავებში!

თითქოს გულში ტყვია მოხვდაო, ჰენრი დაბარბაცდა, მერე ბილიკზე გაიჭრა წინ.

— მოიცა! — უთხრა კოლჰაუნმა და ხელით დაიჭირა, — გავიწყდება, რომ უიარაღოდ ხარ! იმ ყმაწვილს კი იარაღი თან აქვს. აი, ორივე გამომართვი, — ამ სიტყვებით კოლჰაუნმა ჰენრის დანა და რევოლვერი გადასცა.

— მე თვითონაც ვესროდი, მაგრამ ძმა ხარ და დის პატიოსნება შენ უნდა დაიცვა. მიდი. ეცადე, ლუიზას არ მოახვედრო ტყვია. მუსტანგერი კი არ დაზოგო. არ გააფრთხილო; როგორც კი ერთმანთს დასცილდებიან, მუცელში ესროლე; თუ ექვსივე ტყვიამ არ მოკლას,

დანით მოუღე ბოლო. მე აქვე ვიქნები და თუ საჭირო გახდა, დაგეხმარები. ახლა კი მიეპარე და ეგ არამზადა მოუსავლეთში გაგზავნე!

ჰენრი წაქეზებასა და რჩევა-დარიგებას აღარ საჭიროებდა. თავგზა დაჰკარგოდა და თავგანწირვისათვის მზად იყო. ჰენრი თავისი დის მაცდუნებელთან მიიჭრა.

— სულმდაბალო, ცბიერო არამზადავ! — დასჭექა მან, — გაუშვი საზიზღარი ხელები ჩემს დას. ლუიზა! განზე გადაექი, რომ ახლავე მოვკლა! განზე-მეთქი, ლუიზა!

ახალგაზრდა ლედი ძმის ბრძანებას რომ დამორჩილებოდა, მორის ჯერალდი იმწამსვე უსულოდ დაეცემოდა ძირს, თუკი თვითონ არ იხმარებდა იარაღს ჩვეული სიმარჯვით, მაგრამ მორისი ჰენრიზე ხელს ვერ აღმართვდა. იმის ნაცვლად, რომ ბუდიდან რევოლვერი ამოეღო ან სხვაგვარად დაეცვა თავი, იგი შეეცადა ლუიზას შემოჭდობილი მკლავებისაგან გათავისუფლებულიყო. მუსტანგერს ამით სურდა ქალის სიცოცხლე დაეცვა საფრთხისაგან.

ჰენრიმ იცოდა, სასხლეტისთვის რომ გამოეკრა თითი, შეიძლება საკუთარი და მოეკლა, ამიტომ აყოვნებდა.

ამ დაყოვნებამ სამივე დაიხსნა განსაცდელისგან. ლუიზამ სწრაფად აწონ-დაწონა შექმნილი მდგომარეობა: ერთბაშად მოსცილდა მორისს და ახლა ძმას შემოეჭდო. მან მშვენივრად იცოდა, რომ მორისი არასდიდებით არ აღმართავდა ხელს ჰენრიზე. ამიტომ იყო, რომ ჰენრის შემოეხვია და სროლის შესაძლებლობა მოუსპო.

— გაიქეცი, გაიქეცი! — შესძახა მან მუსტანგერს და თან გამძვინვარებული ძმის შეჩერებას შეეცადა, — ჩემი ძმა ცდება. დაგვტოვე მარტო და მე ყველაფერს ავუხსნი. ჩქარა თავს უშველე, მორის! ჩქარა!

— ჰენრი პოინდექსტერ, — მიმართა ახალგაზრდა ირლანდიელმა, რომელიც მზად იყო, ლუიზას ბრძანება შეესრულებინა, — მე სულმდაბალი და ცბიერი არამზადა არა ვარ, როგორც თქვენ ინებეთ, გეწოდებინათ ჩემთვის. დრო მომეცით და მე დაგიმტკიცებთ,

რომ თქვენმა დამ უფრო სწორად გამიგო, ვიდრე მისმა მამამ, ძმამ და ბიძაშვილმა. მე მხოლოდ ექვსი თვე მჭირდება. თუ ამ ხნის განმავლობაში ვერ დავამტკიცებ, რომ მისი ნდობისა და სიყვარულის ღირსი ვარ, მაშინ პირველი შეხვედრისთანავე შეგიძლიათ მომკლათ, როგორც მშიშარა კოიოტი, რომელმაც გზა გადაგიჭრათ. მანამდე კი ნახვამდის.

მუსტანგერის სიტყვებს რომ უსმენდა, ჰენრი წინანდებურად აღარ ცდილობდა, გათავისუფლებულიყო ძლიერად შემოჭდობილი დის ხელებისაგან.

მან თანდათან შეასუსტა წინააღმდეგობა, და ბოლოს, როცა მდინარის მხრიდან მოაღწია ხმამ, რომელიც მუსტანგერის სამშვიდობოზე გასვლას იუწყებოდა, სრულიად შეწყვიტა კიდევ.

ეს პირველად იყო, რომ მუსტანგერმა მდინარე ცურვით გადატრა. ლუიზასთან წინა ორი შეხვედრის დროს იგი ნავით გადიოდა გაღმა. ნავს უკან ლუიზა მოაცურებდა იმ პატარა ლასოთი, რომელიც წინწკლებიან მუსტანგთან ერთად აჩუქა მორისმა.

— ჰენრი! ცდები! ნამდვილად ცდები! — უთხრა საყვედურის კილოთი ლუიზამ, როცა მუსტანგერი თვალს მიეფარა, — ჰენრი, ძვირფასო, რომ იცოდე, როგორი კეთილშობილი ადამიანია! მას არასოდეს არ განუზრახავს, ჩემთვის შეურაცხყოფა მოეყენებინა. სწორედ ახლა მეუბნებოდა, როგორ ავიცილოთ თავიდან ჭორებიო. მას ჩემი ბედნიერება უნდა, დამიჯერე, ჰენრი, ის ნამდვილი ჯენტლმენია. თუნდაც ჯენტლმენი არ აღმოჩნდეს და უბრალო ადამიანი იყოს, როგორც ეს შენ გგონია, მე არ შემიძლია, იგი არ მიყვარდეს!

— ლუიზა, სიმართლე მითხარი! როგორც შენს ძმას კი არა, როგორც საკუთარ თავს გამოუტყდებოდი. საკუთარი თვალით დავრწმუნდი, რომ ის გიყვარს. ბოროტად ხომ არ გამოიყენა შენი სიყვარული და ცუდად ხომ არ მოგექცა?

— არა, არა! ის ძალიან კეთილშობილია, ჰენრი! სანანებლად რომ მქონდეს საქმე, დამნაშავე და გასაკიცხი მე ვიქნებოდი. მაგრამ რატომ გალანძღე, ჰენრი?

— მე გავლანძღე?

— დიახ, შენ, ძალიან უხეშად გალანძღე, ჰენრი.

— დავეწევი და ბოდიშს მოვუხდი. თუ მართალს ამბობ, ლუიზა, ბოდიშს მოვუხდი. ახლავე წავალ და დავეწევი. შენ ხომ იცი, პირველი შეხვედრისთანავე მომეწონა ეს კაცი. ვერ დავიჯერებ, რომ უკეთური საქმე ჩაიდინოს. წამოდი ახლა სახლში, ლუ! შენ შედი და დაწექი. მე კი სასტუმროსაკენ გავეშურები, იქნებ იქ მივუსწრო. ვერ მოვისვენებ, სანამ ჩემი უხეშობისათვის ბოდიშს არ მოვუხდი, — ჰენრის ნაზად მიჰყავდა სახლისაკენ ხელგამოდებული ლუიზა. მის სახეზე წყენის ნატამალიც აღარ ჩანდა, თავის საქციელს ნანობდა და სახლისაკენ მიიჩქაროდა, რათა თავისი განზრახვა სისრულეში მალე მოეყვანა.

როცა ჰენრი და ლუიზა სახლში შევიდნენ, კოლჰაუნი, რომელიც აქამდე მალვით მისდევდა მათ, ქვის კიბეზე წელში გაიმართა და ისე გაჰყვა ფეხდაფეხ.

მუსტანგერის უკან დადევნება კოლჰაუნმაც განიზრახა.

35 - ცუდი მასპინძელი

„ბრიყვი! ლაჩარი! მეც სულელი ვარ, რომ მასზე დავამყარე იმედი. უნდა მცოდნოდა, ლუიზა ამ ხბოს შეცდენას მოახერხებდა და არამზადაც ხელიდან დამიძვრებოდა. ხომ შემეძლო, ხეს ამოფარებულს მესროლა და თავგვივით მომეკლა! აქ სარისკო არაფერი იყო. ძია ვუდლი მადლობას მეტყოდა; ახალშენის ყველა მცხოვრები გამამართლებდა. ჩემი ბიძაშვილი, ახალგაზრდა ლედი, ვიღაც გარეწარმა ცხენებით მოვაჭრემ შეაცდინა! ხმას ვინ გამცემდა! რა მარჯვე შემთხვევა მქონდა! როგორი შესაძლებლობა გავუშვი ხელიდან? ვინ იცის, როდის მომეცემა კიდევ ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა!“

— ასეთი იყო სამსახურიდან გადამდგარი კაპიტნის ფიქრები, როცა სახლისაკენ მიმავალ ბიძაშვილებს მისდევდა უკან.

— ნუთუ ეს ბავშვი მართლა ბოდიშის მოსახდელად მიდის კაცთან, ვინც დას უსულელეებს?! — ბუტბუტებდა კარში შესული კოლჭაუნი, — ჰა, ჰა! სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. საჯინიბოდან მომავალი ხმაური მოწმობს, რომ მართლა აპირებს მუსტანგერის გამოდევნებას.

საჯინიბოს კარი, როგორც ჩვეულებრივ მექსიკურ ჰასიენდებს აქვთ, ქვით მოკირწყლულ ეზოში გამოდიოდა და ნახევრად ღია იყო; სწორედ მაშინ, როცა კოლჭაუნმა შეავლო თვალი, შიგნიდან ვიღაცამ ფართოდ გააღო კარი და შეკაბმული ცხენი გამოიყვანა.

საჯინიბოდან ცხენით მომავალს თავზე პანამა ეხურა და მხრებზე წამოსასხამი ჰქონდა მოგდებული. კოლჭაუნმა იმწამსვე იცნო თავისი ბიძაშვილი და მისი ყორნისფერი ცხენი.

— სულელო! ხელიდან გაუშვი არა ის არამზადა? — გულღვარძლიანად გამოსცრა სამსახურიდან გადამდგარმა კაპიტანმა, როცა ჰენრი მიუახლოვდა, — მომეცი ჩემი დანა და რევოლვერი, ასეთი სათამაშოები შენი ნაზი ხელებისათვის გამოუსადეგარია. რატომ ისე არ მოიქეცი, როგორც დაგარიგე? რატომ არ ისროლე იარაღი? რატომ გააფუჭე საქმე?

— საქმე მართლაც რომ გავაფუჭე, — მშვიდად მიუგო ახალგაზრდა პლანტატორმა, — ეს ვიცი. კეთილშობილი ადამიანი შეურაცხვავი.

— შეურაცხვავი კეთილშობილი ადამიანი? ჰა, ჰა, ჰა! სულელი ხარ, ღმერთს ვფიცავ, ნამდვილი სულელი!

— მართლა სულელი ვიქნებოდი, შენი რჩევისთვის რომ დამეჯვრებინა, კაშ. საბედნიეროდ, ისე შორს არ შემიტოპავს, მაგრამ იმდენი რამე მაინც მოვასწარი, რომ სულელის სახელი დავიმსახურე.

არაფერია, ჩემი საქციელისათვის პატიებას ვთხოვ. ყოველ შემთხვევაში, შევეცდები, დანაშაული გამოვისყიდო. ახლა კი სასწრაფოდ უნდა დავედევნო.

— სად მიდიხარ? ვის უნდა დაედეგო?

— მორის მუსტანგერს უნდა დავეწიო და ბოდიში მოვუხადო.

— რა თქმა უნდა, ხუმრობ.

— არა, გულწრფელად გეუბნები. თუ გამომყვები, საკუთარი თვალთ ნახავ ყველაფერს.

— მაშ, მართლა გიჟი ყოფილხარ! მართო გიჟი კი არა, ნამდვილი იდიოტი!

— შენ მე უზრდელად მელაპარაკები, კაშ, მაგრამ მას შემდეგ, რაც თვითონ ვთქვი, სულელურად მოვიქცევი-მეთქი, ამ შეურაცხყოფას შენც გაპატიებ. იქნებ ერთ ბედნიერ დღეს შენც მომბაძო და უხეშობისათვის ბოდიში მოიხადო.

ჰენრის სხვა აღარაფერი უთქვამს, ცხენს მოახტა და ალყაფში გავიდა. მისი მსგავსი რაინდი სამხრეთში იშვითად თუ მოიძებნებოდა.

კოლჰაუნი მანამდე იდგა ქვის კიბეზე, სანამ ჰენრის ცხენის ფეხის ხმა მიწყდებოდა, შემდეგ თითქოს რაღაცამ უბიძგაო, ვერანდინდან თავის ოთახში შევიდა, მოსასხამი მხრებზე მოიგდო. საჯინბოსაკენ გასწია, ცხენი შეკაბმა და ისე ჩუმად გაატარა მოკირწყლულ ეზოში, თითქოს მიიპარებო. გარეთ რომ გავიდა, სადაც გზა ბალახით იყო დაფარული, ცხენს მოახტა და გაქუსლა.

ერთი თუ ორი მილი იმავე გზით იარა, რომლითაც ჰენრი პოინდექსტერი მიდიოდა. კოლჰაუნს თოხარიკით მიჰყავდა ცხენი, არ უნდოდა დასწეოდა ჰენრის, რომლის ცხენის ფეხის ხმა კარგა ხანია, მიწყდა.

კოლჰაუნი მდინარე ლეონას აღმა მიჰყვებოდა. კასა დელ კორვოსა და ფორტის შუაგზას რომ მიაღწია, ბუჩქნარი დაათვალიერა და ცხენი მდინარისაკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკზე გადაიყვანა.

იგი თავის თავს ეჩურჩულებოდა: „ერთი შესაძლებლობა კიდევ დამრჩა, თუმცა ათასი დოლარი დამიჯდება. რას იზამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მოვიშორო თავიდან ეს წყეული ირლანდიელი, რომელიც ცხოვრების ყოველ წუთს მიშხამავს! თუ მართალი თქვა, რომ დილაადრიან გასწევს თავისი ქოხისაკენ, ისიც რომ ვიცოდე, რომელ საათზე წავა, უფრო კარგი იქნებოდა. განთიადისას ადგომას ტრამალის მცხოვრებნი გვიან ადგომას ეძახიან... მაგრამ არა უშავს. ელ კოიოტი მაინც მოასწრებს და გზას მოუჭრის! ეს ის გზა უნდა იყოს, რომლითაც ველურ მუსტანგებს დავედევნეთ. თავის ქოხზე ამბობდა, ალამოს ნაპირზეაო. ალამო ხომ იმ მდინარის სახელია, სადაც პიკნიკი გავმართეთ. მისი ბუნაგი იქიდან შორს არ უნდა იყოს. ელ კოიოტს ეცოდინება, სადაა მისი ქოხი, ყოველ შემთხვევაში — მისკენ მიმავალი გზა მაინც. ეს კი ჩვენი მიზნის შესასრულებლად საკმარისია. პატრონმა შეიძლება ქოხს ველარასოდეს მიაღწიოს. ხომ შეიძლება გზაზე ინდიელები გადაეყარონ. ალბათ ინდიელები გარიჟრაჟამდე შეხვდებიან კიდევ...“

უცნაურ ფიქრებში გართული კოლჭაუნი ელ კოიოტის ქოხის კარს მიადგა. ჩამოხდა, ცხენი ხის ტოტზე გამობა და ქოხის კართან ქვეითად მივიდა.

კარი ღია დახვდა. ქოხიდან ხვრინვა მოისმოდა. ელ კოიოტი ისე ხვრინავდა, ეტყობოდა, ღრმა და მშვიდი ძილით არ ეძინა. ხანდახან ხვრინვა შეწყდებოდა და მის ნაცვლად გინებას გაიგონებდით, თუმცა სიტყვას ძნელად გაარჩევდით. ჩანდა, ქოხის პატრონს კარგა მაგრადა გადაეკრა.

— იესო! წმინდა ქალწულო! ღვთისმშობელო! — იძახდა ძილში ელ კოიოტი.

კოლჭაუნი შეჩერდა და ყური მიუგდო.

— კარგი ამბავია... სენიორ ამერიკანო... ინდიელები ომს აპირებენ, ღმერთმა დალოცოს ინდიელები.

— უღმერთოდ მთვრალია, — უნებურად ხმამაღლა ჩაილაპარაკა კოლჭაუნმა.

— რაო, სენიორ, — წამოიყვირა ელ კოიოტმა, რომელიც ადამიანის ხმამ სანახევროდ გამოაღვიძა, — ბედნიერი ვარ, რომ გხედავთ, მე, მიგელ დიასი, ვამბობ ამას, სალახანები ელ კოიოტს რომ მეძახიან. ჰა, ჰა! კოიოტი. აჰ! თქვენ რაღა გქვიათ? თქვენი სახელი, სენიორ? ეშმაკმა წაგიღოთ? ვინა ხართ?

მთვრალი მასპინძელი ლერწმის საწოლზე წამოჯდა, ცოტა ხანს ასე იყო და გაოგნებული შეჭყურებდა იმ ადამიანს, ვისმა ხმამაც ძილი დაუფრთხო და სიზმარი შეაწყვეტინა.

ეს რამდენიმე წამს გაგრძელდა. შემდეგ ელ კოიოტი რაღაც გაუგებარი სიტყვების ბუტბუტით კვლავ საწოლზე მიწვა და როცა მასპინძელმა ისევ ხვრინვა ამოუშვა, სტუმრისათვის გასაგები გახდა, რომ ელ კოიოტი სტუმრის იქ ყოფნას ვერც კი გრძნობდა.

— ეს შესაძლებლობაც დაიკარგა! — კბილებში გამოსცრა კოლჭაუნმა და კარისაკენ იმედგაცრუებული წამოვიდა.

— ფხიზელი სულელი და მთვრალი არამზადა შესანიშნავად დამეხმარნენ ჩემი გეგმის განხორციელებაში. დასწყევლოს ღმერთმა! თითქოს ამ ღამით ყველამ ჩემ წინააღმდეგ შეკრა პირი. სამი საათი მაინც დასჭირდება, სანამ ამ ღორს თავიდან გამოუვა ის, რამაც ასე გამოათაყვანა. სამი საათის შემდეგ კი უკვე ძალიან გვიან იქნება.

ამას რომ ამბობდა, კოლჭაუნმა თავისი ცხენი ახსნა და ახლა ისე იდგა, თითქოს არ იცოდა, რა უნდა ექნა.

— ჩემს აქ დარჩენას აზრი არა აქვს! ეგ გარიჟრაჟამდე ვერ გამოფხიზლდება. შემიძლია სახლში წავიდე და იქ დაველოდო, თუმცა... — არჩევანი, რომელიც მან გააკეთა, ხმამაღლა არ გამოუთქვამს, მაგრამ ასე იყო თუ ისე, მის მერყეობას არჩევანმა სძლია.

ხელის უხეში მოძრაობით გადაუგდო ცხენს თავზე სადავე, უნაგირს მოახტა და მის მიერ გამოვლილი გზის საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა.

36 - სამნი ერთმანეთის კვალდაკვალ

სწორზედაპირიან ტრამალზე მოგზაურობა დიდი სიამოვნებაა. ვისაც კი ასეთი რამ განუცდია, ამის უარყოფა არ შეუძლია. თუ კარგი ცხენი გყავთ, უნაგირზე მიმაგრებული ჩანთა კი სანოვაგითაა სავსე, თანაც მათარაში ფრანგული ბრენდი გეგულეობათ და სიგარებიც საკმაოდ მოგეძევებათ, მაშინ ასეთი მოგზაურობა არასოდეს დაგლლით.

ტრამალზე ყველა მოგზაურს თანამგზავრი რომ ხლებოდა, მაშინ დასავლეთ ტეხასის უდაბურ ადგილებს ადამიანები აავსებდნენ. ბილიკები უზარმაზარ ველს დასერავდა, სადაც ყველა ჯურის უსაქმური იხეტიალებდნენ. მაგრამ ტრამალი უდაბურია. თუ მგზავრის მიერ გაკვალული ჩვეულებრივი „გზიდან“ გადაუხვევთ, შეგიძლიათ საათობით, დღეობით, კვირაობით, თვეობით და წლობითაც იართო ისე, რომ ადამიანს არსად გადაეყაროთ.

ვისაც ტეხასის უზარმაზარ ტრამალზე უმოგზაურია, მხოლოდ მას შეუძლია ნათლად წარმოიდგინოს მისი უსაზღვროება. თვითონ ოკეანეც კი ვერ ქმნის ისეთი დაუსაბამობის შთაბეჭდილებას, როგორსაც ტრამალი. როცა ოკეანეში მიცურავთ გემით, ამ დროს ვერავითარ მოძრაობას ვერ ამჩნევთ და გგონიათ, უმოძრაოდ დგახართ ოკეანის შუაგულში. აი, ეს გიშლით შეიგრძნოთ უზარმაზარი ოკეანის უსაზღვროება. სულ სხვაა ტრამალი: ტყის მასივები, ბორცვები, ხეები თქვენ თვალწინ ერთმანეთს ენაცვლებიან და გაფრთხილებენ, რომ უსაზღვრო სივრცეში მიიწევთ.

მიუხედავად ამისა, ხანდახან მაინც შეხვდებით მარტოდმარტო მოარულ მგზავრს. სწორედ იმ ღამეს, როცა კასა დელ კორვოს ბალში ჯერ გულში ჩამწვდომი, მგრძნობიარე, შემდეგ კი მძვინვარე, ბოლოქარი სცენა გათამაშდა, ლეონის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტრამალი სამმა მგზავრმა გადასერა ცალ-ცალკე.

სწორედ მაშინ, როცა უკმაყოფილო კოლჭაუნი მექსიკელი მუსტანგერის ქობს გაშორდა, ღამის სიბნელეში მიმავალი პირველი ცხენოსანი მგზავრი ახალშენიდან გამოვიდა და გეზი მდინარე ნუესას სანაპიროსკენ ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი ერთ-ერთი შენაკადისაკენ აიღო.

მოგზაური მუხლმაგარ ბედაურზე იჯდა. ცხენის მძლავრი ნაბიჯები ცხადყოფდა, რომ მას შეეძლო თავისი მხედარი შორ გზაზე შეუსვენებლივ ეტარებინა.

მხედარი ისე იყო ჩაცმული, როგორც ყოველი ტეხასელი, როცა ათიოდე მილი აქვს გასავლელი. ეტყობოდა, შინისაკენ მიემურებოდა, რადგან ასე გვიან ღამით სახლიდან არ გამოვიდოდა. მხრებზე დაუდევრად მოგდებული სერაპე ალბათ ღამის ნამისაგან თავდასაცავად წამოესხა.

მაგრამ იმ ღამით ცვარიც კი არ აპირებდა ჩამოვარდნას და ეს გაფიქრებინებდათ, რომ იგი შორ გზას ადგა.

მიუხედავად ამისა, იგი სრულებით არ ჩქარობდა. თითქოს მისთვის სულერთი იყო, როდის მიაღწევდა დანიშნულების ადგილს.

მხედარი ფიქრებში გართული ჩანდა. გარშემო არათუ ვერაფერს ამჩნევდა, ცხენიც კი თავის ნებაზე ჰყავდა მიშვებული. მართალია, სადავე მიეშვა, მაგრამ ცხენს არც გზა ეშლებოდა და არც არსად ჩერდებოდა. მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა წინ, თითქოს ნაცნობ ბილიკზე მინავარდობსო.

იმწამსვე, როგორც კი პირველი მხედარი გაუჩინარდა, მეორე მხედარმა გამოაჭენა ცხენი ახალშენიდან და იმავე ბილიკს მიჰყვა, რომელზეც პირველი მიდიოდა. მისი ჩაცმულობაც ამჟღავნებდა, რომ წინ შორი გზა ედო. მხრებზე წამოსხმული ლაბადის ფართო ბოლოები ცხენის გავას ეფინებოდა. წინწასული მხედრისაგან განსხვავებით, იგი მიიჩქაროდა და ცხენს მათრახითა და დეგებით მიერეკებოდა. დროდადრო უნაგირიდან წინ გადაიხრებოდა ხოლმე და

შორს გასცქეროდა ჰორიზონტს, თითქოს ვიღაცას ეძებდა. ასე მიიწევდა წინ, სანამ პირველი მხედარივით ისიც იმავე ადგილას არ გაუჩინარდა. ასე გამოჩნდებოდნენ ისინი ახალშენიდან ან ფორტიდან მოთვალთვალე ადამიანის წინაშე.

სწორედ იმ დროს, როცა მეორე მხედარი გაუჩინარდა, ტეხასის პატარა ახალშენის გარეუბნიდან მესამე ცხენოსანი გამოვიდა. ეს საოცარ შემთხვევას ჰგავდა, თუკი მართლაც შემთხვევა იყო. ისიც წინ მიმავლებს ჩაუდგა კვალში.

მესამე მხედარიც სამგზავროდ იყო ჩაცმული. შალის წითელი წამოსასხამი მთელ ტანს უფარავდა. წამოსასხამის ფართო ბოლოები ბარძაყებზე ეფინებოდა და ნახევრად მაღავდა უნაგირზე ღვედით დამაგრებულ მოკლე თოფს. მასაც პირველი მხედარივით აუჩქარებლად მიჰყავდა ცხენი, მაგრამ მისი საქციელი ამჟღავნებდა, რომ ღელავდა.

მეორე და მესამე მხედარს შორის, გარდა მსგავსებისა, განსხვავებაც დიდი გახლდათ. თუ შავწამოსასხამიანი მხედარი წინ იცქირებოდა და სურდა ვიღაცას დასწეოდა, წითელლაბადიანი უკან-უკან იცქირებოდა, თითქოს მართო ის აინტერესებს, რაც უკან ხდებოდა. დროდადრო უზანგებზე დგებოდა და სხეულით უკან მოტრიალდებოდა ხოლმე. ხანდახან ცხენსაც შემოაბრუნებდა და გამომცდელად გასცქეროდა გზას, რომელიც ეს-ეს არის, გამოეწეო. სმენაც ისე გამახვილებინა, თითქოს შიშობდა, არავინ წამომეწიოსო.

იგი ისე გაუჩინარდა, არც არავინ დასწევია და არც თვითონ წამოსწევია ვინმეს.

ერთი საათის შემდეგ, რაც მხედრები ფორტ ინჯიდან გამოვიდნენ, მათ შორის მანძილი საგრძნობლად შეიცვალა.

პირველი მხედარი მიუახლოვდა ტყის მასივს, რომელსაც შუაში შიშველი განაკაფი ზოლი გასდევდა. ჩამავალი მთვარის შუქი ნახევარი მილის მანძილზე ანათებდა ტევრს. იმის იქით კი ტყეს ბნელი ჩრდილი ფარავდა.

სანამ ტყის ამ ბუნებრივ ხეივანში შევიდოდა, პირველი მხედარი შეჩერდა, ვერ გადაეწყვიტა, განეგრძო გზა თუ არა. ცხენი შეაჩერა და წინ დაიწყო ცქერა. მისი ყურადღება ხეივანს მიეპყრო და უკან არც კი იხედებოდა.

დიდხანს აღარ უფიქრია, ცხენს დეზი ჰკრა და წინ გააქროლა.

სწორედ ამ დროს შენიშნა იგი შავლაბადიანმა მხედარმა. მას ახლა მხოლოდ ნახევარი მილი აშორებდა პირველი მხედრისაგან.

მეორე მხედარმა წინ მიმავალს რომ მოჰკრა თვალი, ოდნავ შეჰყვირა. ეს იყო მხიარული შეძახილი, გამოწვეული იმით, რომ ათი მილის მანძილზე თავგამოდებული დევნის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, დაეწია პირველ მხედარს.

ცხენი დეზებით უფრო ააჩქარა და ისიც ბუნებრივ ხეივანში შევიდა. პირველი მხედარი ამ დროს ისევ გაუჩინარდა ხეივნის მოსახვევში.

მეორე მხედარიც დაუყოვნებლივ მიჰყვა კვალდაკვალ და ისიც იმავე მოსახვევში მიეფარა თვალს.

კარგა ხანმა განვლო, სანამ მესამე მხედარი მიაღწევდა ამ ხეივანს. იგი წინ მიმავალი მხედრებივით ტყის განაკაფ ზოლში არ შესულა. ცხენი ტყეში შეიყვანა, ხეზე გამოაბა და თვითონ ქვეითად გაემართა ხეივნისაკენ.

კვლავ უკან იცქირებოდა, თითქოს ის უფრო აინტერესებდა, რაც უკან ხდებოდა. მან ქვეითად მიაღწია იმ ადგილს, სადაც წინ მიმავალი მხედრები გაუჩინარდნენ და თვითონაც სიბნელეში შთაინთქა.

განვლო კიდევ ერთმა საათმა. ღამის სიბნელეში ტყის მკვიდრთა ხმაური ორჯერ დაარღვია ცხენის ფლოქვების თქარუნმა. მერე ქვეითად მიმავალი ადამიანის ფეხის ხმა გაისმა. კვლავ განახლდა ტყის ბინადართა ფუსფუსი. უცებ ტყის სულდგმულთა ჟრიამული კვლავ შეწყდა. ამჯერად იგი ცხენის ფლოქვების თქარუნსა და ადამიანის ფეხის ხმას არ დაურღვევია. ახლა უეცრად და ხანგრძლივად მიყუჩდა გარემო. თოფის მჭექარე ხმამ ისე სწრაფად დაადუნა შემკრთალი ტყის მკვიდრნი, თითქოს ღირიჟორმა მორჩილ ორკესტრს ჯოხი დაუქნიაო.

ჩირგვებში განაბულმა ტყის კატამ ჩხავილს თავი ანება, კოიტებმაც შეწყვიტეს ყმუილი. უშიშარმა ვეფხვმაც შეწყვიტა ღრიალი და მიყუჩდა.

თოფის სროლას არც სულთმობრძავი ადამიანის გმინვა მოჰყოლია და არც დაჭრილი მხეცის ღრიალი. ამით გათამამებულ ვეფხვს გამბედაობა ისევ დაუბრუნდა და ღრიალით კვლავ გააყრუა გარემო.

რაკი ვეფხვის დრტვინვა შორიდან მოისმოდა, გულმოცემულმა ფრინველებმა, მხეცებმა, მწერებმა და ქვეწარმავლებმა წინანდებურად ატეხეს ისეთი გნიასი, რომ გვერდიგვერდ მყოფი ორი ადამიანი ყვირილის გარეშე ერთმანეთს ვერაფერს გააგონებდა.

37 - უგზოუკვლოდ დაკარგული

კასა დელ კორვოში ორჯერ ჩამოჰკრეს საუზმის მაუწყებელ ზარს. მას წინ უსწრებდა ბუკის ხმა, რომლითაც შორეული პლანტაციებიდან მონებს უხმობდნენ დასანაყრებლად.

„მინდვრის ხელები“, რომლებიც ახლომახლო მუშაობდნენ, თავიანთი ქოხების წინ მოლგე ჩამოსხდებოდნენ ხოლმე და საჭმელს ისე შეექცეოდნენ.

პლანტატორის ოჯახი საუბმისათვის ჩვეულებრივ შეიკრიბა სასადილო ოთახში. ის იყო, საუბმეს უნდა შესდგომოდნენ, რომ შენიშნეს, ერთ-ერთი წევრი აკლდათ.

ჰენრი საუბმეზე არ მოვიდა.

თავდაპირველად ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ფიქრობდნენ, საცაა ისიც შემოვაო.

რამდენიმე წუთის შემდეგ პლანტატორმა შენიშნა, რაღაც უჩვეულო ხდებოდა. ჰენრი არასოდეს იგვიანებს და ახლა რა ემართებაო.

სამხრეთ-დასავლეთ ამერიკაში დამკვიდრებული, მთელი ოჯახის ერთად საუბმობის ჩვეულება იქაური ზოგიერთი კერძის თავისებურებამ გამოიწვია. მაგალითად, ვირჯინიული ბისკვიტი, წიწიბურა და ვაფლი, როგორც კი გადმოიღებენ ცეცხლიდან, მაშინვე უნდა მიირთვან. დონდლო ადამიანები, ან ვისაც დილის ძილი უყვარს და გვიან ადგომას არიან ჩვეული, ცივი ბისკვიტით უნდა დაკმაყოფილდნენ და შეიძლება, ვაფლის გარეშეც დარჩნენ. ასეთი ადამიანები კი ტეხასში ძნელად მოიძებნებიან.

თუ გავითვალისწინებთ ამ ტეხასურ ჩვეულებას, მაშინ მართლაც უცნაური იყო, რატომ აგვიანებდა საუბმეზე ჰენრი პოინდექსტერი.

— სად დაიკარგა ის ბიჭი? — მეოთხედ იკითხა ვუდლი პოინდექსტერმა.

ხმა არავის ამოუღია. ცოტა ხნის წინათ თვითონ ლუიზამაც მოიკითხა ჰენრი. იმ დღეს ლუიზას გამომეტყველებასა და ხმის კილოში რაღაც უცნაური რამ იგრძნობოდა, მაგრამ ამას ძალზე დაკვირვებული და გამოცდილი ადამიანი თუ შეამჩნევდა.

ლუიზას უცნაური საქციელი ჰენრის საუბმეზე დაგვიანებით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. საუბმეზე დაგვიანება ისეთი უბრალო რამაა, ძნელად თუ ვინმეს ააღელვებს, ლუიზა კი აღელვებული ჩანდა. მისთვის აღელვების მიზეზი არავის უკითხავს. მამამ ვერაფერი შეამჩნია. კოლჰაუნი კი თვითონ იყო გასაჭირში და ცდილობდა, მოჩვენებითი სიმშვიდით დაეფარა აზრები და მღელვარება.

ოთახში შემოსვლის შემდეგ კოლჰაუნს ერთი სიტყვაც არ დასცდენია. თავის ჩვეულებასაც უღალატა — აღარც ლუიზას უცქერდა დაჟინებით. ამ დილით ერთხელაც არ შეუხედავს მისთვის. აფორიექებული იჯდა სკამზე და ერთხელ თუ ორჯერ შეხტა კიდეც, როცა ოთახში მსახური შემოვიდა. ეჭვი არ იყო, ძალზე შფოთავდა.

— ძალიან უცნაურია, რომ ჰენრიმ საუზმეზე დაიგვიანა! — მეათედ მაინც თქვა პლანტატორმა, — ნუთუ სძინავს ამდენ ხანს? არა, ამდენ ხანს არასოდეს სძინებია. სადმე გასულიც რომ იყოს, საუზმის ბარს მაინც გაიგონებდა. იქნებ თავის ოთახშია? პლუტო!

— მე მეძახდით? აქ გახლავართ, მისტერ ვუდლი.

მეეტლეობის გარდა, პლუტოს, როცა ბატონები სუფრასთან ისხდნენ, მათი მომსახურებაც ევალებოდა.

— წადი ჰენრის საძინებელ ოთახში, თუ იქაა, უთხარი, რომ ჩვენ უკვე ვამთავრებთ საუზმეს.

— ოთახში არ გახლავთ, მისტერ ვუდლი.

— შენ რა, უკვე ნახე, რომ იქ არ არის?

— დიახ, ოთახში არავინაა. ოთახში არ ვყოფილვარ, მაგრამ საჯინიბოში გახლდით, ჰენრის ცხენისათვის სიმინდი უნდა დამეყარა, მაგრამ იქ არ დამიხვდა. განთიადიდან არა ჩანს. მე სწორედ ამ დროს ავდექი. არც ცხენი ჩანს, არც უნაგირი და არც აღვირი. იმ დროს წასულა, როცა ყველას გვეძინა.

— დარწმუნებული ხარ, რომ ასეა? — მოსმენილმა ამბავმა პლანტატორი შეაწუხა.

— ნამდვილად, მისტერ ვუდლი. საჯინიბოში მარტო მისტერ კოლჰაუნის ცხენია დაბმული, წინწკლებიანი საჩეხეში დარბის. ჰენრის ცხენი კი არა ჩანს.

— ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისტერ ჰენრი თავის ოთახში არაა. ახლავე წადი და ნახე!

— მივდივარ, ბატონო, ახლავე მივდივარ. მაგრამ ახალგაზრდა ჯენტლმენი ოთახში არაა. სადაც მისი ცხენია, ისიც იქ იქნება.

— რა უცნაურია, — თქვა პლანტატორმა, როცა პლუტო ოთახიდან გავიდა, — ჰენრი ჯერ კიდევ უთენია წასულა სახლიდან. სად უნდა წასულიყო? ასე უდროოდ დროს ვინმეს ვერ ესტუმრებოდა. როგორც ზანგის ლაპარაკიდან ჩანს, იგი მთელი ღამე არ ყოფილა, ან გამთენიისას გასულა სახლიდან. შეიძლება ფორტის ახალგაზრდებთან გაატარა დრო, მაგრამ არა მგონია, სალონში შესულიყო.

— ოჰ, არა! არავითარ შემთხვევაში, — თქვა კოლჰაუნმა, რომელიც, ეტყობოდა, პლანტატორივით საგონებელში იყო ჩავარდნილი, მაგრამ არაფერი უთქვამს იმაზე, თუ მისი აზრით, სად შეიძლება წასულიყო ჰენრი. არც წინა ღამით მომხდარ ამბავზე დაუძრავს კრინტი, რომლის მოწმეც თვითონ გახლდათ.

„ნამდვილად არაფერი იცის, — ფიქრობდა ლუიზა, — თუ ასეა, მაშინ ჩემსა და ჰენრის გულში დაიმარხება ყოველივე. მე მგონი, შემიძლია ჰენრი დავიყოლიო. მაგრამ სადაა ამდენ ხანს? მთელი ღამე თეთრად გავათენე მის მოლოდინში. ნამდვილად მორისს დაეწია და დაძმობილდნენ. ამაში დარწმუნებული ვარ. შეიძლება სალონში შეხვდნენ ერთმანეთს. მართალია, ჰენრის არ უყვარს უწესოდ სმა, მაგრამ ასეთ დროს კაცმა შეიძლება ჩვეულებას უღალატოს. ამისთვის ვინ გაკიცხავს?! არაფერი შეემთხვევა ისეთ კარგ ადამიანთან...“

ძნელი სათქმელია, სადამდე მიიყვანდა ლუიზას ასეთი მსჯელობა, მაგრამ პლუტოს შემოსვლამ უცებ შეწყვიტა მისი ფიქრები. პლუტოს ისეთი გამომეტყველება აღბეჭდოდა, თითქოს მათთვის რაღაც ახალი ამბავი უნდა ეცნობებინა.

— რაო?! — შესძახა ბატონმა, სანამ თვითონ პლუტო იტყოდა რამეს, — ოთახში არ აღმოჩნდა?

— არა, მისტერ ვუდლი, — ისეთი ხმით წარმოთქვა პლუტომ, ეტყობოდა, ძალზე დელავდა, — ჰენრი იქ არ გახლავთ, მაგრამ... — განაგრძობდა ენის ბორძიკით, ეტყობოდა, ლაპარაკი ეძნელებოდა, — მისი ცხენი გამოჩნდა.

— მისი ცხენი ნახე! ცხენს საწოლ ოთახში ხომ არ ნახავდი?
— არა, მისტერ ვუდლი, ალაცაფის კართან ვნახე.
— მერე რა მოხდა?
— ის მოხდა, რომ მისტერ ჰენრის ცხენი, მისი ცხენი...
— თქვი, შე ენაბლუ, რა მოხდა? რა ცხენი... თავი დაკარგა ცხენმა
თუ კუდი?

— ნეტავ აგრე იყოს, მისტერ ვუდლი და თავისი პატრონი არ და-
ეკარგა!

— რაო! ჰენრი ცხენმა ჩამოაგდო? სისულელეა, პლუტო! ჩემი შვი-
ლი ისეთი მოჯირითეა, ცხენი ვერ ჩამოაგდებდა.

— ცხენმა ჩამოაგდო-მეთქი, როდის ვთქვი. მე ის მაწუხებს, უარე-
სი ამბავი არ იყოს. მეტს ველარაფერს გეტყვით. გამობრძანდით
ალაცაფის კართან და თქვენი თვალით ნახეთ.

პლუტოს სიტყვებმა ყველანი შეაშფოთა. პლანტატორი, ლუიზა
და კოლჰაუნი — სამივენი წამოცვივდნენ და შავ მონას უკან გაჰყვნენ
ჰასიენდას ალაცაფის კარისაკენ.

მათ თვალწინ გადაშლილი სანახაობა მართლაც საშიში და შე-
მაშფოთებელი იყო:

ერთ ზანგ მონას სადავით ეჭირა ჰენრის შეკაზმული ცხენი, რო-
მელიც ღამის ცვარისაგან სრულიად გალუმპულიყო. ეტყობოდა, მე-
ჯინიბის მზრუნველი ხელი ჯერ არ შეჰხებოდა. იგი ფშვინავდა და მი-
წას ფლოქვებით ტორავდა, თითქოს რაღაც დიდ განსაცდელს გადა-
ურჩაო.

ცხენი ღამის ცვარზე უფრო მეტად რაღაც ლაქებს გაეშავებინა,
მხრები, წინა ფეხები და უნაგირი სისხლის ზოლებით დასეროდა.
თითქმის თავიდან ფეხებამდე სისხლში ამოსვრილიყო.

— საიდან მოვიდა ცხენი?

— ტრამალიდან. ზანგმა სწორედ მაშინ დაიჭირა, როცა სახლისა-
კენ მომავალს ფეხებში თავისივე აღვირი გაეხლართა.

ვისია ცხენიო, ასეთი რამ არავის უკითხავს. ყველამ იცნო ჰენრი პოინდექსტერის ბედაური.

არც ის უკითხავთ, ვისი სისხლით იყო ცხენი მოსვრილი. სამივეს ფიქრი ერთ ადამიანს დასტრიალებდა.

შედევებული მოშავო ლაქები ცოტა ხნის წინათ ჰენრი პოინდექსტერის ძარღვებში მჩქეფარე სისხლი უნდა ყოფილიყო. სხვა რამე არც უფიქრიათ.

სქოლიო

1. ერთგვარი სამგზავრო ეტლი
2. ლასო – ქამანდი, რომლითაც ცხენოსანი მწყემსები და მონადირეები ცხოველებს იჭერენ.
3. ტარტაროსი და პლუტო (პლუტონი) – ძვ. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ქვესკნელი, საიქიო, ჯოჯოხეთი და მისი განმგებელი
4. ეზოში (სახლის უკან) შემოღობილი ადგილი პირუტყვის სადგომად, შეშის დასაწყობად და ა.შ.
5. კაქტუსის სახეობა
6. ესპანურ ენაზე – მწყემსი, კოვბოი
7. ტევტონები – ძველი, გერმანული წარმოშობის ტომები
8. კოიოტი – „უდაბნოს ძაღლი“; ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში გავრცელებული მტაცებელი, მგლის მსგავსი ძუძუმწოვარი.
9. ფულის ერთეული ლათინურ ამერიკასა და მექსიკაში
10. ჰიპერიონი სინათლის ღმერთი იყო ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, ხოლო სატურნი – ძველბერძნული კრონოსის, ქვესკნელის სამეფოს ღმერთის ლათინური ანალოგი.

ნაწილი მეორე - 1 - შურისმაძიებლები

ნახევრად შეშლილმა მამამ ავისმომასწავებელი ნიშნები სწრაფად, თითქმის შეუმცდარად შეათასა. სისხლიან უნაგირს მოახტა და ფორტისკენ გაქუსლა.

კოლჭაუნმა თავისი ცხენი გამოიყვანა და უკან დაედევნა.

ამბავი მალე გახმაურდა. მალემსრობლებმა მომხდარი ამბავი ყველაზე მივარდნილ პლანტაციებამდეც კი მიიტანეს.

ინდიელები ომს აპირებენ, ხალხს თავებს სჭრიან! მათი სისხლიანი ხელების პირველი მსხვერპლი პოინდექსტერი გახდაო!

ჰენრი პოინდექსტერი – კეთილშობილი ახალგაზრდა, რომელსაც მთელ ტეხასში მტერი არა ჰყოლია! თუ არა ინდიელებს, ვის შეეძლო ასეთი უცოდველის სისხლის დაღვრა? მხოლოდ კამანჩებს შეეძლოთ ასეთი ბოროტება ჩაედინათ.

სად უნდა ეძებნათ მკვლელები – ეს იყო ყველაზე თავსატეხი. ყველამ იცოდა, რომ კამანჩები დასავლეთით ბინადრობდნენ, მაგრამ ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და თვალუწვდენელ ტრამალზე ხან სად ამოჰყოფდნენ თავს და ხან სად.

მწუხარებისგან გაოგნებული მამა და, ერთი შეხედვით, არანაკლებ შეწუხებული კოლჭაუნი, რომელსაც ხმა ვერ ამოელო, დათანხმდნენ, რომ ერთად ევლოთ და ისე ეძებნათ მკვლელები. მით უმეტეს, რომ ამ წინადადებას მხარს უჭერდა ფორტის კომენდანტი – მაიორი.

ქვეითი ჯარის გონებაგამჭრიახი კაპიტნის აზრით, პირველად ის უნდა დაეკითხათ, ვინც უკანასკნელად ნახა ჰენრი პოინდექსტერი. შეიძლებოდა მას სცოდნოდა, რომელ მხარეს წავიდა.

ვუდლი პოინდექსტერმა განაცხადა, შვილი უკანასკნელად წუხელ ვახშობისას ვნახე და რამდენადაც ვიცი, ნავახშმევს დასაძინებლად წავიდაო.

კოლჭაუნის პასუხი ბუნდოვანი და დამაჯერებლობას მოკლებული იყო. მან განაცხადა, რომ ბიძაშვილს უფრო მოგვიანებით ელაპარაკა, ღამე მშვიდობისა უსურვა, რის შემდეგაც, მისი აზრით, ჰენრი დასაძინებლად წავიდა.

რატომ დამალა კოლჭაუნმა, რაც სინამდვილეში მოხდა? რატომ არაფერი თქვა იმ ამბავზე, რაც ბაღში თავისი თვალით ნახა? ხომ არ ეშინოდა, რომ დამცირებული აღმოჩნდებოდა, თუ გაიგებდნენ, რა მონაწილეობა მიიღო იმღამინდელ სცენაში. თათბირი და დაკითხვა კვლავ გრძელდებოდა, როცა სასტუმროს პატრონი ობერდოფერი მოულოდნელად გამოცხადდა გამოუძახებლად. ის დამტვრეული ინგლისურით ლაპარაკობდა და გერმანულ სიტყვებსაც იშველიებდა. მან განაცხადა: კაპიტან კოლჭაუნთან დუელის შემდეგ მორის მუსტანგერი ჩემს სასტუმროში ცხოვრობდა. წუხელაც გვიან გავიდა და ჩვეულებრივ გამთენიისას დაბრუნდა. სასტუმრო ღია იყო, რადგან ახალგაზრდები ჯერ კიდევ ქეიფობდნენ. ანგარიში მომთხოვა და უკანასკნელ ცენტამდე გადაიხადა ხარჯიო.

სად იშოვა ფული და რატომ დატოვა ასე უთენია სასტუმრო, ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის. ობერდოფერმა მხოლოდ ის იცის, რომ მორის მუსტანგერმა სასტუმრო დატოვა და თავისი ბარგი-ბარხანა თან წაიღო, როგორც ამას სჩადიოდა ჩვეულებრივ მუსტანგებზე სანადიროდ წასვლის დროსო. ამიტომ სასტუმროს პატრონი ფიქრობდა, რომ მუსტანგერი სანადიროდ იყო წასული.

რა უნდა ჰქონოდა საერთო მუსტანგერის სანადიროდ გამგზავრებას ჰენრი პოინდექსტერის მკვლელობასთან? ეტყობა, ძალიან დიდი, მაგრამ ობერდოფერმა ეს ბოლოსთვის შემოინახა.

მორის მუსტანგერის წასვლიდან ოცი წუთის შემდეგ სასტუმროს კარზე ჰენრი პოინდექსტერმა დააკაკუნა და მორის ჯერალდი იკითხა. როცა უთხრეს, რომელი მიმართულებით გაემგზავრა მუსტანგერი, ჰენრიმ ცხენი შემოაბრუნა და იმავე მხარეს გაქუსლა. ეტყობოდა, სურდა, მას დასწყოდა.

ეს იყო სულ, რაც ობერდოფერმა იცოდა.

სასტუმროს პატრონის ჩვენებაში ბევრი რამ იყო სადავო და გაურკვეველი, მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადი გახლდათ. თუ ჰენრი მორისთან ერთად წავიდა, ან კვალდაკვალ მიჰყვა მუსტანგერს, მაშინ მისი ძებნაც იმ მიმართულებით უნდა დაეწყოთ, საითაც მორის ჯერალდი გაემგზავრა.

გადაწყდა, მდინარე ალამოს მიმართულებით წასულიყვნენ და იქ ეძებნათ ჰენრი პოინდექსტერი ან მისი გვამი.

2 - სისხლის ტბორი

მალე მხედრებმა შენიშნეს, რომ ერთ-ერთი წინწასული მეგზური უღრანი ტყის პირას გაჩერებულიყო და მათ მოახლოებას ელოდა. ეტყობოდა, რაღაც აღმოეჩინა და სურდა, მათთვის შეეტყობინებინა.

— რა ამბავია? — იკითხა მაიორმა, რომელმაც დანარჩენ მდევრებს წინ გაუსწრო, — კვალია?

— წინ თითქოს ოთხი ცხენის ნაკვალევი უნდა იყოს, სინამდვილეში კი ორი ცხენის კვალია. ისინი ჯერ წინ წასულან და მერე ისევ უკან დაბრუნებულან.

— სპენგლერ, ჩემო კარგო, სხვას რას იტყვით?

— ბევრს ვერაფერს, — თქვა სპენგლერმა, რომელიც მეგზურად ითვლებოდა ფორტში, — მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ სწორედ აქ მოუკლავთ. ისეთი სისხლის ტბორია, თითქოს კამეჩი დაეკლათ. მოდით და თქვენი თვალით ნახეთ.

სპენგლერმა ორმოცდაათი ნაბიჯი რომ გაიარა, შეჩერდა.

— ხედავთ, მაიორო? — თქვა მან და მიწაზე მიუთითა.

— ბრმა უნდა ვიყო, რომ ვერ დავინახო, — უთხრა მაიორმა, — მართლაც სისხლი თუ ადამიანის ძარღვებიდან დაიღვარა, მაშინ ის უკვე აღარც იქნება ამქვეყნად.

— თუ ინდიელებმა მოკლეს, აქ ორი კი არა, ორმოცი ცხენის ნაკვალევი მაინც იქნებოდა.

— ნამდვილად მართალი ხართ. ძნელი დასაჯერებელია, რომ ინდიელს მარტოს გაეხედა თავდასხმა.

— ეს მკვლელობა ინდიელის ჩადენილი არ არის, მაიორო! მიწაზე ორი ცხენის ნაკვალევი. როგორც ხედავთ, ორივე ნაკვალევი დაჭედილი ცხენებისაა. კამანჩები, მოგეხსენებათ, ცხენებს არ ჭედავენ. ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში სხედან დაჭედილ ცხენებზე, როცა მათ იპარავენ. ორივე ცხენზე თეთრკანიანი მხედრები მსხდარან. აქედან ერთის ცხენი მუსტანგი ყოფილა, მეორესი კი — ამერიკული. როცა დასავლეთისაკენ უვლიათ, წინ მუსტანგი ყოფილა, ეს ადვილი გამოსაცნობია, რადგან მისი ნაკვალევი ამერიკული ცხენის კვალითაა დაფარული, როცა უკან დაბრუნებულან, წინ ამერიკულ ცხენს უვლია, მუსტანგი კი, ეტყობა, უკან მოსდევდა. ძალიან ძნელი სათქმელია, რა მანძილი იყო მათ შორის. ამის თქმას იმ შემთხვევაში შეეძლება, თუ იმ ადგილისაკენ წავალთ, საიდანაც ისინი უკან შემობრუნებულან. ეს კი აქვე სადმე ახლოს უნდა იყოს.

კვალი ოთხასი იარღის მანძილზე აღბეჭდილიყო. მეგზურმა მაიორს უთხრა, დასავლეთისაკენ მართლაც მუსტანგს უვლია წინ, ხოლო უკან დაბრუნებისას კი — ამერიკულ ცხენსო.

ამ ადგილზე უკვე ნაკვალევი თავდებოდა. აქედან ორივე ცხენი უკან დაბრუნებულა.

სანამ უკან წავიდოდნენ, ისინი ერთსა და იმავე ადგილზე მდგარან დიდი ხის ჩრდილქვეშ. მიწა ისე იყო იმ ადგილას ცხენის ფლოქვებისაგან დატკეპნილი, რომ აშკარად ჩანდა, ცხენებზე მსხდომნი აქ დიდხანს შეჩერებულან.

სპენგლერი ცხენიდან ჩამოხდა, ნაკვალევი უფრო კარგად რომ დაეთვალიერებინა.

— აქ ისინი ერთად მდგარან, — თქვა მან, კარგა ხნის შემდეგ, — დიდხანს უსაუბრიათ, მაგრამ უნაგირიდან არც ერთი არ ჩამოსულა. ერთმანეთში ძალიან მეგობრულად ულაპარაკიათ. ვინც არ უნდა

ყოფილიყვნენ ის მხედრები, რომლებიც აქ მდგარან, ერთმანეთი-სადმი მტრულად განწყობილნი არავითარ შემთხვევაში არ ყოფი-ლან. ადამიანები სიგარებს არ ეწევიან ერთად, როცა მეორე წუთში ერთმანეთს ყელის გამოლადვრას უპირებენ. ჩხუბი ალბათ სიგარე-ბის მოწევის შემდეგ მოუვიდათ. ეს უეჭველად ასე უნდა იყოს. და ერთ-ერთმა მათგანმა მეორეს ბოლო მოუღო. ვინ მოკვდა, ეს უკვე ადვილი სათქმელია. საწყალი მისტერ პოინდექსტერი თავის შვილს ცოცხალს ველარასოდეს ნახავს.

— მაგრამ გვამი სად უნდა იყოს?

— მეც ამას ვფიქრობ. ინდიელებს რომ მოეკლათ, გვამის გაუჩი-ნარება გასაკვირი არ იქნებოდა. ისინი გვამს თან წაიღებდნენ, რათა მისგან სამიზნე გაეკეთებინათ. შეიძლება შეეჭამათ კიდევ. მაგრამ აქ ინდიელები არ ყოფილან. არც ერთი წითელკანიანი აქ არ ყოფი-ლა.

— სპენგლერ! ეჭვი ხომ არავისზე გაქვთ? მაინც ვინ უნდა ყოფი-ლიყო ეს მეორე მხედარი.

— მოხუცი დოფერის ნაამბობი რომ არა, მორის მუსტანგერი არც მომაგონდებოდა. მართალია, ეს დაჭედილი მუსტანგის ნაკვალე-ვია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს მაინცდამაინც მისი მუსტანგის ნა-ფეხურები იყოს. მართალია, ახალგაზრდა ირლანდიელი შუარ-ცხყოფას არ მოითმენს, მაგრამ იგი კაცს ქურდულად არ მოკლავს. რაც ვნახეთ, იმის თაობაზე ნურავის ნურათერს ვეტყვით. თუ წახ-ვალთ იქ, სადაც სისხლია დაღვრილი და უკანდაბრუნებული ცხენე-ბის ნაკვალევს გაჰყვებით, მე ხალხს შემოვებრუნებ და გამოგედევ-ნებით. ამრიგად, ვერც ერთი მათგანი ვერ შეიტყობს იმას, რაც ვნა-ხეთ.

— ძალიან კარგი, მაიორო, მე მგონი, ვიცი, სადაც მიგვიყვანს უკანდაბრუნებულების ნაკვალევი.

ეს რომ თქვა, სპენგლერი დაღვრილი სისხლისკენ გაემართა. გე-რელე დათვალიერების შემდეგ განზე გადაუხვია და ბილიკს მიჰყვა.

3 - ნიშანდებული ტყვია

მართალია, სპენგლერი ისეთი დახელოვნებული მეგზური არ იყო, რომ შეუმცდარად გაერჩია ყოველგვარი კვალი, მაგრამ მაინც ისე სწრაფად მიიწევდა წინ, რომ ხალხი ვერ ეწეოდა. მან უკვე იცოდა, ვის კვალსაც მიჰყვებოდა, იმ მუსტანგის ნაკვალევს, რომლის პატრონსაც წინა ღამეს სიგარა მოეწია იქ, სადაც სისხლის ტბორი იდგა.

მართოდ მიმავალმა სპენგლერმა ამერიკული ცხენის ნაკვალევსაც მოჰკრა თვალი. მიხვდა, რომ ეს ნაკვალევი ტრამალის იმ მხარისაკენ მიდიოდა, საიდანაც თვითონ მოვიდნენ. ეჭვი არ იყო, თუ ამ ნაკვალევს გაჰყვებოდნენ, იგი მათ ლეონას ნაპირზე გაშენებული პლანტაციისაკენ წაიყვანდა.

მაგრამ ამ ნაკვალევმაც იმედი გაუცრუა სპენგლერს. ნაკვალევი წინ სწორად კი არ მიემართებოდა, არამედ აქა-იქ უხვევდა, თითქოს მუსტანგზე მხედარი არ მჯდარა, ანდა უნაგირზე სძინებიაო. შეიძლება თუ არა ასეთი მიხვეულ-მოხვეული ნაკვალევი დაეტოვებინა ცხენს, რომელმაც ჩადენილი დანაშაულით აღელვებული და შემფოთებული მხედარი იჯდა?

როცა თქვენ დაინახავთ ცხენზე ამხედრებულ ადამიანს, რომელიც წელში გამართული სწორად ზის უნაგირზე, ფეხები უზანგებში გაუყრია, ხელში აღვირი უჭირავს, მოკლედ რომ ვთქვათ, როგორც მხედარს, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე აქვს, მაგრამ კარგად რომ დააკვირდებით, თავი არ აღმოაჩნდება, ამაზე საოცარი და საშიში რაღა უნდა იყოს!

სწორედ ასეთი სურათი წარმოუდგათ თვალწინ ექსპედიციის მონაწილეებს. ყველამ ინსტინქტურად მოსწია სადავე და ცხენები შეაყენეს, თითქოს უფსკრულს წაადგნენო.

ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ ბალახზე დაგდებული სიგარის ხმაც კი გაიგონეს. ვისაც გამბედაობა ეყო, სწორედ ამ დროს შეათვალიერა უთავო მხედარი. უმრავლესობა გონებადაფანტული ისხდა უნაგირზე და შიშისაგან კანკალებდა.

ეს ხომ უთავო მხედარი იყო! ცხენზე ძალდაუტანებლად წელში გამართული იჯდა, ფეხებზე დეზები უბრწყინავდა, ცალ ხელში ადვირი ეჭირა, მეორე ხელი კი დაბლა ჰქონდა დაშვებული.

ნუთუ მოჩვენებაა? როგორ შეიძლება ის ადამიანი იყოს? მხედრის სხეული იმდენად არაბუნებრივად დიდი იყო, რომ ჩვეულებრივ ცხენზე შემჯდარი ორი კაცისოდენა მოეჩვენათ. იგი გიგანტურ ცხენზე ამხედრებულ გოლიათს მიაგავდა.

— თავად ეშმაკია ცხენზე ამხედრებული! — თქვა უშიშარმა საზღვრისპირას მცხოვრებმა, — ყოვლისშემძლეს, ვფიცავარ, თვითონ ეშმაკია!

მისმა სატანურმა სიცილმა, რასაც თან უხეში ლანძღვა-გინება მიაყოლა, კიდევ უფრო შეაკრთო ექსპედიციის ისედაც შეშინებული მონაწილენი. ეტყობოდა, თვითონ უთავო მხედარზეც მოახდინა გავლენა. იგი უეცრად შემობრუნდა. ამ დროს მისმა ცხენმა ისეთი ყურთასმენის წამლები ჭიხვინი მორთო, რომ მიწას და ჰაერს ცახცახი დააწყებინა. იგი ჭენებით წავიდა წინ, პირდაპირ მზის მიმართულებით. მისი მოძრაობა ისე განსხვავდებოდა სხვა მხედრებისა და ცხენების მოძრაობისაგან, რომ ფილოსოფოსსაც კი საგონებელში ჩააგდებდა.

დაბოლოს, უთავო მხედარი ისე გაუჩინარდა, თითქოს მზის დამაბრმავებელ დისკოში შევიდაო.

4 - ოთხი ცხენოსანი

ფორტ ინჯიდან იმ დღეს მხოლოდ მაიორის მეთაურობით როდი გავიდნენ მდევრები.

მათზე დიდი ხნით ადრე, თითქმის განთიადისას, ოთხმა ცხენოსანმა უკან მოიტოვა ფორტ ინჯი და გეზი მდინარე ნუესასაკენ აიღო.

მაგრამ ისინი ჰენრი პოინდექსტერის გვამის საძებნელად არ წასულან.

მიუხედავად იმისა, რომ მხედართა ორივე ჯგუფი ერთსადიმავე ადგილიდან დაიძრა და ერთსადიმავე მხარეს გაემართნენ, ისინი არაფრით არ ჰგავდნენ ერთმანეთს. იმ ოთხ ცხენოსანს შორის არც ერთი არ იყოს წმინდა სისხლის იბერიელი, თითოეული მათგანის ძარღვებში აცტეკების სისხლი ჩქეფდა. ერთი სიტყვით, ისინი მექსიკელები იყვნენ. ერთი ამ ოთხთაგანი უფრო მაგარი აგებულებისა ჩანდა. ცხენიც უკეთესი ჰყავდა და უფრო მდიდრულად ეცვა. იარაღიც ისე ჰქონდა მოსევადებული, რომ ოთხეულის უფროსი უთუოდ ის უნდა ყოფილიყო. იგი ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა. მისი ხასიათის სისასტიკე და დაუნდებლობა აშკარად გამოსჭვივოდა სახის უხეშ ნაკვთებსა და ცხოველურ, ცივ გამოხედვაში. ეს რომ არა, იტყოდით, ძალიან ლამაზი ვაყიანო. მეგობრებმა დიასს მეტსახელი გარეგნობისათვის როდი უწოდეს. ელ კოიოტი მას თავისი უსაქცევლობისა და მძიმე ხასიათის გამო შეარქვეს.

5 - სვავები მოფრინდნენ

ვისაც კი ტეხასში უმოგზაურია, არ შეიძლება ტეხასისათვის დამახასიათებელი სურათი — მფრინავი სვავების გუნდი არ ენახა.

ასამდე სვავი ჰაერში ირაოს უვლის, მერე დაბლა დაეშვებიან, ტრამალის ბალახს გადაუფრენენ თავზე და ისევ მაღლა აიჭრებიან ცაში. ისე ფრენენ, თითქოს ფრთებს არც კი ამოძრავებენო. არსებობს გადმოცემა, რომ ეს საზიზღარი ფრინველები ტყუილად როდი ფრენენ გუნდ-გუნდად. მათ ქვემოთ, სადაც ისინი ირაოს უვლიან, სულერთია, შენიშნავს ამას მოგზაური თუ არა, მკვდარი ცხოველი ან შეიძლება, მომაკვდავი ადამიანი ეგდოს.

განთიადისას არც ერთი სვავე არ მოჩანდა. ერთი საათის შემდეგ კი ასამდე მოგროვდა და ცაში წრიულად დაიწყეს რიალი. თუ ხეივანში ტეხასელი მგზავრი შემოვიდოდა, იმწამსვე მიხვდებოდა, რომ აქ, ახლო-მახლო სიკვდილს ჰქონდა ბინა დადებული. რამდენიმე ნაბიჯსაც თუ გაივლიდა, ამის დამამტკიცებელ საბუთსაც იპოვიდა. ეს იყო ცხენის ფლოქვებისაგან გადაქელილი სისხლის ტბორი. მეოთხედი მილის დაშორებით კი მიწაზე გართხმულიყო სხეული, რომელმაც სვავეების ყურადღება მიიქცია.

ეს არც ლეში იყო და არც ცხოველი. ეს იყო ადამიანი, ლამაზნაკვთებიანი სახის ყმაწვილი, რომელსაც გაშოტილ სხეულს წამოსასხამი უფარავდა. ამომავალი მზის სხივები, რომლებიც ტყის სიღრმეში იპარებოდა, მის ფერმკრთალ სახეს ზედ დაჰნათოდა. თავზე თეთრი ქუდი სანახევროდღა ეხურა. ქუდის სითეთრე მის ისედაც გაფითრებულ სახეს კიდევ უფრო აფერმკრთალებდა.

ნუთუ მკვდარი იყო?

ეჭვსგარეშეა, რომ სვავებმა მკვდრად ჩათვალეს.

ნახევრად გახელილ გუგებში მზის მოციმციმე შუქმა, თუ დასვენებამ თავისი გააკეთა და ახალგაზრდამ თვალები ფართოდ გაახილა.

მალე წამოიწია კიდევ, ნიდაყვს დაეყრდნო და გაოგნებულმა მოავლო თვალი გარემოს.

სვავეები მალლა აიჭრნენ და კვლავ ერთ ადგილს დაიწყეს ტრიალი.

— მკვდარი ვარ თუ ცოცხალი? — ჩურჩულებდა იგი, — სიზმარია თუ ცხადი? რას ნიშნავს ეს? სადა ვარ? — მზის შუქი თვალს სჭრიდა, ვერაფერს ხედავდა, ვიდრე თვალებზე ხელი არ მოიჩრდილა. ახლაც ყველაფერი ბუნდოვნად ესახებოდა.

— მახსენდება, თავი ხეს მივახეთქე. აგერ ისიც, სწორედ ის ტოტია, რომელმაც ცხენიდან გადმომაგდო. მარცხენა ფეხი მტკივა. ოჰ! გამახსენდა, ხეს დავეჯახე. ღმერთო, მგონი, მოტეხილი მაქვს.

ეს რომ თქვა, წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ ადგა. მარცხენა ფეხი არ ემორჩილებოდა, მუხლთან შესიებოდა. ან დამსხვრეული ჰქონდა ან ნალრძობი.

— ნეტავ, რამდენი ხანია, რაც აქ ვწევარ? მზე ჯერ კიდევ არ ასულა ძალიან მაღლა. განთიადისას შევვკეცი ცხენზე. მგონი, ერთი საათი მაინც ვწევარ გონებადაკარგული.

ერთხელ კიდევ სცადა წამოდგომა, მაგრამ მხოლოდ ცალფეხზე შეძლო დაყრდნობა.

ორი საათი უძრავად იწვა. ამ ხნის განმავლობაში ხმამაღლა გაჰყვიროდა და მშველელს უხმობდა. როცა დარწმუნდა, ხმას ვერავის მიაწვდენდა, მიყუჩდა.

ყვირილმა მოაწყურა. ყოველ შემთხვევაში, გაუძლიერა წყურვილის გრძნობა.

წყურვილი იმდენად მოერია, რომ მალე ფეხის ტკივილიც დაავიწყდა.

— ეს კი ნამდვილად დამლუპავს, თუ აქ დავრჩი, უნდა ვცადო, იქნებ როგორმე წყლამდე მივფორთხდე. თუ მეხსიერება არ მღალატობს, აქ, სადღაც ახლოს, ნაკადული უნდა იყოს. მზე მაღლა იწევს. თავი გამიხურდა. შეიძლება გონიც დავკარგო და მერე... სვავები... მგლები...

ამის გაფიქრებამ შეაჟრჟოლა და დაადუმა. ცოტა ხნის შემდეგ დაჭრილმა ისევ განაგრძო:

— გზა მაინც ვიცოდე. ის ნაკადული კარგად მახსოვს. ცარციანი ტრამალისაკენ რომ მიედინება, აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით უნდა იყოს. ღმერთო, შემეწიე და მომეცი ძალა, წყლამდე მივალწიო!

ეს მავედრებელი სიტყვები რომ წარმოთქვა, ფორთხვას შეუდგა. ქვებზე ისე მიიკლაკნებოდა და მიათრევდა ცალ ფეხს, წელმოწყვეტილ ხვლიკს მოგაგონებდათ. თითქმის მილის მეოთხედი ჰქონდა გავლილი, როცა გაახსენდა, რომ წინსვლის სხვა საშუალებაც არსებობდა.

— ყავარჯნის დახმარებით უფრო გამიადვილდება, — ჩაილაპარაკა მან, — მადლობა გამჩენს, დანაც თან მაქვს. აი, ყავარჯნისათვის ბედგამოჭრილი ნორჩი მუხაც.

დანა ქარქაშიდან ამოიღო, მუხის ტოტი მოჭრა და რის ვაი-ვაგლახით ყავარჯენი გამოჩორკნა.

წამოდგა, წელში გაიმართა და ახლა ყავარჯნის დახმარებით განაგრძო წყლის ძებნა.

წყურვილი ახრჩობდა. ეს იყო მიზეზი, რომ ასე თავდაუზოგავად მოქმედებდა, მაგრამ ძალასა და სულიერ მხნეობას თანდათან ჰკარგავდა. წყურვილის გრძნობა კი გაუსაძლისი ხდებოდა.

ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა და წყურვილს თანდათან უძლიერებდა. პირი აბედივით გაუხდა. ტკივილები სულ უფრო აწუხებდა. ბოლოს იგრძნო, რომ მტკივანი ფეხი სრულიად აღარ ემორჩილებოდა. ძალიან გაუსივდა. ყოველი ნაბიჯი აუტანელ ტკივილს აგრძნობინებდა. იცოდა, რომ სიკვდილი უეცრად არ მოვიდოდა. მართალია, დაცემისას თავი რომ დაჰკრა, მისგან გამოწვეული ტკივილები აუტანლად აწუხებდა და გასიებული ფეხიც უმოწყალოდ სტანჯავდა, მაგრამ ეს ტკივილები საბედისწერო მაინც არ იყო. ბედი უფრო საშინელ სიკვდილს უმზადებდა: წყურვილისაგან უნდა ამოხდომოდა სული.

ამ ფიქრებმა ძალა შეჰმატა და, მიუხედავად იმისა, რომ ნელა მიიწევდა წინ და არაადამიანური ტკივილები სტანჯავდა, გზას მაინც განაგრძობდა.

დაჭრილმა გადარჩენის იმედი უკვე დაკარგა. გადაუწყდა. უკანასკნელად მთელი ძალით შეჰყვირა, მომეშველეთო და მიწაზე მოცელილივით დაეცა.

მგონი, სწორედ ამან იხსნა უცილობელი სიკვდილისაგან. როცა დაეცა, რაღაც სუსტი ხმაური შემოესმა, მიწაზე რომ ყური არ სდებოდა, ისე, რა თქმა უნდა, ვერაფერს გაიგონებდა. ხმაური ძალზე სუსტად ისმოდა, მაგრამ მაინც შეიცნო, რადგან მისი გონება იმჟამად

მხოლოდ წყალზე ფიქრებს მოეცვა. დიახ, ეს ნაკადულის ჩუხჩუხის ხმა მისწვდა მის სმენას! სიხარულის წამოძახილთან ერთად, იგი წამოხტა და იქით გასწია, საიდანაც ნაკადულის ჩხრიალი ისმოდა.

სიცოცხლის სიყვარულმა გაიმარჯვა. ათი წუთიც და ანკარა ნაკადულის პირას განრთხმული ჭაბუკი იმასლა ფიქრობდა, როგორ დაიმონა ისე წყურვილმა, რომ თითქმის სიკვდილის პირამდე მიიყვანა.

6 - ფინჯანი და დოქი

ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ მუსტანგერის ქოხს. მისი მსახური ისევ ისე ზის ოთახის შუაგულში სკამზე. ძალლი კი ტყავზე წამოწოლილა ცეცხლის პირას.

ჩარჩოზე ცხენისტყავგადაკრული კარი ცხენის ტყავისავე ანჯამებით ისევ ძველებურად ეკიდა. კედლებზე წინანდებურად მშვენიერი ცხენის ტყავები იყო აკრული. იგივე მაგიდა, იგივე საწოლი, ორი უბრალო სკამი და მუსტანგის ტყავისაგან დამზადებული საწოლი, რომელზეც ჩვეულებრივ ფელიმს ეძინა.

მაგრამ სხვა „მოძრავი ქონება“ აღარსად ჩანდა. კედელზე აღარ ეკიდა „ვესტლემი რიჩარდის“ მარკის ორლულიანი სანადირო თოფი, მაგიდაზე აღარსად ჩანდა ვერცხლის ფინჯანი, მონადირის რქის საყვირი და სასტვენნი. ოთახის კუთხეში ველარ ნახავდით მექსიკურ მაღალკეხიან უნაგირს, აღვირს, გარსაკრებსა და წამოსასხამებს. სადღაც გამქრალიყო წიგნები, მელანი და კალმისტრები.

მნახველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს იქაურობა ინდიელებს დაერბიათ.

მაგრამ არა. ინდიელები რომ ქოხში შემოჭრილიყვნენ, მაშინ ფელიმი ოთახის შუაგულში ასე მშვიდად არ იქნებოდა სკამზე მჯდარი, მის ქერათმიან თავს უთუოდ სკალპს ააძრობდნენ ინდიელები.

ყველა ნივთი ისევ ქოხში იყო, მაგრამ მათთვის რატომღაც ადგილი შეეცვალათ. ყველაფერი ცხენის ტყავებში გაეხვიათ და თოკებით შეეკრათ. მხოლოდ შემოწნული ბოთლი იდგა ძველ ადგილზე, ოთახის კუთხეში. ფელიმი ნიადაგ ამ შემოწნულ ბოთლს შეჰყურებდა.

— აჰ, ჩემო მარგალიტო, ისევ ძველებურად კუთხეში დგახარ! — ფელიმმა ახლა უკვე მეოცედ გადახედა შემოწნულ ბოთლს, — შენს ლამაზ მუცელში ერთი-ორი კვარტი სასიამოვნო სითხე დგას და მაინც არავის არგია. აი, მეათედი მაინც რომ ჩემს მუცელში ჩავიდეს, საჭმელს კარგად მომანელეებინებდა. ასე არ არის, ტარა?

თავისი სახელი რომ გაიგონა, ძაღლმა თავი ასწია და ფელიმს მიაშტერდა, თითქოს ეკითხებოდა, რა გინდაო.

— ჩემო მარგალიტო! — გაიმეორა ისე, რომ ბოთლისათვის მზერა არ მოუშორებია, — როგორი ლამაზი ხარ. ხომ არ გამცემ, ერთი რომ გაკოცო? მხოლოდ გემოს გაგისინჯავ. ამაში, მგონი, ცუდი არაფერია. ბატონიც არაფერს იტყვის, როცა ნახავს, რამდენი ვიშრომე. მერე მტვერიც ხომ ბლომად ვყლაპე. ამას ხომ ყელის ჩაწმენდა უნდა? მას არც იმის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ამჯერად ჩემი სიტყვის პატრონი აღმოვჩნდები. ნასვამი უფრო მშვიდად დაველოდები. გარდა ამისა, არის კიდევ სხვა საპატიო მიზეზიც. მან ხომ დათქმულ დროს ათი საათი მაინც გადააცდინა და მალოდინებს. ვეტყვი, შენზე ფიქრებმა არ მომასვენა და ცოტა გადავკარი-მეთქი. არაფერსაც არ მეტყვის. წმინდა პატრიკის გულისათვის, მე მხოლოდ დავეყნოსავ და მერე ღმერთმა უწყოდეს, რაც იქნება, იქნეს. იწეე, ტარა, მე არსადაც არ მივდივარ.

ძაღლმა მიმავალი ფელიმის დანახვაზე წამოიწია. იგი ფელიმს განზრახვას ვერ მიუხვდა. ეს უკანასკნელი კი გარეთ იმისთვის გავიდა, დაეზვერა, ბილიკზე მომავალი ბატონი ხომ არ მოჩანსო. ძალიან ნასიამოვნები დარჩა, გზაზე რომ ვერავინ დაინახა. შიგნით შემობრუნდა, კუთხესთან მივიდა, შემოწნული ბოთლი აიღო, საცობი

მოხადა, ბოთლი ტუჩებთან მიიტანა და დაეწაფა. მერე ბოთლი ისევ კუთხეში დადგა და წინანდელ ადგილზე ჩამოჯდა.

კარგა ხანს ჩუმად იჯდა. მერე კი ისევ ტარას და შემოწნულ ბოთლს გამოელაპარაკა.

— მთელი ანგელოზებისა და ეშმაკების სახელით ვამბობ, ძალიან მიკვირს, სად არის ამდენ ხანს ჩვენი ბატონი. დამიბარა, დილით რვა საათზე დავბრუნდებიო. ახლა კი საღამოს ექვსი საათიც იქნება, თუ ტეხასური მზე არა სტყუის. მგონი, რალაც შეემთხვა. შენ რას იტყვი, ტარა?

ძაღლმა, რომელსაც ცხვირში ნაცარი შეეყარა, თავი დაუქნია.

— ღვთიურო ძალებო, ხომ არაფერი შეემთხვა? თუ რამე ხიფათს გადაეყარა, რალა გვეშველება? მაშინ ბალიბალაჰს ველარასოდეს ვიხილავთ, თუ ბატონის ნივთები არ გავყიდეთ. ვერცხლის ფინჯანი მგზავრობის მთელ ხარჯებს დაფარავს. დალახვროს ღმერთმა, ახლა მომაგონდა, რომ ამ ვერცხლის ფინჯნიდან არასოდეს არ დამილევია. მგონი, ასე უფრო ტკბილი იქნება ვისკი. ახლა ყველაზე შესაფერისი დროა, რომ გავსინჯო, როგორი გემო ექნება ფინჯნიდან შესმულ ვისკის.

ეს რომ თქვა, ფინჯანი ჩემოდნიდან ამოიღო. ბოთლს საცობი მოაძრო და კარგა ბლომად დაისხა. შემდეგ ისე გადაკრა, რომ ფინჯანში ერთი წვეთიც არ ჩაუტოვებია და ტუჩების ისეთი წკლაპუნი მოაყოლა, თითქოს ვისკის ჭაშნიკს უსინჯავსო.

ისევ ჩაასხა ვერცხლის ფინჯანში ვისკი. იქიდან კი სასწრაფოდ თავის გაუმაძღარ მუცელში გადაუძახა.

თავის ძველ ადგილზე დაბრუნების ნაცვლად, გადაწყვიტა, გარეთ გამოსულიყო და გაეხედნა. მთვრალსაც აინტერესებდა, ბატონი ხომ არ დაბრუნდაო.

იგი ძაღლთან ერთად ტყისკენ მიმავალი ბილიკით წავიდა ბატონის შესაგებებლად. ავიდა ციცაბო კლდეზე, პლატომზე წამოჯდა და

იქიდან გაჰყურებდა წინ გადაშლილ ტრამაფელიმმა მზერა იქით მიმართა, საიდანაც თავის ბატონს ელოდებოდა და ასე იჯდა ჩუმად.

დიდხანს არ უცდია, ხეებიდან მხედარი გამოვიდა და პირდაპირ გამოსწია.

იგი ერთი მილით მაინც იყო მისგან დაშორებული, მაგრამ ფელიმმა ამ სიშორიდანაც იცნო თავისი ბატონი.

ფელიმი მხოლოდ იმან გააოცა — ამ მზიან საღამოს, სიცხეში, რატომ დასჭირდა მის პატრონს მხრებზე წამოსასხამის მოგდება.

ფელიმი რამდენიმე ხანს უხმოდ შეჰყურებდა მომავალ ბატონს. ამასობაში მხედარმა ნახევარ მილამდე გზა გამოიარა და თანდათან ახლოვდებოდა.

— ღმერთო ძლიერო! რას უნდა ნიშნავდეს ბატონის ასეთი საქციელი? სერაპე თავზე შამოუხურავს! ჩვენ გვეთამაშება, ტარა. უნდა რომ შეგვაშინოს. გვეხუმრება. ღმერთო! მაგრამ რას ჰგავს ეს, გეგონება, თავი არ აქვსო. მართლაც არა აქვს. რას ნიშნავს ეს? ოჰ, ღმერთო სახიერო, რომ არ ვიცოდე, ის ჩემი ბატონია, შიში აქვე გამოთავებდა.

მაგრამ ჩემი ბატონი ვია? როგორღაც დაბალი მეჩვენება. წმინდაო პატრიკ, შეგვეწიე და გვამცნე, რას მოასწავებს ეს ყველაფერი?!

თუ ფელიმი ცოტა ხნის წინათ გაკვირვებული იყო იმით, რაც იხილა, ახლა შიშისაგან კანკალებდა.

როცა ძაღლი მხედარს მიუახლოვდა, სისხლისფერი ბედაური, რომელშიც ფელიმმა პატრონის ცხენი შეიცნო, იმწამსვე მოტრიალდა და უკან გაქუსლა.

ეს რომ ფელიმმა დაინახა, ანდა მოეჩვენა, ასეთი რამ დავინახეო, არა მარტო შეეშინდა, ძარღვებში სისხლი გაეყინა და თავიდან ფეხებამდე კანკალმა დაუარა. ეს იყო თავი — მხედრის თავი, მაგრამ თავის ადგილზე — მხრებზე კი არ ება, არამედ ხელში ეჭირა, უნაგირის კოტასთან!

როცა ცხენი შემობრუნდა, ფელიმმა შენიშნა, ანდა მოეჩვენა, შევნიშნეო, – გასისხლიანებული სახე, რომელსაც სანახევროდ რევოლვერის ბუდე ჰფარავდა!

მეტი აღარაფერი დაუნახავს. იმწამსვე მხედრისაგან იბრუნა პირი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უკან მოკურცხლა.

7 - ოთხი ინდიელი

ფელიმს უკან არ მოუხედავს, ვიდრე ქოხს არ მიაღწია ცეცხლისფერი თმა შიშისაგან ისე აბურძგნოდა, რომ ქუდი თავიდან გადმოვარდნაზე ჰქონდა. ქოხში რომ შევარდა, კარი მიიხურა და რაც ბარგი-ბარხანა მოეძევაობოდა, კარს მიაყარა.

რაც ფელიმმა იხილა, თქმა არ უნდა, მიწიერ არსებას კი არა, უფრო მოჩვენებას წააგავდა. აბა, ვის უნახავს, რომ მხედარს ხელში საკუთარი თავი სჭეროდეს? ვის სმენია ასეთი არაბუნებრივი რამ, ფელიმ ონილს რომ სმენოდა?

იგი მთლიანად შიშმა შეიპყრო. ქოხში წინ და უკან დადიოდა, ხან კი სკამზე ჩამოჯდებოდა და კარებისაკენ აპარებდა თვალს. მაგრამ კართან ვერც ახლოს მისვლა გაბედა და ვერც ჭუჭრუტანაში გახედვა.

ხანდახან თმაში წაივლებოდა ხოლმე ხელს. საფეთქლებს ისრესდა, თვალებს იფშვინებდა. მხოლოდ ერთი გარემოება ამშვიდებდა. პლატოდან დაბლა ჩამომავალმა დაინახა, რომ თავმოკვეთილი მხედრის ბედაური ტყისკენ მიქროდა.

დიდხანს ხმა არ ამოუღია, არც იცოდა, რა უნდა ეთქვა. მხოლოდ უნებურად რაღაცას წამოიძახებდა ხოლმე. კარგა ხნის შემდეგ თანდათან დაუბრუნდა მეტყველებისა და განსჯის უნარი.

– ღმერთო შემეწიე! ის ჩემი ბატონი არ უნდა იყოს. წმინდაო პატრიკ, შენ დამიფარე, მაგრამ ვინ უნდა იყოს? ყველაფერი მისი ჰქონდა: ცხენი, ზოლებიანი წამოსასხამი, წყალგაუმტარი საცვეთები და

თვითონ თავიც, გარდა სახის ნაკვთებისა. სახეზე კი შევხედე, მაგრამ ვერ ვიცანი. თუმცა რას ვიცნობდი, სულ სისხლით იყო მოსვრილი. მისტერ მორისი არ უნდა იყოს, არა, არა! ეს მხოლოდ სიზმარი იყო.

ღმერთო! სწორედ ახლა მჭირდება, რომ დავლიო და ძალა მომეცეს. თუ არ გადავკარი, რული არ მომეკარება. ღმერთო, შენ უშველე გაჭირვებულს. სად არის ჩემი ბატონი, თუ ის საშინელება სხვა ვინმეა? წმინდაო პატრიკ, გადმომხედე ცოდვილს, ხომ ხედავ, ჩემ გარშემო სულელები და მოჩვენებები დაძრწიან.

კარგა ხანს ევედრა კათოლიკეთა ღმერთს — მიშველეო. მერე უფრო სასოებით აღავლინა ლოცვა-ვედრება და შველა ოდითგანვე ცნობილ ღვინისა და მხიარულების ღმერთს, ბახუსს შესთხოვა.

ბახუსმა შეისმინა მისი თხოვნა. ერთ საათსაც არ გაუვლია მას შემდეგ, რაც ფელიმი მუხლმოდრეკილი ეთაყვანა მონონგაჰელა ვისკიში განსახიერებულ წარმართ ღმერთს და ბახუსმაც ყველა სატანჯველისგან გაათავისუფლა იგი. ახლა ქოხში, იატაკზე გაშხლართულს არათუ ზარდამცემი საშინელება ახსოვდა, თავისი არსებობაც კი დაევიწყებინა.

* * *

მორის მუსტანგერის ქოხში ჩამიჩუმიც არ ისმოდა. საათსაც შეეწყვიტა მოუსვენარი ტიკტიკი, დრო კი მაინც თავისი გზით მიდიოდა და ერთვოდა მარადისობას.

ამრიგად, ერთი ღამე კიდევ ჩამოწვა დედამიწაზე.

სამაგიეროდ, გარეთ კვლავ ისმოდა ხმაური. მოჩუხჩუხებდა ნაკადული, შრიალებდნენ ფოთლები, ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინობელები, ღამის მყუდროებაში ტყიდან ხანდახან რომელიღაც მხეცის ღრიალი მოისმოდა.

შუალამისას მთვარეს ისეთი კაშკაში გაჰქონდა, გეგონებოდათ, ალიონი დგებაო. მთვარის შუქი ხეებს შუა ატანდა და ვერცხლისფრად ავარაყებდა მხედრებს. ისინი სინათლეს გაურბოდნენ და გზას ჩრდილში მიიკვლევდნენ.

სულ ოთხნი იყვნენ და საშინელი გარეგნობა ჰქონდათ. სანახევროდ შიშვლებს მუქი წითელი ფერი გადაჰკრავდა. ლოყები სვირინგებით ჰქონდათ დაფარული. თავზე ცეცხლისფერი ფრთები დაემაგრებიანათ და ხელში მოელვარე იარაღი ეჭირათ.

მხედრები კამანჩების ტომის საომარ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი. თავზე შემოკრულ დოღბანდზე არწივის ფრთები დაემაგრებიანათ, ირმის ტყავისაგან შეკერილი შარვლები ეცვათ.

ისინი ტყის ბილიკზე მიძვრებოდნენ. ძაღვზე ფრთხილობდნენ, რომ არ ეხმაურათ, ჩამოცვენილი ფოთლების შრიალსაც კი ერიდებოდნენ და ჩრდილს ეფარებოდნენ. ხშირად ჩერდებოდნენ, უბრალო გაფაჩუნებასაც ყურს უგდებდნენ, მიდამოს ზვერავდნენ და ისე მიიწევდნენ წინ.

აკი გაუმართლდათ კიდევ: ისე მიაღწიეს ქოხის კედლებამდე, რომ ისინი არავის შეუმჩნევია. ქოხიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ფელიმი ხომ ქოხში იყო, მაგრამ ადამიანი თურმე შეიძლება ისე დათვრეს, რომ არა მარტო ლაპარაკის უნარი დაკარგოს, არამედ სუნთქვაც კი შეუსუსტდეს. სწორედ ასეთ დღეში იყო ფელიმ ონილი.

ინდიელები ჩუმად მიიპარნენ კარებთან და გულდასმით შეათვალიერეს. კარი ჩაკეტილი იყო, მაგრამ გვერდებზე ჭუჭრუტანა ჰქონდა დატანებული. ინდიელებმა სწორედ ამ ჭუჭრუტანებს მიადეს ყური და გაინაბენ.

— შესაძლოა, — წაიხურჩულა მეთაურმა დახვეწილ ესპანურ ენაზე, — შინ ჯერ არც კი დაბრუნებულა. თუმცა აქამდე უნდა მოსულიყო. იქნებ ისევ გაემგზავრა სადმე? ჰო, გამახსენდა, ქოხს უკან ცხენების საჩეხე უნდა ჰქონდეს. თუ მისი სისხლისფერი ცხენი იქ აღმოჩნდა, მაშინ მუსტანგერი შინ იქნება. აქ მომიცადეთ, წავალ და ვნახავ.

ექვსიოდე წამში უკვე გამოირკვა, რომ საჩეხე სრულიად ცარიელი იყო.

— ეშმაკმა დალახვროს! — თქვა გაბრაზებულმა მეთაურმა ჩვეულებრივი ხმით, ის აქ არ არის.

— შიგ შევიდეთ და საკუთარი თვალით ვნახოთ, — გაეპასუხა ერთ-ერთი მათგანი გამართული ესპანურით, — არაფერი დაშავდება, თუ ირლანდიელის ქოხს დავათვალიერებთ.

— ღმერთო! — თქვა მეოთხემ იმავე კეთილხმოვან ენაზე, — გამიგონია, მორის ჯერალდს სარდაფში ქვევრები აქვსო. თუ ასეა... — მეთაურმა აღარც კი აცადა თავის ამხანაგს სიტყვის დამთავრება. ქვევრების ხსენებამ მასზე სასწაულებრივად იმოქმედა და პირდაპირ საქმეს შეუდგა.

კარს ფეხი ჰკრა, მაგრამ არ გაიღო.

— კარამბა! კარი შიგნიდანაა ჩაკეტილი, მისი აქ არყოფნის დროს ვაითუ ლომები, ვეფხვები, კამეჩები და ინდიელები შევიდნენ შიგ! ჰა, ჰა, ჰა!

ახლა კი გაბრაზებულმა მაგრად ჰკრა ფეხი კარს, მაგრამ მაინც არ გაიღო. ინდიელმა დანა ამოიღო, ჯერ თხელი ფიცრის კარზე გადაჭიმული ცხენის ტყავი გაჭრა, შემდეგ კი — ფიცარი. შიგ ხელი შეჭყო და ცდილობდა, გამოერკვია, რა იჭერდა კარს შიგნიდან.

მალე შეკრული ბარგი-ბარხანა აქეთ-იქით მიყარ-მოყარეს და ქოხში შევიდნენ. ღია კარში მთვარის შუქი შეიჭრა და ქოხის შუაგულში იატაკზე გაშლართული კაცი დაინახეს.

— სძინავს?

— ალბათ მკვდარია, თორემ ჩვენს ლაპარაკს როგორ ვერ გაიგებდა? — არც ერთია და არც მეორე, — უპასუხა მეთაურმა, როცა ფელიმისაკენ დაიხარა და ხელით შეეხო, — მაგრად გაღეშილია! ეს მუსტანგერის მსახურია, წინათაც მინახავს.

აი, შემოწნული ბოთლიც. ოჰ, როგორ ვარდივით აკმევს სურნელებას. მადლობა ქალბატონ გვადალუპეს, ჩვენი სამყოფიც დარჩენილა.

რამდენიმე წამში გააქრეს ბოთლში ჩარჩენილი მონონგაჰელა.

მაინც რა საქმე ჰქონდათ ინდიელებს მორის მუსტანგერთან? როგორც მათი გულახდილი საუბრიდან ჩანდა, მისი მოკვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

ეს სახუმარო ამბავი როდი იყო. გარდა იმისა, რომ ამ საქმეში ათას დოლარს აძლევდნენ, მეთაურს მორის ჯერალდთან პირადი ანგარიშებიც ჰქონდა გასასწორებელი. თითოეული მისი ამხანაგი კი ას-ას დოლარს მიიღებდა. ამ თანხამ აცდუნა „ინდიელები“.

— ესენი ინდიელები კი არა, მექსიკელები იყვნენ. მათი მეთაური კი მიგელ დიასი გახლდათ.

— უნდა ჩავუსაფრდეთ, — თქვა ელ კოიოტმა, — ახლა მალე დაბრუნდება. შენ, ბარაჯო, ადი მაღლობზე და იქიდან უთვალთვალე, როდის დაბრუნდება. დანარჩენები ჩემთან დარჩებით. მორისი ლეონას მხრიდან გამოჩნდება და ხეობის ძირას, დიდი კვიპაროსის ქვეშ შევხვდებით. ამ საქმისათვის ეს ადგილი ზედგამოჭრილია.

ბარაჯო დაემორჩილა, ქოხიდან გამოვიდა და სათვალთვალე ადგილისაკენ გასწია.

დანარჩენები ქოხში დარჩნენ და სინათლე აანთეს. ასეთი ხელობის ადამიანებს დროის მოსაკვლავად და გასართობად ყოველთვის თან აქვთ სათამაშო ქალაღი.

მაგიდაზე გაჩნდა ქალი, ვალეტი და მონტეს თმაშიც დაიწყო. დრო შეუმჩნეველად გადიოდა. ასე განვლო ერთმა საათმა.

უეცარმა ხმამაღალმა შეძახილმა დიასსა და მის ამფსონებს კარტის თამაში მიატოვებინა.

ეს იყო ყურთასმენის წამლები, გულისგამგმირავი ყვირილი, რაც ფელიმ ონილს პირიდან ამოსკდა ამ უცნაურად გამოწყობილი ადამიანების დანახვისას.

მოთამაშეები ფეხზე წამოხტნენ და დანები მოიმარჯვეს. ფელი-მის გადარჩენა, მგონი, მამაბეციერსაც აღარ შეეძლო.

მაგრამ შემთხვევამ იხსნა მისი სიცოცხლე, კარში აქლოშინებული ბარაჯო გამოჩნდა.

— მოლის! ახლა ალბათ ფრიალო კლდის ძირში იქნება. აბა, იჩქარეთ, იჩქარეთ.

ოც წუთსაც არ გაეგლო, რომ დიასი და მისი ამფსონები კლდის ძირში გაჩნდნენ, საიდანაც მორის ჯერალდის უნდა ჩამოეველო.

მალე ცხენის ფლოქვების თქარა-თქურიც შემოესმათ. დაჭედ-ლი ცხენის ნალის წკრიალი ისე გაისმოდა, ეტყობოდა, ბედაური უსწორმასწორო ზედაპირზე მიიკვლევედა გზას, ალბათ ციცაბოზე თუ ჩამოდიოდა!

ჩასაფრებულები მხედარს ჯერჯერობით ვერ ხედავდნენ. ფერდობი სიბნელეს მოეცვა ისევე, როგორც მაღალი ხეებით დაჩრდილული ველი. მხოლოდ ის ადგილი იყო განათებული, სადაც ჩასაფრებული მკვლელები ისხდნენ. საუბედუროდ, ბილიკი იმ ადგილას არ გადიოდა. მხედარს კვიპაროსის ჩრდილში უნდა გაეველო.

— არ მოკლათ! — წახურჩულა თავის მეგობრებს მიგელ დიასმა, — მაგის მოკვლას მერეც მოვასწრებთ. მინდა ერთი-ორ საათს ცოცხალი ვიყოლიო ხელში. საამისოდ მიზგიც მაქვს. ჩვენ ცხენისა და მისი დაჭერაც შეგვიძლია, თავს მოულოდნელად დავესხმით. თუ წინააღმდეგობა გაგვიწია, მაშინ ადგილზევე დავცხრილოთ, მაგრამ პირველად მე უნდა ვესროლო.

— დაჰყარე იარაღი და ცხენიდან ჩამოხტი, — დასტყვივლა ელ კოი-ოტმა, რომელიც უეცრად გაიჭრა და ცხენს ხელი აღვირში უტაცა. ამ დროს მისი ამხანაგები მხედარს ეცნენ.

არანაირი წინააღმდეგობა, არანაირი გაბრძოლება, არანაირი სროლა. მას ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია!

მათ წინ იდგა მხედარი, რომლისთვისაც ხელი ჩაეველოთ, მაგრამ ეს უკანასკნელი არაფერს გრძნობდა.

მხოლოდ ცხენი ეწინააღმდეგებოდა. ყალყზე დგებოდა და თავ-
დამსხმელებს მიათრევა. ცხენი სინათლისაკენ მიიწევდა, სადაც
მთვარეს უხვად მოეფრქვია სხივები.

— ღმერთო ძლიერო! რა არის ეს?

თავდამსხმელებმა ცხენს ხელი უშვეს და ზარდაცემულები უკუიქ-
ცნენ.

წამიც აღარ დაუყოვნებიათ. პირდაპირ თავიანთი ცხენებისაკენ
გაიქცნენ, ელვაზე უსწრაფესად მოახტნენ და გაქუსლეს.

ეს იყო უთავო მხედარი.

8 - გაურკვეველი კვალი

მართლაც, რა უნდა ყოფილიყო ეს? ნუთუ მოგვეჩვენა? ხან ერ-
თმანეთს, ხან კი თავის თავს ეკითხებოდნენ ელ კოიოტი და მისი ამ-
ფსონები. იგივე კითხვები უტრიალებდა თავში ფელიმს, სანამ მო-
ნონგაჰელამ გონება არ დაუბნელა და შიში კი არა, თავისი არსებო-
ბაც არ გადააფიქრა.

ამაზე ფიქრობდნენ მდევრები, რომლებიც მაიორთან ერთად
ჰენრი პოინდექსტერის საძებნელად იყვნენ გამოსული და საკუთა-
რი თვალთ იხილეს უთავო მხედარი.

ეს მოხდა გამთენიისას და გარკვევით ვერ დაინახეს აღმოსავ-
ლეთ მხარეს ხუთი მილის მანძილზე დაშორებული უთავო მხედრის
იდუმალებით მოცული სახე.

ფელიმმაც აღმოსავლეთისკენ მიმავალი დაინახა უთავო მხედა-
რი. მაგრამ ამ დროს მზე უკვე ჩადიოდა და მისი ალმაცერი სხივები
ფელიმს თვალებში კი არ შეჰყურებდა, პირიქით, ხელს უწყობდა,
უფრო კარგად გაერჩია უთავო მხედრის სახე. მსახურმა იგი თავის
ბატონს მიაამსგავსა, მაგრამ ისიც ვერ გეტყოდათ დარწმუნებით, ნამ-
დვილად მორისი იყო თუ არა.

ოთხი მექსიკელი მხედარი, რომლებიც იცნობდნენ მორის მუს-ტანგერს და მთვარის შუქზე დაინახეს უთავო მხედარი, ამავე აზრის იყვნენ.

მართალია, მაიორთან მყოფი მდევერები ასე ძლიერ არ შეშინებულან, მაგრამ ვერაფრით აეხსნათ, თუ რა უნდა ყოფილიყო ეს საშინელება.

— რას ფიქრობთ, ჯენტლმენებო, რა უნდა იყოს ეს უცნაურობა? — იკითხა მაიორმა, — მე ნამდვილად დაბნეული ვარ.

— ეს ინდიელების რაღაც ხრიკია, — უპასუხა ერთ-ერთმა მათგანმა, — უნდათ, იქით წაგვიტყუონ, სადაც ისინი არიან ჩასაფრებული.

— მე ვფიქრობ, ეს ინდიელების საქმე არ უნდა იყოს, — თქვა მაიორმა, — შენ რას იტყვი, სპინგლერ?

მეგზურმა მხოლოდ მხრები აიჩინა.

— რაც არ უნდა იყოს, ადამიანი, ფიტულა, თუ ეშმაკი, — თქვა ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ, რომელიც საუბარში პირველად ჩაერია, — საშიში არაფერია და ახლა კვალში უნდა ჩავუდგეთ.

მხედრები ისევ დაიძრნენ. ზოგს შიში დაუფლებოდა და მერყეობდა. ბევრი მათგანი კი მართო რომ ყოფილიყო, სიამოვნებით მოკურცხლავდა უკან. მათ რიცხვს ეკუთვნოდა კოლჭაუნიც, რომელსაც უთავო მხედრის დანახვაზე თვალები გაუფართოვდა, ტუჩები მიცვალელებულივით გაუფითრდა. ქვედა ყბა დაბლა ჩამოუვარდა და თავს ძლივს იკავებდა კანკალისაგან.

მაგრამ თითქმის ყველა შეშინებული იყო და მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ისინი უთავო მხედარს გასცქეროდნენ, ვიდრე გაუჩინარდებოდა. ხოლო, როცა მდევერების ჯგუფი დაიძრა, კოლჭაუნი უკან მოექცა და ახლა მისთვის არავის ეცალა.

დაღამებამდე დარჩენილი ნახევარი საათი ამაოდ შესწირეს კვალის ძებნას, რომელიც ბოლოს „ცარცის ტრამალმა“ შთანთქა. მზე

გადაიწვერა. სპენგლერმა გამოთქვა აზრი, დროს ტყუილად ვკარგავთო. სხვა არჩევანი არა ჰქონდათ. უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ და ტყის პირას დაეცათ კარვები.

ჯერ კარვები არც კი გაეშალათ, რომ მაცნემ სასწრაფო უწყება მოუტანა მაიორს. იგი საოლქო ჯარების სარდალს გამოეგზავნა სან ანტონიო დე ბეჯარიდან ფორტში. ფორტიდან კი მაცნემ მოიტანა.

ფორტის გარნიზონის უფროსმა თავისი ტენორით ბრძანება გასცა, ცხენებზე შემსხდარიყვნენ. ვიდრე გახვითქულ ცხენებს ოფლი შეაშრებოდათ, მხედრები კვლავ ზურგზე მოახტნენ.

უწყებაში ეწერა, რომ კამანჩები, როგორც მოსალოდნელი იყო, ლეონას ნაპირზე კი არ გამოჩნდნენ, არამედ თვით საოლქო ქალაქსან ანტონიოსაგან ორმოცდაათი მილის დაშორებით.

მაიორს ნაბრძანები ჰქონდა, დროის დაუკარგავად სასწრაფოდ შეეკრიბა თავისი ძალები და სან ანტონიოში გამოცხადებულიყო. სწორედ ამის გამო ჩქარობდა.

ძებნისათვის თავის მიწებება აზრადაც არავის მოსვლია. იგი გადაიდო, ვიდრე ცხენებს გამოცვლიდნენ და საკვებს მოიმარაგებდნენ. შემდეგ კი ძებნა უნდა განეგრძოთ მანამდე, სანამ ჰენრი პოინდექსტერს ცოცხალს ან მკვდარს არ იპოვიდნენ.

რამდენიმე კაცი სპენგლერთან ერთად დარჩა. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, ამერიკული ცხენის ნაკვალევს მიჰყოლოდნენ. სპენგლერის აზრით, მის ნაკვალევს ისინი კასა დელ კორვოში უნდა მოეყვანა. დანარჩენები მაიორს გაჰყვნენ.

დათქვეს, მეორე დღისათვის ადრიანად შეკრებილიყვნენ და გაჰყოლოდნენ მორისისა და ჰენრის ნაკვალევს და მანამდე ეძებნათ, ვიდრე მკვდრებს ან ცოცხლებს არ აღმოაჩენდნენ.

ვინც სპენგლერთან ერთად დარჩა, მაიორის მიერ შერჩეულ ადგილას გაშალეს კარავი. სულ თორმეტნი იყვნენ. უფრო ძლიერი

შეიარაღებული ჯგუფის დატოვება არც იყო საჭირო, რადგან კამანჩებს ამ მხარეში აღარ მოელოდნენ. ხოლო რაც მათ ევალებოდათ, ორ-სამ კაცსაც შეეძლო შეესრულებინა.

როცა მაიორის ჯგუფი წავიდა, დარჩენილები, ნაცვლად იმისა, რომ დაეძინათ, ტყის პირას ანთებულ ცეცხლს შემოსხდომოდნენ. სანოვაგე საკმაოდ ჰქონდათ. წასვლის წინ ჯარისკაცებმა თავიანთი საგზალი დაუტოვეს, რადგან თვითონ ფორტში ბრუნდებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ არც სასმელი აკლდათ და ცეცხლიც საამოდ ტკაცუნებდა, მაინც ცუდ გუნებაზე იყვნენ. თითოეულ მათგანს მძიმე ლოდივით რაღაც აწვა გულზე. მხიარულება ახლოსაც არ ეკარებოდათ, თორემ დროსტარებაზე უკეთესი რა უნდა იყოს ამქვეყნაზე!

დაბანაკებულთა უგუნებობა ადვილი ასახსნელი იყო. მათს წარმოდგენაში კვლავ ცოცხლობდა უთავო მხედრის გარეგნობა და შიშის ზაფრა ჯერ კიდევ არ გამონელებოდათ. ათასი რამ გაიხსენეს, ოხუნჯობაც კი დაიწყეს უთავო მხედარზე, მაგრამ ვერასგზით ვერ მიხვედრილიყვნენ, რა უნდა ყოფილიყო ეს საშინელება.

კოლჰაუნი თითქოს ყველაზე მოწყენილი ჩანდა. წარბები მოენუსხა, ცეცხლისაგან კარგა მოშორებით ხეების ჩრდილქვეშ მიმჯდარიყო და ხმას არ იღებდა. ეტყობოდა, ცეცხლთან ახლო შემომსხდარ მხედრებთან მისვლას ერიდებოდა. ეშმაკმა უწყის, რატომ ცდილობდა განმარტოებით ყოფნას. იქნებ ეშინოდა — სულში არავინ ჩამხედოსო.

თვალეები კვლავ ველურივით უელავდა, ისევე, როგორც მზის ჩასვლისას, როცა უთავო მხედარი შენიშნეს.

როგორც კი მისმა თანამეინახეებმა მიიძინეს და ხვრინვა ამოუშვეს, კოლჰაუნი ადგა და ფრთხილად მოსცილდა მათ.

ასევე ქურდული ნაბიჯით გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც მისი ცხენი იყო ხებე გამობმული.

ხიდან აღვირი მოხსნა, ცხენს კისერზე გადააცვა, მერე უჩუმრად ზედ შეჯდა და ქურდულად გაიპარა.

როგორც მისი მოქმედებიდან ჩანდა, სულაც არ იყო მთვრალი. პირიქით, ყველაფერს ფხიზელი გონების კარნახით აკეთებდა. და რაღაც წინასწარ მოფიქრებული მიზნის შესასრულებლად ისწრაფვოდა.

იგი ჩვენ მიერ უკვე აღწერილ ბილიკზე მიდიოდა. როცა გზიდან გადახვევა დააპირა, დაინახა, რომ ტყეში ასე გვიან ღამით მის გარდა, სხვა მხედარიც მიდიოდა. ისიც შესანიშნავ ცხენზე იჯდა და კოლჭაუნს უახლოვდებოდა. ოღონდ მასავით ნელა კი არ მოჰყავდა, არამედ მოაგელვებდა.

კოლჭაუნი არ შეიძლებოდა შემცდარიყო. მთვარის ვერცხლისფერი სხივები მომავალი მხედრის მთელ ტანსა და მხრებს ეფინებოდა, მაგრამ თავი არსად ჩანდა. შეუძლებელი იყო, მთვარის შუქზე ასეთი რამ მოსჩვენებოდა. მით უფრო, რომ კოლჭაუნმა იგივე მხედარი მზის სინათლეზეც დაინახა. ახლა უფრო დაწვრილებით გაარჩია სისხლში მოსვრილი თავი, რომელსაც რევოლვერის ბეწვიანი ბუდე სანახევროდ ჰფარავდა! უფრო მეტიც, მან შეიცნო ცხენი, მხედრის მხრებზე წამოგდებული ზოლებიანი სერაპე და ვეფხვის ტყავის საცვეთები, რომლებიც ფეხზე ეცვა. ერთი სიტყვით, მან დაინახა მორის მუსტანგერის მთელი მორთულობა.

საკმაო დრო ჰქონდა, რომ თითოეული წვრილმანი კარგად დაეთვალიერებინა. იგი შიშმა გააქვავა ერთ ადგილზე. ეტყობოდა, კოლჭაუნის ცხენსაც გადაედო პატრონის ძრწოლა. პირუტყვს მთელი ტანი უცახცახებდა, მაგრამ გაქცევა არც მაშინ უცდია, როცა უთავო მხედარი მათ წინ შეჩერდა და მქშინავი ცხენი ყალყზე შეაყენა. სისხლისფერმა ბედაურმა, რომელზეც უთავო მხედარი იჯდა, ველური ჭიხვინი ატეხა. მის უკან მიმავალმა ძაღლმა ცმუილით მისცა ბა-

ნი. ცხენი მობრუნდა და ბილიკზე ჭენებით წავიდა. შიშისაგან გაოგნებულ კოლჰაუნს მხოლოდ ახლავდა დაუბრუნდა მეტყველების უნარი.

— ღმერთო ძლიერო! რას უნდა ნიშნავდეს ეს? ადამიანია თუ ემპაკი? სიზმარში ხომ არა ვარ მთელი დღე?

მან სწრაფად მოზიდა აღვირი, ცხენი შემოაბრუნა და იმავე გზით გამოსწია უკან. აღარსად შეჩერებულა, სანამ ბანაკს არ მოაღწია. ქურდული ნაბიჯებით ჩაუარა თავის თანამეინახეებს და ცეცხლის პირას დაწვა. მთელი სხეული უკანკალებდა და ასე დაათენდა თავზე. დღის სინათლეზე კი გამოჩნდა მისი უძილობისაგან გაცრეცილი, გაფერმკრთალებული, მოთენთილი და თვალებჩაცვივნული სახე.

9 - იდუმალი აღიარება

ჰასიენდა კასა დელ კორვოში დილიდანვე დიდი ფუსფუსი იდგა. ეზო შეიარაღებული ხალხით იყო სავსე. ზოგს გრძელი სანადირო თოფი გადაეკიდა მხარზე, ზოგიერთს — ორლულიანი. სხვები რევოლვერებით, დანებითა და ნაჯახებით შეიარაღებულიყვნენ. ძნელი იყო გამოცნობა, რა განებრაახათ. ისინი მშვიდობიან დროსაც ასე ჩაცმულები და შეიარაღებულები დადიოდნენ.

მაგრამ ახლა მათი მიზანი სრულიად გარკვეული იყო. წინა დღეს მათი უმრავლესობა თან ახლდა პოინდექსტერის გვამის საძებნელად წასულ დრაგუნებს, რომელთაც მაიორი მეთაურობდა. ახლა ამ ჯგუფს შეერთებოდნენ უფრო შორეული კუთხეებიდან ჩამოსულები, აგრეთვე მონადირეები, რომლებიც წინა დღეს სახლში არ იმყოფებოდნენ.

ვინც წინა დღეს უცნაური სანახაობა საკუთარი თვალით იხილა, ახლა სხვას უყვებოდა ტრამალზე უთავო მხედრის გამოჩენის ამბავს და იყო ერთი მითქმა-მოთქმა. ისინი, ვისაც არ ენახა უთავო მხედარი, ამ ამბავს უნდობლად მოეკიდნენ და ხუმრობადაც კი ჩათვალეს,

მაგრამ იმდენად ბევრი იყო მნახველი და ისე სერიოზულად ამტკიცებდნენ — საკუთარი თვალით ვნახეთ ეს უცნაურობაო, რომ სხვებიც დაარწმუნეს ამის სიმართლეში.

მრავალი აზრი გამოითქვა უთავო მხედარზე, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი ჰგავდა სიმართლეს. ეს გახლდათ საზღვრისპირა ერთ-ერთი მცხოვრების გამოთქმული ვარაუდი: ცხენი ნამდვილი უნდა იყოს, ხოლო მხედარი — ფიტულიაო. მაგრამ ვინ და რა მიზნით მოაწყო ეს თამაში, ამის გამოცნობა არავის უცდია.

ყველამ იცოდა, რისთვისაც იყვნენ მოსული და ამჟამად მათი მეთაურის — ვუდლი პოინდექსტერის ნიშანსღა ელოდნენ, რომ დაძრულიყვნენ.

პოინდექსტერი კი მეგზურის გამოჩენას ელოდებოდა, ისეთი მეგზურისას, რომელსაც შეეძლო ისინი ალამოს ნაპირებისაკენ წაეყვანა და მორის მუსტანგერის სახლი ეჩვენებინა.

ასეთი პიროვნება შეკრებილებს შორის არავინ აღმოჩნდა. პლანტატორებმა, ვაჭრებმა, მედუქნეებმა, ვექილებმა, მონადირეებმა, დალალებმა და მონებით მოვაჭრეებმა — არც ერთმა არ იცოდა გზა ალამოსაკენ.

მთელ ახალშენში ასეთი მეგზურობის გაწევა მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო — ეს იყო მოხუცი გებ სტუმპი.

მაგრამ ის ვერსად იპოვეს, მის მოსაყვანად წარგზავნილ მხედრებს სანადიროდ წასული დაუხვდათ.

თვითონ ჰასიენდა კასა დელ კორვოში იყო ერთი ქალი, რომელსაც შეეძლო მდევარი ალამოს ნაპირზე ქოხში მიეყვანა და ეჭვმიტანილი მკვლელის ბინა ეჩვენებინა.

ვუდლი პოინდექსტერმა ეს არ იცოდა. შესაძლოა, ეს მისთვის უკეთესიც იყო; დიახ, ამაყმა პლანტატორმა არ იცოდა, რომ სწორედ მის ქალიშვილს შეეძლო ალამოს ნაპირზე განმარტოებული ქოხისაკენ მიმავალი გზის ჩვენება.

ეს რომ შეეცყო, გზააბნეულ, ცოდვილ საკუთარ ქალიშვილზე დარდი დაჩრდილავდა დაკარგულ ვაჟზე მწუხარებას.

ზებ სტუმპთან ყველაზე ბოლოს გაგზავნილი შიკრიკიც რომ მართო დაბრუნდა, გადაწყვიტეს, აღარ დაეცადათ და გზას გაუდგნენ.

* * *

ჰასიენდა კასა დელ კორვოდან წასული შურისმაძიებლები ჯერ კიდევ თვალს არ მიჰფარებოდნენ, როცა ორი ადამიანი, რომელთაც შეეძლოთ მათთვის მეგზურობა გაეწიათ, ჰასიენდაში საუბრობდნენ.

ისინი საიდუმლოდ და წინასწარი შეთანხმებით არ შეხვედრიან ერთმანეთს. ეს შეხვედრა უბრალოდ და შემთხვევით მოხდა. ზებ სტუმპი, ჩვეულებრივ, ნანადირევით მოვიდა კასა დელ კორვოშიზებ სტუმპისათვის ლუიზა ყოველთვის შინ გახლდათ. ლუიზას თვითონაც გულით ეწადა მისი ნახვა. ეს წადილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ახალგაზრდა ლედი წინა დღეს მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე სულ მდინარის გაღმა გაჰყურებდა გზას.

ლუიზა მოუთმენლად ელოდა შურისმაძიებელთა წასვლას. როგორც კი მათი ხმაური მიწყდა, ნატვრაც აუსრულდა. მდინარის გაღმა დაინახა თავის ბებერ ფაშატზე ამხედრებული ზებ სტუმპი, რომელსაც ნადავლით დატვირთული ცხენი ნელა მოჰყავდა. ეტყობოდა, მოხუც მონადირეს გეზი ჰასიენდისკენ ჰქონდა აღებული.

მისი მოუხეშავი ვეებერთელა ტანის დანახვამ ლუიზა ძალზე გაახარა. ახალგაზრდა ლედიმ მასში ჭეშმარიტი მეგობარი შეიცნო, მეგობარი, რომლისთვისაც ყველა საიდუმლოების განდობა შეეძლო. ლუიზას სწორედ ახლა ესაჭიროებოდა ზებ სტუმპი, რომ მისთვის თავისი გულის ხვაშიადი გაენდო. ეს საიდუმლო ამბავი აგერ მთელი დღეა, გულს უღრღნიდა.

ზებ სტუმპი უდარდელი ღიმილით შემოვიდა ჰასიენდას ეზოში. ეტყობოდა, არაფერი იცოდა იმ შემთხვევაზე, რომელმაც მთელი

ოჯახი დაამწუხრა. იგი ძალიან გაკვირვებული დარჩა, როცა ალაცაფის კარები ურდულითა და ჯაჭვით დაუხვდა დაკეტილი.

ჰასიენდას ახალ მეპატრონეებს ჩვეულებრივ ალაცაფის კარი ღია ჰქონდათ.

კარში შემოგებებული მონა ზანგის — პლუტოს დაღვრემილმა სახემ კიდევ უფრო გააძლიერა მისი გაცემა. ძველმა მონადირემ ველარ მოითმინა და ჰკითხა:

— რა დაგემართა, პლუტო? იმედია, ისეთი არაფერი მომხდარა.

— ეჰ, მასსა სტუმპ, დიდი უბედურება შეგვემთხვა, ძალიან დიდი უბედურება.

— უბედურება?! — ლუიზას ხომ არაფერი შეემთხვა?!

— არა, არა! მისს ლუიზა ძალიან კარგადაა. შინ გახლავთ, შედით და თვითონ მოგიყვებათ საშინელ ამბავს.

— შენი ბატონიც შინაა?

— არა, შინ არ არის. იგი ახლა სახლიდან კარგა შორსაა. თხუთმეტი წუთი მაინც იქნება, რაც წავიდა. ტრამალისაკენ წავიდა, სადაც ველური ცხენები დანავარდობენ.

— სადაც ველური ცხენები დანავარდობენ? მერედა, იქ რა უნდოდა? თან ვინ გაიყოლა?

— თან მისტერ კოლჰაუნი და ბევრი თეთრი ჯენტლმენი წაიყვანა, ძალიან, ძალიან ბევრი ხალხი წავიდა.

— მისტერ ჰენრი სადღაა, ისიც მათ გაჰყვა?

— ოჰ, მისტერ სტუმპ, სწორედ ეგაა ჩვენი გასაჭირი. ეს ყველაფერი მის გამო მოხდა. სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. მისი ცხენი კი დაბრუნდა და სულ სისხლშია ამოთხვრილი. ოჰ! ამბობენ, რომ მასსა ჰენრი მოკვდა.

— მოკვდა?! ხუმრობ თუ მართალს ამბობ?

— ოჰ! ძალიან ძნელი სათქმელია, მისსა სტუმპ, მაგრამ ეს სიმართლეა, ყველანი მისი გვამის საძებნელად წავიდნენ.

— აჰა! წაილე სამზარეულოში ინდაური და ტყის ქათმები. მის ლუიზა სად არის?

— აქ ვარ, მისტერ სტუმპ, აქეთ მობრძანდით! — მიმართა თავისი ტკბილი წკრიალა ხმით ლუიზამ, რომელსაც მომხდარი უბედურების გამო ხმა ისე გამოცვლოდა, რომ სტუმპმაც კი ძლივს იცნო, — ვაი, რომ, რაც პლუტომ გითხრა, ყოველივე მართალია. ჩემი ძმა დაიკარგა. გუშინწინ საღამოს აქეთ აღარავის უნახავს. მხოლოდ მისი ცხენი დაბრუნდა და უნაგირზე სისხლის ლაქები აჩნდა. ოჰ, ძვირფასო ზებ, ამაზე ფიქრიც კი მაძრწუნებს.

— ნამდვილად ცუდი ამბავია. სადღაც წავიდა და უკან მხოლოდ მისი ცხენი დაბრუნდა? მანამდე კი ყოველივე დაწვრილებით უნდა მიაბზო.

ლუიზა ყველაფერს მოუყვა, რაც იცოდა. მხოლოდ ბაღში მომხდარი ამბავი არ გაუმხელია. თუ რატომ დაედევნა ჰენრი მუსტანგერს, საამისოდ ობერლოფერის მონაცოლი მოიშველია.

ხოლო როცა უთხრა: ხალხს ჰენრის მკვლელად მორის მუსტანგერი მიაჩნიაო, ახალგაზრდა ლედი უსაზღვრო სევდამ მოიცვა.

— ეს მონაჩმახია! — დაიყვირა მონადირემ, — ტყუილია, მოჭორილია! ეს მხოლოდ საზიზღარ ცილისმწამებელს შეეძლო ეთქვა. ეს შეუძლებელია. მუსტანგერი ასეთ რამეს არასოდეს არ ჩაიდენს. ანდა რისთვის უნდა ჩაედინა? მათ შორის რომ რაიმე მტრობა ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ ასეთი რამ არ ყოფილა. მე შემიძლია თავდებად დავუდგე მუსტანგერს. ჩემთან მას ბევრჯერ ულაპარაკია თქვენს ძმაზე, მაგრამ კარგის მეტი არასოდეს არაფერი უთქვამს. მართალია, მას თქვენი მამიდაშვილი ეჯავრებოდა, მაგრამ ის არავისაც არ უყვარს. მაპატიეთ, რომ ამას გეუბნებით. თუ თქვენს ძმასა და მუსტანგერს მოუვიდათ უსიამოვნება ეს უკვე სხვა საქმეა..

— არა, არა! — დაიყვირა ლუიზამ, ბოლმამ მას ყველაფერი გადაავიწყა და თავი გასცა, — ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჰენრის

სურდა, ბოდიში მოეხადა მასთან. მან თვითონ ასე თქვა. და მორისი...

ზებ სტუმპის განცვიფრებულ სახეს რომ შეხედა, ლუიზამ ლაპარაკი შეწყვიტა. სახეზე ხელები აიფარა და ხმამღლა ქვითინი წასკდა.

— ოჰ, — ამოიოხრა ზებმა, — რაღაც მომხდარა მათ შორის. თქვენ მითხარით, მის ლუიზა, რომ თქვენი ძმა და მუსტანგერი წალაპარაკდნენ, არა?

— ძვირფასო, საყვარელო ზებ! — წამოიძახა ლუიზამ, სახიდან ხელები მოიცალა და გოლიათ მონადირეს გულწრფელი მუდარით შესთხოვა: — აღმითქვით, რომ საიდუმლოს შემინახავთ. როგორც მამას და გულწრფელ ადამიანს, როგორც მეგობარს გთხოვთ, მომცეთ ამის პირობა. აღმითქვით, რომ ეს საიდუმლო თქვენთან დარჩება!

პასუხის ნაცვლად მონადირემ მკერდზე მძლავრად დაირტყა ხელი.

ხუთ წუთში ზებ სტუმპმა შეიტყო მთელი საიდუმლოება, რასაც ქალი იშვიათად თუ გაანდობს ვინმეს.

ზებ სტუმპი ამ ამბავმა ნაკლებად გააკვირვა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მან მხოლოდ თავისთვის ჩაიბურტყუნა! — განა არ ვიცოდი, რაღაც უნდა მომხდარიყო, განსაკუთრებით ტრამაღზე ჭირითის შემდეგ. — კარგი, მაგრამ ზებ სტუმპი ამაში სამარცხვინოს ვერაფერს ხედავს, — ისე უთხრა ბებერმა მონადირემ, თითქოს საქციელს უწონებსო. — ქალი ყველგან ქალია, ასეა მთელი დედამიწის წურგზე და რაღა მაინცდამაინც ტრამალი უნდა იყოს გამონაკლისი? თქვენი პატარა გული მუსტანგერს ჩააბარეთ, ეს როდი ნიშნავს, რომ შეცდომა დაუშვით. მართალია, ის ირლანდიელია, მაგრამ არაჩვეულებრივი ადამიანია. მე ცოტა რამ დამეჭვრება, დანარჩენი კი, რაც თქვენ მითხარით, ჩემს მოსაზრებას ადასტურებს. მუსტანგერს ასეთი დანაშაულის ჩადენა არ შეეძლო, თუკი საერთოდ, ასეთი რამ

მომხდარა. ან რა დამამტკიცებელი საბუთი არსებობს, რომ მკვლელობა მოხდა? ცხენი რომ სისხლის ლაქებით მოსვრილი დაბრუნდა?

— ვაი რომ დამამტკიცებელი საბუთები უფრო მეტია! გუშინ მთელი დღე ეძებდნენ. ნაკვალევს გაჰყვნენ და რაღაც იპოვეს, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამთ. მგონი, მამაჩემს არ უნდოდა, რომ გამეგო.

— მუსტანგერი სადღაა? მან რა თქვა?

— აჰ, მე მეგონა, თქვენ ყველაფერი იცოდით. არც მორისი ჩანს. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, შეიძლება მასაც იმავე ხელმა მოუღო ბოლო, ვინც ჩემი ძმა წუთისოფელს გამოასალმა.

— თქვენ თქვით, ისინი ნაკვალევს გაჰყვნენო? ალბათ მუსტანგერის ცხენის ნაკვალევს, არა? თუ ის ცოცხალია, მაშინ თავის ქოხში იქნება. რატომ ქოხისაკენ არ წავიდნენ? აჰ! თუმცა გასაგებია, ჩემ გარდა, არც არავინ იცის, სად ცხოვრობს მორისი.

— ძალიან კარგი, თუ ისინი მუსტანგერის საძებნელად წავიდნენ, მეც იქით გავეშურები და თუნდა ნიძლავს ჩამოვალ, მე უფრო ადრე ვიპოვი მას, ვიდრე ისინი.

— ძვირფასო ზებ, ჩემი გულისათვის, მორისისათვის, — თქვენ ხომ მას მეგობარს უწოდებთ, გემუდარებით, ალამოს ნაპირზე, მორისის ქოხში, მათზე ადრე მიხვიდეთ და განსაცდელისაგან დაიხსნათ იგი! აქ თქვენი ცხენი არ გამოდგება, ჩემი წაიყვანეთ. ანდა საჯინბოდან აარჩიეთ, რომელიც გინდათ...

— მორისს მართლაც ემუქრება განსაცდელი. ყველაფერს ვიღონებ, რაც კი შემიძლია. ნუ იღარდებთ, მის ლუიზა. ისეთი საჩქარო არაფერია. ისინი ბევრს იხეტიალებენ, სანამ ქოხს იპოვნინან. თქვენს ბედაურს კი ჩემი ჭაკი მირჩევნია. ჩემიც ცხენი შეკამბულიცაა, თუ პლუტოს უნაგირი არ მოუხსნია. ნუ იღარდებთ, შეიძლება თქვენი ძმის საქმე არც ისე ცუდადაა. რაც შეეხება მუსტანგერს, ამ საქმეში ისეთი უცოდველია, როგორც ძუძუმწოვარა ბავშვი.

ეს რომ თქვა, ზეხსტუმპმა უგერგილოდ დაუკრა თავი ლუიზას და ვერანდიდან დაბლა ჩამოვიდა. ლუიზა კი თავის ოთახში შევარდა, რომ აფორიაქებული სული დაეწყნარებინა.

10 - წერილის ხელში ჩაგდება

შიშისაგან დამფრთხალი ელ კოიოტი და მისი ამფსონები ცხენებთან მივიდნენ და უნაგირებზე ძლივს აფორთხდნენ.

მორის ჯერალდის ქოხში უკან დაბრუნება აღარც უფიქრიათ. პირიქით, ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს გაეღწიათ თავი მუსტანგერის განმარტოებული ქოხიდან, რომლის პატრონიც ჩასაფრებულებს ასე უცნაურად წამოადგა თავს.

ის რომ „დონ მაურისიო“ იყო, ამაში არც ერთ მათგანს ეჭვი არ შეჰპარვია, ოთხივენი იცნობდნენ მორის ჯერალდს. ყველაზე კარგად დიასი იცნობდა მას, მაგრამ ახლა ოთხივე დარწმუნდა, რომ უთავო მხედარი ირლანდიელი მუსტანგერი იყო. მათ იცნეს მისი ცხენიც, აგრეთვე იარაღი და ინდიელთა ნახელავი — სერაპე, რომელიც მექსიკური წამოსასხამისაგან აშკარად განსხვავდებოდა. და რაც მთავარია, მისი თავი!

ისინი არ შეჩერებულან, რომ სახის ნაკვთები კარგად გაერჩიათ. ოღონდ მოჭრილ თავზე ნამდვილად შენიშნეს შავი, მოელვარე ქუდი — სომბრერო, რომელსაც მორის მუსტანგერი ატარებდა.

გარდა ამისა, დაინახეს მხედარს უკან მომავალი დიდი ძაღლი. დიასს გაახსენდა, რომ ეს ძაღლი მუსტანგერისა იყო. ძაღლი წინ გადმოხტა და თავდამსხმელებს მძვინვარე ყუფით დაედევნა.

გზაში ერთთავად უთავო მხედარზე ლაპარაკობდნენ. შიშისაგან დაზატრულებს ისევ ის არამიწიერი მოჩვენება ედგათ თვალწინ.

— დასწყევლოს ეშმაკმა! — წამოიძახა ელ კოიოტმა, როცა თავის ქოხში შევიდა და ლერწმის საწოლზე გაიშოტა, — რაღა დააძინებს კაცს. ღმერთო ჩემო, რა სანახავი იყო! ძარღვებში სისხლი გამეყინა.

სასმელიც კი არა მაქვს, რომ გავთბე. მათარა ცარიელია. სასტუმრო დაკეტილია. ახლა ყველას სძინავს.

— ღვთისმშობელო, რა უნდა ყოფილიყო? იქნებ სულია? მაგრამ ხორცი და ძვალი რომ ჰქონდა, ხომ მე თვითონ ვნახე! დასწყევლოს ეშმაკმა! მერედა, რა საზარელი მოჩვენება იყო! ნუთუ ვინმემ დამასწრო? იქნებ ჩემ გარდა, კიდევ შესთავაზა ვინმეს ათასი დოლარი? იქნებ უკვე ჩაიხსრიალა კიდევ მან ფული? ნუთუ ის ირლანდიელი იყო და ხელში საკუთარი თავი ეჭირა?

— აჰ! ეს შეუძლებელია. იმდენად დაუჯერებელია, რომ სასაცდლოც კია.

— მაშ რა იყო?

— აჰ! ახლა კი ვიცი. გააფრთხილეს, რომ თავს უნდა დავსხმოდით, ან თვითონ მიხვდა გუმანით. ეს მახე ჩვენ დაგვიგეს, რომ გავეპამპულებინეთ. თვითონ კი იქ იყო და ჩვენს სამარცხვინო გაქცევას უყურებდა!

— რეგვენები! საფრთხობელამ შეგვაშინა! მაგრამ ეს დიდხანს ვერ შეანელებს ჩემს შურისძიებას. ხვალვე მეორედ წავალ ალამოს ნაპირზე. მაინც ავიღებ იმ ათას დოლარს, თუნდაც ამისთვის მთელი წელიწადი დამჭირდეს. მაინც გავაკეთებ ამ საქმეს. სადარდებლად ისიც მეყოფა, ისიდორა რომ დავკარგე. შესაძლოა, არც დამიკარგავს, მაგრამ მარტო ამისი გაფიქრებაც მაგიჟებს. თუ გავიგე, რომ ისიდორას მორისი უყვარს და ისინი ხვდებიან ერთმანეთს, მერე მორჩა... ღვთისმშობელო! შენ დამიფარე... ნამდვილად შევიშლები. შეშლილიც ვერ მოვისვენებ, ვიდრე იმ კაცს არ მოვკლავ და ზედ ქალსაც არ მივაყოლებ, ქალს, რომელიც მიყვარს... ო, დონა ისიდორა კოვარუბიო დე ლოს ლანოს! სილამაზის ქალღმერთო და ბოროტების სავანე! მე შემძლია მხოლოდ ალერსით ან ხანჯლით განგემირო!

დიასი, ცოტა არ იყოს, დაწყნარდა ცალკერძ ისიდორა კოვარუბიოსადმი დამუქრებით, ცალკერძ კი იმ ახსნა-განმარტებით, რომელიც გამოუძებნა უთავო მხედრის გამოჩენას ტრამაღზე. ოდნავ დამშვიდდა და მალე ჩაძინა კიდევ. მხოლოდ მაშინ გაიღვიძა, როცა მის ქოხში შეიჭვრიტა მზის სხივებმა, რომელთაც თან სტუმარიც მოჰყვა.

— ხოზე! — წამოიძახა განცვიფრებულმა დიასმა ისეთი ხმით, ეტყობოდა, მოსულის ნახვა ძალიან გაუხარდა, — შენა ხარ?

— დიახ, სინიორ.

— ძალიან გამიხარდა შენი ნახვა, ჩემო კარგო. დონა ისიდორა აქ არის? მე მინდოდა მეთქვა, ჩამოვიდა?

— დიახ, სინიორ.

— ასე მალე? ის ხომ რაღაც ორი კვირის წინათ იყო აქ? მართალია, თვითონ არ ვყოფილვარ ახალშენში, მაგრამ მაცნობეს. მე შენგან წერილს ველოდი, ჩემო კარგო. რატომ არაფერი შემატყობინე?

— მხოლოდ იმიტომ, დონ მიგელ, რომ სანდო კაცი ვერ ვიშოვე. ისეთი რამ მინდოდა შემეტყობინებინა, რომ უცხო ადამიანს ვერ ვენდე.

ტრამაღის მგელი გველცემულივით წამოხტა.

— ისევ ისიდორასა და მორისზე გინდა მელაპარაკო? სახეზე გატყობ, რომ ასეა. შენი ქალბატონი ისევ შეხვდა მორისს?

— არა, სინიორ, მეორედ აღარ შეხვედრია.

— მაშ რა მოხდა?

— სამჯერ გამატანა ისიდორამ დაჭრილთან კალათა და მესამედ შიგ წერილიც იღო.

— წერილი! შინაარსი თუ იცი? წაიკითხე თუ არა?

— იმ სიკეთეს თქვენ უნდა გიმაღლოდეთ, რომ ყმა გლეხის ბიჭმა არა მარტო შევძელი წამეკითხა წერილი, არამედ გადამეწერა კიდევ.

— თან გაქვს?

— დიახ, დონ მიგელ, ტყუილად არ გარჯილხართ, რომ სკოლაში მატარებდით. აი, ეს არის, რასაც დონა ისიდორა სწერდა მორისს.

დიასმა ხელიდან გამოსტაცა წერილი და მოუთმენლად დაიწყო კითხვა, თითქოს ერთბაშად სურდა გადაეყლაპა მისი შინაარსი.

დიასი აღელვების ნაცვლად თითქოს თანდათან დაწყნარდა.

— აქ ისეთი არაფერია, ჩემო კარგო ხოზე. აქ შენი ქალბატონი მხოლოდ მადლობას უხდის დახმარებისთვის.

— მაგით არ დამთავრებულა ყველაფერი, სინიორ დონ მიგელ და სწორედ ამიტომ გეახელით. მე დავალებით ვარ მოსული ახალშენში. აი, ყოველივეს ეს აგიხსნით.

დიასმა წერილი აკანკალებული ხელით გამოართვა, გახსნა და კითხვა დაიწყო:

სინიორ მაურისიო ჯერალდს.

ძვირფასო მეგობარო!

მე, კვლავ ძია სილვიოსთან ჩამოვედი. ვეღარ გავძელი ისე, რომ არ შემეტყო თქვენი ჯანმრთელობის ამბავი. ლამისაა მოვკვდე. შემატყობინეთ, გამოკვებით თუ არა. როგორ მინდა ჩაგხედოთ თვალებში, რომ დავრწმუნდე თქვენს სიჯანსაღეში. გამოიჩინეთ სიკეთე და ამ სიამოვნებას ნუ მომაკლებთ. ამის შესაძლებლობა არის. წერილის მიღებიდან ნახევარი საათის შემდეგ მე ბიძაჩემის სახლის უკან რომ მადლობია, იქ დაგხვდებით. მოდით, აუცილებლად, მოდით!

ისიდორა კოვარუბიო დე ლოს ლანოს.

კოიოტმა წერილის კითხვა დაამთავრა თუ არა, ერთი ლაზათიანად შეიკურთხა.

— ყური მიგდე, ხოზე! ამ წერილს არანაირი სარგებლობის მოტანა აღარ შეუძლია. ვისაც ეს წერილი ეკუთვნის, ის კაცი ახალშენში აღარაა, საერთოდ, აქ ახლო-მახლოც აღარსად ჩანს. რაღაც საიდუმლოებით მოცული ამბავია. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს.

შენ სასტუმროში მაინც მიდი და იკითხე, იქ ხომ არაა. ხომ უნდა შეასრულო დავალება. წერილს მე დამიტოვებ. დაგიბრუნებ, როცა სასტუმროდან უკან გამოივლი და მერე შენს ქალბატონს წაუღე. აჰა, გამომართვი დოლარი და სასტუმროში გადაჰკარი რამე. სინიორ დოფერს შესანიშნავი აგვარდინტე აქვს. აბა, კარგად იყავი!

ხოვს არაფერი უთქვამს, ისე გამოვიდა ქოხიდან და დავალების შესასრულებლად გასწია.

ჯერ თვალს არც კი მოჰფარებოდა, რომ დიასიც გამოვიდა ქოხიდან. ცხენი სასწრაფოდ შეკაზმა, უნაგირზე შეჯდა და საწინააღმდეგო მიმართულებით გაქუსლა.

11 - ისიდორა

ტრამალის ჰორიზონტზე მზე ამობრწყინდა, მისი მრგვალი დისკო ცაში ისე დაეკიდა, თითქოს ოქროს ფარიაო. მზის სხივები სავანის ტრამალზე და აქა-იქ აქოჩრილი ტყეების ფოთლებში ატანდა. ღამის ცვარი ჯერ კიდევ შერჩენოდა აკაცის ფოთლებს და ტოტებდახრილი ხეები ისე იდგნენ, თითქოს ღამესთან განშორებას გლოვობენო. მზის ამოსვლა ტეხასში დღის ყველაზე სასიამოვნო დროა. ამიტომ იშვიათად ნახავთ აქ ალიონზე მწოლიარე ადამიანს.

ფორტ ინჯიდან სამი მილის დაშორებით, ლეონას ნაპირზე, გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც სახლში დარჩენასა და ძილისთვის ტრამალზე გასეირნება ემჯობინებინა. ეს ადრიანი მგზავრი მხედარი გახლდათ. მისი ძლიერი და ფიცხი ცხენი არ იყო ჩვეული სადავის დამოკლებას.

პატარა ხელი, რომლითაც აღვირი ეჭირა, დიდ უზანგებში გაყრილი ნატიფი ფეხები, ტანი, რომლის კენარობას თხელი წამოსასხამი ვერ ფარავდა, და თავზე უკან დახვეული შესანიშნავი თმა, სომბრეროს გარეთ რომ მოუჩანდა, — ყველაფერი ეს ნათელს ხდიდა, რომ მხედარი ქალი გახლდათ. ეს იყო დონა ისიდორა კოვარუბიო დე ლოს ლანოს.

ისიდორა ძუ ვეფხვს მიაგავდა, რომლის სილამაზე ადამიანში შიშს უფრო ნერგავს, ვიდრე სიყვარულს.

მის სახეზე სიმტკიცე, გამბედაობა და სიმამაცე ისახებოდა. მიმზიდველ, ქანდაკებასავით ჩამოსხმულ სახის ნაკვთებში იოტისოდენა სისუსტე და შიშიც კი არ გამოსჭვიოდა.

იგი მართლ მიდიოდა ცხენით ლეონას ჭალებში. იქვე ახლოს მოჩანდა სახლი, საიდანაც ახლა გამოვიდა. ეს მისი ბიძის — დონ სილვიო მარტინესის ჰასიენდა გახლდათ. ცხენზე ჩამოსხმულივით იჯდა. მისი ფიცხი ბედაური დროდადრო ყალყზე შედგებოდა ხოლმე, მაგრამ მხედარი წამსვე იმორჩილებდა და გზას განაგრძობდა.

მხედარი ციცაბო ბილიკს შეჰყვია. ცხენს გაუჭირდა აღმართზე სიარული და ქშენა აუვარდა. ბოლოს მხედარმა მიაღწია კლდის თავს, საიდანაც იწყებოდა შარაგბა.

დანიშნულ ადგილამდე რომ მივიდა, ისიდორამ სადავეს მოსწია და ცხენი შეაჩერა.

— დანიშნულ დროზე ადრე მომიწია მოსვლა, — წაიბუტბუტა ისიდორამ, როცა წამოსასხამიდან ამოღებულ ოქროს საათს დახედა, — შეიძლება არც მოვიდეს. ღმერთო, მიეცი ძალა, რომ აქ მოსვლა შესძლოს! სულერთიანად ვცახცახებ! ცხენის სუნთქვა ჩამესმის ასე ძალუმად, თუ მეჩვენება? ეს არასოდეს მიგრძვნია წინათ. ნუთუ მეშინია? მგონი, ნერვები მღალატობს? ძალიან უცნაური კია, მეშინოდეს ადამიანისა, ვინც მიყვარს. მხოლოდ იმ ერთადერთ მამაკაცს ეტრფის ჩემი გული ამქვეყნად. აი, დონ მიგელ დიასის მიმართ სულ სხვაგვარი გრძნობა მქონდა, იმას სიყვარულს ვერც დაარქმევ. ეს ყმაწვილქალური ქარაფშუტობა იყო. კიდევ კარგი, რომ თავი დავაღწიე. კიდევ კარგი, მისი ლაჩრობა დროზე შევნიშნე. სწორედ ამან გამომამფხიზლა რომანტიკული ოცნებებიდან. ჩემი ოცნების გპირი კი ის იყო. დიდი მადლობელი ვარ ბედის ვარსკვლავისა, რომ ეს დროულად შევიგნე. ახლა დიასი მძულს. ყური მოვკარი, თითქოს ყაჩაღობსო. ღმერთო, ნუთუ მართლა?

მაგრამ მისი არ მეშინია. აქ მინდორშიც რომ შემხვდეს, არ შევეშინდები.

ღმერთო, რა უცნაურადაა ქვეყანაზე მოწყობილი ყველაფერი! მეშინია იმისი, ვინც მიყვარს, ვისიც მჯერა, რომ კეთილია და არ მეშინია იმისა, ვინც მძულს და ვიცი, საშიში და დაუნდობელია! აჰა, ფლოქვების თქარუნიც მესმის! ქვემოთ, გზაზე ვიღაც მოდის ცხენით. ის უნდა იყოს! დიახ, ის არის.

ისიდორამ სწრაფად მოიცილა მამაკაცური სამოსი. ველური ბუნების ფონზე გადაიშალა ისეთი მშვენიერება, რომელსაც კანოვაც კი დიდი სიამოვნებით გამოაქანდაკებდა. ეს იყო განმარტოებულ მინდორში წარმოდგენილი ბრწყინვალე სურათი.

უნაკლო ბედაურს ნესტოები დაბერვოდა და ნახევრად უკანა ფეხებზე შემდგარი კუდით მიწას ეხებოდა. მასზე კი იჯდა არსება, რომლის ხილვა აშკარად დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა. ეს სურათი იმდენად ლამაზი იყო, რომ ძნელია თქმა — შეძლებდა თუ არა ვინმე მის გამოქანდაკებას.

უზანგებზე დაყრდნობილი ისიდორა ცხენზე წამოწეულიყო და სხეულის ყველა ნაკვთი მკვეთრად მოუჩანდა.

სახეზე შიშის ნასახიც არ ეტყობოდა, აღარც ტუჩები უთრთოდა და ღაწვებსაც ჩვეულებრივი ფერი დაჰბრუნებოდა.

ისიდორას სახის გამომეტყველება უეცრად შეეცვალა. მან ჭენებით მომავალი მხედარი შეიცნო. იგი ოქრომკერდით მოქარგულმა ტანსაცმელმა შეიყვანა შეცდომაში. მოახლოებული მხედარი მორის ჯერალდი კი არა, მიგელ დიასი აღმოჩნდა.

ისიდორას მხიარული სახე უეცრად დაენისლა. უზანგებზე შემდგარი, უნაგირზე დაეშვა და სასოწაკვეთილებისაგან ოხვრა აღმოხდა.

— ოჰ, აქ საიდან გაჩნდით, სინიორიტა? ვინ მოელოდა კეთილშობილი მანდილოსნის ამ განმარტოებულ, ეკლიან ბუჩქნარში ხილვას?

— კი მაგრამ, ეს ხომ თქვენ სრულიად არ გეხებათ, დონ მიგელ დიას?

— უაზრო კითხვაა, სინიორიტა. მშვენივრად იცით, ეს ჩემი საქმეა და მხოლოდ მე მეხება. თუ რატომ, ესეც მოგეხსენებათ. ძალიან კარგად იცით, სიგიჟემდე მიყვარდით. სისულელე ჩავიდინე, რომ სიყვარულში გამოგიტყდით და მონასავით ფეხქვეშ გაგვეგეთ. სწორედ ამან გააცია ჩემ მიმართ თქვენი გული.

— ცდებით, სინიორ. მე არასოდეს მითქვამს თქვენთვის, მიყვარხართ-მეთქი. თუ გითხარით — მოხიბლული ვარ თქვენი ცხენოსნობით-თქო, ეს სიტყვები სხვაგვარად არ უნდა გაგეგოთ. დიახ, მე აღტაცებული ვიყავი თქვენი ცხენოსნობით და არა თქვენი პიროვნებით. ეს სამი წლის წინათ მოხდა, როცა მე თავქარიანი გოგო ვიყავი. ამ ასაკში ქალიშვილები გარეგნულ ეფექტს უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე ადამიანის მორალურ თვისებებს. ახლა მე ქალი ვარ და ყველაფერს სხვა თვალთ ვუყურებ. ჩემთვის წარსული აღარ არსებობს.

— მაშ რად აღმავსეთ ცრუ იმედებით?

— არა, დონ მიგელ დიას. არც სიტყვით, არც გამოხედვით არასოდეს არ მიგრძნობინებია თქვენთვის, რომ მიყვარდით. ჩემთვის წინათ სრულყოფილი მხედარი იყავით და მეტი არაფერი. დიახ, სრულყოფილი, კეთილშობილი მხედარი. ასე გამოიყურებოდით მაშინ. ახლა? თვითონვე იცით, რასაც ამბობენ თქვენზე აქაც და რიო გრანდეშიც!

— მე არაფრად ვაგდებ ჩემი ყალბი მეგობრებისა თუ მტრების მიერ გავრცელებულ ცილისწამებას. აქ იმისათვის კი არ მოვედი, რომ ვისმეს ახსნა-განმარტება მივცე, არამედ იმისთვის, რომ მოვისმინო ის.

— ვისგან?

— თქვენგან, კეთილო დონა ისიდორა.

— თქვენ ძალიან თავდაჯერებული ბრძანდებით, დონ მიგელ დი-ას! გახსოვდეთ, სინიორ, ვისაც ელაპარაკებით, გაიხსენეთ, რომ მე ქალიშვილი ვარ...

— ტამაულიპას ერთ-ერთი ყველაზე უფრო ამაყი ჰასიენდას მე-პატრონის ქალიშვილი და არანაკლებ მასზე ამაყი ტეხასელი პლანტატორის დისშვილი. ყველაფერი ავწონ-დავწონე. ისიც გამახსენდა, რომ ერთხელ მეც ვიყავი ჰასიენდას მეპატრონე, ახლა კი მხოლოდ ცხენებზე მონადირე მუსტანგერი ვარ და მეტი არაფერი. მერე რა ვუყოთ? თქვენ ისეთი ქალი არა ხართ, რომ ადამიანი სიმდიდრის გამო შეიყვაროთ. საწყალ მუსტანგერსაც შეუძლია თქვენი გულის მონადირება. მე მაქვს თქვენი დიდსულოვნების დამამტკიცებელი საბუთი.

— რა საბუთი? — იკითხა ისიდორამ სწრაფად და პირველად იგრძნო თავი უხერხულად, — რა დიდსულოვნების საბუთი გინდათ მომაწეროთ?

— აი, ეს ლამაზი ბარათი, ხელში რომ მიჭირავს და დონა ისიდორა კოვარუბიო დე ლოს ლანოსი აწერს ხელს. არა მგონია, საჭირო იყოს, უფრო ახლოს გასინჯოთ. ვფიქრობ, შორიდანაც შეიცნობთ თქვენს ნაწერს?

ისიდორამ იცნო წერილი. თავისსავე აღშფოთებულმა და მძულვარებით აღსავსე გამოხედვამ გასცა იგი.

— როგორ ჩაიგდეთ ხელში ბარათი, სინიორ? — ჰკითხა ისიდორამ და არც უცდია, აღშფოთება დაემალა.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს. ბარათი მე მაქვს და დიდი ხანია, ვცდილობდი, ხელში ჩამეგდო. არა იმიტომ, რომ აღარ გიყვარვართ, არა. ეს მე უბარათოდაც კარგად ვიცი. მინდოდა, იმისი საბუთი მქონოდა, რომ სხვაში გამცვალეთ. ბარათიდან ყველაფერი ამკარაა. თქვენ გულით გწადიათ მას ლამაზ თვალეში ჩახედოთ. ოი, დემონო! მას ვედარასოდეს იხილავთ.

— რას ნიშნას ეს, დონ მიგელ დიას? — აკანკალებული ხმით იკითხა ისიდორამ.

ელ კოიოტმა შენიშნა ისიდორას შეკრთომა და წამსვე უპასუხა:

— თუ დაგკარგეთ, არც სხვას დაგანებებთ. ეს გადაწყვეტილება დიდი ფიქრის შემდეგ მივიღე.

— რა გადაწყვეტილება?

— რაც გითხარით. ვერავინ ვერ დაგიძახებთ, ჩემო ისიდორაო, რა თქმა უნდა, მათ შორის მორის მუსტანგერიც.

ამორძალივით გულად ისიდორასაც კი გულმა რეჩხი უყო, იგრძნო, თუ რა დიდი საშიშროება მოელოდა. ხსნის მცირედი იმედიღა რჩებოდა. ელ კოიოტთან შეხვედრა თავიდანვე არ ესიამოვნა, მაგრამ იმედოვნებდა, საცაა მორისი გამოჩნდება და ყველაფერი კარგად დამთავრდებაო.

საუბრის დასაწყისში სმენა გამახვილებული ჰქონდა, იქნებ ცხენის ფლოქვების თქარუნს მოვკრა ყურიო. დროდადრო იქით იხედებოდა, საიდანაც მორისს მოელოდა.

ახლა ეს იმედი უკვე გადაუწყდა. ბარათმა ყველაფერს მიახვედრა. მორისს ბარათი არ მიუღია. ისიდორამ გადაწყვიტა, გაქცეულიყო.

გაქცევაც სახიფათო იყო. მას შეეძლო ცხენი მოებრუნებინა და ჭენებით დაეძრა ადგილიდან, მაგრამ ელ კოიოტს რევოლვერით იქვე დანასთან ახლოს ეკიდა და შესაძლოა ტყვია დაედევნებინა უკან.

ისიდორამ ყველაფერი ასწონ-დასწონა. მის ადგილზე სხვა ქალი დაიბნეოდა, მაგრამ მას ოდნავი შიშიც კი არ გამოუმუღავნებია.

— სისულელეა! — წამოიძახა ქალმა პირფერი უნდობლობით, — თქვენ თამაშობთ, სინიორ. გინდათ, შემაშინოთ არა, ჰა, ჰა, ჰა! მაგრამ რატომ უნდა მეშინოდეს თქვენ! მეც კარგი მხედარი ვარ. ლაზოს თქვენსავით კარგად ვისვრი. აი, შეხედეთ! როგორი ხელოვნებით ვიცი ლაზოს სროლა! — ამას რომ ამბობდა, იცინოდა, თანაც

უნაგირზე მიბმული ლაზო მოხსნა და თავს ზემოთ ისე ატრიალებდა, თითქოს უნდოდა, დიასს ლაზოს სროლის ხელოვნება აჩვენოსო.

ისიდორას სულ სხვა რამ ედო გულში. დიასს კი ეჭვითაც არაფერი უგრძენია. იგი გაოგნებული იდგა და ისიდორას მისჩერებოდა.

როცა ლაზო ნიდაყვებთან შემოეჭდო ხელებზე, მაშინ კი მიუხვდა განზრახვას, მაგრამ წინააღმდეგობა უკვე გვიანდა იყო. იმწამსვე ხელები ისე მაგრად მიებორკა ტანზე, რომ რევოლვერისა და დანის ხმარებაზე ოცნებაც აღარ შეიძლებოდა.

ყუღფიდან თავის დახსნაზე ფიქრიც არ დასცალდა. სანამ თოკზე ხელის წავლებას მოასწრებდა, ისიდორას ცხენი ადგილიდან მოსწყდა, ლაზოგამობმული დიასი ძირს დაენარცხა და გონება დაკარგა.

— ახლა რას იტყვი, დონ მიგელ დიას! თითი არ გაანძრიო, გათავისუფლებას არ ეცადო, თორემ ცხენს ისევ გავაჭენებ და მინდორზე გათრევ! ბოროტო სულო! მხდალმა როგორ გაიელვე გულში ჩემი მოკვლა? ეს მე შენს თვალებში ამოვიკითხე. ხედავ, როგორ შეტრიალდა საქმე...

ლაზოთი ხელებშებორკილი ელ კოიოტი მოჭრილი ხის კუნძივით უხმოდ ეგდო მიწაზე. ცხენიდან გადმოგდებამ ცნობიერება და მეტყველების უნარი წაართვა. გეგონებოდათ, მკვდარიყო. დიასის ცხენი კი ხმამაღლა ჭიხვინით დარბოდა ბუჩქნარში.

— ღმერთო! ნუთუ შემომაკვდა?! — წამოიძახა ისიდორამ, ცხენს ოდნავ დაახევიანა, თანაც ყურადღებით უთვალთვალედა, რომ საჭიროების შემთხვევაში მოეწყვიტა ადგილიდან, — ღვთისმშობელო! სულაც არ ვფიქრობდი მის მოკვლას. თუმცა რომც მომეკლა, ღვთის წინაშე უცოდველი ვიქნებოდი, მაგას ხომ ჩემი მოკვლა სურდა. მკვდარია თუ თავს იმკვდარუნებს? იქნებ უნდა ახლოს მომიტყუოს? არა, დაე, ეს სხვებმა გამოარკვიონ. მე მაინც ვეღარ დამეწევა. თუ მართლაც განსაცდელშია, ჰასიენდადან მსახურებს გამოვგაზავნი და უშველონ. კარგად ბრძანდებოდე, დონ მიგელ დიას!

ეს რომ თქვა, თითქოს აქ არაფერიაო, სინდისის ქენჯნა არცკი უგრძენია, კორსაჟში დამალული დანა ამოიღო, უნაგირთან ლაზო გადაჭრა და ცხენი ადგილიდან ჭენებით წაიყვანა. ლაზოთი ხელებშებორკილი დიასი კი მიწაზე უგონოდ გაშხლართული დატოვა.

12 - ლაზოს გახსნა

როცა ზებ სტუმპს გულის საიდუმლო გადაუშალა, ლუიზა თავის ოთახში შებრუნდა და ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაჩოქილმა ლოცვა აღავლინა.

ცრემლები და ქვითინი ახშობდა ქალიშვილის სიტყვებს. ბუნებით მგრძობიარეს ძმა დიდი სინაზით უყვარდა, მაგრამ დაძმური სიყვარულის გრძობამ და მწუხარებამ ვერ ჩაკლა მის გულში სიყვარულის უფრო ძლიერი გრძობა. ძმის დაკარგვით სვეგამწარებული ქალი ღვთისმშობელს მორისის გადარჩენას ემუდარებოდა.

ლოცვა რომ დაასრულა, უნებურად თვალი მშვილდისაარს შეავლო. ამ იარაღს მრავალი ბარათი მიუტანია მისი გულის მფლობელამდე.

— ოჰ! ნეტავ ახლაც შემეძლოს მორისთან ისრით პატარა ბარათის გაგზავნა, რომ გაფრთხილდეს და საფრთხეს თავი დააღწიოს! — ამ აზრმა სხვა ფიქრებიც აუშალა ლუიზას, — იმ ადგილას, სადაც ერთმანეთს ისრით ბარათებს ვუცვლიდით, იქნებ რაიმე დარჩა და კვალს წააწყდნენ? ლუიზას გაახსენდა, რომ უკანასკნელად მორისმა მდინარე ცურვით გადალახა. ამის გამო ლაზო, რა თქმა უნდა, ნავში დარჩებოდა.

მზე საკმაოდ მაღლა ასულიყო და მოელვარე სხივები სარკმლის მინებში იჭრებოდა. ლუიზამ კარი გამოაღო და ნავისკენ წასვლა გადაწყვიტა. აივანზე გასულს ლაპარაკი შემოესმა და შეჩერდა.

ხმა სახლის ბანიდან ისმოდა. ეს ფლორინდა და მეეტლე პლუტო საუბრობდნენ, რომლებიც ბატონების შინ არყოფნის დროს სუფთა ჰაერზე მაღლა ასულიყვნენ.

მათი ლაპარაკი გარკვევით ისმოდა დაბლა, მაგრამ ლუიზა არ დაინტერესებულა, რაზე საუბრობდნენ მონები. როცა მორისის სახელი გაიგონა, მაშინვე სმენად გადაიქცა. ისინი მორის ჯერალდზე ლაპარაკობდნენ.

— დიახ, ის მორის ჯერალდია. ირლანდიელიაო, ახალ ორლეანში მინახავს, — ჰო, ჰო! ის უფრო ჯენტლმენ პლანტატორსა ჰგავს. ასე არ არის, ფლორინდა?

— შენ დაგავიწყდა, პლუტო, რომ მან მასსა ჰენრი მოკლა?

— მაგას ვერასოდეს დავიჯერებ. ეს ისეთივე ცილისწამებაა, რომ ჰენრის მკვლელობა მე დამაბრალონ. აი, თვითონ ის, ვისზეც ჩვენ ვლაპარაკობთ. ჰო, ჰო! გაიხედე, ფლორინდა, კარგად დააკვირდი.

— აბა, რას დავაკვირდე?

— აი, მდინარის იმ მხარეს გაიხედე, ვერ ამჩნევ მხედარს? სწორედ ის არის, გადამწვარ ტრამალზე რომ შემოგვხვდა. მან აჩუქა მასსა ლუს წინწკლებიანი მუსტანგი. სწორედ მის საძებრად არიან წასულები. ოჰო! სად ეძებენ და სად ამოყო თავი! დღეს ისინი მორისს ვერ იპოვნიან.

— მერედა, შენ არ გიხარია, რომ ვერ იპოვნიან, პლუტო?

— დარწმუნებული ვარ, ის უდანაშაულოა. ოჰ, როგორი გულადი ახალგაზრდა ჯენტლმენია. არასოდეს არ დავიჯერებ, რომ მას ადამიანის...

ლუიზას მეტი აღარაფერი მოუსმენია. ოთახში შებრუნდა და იქიდან ბანზე ავიდა. გული ისე ძლიერად უძგერდა, რომ საკუთარი ფეხის ხმაც კი აღარ ესმოდა. ქალიშვილმა ძლივს დაფარა მღელვარება იმ ადამიანებისაგან, რომელთა ლაპარაკმაც აგრერიგად ააღელვავა.

— რა დაინახეთ, რომ ამხელას გაჰკვივით? — ჰკითხა მან მოჩვენებითი სიმკაცრით მონებს.

— ჰო, ჰო! მასსა ლუ, აი, იქით გაიხედეთ. ახალგაზრდა ჯენტლმენს ვერ ხედავთ?

— ფლორინდა, აბა, მარდად ჩაირბინე დაბლა, ჩემი ქუდი და ამბონური კაბა მომიშადა. მინდა გავისეირნო, პლუტო, რაც შეიძლება სწრაფად შემიკაბმე ლუნა, მზე ძალზე მაღლა იწევს, ჩქარა, ჩქარა!

ბანიდან დაბლა ჩამოვიდა და ათ წუთში უკვე მდინარის მეორე ნაპირზე ჩირგვნარში გაჩნდა. სწორედ იქ, სადაც ის მხედარი გაუჩინარდა.

იგი ყურადღებით ათვალიერებდა გარემოს და წინ სწრაფად მიიწევდა.

უცხრად ცხენი შეაყენა. ლეონას თავზე აღმართული გორაკიდან ლაპარაკის ხმა შემოესმა.

ყური მიუგდო. მართალია, მოსაუბრეთაგან კარგა მანძილი აშორებდა და სიტყვებიც ძლივს ესმოდა, მაგრამ მამაკაცისა და ქალის ხმა მაინც გაარჩია.

— ვინ უნდა ყოფილიყვნენ ის კაცი და ქალი? — ქალიშვილს კვლავ შეეკუმშა გული ტკივილისაგან.

ლუიზა მოსაუბრეებს კიდევ უფრო მიუახლოვდა, შეჩერდა და ყური მიუგდო. გარკვევით გაარჩია, რომ ესპანურად საუბრობდნენ. მაგრამ ამას ოდნავადაც არ დაუმშვიდებია. უფრო ახლოს მივიდა. კვლავ შეჩერდა და სმენად გადაიქცა. მამაკაცის ხმა უკვე აღარ ისმოდა. ქალი კი ისე მტკიცედ და მკაფიოდ ლაპარაკობდა, გეგონებოდათ, იმუქრებო. ლუიზას სმენას მხოლოდ ცხენის ფეხის ხმა სწვდებოდა და ხმამალალი ლაპარაკისაგან დამფრთხალი ყივილი არჩივისა, რომელიც ტრამალის თავზე ირაოს უვლიდა.

ბოლოს, ბევრი ჭოჭმანის შემდეგ გადაწყვიტა, წინ მაინც წასულიყო.

შეკაბმული ცხენი აღმა-დაღმა დარბოდა ჯუჯა ტრამალზე. მიწაზე ლაბოთი ხელებშეკრული მამაკაცი განრთხმულიყო, თითქოს სული

აღარ ედგა სხეულში. იქვე ეყარა შავი მბზინავი სომბრერო და წამოსასხამი, რომელიც მისი არ უნდა ყოფილიყო! ყოველივე ეს აუხსნელი და თავსატეხი გახლდათ ქალისათვის.

მამაკაცს მდიდრული მექსიკური სამოსი ეცვა. ცხენიც მდიდრულად იყო აკაზმული.

იგი მიუახლოვდა მიწაზე გაშოტილ კაცს და კარგად შეათვალიერა. უცნობი გულაღმა იწვა და სახის დანახვა არ გასჭირვებია. ლუიზას მოეჩვენა, სადღაც მინახავსო, მაგრამ სად, გარკვევით ვერ გაეხსენებინა.

— მგონი, მკვდარი არ უნდა იყოს. სუნთქავს კიდევ, — ძირს განრთხმულ მამაკაცს თოკი უხუთავდა სულს. ლუიზამ სწრაფად მოუშვა ის. ქალის ძალაც საკმარისი აღმოჩნდა მარყუჟის გასახსნელად.

— ახლა თავისუფლად შეუძლია ისუნთქოს. ღმერთო, ნეტავ რა უნდა მომხდარიყო? ალბათ ლაზო ცხენზე მჯდომს გადააცვეს თავზე და ცხენიდან გადმოავდეს. მგონი, ასეა, მაგრამ ვის უნდა ჩაედინა ეს? მე მხოლოდ ქალის ხმა მესმოდა. ოჰ! მგონი, გონს მოდის, ახლა კი ყველაფერს შევიტყობ.

— თავს უკეთ გრძნობთ, სერ?

— ვინ ხართ, სინიორიტა? — თავი წამოსწია, შეშფოთებით მიმოიხედა და ისე იკითხა დონ მიგელ დიასმა, — ის სადღაა?

— ვისზე ამბობთ? მე თქვენ გარდა აქ არავინ მინახავს.

— ღმერთო! რა უცნაურობაა. ნუთუ რუხ ცხენზე მჯდარი ქალი არ დაგინახავთ?

— მე ქალის ხმა შემომესმა, აქეთ რომ მოვდიოდი.

— ბარემ თქვით, ეშმაკის ხმა-თქო; ისიღორა ვოვარუბიო დე ლოს ლანოს მართლაც ეშმაკია.

— რაო, მან შეგბორკათ ასე?

— დიახ, მან! სად წავიდა, მითხარით, სინიორიტა.

— ვერაფერს გეტყვით. ცხენის ფეხის ხმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი კლდის ციცაბო ბილიკით ჩავიდოდა ქვემოთ. მე მეორე მხრიდან ამოვედი და გზაზე არ შემხვედრია.

— აჰ, ციცაბო ბილიკით ჩავიდა? მაშასადამე სახლში წასულა. თქვენ ძალიან დიდი სიკეთე მიყავით, ამ ყულფიდან რომ გამათავისუფლეთ, სინიორიტა. ჩემი მტრები აქედან ძალიან ახლოს არიან. მოდი, კარლიტო! — დაუძახა მან თავის ცხენს და სტვენით რაღაც ანიშნა, — ახლოს მოდი! ამ ლამაზი ლედისა ნუ გეშინია, ეს ის არ არის, მე და შენ რომ ასე ტლანქად გაგვაცურა. მოდი, ჩემო ლამაზო, მოდი!

ცხენმა სტვენის ხმა რომ გაიგონა, პატრონთან მიიღბინა, რომელიც ამ დროს უკვე ფეხზე იდგა, ღონ მიგელ დიასმა აღვირში ხელი წაავლო.

— ცოტას თუ დამეხმარებით, კეთილო სინიორიტა, ვფიქრობ, როგორმე ავბობდები ცხენზე. ხოლო თუ ეს შევძელი, მდეგრისა აღარ მეშინია.

ლუიზას მთელი თავისი ძალ-ღონის დაძაბვა დასჭირდა, რომ მექსიკელი ცხენზე შეესვა. მხედარი რამდენჯერმე გადმოიხარა უნაგირიდან, მაგრამ ბოლოს მტკიცედ დაჯდა. სადავე მოიმარჯვა და წასასვლელად მოემზადა.

— ნახვამდის, სინიორიტა! — თქვა მან, — არ ვიცი, ვინ ბრძანდებით. ვიცი, რომ ჩვენებური არ ხართ, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ისეთივე კეთილი ჩანხართ, როგორც მშვენიერი და თუ ოდესმე შემთხვევა მომეცემა, სიკეთეს არ დაგივიწყებთ.

ეს რომ თქვა, ელ კოიოტმა ცხენი ნელი ნაბიჯით წაიყვანა, რადგან უნაგირზე თავს ძლივს იმაგრებდა.

ლუიზასათვის ეს ყველაფერი უცნაური სიზმარავით დარჩა, მაგრამ ყოველივე ელვისებურად შეიცვალა, როცა მიწიდან, სადაც დიასი იწვა, წერილი აიღო და წაიკითხა. წერილს ისიდორა კოვარუბიო

დე ლოს ლანოსი აწერდა ხელს. და როგორც ვიცით, მორის ჯერალდის მისამართით იყო გაგზავნილი.

ცხენზე შეჯდომა ლუიზას მექსიკელივით გაუჭირდა. კასა დელ კორვოში უკან დაბრუნებულმა ცხენი მდინარე ლეონას შუაგულში შეაყენა და რამდენიმე წამს გასცქეროდა მის ტალღებს. სახეზე სასოწარკვეთილება აღბეჭდვოდა. ცოტა კიდევ და, შეიძლება, მდინარე ლეონას ტალღებს ზვარაკად მიეღო უდანაშაულო მსხვერპლი.

13 - კოიოტებთან ბრძოლა

ჩამავალი მზის სხივები ტეხასური დაისის ბინდმა შესცვალა, როცა დაჭრილმა, უღრან ტყეში რომ ვაივაგლახით მიიკვლევდა გზას, მოჩუხჩუხე ნაკადულამდე მიაღწია.

წყალი დალია, ბალახზე გაიშოტა და ამდენი ხნის წყურვილით გამოწვეული აუტანელი ფიქრები ოდნავ შეუმსუბუქდა.

ფეხი ისევ სტკიოდა, მაგრამ ისე ძლიერ აღარ აწუხებდა.

არაქათგამოცლილს მომავალზე ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა. მხოლოდ დასვენება ეწადა. საღამოს გრილი ნიავი, აკაცებს რომ არხევდა, მიწაზე გაშხლართულს სასიამოვნოდ ელამუნებოდა.

დიდხანს არ სძინებია. ჭრილობები საშინლად სტკიოდა. სწორედ ტკივილმა და არა კოიოტების ყმუილმა დაუფრთხო ძილი. მათ ყმუილს აინუნშიაც არ აგდებდა. იცოდა, რომ ტრამალის მგლები ტურებივით მხოლოდ მკვდარს ან მომავკვდავს ესხმიან თავს. მას უკვე სჯეროდა, რომ სიკვდილს უთუოდ დააღწევდა თავს.

მტანჯველი ღამე ისევ გაგრძელდა, რომ დაჭრილს ეგონა, აღარ გათენდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გათენდა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.

დაჭრილი ისევ წყალთან მიხობდა და ერთხელ კიდევ დაეწაფა.

ახლა შიმშილი იგრძნო და ირგვლივ მიმოიხედა. იქვე ახლოს კაკლის ხე იდგა. ექვსი ფუტის სიმაღლეზე მისი ნაყოფიც შენიშნა.

ნიდაყვებისა და მუხლების დახმარებით დიდი ტანჯვით მიფორ-
თხდა კაკლის ხემდე. ყავარჯნით რამდენიმე კაკალი გატეხა და შიმ-
შილი ცოტა დაიოკა.

ჯერ კიდევ არ იცოდა, რა დაემართა ფეხზე. მისი ვარაუდით, ფეხი
მუხლის სახსართან ჰქონდა მოტეხილი ან მაგრად ნაღრძობი. გა-
უსაძლისი ტკივილებით შეწუხებული ვეღარ ამჩნევდა, გარშემო რა
ხდებოდა. ეს რა უცნაური ხმებია? ნაკადულის ქვიშნარ ნაპირზე პა-
ტარა თათების ხმა და აჩქარებული სუნთქვა შემოესმა. ირგვლივ მი-
მოიხედა, რომ გაეგო, რა ხდებოდა.

კოიოტები ყოფილან! — გაიფიქრა მან, როცა შენიშნა ოცამდე
ტრამალის მგელი, რომლებიც ნაკადულის ორივე ნაპირიდან მოპა-
რულიყვნენ და ბალახზე ჩაცუცქული ისხდნენ.

მოაგონდა კოიოტებზე გაგონილი ამბები, რომ ეს მშიშარა, მხდა-
ლი ცხოველები ადამიანს მხოლოდ მაშინ ესხმიან თავს, როცა თა-
ვის დაცვა არ შეუძლია. განსაკუთრებით, თუ სისხლის სუნი შეიგ-
რძნეს.

გარდა მონადირის დანისა, სხვა იარაღი არ ჰქონდა. საბედნი-
ეროდ, ეს წელზე შემორტყმული დანა თავის ადგილას აღმოჩნდა.
უნაგირზე დაკრული თოფი და ჩანთაში შენახული რევოლვერი გაქ-
ცეულმა ცხენმა თან გაიყოლა.

ახალგაზრდამ დანა ქარქაშიდან ამოაძრო, მარჯვენა მუხლს და-
ეყრდნო და თავდასაცავად მოემზადა.

წუთით რომ დაეყოვნებინა, უკვე გვიან იქნებოდა.

გამხნევებულნი იმით, რომ ხროვად თავმოყრილებს არანაირი
საფრთხე არ ემუქრებოდათ, სისხლის სუნით გაშმაგებულები, რაც
დაჭრილთან მიახლოებასთან ერთად თანდათან მატულობდა, თან-
დაყოლილი მხეცური ინსტინქტით აღგზნებული კოიოტები, ბოლოს
და ბოლოს, დაჭრილს თავს დაესხნენ.

მათი ფიცხი შეტევა იმით დაიწყო, რომ ექვსმა მგელმა ტანზე, ხე-
ლებსა და ფეხებში ელვისებურად ჩაასო კბილები. მორისი დანას

მთელი ენერჯითა და მოხერხებით ხმარობდა. ერთი თუ ორი კოი-
ოტი დასჭრა. მხეცები ყმუილით უკუიქცნენ. დაიწყო სამკვდრო-სასი-
ცოცხლო ბრძოლა. რამდენიმე ნადირი განგმირა. მაგრამ სხვები
უფრო გახელებით მოიწევდნენ წინ. ბრძოლა გამძაფრდა და ყველა-
ფერი აირ-დაირია. კოიოტები ერთმანეთზე გადადიოდნენ, რომ რო-
გორმე მსხვერპლამდე მიეღწიათ და კბილებით დაეგლიჯათ. დაჭ-
რილი დანას ისევ იქნევდა, მაგრამ ძალა ეცლებოდა და მხეცებს წი-
ნანდებურად ველარ ხოცავდა. ახალგაზრდა თანდათან უძლურდე-
ბოდა. სიკვდილი უკვე თავზე წამოსდგომოდა.

სწორად ამ დროს მისი ყელიდან სიხარულის შეძახილი გაისმა.
საოცრება ის იყო, რომ ამ ხმის გამგონე კოიოტებმა უკან დაიხიეს.

ბრძოლა შეწყდა. უეცრად ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. კოიოტე-
ბის უკან დახევა დაჭრილის შეძახილს არ გამოუწვევია. ისინი ცხე-
ნის ფეხის ხმამ და ძაღლის ყეფამ შეაცბუნა. ნავარდით მომავალი
ცხენის ფლოქვების თქარუნს თან ძაღლის ხმამაღალი ყეფა ერთვო-
და. დაჭრილმა კვლავ ხმამაღლა ყვირილით მოუხმო საშველად მხე-
დარს. ცხენი, ეტყობოდა, ძალიან ახლოს იყო. ძნელი დასაჯერებე-
ლია, რომ მხედარს, დაჭრილის ძახილი არ გაეგონა.

მაგრამ არანაირი გამოძახილი... ცხენმა თუ მხედარმა დაჭრილს
უხმოდ ჩაუარა.

ცხენის ფეხის ხმა თანდათან შორდებოდა. დაჭრილს კვლავ წა-
რეკვეთა სასო.

ამასობაში კოიოტებს ისევ მოეცათ გული და შეტევაზე გადავიდ-
ნენ. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კვლავ განახლდა.

დაჭრილს ხსნის იმედი გადაუწყდა და ბრძოლას სასოწარკვეთი-
ლი განაგრძობდა.

ვეებერთელა ნაგაზის გამოჩენამ ბრძოლა ისევ შეწყვიტა. ადა-
მიანის უერთგულესი პირუტყვის დანახვამ დაჭრილს კვლავ იმედი
და მხნეობა დაუბრუნა. უზარმაზარი, შესანიშნავი ჯიშის ნაგაზი ბუჩ-
ქებიდან ყეფით გამოვარდა.

— მეგობარო! გმადლობ, ღმერთო, მეგობრის გამოგზავნისათვის!

ყფა შეწყდა, პირდაღრენილი ძალღი დამფრთხალ კოიოტებს დაედევნა. ერთ-ერთ კოიოტს თავისი უზარმაზარი ყბები ჩაავლო და ისე დაითრია, თითქოს თავგი ყოფილიყო. მერე პირი შეუშვა და ხერხემალდამსხვრეული ძირს დააგდო.

მეორესაც იგივე ბედი ეწია. ამით გათავდა ყველაფერი. შეშინებული კოიოტები კუდამოძუებულნი ყმუილით გაიქცნენ და ერთიმეორის მიყოლებით ტყეში გაუჩინარდნენ.

გადარჩენილ, ძალამიხდილ ყმაწვილს მეტი აღარაფერი დაუნახავს. მან მხოლოდ ხელები შემოჰხვია კისერზე თავის მხსნელს, ღიმილით რალაც ტკბილი სიტყვები ჩასჩურჩულა და გონი დაკარგა.

* * *

გონს ისევ მალე მოეგო. ნიდაყვს დაეყრდნო და გარშემო მიმოიხედა.

მის თვალწინ უჩვეულო სისხლიანი სურათი გადაიშალა გრძნობა რომ ისევ არ დაეკარგა, უფრო უცნაურ რამეს დაინახავდა. სწორედ მაშინ, როცა გონი დაკარგა, ტყის პატარა ტაფობზე მხედარმა ჩაიარა და უკანვე მობრუნდა. ეს სწორედ ის მხედარი იყო, რომლის ცხენის ფეხის ხმაც შემოესმა და შველას შესთხოვდა. იგი ძალიან მოგვიანებით მობრუნდა, მაგრამ ეტყობა, მის დახმარებაზე არც უფიქრია, მხოლოდ თავის ბედაურს დააღვეინა წყალი.

ცხენი პატარა ნაკადულში ჩადგა, წყალი დალია, მეორე ნაპირზე გავიდა, მინდორი გადაჭრა და უსიერ ტევრში გაუჩინარდა.

მხედარს მიწაზე განრთხმული ადამიანისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მხოლოდ ცხენმა დაიფრუტუნა მის დანახვაზე, როცა კოიოტების გვამებზე გადადიოდა.

ცხენი ტანად დიდი არ იყო, მაგრამ აღნაგობით შესანიშნავი რამ გახლდათ. მხედარზე ამას ვერ იტყოდით, რადგან მას თავი არ ჰქონდა.

თავი კი ჰქონდა, — მაგრამ არა თავის ადგილზე. ისე ჩანდა, თითქოს უნაგირის კეხის ზემოთ მხედარს ის საკუთარ ხელში უჭირავსო.

ძალდი ყეფით დაედევნა უკან უთავო მხედარს და ტყისპირამდე გასდია.

მერე თავი ანება უსარგებლო დევნას, უკან დაბრუნდა და დაჭრილს გვერდით მიუწვა.

ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა დაჭრილი გონს მოვიდა და ყველაფერი დაწვრილებით გაიხსენა, თუ როგორ ჩავარდა ასეთ დღეში. ძალღს მიუაღერსა, მიწაზე გაიშოტა, სახეზე წამოსასხამი გადაიფარა, რომ მცხუნვარე მზეს არ შეეწუხებინა და ჩაიძინა.

14 - ორგზის მთვრალი

ახლა უკან დავუბრუნდეთ ალამოს ნაპირზე მდებარე ქოხს, რომელიც ბანქოს მოთამაშეებმა უეცრად მიატოვეს, სადაც ისე კარგად მოკალათდნენ, რომ არც კი გრძნობდნენ მასპინძლის შინ არყოფნას. მუსტანგერი არც მეორე დღეს გამოჩენილა. უკვე შუადღემ მოაწია, მისი მსახური კი ისევ მთვრალი ეგდო იატაკზე გაშხლართული. მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვნახეთ ფელიმი, მან კიდევ მოასწრო დათრობაცა და გამოფხიზლებაც.

ყველაფერი რომ დაწვრილებით შევიტყოთ, საჭიროა დავუბრუნდეთ იმ ამბავს, როცა ბანქოს მოთამაშეებმა უეცრად მიატოვეს ქოხი და გარეთ გაცვივდნენ.

ფელიმი გამოძინებამ კი არა, უფრო სამი წითელკანიანი ინდიელის დანახვამ გამოაფხიზლა, რომლებიც მაგიდასთან ბანქოს შემოსხდომოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ უაზრო და სასაცილო სურათი იყო, ფელიმს სასაცილოდ არაფერი მოსჩვენებია და მათ დანახვას შემშინებული ღრიალით მიესალმა.

არც ის იყო სასაცილო, რაც შემდეგ მოხდა. თუმცა ფელიმს ნათლად არაფერი ჩარჩენია მეხსიერებაში. მას მხოლოდ ის ახსოვდა,

რომ სამმა ინდიელმა მეომარმა ბანქოს თამაში უეცრად მიატოვა, დანები იშიშვლეს, ფელიმს თავზე დაადგნენ და მოკვლა დაუპირეს. ამ დროს მათ მეოთხე ინდიელი მიემატათ და უეცრად ყველანი კისრისტეხვით გაცვივდნენ ქოხიდან.

ყოველივე ეს სულ რაღაც ოციოდე წამში მოხდა. როცა გაკვირვებული და შეშინებული ფელიმი გონს მოვიდა, ქოხში მის მეტი ალარავინ იყო. ცხადად ნახა, თუ დაესიზმრა?

მის თავში აზრები ჯერ კიდევ ვერ დალაგებულიყო, მაგრამ იმას კი მიხვდა, ქოხში დარჩენა საშიშროებას უქადდა. შესაძლო იყო, ბანქოს შეღებილი მოთამაშენი ქოხში დაბრუნებულიყვნენ. მათ არა მარტო ბანქოს ქალაღდი, მუსტანგერის მთელი ქონებაც ხელუხლებლად დასტოვეს და რაღაც მიზეზით სწრაფად გაუჩინარდნენ, მაგრამ ასევე სწრაფად შეეძლოთ მობრუნებულიყვნენ.

ეს რომ გაიფიქრა, დაუყოვნებლივ შეუდგა მოქმედებას. ქოხიდან გამოსული რომ არავის შეემჩნია, სანთელი ჩააქრო. ფელიმმა უკანა კედლის შუაში აკრული ცხენის ტყავი ჩამოხსნა, გარეთ გამოვიდა და ხეების ჩრდილს შეეფარა.

ქოხს ჯერ კიდევ კარგა მოშორებით არ გასცილებოდა, როცა წინ შავი სილუეტი შენიშნა. ეს ცხენები აღრატუნებდნენ ლაგამს და ფლოქვებით მიწას ტორავდნენ. ფელიმი შეჩერდა და კვიპაროსს ამოეფარა.

ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ფელიმმა და დარწმუნდა, მის წინ ნამდვილი ცხენები იდგნენ. ხეზე მიბმული ოთხი ცხენი უეჭველად იმ ინდიელებისა უნდა ყოფილიყო, რომლებიც მუსტანგერის ქოხში ბანქოს თამაშობდნენ.

მართალია, ცხენები ხეზე გამოებათ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, პატრონებიც იქვე ყოფილიყვნენ?!

ფელიმის გამახვილებულ სმენას არ გამოჰპარვია, რომ ხმაური თანდათან ახლოვდებოდა. ეტყობოდა, შეშინებული ადამიანები

გზას მოიკვლევდნენ კვიპაროსისაკენ, რომელსაც ახალნაყარი ყლორტები ჰქონდა. სწორედ მის ჩრდილს შეაფარა თავი ფელიმმა.

ძლივს მოასწრო დამალვა, რომ ტყიდან ოთხმა კაცმა ისკუპა და სანამ ლტოლვილები ცხენებზე არ შესხდნენ და არ გაქუსლეს, ფელიმი გაქვავებული იდგა ერთ ადგილზე.

— ღმერთო დიდებულო, რას ნიშნავს ყოველივე ეს? — ბუტბუტებდა სამალავიდან გამოსული ფელიმი და თანაც ხელებს შლიდა, — ნეტავ ვინ ეშმაკები არიან? ესენი უეჭველად ძალიან მაგრად შეაშინა ვილაცამ. იქნებ უთავო მხედარს შეეფეთნენ? ნამდვილად ის იქნებოდა. მე გავიგონე ძაღლის ყეფა, ტარა ხომ მას გამოედევნა უკან. ოჰ, ღმერთო! ნეტავ რით დამთავრდება ეს? იქნებ გაქცეულებს მოსდევს უკან და აქეთ გამოიაროს?

ამ უჩვეულო საშინელების გახსენებამ ისე შეაშინა ფელიმი, რომ კვლავ შეძვრა თავის სამალავში, სადაც კარგა ხანს დაჰყო, თან კბილს კბილზე აცემინებდა.

— შეიძლება ეს ყველაფერი მისტერ მორისის ოინებია. ალბათ ჩემი შეშინება უნდა. კიდევ კარგი, რომ წითელკანიანები დროზე დააფრთხო, თორემ ისინი ჩვენს გასაძარცვავად და ასაკლებად იყვნენ მოსულები.

ისევ გამოძვრა სამალავიდან და ქოხისაკენ გაემართა.

დიდი სიფრთხილით მიუახლოვდა ქოხს, დროდადრო ჩერდებოდა და აქეთ-იქით იცქირებოდა, ახლოს ხომ არავინ მოჩანსო. მიუხედავად იმისა, რომ თვითონვე ფიქრობდა, უთავო მხედრის გამოჩენა ჩემი ბატონის ოინი უნდა იყოსო, მისი ორგზის ხილვით ზარდაცემულს, ახლა ეგონა, ქოხში დამხვდებაო.

მაგრამ ისე სწყუროდა, რომ ამ სურვილმა ყოველგვარ შიშს სძლია და ქოხში გაუბედავად შევიდა. სასმელის იმედი რომ არა, დილამდე გარეთ დარჩებოდა და ქოხში ფეხს არც შეადგამდა.

სინათლის ანთება არც უცდია. ქოხის ყოველი კუნჭული კარგად იცოდა, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც შემოწნული ბოთლი იდგა. ფელიმმა შეიკურთხა, ეტყობოდა, ბოთლი თავის ადგილზე არ დახვდა.

— ოჰ, წყეულები! — ბუტბუტებდა იგი, — ჩანს, ბოთლი იპოვეს. რა თქმა უნდა, იპოვეს, თორემ თავის ადგილზე იქნებოდა. მე ნამდვილად აქ დავდგი. აი, სწორედ აქ დავტოვე. აჰ! ჩემო მარგალიტო! — წამოიძახა, როცა ფათურის დროს ხელები ბოთლის ყელს შეახო, — ოჰ, წყეული მხეცები! როგორ გამოუსარიელებიათ. ოჰ, რომ მცოდნოდა, მძინარეს სასმელს მომპარავდნენ, ცეცხლს დავალავინებდი მაგათ. ეშმაკმა დაგწვათ ჩემი ცოდვით, თქვე წითელკანიანო წყეულო ქურდებო! რა უნდა ვქნა ახლა? დავწვე და დავიძინო? წითელკანიან ქურდებზე ვიფიქრო თუ იმ უთავო მხედარზე. რა ეშმაკი დამაძინებს ახლა, თუ არ დავლიე. მოიცა, რაღაც გამახსენდა. წმინდაო ღვთისმშობელო მარიამ! წმინდაო პატრიკ! მისტერ მორისი რომ უკანასკნელად ახალშენში გაემგზავრა, მე მათარა ავუვსე. ბატონს მისი წაღება დაავიწყდა. ღმერთო, მიიღე მოწყალება! თუ ინდიელებმა ისიც იპოვეს და თავისი ჭუჭყიანი ხელები შეახეს, ნამდვილად ჭკუას დავკარგავ.

ჩემოდანში კარგა ხნის ფათურის შემდეგ ფელიმმა იპოვა. მადლობა ღმერთს მოწყალებისათვის. წითელკანიანებს იმდენი ჭკუა ვინ მისცა, ეს სასიამოვნო სითხე ჩემოდანში მოეძებნათფელიმი თავისი ძვირფასი განძის აღმოჩენით გახარებული ქოხში გიჟივით დახტოდა. მერე ერთ ხანს ჩამოვარდნილი სიჩუმე საცობის მოხდის ხმამ დაარღვია. ამას მათარის ვიწრო ყელიდან გადმოღვრილი ვისკის ლიკლიკი მოჰყვა. შემდეგ სიამოვნებისაგან ტუჩები გააწკლაპუნა და ძალზე გამხიარულდა. ამას რაღაც ველური ღრიალი მოჰყვა, გაისმა სიმღერა და თავაწყვეტილი სიცილი. ბოლოს, ქოხში კარგა გვარიანი ხვრინვის ხმა გაისმა.

15 - გამოაღვიძეს

ფელიმს მეორე სიზმარი უფრო გაუგრძელდა. თითქმის შუადღე იყო მოტანებული, როცა თავზე ცივი წყალი გადაასხეს, რასაც გაღვიძებულ ფელიმზე წითელკანიანების დანახვაზე ნაკლებ არ უმოქმედნია. თვალი რომ გაახილა, მის წინ ზებ სტუმპი იდგა.

კასა დელ კორვოდან წამოსული სტუმპი უმოკლესი ბილიკით მოვიდა მუსტანგერის ქობში.

მას კვალის ძებნა არ დაუწყია. ტრამალი გადმოჭრა თუ არა, ჩვენთვის უკვე ცნობილ განაკაფ ბილიკზე ამოყო თავი.

ძველმა მონადირემ ყველაფერი გაითვალისწინა, რაც ლუიზამ უთხრა. ხოლო როცა მდევართა ვინაობა შეიტყო, მიხვდა, რომ მორის მუსტანგერს განსაცდელი ელოდა. სწორედ ამიტომ ჩქარობდა და არ უნდოდა, ალამოსაკენ მიმავალ მდევრებს გზაში გადაჰყოლოდა.

ტყის განაკაფი ზოლი გადაჭრა და როცა ტყის პირს მიაღწია იმ ბილიკზე შეაგდო ცხენი, წინა დღეს დიასი და მისი ამფსონები რომ მიდიოდნენ. აქედან შეუჩერებლივ და ყოველგვარი ხიფათის გარეშე იარა ალამოს ნაპირზე გაშლილ ველამდე, საიდანაც უკვე მოჩანდა მუსტანგერის ქობი.

იმის ნაცვლად, რომ ცხენი პირდაპირ ქობთან მიეგდო, ზებ სტუმპი ცხენიდან ჩამოხტა და ქობს ჩვეულებისამებრ ფრთხილად, ქვეითად მიუახლოვდა. ცხენის ტყავგადაკრული ქობის კარი დაკეტილი დაუხვდა, მაგრამ კარის შუა ადგილას ვიღაცას დიდი ჭკუჭრუტანა გაეკეთებინა, ვის უნდა ჩაედინა ეს?

ამ გარემოებამ ძველი მონადირე კიდევ უფრო მეტად ფრთხილი გახდა. ისე ქურდულად მიიწევდა ქობისაკენ და ათვალეერებდა გარემოს, თითქოს ანტილოპას ეპარებო.

ქობში შესაჭვრეტი ადგილი მოძებნა. ერთ ადგილას გადაწეული ლატანი შენიშნა, ცხენის ტყავიც ვიღაცას სწორედ ამავე ადგილას

აეგლიჯა. ზები კვლავ განცვიფრდა, მაგრამ ვიდრე იმას მოიფიქრებდა, თუ რას მოასწავებდა ეს, ხვრინვა შემოესმა. იცოდა, რომ ასეთი ხვრინვა მხოლოდ მუსტანგერის მსახურს შეეძლო.

ზებმა ქოხში შეიჭვრიტა და მძინარე ფელიმი იატაკზე გაშხლართული დაინახა. ახლა სიფრთხილე უკვე საჭირო აღარ იყო. მონადირე წამოდგა, ქოხს ისევ წინიდან შემოუარა და ჩაუკეტავი კარიდან შევიდა.

ფელიმისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ჯერ ქოხის იატაკი დაათვალიერა — ეს რა არის? ბარგი-ბარხანა შეუკრავთ? — ჩაილაპარაკა მან, — ჰო, მომაგონდა, მორისი ამბობდა, ამ დღეებში აქედან უნდა წავიდეთ. მაგრამ აქ რა უნდა ესპანური ბანქოს ქალაქს? ნეტავი რა ოხრობად უნდოდა? ალბათ სმის დროს თამაშობდა.

— ფელიმ! — რაც შეეძლო ხმამაღლა ჩასძახა ზებმა. ფელიმი ისევ დუმდა. ზებ სტუმპი ისე ხმამაღლა ჩასძახოდა, რომ კაცი ნახევარ მიღზე გაიგონებდა მის ხმას, მაგრამ მძინარეს ყურიც არ შეუბერტყავს.

ზებმა ახლა ნჯღრევა დაუწყო, მაგრამ ამაოდ. ფელიმმა რაღაც ჩაიბურტყუნა და ისევ ხვრინვა ამოუშვა.

— რომ არ ხვრინავდე, მკვდარი ეგონება კაცს, ისე უგრძობლად გაღეშილა. აბა, ამასაც ვცდი და ვნახოთ...

მოხუცმა მონადირემ თვალი დაადგა კუთხეში მდგარ წყლით სავსე ჭურჭელს. ზებს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, წყლით სავსე ჭურჭელი აიღო და მძინარეს თავზე დაასხა.

ამას კი უშედეგოდ არ ჩაუვლია. თუ ფელიმი წყალმა საბოლოოდ ვერ გამოაფხიზლა, გამოღვიძებით მაინც გამოაღვიძა, შეშინებული ფელიმის წამოყვირება მოხუცი მონადირის ხარხარმა დაჰფარა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და ორივემ სერიოზული ლაპარაკი დაიწყეს.

მიუხედავად იმისა, ფელიმი მთვრალი იყო, შიშს თავისი გაეტანა და ახლა ზებ სტუმპში რომ დაინახა, ისე გაუხარდა, მისი მწარე ახირებული ხუმრობისათვის ყურადღება არც კი მიუქცევია.

როგორც კი ზებ სტუმპში დაინახა, ფელიმს მისი შეკითხვებისათვის არ დაუცდია, ყველაფერი დაწვრილებით უამბო, რაც ნახა, გაიგონა და იცოდა. ცოტა ენა ეშლებოდა და ჯერ კიდევ დალაგებულად ვერ ამროვნებდა ვისკისა და განცდილი ამბებისაგან, მაგრამ სათქმელი მაინც თქვა.

უთავო მხედრის გამოჩენის ამბავი ზებმა პირველად მისგან შეიტყო.

ამ ამბავზე ზებ სტუმპმა ბევრი იცინა და ფელიმს უთხრა: ეს სიმთვრალეში მოგეჩვენებოდაო.

მაგრამ ფელიმმა რომ მტკიცება დაუწყო, მართლა ვნახეო, ზები საგონებელში ჩავარდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ამბები გაახსენდა, რაც თვითონ იცოდა.

— კი მაგრამ, როგორ უნდა შევმცდარიყავი? — ედავებოდა ფელიმი, — მე ხომ მორისი ისევე გარკვევით დავინახე, როგორც ახლა თქვენ გიყურებთ: გარდა თავისა, ყველაფერი დავინახე, თავი კი, როცა ცხენი შეაბრუნა და გასაქცევად მოემზადა, მაშინ შევნიშნე. მე გარკვევით გავარჩიე მისი მექსიკური, ზოლებიანი სერაპე. იაგუარის ტყავის საცვეთები. ანდა მის ცხენს როგორ ვერ ვიცნობდი? ხომ გეუბნებით, ტარა უკან დაედევნა და ინდიელებს უყეფდა-მეთქი.

— ინდიელები! — წამოიძახა მონადირემ და თავი იჭვნეულად გააქნია, — მერე ინდიელები ესპანურ ბანქოს თამაშობენ? მე მგონი, ისინი თეთრი ინდიელები იქნებოდნენ.

— თქვენ ფიქრობთ, ისინი ინდიელები არ იყვნენ?

— არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მე რას ვფიქრობ. ახლა მაგის განსჯის დრო არ არის. აბა, ყველაფერი მომიყევი, რაც ნახე და გაიგონე.

როცა ფელიმმა თხრობა დაამთავრა, ზებს მეტი არაფერი უკითხავს, ქოხიდან გამოვიდა და ბალახზე ინდიელთა მსგავსად ფეხმორთხმით დაჯდა.

მას უნდოდა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ყველაფერი კარგად აეწონ-დაეწონა და განეჭვრიტა. ამის გაკეთება კი ჭერქვეშ არ შეეძლო.

ჯერ ჰენრი პოინდექსტერის გაუჩინარების ამბავი არ იყო გამორკვეული და ამას ახლა ისიც დაემატა, რომ მორის მუსტანგერი, რომელიც, ფელიმის თქმით, ერთი დღის წინ დილაადრიან უნდა მოსულიყო შინ, სახლში არ დახვდა.

სრულიად დაუჯერებელი ჩანდა ტრამალზე მორის მუსტანგერის უთავო, ანდა საკუთარი თავით ხელში გამოცხადება! იქნებ რამე ოინი იყო? მაგრამ რა მიზანი უნდა ჰქონოდა ამას? აი, რა იყო თავსატეხი.

ზებ სტუმპში მოვლენების რალაც საოცარი ხლართისა და ურთიერთკავშირის დილემის წინაშე აღმოჩნდა. მორის ჯერალდისა და ლუიზა პოინდექსტერის შუალამის შეხვედრები, ჩხუბი ჰენრისთან, რომელიც მათი ერთ-ერთი შეხვედრის მოწმე გახდა, ტრამალისაკენ მორისის წასვლა, ჰენრის დადევნება ბოდიშის მოსახდელად... ყველაფერი ეს ზებისათვის თანმიმდევრული და გასაგები იყო.

ამის შემდეგ იწყებოდა არევ-დარევა და წინააღმდეგობანი.

ზებ სტუმპშია მორისის აზრი და განწყობილება ჰენრის მიმართ კარგად იცოდა. მას ხშირად მოუსმენია, როგორ თბილად იხსენიებდა მუსტანგერი ახალგაზრდა პლანტატორს. იოტისოდენა წყენაც არ ედო მის მიმართ გულში და ჭაბუკის ხასიათით აღფრთოვანებული იყო.

მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ფიქრობდა ზები, მაგრამ ამ დახლართული საქმიდან ვერანაირი დასკვნა ვერ გამოიტანა.

მხოლოდ ერთი რამ იყო ნათელი. სახელდობრ ის, რომ მუსტანგერის ქოხის დასარბევად მოსული ოთხი მხედარი ინდიელები არ უნდა ყოფილიყვნენ.

შესაძლო იყო, მათ მკვლელობაშიც ერიათ ხელი, მაგრამ ამ ოთხეულის მოსვლამ მუსტანგერის ქოხში იმ დროს, როცა მისი პატრონი შინ არ იყო და მორისის ამდენ ხანს მოუსვლელობამ, ზეზი იმ სამწუხარო დასკვნამდე მიიყვანა, რომ ტყეში საძებნი ერთი კი არა, ორი გვამი უნდა ყოფილიყო.

ეს რომ გაიფიქრა ზეზ სტუმპმა, მკერდიდან ღრმა ოხვრა აღმოხდა. მას შვილივით უყვარდა მორის მუსტანგერი. ახლა, როცა წარმოიდგინა იგი სადღაც ტყეში მოკლული ყვავ-ყორნებისა და კოიოტების საჯიჯგნად უპატრონოდ მიგდებული, გული დაეთუთქა.

კვლავ ისე ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოატანაო. წამოდგა, მოღზე გაიარ-გამოიარა და მერე ხმამაღლა წარმოთქვა შურისგების ფიცი.

ისე დაუფლებოდა მწუხარება და შურისძიების გრძნობა, რომ გვერდით ჩავლილი მუსტანგერის ძაღლიც კი ვერ შენიშნა.

სანამ ფელიმი ტარას ირლანდიული წესით ხმამაღლა არ მიესალმა, ზეზ სტუმპს ძაღლი არც შეუნიშნავს. ფელიმის ხმაზე იგი შემობრუნდა, ძაღლი დაინახა, მაგრამ აინუნშიაც არ ჩაუგდია. ზეზი თავისი ფიქრებიდან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ფელიმმა ხმამაღლა, გაოცებული ხმით დაუძახა.

— რა იყო, ფელიმ? რა დაგემართა? გველმა ხომ არ გიკვბინა?

— ოჰ, მისტერ სტუმპ, შეხედეთ ტარას! კარგად შეხედეთ! კისერზე რაღაც აქვს შემოხვეული. როცა გაიქცა, ეს არა ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს?

მონადირემ მზერა იმწამსვე ძაღლზე გადაიტანა. მართლაც, პირუტყვს კისერზე ირმის ტყავის ღვედით რაღაც ეკიდა.

ზეზმა დანა ამოიღო და ძაღლის კისერთან დაიხარა. შეშინებული ტარა განზე გახტა.

მოფერება დაარწმუნა პირუტყვი, რომ მას არას ავნებდნენ და უკანვე დაბრუნდა.

ზებმა ტარას კისერზე შემოხვეული ღვედი გადაჭრა, ზედ მიმაგრებული ტყავი გახსნა და იქიდან ამოიღო რაღაც ქალაღი, რომელიც სადარბაზო ბარათი აღმოჩნდა.

სადარბაზო ბარათს სახელიც ეწერა, მაგრამ მასზე თითქოს წითელი მელნით რაღაც წაეწერათ. სინამდვილეში ეს მელანი კი არა, სისხლი გახლდათ. მან სასწრაფოდ გადაიკითხა სადარბაზო ბარათზე სისხლით წარწერილი სტრიქონები და სიხარულისაგან შეჰყვირა.

— მადლობა ღმერთს! და მადლობა ჩემს კენტუკელ მასწავლებელს, რომ ვებსტერისეული დედაენა შემასწავლა, ის ცოცხალია, ფელიმ! ცოცხალი! აი, ნახე! მაგრამ შენ ხომ წერა-კითხვა არ იცი. თუმცა ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს, ის ცოცხალია, გაიგე?

— ვინა? მისტერ მორისი? მადლობა ღმერთს...

— მოიცა, ჯერ ლოცვად ნუ დადგები, წადი, ერთი შალის საბანი და ცხენის ტყავის ღვედები მომიმზადე. აბა, შენ იცი, სანამ ცხენებს მოვიყვანდე, ყველაფერი მზად გქონდეს. ნახევარი საათიც რომ დავკარგო, მერე უკვე გვიან იქნება.

16 - სულზე მისწრება

— ნახევარი საათიც რომ დავკარგოთ, მერე უკვე გვიან იქნება! — ეს იყო მოხუცი მონადირის სიტყვები, როცა ის ქოხიდან გამოვიდა. მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, თუ იტყოდა, ნახევარი წუთის დაკარგვაც არ შეიძლებაო. როცა მონადირე ამ სიტყვებს ამბობდა, წერილის დამწერს კვლავ შემოესივნენ კოიოტები, ისევ დაემუქრა სიკვდილის საფრთხე, მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან, რაც შემდეგ მოელოდა.

მკითხველი ალბათ მიხვდებოდა, რომ პანამისქუდიანი და წამოსასხამში გახვეული ახალგაზრდა, რომელიც კოიოტებს ებრძოდა,

მორის ჯერალდი იყო. ტარას დახმარებით კოიოტების შემოტევა რომ მოიგერია, მორისმა გადაწყვიტა, ცოტა წაეძინა და ძალა მოეკრიბა.

მორისს სჯეროდა, რომ ტარა შესძლებდა სვავეებისა და კოიოტების თავდასხმისაგან მის დაცვას, ამიტომ რამდენიმე საათი ძილს მისცა თავი.

მუსტანგერმა თვითონ გაიღვიძა. გამოძინებამ სასიცოცხლო ძალები ნაწილობრივ აღუდგინა და გარსმოჯარულ საშიშროებას უფრო ღრმად ჩაუფიქრდა. მართალია, ტარამ დაიხსნა იგი კოიოტების თავდასხმისაგან და საშიშროების შემთხვევაში ძალღი კვლავ გამოექომაგებოდა თავის პატრონს, მაგრამ როდემდე შესძლებდა ამას პირუტყვი?

ამ მძიმე წუთებში თავში ბრწყინვალე აზრმა გაუელვა — ტარას შეუძლია წერილის წაღება ქოხში. ამ განზრახვით მცენარესთან მიცოცდა. ერთი გრძელი ეკალი მოტეხა, იქვე მწოლიარე კოიოტის სისხლში ჩააწო, სადარბაზო ბარათი ამოიღო და წერას შეუდგა. წერილი პანამის ქუდის სარჩულში გაახვია და ღვედის ნაგლეჯით ტარას კისერზე მიამაგრა. ახლა მთავარი ის იყო, როგორმე ძალღი შინ გაეგზავნა.

ეს კი ძალიან საძნელო აღმოჩნდა. უენო ერთგული არსება ვერასგზით ვერ მიხვდა, რატომ უნდა დაეტოვებინა პატრონი მარტოდ-მარტო ასეთ განსაცდელში. არც ალერსმა და არც შეგონებამ არ გასჭრა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მორისმა მოჩვენებითი სიბრაზით ტარას დაუყვირა და ჯოხიც უთავაზა, ძალღი მოსცილდა.

იქვე ახლოს კაკლის ხე იდგა, რომელსაც ორი ტოტი ჰორიზონტალურად ჰქონდა წაზრდილი.

წამოსასხამი გაიხადა, მიწაზე გაფინა და დანით ნაპირები რამდენიმე ადგილას გახვრიტა. შემდეგ თავისი ჩინური აბრეშუმის შარფი მოიხსნა და სიგრძეზე ორად გაჭრა. წამოსასხამის ერთი ბოლო ერთ

ტოტს მიამაგრა შარფით, მეორე ბოლო კი — მეორეს. ამრიგად, კაკლის მაღალ ხეზე ჰამაკივით საწოლი მოიწყო.

მუსტანგერმა იცოდა, კოიოტები ხეზე ვერ ამოვიდოდნენ. ჰამაკში ჩაწოლილს კი შეეძლო ეცქირა პირშიჩალაგამოვლებული ნადირებისთვის.

ყოველივე ეს იმიტომ მოიმოქმედა, რომ იცოდა, კოიოტები ისევ დაბრუნდებოდნენ. ტყიდან მართლაც მალე გამოჩნდნენ კოიოტები. ისინი ჯერ გაუბედავად მოიწევდნენ, ერთ-ორი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ჩერდებოდნენ, ბოლოს მხნეობა მოიკრიბეს და ბრძოლის ადგილისაკენ დაიძრნენ. მუსტანგერი არანაირ ყურადღებას არ აქცევდა მათ წრიალს. მაშინაც კი არ შეუბერტყავს ყური, როცა კოიოტებმა მალლა ხტომა დაიწყეს, რათა ჰამაკში ჩაწოლილისთვის კბილები ჩაევლოთ და დაეგლიჯათ.

მაგრამ არსებობდა საფრთხე, რომელიც მას მხედველობიდან გამორჩა, მუსტანგერი ამას მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა კოიოტებს უნაყოფო ცდისაგან ქანცი გაუწყდათ და იქვე, კაკლის ხის ძირში მიწვნენ.

ასეთ ალყას იგი არ შეუშინდებოდა, სხვა უფრო მძიმე განსაცდელი რომ არ ყოფილიყო მოსალოდნელი. დაჭრილსა და დამაშვრალს კვლავ ჯოჯოხეთურად მოსწყურდა.

მორისი წინდაუხედაობისათვის თავის თავს კიცხავდა. ხომ შეეძლო ხეზე ასვლამდე წყალი მოემარაგებინა.

სინანული გვიანლა იყო. წყალს თვალით ხედავდა, მაგრამ წყურვილს მაინც ვერ იკლავდა. ნაკადულთან ისე ვერ მივიდოდა, თუ კოიოტების ალყას არ გაარღვევდა. ეს კი უეჭველ სიკვდილს მოასწავებდა. ძალიან მცირე იმედი ჰქონდა, რომ ძალლი დაბრუნდებოდა და ხელმეორედ იხსნიდა განსაცდელისაგან. გულში ჩამქრალი მუგუზალივით კიაფობდა იმის იმედით, რომ ძალლის მიერ წაღებული წერილი იმ ადამიანის ხელში მოხვდებოდა, ვისაც წერილი მისწერა.

მუსტანგერმა ახლა გონება დაკარგა და ბოდვა დაიწყო. ეჩვენებოდა, თითქოს ათასამდე კოიოტმა მოიყარა თავი. კაკლის ხეს გარს შემორტყმოდნენ და თანდათან წინ მოიწევდნენ. მათი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ. კბილები მაგრად ჩაესოთ მოსასხამში და ნაკუწ-ნაკუწ გლუჯდნენ, თანაც სისხლისფერი ენებით ლოკავდნენ მას. დაჭრილი უკვე გრძნობდა კაკლის ხესთან მიახლოებული კოიოტების მყრალ სუნთქვას.

როცა წამიერად გამოერკვა, მორისი მიხვდა, რომ ეს ყველაფერი მოეჩვენა. სანამ კვლავ დაჰკარგავდა გონებას, მუსტანგერმა შეამჩნია, რომ კოიოტები უეცრად წამოხტნენ და ტყეს მისცეს თავი.

მორისს სიხარულის შეძახილი აღმოხდა, როცა გაიფიქრა — მათი გაქცევის მიზეზი ტარას დაბრუნებააო. იქნებ ფელიმიც აქაა? კოიოტები უკვე ორი საათია, სდარაჯობდნენ და ამ ხნის განმავლობაში ტარა შეძლებდა წასვლასა და უკან დაბრუნებას.

მორისი ჯანმთელ მუხლს დაეყრდნო, წამოიწია და გარემო შეათვალიერა. არც ძალი ჩანდა და არც მსახური. ტოტებისა და ბუჩქების მეტი ვერაფერი დაინახა.

სმენა დაძაბა. მხოლოდ ლტოლვილი კოიოტების ყმული ესმოდა. ახლა უფრო ჰგავდა ყველაფერი მოჩვენებას. რას უნდა დაეფრთხო კოიოტები?

თუმცა ეს მისთვის სულერთი იყო. რაც მთავარია, ნაკადულისაკენ გზა გათავისუფლდა და წყურვილის მოკვლა შეეძლო. წყლის საამო ჩუხჩუხი მის სმენას აღარ აღიზიანებდა, პირიქით, ატკობდა.

მორისი ხიდან ჩამოვიდა და ტორტმანით ნაკადულის ნაპირს მიადწია. სანამ წყალს დაეწაფებოდა, ერთხელ კიდევ მიმოიხედა და გარემო დაზვერა. წყურვილმაც ვერ გადაავიწყა იმაზე ფიქრი, თუ რას უნდა დაეფრთხო კოიოტები.

მართალია, მორისს ეგონა, ტარა დაბრუნდა და კოიოტებმა ამის გამო ტყეს მისცეს თავიო, მაგრამ ფრთხილობდა, ეშინოდა, სხვა მიზეზი არ ყოფილიყო.

კიდევ ერთხელ მიმოიხედა და ყოველივე ნათელი გახდა. ფოთლებში გველივით მოცოცავდა უზარმაზარი ვეფხვი, რომელსაც ბეწვი ყვითლად უელავდა. ახლა კი ნათელი გახდა, რატომ გაიქცნენ კოიოტები.

ვეფხვის განზრახვა ადვილი მისახვედრი იყო. მან სისხლის სუნი შეიგრძნო და აქეთ გამოეშურა, რათა ლხინს უიმისოდ არ ჩაეველო.

ვეფხვი ხიდან ჩამოსულს თვალს არ აშორებდა. ჯერ ფეხდაფეხ მისდევდა ნელა, მერე კი თანდათან უმატა ნაბიჯს, თითქოს ნახტომისათვის ემზადებო.

კაკლის ხეზე ასვლას აბრი აღარ ჰქონდა. ვეფხვი კატასავით ადის ხეზე, მორისმა ეს კარგად იცოდა. თუმცა ესეც რომ არა, უკან დაბრუნება უკვე გვიან იყო. ვეფხვი მისკენ კაკლის ხეზე მოწყობილი თავშესაფრის მხრიდან მოდიოდა. სხვა თავშესაფრად გამოსადეგი ხე კი ახლომახლო არსად ჩანდა.

მუსტანგერი დაუფიქრებლივ შევიდა წყალში და მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა ნაკადი წელამდე შემოადგა.

საღად აბროვნების უნარი რომ შერჩენოდა, მაშინვე მიხვდებოდა, რომ ეს ვეფხვის თავდასხმისაგან ვერ უშველიდა. თუ ვეფხვი ხეზე კატასავით დადის, წყალში იგი წავივით ცურავს და ისევე საშიშია, როგორც ხმელეთზე.

მაგრამ მორისს ახლა ამაზე ფიქრი არ შეეძლო. იგი ინსტინქტურად გრძნობდა, რომ პატარა ნაკადულს, ისიც ასეთ დროს, დიდი დახმარების გაწევა არ შეეძლო. ამაში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა, როცა ვეფხვი ნაკადულის პირს მოადგა და ნახტომისათვის მოემზადა.

რაკი თავდაცვა აღარ შეეძლო, სასოწარკვეთილი მუსტანგერი მძვინვარე მხეცის თავდასხმას ელოდა, თან არც დანა ჰქონდა, არც რევოლვერი და არც სხვა რაიმე იარაღი გააჩნდა. შიშველი ხელებით ვეფხვთან ბრძოლა კი სრულიად უიმედო იყო.

როცა ვეფხვმა ჰაერში კამარა შეჰკრა, მორისს ველური ღრიალი აღმოხდა.

ვეფხვმაც სწორედ მაშინ დაიღრიალა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მსხვერპლს თავს დასხმოდა, მოცელილივით ზღართანი მოადინა წყალში.

გაისმა რაღაც გუგუნის, თითქოს მუსტანგერის ყვირილს ტყის ექო გამოეხმაურათ. ამას წინ უძლოდა თოფის გასროლის მჭახე ხმა. ბუჩქებიდან ვეებერთელა ძალის გამოხტა და წყალში სწორედ იმ ადგილას ჩახტა, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ ვეფხვი გაუჩინარდა. ტყიდან ნაკადულისაკენ მიმავალ გზაზე უზარმაზარი ადამიანი მოაბიჯებდა. მეორე, შედარებით მომცრო ტანის კაცი უკან მოსდევდა და გარემოს მხიარული შექაზილებით აყრუებდა.

მუსტანგერს ეს სანახაობა მოჩვენება ეგონა და გაიფიქრა კიდევ, ალბათ ბოდვა დამაწყებინათ. ეს იყო უკანასკნელი ნათელი აზრი, რამაც იმ დღეს გონებაში გაუელვა. შემდეგ გონება დაკარგა და მის გარშემო მცურავი ერთგული ძალის კინალამ დაახრჩო.

17 - ტრამალის ტახტეფანი

ზებ სტუმპის უზარმაზარმა ხელებმა დაიხსნა მორის მუსტანგერი განსაცდელისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მეტისმეტად ჩქარობდა, ზებ სტუმპმა სადარბაზო ბარათში მითითებულ ადგილსამყოფელს ადვილად მიაგნო. საბედნიეროდ, ზებ სტუმპი აღმოჩნდა თოფის სასროლ მანძილზე, როცა ვეფხვი ნახტომისათვის ემზადებოდა.

ტყვიამ ვეფხვს შიგ გულში გაუარა, მაგრამ ჰაერში ატოტებული მძვინვარე მხეცი ადგილზე მაინც ვერ გააშეშა.

მონადირე წყალში შევარდა. მას უნდოდა, თავისი ნასროლი ტყვიის საბედისწერო შედეგი თვალთ ენახა და დარწმუნებულიყო, რომ ვეფხვს უკვე მუსტანგერის ვნება აღარ შეეძლო. მაგრამ ზებ სტუმპს თავს თვითონვე დაესხნენ. ოღონდ ვეფხვი კი არა, ის ადამიანი, ვინც სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯა.

საბედნიეროდ, მუსტანგერს დანა თან არ ჰქონდა. მან ზებ სტუმპს ხელები ყელში წაუჭირა და კინალამ დაახრჩო. მოხუცმა მონადირემ თოფი განზე ისროლა და მთელი ძალ-ღონის დაძაბვით ძლივს შესძლო მოულოდნელი თავდასხმის მოგერიება.

ეს ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ ზებმა თავისი უზარმაზარი ხელები მუსტანგერის სხეულს სალტესავით შემოაჭდო და ციმციმ ნაპირისაკენ წაიღო.

მაგრამ დაჭრილმა კვლავ გაიბრძოლა. როგორც კი ზებ სტუმპის მკლავებიდან გათავისუფლდა, სწრაფად გაქანდა კაკლის ხისკენ.

მონადირე განზრახვას მიუხვდა. ექვსი ფუტის სიმაღლე ზებ სტუმპმა ადვილად შენიშნა წამოსასხამზე დაგდებული გასისხლიანებული დანა. მუსტანგერი სწორედ დანისკენ მიიწევდა.

ზები უკან დაედევნა, დაეწია, ერთხელ კიდევ შემოაჭდო თავისი დათვური ხელები მის დაუძღურებულ სხეულს და კაკლის ხისაგან მოშორებით მიწაზე დააწვინა.

— აბა, მარდად, ხეზე აცოცდი, ფელიმ და დანა დამალე, — გასძახა მან მუსტანგერის მსახურს, — თორემ ყმაწვილს სიცხემ დარია ხელი და გონიც დაჰკარგა.

ფელიმმა იმწამსვე შეასრულა ზების ბრძანება და დანა დაბლა ჩამოიტანა.

ქანცმილეული მუსტანგერი მიწაზე დავარდა და გააკანკალა. ისე მძიმედ ამოისუნთქა, თითქოს გულღვიძლი თან ამოაყოლო და ისე მშვიდად გაწვა მიწაზე, თითქოს მისი მშფოთვარე, ამაყი სული სხეულს სამუდამოდ გაჰყროდეს.

ფელიმს ეგონა, მართლა მოკვდაო და საცოდავად ბღავილსა და ქვითინს მოჰყვა.

— აბა, შეწყვიტე ბღავილი, შე გამოთაყვანებულო! — დაუყვირა ზებმა, — შენი ყმუილის გაგონებაზე შეიძლება მართლა მოკვდეს ადამიანი.

რაკი ფელიმმა გაიგო, მისი ბატონი არა თუ მკვდარი არ იყო, საშიში ჭრილობებიც კი არა ჰქონდა, მწუხარებამ სწრაფად გაუარა და ცეკვას მოჰყვა, რაღაცას მხიარულად წამოიძახებდა ხოლმე და თან თითებს ატკაცუნებდა.

მისი მხიარული განწყობილება ტარასაც გადაედო და ორივენი ერთად ისე ცეკვავდნენ და ხტოდნენ, გეგონებოდათ, ირლანდიულ ჯიგს თამაშობენო.

ზებ სტუმპი მიწაზე გართხმული სხეულისაკენ დაიხარა და კვლავ ისე დაუწყო სინჯვა, თითქოს პირველად ხედავსო.

როცა ერთხელ კიდევ დაასკვნა, საშიში არაფერიო, ადგა და გარემო მოათვალიერა. ჯერ იყო და, მუსტანგერის პანამის ქუდი შენიშნა, რომელიც მორისს ჯერ კიდევ თავზე შერჩენოდა. ზებს ამ ქუდის დანახვაზე თავში რაღაც უცნაურმა აზრმა გაურბინა.

ამ გუაიქვილის ბალახისაგან მოწნულ ქუდს, რომელსაც შეცდომით პანამას უწოდებდნენ, სამხრეთ ტეხასშიც ატარებდნენ და არცთუ ისე იშვიათობას წარმოადგენდა, მაგრამ ზებ სტუმპმა იცოდა, რომ მუსტანგერი მექსიკურ სომბრეროს ატარებდა. თუმცა კი შეეძლო თავისი ჩვეულებისათვის ელაღათა და პანამა დაეხურა.

რაც უფრო აკვირდებოდა ზებ სტუმპი ამ ქუდს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ იგი ადრეც ენახა, მაგრამ არა მუსტანგერის თავზე.

მონადირე დაიხარა და მორისს ქუდი მოხადა. ქუდის სარჩული რომ დაათვალიერა, მისი ყურადღება ორმა წარწერამ მიიქცია. ერთი ამცნობდა მკითხველს, რომ ქუდი ახალ ორლეანში იყო შეკერილი. მეორე წარწერაც კარგად ეცნობოდა ძველ მონადირეს: — „ჰენრი პოინდექსტერი“.

ახლა წამოსასხამმა დააინტერესა. მასზეც ისეთივე ნიშნები აღმოჩნდა და ეჭვმიუტანლად დაასკვნა, რომ ისიც ჰენრი პოინდექსტერს ეკუთვნოდა.

ფელიმი საშველად მოიხმო. მათ ტყეში ორი ჯოხი მოჭრეს, ათი ფუტის სიგრძისა და გასხიპეს. ზედ ორი შედარებით პატარა გასხიპული ჯოხი დააკრეს გარდი-გარდმო, შემდეგ შალის საბანი და წამოსასხამი გადააფინეს და დაამაგრეს.

თავის საკუთარ ქოხში მორის ჯერალდი ამ ტახტრევანით მიიყვანეს.

უკვე ბნელოდა, როცა ქოხამდე მივიდნენ.

მონადირის ძლიერმა, მაგრამ მზრუნველმა ხელებმა დაჭრილი მუსტანგერი საკაციდან ფრთხილად გადაიყვანა ქოხში, ცხენების ტყავისაგან დამზადებულ საწოლზე.

მუსტანგერმა არ იცოდა, სად იმყოფებოდა. არც ის იცოდა, რომ თავს მეგობრები ადგნენ და უვლიდნენ. ჯერ კიდევ არეულ-დარეულად ლაპარაკობდა. როცა სიცხემ დაუწია, სიშმაგემ თანდათან გაუარა და დამშვიდდა.

ზებმა და ფელიმმა ჭრილობები, როგორც შეეძლოთ, ისე შეუხვიეს. ახლა დილამდე უკვე აღარაფერი ჰქონდათ გასაკეთებელი. ფელიმი დასაძინებლად მიწვა, ზებ სტუმპი კი სასთუმალთან ეჯდა ავადმყოფს და უსმენდა, რასაც ის ბოდავდა. მონადირისათვის მოულოდნელი და გასაკვირი არაფერი იყო, მაგრამ ზოგჯერ მორისის სიტყვები გაოცებულ ზებს თავგზას უბნევდა. მას არ უკვირდა, როცა ავადმყოფი ლუიზას ახსენებდა და საუკუნო სიყვარულს ეფიცებოდა. მაგრამ როცა მის ძმას ახსენებდა, ზებს ეს ნაკლებ სიამოვნებას ჰგვრი

18 - ახალი ამბების დღე

ღონ სილვიო მარტინესი მდიდარ მექსიკელთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთაც ჩრდილოეთ ამერიკის მიერ ტეხასის კოლონიად გადაქცევის შემდეგ არ მიუტოვებიათ სამკვიდრო.

ის შუახანს გადაცილებული, მშვიდი ხასიათის კაცი იყო. პოლიტიკაში ჩარევა არ უყვარდა და ახალ ვითარებას ადვილად შეეგუა. მართალია, ქვეყანამ დაკარგა ეროვნული დამოუკიდებლობა, მაგრამ დონ სილვიო მარტინესის აზრით, ახალი ხელისუფლება უკეთ დაცავდა მის სიმდიდრეს ინდიელებისაგან, თუმცა ინდიელები ჯერ კიდევ არ იყვნენ საბოლოოდ წელში გატეხილი, მაგრამ ტეხასის კოლონიად გადაქცევის შემდეგ იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ მის ტერიტორიაზე. ძველი რეჟიმის დროს კი ქვეყანას იკლებდნენ და აწიოკებდნენ.

დონ სილვიო გახლდათ განადერო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას საკუთარ თვალუწვდენელ საძოვრებზე ათასობით ცხენი და რქოსანი პირუტყვი დაუდიოდა. ცხოვრობდა დიდ, მართკუთხა მოყვანილობის ერთსართულიან სახლში, რომელიც საპყრობილეს უფრო მიაგავდა, ვიდრე საცხოვრებელ ბინას. შენობას გარშემო საქონლის საჩეხეები ერტყა. აქ მუდამ სიწყნარე სუფევდა, გარდა იმ დღეებისა, როცა საქონელს დამლას ასვამდნენ. ამ დროს აქ ერთი აურზაური და ორომტრიალი ატყდებოდა ხოლმე. ასეთი რამ კი წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხდებოდა.

ისიდორას დონ სილვიოს სახლში ყოველთვის გულდიად ხვდებოდნენ. როცა მოისურვებდა, მაშინ ჩამოდიოდა და როცა მოეპრიანებოდა, მაშინ ბრუნდებოდა უკან. ბიძის ოჯახში სრული თავისუფლებით სარგებლობდა. ისიდორას სიცოცხლით აღსავსე, მხიარული ხასიათი ბიძის მხრივ სრულ მხარდაჭერას პოულობდა, რადგან თვითონ დონ სილვიოც ცოცხალი, ხალისიანი და ამყოლი კაცი გახლდათ. შესაძლოა, სხვაგან თვალში სცემოდათ ისიდორას, ერთი შეხედვით, ქალისათვის შეუფერებელი, ახირებული ხასიათი, მაგრამ ამ ციხესიმაგრედ გადაქცეულ სახლში, სადაც მხოლოდ შინაურები ტრიალებდნენ, ყოველივე ეს შეუმჩნეველი რჩებოდა.

თავად დონ სილვიო მარტინესს ხიფათითა და თავგადასავლებით აღსავსე ახალგაზრდობა ჰქონდა გამოვლილი. ამიტომაც იყო,

რომ ისიდორას სიმამაცესა და გამბედაობას ალტაცებაში მოჰყავდა და უსაზღვრო სიამოვნებას ანიჭებდა.

შუახანს გადაცილებულ ჯენტლმენს დისწული საკუთარი შვილივით უყვარდა, ამიტომაც მთელი მისი ქონების მემკვიდრედ ყველას ისიდორა მიაჩნდა. იგი, როგორც მომავალი ქალბატონი, დიდი პატივისცემით იყო გარემოსილი და მისადმი შიში და კრძალვა დონ სილვიო მარტინესის ყველა მსახურს ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი.

მაგრამ ეს თაყვანისცემა მარტო იმ მიზეზით კი არ იყო გამოწვეული, რომ მასში მომავალ ქალბატონს ხედავდნენ. ისიდორას გულადობა, მისი ვაჟკაცური (და არა მამაკაცური) სული და სიმამაცე საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდა.

ამიტომ იყო, რომ მიგელ დიასმა სასწრაფოდ დასტოვა ჯუჯა ტრამალი და ლუიზას უთხრა, — თუ აქ დავრჩი, ხიფათი არ ამცდებალ. ისიდორას რომ მოესურვებინა და თავისი ბიძის მსახურნი გაეგზავნა იქ, სადაც ლაზოთი ხელებშეკრული დიასი იწვა, ისინი ისიდორას თუნდაც სიტყვით შეურაცხმყოფელს ულაპარაკოდ უახლოეს ხეზე ჩამოჰკიდებდნენ კატასავით.

ისიდორას არანაირი ეგოისტური მიზანი არ ამოძრავებდა. იგი ისედაც მდიდარი სარძლო გახლდათ. მამამისს თავგესაყრელად ჰქონდა ქონება. ისიდორას უხაროდა ბიძასა და დეიდასთან სტუმრობა. ამავე დროს, მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე გასეირნებაც უყვარდა.

ბოლო დროს ისიდორამ ბიძია სილვიოსთან სტუმრობას ძალიან მოუხშირა. იქნებ იმიტომ, რომ სიბერეში შესული ახლობელი ადამიანები გაერთო. აბა, სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო?

ის ხშირად მიდიოდა ლეონას ნაპირზე ბიძასთან იმ იმედით, რომ მორის ჯერალდს შეხვდებოდა. უფრო გულახდილად რომ ვთქვათ, მას მორის ჯერალდი უყვარდა. ახალგაზრდა ირლანდიელს მისი გუ-

ლი მთლიანად დაესაკუთრებინა. ისიდორას ალბათ იმიტომ შეუყვარდა მუსტანგერი, რომ მან, გასაჭირში ჩავარდნილს, უანგაროდ გაუწოდა დახმარების ხელი. მორის ჯერალდის ინდიელებთან ბრძოლაში გამოჩენილმა სიჩაუქემ, ერთიანად მოხიბლა მამაცი ქალი. მუსტანგერმა ყოველივე ეს წინასწარ განზრახვით ჩაიდინა, თუ ქალის გულის მონადირება სურდა, მის მეტმა არავინ იცოდა. თვითონ მუსტანგერი უარყოფდა ამას. მორისი შეიძლება მართაღს ამბობდა, მაგრამ ეს სიტყვები მაშინ იქნებოდა სარწმუნო, ისიდორაზე ადრე ლუიზა პოინდექსტერს რომ შეხვედროდა.

მორისი გადამწვარ ტრამალზე ლუიზა პოინდექსტერს რამდენიმე კვირით ადრე შეხვდა, ვიდრე ინდიელების ხელიდან ისიდორას გამოიხსნიდა. მექსიკელ ქალიშვილსა და მორისს შორის უთუოდ არსებობდა რაღაც დამაკავშირებელი ძაფი, რამაც ისიდორას იმედი ჩაუსახა — მორისს მოვწონვარო.

ამან ქალიშვილი ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, ადგილს ვეღარ პოულობდა. მის აღგზნებულ სულს ორ ცეცხლშუა ყოფნა არ შეეძლო. რაკი იცოდა, თვითონ უყვარდა მორისი, ასევე ნათლად უნდოდა სცნოდნოდა — მორისსაც უყვარდა თუ არა იგი. ამიტომაც მისწერა წერილი და შეხვედრის ადგილიც დაუნიშნა. მაგრამ იმ დღეს შეხვედრა არ მოხერხდა, რადგან ისიდორას და მის მისწრაფებას შუა მიგელ დიასი ჩადგა.

ასეთი ფიქრებით დასტოვა მან ჯუჯა ტრამალზე ლაზოთი ხელებშებორკილი მიგუელ დიასი და ცხენით თავისი ბიძის — დონ სილვიოს ჰასიენდასაკენ დაემშა.

* * *

ისიდორას ნავარდით მოჰყავდა თავისი რუხი ცხენი. თავშიშველს თმა გასწეწვოდა და მბზინავი შავი დალაღები მხრებზე ჩამოშლოდა. შარფი და სერაპე ჯუჯა ტრამალზე დარჩა.

სახლს რომ მიუახლოვდა, სადავე მოსწია. ცხენი ჯერ ჩორთზე გადაიყვანა, მერე ნაბიჯზე, ბოლოს კი შუაგზაზე შეაყენა.

მხედარი ქალიშვილი ფიქრებში ჩაიძირა.

მეორე აზრი, რაც ისიდორას თავში მოუვიდა, ის იყო, რომ ზედმეტი აყალმაყალისა და მითქმა-მოთქმის თავიდან აცილების მიზნით, მიგელ დიასი ხელუხლებელი გაეშვა. მის მეტმა ხომ არავინ არაფერი იცოდა.

— ვილაც უნდა გავგზავნო მის გასათავისუფლებლად. ისეთი კაცი უნდა შევარჩიო, რომ საიდუმლოს შენახვა იცოდეს. მოურავ ბენიტოზე უფრო შესაფერისი კაცი არავინ მეგულება. ერთგულიცაა და მამაციც. აი ისიც, ჩვეულებრივ, საქონელს ითვლის, ბენიტო, ბენიტო!

— თქვენი მონა მორჩილი, სინიორიტა, რას გვიბრძანებთ?

— კეთილო ბენიტო, მინდა, დამეხმარო; უარს არ მეტყვი?

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, სინიორიტა, — უპასუხა მოურავმა და ისიდორას წინ თავი დახარა.

— არ გიბრძანებ, ბენიტო, მე მხოლოდ გთხოვ.

— მიბრძანეთ, სინიორიტა.

— იცით თუ არა, სად არის გორაკის თავზე მდებარე ჯუჯა ტრამა-ლი, სამი გზა რომ ერთად იყრის თავს?

— ისევე კარგად ვიცი, როგორც ბიძათქვენის ჰასიენდას საჩეხები.

— ძალიან კარგი! მაშ იქ წადი. ტრამალზე ლაზოთი ხელებშეკრულ კაცს ნახავ, გაათავისუფლე და გაუშვი. თუ დაშავებული იყოს, დაეხმარე, მაგრამ არ უთხრა, ვინ გაგგზავნა. მე მგონი, მას იცნობ კიდევ. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. არც არაფერი ჰკითხო და არც მოუსმინო. როგორც ფეხზე წამოდგება, თავი მიანებე, საითაც უნდა, იქით წავიდეს. გასაგებია, ბენიტო?

— ყველაფერი შესანიშნავად გავიგე, სინიორიტა. თქვენი სიტყვა ჩემთვის კანონია.

— მადლობელი ვარ, კეთილო ბენიტო. ბიძაჩემი დონ სილვიოც მადლობელი დაგრჩებათ ამისათვის. მაგრამ მას არაფერი არ უნდა

უთხრა. საიდუმლო შემინახე. თუ გაგიჯავრდება, მაშინ ამ დღეებში მე რიო გრანდეს მამულში გადაგიყვან მოურავად. ჩვენ იქ გვჭირდება ისეთი ერთგული და მამაკაცი კაცი, როგორც შენა ხარ.

— ყველამ იცის, რომ დონა ისიდორა ისეთივე მოწყალეა, როგორც ლამაზი.

— გმადლობთ, ბენიტო, გმადლობთ! კიდევ ერთი თხოვნა. ის, რასაც შენ გააკეთებ, ჩვენ სამმა უნდა ვიცოდეთ. მესამე ისაა, ვისაც გაათავისუფლებ. დანარჩენი ორი კი კარგად მოგეხსენება.

— ყველაფერი გასაგებია, სინიორიტა, როგორც მიბრძანებთ, ისე მოვიქცევი.

— მოიცა! რაღაც დამავიწყდა! — დაუძახა ისიდორამ, — იქ ჩემს ქუდსა და სერაპეს ნახავ და წამომიღე.

ბენიტომ კვლავ მორჩილად დაუკრა თავი და ცხენი ადგილიდან დასძრა, მაგრამ ისიდორამ ისევ შეაჩერა.

— გადავწყვიტე, შენთან ერთად წამოვიდე, სინიორ ბენიტო!

დონ სილვიოს მოურავი მიჩვეული იყო ისიდორას ახირებულ ხასიათს და მორჩილად წინ წაუძღვა.

ბენიტო შეცდა, როცა გაიფიქრა, — გორაკზე წამოსვლა ისიდორას ახირებააო. ეს ახირებით კი არა, აუცილებლობით იყო გამოწვეული. ისიდორას იქ მართო ქუდი და სერაპე როდი დაავიწყდა. მთავარი ის იყო, რომ ჯუჯა ტრამალზე დარჩა მორისისათვის გადასაცემად ისიდორას ხელით დაწერილი სასიყვარულო ბარათი.

„კეთილმა ბენიტომაც“ არ უნდა იცოდეს ყველაფერი. ისიდორა მთლიანად ვერც მას მიენდობა. ამ წერილს იმაზე მეტი აყალ-მაყალის და მითქმა-მოთქმის გამოწვევა შეუძლია, ვიდრე დონ მიგელ დიასთან მომხდარ ჩხუბს.

მიგელ დიასი იქ არ დაუხვდათ, არც სხვა ვინმე ჩანდა, მაგრამ რამაც ყველაზე მეტად ჩასწყვიტა გული ისიდორას, ის იყო, რომ წერილიც სადღაც გამქრალიყო. ბალახზე თავისი ქუდი, სერაპე და ლაზოს ბოლო შენიშნა.

— შეგიძლია სახლში დაბრუნდე, სინიორ ბენიტო! ის, ვინც ცხენიდან ჩამოვარდა, გონს მოსულა და ეტყობა, უნაგირზეც მოუხერხებია აცოცება, მადლობა ღვთისმშობელს! მაგრამ გახსოვდეს, კეთილო ბენიტო, ეს ყველაფერი ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

— შეჭველად, დონა ისიდორა.

მოურავი გაბრუნდა და მალე გორაკს მიეფარა.

* * *

ლედი თავისი ლაბოთი კვლავ მარტო დარჩა ჯუჯა ტრამალზე. უნაგირიდან ჩამოხტა. წამოსასხამი მხრებზე წამოიგდო, სომბრერო დაიხურა და კვლავ უწვერულვამო იდაღგოს დაემსგავსა. უნაგირს ისე დაუდევრად მოახტა, რომ წონასწორობა ძლივს შეიკავა. კაბის კალთების აწევისას გამოკრთა ქალიშვილის კოჭები, იგი რომ პრაქსიტელესს გამოეჩანდაკებინა, ალბათ მთელ მსოფლიოში სენსაციას მოახდენდა. მაგრამ აქ ეს არავის შეუმჩნევია, რადგან დამნახავი არავინ იყო. ასე განსაჯეთ, ხომემაც ვერ მოჰკრა თვალი, რომელიც თითქოს მიწიდან ამოძვრავო, იმწამს მოულოდნელად გაჩნდა ტრამალზე.

— რა უყავი ჩემი წერილი?

— მივიტანე და ჩავაბარე.

— ვის?

— სასტუმროში დავტოვე, — ენა დაება და ფერიფური წაუვიდა ხობეს, — დონ მაურისიო წასული დამიხვდა.

— სტყუი, გამცემო! შენ ის დონ მიგელ დიასს გადაეცი! არ უარჰყო! წერილი მის ხელში თვითონ ვნახე.

— ოჰ, სინიორა, მაპატიეთ! მაპატიეთ, მე დამნაშავე არა ვარ, არა!

— ჩერჩეთო, შენი თავი თვითონვე გაეცი. რამდენი მოგცა ღალატში დიასმა?

— დამიჯერეთ, სინიორა, არ მიღალატია. ძალით წამართვა წერილი, მცემა, არაფერიც არ მოუცია.

— მაშინ მე გადავიხდი მის ვალს, ჩემს ვალს, ყველას ვალს... — ისიდორამ ერთი ათჯერ უთავაზა მათრახი უნამუსო მსახურს. ხოზემ ამაოდ სცადა გაქცევა. ისიდორა დაეწია. ხოზე იმის შიშით, რომ ცხენის ფეხებქვეშ არ მოვყვეო, შეჩერდა. მანამ ურტყეს, სანამ ყავისფერ კანზე ლურჯი ადგილები არ დააჩნდა.

— აბა, ახლა კი თვალიდან დამეკარგე, გამცემო! ვიგინდარავ! ახლავე გასწი!

ისიდორაც აღარ დარჩენილა დიდხანს ჯუჯა ტრამალზე. ჰასიენდასთან მისულს თვალწინ რაღაც უცნაური სანახაობა გადაეშალა. პეონები, ვაკერო და ყველა ჯურის მსახურები რაღაცას გაჰყვიროდნენ და მიმორბოდნენ. მამაკაცები იარაღს ისხამდნენ, ხოლო დაჩოქილი ქალები ღმერთს შესაბრალოსად ევედრებოდნენ და შველას შესთხოვდნენ.

— რა არეულობაა? რამ გამოიწვია ეს ჩოჩქოლი? — ამ კითხვით მიმართა ისიდორამ ბენიტოს.

— ტრამალზე ინდიელებს კაცი მოუკლავთ. როგორც ამბობენ, იგი ტეხასში ახლადჩამოსახლებული ამერიკელი პლანტატორის ვაჟიაო.

ისიდორაზე ამ ამბავმა სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა. ინდიელებისა არ ეშინოდა, მაგრამ ამერიკელი პლანტატორის ხსენებამ გულში მწარედ უჩხვლიტა. იცოდა, რომ მოკლულის და ძალიან ლამაზი ქალიშვილი იყო. ისიდორამ საკუთარი თვალებით ნახა იგი და თვითონაც დარწმუნდა ამაში. მას ახლა გაახსენდა სადღაც გაგონილი: პოინდექსტერის ასული და მორის ჯერალდი ერთად უნახავთო, — და ეჭვებმა გული დაუსერა.

რამდენიმე საათი გავიდა და ახალი ხმა დაირხა. ჰენრი პოინდექსტერი ინდიელებმა კი არა, თეთრკანიანმა მორის ჯერალდმა მოკლაო.

ისიდორა ახლა ჯოჯოხეთურმა ცნობისმოყვარეობამ მოიცვა. ამ ახალმა ამბავმა დონ სილვიოს მსახურები დაამშვიდა, ხოლო ისიდორა ისე ააფორიაქა, რომ ადგილს ვერ პოულობდა. ნახევარი საათის შემდეგ მან ცხენი ახალშენის სასტუმროს წინ მიაგდო.

რამდენიმე კვირის წინათ ისიდორამ, მიზეზს ვერ გეტყვით, თუ რატომ, დიდი მონდომებით დაიწყო ინგლისური ენის შესწავლა. ინგლისური სიტყვების მარაგი, რაც ისიდორამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში შეითვისა, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მკვლევლობაში ეჭვმიტანილის ამბავი შეეტყო.

ობერდოფერმა იცოდა, ვინც იდგა მის წინაშე. იგი მონურად ემლიქვნელებოდა, პირმოთნედ და ზრდილობიანად უპასუხებდა კითხვებზე. ობერდოფერისაგან ისიდორამ შეიტყო, რომ მორის ჯერალდი მისი სტუმარი აღარ იყო. ლაყბობის მოყვარულმა გერმანელმა რაც კი რამ იცოდა მკვლევლობის შესახებ, ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

ისიდორა მარტინესის სახლში ღრმად დამწუხრებული დაბრუნდა. იქ ისევ ჩოჩქოლი და აყალმაყალი იდგა. მარტინესის მამულში კვლავ ახალი ამბავი მოსულიყო. მდინარე ნუესას სანაპიროსთან ახლომდებარე ტრამალზე მარტინესის მწყემსებს უთავო მხედარი ენახათ.

ამბავი სულელური და დაუჯერებელი ჩანდა. მაგრამ მთელი ახალშენი ამაზე ლაპარაკობდა და მარტინესის მწყემსებიც იფიცებოდნენ, საქონლის ძებნის დროს უთავო მხედარი საკუთარი თვალით ვნახეთო. მზის ჩასვლამდე დონ სილვიოს ჰასიენდაში საშინელი ხმები დადიოდა, მაგრამ ისიდორა ვერც ამ საშინელმა ამბავმა, ვერც მოარულმა ხმებმა და ვერც დონ სილვიოსა და მისი დის ენერგიულმა წინააღმდეგობამ ვერ შეაჩერა. ჯიუტად განაცხადა, — რიო გრანდეში უნდა დავბრუნდეთ. ისიდორამ არად ჩააგდო ის ამბავი, რომ სადაც მას უნდა გაეგლო, სწორედ იმ გზაზე მოკლეს ჰენრი პონდექსტერი. ქალიშვილს სასაცილოდაც არ ეყო, როცა უთხრეს,

იმავე ადგილებში უთავო მხედარი უნახავთო. ის, რაც სხვებს შიშის ბარს სცემდა, ისიდორას ცნობისმოყვარეობას უდიზიანებდა და იზიდავდა.

ქალიშვილმა ისიც კი გადაწყვიტა, რომ მართო წასულიყო. დონ სილვიომ კბილებამდე შეიარაღებული ათი კაცისაგან შემდგარი ბადრაგი შესთავაზა, მაგრამ მან ეს წინადადება უარჰყო.

ირიჟრაჟა თუ არა, ისიდორა უკვე უნაგირზე იჯდა. დაახლოებით ორი საათის შემდეგ იგი რიო დე გრანდეს ნაცვლად ალამოს სანაპიროს უახლოვდებოდა.

რატომ წავიდა ალამოსაკენ? გზა ხომ არ აებნა?

არა, ის გზადაკარგული მგზავრივით არ გამოიყურებოდა. მართალია, მოწყენილი ჩანდა, მაგრამ ცხენი მტკიცედ მიჰყავდა და დაბნეულობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა.

19 - ეშმაკს ესროლა

ავადმყოფმა მუსტანგერმა მთელი ღამე მოუსვენრად გაატარა. ტკივილები ხან უყუჩდებოდა, ხან ახალი ძალით შეუტევდა ხოლმე და უგრძობლად ბოდავდა.

მოხუცი მონადირე მთელ ღამეს თავით უჯდა და მის ნაბოღვარს ისმენდა.

ავადმყოფი წარამარა ლუიზასა და მის ძმას ახსენებდა. ზებს კიდევ უფრო განუმტკიცდა რწმენა, რომ მუსტანგერს ნამდვილად უყვარდა ლუიზა, ხოლო ჰენრი პოინდექსტერი ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნოდა... ძველ მონადირეს ერთხელაც არ გაუხედავს კარისაკენ, რადგან იცოდა, მდევარი ღამით არ მივიდოდა. გარეთ მხოლოდ გამთენიისას გამოვიდა, როცა მთვარის ნათელს რიჟრაჟი შეერია. მოხუცის ყურადღება რაღაც ხმაურმა მიიპყრო. ტარა ხეებს შუა დარბოდა და ყმუოდა. კარი რომ ღია დაინახა, ძაღლი შეშინებულივით შევარდა ქოხში.

ზებ სტუმპმა სინათლე ჩააქრო, ჩუმად, თითქოს მიიპარებაო, ისე გამოვიდა ქოხიდან და მიაყურადა.

ჩქამიც კი არსად ისმოდა. თავი ასწია და გაიხედა მაღლა, კლდისაკენ, რომლის მწვერვალზეც ჰორიზონტზე შავი ბოლივით გაწოლილიყო. კლდის ძირას ცისაკენ მაღალი ხეები ასვეტილიყო. სადაც ჩრდილი არ იდგა, მოკამკამე მთვარის შუქზე ყველაფერი დღესავით მოჩანდა. მაგრამ იქაც ძე-ხორციელის ჭაჭანება არსად იყო. ხმაური კი ნამდვილად შემოესმა. მართალია, იგი კლდის მწვერვალისგან ყრუდ მოისმოდა, მაგრამ მონადირის მახვილმა სმენამ კარგად გაარჩია ცხენის ფლოქვების თქარუნი.

ზები დაძაბული უსმენდა, როდის განმეორდებოდა იგი. ამ მოლოდინში მალე შენიშნა, რომ ცხენი ხეების ჩრდილიდან გამოვიდა და კლდისაკენ გაემართა. ცხენზე მხედარი იჯდა. ცხენიცა და მხედარიც საფირონით ნათელ ცაზე შავ სილუეტებად აისარკნენ. ცხენი ისეთი სრულყოფილი იყო, გეგონებოდათ, საუკეთესო ხელოვანს გამოუქანდაკებიანო, მხედარი კი მხოლოდ მხრებამდე ჩანდა. სხეულის ქვემო ნაწილს ცხენის ჩრდილი ფარავდა, მაგრამ სიბნელეში მბზინავი უზანგები და დეზები საცნაურს ხდიდა, რომ მას ფეხები ჰქონდა. მაგრამ თავი შეენიღბა, თუ მხრებზე არ ება, კაცი ვერ გაიგებდა. ზებ სტუმპი ამ უცნაურობას თვალეზგაფართოებული შესცქეროდა. რამდენჯერმე თვალეზიც მოიფშვნიტა და ისე შეხედა, მაგრამ მოჩვენება კვლავ ისეთივე სახით დაუდგა თვალწინ, ალბათ ოთხმოცჯერაც რომ მოიფშვნიტა თვალეზი, მაინც ვერაფერს უშველიდა — მხედარი უთავო იყო. იგი ყველაფერს გარკვევით ხედავდა და შეუძლებელი იყო, არ ერწმუნა მისი სიცხადე. ზებმა თვალნათლივ დაინახა ფრიალო კლდეზე ნელი, მტკიცე ნაბიჯით მომავალი ცხენი. ზედმეტი იყო იმაზე ფიქრი, რომ გონება ან თვალი ატყუებდა, ანდა რაიმე ეჩვენებოდა. უთავო მხედარი ზებ სტუმპის თვალთაგან ნელ-ნელა გაუჩინარდა. თავდაპირველად ცხენის თავი მიეფარა,

მერე კისერი, მხრები, მას მიჰყვა საშინლად მახინჯი მხედარი, ბოლოს ცხენის გავა და გრძელი, ბოლოში დავიწროებული კუდი.

— იოსაფატი! — აღმოხდა ძველ მონადირეს. მაგრამ ეს არ იყო მხედრის გაუჩინარებით გამოწვეული გაკვირვების შეძახილი. მისი გაუჩინარება არაბუნებრივი როდი გახლდათ. უთავო მხედარი კლდის თავზე აშოტილ მაღალი ხეების ჩრდილში მიეფარა თვალს.

— რა უნდა იყოს? ეშმაკმა წამიღოს, თუ ეს არ გავიგო. ახლო რომ დამენახა, ისიც დღისით, უკეთ გავარჩევდი. ჰა! ვითომ მე ვერ მივუახლოვდები? რა დამიშლის? წყეული ვიყო, თუ არა ვცადო! თუნდაც ეშმაკი იყოს, ხომ არ შემტამს? თუ ეშმაკია, უნდა გამოვარკვიო, — შეიძლება თუ არა ტყვიით ცხენიდან მისი ჩამოგდება, — ეს რომ თქვა, ზებ სტუმპი კლდისაკენ მიმავალ ბილიკს გაჰყვა.

თოფისთვის ქოხში შესვლა არ დასჭირვებია. ძაღლის ყმუილი რომ გაიგონა, თოფიანი გამოვიდა გარეთ.

თუ უთავო მხედარი ნამდვილად ძე-ხორციელი იყო და მის ძარღვებში სისხლი სჩქეფდა, ზებ სტუმპს იმედი ჰქონდა, კვლავ შეხვდებოდა მას.

ზებმა ქოხიდან დაინახა, რომ უთავო მხედარი ვიწრო ხევით პირდაპირ ეშვებოდა დაბლა. ამ ხევით მაღლობიდან მხოლოდ ალამოს ველზე შეიძლებოდა ჩასვლა. ზებიც იქით მიმავალ ბილიკს დაადგა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და უთავო მხედრის სხეული მთლიანად გამოჩნდა. რამდენიმე წამის შემდეგ ზებმა დაინახა ცხენიც — ფაფარიდან დაწყებული ფლოქვებამდე. როგორც კი ზები გამოჩნდა, უთავო მხედარი შეჩერდა. იგი კლდის პირას იდგა, ეტყობოდა, დაბლა ჩასვლას აპირებდა. იქნებ მხედარმა ზედმეტი სიფრთხილის გამო შეაჩერა ცხენი? ან იქნებ მონადირის ფეხის ხმა შემოესმა? ისიც შესაძლოა, რომ ცხენს ეგრძნო ადამიანის მოახლოება. რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო ეს გამოწვეული, იგი მონადირის პირისპირ გაჩერდა. ზებმა შეჩერებული მხედარი რომ დაინახა, თვითონაც შედგა.

წამიც და ზებ სტუმპს თოფი მხარზე ჰქონდა მიდებული და თვალთ ლულას გაჰყურებდა. მთვარე ისე კაშკაშებდა, რომ შეეძლო მიზანში ამოეღო უთავო მხედრის გული.

წამიც და ტყვია უთავო მხედარს გულში გაუვლიდა, მაგრამ უცრად მონადირეს თავში სხვა აზრმა გაუელვა.

— იქნებ ადამიანი შემოაკვდეს?

ზებმა თოფი დაბლა დაუშვა და ვერ გადაწყვიტა, რა ექნა.

— იქნებ ადამიანია? — ბუტბუტებდა იგი, — მაგრამ კაცის არაფერი უგავს! ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ მექსიკური წამოსასხამის ქვეშ თავი ჰქონდეს დამალული. თუ ადამიანია, რამეს მაინც იტყობდა. მაგრამ თავი არ უჩანს და ენა საიდან ექნება! ჰეი, უცნობო! თავი რა უყავი?

არანაირი ხმა. მარტო ცხენმა დაიფრუტუნა ადამიანის ხმაზე. ეს იყო და ეს.

— მოიხედე აქეთ, უცნობო! კენტუკელი მოხუცი ზებ სტუმპი გელაპარაკება. ჩემთან ხუმრობა არ გაგივა. გთხოვ, ამიხსნა შენი ასეთი გამოცხადების მიზანი და მითხრა, ვის რა მახეს უგებ. გამიმხილე შენი ზრახვები, თორემ იოსაფატს ვფიცავარ, უკუღმა დაგიტრიალდება საქმე. აბა, მიპასუხე, თორემ გულში ტყვიას მიიღებ.

უცნობი ისევ უხმოდ იდგა. ეტყობოდა, ამასობაში ზების ხმას ცხენიც მიეჩვია და მხოლოდ თავი გაიქნია.

— ეშმაკმა წაგიღოს, — დაიღრიალა უთავო მხედრის დუმილით გაგულსებულმა მონადირემ, რომელმაც მისი დუმილი შეურაცხყოფად მიიღო, — ექვსი წუთის ვადას გაძლევ, თუ არ მიპასუხე, მაშინვე გესვრი. თუ ტიკინა ხარ, ჩემი ტყვია ვერას დაგაკლებს. მით უფრო არაფერი მოგივა, თუ ეშმაკი ხარ. ხოლო თუ ადამიანი ხარ და თავს მკვდრად მანჯენებ, მაშინ ასეთი თამაშისათვის ტყვია გეკუთვნის და მიიღებ კიდევ. ხმა ამოიღე, შენ გეუბნებიან, — განაგრძო მან. მოხუცს თანდათან სიბრაზე იპყრობდა, — ამოიღე ხმა! არ გინდა? მაშინ

ტყვიას მიიღებ! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი! — თოფის გასროლის მჭახე ხმა გაისმა. ამას რაღაც ყრუ ხმა მოჰყვა, თითქოს ტყვია მყარ სხეულში შეიჭრაო.

ერთადერთი ფაქტი, რაც გასროლამ მოახდინა, ის იყო, რომ ცხენი შეშინდა. მხედარი გაუნძრევლად იჯდა უნაგირზე! არც ის იყო აშკარა — ნამდვილად შეშინდა ცხენი თუ არა.

ცხენი ადგილიდან მოსწყდა და ზებ სტუმპი გაოგნებული დასტოვა. ასეთი რამ ძველ მონადირეს კი არა, ალბათ არავის არ უნახავს დედამიწაზე.

თოფი რომ დაცალა, ზები კარგა ხანს იდგა მუხლებზე დაჩოქილი.

გაქცევა დააპირა, მაგრამ ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლო. ცალ მუხლზე დაჩოქილი დარჩა მანამდე, სანამ ტრამალზე მიმავალი უთავო მხედარი მთვარის შუქზე მხედველობიდან დაეკარგებოდა. მერე კი მხნეობა მოიკრიბა და ქოხში დაბრუნდა.

კარგა ხანს ფიქრობდა, ნამდვილად ეშმაკი იყო. როცა დამშვიდებით განსაჯა და ყოველივე აწონ-დაწონა, დარწმუნდა, რომ ცდებოდა. მაგრამ საბოლოოდ რასთან ან ვისთან ჰქონდა საქმე, მაინც ვერ დაადგინა.

* * *

ზებ სტუმპთან ერთად ქოხში რიჟრაჟის მოლურჯო სხივებიც შემოიჭრა.

ახლა კი ფელიმის გაღვიძების დრო იყო, რომ ავადმყოფს თავზე დასდგომოდა. ფელიმი სრულიად გამოფხიზლებულიყო და ამდენ ხანს რომ ეძინა, თავს დამნაშავედაც კი გრძნობდა. ამიტომ ზების ბრძანება ხალისით შეასრულა.

— ახლა კი, მისტერ ფელიმ, ავადმყოფს მეტი ექიმობა აღარ სჭირდება, ოღონდ რამე უნდა ვაჭამოთ. შენ მგონი, მითხარი, საჭმელი გამითავდაო.

— ერთი ლუკმაც არაფერი მოგვეპოვება, მისტერ სტუმპ. მაგრამ ყველაფერზე ცუდი ისაა, რომ ერთი ყლუპი სასმელიც არა გვაქვს.

— უჰ, შე წყეულო! ეგ ხომ სულ შენი ბრალია, უძირო მუცელში რომ არ ჩაგესხა იმდენი ვისკი, მორისის გამოჯანმრთელებამდე გვეყოფოდა. აბა, ახლა რა უნდა ვქნათ?

— ტყუილ-უბრალოდ მლანძღავთ, მისტერ სტუმპ. მე მხოლოდ პატარა მათარიდან დავლიე. დიდი შემოწნული ბოთლი ინდიელებმა დაცალეს. ღმერთმა იცოდეს, მართალს ვამბობ.

— ვაჰ, როგორ ტყუილად იხარჯები! კარგად გიცნობ. მარტო მათარიდან რომ დაგელია, არც დათვრებოდი და არც ასე უგრძნობლად ეგდებოდი. ინდიელების მოსვლამდე შემოწნული ბოთლიდანაც გვარიანად მიგიერთმევია. ვისკიზე ფიქრს თავი გაანებე და რასაც გეტყვი, კარგად დაიმახსოვრე. უსასმელოდ იოლად წავალთ, მაგრამ უჭმელი კი ვერ გავძლებთ. მე მგონი, მორისი ნახევრად მშინერიცაა. ამჟამად სტომაქი ისევე ცარიელი აქვს, როგორც თავი. რაც შემეხება მე, ისე მშია, რომ ცოცხალ კოიოტსაც კი შევახრამუნებ. არც ინდაურის ხორცზე ვიტყვოდი უარს. ჩემი აზრით, ინდაური ცოტათი მაინც უნდა სჯობდეს მგლის ხორცს. შენ აქ დარჩი და მორისს მოუარე, მე წავალ და იქნებ რამე მოვინადირო.

— ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მეტყვით, მისტერ სტუმპ, დამიჯერეთ... — ლაქლაქს თავი მიანებე, სიტყვა დამამთავრებინე და ყური კარგად დამიგდე.

— განგებას ვფიცავარ, კრინტსაც არ დავძრავ.

— მაშ ხმა აღარ ამოიღო. არის ისეთი რამ, რაც უშეცდომოდ უნდა გააკეთო. თუ ვინმე ჩემი აქ არყოფნის დროს მოვიდა, იმწამსვე შემატყობინე.

— დარწმუნებული იყავით... თუნდაც დავიფიცავ...

— ძალიან კარგი, იცოდე, შენი იმედი მექნება.

— შეგატყობინებთ კი, მაგრამ ხმა რომ ვერ მოგაწვდინოთ? მაშინ რა ვქნა?

— არა მგონია, ისე შორს წავიდე, რომ ვერ გამაგებინო. ასე სისხამ დილით ინდაურები შორს არ წავიდოდნენ. მაგრამ ყველაფერი მოსალოდნელია. ქოხში თოფი ან რევოლვერი არა გაქვს?

— არც ერთი არა მაქვს. უკანასკნელად რომ ახალშენში წავიდა, ბატონმა თან წაიღო და იქნებ იქვე დატოვა.

— ეს ძალიან ცუდია. შეიძლება შენი ყვირილი მართლაც ვერ გავიგონო, — ქოხის ზღურბლზე გადასული ზებ სტუმპში შეჩერდა და ჩაფიქრდა.

— ჰო, მოვიფიქრე, — წამოიძახა მან ცოტა ხნის შემდეგ, — ჩემს ჭაკს ხედავ, ბალახს რომ წიწვნის?

— როგორ არა, ვხედავ, მისტერ სტუმპ.

— ძალიან კარგი, თუ ხედავ. აი, იქ, მინდვრის პირას, ეკლებიან კაქტუსსაც ხედავ?

— ვხედავ.

— აი, ახლა ჭკვიანურად ლაპარაკობ. აბა, ყური დამიგდე. გარეთ გამოდი და მიდამო დაზვერე ხოლმე. თუ ჩემს აქ არყოფნაში ვინმე მოვიდეს, ეკლიან კაქტუსთან გაიქეცი, ეკალი მოჭერი და ჩემს ჭაკს კუდუსუნთან უჩხვლიტე.

— თი ღვთისმშობელო! მერედა, ეს რას გვარგებს?

ის ისეთ ჭიხვინს ატეხს, რომ ჩემამდე აუცილებლად მოაღწევს. მაშ ასე, ფელიმ, როგორც გითხარი, ისე მოიქეცი.

ფელიმი რომ გააფრთხილა, ზებ სტუმპმა თავისი გრძელლულიანი თოფი მხარზე გაიღო და ტყისაკენ გასწია.

20 - შეტყობინება

ათ წუთსაც არ გაველო, რომ ცხენის ფლოქვების თქარათქური შემოესმა. აშკარა იყო, ვიღაც უახლოვდებოდა ქოხს.

გულმა ისეთი ბაგაბუგი დაუწყო, ეგონა, საცაა ნეკნების რკალს გამოარღვევსო.

ერთმანეთზე მიჯრილი ხეები ხელს უშლიდა, დაენახა მომავალი მხედარი, რომელიც ქოხს უახლოვდებოდა. ცხენის ფეხის ხმაზე გა-
არჩია, რომ იგი მარტო უნდა ყოფილიყო. ფელიმი ამან უფრო შეაშინა,
მხედრების ჯგუფი რომ მოახლოებოდა ქოხს, ირლანდიელ მეჯინი-
ბეებზე ეს უფრო ნაკლებად იმოქმედებდა. თუმცა დარწმუნებული
იყო, მომავალი მხედარი მისი ბატონი ვერ იქნებოდა, რადგან დაჭ-
რილი მორისი ქოხში იწვა, მაგრამ ფელიმს არც უთავო მხედართან
შეხვედრა ეპრიანებოდა, რომელიც ძალიან ჰგავდა მის ბატონს.

თავდაპირველად ფელიმმა დააპირა, გების დავალება პირნათ-
ლად შეესრულებინა, მაგრამ გაუბედაობამ, რომლის სათავეც შიში
გახლდათ, იგი ადგილზე მიაჯაჭვა. ფელიმი მალე დარწმუნდა, რომ
მისი შიში უსაფუძვლო იყო, რადგან მომავალ მხედარს თავი ად-
გილზე ჰქონდა და ძალზე ლამაზიც.

ეს ისიდორა გახლდათ.

— იქნებ შევცდი, მაგრამ, მე მგონი, აქ უნდა ცხოვრობდეს დონ
მაურისიო, უთხრა მან ინგლისურად.

— დან მაურიშივუ, ასე თქვით, არა? — აქ ასეთი სახელისა და გვა-
რის მქონე არავინაა.

— დონ მაურისიო, — მორის, მორის.

— თუ მისტერ მორისს კითხულობთ, ის ამ ქოხში ცხოვრობს. უკეთ
რომ ვთქვათ, მუსტანგებზე ნადირობს, შემდეგ აქ ბრუნდება და ღა-
მეს აქ ათევს. ოჰ, თქვენ რომ მის სამშობლო ირლანდიაში მორისის
ციხე-კოშკი გაჩვენათ, ან ის ლურჯთვალა ლამაზი, მის დაშორებას
რომ ცხარე ცრემლებით დასტირის ირლანდიაში და დღენიადაგ
გზისკენ უჭირავს თვალი, ოჰ, ღმერთო, ის გოგო რომ გაჩვენათ!

ფელიმის ირლანდიური კილოკავი ისიდორამ მშვენივრად გა-
იგო. უფრო კი ეჭვიანობა დაეხმარა ფელიმის სიტყვების გაგებაში.

— მე მისი ნახვის არანაირი სურვილი არა მაქვს, — უპასუხა სწრა-
ფად, — მაგრამ მორისის ნახვა კი მინდა. შინაა?

— შინააო? აი, ეს კი საქმიანი კითხვაა. ვთქვათ, გითხარით, შინაა-მეთქი, მერე რა მოჰყვება ამას?

— უნდა ვნახო.

— შეიძლება ცოტა მოცდა მოგიწიოთ. თუმცა ძალიან ლამაზი კი ხართ, მიუხედავად მაგ შავი ღინღლისა, ტუჩს ზემოთ რომ ზოლივით გაჩნიათ, მაგრამ ჩემი ბატონი ახლა ისეთ მდგომარეობაშია, მასთან ექიმის ან მღვდლის მეტი არაავინ შეიშვება. ახლა ვერ გაჩვენებთ.

— რატომ ვერ ვნახავ?

— რატომ? ძალიან ბევრი მიზეზის გამო. პირველ ყოვლისა, მას ახლა სტუმრების და მით უმეტეს, ქალის მიღება არ შეუძლია.

— სინიორ, თქვენი ვერაფერი გავიგე.

— ვერ გაიგეთ? ნუთუ გასაგებად არ გეუბნებით? ბატონი ლოგინ-ში წევს.

— ლოგინში? ამდენ ხანს? ხომ არაფერი არ...

— ხომ არაფერი შეემთხვაო, — გინდოდათ გეთქვათ, არა? ისეთი რამ შეემთხვა, რომ ალბათ რამდენიმე კვირას საწოლში გაატარებს.

— გონდაკარგულია?

— დიახ, ისე ბოდავს, თითქოს გუშინ ზომამზე მეტი დაელიოს და ახლა ვიღაც მოსდევს გახურებული შანთით დასადაღავად. ეჰ, ვინმეს რომ ხელი მიუწვდებოდეს, მას ცოტა სასმელი ნამდვილად არგებდა. მაგრამ რას იზამ, წვეთი რა არის, წვეთი სასმელიც არ მოგვეძევა ქოხში. დიდი შემოწნული ბოთლიცა და მათარაც ცარიელია. თქვენ ხომ არა გაქვთ თან წამოღებული მათარა? აი, თქვენი ხალხი რომ აგვარდინტეს ეძახის, თუნდაც ის იყოს. მე ბევრჯერ უარესი რამეც დამიღევია. ერთი ყლუპი სასმელი ჩემს ბატონს ძალიან არგებდა. მართალი გითხრათ, ქალბატონო, ცოტა მაინც არა გაქვთ წამოღებული?

— არა, სინიორ, სასმელი არ მაქვს. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ არა მაქვს.

— ეჰ! მე ბატონი მეცოდება, თორემ... ცოტაოდენი სასმელი ნამდვილად მოარჩენდა. ახლა კი ჭრილობებს უსასმელოდ უნდა გაუძლოს.

— სინიორ, ნამდვილად არ შეიძლება ვნახო თქვენი ბატონი?

— ნამდვილად არა. ანკი რად გინდათ, ახლა რომ ნახოთ, თავის დიდედისგანაც ვერ გაგარჩევთ. ხომ გითხარით, დაჭრილია და უგონოდ წევს-მეთქი!

— მით უფრო საჭიროა, რომ ვნახო. იქნებ რაიმე დახმარებაც აღმოუჩინო. მე მისგან დავალებული ვარ.

— ოჰ, თქვენ მისგან დავალებული ხართ და გინდათ გადაიხადოთ? ეს უკვე სულ სხვა საქმეა. ამისათვის მისი ნახვა არ დაგჭირდებათ. ჩემი ბატონის ფინანსურ საქმეთა გამგებელი მე გახლავართ. მართალია, ხელმოწერა არ შემიძლია, რადგან წერა-კითხვა არ ვიცი, მაგრამ ჯვარს დავსვამ. კანონისათვის ესეც კმარა. ქალბატონო! ფული მე მომეცით და პირობას გაძლევთ, ჩემი ბატონი თანხას მეორედ აღარ მოგთხოვთ. სწორედ დროულად მოგიტანიათ ფული. ჩვენ მივემგზავრებით და სახარჯოდ დაგვჭირდება. თუ ფული თანა გაქვთ, მაშინ ქოხიდან კალმისტარს, მელანსა და ქალაღდს გამოვიტან. ოღონდ ბრძანეთ და სხვა ყველაფერი ჩემზე იყოს!

— არა, არა! ფულს არ ვგულისხმობდი. მისგან სხვაგვარად ვარ დავალებული. ეს მხოლოდ მადლიერების გრძნობაა.

— ფუი, დასწყევლოს ღმერთმა, მართო მადლიერების გრძნობა? ღმერთო, ეს ყველაზე ადვილი გადასახდელია და არც წერილობითი საბუთი სჭირდება.

— ნუთუ მართლა ვერ ვნახავ მორისს?

— ნამდვილად ვერ ნახავთ.

— მაინც უნდა ვნახო, სინიორ!

— ეშმაკმა იცის, რას ნიშნავს, ეს თქვენი „უნდა ვნახო“. მე აქ დარაჯად დამაყენეს და მიბრძანეს, ქოხში არავინ შევუშვა.

— ეს ბრძანება მე არ მეხება. ღონ მაურისიოს მეგობარი ვარ.

— კი მაგრამ, ფელიმ ონილმა საიდან უნდა იცოდეს, რომ თქვენ მისი მეგობარი ხართ? ძალიან ლამაზი და კეთილი სახე გაქვთ, მაგრამ ხომ შეიძლება მისი უბოროტესი მტერი იყოთ? მე მგონი, თქვენ წინათ სადღაც მინახავხართ?

— მე მინდა მისი ნახვა და უნდა ვნახო, აუცილებლად უნდა ვნახო! ეს რომ თქვა, ისიდორა ცხენიდან ჩამოხტა და პირდაპირ ქოხის კარისაკენ გაეშურა.

ფელიმი მიხვდა, რომ ისიდორას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თავისი ნათქვამი სისრულეში მოეყვანა. ახლა კი დროა, ზებ სტუმპის მითითება შევასრულო, გაიფიქრა ფელიმმა. სასწრაფოდ ქოხში შევარდა, ცული აიღო; გარეთ გამოვიდა, უნდოდა, ისიდორასათვის გვერდი აექცია და კაკტუსებისაკენ წასულიყო, მაგრამ ამ დროს შენიშნა, რომ ლამაზთვალეებიანი ქალბატონი რევოლვერს თავში უმიზნებდა.

— დააგდე ცული! — დაიყვირა ისიდორამ, — აღმართავ თუ არა ხელს, სულს გაგაფრთხოებინებ!

— თქვენზე ხელის აღმართვა სულაც არ მიფიქრია, — წაილულულა ფელიმმა, როცა შიშმა გაუარა, — ღვთისმშობელს გეფიცებით, ცული სულ სხვა მიზნით გამოვიტანე ქოხიდან!

— მაინც რა მიზნით გამოიტანე? — შეეკითხა დაეჭვებული ისიდორა და რევოლვერი დაბლა დაუშვა, — თუ ასეა, რისთვის დაგჭირდა ცული?

— ბრძანების შესასრულებლად, ჩემს სიცოცხლეს ვფიცავ. კაქტუსის ტოტი უნდა მოვჭრა და, აი, იმ ბებერ ფაშატს კუდუსუნთან უნდა ვუჩხვლიტო. თქვენ ხომ არაფერი გაქვთ ამის საწინააღმდეგო?

გაკვირვებულ ისიდორას ხმა არ ამოუღია. მის წინ მდგარ უცნაურ კაცს ეტყობოდა, გულში არაფერი ელო ცული. გამომეტყველება და საქციელიც უფრო სასაცილო ჰქონდა, ვიდრე საშიში.

— დუმილი თანხმობის ნიშანია, გმადლობთ, — წარმოთქვა ფელიმმა, რომელსაც უკვე აღარ ეშინოდა, შავთვალა სტუმარი ტყვიას

უკან დამადევნებსო. იგი კაქტუსებისკენ გაიქცა და ზების დარიგება ზედმიწევნით შეასრულა.

მექსიკელმა ქალიშვილმა გაცებისაგან ხმა ვეღარ ამოიღო. მერეც კარგა ხანს იდგა ასე დადუმებული, რადგან ლაპარაკს უკვე აღარანაირი აზრი არა ჰქონდა.

კაქტუსით კუდუსუნდაჩახვრეტილმა ზებ სტუმპის ბებერმა ფაშატმა საზარელი ჭიხვინი და ტორების ცემა ატეხა. ამას თან დაერთო ძაღლის ყეფა და ყმუილი, რასაც ტყის მკვიდრთა ისეთი ღრიანცელი მოჰყვა, რომ კაცი მხოლოდ ჭექა-ქუხილს თუ გაიგონებდა!

აღელვებული ისიდორა ჩუმად იდგა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ანდა, რა უნდა ეკითხა ამ უცნაური, ახირებული კაცისათვის, სანამ ეს ყურთასმენის წამლები ღრიანცელი არ შეწყდებოდა?

ფელიმი ისევ ქოხისაკენ გამობრუნდა და ისევ კარის ზღურბლთან დადგა. იგი ისე გამოიყურებოდა, ეტყობოდა, თავისი საქციელით ძალიან კმაყოფილი იყო. ახლა ფელიმი იმ მსახიობს ჰგავდა, რომელმაც როლი წარმატებით შეასრულა.

21 - ჩამწარებული კოცნა

ათ წუთს გაგრძელდა ეს საშინელი ხმაური. ზების ფაშატი დასაკლავი გოჭივით ჭყიოდა, ტარაც ყმუილითა და ყეფით აძლევდა ბანს და კლდიდან დაბრუნებული მისი ექო ალაამოს ორივე ნაპირს სწვდებოდა.

ამ ღრიანცელს ალბათ ერთი მილის მანძილზე გაიგონებდა კაცი. ზებ სტუმპი ამაზე შორს არც იქნებოდა წასული და ხმაური აუცილებლად მისწვდებოდა მის სმენას. ამაში დარწმუნებული ფელიმი გულადად დადგა კარის ზღურბლზე. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ზებ სტუმპი მალე მობრუნდებოდა და იმედი ჰქონდა, ეს მანამდე მოხდებოდა, სანამ სტუმარი ქალი კვლავ მონიდომებდა ქოხში შესვლას.

მიუხედავად იმისა, რომ ისიდორა ეფიცებოდა, შენი ბატონის მეგობარი ვარო, ფელიმი მაინც ეჭვობდა — ქალს მუხანათური განზრახვა უდევს მორისის მიმართ გულშიო, — აბა, რატომ გამაფრთხილებდა ზებ სტუმპი, აუცილებლად დამიძახე, თუ ვინმე მოვიდესო, — ფიქრობდა იგი.

თვითონ ფელიმი წინააღმდეგობის გაწევას უკვე აღარ აპირებდა. შავი კრიალა რევოლვერი ისევ თვალწინ ედგა. სწორედ მან დაუკარგა ამ უცნაურ მხედარ ქალთან დავის ხალისი. ისიდორას რომ მოენდომებინა, ახლა დაუბრკოლებლად შევიდოდა ქოხში, მაგრამ ფელიმის გარდა აქ იყო კიდევ ერთი სულიერი, რომლისთვისაც მთელი ბატარეის ზარბაზნებიც რომ დაემიზნებინათ, მხედარ ქალს ქოხისაკენ მიმავალ გზაზე არ გაატარებდა.

ეს იყო ტარა.

როგორც უკვე ვთქვით, ცხენის ჭიხვინს აყოლილი ძაღლი ხან ყმუოდა, ხან ავისმომასწავებლად ყეფდა. მხედარ ქალს ბრაზმორეული შეჰყურებდა. ისიდორა მანაც მომხდურ მტრად მიიჩნია. ძაღლი ფელიმის წინ დადგა და კბილებს ბოროტად აღრჭიალებდა.

ისიდორა აღარც ცდილა ქოხში შესვლას. ქალიშვილი მთლიანად შეეპყრო გოცების გრძნობას, გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილზე და ხმას არ იღებდა. იგი რალაცის მოლოდინში გაირინდა. ასეთ ექსცენტრიკულ დასაწყისს სათანადო დასასრულიც უნდა მოჰყოლოდა. საგონებელში ჩავარდნილი ისიდორა მოთმინებით ელოდა, თუ რით დამთავრდებოდა ეს ამბავი. საგონებელში ჩავარდნილი ისიდორა მანამდე იყო ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში, სანამ არ დაინახა ხეებს უკან სირბილით მომავალი მაღალი, გახუნებული ფრენიში გამოწყობილი კაცი, რომელსაც ხელში გრძელლულიანი თოფი ეჭირა.

ახალმოსულის დანახვაზე ისიდორას წამსვე შეეცვალა გამომეტყველება. სახეზე რალაც შიშის ჩრდილმა გადაუარა და თავისი ნაზი ხელებით პატარა რევოლვერი მაგრად ჩაბლუჯა. მაგრამ ყველაფერი

წამსვე შეიცვალა, როგორც კი ზებ სტუმპში ტყიდან გამოვიდა და მინდვრის მიჯნასთან შეჩერდა. ისიც ისიდორასავით გაოგნებული გამოიყურებოდა.

ზებმა კბილებში რაღაც სიტყვები გამოსცრა, რაც გარშემო ატეხილი ღრიანცელის გამო შეუძლებელი იყო, გაგეგონათ. მაგრამ სახის გამომეტყველებასა და მოძრაობაზე ეტყობოდა, კარგს არაფერს ამბობდა. ბურტყუნს რომ მორჩა, აჭიხვინებული ცხენისაკენ გასწია, მივიდა და ისეთი რამ გააკეთა, რასაც ალბათ ძე-ხორციელი ვერ გაბედავდა; ფაშატს კუდი აუწია და კაქტუსის ეკლები გამოაძრო.

ისიდორას ჯერ კიდევ ვერაფერი გაეგო. ქალიშვილი კვლავ აღელვებული ჩანდა, მაგრამ ქოხის კარში გამოჭიმული ფელიმის თვითკმაყოფილ სახეს რომ შეხედა, მიხვდა, რაც მან ჩაიღინა, წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული. როგორც კი შეხედა ქოხისაკენ მობრუნებულ ზებ სტუმპის პირქუშ, გრიგალის მომასწავებელ სახეს, ფელიმს წამსვე გაუქრა თვითკმაყოფილი იერი.

ზებმა ისე დაუწყო ლანძღვა-გინება ფელიმს, რომ ქალის იქ ყოფნა აინუნშიაც არ ჩაუგდია.

— ეშმაკმა დაგწყევლოს, შე პირძაღლო, ირლანდიელო იდიოტო! რისთვის მომიხმე? იმ წუთში, ცხენმა რომ ჭიხვინი ატეხა, ერთი ოცდაათგირვანქიანი ინდაური მყავდა მიზანში ამოღებული და სანამ ვესროდი, ხმაურზე გამიფრინდა, მასთან გაფრინდა საუბმის იმედიც.

— მისტერ სტუმპ, თქვენ თვითონ არ მითხარით, ასე მოვქცეულიყავი, თუ ვინმე ქოხს მოუახლოვდებოდა?

— ოჰ, შე გამოჩერჩეტებულო! საიდან მოგივიდა აზრად, რომ ეს ქალსაც ეხებოდა?

— მერედა, საიდან უნდა მივმხვდარიყავი, რომ ეს ქალია. ერთი გენახათ, როგორ მამაკაცით იყო გადამჯდარი ცხენზე.

— მერე, რა მნიშვნელობა აქვს იმას, როგორა ზის ცხენზე? პირველად ხედავ, რომ მექსიკელი ქალი ცხენზე მამაკაცურად იჯდეს?

— ღმერთო ჩემო, მისტერ სტუმპ! მან ინგლისურიც იცის. ასე არაა, ქალბატონო?

— დიახ, ცოტაოდენი ინგლისური, — თქვა ისიდორამ, რომელიც ამდენ ხანს ჩუმად იყო, — ძალიან ცუდი ინგლისურით ვლაპარაკობ.

— ოჰ! — წამოიძახა ზებმა და ცოტა არ იყოს, თავის ნათქვამისა შერცხვა, — ბოდიშს ვიხდი, სინიორიტა. თქვენ ცოტაოდენი ინგლისური იცით? ძალიან კარგი. მაშ შეგიძლიათ აქ მოსვლის მიზანი გვითხრათ. გზა ხომ არ აგერიათ?

— არა, სინიორ, — წარმოთქვა ქალმა.

— მაშ იცით, სადაც იმყოფებით ამჟამად?

— დიახ, სინიორ, ეს დონ მაურიისო ჯერალდის სახლია, ასე არ არის?

— სწორედ მისი სახლია, ალბათ მორისის ნახვა გინდათ, არა?

— დიახ, სინიორ, სწორედ ამისთვის გეახელით.

— ძალიან კარგი, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ სამტროდ არ ხართ მოსული, მაგრამ რა აზრი აქვს მის ნახვას, ის ახლა ვერც გიცნობთ.

— ავადაა? რაიმე უბედურება ხომ არ შეემთხვა? ამან უკვე მითხრა, ავადააო.

— დიახ, მართალს ამბობს, მე ვუთხარი, ავადაა-მეთქი.

— ნამდვილად ასეა, დაჭრილია და სიცხისაგან აბოდებს. სახითათო მაინცდამაინც არაფერია, გონზე მალე მოვა.

— ოჰ, სერ! შემიძლია მანამდე მასთან დავრჩე და მოვუარო? ნებას მომცემთ, შევიდე და ვნახო? მე მისი მეგობარი ვარ, ნამდვილი მეგობარი.

— ძალიან კარგი, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მგონი, ავადმყოფს ქალები უფრო კარგად უვლიან. მე პირადად, რაც ცოლი მისისიპის მიწას მივაბარე, ეს აღარ გამომიციდია. მაგრამ ამბობენ, ასეაო და ალბათ სწორია. თუ მისი მოვლა გსურთ და მისი მეგობარი

ხართ, სიამოვნებით მიგიღებთ და მოუარეთ, სანამ ჩვენ დავბრუნდებოდეთ, მიხედეთ, რომ საწოლიდან არ ჩამოვარდეს ან სახვევები არ მოიხსნას.

— მენდეთ, კეთილო სერ, მხოლოდ მითხარით, ვინ დაჭრა? ინდიელებმა? მაგრამ ისინი რომ არ გამოჩენილან? ვისთან მოუვიდა ჩხუბი?

— ამ ამბისა მეც იმდენივე ვიცი, რამდენიც თქვენ, სინიორიტა. მას კოიოტებთან ჰქონდა ბრძოლა, მაგრამ მუხლს ისინი ვერ დაუზიანებდნენ. მე მორისი გუშინ, შზის ჩასვლისას ვიპოვე ტყეში. მუხლამდე წყალში მდგარს ხეზე გასული ვეფხვი თავზე დახტომას უპირებდა. ამ ხიფათიდან მე დავიხსენი, მაგრამ მუხლი ვინ ატკინა, ჩემთვისაც საიდუმლოებითაა მოცული. მან გონი დაკარგა და ჯერაც უგრძნობლადაა.

— ოჰ, მე დიდი მზრუნველობით მოვუვლი.

— ეს ძალიან კარგია, მაგრამ... მაგრამ...

ზებ სტუმპი შეეცოყმანდა, რალაც ეჭვმა გაურბინა გონებაში. ეს ძველი მონადირის დაგეშილი ალღო გახლდათ. აი, რა გაიფიქრა ზებ სტუმპმა:

„ეს ქალიშვილი ის უნდა იყოს, ობერდოფერის სასტუმროში რომ სანოვაგესა და სასმელებს უგზავნიდა მორისს. აშკარაა, მას მორისი უყვარს; ისიც ცხადია, რომ მორისის გულის რჩეული სხვაა. ხოლო ამან რომ მის ბოდვას მოუსმინოს და ლუიზას სახელი გაიგონოს, გული ეტკინება. საწყალი, ძალიან მეცოდება, მაგრამ ეს ირლანდიელი ყმაწვილი ორივეს ხომ ვერ შეირთავს? ეგ ძალიან კარგად ვიცი, რომ ამ ორიდან მან ლუიზა არჩია. კარგი იქნება, თუ შევძელი და დავარწმუნე ეს მექსიკელი ქალიშვილი, რომ ავადმყოფთან ახლო არ მივიდეს, ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, სანამ ლუიზაზე ბოდვას არ შეწყვეტს“.

— მაგრამ, მის, — მიმართა ზებ სტუმპმა ისიდორას, რომელიც მოუთმენლად ელოდა, როდის დაილაპარაკებდა ეს უზარმაზარი გოლიათი, — უკეთესი ხომ არ იქნება, თუ სახლში გაბრუნდებით და მაშინ მოხვალთ, როცა მორისი კარგად გახდება? როგორც გითხარით, ახლა ვერც კი გიცნობთ. რაც შეეხება მის ჯანმრთელობას, სასიკვდილო არაფერი სჭირს და თქვენი დარჩენა, მე ვფიქრობ, აუცილებელი არ არის.

— მიცნობს თუ არა, მაგას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მე მას მზრუნველობით მოვუვლი. შეიძლება რაიმე დასჭირდეს, რაც შემოიძლია ვუშოვნო და გამოვუგზავნო.

— თუ ასეა, დარჩით, — ისე უთხრა ზებმა, თითქოს თავში ახალი აზრი მოუვიდა, — მე ხელს არ შეგიშლით, მაგრამ მის ბოდვას კი ყურადღებას ნუ მიაქცევთ. შეიძლება მან მკვლელობასა და სხვა ისეთ რამეზე ილაპარაკოს, მაგრამ იცოდეთ, ეს სიცხიანი ადამიანის ბოდვაა და ადამიანი ბოდვის დროს ყველაფერს წამოროშავს. ხშირად ქალის სახელსაც ახსენებს და შეიძლება ამასაც მოჰკრათ ყური.

— ქალის სახელს?

— დიახ ქალის სახელს, ეძახის და უხმობს კიდევაც.

— ვის სახელს ამბობს, სინიორ?

— მგონი, ეს მისი დის სახელია და სწორედ მას უნდა უხმობდეს.

— ოჰ! მისტერ სტუმპ, თუ მისტერ მორისზე ამბობთ...

— ხმა ჩაიკმინდე და კრინტი არ დაძრა, შე გამოთაყვანებულო! შენ რა გაგეგება იმისა, რაზეც მე ვლაპარაკობ. იყუჩე და უკან გამომყევი, — ესა თქვა ზებ სტუმპმა და ფელიმი გვერდზე გაიყვანა.

— ინდაურზე სანადიროდ რომ მივდიოდი, გზაზე ერთი ჩხრიალა გველი მოვკალი და იქვე დავაგდე. წამომყევი და ქოხში წამოიღე, თუ ადგილზე დავგიხვდა და არ წაიღეს, თორემ იქნებ ველარც მოვკლა დღეს ინდაური.

— გველიო, ჩხრიალა გველი?

— ჰო, გველი.

— მაგრამ გველის ჭამა ხომ არ შეიძლება, მისტერ სტუმპ. ღმერთო! მისგან ხომ შეიძლება ადამიანი მოიწამლოს.

— მოიწამლოს არა! როგორც კი მოვკალი, თავი იმწამსვე მოვჭერი.

— შიმშილით რომ მოვკვდე, გემოთიც არ გავსინჯავ.

— თუ შიმშილით სიკვდილი გინდა, მოკვდი, ვინ გიშლის. ვინ გეხვეწება, გველის ხორცი ჭამეო. მე მხოლოდ ის გითხარი, სახლში მოიტანე-მეთქი. წამოდი და წამოიდე. თორემ წყეული ვიყო, თუ გველის თავი ძალით არ შეგატამო.

— ღვთის გულისათვის, მისტერ სტუმპ, მე არც მიფიქრია, წინააღმდეგობა გამეწია თქვენთვის. ფელიმ ონილი მზადაა, თქვენი ყოველი სიტყვა შეასრულოს. თუ გინდა, გველს მთლიანად გადავცლაპავ. წმიდაო პატრიკ, მომიტევე!

ისიდორა ქოხში შევიდა, ავადმყოფი მორისის თავთან დაიხარა, მისი გაციებული შუბლი და უგრძნობი ტუჩები მხურვალე კოცნით დაფარა და წამსვე გველცემულივით უკუიქცა!

ქალიშვილს თითქოს მორიელის ნესტარზე ძლიერმა რაღაცამ უჩხვლიტა გულში.

ეს გახლდათ ერთი უბრალო სიტყვა, სრულიად უბრალო, რამდენიმე მარცვლისაგან შემდგარი სიტყვა.

თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია. ხშირად ერთმარცვლოვან „ჰო“-ზე მთელი სიცოცხლეა დამოკიდებული. ისევე, როგორც პატარა სიტყვა „არა“-ს მთელი სიცოცხლის გამწარება შეუძლია.

22 - მეორე, ვინც ვერ მოისვენა

ლუიზა პოინდექსტერს არასოდეს გასთენებია იმაზე შავბნელი დღე, რა დღესაც ლაზოთი შებორკილი მიგუელ დიასი გაათავისუფლა. დაკარგულ ძმაზე წუხილსა და მწუხარებას სატრფოზე მშფოთვარე ფიქრიც თან დაერთო. იმავე დღეს დაუსერა გული შავმა ეჭვებმა. მას შემდეგ, რაც სატრფოს ღალატის დამამტკიცებელი წერილი

იპოვა, ჯავრი, ვარამი, შიში და ეჭვი ერთად ირეოდა მის გონებასა და გულში.

მართალია, ბარათი მორისის დაწერილი არ იყო და ეს ღალატის დამამტკიცებელი საბუთიც დამაჯერებელი არ გახლდათ, მაგრამ პირველი აფეთქების წუთებში ლუიზა ამას არ დაგიღვედათ. როგორც წერილიდან შეიტყო, მორისსა და მექსიკელ ქალიშვილს მეგობრობაზე უფრო ძლიერი რამ აკავშირებდათ. მათი დამოკიდებულება უფრო ღრმა და სათუთი ჩანდა, ვიდრე ეს ლუიზამ იცოდა მორისის გადმოცემით. ამიტომაც იფიქრა — მორისი მატყუებსო.

ქალის გულში შურისძიების გრძნობა მალე ღრმა სასოწარკვეთილებით შეიცვალა. ლუიზას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ისიც მის ფეხებთან დაგდებული წერილივით გაესრისოთ.

რამდენიმე საათის მღელვარების შემდეგ ოდნავ დაწყნარდა და საღი აზროვნების უნარი დაუბრუნდა. წერილი ისევ გადაიკითხა. ახლა ყოველი სიტყვა აწონ-დაწონა.

გულში იმედის ნაპერწკალმა იელვა: ხომ შეიძლება მორისი ახალშენში არც იყოსო. ეს იმედის სხივი ძალიან მქრქალი ჩანდა, თორემ ლუიზას ამაზე მეტად არაფერი გაახარებდა.

ლუიზა პოინდექსტერისათვის ყველაზე ძნელი სწორედ ამის შემოწმება გახლდათ, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა? და როცა ახალშენის მწვანეში ჩაძირულ მოედანსა და შუკვებში ბინდი ჩამოწვა, იგი თავის წინწკლებიან მუსტანგზე ამხედრდა, ახალშენის ქუჩები წყნარად გაიარა და ობერდოფერის სასტუმროს წინ სწორედ იმ ადგილას შეაყენა ცხენი, სადაც რამდენიმე საათის წინ ისიდორას რუხი ბედაური იდგა.

ახალშენში იმ დღეს ადამიანი ერთ კაცს ვერ იპოვიდა. ბევრი მათგანი ჰენრის მკვლელის საძებრად იყო წასული. ზოგიერთები კი ინდიელებს ჩასდგომოდნენ კვალში. ლუიზას წინდაუხედავი საქციელის ერთადერთი მოწმე მხოლოდ ობერდოფერი გახლდათ. ობერდოფერს კი მის საქციელში საძრახისი არაფერი შეუძინევია. მას

სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მოკლულის დას ასე დაწვრილებით აინტერესებდა ყველაფერი.

გონებაჩლუნგ გერმანელს არც კი შეუმჩნევია, როგორი ყურადღებით უსმენდა პირველ ხანებში პოინდექსტერის ლამაზი ასული. ობერდოფერს ისიც შეუმჩნეველი დარჩა, როგორი მწარე ტკივილი მიაყენეს მისმა ნაამბობმა ლუიზას, რამაც მათ შორის საინტერესო წამოწყებულ საუბარს უეცრად ბოლო მოუღო.

როცა ლუიზამ შეიტყო, რომ მუსტანგერის ამბით კიდევ ვიღაც სხვა ქალი იყო დაინტერესებული, ახალ სატანჯველში ჩავარდა. აფორიაქებულმა და გამწარებულმა ლუიზამ ცხენი კასა დელ კორვოსაკენ შემოაბრუნა.

ლუიზამ ალამოს ნაპირზე მუსტანგერის ქოხში მარტო წასვლა გადაწყვიტა.

სახლში აღარავინ იყო, რომ შინ ძალით დაეტოვებინა ან წინააღმდეგობა გაეწია მისი სურვილისათვის.

ლუიზას მსგავს არსებას იშვიათად უცხოვრია ამ ქვეყანაზე. იგი ცისკრის სხივივით მშვიდი, ნაზი და ბავშვის ლოცვასავით უბიწო გახლდათ, მაგრამ სიყვარულის ცეცხლით აგზნებული და მტკიცე, თითქმის დაუძლეველი წინააღმდეგობების ჯადოსნურ წრეში მოხვედრილი ახალგაზრდა ქალი ლიუციფერივით ამაყი და საშიში ხდებოდა.

ლუიზა მზის ამოსვლას უკვე ცხენზე მჯდომი შეეგება. მისი სახლიდან მუსტანგერის ქოხამდე ოცი მილი მაინც იქნებოდა. ასეთი მგზავრობის დროს ზანტი ცხენითაც არ დაიქანცება ადამიანი. ისეთი სწრაფი, ლამაზი ცხენით, როგორიც ლუიზას წინწკლებიანი მუსტანგი გახლდათ, ეს გზა სულ მალე გაილლუიზა ისე საცოდავად აღარ გამოიყურებოდა, როგორც რამდენიმე ხნის წინათ. მის გულში ახლა იმედის ნაპერწკალი ციალებდა. მაგრამ იგი იმწამსვე ჩაქრა, როგორც კი ქოხის ზღურბლს გადააბიჯა. ახალგაზრდა ქალს ისეთი დახშული გმინვა აღმოხდა, თითქოს გული უეცრად გაუსკდაო.

მან ქოხში ქალი დაინახა.

ლუიზას დანახვაზე ქოხში მყოფს ელდა ეცა და მასაც ისეთივე გმინვა აღმოხდა, გეგონებოდათ, ლუიზას გულიდან ამოხეთქილი გმინვის ექოაო. როდესაც ისიდორამ კარისკენ მოიხედა, ზღურბლზე ის ქალი დაინახა, რომლის სახელსაც სიყვარულით იმეორებდა და უხმობდა გონდაკარგული მორისი.

ლუიზასათვის ყველაფერი გასაგები გახდა. მან დაინახა ქალი, რომელმაც მორისს წერილით პაემანი დაუნიშნა და ამ პაემანის მოწმე ახლა თვითონ გახდა. ლუიზას ახლალა ეცა თვალში, რომ მორისს სხეულზე სქლად ჰქონდა შემოხვეული რაღაც ქსოვილი და საწოლზე მისვენებულიყო.

ღიახ, მის წინ იდგა იმ გაბედული წერილის ავტორი, რომელიც მორისს „ძვირფასს“ უწოდებდა — მის თვალებს ხოტბას ასხამდა და თანაც პაემანზე იბარებდა. ახლა კი ეს ქალიშვილი მის გვერდით იმყოფება და ავადმყოფს მზრუნველობით და ნაზად ევლება თავს.

ერთნაირი გრძნობებით ანთებული ერთი და იმავე ამრებით შეპყრობილი, პირისპირ მდგარი ორი არსება აგზნებული თვალებით შეჰყურებდა ერთმანეთს.

მათ ერთნაირად უყვარდათ ერთი და იგივე მამაკაცი და ორივე მათგანს გულს უღრღნიდა ეჭვი. თვითონ მორისი კი უგონოდ იწვა იქვე და არც ერთს ესმოდა რამე და არც მეორეს!

ორივე ღრმად განიცდიდა მეტოქის გამარჯვებას: ლუიზას არ მოუსმენია მორისის ბოდვა და არც შეეძლო დამშვიდებულიყო. ხოლო ის სიტყვები, რომლებიც ლუიზას მაღამოდ მოეცხებოდა გულზე, ავისმომასწავებელი ბარივით რეკდა ისიდორას ყურებში და აუტანელ სულიერ ტკივილებს აყენებდა.

ეს იყო ჩუმი, უსიტყვო მტრობა, რაც უფრო აძლიერებდა ერთმანეთისადმი სიძულვილს. მათ სიტყვაც არ დასცდენიათ, არც ჰქონდათ სურვილი, ახსნა-განმარტება მოეთხოვათ ერთმანეთისათვის. არის ცხოვრებაში წუთები, როცა ყოველგვარი ლაპარაკი ზედმეტია.

ამას ორივე ინსტინქტით გრძნობდა. ეს იყო გრძნობათა ჭიდილი. რაც მხოლოდ ანთებულ, ცეცხლოვან თვალებსა და ამრეზილი სახის გამომეტყველებაში გამოიხატებოდა. ისინი თვალებით ჭამდნენ და ერთხანს ასე შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ლუიზა უკან გაბრუნდა და ცხენზე შეჯდა, მორის ჯერალდის ქოხში მისთვის ადგილი არ აღმოჩნდა!

ისიდორაც ისე სწრაფად გამოვიდა ქოხიდან, რომ თავისი მეტოქის კაბის ბოლოს კინალამ ფეხიც კი დააბიჯა. მის გულშიაც იგივე ცეცხლი ენთო და გონებაშიც იგივე სიტყვები უტრიალებდა: მორის ჯერალდის ქოხში მისთვის ადგილი არ აღმოჩნდა.

ისიდორას რუხი ცხენი ქოხთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ლუიზას წინწკლებიანი მუსტანგი. ამიტომაც ისიდორა პირველი შეჯდა ცხენზე და პირველმა დაძრა იგი ადგილიდან. მისი წასვლისთანავე ლუიზაც შეჯდა ცხენზე და სადავე მოიმარჯვა.

მათ კვლავ ჩახედეს ერთმანეთს თვალებში. გამარჯვება არც ერთის გამოხედვაში არ იგრძნობოდა, მათ მზერაში მხოლოდ შურისგების ჟინს ამოიკითხავდა ადამიანი. ლუიზას თვალებში მწუხარებასა და მრისხანებას დაესადგურებინა. ხოლო ისიდორას უკანასკნელი გამოხედვა აღსავსე იყო ბოროტებით; მან ამ გამოხედვას კდემამოსილი ქალიშვილისათვის სავსებით შეუფერებელი სიტყვაც მიაცოლა.

23 - ცნობების მომხიბლავი მომწოდებელი

მექსიკელი ქალიშვილი გაბოროტებული მიდიოდა მორის მუსტანგერის სახლიდან. მის გულში აღრეული შმაგი გრძნობები შურისძიების გრძნობას მთლიანად დაეჩრდილა. შურისძიებაში ისიდორა რაღაც დემონურ კმაყოფილებას პოულობდა. სწორედ ამან შეუწყო ხელი, რომ ისეთი აუტანელი და მტანჯველი დამცირების შემდეგ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდა. სანამ აღმართს შეუდგებოდა, შეჩერდა. ცხენი მან სულ სხვა განზრახვით შეაყენა. თავში

კვიპაროსის ჩრდილზე უფრო ბნელმა ფიქრებმა გაუელვა. შეჭმუხ-
ნულ შუბლზე, მონუსხულ წარბებსა და მრისხანებისაგან ანთებულ
თვალებში აშკარად აღებეჭდა ავი განზრახვა. გარდა სილამაზისა,
ქალს შეუძლია განდევნოს ყოველი კეთილშობილური გრძნობა და
მის ნაცვლად გულში ყოველგვარ ბოროტებას დაუთმოს ადგილი.
ასე იდგა იგი დემონური აზრით შეპყრობილი.

— რატომ ადგილზევე არ მოვკალი! თუმცა ახლაც შემიძლია დავ-
ბრუნდე და ბოლო მოვულო, სანამ გვიან არ არის. მაგრამ მისი სიკ-
ვდილი მორისის გულს ვერ დამიბრუნებს. არა, ის ჩემთვის სამუდა-
მოდ დაკარგულია, — ეს სიტყვები ამჟღავნებდა ისიდორას იდუმალ
ღრმა განცდებს და მხოლოდ მისივე გონებას შეეძლო ჩაწვდომოდა
მათ, — ოჰ, აღარანაირი იმედი, ყოველივე გადაწყვეტილია! — არა,
უნდა მოკვდეს მორისი, ვინც თავგზა ამიბნია და გამაუბედურა. მაგ-
რამ როგორ მოკვლა საკუთარი ხელით? მაშინ ხომ მთელი ცხოვრე-
ბა სანანებლად უნდა გამიხდეს და ვეწამო? ოჰ, მეტის ატანა აღარ
შემიძლია. ჩემში ახლა მხოლოდ შურისძიების გრძნობა ბობოქ-
რობს. ლუიზასთან ერთად მორისიც უნდა მოკვდეს. მაგრამ ახლა
არა, მან უნდა იცოდეს, ვისი ხელითაც მოკვდება! უნდა იგრძნოს
დამსჯელის ხელი. ოჰ, ღვთისმშობელო, მომეცი ძალა, რომ ჩემს
დამტანჯველს სამაგიერო მივუზღო!

ისიდორამ დეზები შემოჰკრა ცხენს და აღმართს შეუდგა. მას არც
მაშინ შეუსვენებია ცხენი, როცა გაივავა. უგზო-უკვლოდ მიქროდა
და დეზებით სულ უფრო აჩქარებდა ცხენს.

ისიდორამ ახლალა დაინახა მხედრები. ინდიელები ხომ არ
არიან? ტეხასელებს ჰგვანან, — ჩურჩულით წარმოთქვა ისიდორამ,
— და მგონი, ინდიელებს დაეძებენ. მაგრამ ინდიელები რომ არსად
ჩანან?

ისიდორას არანაირი მიზეზი არ ჰქონდა, მხედრებისათვის თავი
აერიდებინა, მაგრამ ახლა მათთან შეხვედრა რატომღაც არ უნდო-

და. სხვა დროს შესაძლოა გვერდი არ აექცია, მაგრამ მწარე ფიქრებით თავდამძიმებულს არც მათი კითხვების მოსმენის თავი ჰქონდა და არც ცნობისმოყვარეთა სამიზნედ სურდა გადაქცეულიყო.

სწორედ ამ მიზნით შეაბრუნა ცხენი და ის იყო, ადგილიდან უნდა მოეწყვიტა, რომ გადაიფიქრა, ადგილზე დარჩა და მისკენ ნავარდით მომავალ მხედრებს დაელოდა. წუთიც და ისიდორა მხედრების შუაგულში აღმოჩნდა. ისინი ასამდე იქნებოდნენ. როგორღაც სასაცილოდ ეცვათ და სხვადასხვაგვარად იყვნენ შეიარაღებულები. ამ ხალხს საერთო მხოლოდ ის ჰქონდა, რომ ყველა ძალზე გამტვერიანებულიყო. მათი მოღუშული, მკაცრი სახეები ცნობისმოყვარეობას ოდნავ შეერბილებინა.

ასეთი ადამიანებით გარშემორტყმული ყველა შეკრთებოდა, მით უმეტეს, ქალი, მაგრამ ისიდორა ისე უშიშრად იდგა, ვითომც აქ არაფერიაო. ის ოდნავადაც არ აღელვებულა. ჩანდა, მას მოურიდებლად გარშემოხვეული ხალხი სრულიადაც არ მიაჩნდა საშიშად. რამდენიმე მათგანს სახით იცნობდა კიდევ. მაგრამ ერთ-ერთი შუახანსგადაცილებული მამაკაცი, რომელიც მათი უფროსი უნდა ყოფილიყო და კითხვით მიმართა ისიდორას, აქამდე არსად ენახა.

აღლოთი მიხვდა, იგი მამა იყო მოკლული ახალგაზრდა ვაჟისა და იმ ქალწულისა, რომელიც მუსტანგერის ქოხში შეხვდა. ისიდორას გულით უნდოდა, მკვდარი ძმა კი არა, და ყოფილიყო, და თანაც უეჭველად შერცხვენილი და პატივაყრილი.

— ფრანგული იცით, მადმუაზელ? — შეეკითხა ვუდლი პოინდექსტერი, — რომელიც დარწმუნებული იყო, ამ ენაზე უფრო გააგებინებდა ქალს.

— ინგლისური უკეთ ვიცი, სერ.

— ოჰ, ინგლისური! ჩვენთვის ეს უმჯობესია. მითხარით, მის, ხომ არავინ გინახავთ, — მე მინდოდა მეკითხა, ვინმე მხედარი ხომ არ შეგხვედრიათ, ან რაიმე ბანაკი ხომ არ შევიმჩნევიათ სადმე?

ისიდორა, ეტყობოდა, სანამ რაიმეს უპასუხებდა, რალაცას ფიქრობდა ან ყოყმანობდა.

პლანტატორი კი, რამდენადაც მდგომარეობა ამის საშუალებას იძლეოდა, ზრდილობიანად განაგრძობდა დაკითხვას.

— შეიძლება გკითხოთ, სად ცხოვრობთ?

— რიო გრანდეზე, სინიორ!

— იქიდან მოდიხართ?

— არა, სინიორ, ლეონას ნაპირზე ვიყავი.

— ლეონას ნაპირზე?!

— ეგ მოხუცი მარტინესის დისშვილია, — თქვა ვილაცამ, — მისი პლანტაციები თქვენსას ემიჯნება, მისტერ პოინდექსტერ.

— მართალია, დონ სილვიო მარტინესის დისშვილი გახლავართ.

— ახლა ბიძათქვენის მამულიდან მოდიხართ? მაპატიეთ უხეშობა, მაგრამ უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო არ გეკითხებით. ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზები გვაქვს და ამიტომ გვინტერესებს ეს ამბავი.

— დიახ. პირდაპირ ბიძაჩემის ჰასიენდადან მოვდივარ, — ისე უპასუხა ისიდორამ, ვითომ პოინდექსტერის ბოლო სიტყვები არ გაეგონოს, — ორი საათის წინ გამოვედი ბიძაჩემის სახლიდან.

— მაშ აუცილებლად გეცოდინებათ, რომ მკვლელობა მოხდა.

— დიახ, სინიორ, გუშინ საღამოს ძია სილვიოს სახლში ლაპარაკობდნენ ამაზე.

— დღეს, როცა თქვენ ახალშენიდან გამოხვედით, რამე ახალი ცნობა ხომ არ გსმენიათ?

— გადმომცეს, მკვლელს კვალდაკვალ მისდევენ მდევერებიო. ეს თქვენი ხალხია, სინიორ?

— დიახ, დიახ, ალბათ ჩვენზე თქვეს. მეტი არაფერი არ გაგიგიათ?

— ოჰ, როგორ არა, მაგრამ ისეთი უცნაური ამბავია, რომ ალბათ ხუმრობად ჩათვლით.

— მაინც რა?

— ამბობენ, ვილაც უთავო მხედარი უნახავთ ამ ადგილებში. ნუ-
ესას ნაპირებთან ახლოს, სადაც რიო გრანდესაკენ მიმავალი გზა
მდინარეს კვეთს, — ასე თქვეს მწყემსებმა.

— რაო, მწყემსებმა ნახესო?

— დიახ, ბატონო, სამივენი იფიცებოდნენ, ჩვენი თვალით ვნახე-
თო.

ისიდორას ძალიან გაუკვირდა, ეს უცნაური ამბავი ტეხასელებმა
რომ ძალიან გულგრილად მოისმინეს. ისინი დაინტერესდნენ, მაგ-
რამ არ აღელვებულან. ვილაცამ თქვა: ჩვენც ვნახეთ უთავო მხედა-
რი, მაგრამ ჩვენგან კარგა შორს იყო. იქნებ თქვენმა მწყემსებმა ახ-
ლოდან დაინახეს და იციან, რას წარმოადგენს უთავო მხედარი.

— ღვთისმშობელო! არაფერიც არ იციან.

— მაშ დაწვრილებით ვერაფერს გვეტყვიო?

— მე? ვერა, ბატონო, რასაც ყური მოვკარი, ის მოგახსენეთ.

— არავინ შეგხვედრიათ, ან არ დაგინახავთ ვინმე, მის?

— როგორ არა, შემხვდა.

— შეგხვდათ? ვერ აგვიწერთ, ვის შეხვდით?

— ლედი გახლდათ.

— ვერ იცანით? მაინც როგორი შესახედაობის ქალია?

— როგორი შესახედაობისაა? აბა როგორ გითხრათ.

— ცხენზე იჯდა?

— დიახ, ცხენზე.

— მაინც სად შეხვდით?

— აქედან არც ისე შორს. ბუჩქნარს იქით.

— საით მიდიოდა? საცხოვრებელი სახლი თუ არის სადმე ახლო-
მახლო.

— იქ მხოლოდ ერთი ჯაკალე დგას.

პოინდექსტერი ერთ-ერთ მხედარს მიუბრუნდა და ჰკითხა, თუ
რას ნიშნავდა სიტყვა ჯაკალე.

— ეს მათებურად ქოხს ნიშნავს, ბატონო, — უპასუხა მხედარმა.

— მერედა, ვისია ის ქობი?

— დონ მაურისიო მუსტანგერისა.

ამ სახელის გაგონებაზე მღევრებს სიხარულის წამოძახილები აღმოხდათ. ორი დღის უნაყოფო ძებნისა და წანწალის შემდეგ, როგორც იქნა, მკვლელის კვალს მიაგნეს.

ისინი, ვინც ცხენებიდან ჩამომხტარიყვნენ, ისევ უნაგირებს მოახტნენ და წასასვლელად მოემზადნენ.

— ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდით, მის მარტინეს, მაგრამ წინ უნდა წავგიძღვეთ და გზა მიგვასწავლოთ.

— ეს, ცოტა არ იყოს, გზას გამიგრძელებს, მაგრამ არა უშავს. მომყევით! თუ იქ წასვლა გადაგიწყვეტიათ, მიგასწავლით.

ისიდორამ ასი მღევრის თანხლებით კვლავ გადასერა ბუჩქნარი და დასავლეთით მდებარე მიჯნასთან შეჩერდა. აქედან ალამომდე უტყეო ტრამალი გადაჭიმულიყო.

— აი, იქ, ხედავთ შავ წერტილს ჰორიზონტზე? ეგ კვიპაროსის კენწეროა, მისი ფესვები კი ალამოს წყლით საზრდოობს. მიდით იქ და მის გვერდით გადის ხეობა, რომელიც კლდიდან დაბლა ჩაგიყვანთ. იქვეა ის ქობიც.

მღევრები ისე ანთებულიყვნენ შურისძიების გრძნობით, რომ მოთმინება აღარ ჰყოფნიდათ, ყური ეგდოთ მეგზურისათვის. სრულიად დაავიწყდათ თავიანთი გზის მასწავებელი და კვიპაროსის მიმართულებით გაქუსლეს ტრამალზე.

მღევრებიდან მხოლოდ ერთი დარჩა ადგილზე. იგი პოინდექსტერზე ნაკლებ როდი იყო დაინტერესებული ამ საქმით. როცა ისიდორამ თქვა, იქ ქალი ვნახეო, ამ ამბავმა ეს კაცი კიდევ უფრო დააინტერესა. მან ესპანური ისევე კარგად იცოდა, როგორც ინგლისური.

— მითხარით, გეთაყვა, — თითქმის ვედრებით მიმართა მან ისიდორას, როცა თავისი ცხენით გვერდში ამოუდგა, — რა ფერის ცხენი ჰყავდა იმ ქალს, თქვენ რომ შეგხვდათ?

– წინწკლებიანი მუსტანგი.

– წინწკლებიანი მუსტანგი?! ოჰ, ღმერთო! – ამოიგმინა კასიუს კოლჰაუნმა და მდევრებს უკან გამოუდგა. ისიდორამ იმწამსვე იგრძნო, რომ მის გარდა კიდევ ერთი გული იწვოდა ჯოჯობეთური ცეცხლის ალით, რომლის ჩაქრობა მხოლოდ სიკვდილს შეეძლო.

24 - ანგელოზი დედამიწაზე

მეტოქის ასე სწრაფად და მოულოდნელად წასვლამ ლუიზა პონდექსტერი განაცვიფრა. იგი უკვე უნაგირზე იჯდა და ლუნას ადგილიდან დაძვრას აპირებდა, მაგრამ შეეყოყმანდა და გაოგნებული მიეჯაჭვა ერთ ადგილზე.

რამდემე წუთის წინათ, როცა ქოხში შეიხედა, მისი მეტოქე როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდა თავს. მაშ რატომ უნდა გაქცეულიყო? რას ნიშნავდა მისი ასეთი მტრული მოძულე და მოშურნე გამობედვა? რატომ არ იგრძნობოდა მის გამომეტყველებაში თვითკმაყოფილი და გამარჯვებული ადამიანის დამცინავი ღიმილი?

უსიამოვნების მაგივრად ისიდორას საქციელმა და გამომეტყველებამ ლუიზას რაღაც იდუმალი კმაყოფილება მოჰგვარა. იმის ნაცვლად, რომ თვითონაც ცხენი დაეძრა და აქაურობას გასცლოდა, ისევ ჩამოხტა ცხენიდან და ქოხში შევიდა.

მუსტანგერის გაფერმკრთალებული ღაწვებისა და თვალების შმაგი ბრიალი რომ დაინახა, ლუიზას ყოველგვარი წყენა დაავიწყდა.

– ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! – წამოიძახა მან და საწოლთან მივარდა, – მორისი დაჭრილია... კვდება... ვინ დაჭრა?

პასუხის ნაცვლად რაღაც უაზრო ბურტყუნი გაისმა.

– მორის! მორის! მითხარი რამე! ველარ მცნობ? ლუიზა ვარ! შენი ლუიზა! შენ ხომ ასე მეძახოდი! გაიმეორე და კვლავ დამიძახე ასე, გემუდარები.

— ოჰ, რა მშვენიერი ხარო, ზეციურო ანგელოზებო, როგორი ლამაზები! დიახ, დიახ, რომ შემოგცქერით, ასე მეჩვენება, მაგრამ იმას ნუ იტყვით, რომ თქვენი მსგავსი დედამიწაზე არავინ არის. არიან, როგორ არ არიან. მე ვიცნობ ერთ მათგანს, რომელიც ყველას გჯობიათ! მე სილამაზესა და მშვენიერებაზე ვლაპარაკობ. სათნოება ეს სულ სხვაა და ამაზე არც მიფიქრია.

— მორის, ძვირფასო მორის! ასე რატომ ლაპარაკობ? შენ ხომ ზეცაში არა ხარ; შენ ჩემთან ხარ, შენს ლუიზასთან.

— მე ზეცაში ვარ, დიახ, ზეცაში. მაგრამ უიმისოდ ზეცაც არაფერია. იქნებ ზეცა მართლაც სანეტარო სამყოფელია, დაე, იყოს, მაგრამ ის ჩემთან არ არის და აქ უიმისოდ რა გამაძლებინებს. ისიც რომ აქ იყოს, მაშინ დავრჩებოდი. გესმით, რასაც ვამბობ, ანგელოზებო? თქვენ ძალიან, ძალიან მშვენიერები ხართ, მაგრამ ჩემს ანგელოზს კი ვერავინ შეედრება! ოო! მე ვიცი, ეშმაკიც ძალიან ლამაზია, მაგრამ ეშმაკზე როდი ვლაპარაკობ, მე ტრამალის ანგელოზზე მოგახსენებთ.

— გახსოვს მისი სახელი?

ამქვეყნად ალბათ არავინ დალოდებია მბოდავი ადამიანის პასუხს ასე მოუთმენლად. სმენადქცეული ლუიზა ავადმყოფისაკენ დაიხარა და მის ტუჩებს თვალს არ აშორებდა.

— თქვენ სახელი მკითხეთ? სახელი? ნუთუ ანგელოზებსაც გაქვთ სახელები? ოჰ! მომაგონდა... მიქაელი, გაბრიელი, იზრაელი, — მაგრამ თქვენ ხომ მამაკაცები ხართ და ჩემს ანგელოზს სრულიადაც არ ჰგავხართ. იგი ქალია, მას...

— რა ჰქვია?

— ლუიზა, ლუიზა, ლუიზა... რისთვის უნდა დაგიმალოთ, რაც იქ დედამიწაზე ხდება, თქვენ, სულერთია, ყველაფერი იცით, უთუოდ გეცოდინებათ!

ასეთი ნეტარება ლუიზას მაშინაც კი არ უგრძვნია, როცა საღ-სალამათმა მორისმა ეს უკანასკნელი სიტყვები აკაცის ჩრდილქვეშ

პირველად უთხრა მას. ო! როგორ ბედნიერად გრძნობდა თავს ლუიზა იმ წუთას, როცა ეს სიტყვები ესმოდა.

ავადმყოფის სიცხიანი შუბლი და გამშრალი ტუჩები კვლავ მხურვალე კოცნამ დაფარა. გამარჯვებული ლუიზა წელში გაიმართა. ცალი ხელი გულზე ჰქონდა მიდებული, თითქოს სურდა დაეოკებინა აჩქარებული გულისცემა. იგი ახლა მხოლოდ იმასღა ნატრობდა, ეს ბედნიერი წუთები, რაც შეიძლება გახანგრძლივებულიყო. უცებ კარის ზღურბლს ჩრდილი დაეცა და მალე ადამიანიც გამოჩნდა.

ახალმოსულის გარეგნობაში საშიში არაფერი ჩანდა. პირიქით, თუ დროისა და ადგილის მიხედვით ვიმსჯელებდით, მისი სახის გამომეტყველება და ჩაცმულობა სასაცილოც კი მოგეჩვენებოდათ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსულს ერთ ხელში ნაჯახი ეკავა, ხოლო მეორეში — უზარმაზარი გველი.

— ღვთისშობელო, შენ დამიფარე! — წამოიძახა მან, თვალები დაჭყიტა და ნაჯახი და გველი ერთდროულად გააგდო ხელებიდან.

— ნამდვილად მძინავს და სიზმარში ვარ, თუ რა მემართება? როგორ დავიჯერო, რომ ეს თქვენა ხართ, მის პოინდექსტერ? ეს შეუძლებელია.

— მაგრამ ეს ასეა, მისტერ ონილ. როგორი უყურადღებო ყოფილხართ, რომ ასე მალე დამივიწყეთ.

— დაგივიწყეთ?! ეს შეუძლებელია, მის და ბრალს ცუდ-უბრალოდ ნუ დამდებთ. ირლანდიელები ასეთები როდი ვართ. ერთხელ თუ ვნახეთ ისეთი ლამაზი სახე, როგორიც თქვენ გაქვთ, სამუდამოდ დავიმახსოვრებთ. ღმერთო! რაღა შორს წავიდეთ. ავადმყოფსაც კი თქვენზე აბოდებს.

ფელიმმა საწოლს გადახედა. ლუიზას კი მთელ ტანში სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა.

— მაგრამ რას ნიშნავს ეს? — განაგრძო ფელიმმა, — ის ლედი თუ ყმაწვილი სადღაა? აქ ქალისმაგვარი ვინმე არ გინახავთ, მისს პოინდექსტერ?

– დიახ, ვნახე.

– ნახეთ?! მერედა, სად წავიდა?

– ცხენზე შეჯდა და წავიდა.

– წავიდა! ეშმაკმა დასწყევლოს, ეტყობა, თვითონაც არ იცის, რა უნდოდა. მე ის ათი წუთის წინათ ქოხში დავტოვე, თავისი მამაკაცური ქუდი მოიხადა და ისე იქცეოდა, თითქოს დიდი ხნით აპირებდა დარჩენას. წავიდაო, თქვენ ამბობთ! ღმერთო! რა კარგად მოქცეულა. ასეთი ქალისაგან რაც უფრო შორს იქნები, უმჯობესია, თქვენ არც კი დამიჯერებთ, მის პოინდექსტერ. რევოლვერს ცხვირწინ მიტრიალებდა.

– ღმერთო ჩემო! რისთვის?

– რისთვის და ქოხში არ ვუშვებდი. თუმცა მაინც შემოვიდა. როცა ბები დაბრუნდა, ქალმა უთხრა, მორისის მეგობარი ვარ, თავზე უნდა დავადგე და მოვუაროო და იმანაც შეუშვა.

– ძვირფასო ფელიმ! მიაბნეთ, გეთაყვა, რა მოხდა. მე ის მაინტერესებს, მის გარდა, ვინ იყო აქ?

– ეშმაკმა იცის, მთელი მილეთის ხალხი გახლდათ. პირველ ყოვლისა, იყო ვაცი, რომელიც აქეთ მოდიოდა, მაგრამ ქოხამდე ვერ მოაღწია. მასზე ვერაფერს გეტყვით. ვაითუ ძალიან შეგაშინოთ.

– ჩემი ჯავრი ნუ გაქვთ, მითხარით, არ შემეშინდება.

– მე თვითონაც არ ვიცი კარგად, რა უნდა ყოფილიყო, ვნახე მხედარი, რომელსაც თავი არ ჰქონდა.

– მერედა, სად ნახეთ, მისტერ ონილ?

– აი, იქ, ციცაბო რომაა, იმის თავზე. მე მისტერ მორისის შესახებ ვერაფერს ვიცი. იმ დღით ახალშენიდან უნდა დაბრუნებულიყო. მომავალი მხედარი რომ დავინახე, ბატონი მეგონა, მაგრამ ღმერთო, რა ვნახე; როცა ის უთავო მხედარი მომიახლოვდა, ჯერ ცხენი შეაყენა, მერე უეცრად მოსწყდა ადგილს და ნავარდით წავიდა. ტარა ყეფითა და ყმუილით დაედევნა უკან. ასე გადაირბინეს მთელი

ტრამალი, ვიდრე თვალს არ მიეფარნენ. მე ქოხში დავბრუნდი, დავწეი, მალე ჩამეძინა კიდევ და სიზმარიც ვნახე... მაგრამ თქვენ სულ ერთთავად ფეხზე დგახართ... დაიღლებით. ეგ მშვენიერი ქუდი მოიხადეთ და სკივრზე ჩამოჯექით, თორემ სალაპარაკო მე ჯერ კიდევ ბევრი მაქვს...

— ჩემზე ნუ სწუხართ... განაგრძეთ, მითხარით, კიდევ ვინ იყო იმ უცნაური მხედრის გარდა. ვილაცას ალბათ თქვენი გათამაშება უნდოდა, თორემ სად გავგონილა უთავო მხედარი?!

— გათამაშება! როგორ გეკადრებათ, მისს, თვითონ ზებ სტუმპმაც ასევე მითხრა.

— როგორ, მაშინ ზებ სტუმპიც აქ იყო?

— დიახ, მაგრამ ზების მოსვლამდე აქ სხვებიც იყვნენ.

— ვინ სხვები, აღარ იტყვით?

— ინდიელების მთელი ტომი დამესხა თავს. მე როგორც გითხარით, შუა ძილში ვიყავი, მაგრამ ლაპარაკის ხმა და ქალაღდის შარისური ჩამესმა და თვალი რომ გავახილე, ო, ღვთისმშობელო... ეს რაღა ამბავია?

— რა?

— არ გესმით? ისევ ცხენების თქარა-თქური შემომესმა. ნამდვილად ისინი მოვიდნენ. ფელიმი გარეთ გავარდა.

— წმინდაო პატრიკ! ქოხი მხედრებითაა გარშემორტყმული. ათასი ვაცი მაინც იქნება და კიდევ ემატებიან! ალბათ ზებ სტუმპი ამათბე მეუბნებოდა, უნდა გამოვიძახო. მგონი, დავაგვიანე.

ფელიმმა ხელი დასტაცა კაქტუსის ტოტს, რომელიც ქოხში შემოეტანა და გარეთ გავარდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ლუიზამ, — ეს ხომ მღვერები არიან! მამაჩემი მოუძღვით! აქ რომ მნახავენ, რა ვუთხრა? ოჰ, ღვთისმშობელო, შენ დამიფარე შერცხვენისაგან.

ლუიზა უნებურად მივარდა კარს და შიგნიდან ჩაკეტა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მიხვდა, რომ კარის ჩაკეტვა ამაო იყო. მდევრებისათვის ეს დაბრკოლება ბევრს არაფერს წარმოადგენდა. ლუიზას უკვე „წესრიგის დამცველთა“ ხმებიც შემოესმა!

ცხენის ტყავებით აკრულ კედელში გასასვლელი ხვრელი შენიშნა. შეიძლება აქედან გამძვრალიყო და გაქცევით ეშველა თავისთვის?

მაგრამ უკვე გვიან იყო. ეტყობოდა, მხედრები ქოხს ყოველი მხრიდან შემორტყმოდნენ. გარშემო ყველგან ცხენების ხმა ისმოდა. გარდა ამისა, მისი წინწკლებიანი მუსტანგი ქოხის წინ ება. დაინახავდნენ თუ არა, წამსვე იცნობდნენ.

მაგრამ უეცრად თავში სულ სხვა აზრმა გაუელვა. გაქცევაზე უკვე აღარ ფიქრობდა. მისთვის ახლა მთავარი და გადაამწყვეტი ის გახლდათ, რომ მორისი განსაცდელში იყო. მას ისიც კი ვერ დაიხსნიდა, რომ უგრძობლად იწვა. ვის უნდა დაეცვა, თუ არა ლუიზას. თუ ღმერთს ასე სურს, უმჯობესია, ჩემს პატიოსან სახელს მიადგეს ჩრდილი და თუ დაკარგვაზე მიდგება საქმე, დავკარგავ მამას, მეგობრებს, ყველას, მაგრამ მორისს ვერა! — ასე ფიქრობდა ქალი, — ჩემს პატიოსან სახელს მირჩევნია, მისი ერთგული დავრჩე.

ამ კეთილშობილური განზრახვით იგი ავადმყოფის საწოლთან დადგა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ საჭირო გახდებოდა, სიცოცხლევც კი შეეწირა თავისი გულისწორისთვის.

25 - დაძაბული მოლოდინი

მუსტანგერის ქოხთან მაშინაც კი არავის სმენია ამდენი ცხენის ფლოქვების თქარუნი, როცა მისი საჩხები გაჭედილი იყო ახლად დაჭერილი მუსტანგებით.

ქოხიდან გამოვარდნილ ფელიმს ოცმა კაცმა თითქმის ერთდროულად შესძახა: შეჩერდიო.

მათ შორის ყველაზე ომახიანად შეჰყვირა ერთმა მამაკაცმა, რომელიც რაზმის უფროსი უნდა ყოფილიყო.

— შეჩერდი, წუნკალო! გაქცევა ვერ გიმშველის, თუ კიდევ გადაგიდგამს ნაბიჯი, აქვე ჩაგაძაღლებ!

ზებ სტუმპის ფაშატისაკენ ძუნძულით მიმავალ ფელიმზე ამ გაფრთხილებამ სასწაულივით იმოქმედა და ადგილზევე გააშეშა.

— მერწმუნეთ, ჯენტლმენებო, თავის გადარჩენა არც მიფიქრია, — იფიცებოდა გაავებული სახეებისა და მისკენ მოღერებული ოციოდე თოფის დანახვისაგან აცახცახებული ფელიმი, — მე მხოლოდ...

— გინდოდა გაქცეულიყავი, არა?! არცთუ ისე ცუდი სირბილი გცოდნია. ჰეი, დიკ ტრესეი! აქეთ წამოდი და ეს წუნკალი მაგრად გაკოჭე. შენც მიეხმარე, შელტონ! ეს წყეული ისეთი ჩანჩურა ჩანს, არა მგონია, ის იყოს, ვისაც ვეძებთ.

— არა, არა! ეგ მისი მსახურია.

— ჰეი, ვინც ქოხს უკან დგახართ, თვალი ფხიზლად გეჭიროთ. მთავარი დამნაშავე ვერ არ დაგვიჭერია. ქოხიდან ჩიტიც კი ვერ უნდა გაგვიფრინდეს. აბა, ახლა გვითხარი, ვინ არის ქოხში?

— პირველ ყოვლისა, ქოხში ჩემი ბატონია...

— ჰო! ეს რაღა ამბავია? — იკითხა მოახლოებულმა ვუდლი პოინდექსტერმა, როცა წინწკლებიანი მუსტანგი დაინახა, — ეს ხომ ლუიზას ცხენია?

— დიახ, ბიძია, — უპასუხა კასიუს კოლჰაუნმა, რომელიც პოინდექსტერს ცხენდაცხენ მოსდევდა.

— მერედა, აქ ვინ მოიყვანა?

— მე მგონი, თვითონ ლუმ.

— შენ გინდა თქვა, რომ ჩემი ქალიშვილი აქ იყო?

— რა თქმა უნდა, აქ იყო: დარწმუნებული ვარ, ახლაც აქაა.

— შეუძლებელია!

— გაიხედეთ!

სწორედ ამ დროს გააღეს ქოხის კარი და შიგნით ქალი გამოჩნდა.

— ღმერთო დიდებულო, ეს ხომ ჩემი ქალიშვილია!

პოინდექსტერი ცხენიდან ჩამოხდა და ქოხისაკენ გაემართა. კოლჰაუნიც უკან დაედევნა. ორივენი ქოხში შევიდნენ.

— რას ნიშნავს ეს, ლუიზა? ნუთუ დაჭრილი ჰენრია? სანამ პასუხს მიიღებდა, პოინდექსტერმა ჰენრის ქუდი და წამოსასხამი შენიშნა.

— ნამდვილად ისაა, ცოცხალია! გმადლობ, ღმერთო!

პოინდექსტერი საწოლისაკენ წავიდა, მაგრამ ნაადრევი სიხარული უმაღვე გაუქრა. სასთუმალზე უგრძნობლად მისვენებული ფერმკრთალი სახე მისი შვილისა არ აღმოჩნდა.

შეწუხებულმა მამამ ისე ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოაყოლოდა და უკან გამობრუნდა.

ეტყობოდა, კოლჰაუნიც არანაკლებ ღელავდა. მკერდიდან მძულვარების გამომხატველი ღრიალი აღმოხდა და ქოხიდან ქურდულად გაიძურწა.

— ღმერთო დიდებულო! ეს რა ამბავია ჩემ თავს, — ჩურჩულებდა პოინდექსტერი, — იქნებ შენ მითხრა რაიმე, ლუიზა?

— რა გითხრა, მამა. მეც ახლახან მოვედი. და იმის მოწმე გავხდი, რასაც შენ ხედავ. უგრძნობლადაა, ბოდავს.

— მერე... მერე... ჰენრი?

— მათ ჩემთვის არაფერი უთქვამთ. მისტერ ჯერალდი მარტო-მარტო იყო, როცა აქ შემოვედი. როგორც კი მისი მსახური დაბრუნდა, თქვენც მოხვედით. ასე რომ, ვერაფრის კითხვა ვერ მოვასწარი.

— მაგრამ... მაგრამ აქ საიდან მოხვდი?

— სახლში გული აღარ დამიდგა. ველარ გავძელი. ვერ ავიტანე ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა. საშინელებაა ასეთი მარტოობა. თანაც იმაზე ფიქრი, რომ ჩემი უბედური ძმა... ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

პოინდექსტერი თავის შვილს თავგზააბნეული, მაგრამ გამომცდელი თვალებით შეჰყურებდა.

— მე მეგონა, აქ ჰენრის ვნახავდი.

— კი მაგრამ, საიდან იცოდი ამ ქოხისაკენ მომავალი გზა? ვინ მოგასწავლა? შენ ხომ მართო ხარ.

— ოჰ, მამა! გზა ვიცოდი! გახსოვს, ცხენმა რომ გამიტაცა? აი, სწორედ მაშინ მოვხვდი აქეთ. უკან რომ ვბრუნდებოდით, მორის ჯერალდმა მანჩენა თავისი ქოხი და, იმედი მქონდა, მარტო გავიგნებდი გზას.

პოინდექსტერი კვლავ დაბნეული გამოიყურებოდა. ამასთან ერთად რაღაც გრძნობამ გაჰკრა გულში: წარბები მონუსხა, შუბლი შეიკრა, მაგრამ რა იყო ამის მიზეზი, არაფერი უთქვამს.

— ძალიან უცნაური კია, ჩემო შვილო, შენი აქ ყოფნა, უგუნური და საშიშიც. სულელ, ქარაფშუტა გომბიოსავით მოქცეულხარ. წადი, ახლავე გაბრუნდი უკან. აქ ქალებისათვის ადგილი არ არის. შეჯექი ცხენზე და ახლავე შინ წადი. ვინმე გამოგყვება და სახლამდე მიგაცილებს. თორემ აქ ისეთი რამ მოხდება, ქალისათვის შეუფერებელია მისი ყურება. დაუყოვნებლივ გაემგზავრე!

პოინდექსტერი ქოხიდან გამოვიდა. ლუიზაც უკან გამოჰყვა და უხალისოდ გაემართა თავისი წინწკლებიანი მუსტანგისაკენ.

მდეურები ცხენებიდან ჩამოხტნენ და ქოხის ირგვლივ მინდორზე შეჯგუფდნენ.

ყველამ თავი მოიყარა ერთ ადგილზე. კოლჰაუნი დაწვრილებით გადასცემდა მათ, რაც ქოხში ნახა.

— მკვლელი ისეთ მდგომარეობაშია, გუშაგის მიჩენა და განსაკუთრებული სიფრთხილე ზედმეტია, — ამ სიტყვებით დაასრულა მან სათქმელი.

ახლა კი ყველამ ირწმუნა, რომ ჰენრი პოინდექსტერის მკვლელი მუსტანგერი იყო. კოლჰაუნმა მდეურებს ახალი ამბავი აუწყა. ქოხში

მოკლულის ქუდი და წამოსასხამი ვნახეთო. არც ის დავიწყებია ეთქვა, ჰენრისთან მუსტანგერს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონია და ახლა თავის ქოხში დაჭრილი და უგრძობელი წევსო.

მაგრამ რამ მოიყვანა აქ პოინდექსტერის ასული მარტოდმართო, ნათესავებისა ან მონა-მხლებლის გარეშე? ერთი შეხედვით, იგი სტუმრად მოსულს ჰგავდა.

— ლუიზა, შეჯექი ცხენზე, მისტერ იანსი გაგაცილებს სახლამდე.

ახალგაზრდა პლანტატორი იანსი ასეთმა ნდობამ ძალზე ასიამოვნა. იგი ერთი იმათთაგანი გახლდათ, ვისაც აშკარად შურდა კოლჭაუნის მოჩვენებითი ბედნიერება. ახალგაზრდა პლანტატორი გულში მადლობას უხდიდა პოინდექსტერს, რომ თავისი ქალიშვილის ამ სიშორეზე მარტოდმართო გაცილების შესაძლებლობა მისცა.

— მაგრამ რატომ არ შეიძლება თქვენ მოგიცადოთ, აქ დარჩენას ხომ არ აპირებთ? — შეეპასუხა ქალი.

იანსის სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა და მოუთმენლობა დაეტყო.

— ჩემი სურვილი ასეთია, შვილო და მოვალე ხარ, შეასრულო იგი.

იანსი ისევ გამხიარულდა, მაგრამ მან იცოდა ლუიზას ამაყი სულის ამბავი და კვლავ ეჭვობდა, ვაითუ თავნება ქალმა მამის სურვილს ანგარიში არ გაუწიოსო.

ლუიზა უხალისოდ დაჰყვა მამის ნებას.

მათ ხეების ჩრდილქვეშ მიჰყავდათ ცხენები. მორის მუსტანგერის ქოხის წინ თავმოყრილი ხალხის ყაყანი ისევ სწვდებოდა მათ სმენას.

უცბად ლუიზას სახე ისე გაუბრწყინდა, თითქოს რაღაც სასიხარულო ამბავი მოაგონდაო.

ფიქრებში წასულმა პოინდექსტერის ასულმა ცხენი შეაყენა, იანსიც შეჩერდა.

— მისტერ იანსი, — მიმართა ქალმა ცოტა ხნის შემდეგ, — ჩემს ცხენს უნაგირის გარსაკრი მოეშვა და კარგად ვერ ვზივარ. ერთი ნახეთ, ძალიან მოშვებულია?

გახარებული ახალგაზრდა პლანტატორი, რომ რაღაც დაავალეს, ცხენიდან ჩამოხტა და გარსაკრი გასინჯა.

— მოიცათ! — დაიძახა ქალმა, მე ჩამოვალ და უკეთესად შესძლებთ მოჭერას.

ლუიზა იანსის დაუხმარებლად ჩამოხტა ცხენიდან და იქვე მუსტანგის გვერდით გაჩერდა.

იანსი გულმოდგინედ ცდილობდა დავალების შესრულებას. ხელის კუნთები დაეძაბა, დიდი წვალეების შემდეგ სახეწამოგზნებულმა იანსიმ შეძლო გარსაკრი ოდნავ მოეჭირა.

— მის პოინტექსტერ, მგონი, ახლა ყველაფერი რიგზეა.

— დიახ, უკეთესადაა, მაგრამ ნუთუ არ დაგენანებათ, რომ ამ მშვენიერ გარემოს ასე მალე გავცილდეთ? ჩემი ცხენიც ძალზე დაღლილია. საცოდავი ძლივსლა სუნთქავს. რა იქნება, ცოტა ხანს აქ შევჩერდეთ, ვიდრე დაისვენებდეს? მგონი, ძალზე დიდი ცოდვა იქნება, თუ ლუნას არ დავასვენებთ და ისე გავუდგებით გზას კასა დელ კორვოსაკენ.

— მაგრამ მამათქვენი? მისი სურვილი იყო, რომ თქვენ...

— დაუყოვნებლივ სახლში დავბრუნებულიყავი, არა? არა უშავს რა, მას მხოლოდ ის უნდოდა, იქაურობას გავცლოდი. რაკი იმ ბრბოში აღარა ვტრიალებ, მისთვის ახლა სულერთია... ოჰ! რა მშვენიერი ადგილია! როგორ გრილა ხეების ჩრდილქვეშ, იქ კი ტრამალზე ალბათ საშინლად აცხუნებს. დავრჩეთ აქ ცოტა ხანს და საწყალი ლუნა დავასვენოთ! ჩვენ კი მდინარეში მოსრიალე ვერცხლისფერი თევზების ცქერით დავტკბეთ. აი, შეხედეთ, მისტერ იანსი, როგორი ლამაზები არიან!

ახალგაზრდა პლანტატორმა ცთუნებას ვერ გაუძლო. რაში დასჭირდა პოინდექსტერის მშვენიერ ასულს მასთან დარჩენა? ან რამ მოაგონა ახლა თევზები?

ჰო, მართლა, წლის ამ დროს თევზები ერთმანეთს ესიყვარულებიან, — ახალგაზრდა პლანტატორმა თავის წინაშე დასმულ კითხვებს თვითონვე მოუძებნა პასუხი. ამის შემდეგ ყველაფერზე იოლად დაეთანხმა.

— მის პოინდექსტერ! — მიმართა იანსიმ, — მით უფრო მოხარული ვიქნები, რაც მეტხანს დავრჩებით აქ. თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ შესაძლებლობა მომეცემა — შევასრულო თქვენი დავალება. მზად ვარ, აქ დავრჩე მხოლოდ მანამდე, სანამ ლუნა დაისვენებდეს.

— მართალი გითხრათ, სერ, ცხენიდან ჩამოსვლა და ქოხში შესვლა ძლივს მოვასწარი, რომ თქვენც მოხვედით. შეხედეთ, როგორ მძიმედ სუნთქავს ხანგრძლივი ჭენებისაგან ლუნა.

ისინი ნაკადულის პირას იდგნენ, იანსი გაოცებული შესცქეროდა ლუიზას, რომელიც აღარც თევზებს აქცევდა ყურადღებას და აღარც წინწკლებიან მუსტანგს. ქალს რომ მათ ნაცვლად სხვა რაიმეზე მაინც შეეჩერებინა ყურადღება, ძალიან გაახარებდა. მაგრამ ლუიზა იანსის არა თუ უსმენდა, ზედაც არ უყურებდა. ქალი სადღაც შორს, სივრცეს მისჩერებოდა. სმენა კი დამფრთხალი ნადირივით დაეძაბა და სულგანაბული უსმენდა მუსტანგერის ქოხის წინ შეკრებილი ხალხის ყაყანს.

ქალისაკენ დახრილი იანსიც იძულებული იყო, ყური მიეგლო იმ ხმებისათვის, მათ სმენამდე რომ გარკვევით აღწევდა, მან კარგად იცოდა, რომ ქოხის წინ მორის მუსტანგერის ლინჩის წესით გასამართლება მზადდებოდა.

იანსი ისე გაფაციცებით უსმენდა, რომ გვერდზე მყოფი ლუიზა სრულიად გადაავიწყდა.

იგი მაშინღა მოაგონდა, როცა ქალი წამოხტა და ქოხისაკენ შემოიღრღინა.

26 - „წესრიგის დამცველთა“ სასამართლო

ყვირილი, რომელმაც ლუიზა უეცრივ ადგილიდან წამოაგდო და თანამგზავრი მიატოვებინა, „წესრიგის დამცველთა“ განაჩენი გახლდათ.

სიტყვა „ჩამოვახრჩოთ“ ახალგაზრდა ქალის ყურებში ზარივით რეკდა.

ლუიზა ვითომ თევზების ცურვითა და ცქერით ტკბებოდა, მაგრამ სინამდვილეში მთელი გულისყურით ქოხის წინ შეკრებილი მდევრების სიტყვებს უსმენდა.

მართალია, ხეები უშლიდა იქ შეკრებილები დაენახა, მაგრამ მდევრების მიერ წარმოთქმული სიტყვების მიხედვით იცოდა, რაც იქ ხდებოდა.

სწორედ მაშინ, როცა იგი ცხენიდან ჩამოხტა ტყეში, ქოხის წინ ასეთი სურათი გადაიშალა: წრის ცენტრში ათიოდე კაცი მოჩანდა. მათ შუა „წესრიგის დამცველთა“ უფროსი იდგა თავისი ოთხი „მარშლით“. მათ მხარში ამოსდგომოდნენ ვუდლი პოინდექსტერი და კასიუს კოლჭაუნი. ეს ორნი, ალბათ სასამართლო დრამის მაყურებლებად ან მოწმეებად მიიწვიეს.

ასეთი გახლდათ მკვლელობისათვის ლინჩის წესით გასამართლების სურათი. მოსამართლეობა და უმაღლესი მსაჯულობა „წესრიგის დამცველთა“ უფროსს ეკისრა. წრის გარშემო თავმოყრილი მთელი ბრბო მსაჯულები იყვნენ. ბრალდებულები კი – მორის ჯერალდი და მისი მსახური ხელფეხშეკრულები ეყარნენ.

მათთვის ლაპარაკის საშუალებაც კი წაერთმიათ. ფელიმი ლანძღვითა და მუქარით ჩაეჩუმებინათ, ხოლო მისი ბატონისათვის კბილებში ხის ალიკაპი ჩაედოთ, რომ ავადმყოფის ბოდვას ხელი არ შეეშალა სხვებისათვის.

სიცხით გათანგულ მორისს მაგრად შემოჭერილი თასმებიც კი ვერ აკავებდა. მაინც მოძრაობდა, მიუხედავად იმისა, რომ ორი კაცი

მხრებში ჩაჭურენოდა, მესამე კი ფეხებზე აჯდა. ავადმყოფს მხოლოდ თვალები ჰქონდა თავისუფალი და მცველებს ისე უაზრო გამომეტყველებით შესცქეროდა, რომ ვერც ერთი მათგანი წუთითაც ვერ უსწორებდა თვალს.

დატყვევებულთაგან მკვლელობაში ბრალი მხოლოდ ერთს ედებოდა, მეორეზე კი მხოლოდ ეჭვი ჰქონდათ მიტანალი, როგორც თანამონაწილებე. დაკითხვით მხოლოდ მსახური დაჰკითხეს. ფელიმს რჩევა მისცეს, რაც იცოდა, ყველაფერი დაწვრილებით ეთქვა და თავი დაეცვა. რაკი მისი ბატონის დაკითხვა შეუძლებელი იყო, თავი მიანებეს.

ფელიმმა ბრალმდებელთ ყველაფერი მოუთხრო, მაგრამ ძალზე უცნაურ ამბებს ყვებოდა და მისი არაფერი სჯეროდათ. თუმცა ყველაზე დაუჯერებელ ამბავზე: — „უთავო მხედარი ვნახეო“, არაფერი უთქვამთ.

ფელიმს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, აეხსნა, რა უნდა ყოფილიყო ეს საშინელება. მდევრებს კი უფრო განუმტკიცდათ აზრი, რომ ამ უცნაურ მხედარს მკვლელობასთან რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდა. ვეფხვთან ბრძოლა და ღამით ინდიელების თავდასხმის ამბავი სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით გამოგონილ სიცრუედ მიიჩნიეს. სამსჯავრო გამოძიებამ ათ წუთს გასტანა. მსაჯულებმა განაჩენი უკვე გამოიტანეს. ბევრი მათგანი ნამდვილად დარწმუნებული იყო, რომ ჰენრი პოინდექსტერის მოკვლისათვის პასუხისმგებლობა მორის მუსტანგერს უნდა დაჰკისრებოდა.

განაჩენი უკვე გამოიტანეს. მიწაზე ეგდო გრძელი თოკი, რომლის ერთ ბოლოში ყულფი გაეკეთებინათ. მართალია, ეს თოკი ლაზო გახლდათ, მაგრამ ხეზე ადამიანის ჩამოსაკიდებლად ზედგამოჭრილი იყო.

დაიწყო კენჭისყრა. ასი კაციდან — ოთხმოცმა ხმა მისცა ჯერალდის სიკვდილით დასჯას. როგორც ჩანდა, მისი აღსასრული დადგა.

მართალია, ოცმა კაცმა, რომლებიც მორის ჯერალდის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყვნენ, ყოველგვარი აურზაურის გარეშე განაცხადა — „ნუ დავსჯითო“, მაგრამ მათი გადაწყვეტილება მტკიცე და შეუვალი გახლდათ.

ამიტომ იკავებდნენ თავს, რომ მუსტანგერი ჭადარბე ჩამოეკიდათ.

ამ ოცში თვით ლინჩის სასამართლოს თავმჯდომარე — წესრიგის დამცველთა უფროსი — სემ მენლიც ერია. იგი აგვიანებდა თავის დასტურს და თავს იკავებდა მსაჯულთა განაჩენის დამტკიცებისაგან.

— თანამოქალაქენო! — დასჭექა მან, როცა მსაჯულები ცოტათი დაწყნარდნენ და ხმაური მინელდა: — მე იმ აზრისა ვარ, რომ ჯერალდის დასჯისაგან თავი უნდა შევიკავოთ, რადგან მკვლელობის დამამტკიცებელი საკმარისი საბუთები არ მოგვეპოვება. გარდა ამისა, ბრალდებულისათვის არ მოგვისმენია. ჩემი აზრით, ბრალდებულის გამოჯანმრთელებამდე სასამართლო უნდა გადავდოთ. თვითონაც კარგად ხედავთ, მისი სამსჯავრო დაკითხვა ავადმყოფობის გამო არ ხერხდება. ამიტომ ვამბობ, სასამართლო უნდა გადავდოთ მანამდე...

— რატომ უნდა გადავდოთ? — გაისმა კასიუს კოლჰაუნის ხმამალალი პროტესტი, — მერედა, რას მოგვცემს საქმის გადადება, სემ მენლი? ნათქვამია: სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო. თქვენ რას დაეძებთ სხვის საქმეს. მოკლული რომ თქვენი მეგობარი, ნათესავი, ძმა ან შვილი ყოფილიყო, მაშინ სულ სხვანაირად აჭიკჭიკდებოდით. ამ ვიგინდარის ჩამოსახრჩობად მეტი რაღა დამამტკიცებელი საბუთები გინდათ?

— სწორედ საბუთები გვჭირდება, კაპიტანო კოლჰაუნ.

— ღმერთმა ხომ უწყის, დამამტკიცებელი საბუთები ისედაც საკმაოა. ამ გარეწარის გამოთაყვანებული თანამემამულენიც კი, რომლებიც ახლა აქ მსაჯულებად არიან...

— უკანვე წაიღეთ თქვენი სიტყვები, მისტერ კოლჭაუნ და გახსოვდეთ, რომ ტეხასში იმყოფებით და არა მისისიპიში. კარგად დაიმახსოვრეთ ეს, თორემ ეგ მწარე ენა ისეთ უბედურებაში ჩაგაგდებთ, რომ დაბადების დღეს გაწყევლინებთ! — შეუყვირა ირლანდიელმა.

— მე არავისი შეურაცხყოფა არ მინდოდა, — უკან დაიხია კოლჭაუნმა, რომელიც ირლანდიელებისადმი სიძულვილმა ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, — ინგლისელისაც კი, თუკი არის აქ ვინმე ინგლისელი.

— მაშ განაგრძეთ, — დაიყვირა კოლჭაუნის სიტყვებით ოდნავ დამშვიდებულმა ირლანდიელმა.

— კეთილი და პატიოსანი, როგორც გითხარით, დამამტკიცებელი საბუთები საკმარისია და შეიძლება ითქვას, მეტიცაა. მაგრამ თუ კიდევ მოითხოვთ, მოგაწოდებთ.

— გვითხარით, გვიჩვენეთ! — ერთად შეჰყვირა რამდენიმე ხმამ, რაკი ხედავდნენ, კოლჭაუნი ისევ ყოყმანობდა.

— ჯენტლმენებო! — დაიწყო მან, — რასაც ახლა გეტყვით, ადრეც შემეძლო მეთქვა, მაგრამ ვფიქრობდი, არ იყო საჭირო. ყველამ კარგად იცის, რაც ჩემსა და ამ კაცს შორის მოხდა. არ მინდოდა, ჩემი ეს განცხადება შურისძიების სურვილად ჩაგეთვალიათ. არცა ვარ შურისმაძიებელი. მკვლელობა ამ კაცმა ჩაიდინა, ეს ისევე ცხადია, როგორც ის, რომ თავი მხრებზე მამბია... — კოლჭაუნს ენა წაუბორძიკდა; იგრძნო, რომ მისმა უნებურად წარმოთქმულმა შედარებამ მსმენელებზე რაღაც უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა. არც თვითონ იყო მაინცდამაინც კარგ დღეში.

— ამაში რომ დარწმუნებული არ ვიყო, — განაგრძო მან, — არასოდეს არაფერს ვიტყოდი, რადგან რაც ვნახე და გავიგონე, ყოველივე ღამით მოხდა.

— რა გაიგონეთ, მისტერ კოლჭაუნ? — შეეკითხა „წესრიგის დამცველთა“ მოთავე, როცა კვლავ ლინჩის სასამართლოს თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა.

— დავიწყოთ იმ დღიდან, როცა ჩემი ბიძაშვილი დაიკარგა, რაც დილაზე არ შეგვიტყვია. სამშაბათს ღამით...

— სამშაბათს ღამით?

— დიახ, სამშაბათს ღამით. საძინებელ ოთახში შევედი. მეგონა, ჰენრიც დაწვა დასაძინებლად-მეთქი. სიცხემ და ნემსიპარიების ბუ-ბუნმა არ დამაძინა. ისევ ავდექი, სიგარას მოვუკიდე. ცოტა ხანს ოთახში ვეწეოდი და მერე ბანზე ასვლა გადავწყვიტე. მე მგონი, თქვენც იცით, რომ კასა დელ კორვოს ჰასიენდა ბანიანია, ავედი მაღლა გასაგრილებლად. ეს შესაძლოა, შუალამისას მოხდა, ან ცოტა უფრო ადრე. ბუსტად ვერ გეტყვით, რადგან ლოგინში კარგა ხანს ვიწრიალე და დროისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. ის იყო, სიგარა მოვწიე, გადავაგდე და მეორე უნდა ამომელო, რომ ლაპარაკის ხმა შემომესმა. მომეჩვენა, თითქოს ეს ხმები მდინარის მეორე მხარეს ახალშენისაკენ მიმავალი გზიდან მოისმოდა. მე ვერაფერს გავიგონებდი და ვერც გავარჩევდი რამეს, მათ რომ წყნარად ელაპარაკათ. მაგრამ ისინი თითქმის გაჰყვიროდნენ და როგორც ჩანდა, ჩხუბობდნენ. ჯერ ყურადღება არ მიმიქცევია, ვიფიქრე — ობერდოფერის ბარიდან დაბრუნებული ვინმე მთვრალეები იქნებიან-მეთქი. მაგრამ მალე მათი ხმა შევიცანი. ერთი ჩემი ბიძაშვილისა იყო, მეორე კი აი, თქვენ წინაშე გათოკილი რომ გდია, მისი — მკვლელისა.

— განაგრძეთ, მისტერ კოლჰაუნ! ჩვენ მხოლოდ ჩვენება გვანტერესებს და დასკვნებსა და მოსაზრებებზე მერე ვილაპარაკოთ.

— ძალიან კარგი, ჯენტლმენებო! წარმოიდგინეთ, როგორ გამიკვირდებოდა, როცა ჩემი ბიძაშვილის ხმა შევიცანი. ის მე დიდი ხნის დაძინებული მეგონა. როცა დავრწმუნდი, ნამდვილად ჰენრი იყო, ფიქრადაც აღარ მომსვლია ჩავსულიყავი მის ოთახში და შემემოწმებინა. იმას მოვკარი ყური, რომ ჰენრი ძალიან ცუდი სიტყვებით ამკობდა მუსტანგერს. ჩანდა, შეურაცხყოფილად მიაჩნდა თავი. მერე მუსტანგერის მუქარაც გავიგონე. მოდავეებმა ერთმანეთს სახელე-ბით მიმართეს და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ არ შევმცდარვარ.

მინდოდა, მივსულიყავი, გამეგო, რაში იყო საქმე, მაგრამ ფოსტლები მეცვა და სანამ გამოვიცვალე, ყოველივე დამთავრებულიყო. ნახევარი საათი მაინც ველოდი ჰენრის უკან დაბრუნებას, მაგრამ არსად გამოჩნდა. ვიფიქრე, ალბათ ობერლოფერის სასტუმროში წავიდა ფორტელ ყმაწვილებთან ერთად დროს გასატარებლად და გვიან დაბრუნდება-მეთქი. ამიტომ ჩემს ოთახში შევბრუნდი და დავწეი. ჩემი საწყალი ბიძაშვილი კასა დელ კორვოში აღარ დაბრუნებულა და აღარც საწოლი ღირსებია. იმ ღამით, სასთუმალი ალბათ ტრამალის ბალახსა და ჩირგვნარში ჰპოვა. მისი მკვლელი მხოლოდ ეს კაცი უნდა იყოს, მხოლოდ მან იცის, სად განისვენებს ჰენრი.

კოლჰაუნმა ხელი გაიშვირა გათოკილი მორისისაკენ, რომელიც უაზროდ აცეცებდა თვალებს. ავადმყოფი ვერც კი გრძნობდა, რა საშინელ ბრალდებას უყენებდნენ და როგორი შურისმაძიებელი თვალებით შეჰყურებდნენ ყოველი მხრიდან.

კოლჰაუნის დალაგებულმა ლაპარაკმა თითქმის ყველა დაარწმუნა, რომ ჯერალდი დამნაშავე იყო. ისევ ატყდა ხმაური და ღრიანცელი. ყველა ბრალდებულის დასჯას მოითხოვდა.

ბრბო ღელავდა. მღელვარების ქარიშხალი, ეტყობოდა, სულ მალე მძვინვარე გრიგალად გადაიქცეოდა.

დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ვიღაც თავზეხელაღებული არამზადა ლაზოს მივარდა. იგი აქამდე კოლჰაუნის გვერდით იდგა და რაღაცას ეჩურჩულებოდა. თუმცა ეს არავის შეუმჩნევია. ეს გახლდათ „თავზეხელაღებული არამზადების“ ერთ-ერთი შთამომავალი, რომელიც ყოველთვის მზად იყო, მახვილი ჩაეცა კაცთმოყვარე ტანჯული ადამიანებისათვის.

ამ არამზადამ ლაზოს ყულფი სწრაფად გადააცვა სიკვდილმისჯილს თავზე. ლაზო დაჭიმა და ყელსა და კისერზე მჭიდროდ შემოაჭდო. გრძნობადაკარგულ მუსტანგერს არაფერი გაუგია.

წინააღმდეგობის გასაწევად წინ ბიჯიც კი არავის წაუდგამს. იმ თავგზიანებულ არამზადას წელზე მონადირის დანა და რევოლვერი ეკიდა. მას დამხმარენიც აღმოუჩნდნენ. რა თქმა უნდა, ისინი ისეთივე ჯურის არამზადები იყვნენ, როგორც თვითონ გახლდათ.

მორისს ყელსა და კისერზე ლაზოს ყულფი მჭიდროდ შემოჭდობდა. თოკის მეორე ბოლო კი ჭადრის ვეებერთელა ტოტზე გადაედდოთ და მისი ჩამოწევალა იყო საჭირო, რომ მუსტანგერის სული სხეულს გაჰყროდა.

27 - სიკვდილის კლანჭებში

კოლჰაუნის მიერ მონათხრობმა ამბავმა მღვერებში ისეთი შურისძიების წყურვილი აღანთო, რომ ისინი ახლა მხოლოდ მთავარ დამნაშავეს მისჩერებოდნენ და მთელი ყურადღებაც მისთვის მიეპყროთ. ფელიმისთვის არავის სცხელოდა. როცა თავგზიანებული არამზადები წინ გამოვიდნენ და მუსტანგერს ლაზოს ყულფი თავზე გადააცვეს, მისი მსახური აღარც გახსენებიათ. ფელიმს შესაძლებლობა მიეცა, გაპარულიყო. როგორც კი დრო იხელთა, აღარ დაუყოვნებია, რომ ეს ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა. იმდენი იხოხა და იჩოჩიალა, რომ ხელ-ფეხზე შემოჭერილი თოკები, როგორც იქნა, შეიხსნა. მერე წრიულად მდგარ მღვერებს ფეხებშუა გაუძვრა და თავს უშველა.

როგორც კი დააღწია ბრბოს თავი, მეძებარივით გაძვრა ხეებს შუა და მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ზებ სტუმპის ფაშატი ძოვდა. ირგვლივ, ხეებზე, მღვერების ცხენები იყო გამობმული და სწორედ ამან უშველა, რომ ზებ სტუმპის ფაშატამდე შეუმჩნევლად მისულიყო. ცხენს რომ მიუახლოვდა, მოაგონდა კაქტუსის ტოტი, ახლა კი არც ნაჯახი ჰქონდა თან და არც დანა, რომ მოეჭრა. ტოტის მოსატეხად უკან დაბრუნება კი საშიში იყო. გაოგნებული და შეწუხებული ფელიმი ერთ ხანს ასე იდგა. ყოველ წუთს ბეწვზე ეკიდა მისი ბატო-

ნის სიცოცხლე, ბატონისა, რომლის გადარჩენისათვის არაფერს დაიშურებდა. ამ აზრით შთაგონებული ფელიმი ადგილიდან მოწყდა, კაქტუსთან მიიბრინა და შიშველი ხელებით მოზრდილი ეკლიანი ტოტი მოტეხა.

ეკლებმა საშინლად დაუჩხვლიტა თითები, მაგრამ ეს რა მოსატანი იყო იმ უბედურებასთან შედარებით, რაც მის საყვარელ ბატონს მოელოდა. იგი თვალის დახამხამებაში ზებ სტუმპის ფაშატთან განინდა, იმასაც არ მორიდებია, რომ შეიძლებოდა ცხენს დაეწიხლა, კუდი აუწია და ეკლიანი კაქტუსით ისევ ააჭიხვინა.

ზებ სტუმპის ბებერმა ფაშატმა, თითქოს გაცოფდაო, უცნაური ცმუკვა დაიწყო, ტლინკებს ყრიდა და თან მთელი ხმით ჭიხვინებდა. მას მღევართა ცხენებიც აჰყვნენ, გეგონებოდათ, წინასწარ შეთანხმებული არიანო.

თვალის დახამხამებაში ქობის წინ სურათი სრულიად შეიცვალა. მუსტანგერის დასჯა კი არა, თვითონ სიკვდილმისჯილიც კი გადაავიწყდათ.

მაგრამ აქ სახუმარო არაფერი იყო. მღევართა დაფეთებული სახეები და შემადრწუნებელი ყვირილი სულ სხვა რამეს მოწმობდა.

„წესრიგის დამცველებმა“ იარაღზე გაიკრეს ხელი, ზოგი კი ცხენსაც მოახტა.

ყურთასმენისწამლები ჭიხვინი მხოლოდ მაშინ მიყუჩდა, როცა მხედრები თავიანთ ცხენებთან მივიდნენ. ახლა მხოლოდ ზებ სტუმპის ცხენი განაგრძობდა მარტოდმარტო ჭიხვინს. მღევრებმა ახლადა შეიტყვეს განგაშის გამომწვევი მიზეზი და ისიც შენიშნეს, რომ ფელიმი გაპარულიყო.

თავისდა საბედნიეროდ, ფელიმმა ბუჩქნარს შეაფარა თავი და სწორედ ამან იხსნა უცილობელი დაღუპვისაგან.

ოცმა კაცმა ერთად შემართა თოფი და ზებ სტუმპის ბებერ ფაშატს დაუმიზნა, მაგრამ ვიდრე რომელიმე მათგანი ტყვიას გაისროდა, ვიღაცამ ცხენს ლაზო ესროლა, კისერი მოუგრიხა და ჩააჩუმა.

ისევ მიწყნარდა ყველაფერი, აღელვებულმა „წესრიგის დამცველებმა“ ისევ დაიკავეს თავიანთი ადგილები.

თავგებულადებული არამზადები ისევ მისცვივდნენ ლაზოს. ყველას ერთმა და იგივე აზრმა გაუელვა თავში: „მორის მუსტანგერის სული მალე გაეყრება სხეულს“.

მაგრამ მადლობა ღმერთს, სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას კვლავ რაღაც გადაეღობა წინ.

ო, როგორ არ ჰგავდა შავბნელ სიკვდილს ის კაშკაშა მზის სხივებით გაცისკროვნებული ულამაზესი ქალი, ხეების ჩრდილიდან უცრად რომ გამოსხლტა.

ქალი! ულამაზესი ქალი! ხმა არავის ამოუღია. ყველანი, ერთ ადგილას გაშეშებულნი, უცნაურად შესცქეროდნენ მას. ყველაზე გულქვა ადამიანებიც კი უნებლიე პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალნენ მშვენიერი ასულისადმი. მდევრები, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, მორჩილი სახით უგერგილოდ იშშუშნებოდნენ.

ეს ტურფა ასული მეტეორივით შეიჭრა წრის შუაგულში, მიმოიხედა, მდუმარედ მიუახლოვდა ბალახზე უგრძნობლად მწოლიარე სიკვდილმისჯილს და თავზე დაადგა.

ლუიზამ სწრაფი მოძრაობით გამოჰგლიჯა ხელიდან ლაზო შეცბუნებულ არამზადებს.

— ტეხასელებო! — შესძახა ქალიშვილმა და ბრბოს მოავლო თვალი, — სირცხვილი თქვენი! სირცხვილი! მხდალებო! — გესლიანი საყვედურისაგან მდევრები თითქოს დაპატარავდნენ. ლუიზამ კი განაგრძო: — ასე კარგად სამსჯავრო არავის გაუმართავს ქვეყნად! მშვენიერია! ბრალდებულს დამცველი არა ჰყავს, არაფერი გაეგება და თქვენ ამას ეძახით ტეხასურ სამართალს, არა? მეზიზღებით, რომ გიყურებთ, თქვენ ადამიანები კი არა, მკვლელები ხართ!

— რას ნიშნავს ეს? — დაიყვირა პოინდექსტერმა, წინ გამოვარდა და თავის ქალიშვილს მკლავში ჩააფლო ხელი, — შენ რა, გაგიჟდი,

ლუ? ან საიდან გაჩნდი აქ? ხომ გითხარი, სახლში წადი-მეთქი. ახლავე გაეცალე აქაურობას და ისეთ საქმეში ნუ ერევი, რაც არ გეხება.

— როგორ თუ არ მეხება, მამა!

— რაო, მეხებაო? თუმცა ჰო, როგორც ჰენრის დას... ამ კაცმა ხომ შენი ძმა მოკლა.

— ამას ვერ დავიჯერებ, ვერასოდეს ვერ დავიჯერებ! მორისს არანაირი მიზეზი არა ჰქონია, რომ ჰენრი მოეკლა. ოჰ, ტეხასელებო! თუ ნამდვილად ადამიანები ხართ, ნუ ჩაიდენთ ველურ საქციელს. გაასამართლეთ ნორმალურად და მაშინ... მაშინ...

— ძალიან კარგად გავასამართლეთ, — დაიძახა ბრბოდან ვილაცამ, — იგი უდავოდ დამნაშავეა. თქვენი ძმის მკვლელი სწორედ ეგ გახლავთ და ძალიან ცუდია, მის პოინდექსტერ, მაჰატიეთ ამის თქმა, მაგრამ ძალიან ცუდი საქციელია თქვენი მხრიდან, რომ ძმის მკვლელს სწორედ თქვენ ექომაგებით.

მშვენიერი არსების იქ ყოფნა წესრიგის დმცველებს უკვე ველარ აჩერებდა. შეიძლება მისმა ჩარევამ დააჩქარა კიდევ საბედისწერო წუთის მოახლოება. ახლა მარტო ვასიუს კოლჰაუნის სულში როდი იყო შური დასადგურებული.

ულამაზესი ქალწულის გამოსარჩლებამ მორისს ბევრი მტერი შესძინა. შურისძიების წყურვილმა სათნოებით სახელგანთქმულ ტეხასელებს ყველაფერი დაავიწყა.

კოლჰაუნი ლუიზას ძალით მიათრევდა.

— მხეცებო! მკვლელეებო! — გაჰყვიროდა იგი, მაგრამ ვერც კოლჰაუნის ხელებს დააღწია თავი და ვერც ვერავის შეასმინა თავისი კივილით რამე. იგი წრიდან გაიყვანეს.

იმისი რწმენა, რომ ახლა მეტოქეზე შურისგება და ჯავრისამოყრა შეეძლო, კოლჰაუნს ვერ დააწყნარებდა. მისი მეტოქე მალე ზეცას მიაბარებდა სულს, მაგრამ კოლჰაუნს რა? ლუიზა რომ მის ნაძალადევ ხვევნას თავს დააღწევდა, მერე ძნელი იყო მისი ხელში ჩაგდება.

კოლჰაუნს შეეძლო მოეკლა მისი გულის რჩეული, მაგრამ მორისისადმი სიყვარულის გრძნობას ვერ ჩაჰკლავდა მის გულში. ამით იგი ქალს თავს ვერ შეაყვარებდა.

თოვის ერთმა ბოლომ დაბლა დაიწია. სიკვდილმისჯილს ყულფი კისერზე მაგრად შემოეჭირა, თავი ააწევინა, მაგრამ მისი სხეული ისევ მიწაზე დარჩა. როგორც ეტყობოდა, ლაზო მთელი ძალით მხოლოდ ერთმა არამზადად ჩამოსწია.

— ჩამოსწიე თოვი, შე წყეულო, რაღას უყურებ! — დაიყვირა თავისი ამხანაგის უმოქმედობით გაოცებულმა ბილმა.

ბილი ბურგით იდგა და არ შეუმჩნევია, რაც მისმა ამხანაგმა დაინახა. ტყიდან უეცრად გამოვიდა კაცი, რომლის დანახვაზე ბილის ამხანაგმა თოვს წამსვე ხელი უშვა და ერთ ადგილზე გაქვავდა.

— მიდი, რას გაშტერებულხარ, ორივემ ერთად ავწიოთ!

— ხელი არ ახლოთ! — გაისმა მგრგვინავი ხმა და გრძელულოანი თოფით შეიარაღებული უზარმაზარი მამაკაცი თავზეხელაღებული არამზადების წინ გაჩერდა.

ზებ სტუმპის ფაშატის გაცოფებულ ჭიხვინსაც კი არ გაუოგნებია ასე უეცრად იქ მყოფნი, როგორც მისი პატრონის გამოჩენისას დაიბნენ. მას ყველა იცნობდა, პატივს სცემდნენ და მისი ბევრსაც ეშინოდა.

— რა ეშმაკი შეგიძვრათ თავში, — ახლა ბრბოს მიმართა ზებ სტუმპმა. თქვენ რა, მართლა აპირებდით მის ჩამოხრჩობას? მერე რას ფიქრობდით?

— დიახ, ვაპირებდით, — უპასუხა მკაცრი ხმით ვილაცამ, — ვითომ რატომ არ უნდა ჩამოგვეხრჩო?

— იმიტომ, რომ ტეხასელ მოქალაქეს სასამართლოს გარეშე ვერ ჩამოახრჩობთ.

— თუ ასე წავა საქმე, ჯერ ერთი, ეგ ტეხასელი არ არის და მეორეც, ეგ ყველა წესების დაცვით გავასამართლეთ.

— ვხედავ, როგორც გაგისამართლებიათ. გონდაკარგულ ადამიანს სიკვდილი მიუსაჯეთ და ყველა წესების დაცვით გავასამართლეთო, ამბობთ. ეგაა გასამართლება? ამას ეძახით თქვენ გასამართლებას?

— რა მნიშვნელობა აქვს, გონდაკარგულია თუ არა? დამნაშავე დამნაშავეა, ყველანი დავრწმუნდით, რომ მკვლელობა ჩაიდინა.

— შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვავა, ჯიმ სტოდარს, მაგრამ თქვენ — სემ მენლი და მისტერ პოინდექსტერ, თქვენ თანახმა ხართ, რომ ეს კაცი გაუსამართლებლად ჩამოახრჩონ? ეს ხომ ნამდვილი მკვლელობაა.

— თქვენ ყველაფერი არ იცით, ზებ სტუმპ, — უთხრა „წესრიგის დამცველთა“ მეთაურმა, რომ მუსტანგერის ჩამოხრჩობაზე მიცემული თანხმობა გაემართლებინა, — ფაქტები სულ სხვაა...

— ეშმაკმა წაიღოს თქვენი ფაქტები! ეს ხომ ყველაფერი გამოგონილია. როცა ნამდვილ გასამართლებას მოვაწყობთ, დრო ბევრი გვექნება, რომ იმ ფაქტებს კბილები გავუსინჯოთ. ნამდვილი გასამართლების წინააღმდეგი არც მე ვიქნები და არც სხვა ვინმე. ამას ხომ გაქცევა არ შეუძლია და სხვა რაღა გაბრკოლებთ?

— ძალიან დიდ პასუხისმგებლობას კისრულობთ, ზებ სტუმპ. ჯერ ერთი, საინტერესოა, რატომ ერევით სხვის საქმეში? მეორე, მოკლული თქვენი შვილი, ძმა ან ნათესავი რომ ყოფილიყო, ხომ სულ სხვაგვარად ილაპარაკებდით? — უთხრა კოლჰაუნმა, — მესამეც, რატომ იცავთ თავგამოდებით დამნაშავეს? ეს ხომ თქვენ არ გეხებათ?

— მე კარგად ვიცი, რა მეხება და რა არა. ჯერ ერთი — ეს ყმაწვილი ჩემი მეგობარია, მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიელია. მეორეც, ზებ სტუმპი ასეთ უპატიოსნო, ვერაგულ თამაშს, თქვენ რომ მოგიწყვიათ, ვერ დათანხმდება, თუნდაც იგი ტეხასის ტრამაღზე ხდებოდეს.

– ვერაგული, უპატიოსნო თამაშიო! გასამართლებას ვერაგულ, უპატიოსნო თამაშს ეძახით? ბიჭებო, აბა, თოკი აიღეთ და ისევ ჭადრის ტოტზე გადაკიდეთ!

– აბა, ხელი ახლეთ თოკს! ვინც გაბედავს და პირველი მიუახლოვდება, სამუდამოდ დარჩება აქ, თქვენ შეგიძლიათ ასეთ სავალალო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ჩამოკიდოთ, მაგრამ სანამ ზებულონ სტუმპს პირში სული უდგას, ამას ვერ მოესწრებით. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გაუნძრევლად იდგა. ზოგს შიში დაუფლებოდა, ზოგი კი ალტაცებით შეჰყურებდა ძველ მონადირეს, რომელმაც ასეთი დიდსულოვნება და ვაჟკაცობა გამოიჩინა მძიმე მდგომარეობაში მყოფი, გონდაკარგული ადამიანისადმი. მღევართა შორის ისეთებიც იყვნენ, რომელთაც მტკიცედ არა სჯეროდათ ამ საქმის სამართლიანობა.

ძველმა მონადირემ იმწამსვე აულო ალლო მათ განწყობილებას და დაუყოვნებლივ ისარგებლა.

– დავნიშნოთ ნამდვილი სასამართლო, – განაგრძობდა ზებ სტუმპი, – წავიყვანოთ ახალშენში და იქ გავასამართლოთ. თქვენ არ მოგეპოვებათ ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთები, რომ ამ ბინძურ საქმეში მუსტანგერის ხელი ურევია. წყეული ვიყო, თუ დავიჯერო, სანამ ჩემი საკუთარი თვალით არ ვნახავ, რომ ის დამნაშავეა. მე ვიცი, როგორ პატივსა სცემდა იგი ახალგაზრდა პოინდექსტერს, მიუხედავად იმისა, რომ მის ბიძაშვილთან იყო ნახუბარი.

– თქვენ არ იცით, მისტერ სტუმპ, – წყნარად მიმართა „წესრიგის დამცველთა“ მეთაურმა, – სულ ახლახან რა მოვისმინეთ...

– რა მოისმინეთ?

– ჩვენება, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რასაც თქვენ ამბობთ. ჩვენ მოგვეპოვება ცნობა, რომ მორის ჯერალდი და ჰენრი პოინდექსტერი ერთმანეთს მტრობდნენ და ისიც ვიცი, მათ სწორედ იმ ღამეს იჩხუბეს.

– მერე ვინ თქვა ეს, სემ მენლი?

— მე ვთქვი, — უპასუხა სემ მენლის მაგივრად კოლჭაუნმა და წინ წამოდგა, რათა ზებ სტუმპს დანახვებოდა.

— ო, ეს თქვენა ხართ, მისტერ კაშ კოლჭაუნ? მაშ თქვენ იცით, რომ ისინი ერთმანეთს მტრობდნენ, არა? მერე შეესწარით მათ ჩხუბს?

— მე არ მითქვამს, ჩხუბს შევესწარი-მეთქი, ზებ სტუმპ და რაც მთავარია, არც ვაპირებ თქვენს კითხვებზე ვუპასუხო. ვისაც საჭირო იყო, ჩვენება იმათ მივეცი და ეს საკმარისია. ვერ გამიგია, ეს გამოჩერჩეტებული ბებერი რატომ ერევა...

— გამოჩერჩეტებულ ბებერი! — გამოეხმაურა ზებ სტუმპი, — გამოჩერჩეტებული ბებერი, არა? მე მგონი, ასე მიწოდეთ. მე კენტუკელი ზებულონ სტუმპი არ ვიქნები, თუ ეგ თქვენი სიტყვები უკანვე არ ჩაგჩართო პირში. რაც შეეხება ჰენრი პოინდექსტერსა და ამ ყმაწვილს შორის ჩხუბს, ერთი სიტყვაც არ მჯერა, არც არასოდეს დავიჯერებ, ვიდრე ამ კაცის ლაყობაზე უფრო უტყუარი საბუთები არ გექნება ხელთ. მე სულ სხვა, საწინააღმდეგო ცნობები მაქვს, ვიდრე ამ ძუძუმწოვარამ მოგაწოდათ. მეც მაქვს ახალი საბუთები და მგონი, ერთგვარ ნათელს მოჰფენს ამ ბნელით მოცულ საქმეს.

— რა ფაქტები გაქვთ? — ჰკითხა წესრიგის დამცველთა მეთაურმა, — აბა მოგვახსენეთ და დიდი ყურადღებით მოგისმენთ.

— ფაქტები უამრავია. ჯერ ერთი, თქვენ თვითონვე ხედათ. ყმაწვილი დაჭრილია, მე იმ განაკაწრებზე არ მოგახსენებთ, ტანზე რომ ამჩნევია. ეს ალბათ კოიოტების თავდასხმის შედეგი უნდა იყოს. მაგრამ შეხედეთ მის მუხლს, სემ მენლი, კოიოტებს ხომ არ შეეძლოთ აგრერიგად დაეზიანებინათ იგი? რა უნდა იყოს ეს, თქვენი აზრით?

— ჩვენი ბიჭები ფიქრობენ, ეს მათ შორის მომხდარი შეტაკების შედეგი უნდა იყოს.

— ვის შორის მომხდარი შეტაკებისა? — მკაცრად ჰკითხა ზებმა.

— ვინც დაიკარგა.

— დიახ, სწორედ ასე უნდა იყოს, — თქვა ერთმა „წესრიგის დამცველთაგანმა“, — ჩვენ ყველა იმ აზრისა ვართ, რომ ჰენრი პოინდექსტერი თავს ხბოსავით არავის მოაკვლევინებდა. მათ შორის ბრძოლა მოხდა. მუსტანგერი ალბათ მუხლით ქვას დაენარცხა და მერე კი გატეხილი ან დაჟეჟილი მუხლი გაუსივდა. გარდა ამისა, შუბლზე ისეთი დაღი აჩნია, რაც მხოლოდ რევოლვერის ტარის დარტყმისაგან შეიძლება იყოს გამოწვეული. რაც შეეხება განაკაწრებს, არ ვიცით, რისგანაა. შეიძლება ეკლებისაგან, ანდა როგორც თქვენ ამბობთ, კოიოტებისაც იყოს, ვინ იცის, ის სულელი კი ვეფხვზე ჩმახავდა რაღაცას, მაგრამ ჩვენი გაცურება ძნელი საქმეა.

— ვინ სულელი? ირლანდიელ ფელიმზე ხომ არ ამბობ? სად არის ახლა?

— გაიპარა და თავს უშველა, მაგრამ არა უშავს, როგორც კი საქმეს მოვრჩებით, მოვძებნით. კისერზე რომ ყულფს გადავაცვამთ და მაშინ იტყვის სიმართლეს.

— თუ ვეფხვზე ამბობთ, ახალს ვერაფერს შეიტყობთ, გარდა იმისა, რომ მე თვითონ სულზე მივუსწარი მუსტანგერს. მაგრამ ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. კიდევ რა თქვა ფელიმმა? ქოხში ინდიელები ვნახეო, არ უთქვამს?

— როგორ არა, ბევრი ილაპარაკა, მაგრამ ვინ დაუჯერებდა?

— ინდიელებზე მეც მომიყვა და რაღაც მაგის მსგავსი ამბავი მართლაც უნდა მომხდარიყო. გარდა ამისა, მანვე გადმომცა: ისინი ბანქოს თამაშობდნენო და ბანქოს სათამაშო ქალაქი მართლაც ვიპოვე ქოხში, იატაკზე დაყრილი ესპანური ქალაქი უნდა იყოს.

ზებ სტუმპმა ჯიბიდან მთელი დასტა ბანქოს სათამაშო ქალაქი ამოიღო და „წესრიგის დამცველთა“ მეთაურს გადასცა.

იგი ესპანური კი არა, მექსიკური აღმოჩნდა.

— ვის გაუგონია ინდიელების ბანქოს თამაში? — იკითხა ერთ-ერთმა მდევართაგანმა, რომელმაც ინდიელების ქოხში ყოფნის ვერსია უარჰყო, — პირდაპირ სასაცილოა.

— სასაცილოაო, თქვენ ამბობთ? — გამოელაპარაკა ერთი ძველი მონადირე, რომელსაც ინდიელთა ტყვეობაში თორმეტი თვე გაეტარებინა, — შეიძლება შენც სასაცილოდ მოგეჩვენოს, მაგრამ ასე კია. მე ბევრჯერ მინახავს, როგორ თამაშობდნენ ისინი ბანქოს. კამანჩები ბანქოს ისევე კარგად თამაშობენ, როგორც მიზანში ისვრიან.

ზებ სტუმპი ძველი მონადირის სიტყვამ ძალიან გაახარა. იგი ბრალდებულის სასარგებლოდ იყო ნათქვამი. იმ ამბის შეტყობამ, რომ ინდიელები ამ ადგილებში ყოფილანო, სრულიად შეცვალა „წესრიგის დამცველთა“ განწყობილება. აქამდე ყველას ეგონა, ინდიელები მხოლოდ ახალშენის გადაღმა მოქმედებდნენ.

— ნამდვილად ასეა, — განაგრძო ზებ სტუმპმა და ინდიელების იქ ყოფნის ამბავს ჩაეჭიდა, რათა როგორმე სასამართლო გადაედებინებინა და დრო მოეგო, — რა თქმა უნდა, აქ ან ინდიელები იყვნენ, ანდა ინდიელებად გადაცმულები...

იმწამსვე ყველას ფრიალო კლდის მხრიდან ცხენის ფლოქვების თქარათქური შემოესმათ.

განმარტება აღარც კია საჭირო, თუ რატომ შეწყვიტა ასე უეცრად ზებ სტუმპმა ლაპარაკი. იქ, სადაც ფრიალო კლდე თავდებოდა, მღევრებმა ცხენი შენიშნეს. მხედარი ქალი მთელი სისწრაფით მოაგელვებდა ბედაურს. თმა უკან გადაჰყროდა, ქუდი კი თავზე აღარ ეხურა და მხოლოდ გამობმულ თასმას ეჭირა.

ცხენი სწრაფად მოქროდა და ისე ახლოს იყო ფრიალო კლდის ნაპირთან, რომ იტყოდით, ცხენს მხედრისათვის სადავე წაურთმევიანო.

მაგრამ არა, ეტყობოდა, მხედარ ქალს აღებული სიჩქარეც კი არ აკმაყოფილებდა. იგი ცხენს კიდევ უფრო აჩქარებდა ყიჟინით, დეგებიტა და მათრახით. მღევრები აღელვებულნი შეჰყურებდნენ. მათ იცნეს მხედარი ქალი. შეუძლებელი იყო ადამიანს ერთხელ მაინც მოეკრა თვალი ცხენზე მამაკაცურად მჯდომი ისიდორასათვის და დავიწყებოდა იგი.

28 - ინდიელი მღევრები

ეს მართლაც ისიდორა გახლდათ, ასე უცნაურად რომ მოაგეღვებდა ბედაურს. რატომ მიბრუნდა უკან, ან რატომ მოაჭენებდა ცხენს ასე თავდაუზოგავად?

ამ ამბის გასაგებად საჭიროა, გავიხსენოთ ისიდორასთან განშორების წუთები. ის ჯერ ისევ ბუჩქნარში იდგა და ხეთა ჩრდილი ჰფარავდა. დიდხანს ვერ გადაწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

— ო, ღვთისმშობელო! — წაიჩურჩულა შეძრწუნებულმა ქალმა, — ეს რა ჩავიდინე! თუ ის საშინელი „წესრიგის დამცველები“ დამნაშავედ ჩათვლიან მორისს, ხომ მოკლავენ კიდევ! ის ხომ აქაური არცაა, უმეგობროდ დარჩენილი და აუარებელი მტრით გარემოცული, ოჰ, ღმერთო! ეს რამ მომათქრა? ის კაცი, ბოლოს რაღაც შეკითხვები რომ მომცა, მგონი, მოკლულის ბიძაშვილია! ახლა კი მივხვდი, რატომ მეკითხებოდა. მისი გულიც ჩემსავით იყო ავსებული შურისძიებით.

ისიდორა ტრამალს გასცქეროდა. მისი რუხი ცხენი ადგილზე მოუსვენრად ტოკავდა. ცხენი ყველაზე ადრე შეიგრძნობს ხოლმე საშიშროებას. ახლაც თითქოს შეაკანკალაო, ძალზე ხმადაბლა დაიჭიხვინა და კისერი უკან, ბუჩქნარისაკენ მოიდრიკა. ალბათ მტერს იქიდან თუ მოელოდა. ვინ ან რა უნდა იყოს?

ცხენის საქციელით გაფრთხილებულმა ისიდორამ თვითონაც ბუჩქნარისაკენ მოიხედა და გამომცდელი თვალით შეათვალიერა ბილიკი, რომელმედაც სულ ახლახან თვითონ მოდიოდა. პირუტყვი მოუთმენლად ტოკავდა, ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ჰაერს ყნოსავდა, ბოლოს წინანდელთან შედარებით უფრო ხმამალა დაიჭიხვინა. რამდენიმე ცხენი ჭიხვინითვე გამოეხმაურა. ალბათ ბუჩქნარით დაფარულ გზაზე თუ მორბოდნენ დაოთხილები. მალე ისიდორას ფლოქვების თქარათქურიც მოესმა.

ქალიშვილმა თავისი ბედაური დააწყნარა და სმენად იქცა.

ტყიდან რაღაც ხმები ისმოდა. კარგად თუ დააკვირდებოდით, ჩემად მოსაუბრე რამდენიმე ადამიანის ხმას გაარჩევდით.

ცოტა ხნის შემდეგ შეამჩნია, რომ მხედრები მისკენ მოიწევდნენ. გზაზე კი არ მოდიოდნენ, არამედ ბუჩქნარში შესულიყვნენ და აკაციის ქვეშ მდგარ ისიდორას სხვადასხვა მხრიდან უახლოვდებოდნენ, თითქოს გარშემორტყმას უპირებენო.

როგორ უნდა შეეტყო ისიდორას, სამტროდ იყვნენ ისინი მოსულები თუ არა? მას ჰყავდა მტრები. მათ შორის ყოველთვის თვალწინ ედგა მიგელ დიასი. ამას გარდა, კამანჩები ხომ ყოველთვის საშიში არიან და განსაკუთრებით კი ახლა, როცა ომს აპირებენ.

ისიდორა შიშმა მოიცვა. აქამდე მშვიდად იყო, მაგრამ მხედრების საქციელმა დააეჭვა. ჩვეულებრივი მგზავრები გზიდან არ გადაუხვევდნენ. ესენი კი ბუჩქნარში მოძვრებოდნენ. ისიდორამ ირგვლივ მიმოიხედა და თავისი სამყოფელი ადგილი გამომცდელი თვალთ შეათვალიერა. იმწამსვე შენიშნა, რომ თუ მხედრები ახლოს ჩაუვლიდნენ, აკაციის მეჩხერი ფოთლები ვერ დაფარავდნენ მათი თვალისაგან. ცხენების ფლოქვების ხმაზე ისიდორა მიხვდა, რომ მხედრები საკმაოდ მოახლოებულიყვნენ და სადაცაა დაინახავდნენ კიდევ. ეს რომ გაიფიქრა, ცხენს დებები შემოჰკრა, ბუჩქნარიდან გამოახტუნა, შიშველ ტრამალზე გავიდა და გეზი ალამოსაკენ აიღო...

სურდა, ორასი, სამასი იარდით დაწინაურებულიყო, რომ ტყვიან ისარი ვერ მოსწეოდა. როცა ასეთი მანძილით დაშორდებოდა მდევრებს, მაშინ შეეძლო, უკან გამოეხედა და გაეგო, ვინ მოსდევდა, მტერი თუ მოყვარე.

— ინდიელები! — უნებურად აღმოხდა ისიდორას, ცხენს კვლავ დებები შემოჰკრა და ტეხასელ მდევრებს გამოუდგა.

სწრაფად მოიხედა უკან და ახლა ნამდვილად დარწმუნდა, რომ მოსდევდნენ, თუმცა უკან მოუხედავადაც კარგად გრძნობდა ამას.

მაგრამ უკან გახედვამ სხვა რამეშიც დაარწმუნა. ინდიელი მხედრები ახლო მანძილზე მისდევდნენ, მაგრამ მათი ჩვეულების საწინააღმდეგოდ, გამაყრუებელი საომარი ყიჟინა არ აუტეხავთ. დუმილი იმის ნიშანი იყო, რომ აღრევე გადაეწყვიტათ მისი დატყვევება.

29 - ინდიელები

— ღმერთო, შენ დამიფარე! — წამოიძახა მან, მაგრამ უკვე ძალზე გვიან იყო. ყველაზე წინ მყოფმა მღევარმა უნაგირიდან ლაზო მოხსნა და ჰაერში დაატრიალა.

უეცრად გონებაში რალაც აზრმა გაუელვა, არსებობდა ერთი გზა, რომლითაც იმ ხიფათისაგან თავის დაღწევა შეიძლებოდა.

ეს კლდე ალამოს ნაპირზე მდგარი ქოხიდან კარგად მოჩანდა. ხეობამდე კი, საითაც ისიდორა მიისწრაფვოდა, კარგა დიდი მანძილი იყო გასავლელი.

ანაზღად აღვირი მოსწია და ცხენს მიმართულება შეუცვალა. ეტყობოდა, კვიპაროსისაკენ მიმავალ გზას კლდისაკენ წასვლა არჩია.

ისიდორას საქციელმა მისი მღევრები საგონებელში ჩააგდო, მაგრამ ამავე დროს გაახარა. მათ კარგად იცოდნენ, სადაც თავდებოდა ეს კლდე და ლტოლვილი უკვე თავის ტყვედ ჩათვალეს. მღევრების მეთაურს ხელმეორედ მომზადებული ლაზო აღარ უტყორცნია. ალბათ ის თუ იფიქრა, ქალი უკვე ჩვენს ხელთააო.

— ღმერთო! — წარმოთქმა მან, — ცოტაც და ალბათ გადაიჩეხება.

მაგრამ მღევართა მეთაურს ალლომ უმტყუნა. ისიდორა წინ გაიჭრა, მაგრამ უფსკრულში არ გადაიჩეხილა. მან ერთხელ კიდევ მაგრად მოსწია აღვირი და ცხენს ისევ შეუცვალა მიმართულება. იგი ზედ ფრიალო კლდის ნაპირზე მიაჭენებდა ბედაურს. ტეხასელებმა სწორედ ამ დროს შენიშნეს იგი.

— მიშველეთ! მიშველეთ! ინდიელები მომდევენ! საცაა დამეწევიან...

გამწარებით გაჰკიოდა, მაგრამ სიტყვები მაინც არ ისმოდა გარკვევით. თუმცა არც იყო საჭირო იმის გაგება, თუ რა ხდებოდა მალა — ვაკებზე. კარგად ჩანდა, რომ მხედარ ქალს ინდიელი მთელი სისწრაფით მოსდევდა ცხენდაცხენ. ინდიელი ლაზოს შურდულივით ატრიალებდა ჰაერში. ქალის კვილსა და მის სიტყვებს არანაირ ყურადღებას არ აქცევდა, ისე იყო გართული თავისი საქმით. ამას იქნებ იმანაც შეუწყო ხელი, რომ ისიდორა შველას კი ითხოვდა, მაგრამ თან შეუჩერებლივ მიქროდა. იქნებ ინდიელმა იფიქრა, გაუგებარ ენაზე წარმოთქმული სიტყვებით ლტოლვილი მე მომმართავს და შეწყალებას მევედრებაო. ისიდორა ხომ ინგლისურად ლაპარაკობდა.

მაგრამ მღევარი თავის შეცდომას მაშინ მიხვდა, როცა ქვემოდან თოფის გასროლის მჭახე ხმა შემოესმა. შესაძლოა, ამაზე უფრო ადრე საფრთხეს მიახვედრა მწარე ტკვილმა, რამაც მომარჯვებული ლაზო ხელიდან გააგდებინა. იგი გაოცებული იხედებოდა აქეთ-იქით და ვერ მიმხვდარიყო, საიდან მოახვედრეს ტყვია.

ბოლოს ქვემოთ თოფის წამლის ბოლს მოჰკრა თვალი. იმწამსვე შეიარაღებული მხედრებიც შენიშნა და საქციელი წაუხდა. მისმა ამფსონებმაც დაინახეს დაბლობში თოფმომარჯვებული მხედრები. იმწამსვე ოთხივემ ცხენები შემოაბრუნა და უკან გაქუსლა.

ინდიელების გამოჩენისთანავე მუსტანგერის ქობის წინ შეკრებილი ბრბოს განწყობილება იმწამსვე შეიცვალა. ვინც კი მორის ჯერალდს მკვლელობაში სდებდა ბრალს, უმცირესობაში მოექცნენ. მღევრებიდან წინდახედულებს, გამოცდილებს და მათ, ვინც პატივისცემით სარგებლობდა, ახლა უდანაშაულოდ მიაჩნდათ მუსტანგერი.

იმწამსვე ახალი გეგმა შეადგინეს, რომლის მიხედვითაც ბრალდებული ახალშენში უნდა გადაეყვანათ და იქ კანონის მიხედვით გაესამართლებინათ.

ინდიელები კი, რომელთა უეცარმა გამოჩენამ ასეთი ცვლილებები მოახდინა საქმის მსვლელობაზე, ელვისებურად გაუჩინარდნენ.

სად გაქრა დონ სილვიო მარტინესის დისშვილი? ის დაბლობში აღარ ჩამოსულა. აღარც მისი ცხენის ფეხის ხმა ისმოდა. ქობისაკენ თუ წამოვიდა, ამდენ ხანს უნდა მოსულიყო. მისმა მოუსვლელობამ განცვიფრება, შეშფოთება და შიში გამოიწვია. ბრბოში ერივნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ისიდორა იმ დღეს პირველად ნახეს, მაგრამ მათ შორის ბევრი სცემდა მას თაყვანს და ეს არც იყო გასაკვირი.

ნუთუ ინდიელებმა დაატყვევეს?

ეს კითხვა ეკერა ყველას პირზე, მაგრამ პასუხის გაცემა არავის შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ გულით ეწადათ ამის შეტყობა, ტეხასელები სინდისმა შეაწუხა... ქალს მათი მხნეობის იმედი ჰქონდა, როცა უხმობდა: „ტეხასელებო, მიშველეთო!“ ნუთუ ინდიელებს ჩაუვარდა ხელში და მათი საჯიჯგნი გახდა?

ნუთუ ტყვედ წაიყვანეს?

ახლა მთელი მრისხანება თავისი თვისტომიდან ინდიელებზე გადაიტანეს.

ისინი ცხენებზე შესხდნენ და გადაჭრით განაცხადეს, ისიდორას ძებნა მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილიო. ან ქალს დავიხსნით ინდიელთა ხელიდან, ანდა მათთან ბრძოლაში დავიღუპებითო.

ადგილზე ძალიან ცოტანი დარჩნენ. მათ შორის იყო ზებ სტუმპიც.

ღირდა თუ არა ინდიელების გამოდევნება, ზებ სტუმპს ამაზე არაფერი უთქვამს. როგორც ჩანდა, მისი ერთადერთი მიზანი ის იყო, დახმარებოდა ავადმყოფს, რომელიც ჯერ კიდევ უგრძობლად იწვა და „წესრიგის დამცველნი“ მაინც არ ეშვებოდნენ და გუშაგობდნენ.

მაგრამ ზებ სტუმპი ერთადერთი ადამიანი არ იყო, ვინც გაჭირვების ჟამს არ მიატოვა მორის ჯერალდი. მას აღმოაჩნდა კიდევ ორი ერთგული ადამიანი. ერთი გახლდათ მშვენიერი ლუიზა, რომელიც

შორიდან შეჰყურებდა ავადმყოფს და თვალს არ აშორებდა. მეორე კი უგერგილო, სულელური გამომეტყველების მქონე თავზე ადგა ავადმყოფს და მასტერ მორისს ეძახდა. ეს იყო ფელიმი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ხშირფოთლოვანი მუხის ხეზე იჯდა და ყველაფერს საკუთარი თვალთ ხედავდა.

30 - წუხილი და საიდუმლო

კასა დელ კორვოს სასახლეში ვუდლი პოინდექსტერის ოჯახის წევრებს შორის რაღაც იდუმალი ურთიერთობა დამყარდა.

ახლა სამნილა დარჩნენ, მაგრამ უფრო იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ამ შეხვედრების დროსაც გულჩათხრობილნი ისხდნენ.

ჰენრი პოინდექსტერის მკვლელობა საეჭვოდ აღარავის მიაჩნდა. ანკი რა ჰქონდათ სამხიარულო უძეოდ დარჩენილ მამასა და ერთადერთი ძმის დამკარგავ დას.

ამავე მიზეზით შეიძლებოდა კასიუს კოლჰაუნის მწუხარების ახსნაც.

ოდესღაც ამაყი პლანტატორი ერთთავად შინ იჯდა და ტალანებსა და დერეფნებში უაზროდ დააბოტებდა. დარდმა და ვარამმა მისი სიამაყე გატეხა და კაცმა არ იცოდა, როდის გაუსკდებოდა გული. მაგრამ ძლიერი მამობრივი სიყვარულის გრძნობას, რომელიც შვილის დაკარგვასთან ერთად წაერთვა, ახლა სხვა სადარდებელიც მიმატებოდა, რასაც ხანდახან მისი ამოოხვრა და უნებურად წამოცდენილი სიტყვები ხდიდა საცნაურს.

კოლჰაუნი წინანდებურად ცხენით სადღაც დაეხეტებოდა. იგი მხოლოდ ჭამისა და ძილის დროს მოდიოდა სახლში და ხანდახან მაშინაც აგვიანებდა.

ერთხელ მთელი დღე-ღამით გადაიკარგა. ძე-სულიერმა არ იცოდა, სად დაწანწალებდა და არც არავის ჰქონდა უფლება, ეკითხა, სად იყო.

ლუიზა ერთთავად ოთახში იჯდა, იშვიათად თუ ავიდოდა ასოტე-
აზე, სივრცეს მიშტერებოდა და რაღაცაზე ფიქრობდა. ასე თითქოს
უფრო ახლოს იყო ზეცასთან და ნაღველს იქარებდა. მას სტანჯავდა
საყვარელი ძმის დაკარგვა, იმის შიში, რომ კიდევ უფრო საყვარელ
ადამიანს დაკარგავდა. მოსვენებას არ აძლევდა თავისივე სახელ-
თან დაკავშირებული მითქმა-მოთქმა. აი, როგორი ფიქრებით იყო
გარემოცული საბრალო ქალი.

ლუიზამ იცოდა, რომ მორის ჯერალდი სამხედრო ჰაუპტვახტის
მაგარ კედლებში იყო გამომწყვდეული.

მაგრამ ჰაუპტვახტის კედლები რომ მტკიცე იყო, ახალგაზრდა
ქალს ეს არ აწუხებდა. პირიქით, სურდა, რომ ის კედლები კიდევ უფ-
რო მტკიცე და შეუვალი ყოფილიყო.

ლუიზას საამისო მიზეზიც ჰქონდა. მან ყური მოკრა ავისმომასწა-
ვებელ ჩურჩულს. ხმები დადიოდა, მუსტანგერი ისევ ლინჩის წესით
უნდა გაასამართლონო. ამავე დროს მოსამართლე სემ მენლი არ
იქნება და მსაჯულებად თავისი „წესრიგის დამცველნი“ კი არ ეყო-
ლება, არამედ თავზეხელაღებული ავაზაკებით, რომელნიც საზ-
ღვრისპირას მდგარი სამხედრო ნაწილების გარშემო ყოველთვის
მრავლად არიან.

ბოლო დროს აღმოჩენილი ფაქტები ახალს არაფერს იძლეოდ-
ნენ და არც რამის დამტკიცება შეეძლოთ.

მართალია, ის ოთხი მხედარი — ინდიელები არ აღმოჩნდნენ, ეს
აშკარად მტკიცდებოდა უზარმაზარი ხის ფულუროში ნაპოვნი ნიღბე-
ბით, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ჰენრი პოინდექსტერი მათ მოეკ-
ლათ. გარდა ამისა, მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ მუსტან-
გერთან. ისევე, როგორც მაშინაც არ ექნებოდათ კავშირი, თუნდაც
ისინი ნამდვილი ინდიელები ყოფილიყვნენმამ საიდან მოდიოდა
ასეთი სიძულვილი მუსტანგერის მიმართ? ხელახლა ვინ გააღვიძა
ეს გრძნობა? ეს ისეთი უცნაური კითხვა იყო, რომლისთვისაც პასუხი

ვერავის გაცეცა. მხოლოდ სამმა ადამიანმა იცოდა, ან ეჭვით შეეძლოთ ეთქვათ ამის მიზეზი. ესენი იყვნენ: ზებ სტუმპი, ლუიზა პოინდექსტერი და კაპიტანი კასიუს კოლშაუნი.

მოხუცმა მონადირემ ფიზიკური ალღოთი შენიშნა, რომ მიგელ დიასი და მისი ამფსონები რაღაც ფარულად დაძვრებოდნენ მათივე მსგავს კარგად ცნობილ სხვა ავაზაკებთან, რომლებსაც ახალშენის „ამომგდებებს“ ეძახოდნენ. ზებმა მათი წამქეზებლის კვალსაც მიაგნო — ეს იყო სამსახურიდან გადამდგარი მოხალისეთა კაპიტანი.

თავისი აღმოჩენა ზებ სტუმპმა ლუიზას გაუზიარა, რომელმაც კარგად შეიგნო, თუ რა დიდი საფრთხე ემუქრებოდა მორის მუსტანგერს და სწორედ ამიტომ იყო, რომ ასე წუხდა ახალგაზრდა ქალი.

ლუიზამ ბედნიერად იგრძნო თავი, როცა მეოთხე დღეს, დილით, კასა დელ კორვოში ზებ სტუმპი გამოცხადდა და ახალი ამბავი მოიტანა — კამანჩების მდევარი ოფიცრები ფორტში დაბრუნდნენ.

ახლა უკვე აღარ იყო საშიშროება, რომ მორის ჯერალდი ჰაუპტვახტიდან გამოეტაცათ და მოეკლათ.

— ოჰ, როგორ მიხარია, ძვირფასო ზებ! მაშ, თქვენი აზრით, ისინი უკვე ველარაფერს დაუშავებენ მორისს?

— თუ მიგელ დიასსა და მის ბანდაზე ამბობთ, თუნდაც დავიფიცავ, ველარაფერს დააკლებენ. ჯერ თვითონ უნდა უშველონ თავის თავს, რომ საპყრობილეს დაუძვრნენ.

— რაო, დიასი დააპატიმრეს? როგორ? როდის? სად?

— თქვენ სამი სხვადასხვა კითხვა მომეცით, მის ლუიზა. ვამჯობინებ, პასუხი ბოლოდან დავიწყო. ამ მხარეში სულ ერთი საპყრობილეა — ფორტ ინჯის ჰაუპტვახტი და მიგელ დიასიც სწორედ იქ ჩასვეს.

— მასთან ერთად?..

— ვიცი, ვინც იგულისხმეთ. ისინი ერთ შენობაში არიან, მაგრამ სხვადასხვა საკანი აქვთ მიჩენილი. მათ შუა კედელია, მაგრამ თუ

მოინდომებენ, ერთმანეთს დაელაპარაკებიან. მიგელ დიასთან ერთად მისი ამფსონებიც ჩაყარეს. აი, ისინი კი გამონახვენი ერთმანეთთან სალაპარაკოს.

— ეს ძალიან კარგი ამბავი მაცნობეთ, ზებ. გუშინ თქვენ მითხარით, დიასი ძალიან აქტიურად ცდილობდა... ციხეში მოხვედრილიყო და ავი გაუმართლა კიდევც. შეიძლება სხვა ვინმემაც უბიძგა. მაგრამ მითხარით, გეთაყვა, როგორ და როდის მოხდა ყოველივე ეს?

— ის ავაზაკი სულ ერთი საათის წინ შეიპყრეს და ჩაკეტეს. მეც იქ ვიყავი და საკუთარი თვალეებით ვნახე, როგორ გადაურაბეს კარი. მერე კი გახარებულმა აქეთ გამოვწიე.

— მაგრამ ჯერ არ გითქვამთ, რისთვის დააპატიმრეს.

— ეს კი გრძელი ისტორიაა და ამის მოსაყოლად ცოტაოდენი დრო დამჭირდება. ახლავე მომისმენთ თუ მერე?

— როდის მერე, მისტერ სტუმპ?

— მას შემდეგ, რაც ჩემს ბებერ ფაშატს საჯინიბოში შევიყვანე. ცოდვაა, მშიერ-მწყურვალთა. ჩვენ ბევრი ვიწანწალეთ და ფორტში მხოლოდ ერთი საათის წინ დავბრუნდით.

— მაპატიეთ, ძვირფასო მისტერ სტუმპ, ეს სულ დამავიწყდა. პლუტო! წაიყვანე მისტერ სტუმპის ცხენი საჯინიბოში და საკვები მიეცი. ფლორინდა! ფლორინდა! რას მიირთმევთ, მისტერ სტუმპ?

— ჩემთვის ნუ შეწუხდებით, მის ლუიზა, დიდ მადლობას მოგახსენებთ, მე მხოლოდ ცხენზე ვამბობდი, მშიერია-მეთქი, თორემ მე ერთ-ორ საათს კიდევ გავძლებ უჭმელი. მაგრამ თუ მონონგაჰელა მოგეძებნებათ საკუჭნაოში, ეს კი ძალიან მომიხდებოდა და კარგ გუნებაზეც დამაყენებდა.

— მონონგაჰელა? რამდენიც გნებავთ. მაგრამ თუ ნებას მომცემთ, უკეთეს სასმელს შემოგთავაზებთ.

— მონონგაჰელაზე კარგ სასმელს?

— დიახ, ხერესი, შამპანური, კონიაკი, რომელიც გნებავთ.

— შეიძლება ძალიან კარგი სასმელებია და ალბათ პოინდექსტერის სახლში ბევრიც მოიძებნება, მაგრამ მე მონონგაჰელა მირჩევნია. წამალი რომ იყოს, სხვა საქმეა. დასწყევლოს ღმერთმა ეგ ფრანგული სასმელები და განსაკუთრებით კი კონიაკი. მაგდაგვარი სასმელი, ალბათ ნიანგსაც კი კუჭს გადმოუტრიალებს. მე სიმინდის სუფთა წვენს ვამჯობინებ, რომელიც მონონგაჰელას სანაპიროდან — პიტსბურგიდან მოაქვთ.

— ფლორინდა! ფლორინდა!

ფლორინდასათვის არც იყო საჭირო თქმა, თუ რატომ ეძახდნენ. ზებ სტუმპის იქ ყოფნა თავისთავად გულისხმობდა, რისთვისაც უხმობდნენ. ბრძანებისათვის არც დაუცდია, ისე გაემართა საკუჭნაოსკენ და მალე იქიდან მონონგაჰელათი სავსე სურა მოიტანა. მაგრამ ეს არ იყო სიმინდის სუფთა წვენი, როგორც მას ზებ სტუმპი ეძახდა. მას ჩვეულებრივ ჭვავისაგან ამზადებდნენ.

ზებს თავპატიჟი არ დაუდია. სურაში ჩასხმული მესამედი სითხე სულმოუთქმელად გააქრო. ხოლო ორი მესამედი დაიტოვა, რომ გრძელი ამბის მოთხრობისას პირი გაესველებინა ხოლმე.

31 - წადით, ზებ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

— მითხარით, ძვირფასო ზებ, — მიმართა მან, როცა ფლორინდა გაისტუმრა, — რისთვის დააპატიმრეს მიგუელ დიასი. მე მგონი, მასზე მეც ვიცი ზოგი რამ.

— მარტო თქვენ ერთმა კი არა, მთელმა ქვეყანამ იცის მისი ავაზაკობის ამბავი. თქვენი ძმა... თუმცა ამას ახლა თავი დავანებოთ... ზებ სტუმპმა იცის, ან უკეთ რომ ვთქვათ, ძლიერი ეჭვი აქვს, რომ მიგელ დიასს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს იმ საქმესთან. ხომ ხვდებით, რომელ საქმეზეც მოგახსენებთ?

— განაგრძეთ, მისტერ სტუმპ!

— მოგახსენებთ: ჩვენ რომ ალამოდან ახალშენში ჩავედით, მალე მღევრებიც მობრუნდნენ, რომლებიც ინდიელებს დაედევნენ.

ეს, მე მგონი, თქვენც იცით. ის პარიკები კი, უზარმაზარი ხის ფულუროში რომ იპოვეს, გამოირკვა, ინდიელებს კი არა, თეთრკანიანებს ეკუთვნოდათ. აქედან ცხადია, ფრიალო კლდის თავზე რომ მხედრები შევნიშნეთ, ისინი ინდიელები არ იყვნენ. ეს ადრევე ვიფიქრე, როცა მუსტანგერის ქოხში მონტეს სათამაშო ქალაქი აღმოვაჩინე. რაღა თქმა უნდა, მუსტანგერის ქოხში, ღამით, სწორედ ისინი იქნებოდნენ. ეჭვიც არ მეპარება, რომ ის მხედრები, რომლებიც ფელიმა ნახა, მექსიკელები იყვნენ.

— საიდან დაასკვნით, რომ მაინცდამაინც მექსიკელები იყვნენ?

— მე თვალყურს ვადევნებდი დიასის ბანდის წევრებს.

ლუიზას მეტი აღარაფერი უკითხავს. ზების ნათქვამი ახალი იმედით ავსებდა მის გულს და ამჯერად მშვიდად ელოდებოდა, როდის განაგრძობდა ზებ სტუმში დაწყებულ ამბავს.

— მონტეს სათამაშო ქალაქი და ის სიტყვები, რომლებიც ფელიმა მოისმინა, მაფიქრებინებს, რომ ღამით მუსტანგერის სახლში მისული, დაუპატიჟებელი სტუმრები მექსიკელები უნდა ყოფილიყვნენ. ეს რომ ვიფიქრე, დავფიქრდი, რომელი გზით შეიძლებოდა მოსულიყვნენ ისინი. აქაურ მექსიკელებს ისე კარგად ვიცნობ, რომ გარეგნული ნიშნების მიხედვით ყველას გამოცნობა შემიძლია. მათი ინდიელთა ტანსაცმელი ვერ გამაცურებს. მე ოთხივე გამოვიცანი, ერთ-ერთ მათგანს კი ჩემი ნიშანიც დავადე.

— თქვენი ნიშანი? ეს როგორ მოახერხეთ, ზებ?

— გახსოვთ, ქოხის წინ რომ თოფი ვისროლეთ?

— რა თქმა უნდა! მე ინდიელები არ დამინახავს, რადგან ხეების ქვეშ ვიდექი, მაგრამ თქვენ რომ გაისროლეთ, დავინახე და გავიგონე კიდევ.

— ძალიან კარგი, მის ლუიზა და საერთოდ დაიმახსოვრეთ, რომ როცა ზებ სტუმში თოფის სასხლეტს თითს გამოჰკრავს, ტყვია სისხლის დაუღვრელად არ დაიკარგება. ვიცოდი, რომ ის ავაზაკი დავ-

ჭერი. მერე მღევრები ახალშენში დაბრუნდნენ და მიაბბეს, ავაზაკები ინდიელები კი არა, თეთრკანიანები ყოფილანო. მე უკვე ვიაზრე, ვინც ბრძანდებოდნენ ინდიელებად გადაცმული თეთრკანიანები და შემეძლო, კლანჭიც გამეკრა მათთვის, მაგრამ თავი შევიკავე.

— კი მაგრამ, რატომ შეიკავეთ თავი, მისტერ სტუმპ? ხომ შეიძლება სწორედ მათ მოეკლათ ჩემი საწყალი ძმა?

— სწორედ ეგ იყო მიზეზი, რომ ისინი საიქიოს არ გავისტუმრე. თუმცა სხვა მიზეზიც მქონდა. ფორტიდან შორს წასვლა არ მინდოდა, რომ ჩემი იქ არყოფნის დროს ცუდი არაფერი მომხდარიყო. გამიგეთ? კიდევ ერთმა გარემოებამაც მაიძულა ასე მოქცეულიყავი, რადგან გადაწყვეტილი მაქვს, ეს თამაში შეუცდომლად მივიყვანო ბოლომდე.

— ნუთუ?

— რა თქმა უნდა. წვიმა არ იყო მოსალოდნელი და ამდენად, ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებას ხელს ვერაფერი შეუშლიდა. რატომ უნდა ავჩქარებულიყავი? დაველოდე ჯარის ნაწილის ფორტში დაბრუნებას, რომ მორისი საიმედო დაცვისათვის ჩამებარებინა. როცა ეს საქმე მოვაგვარე, შევკაზმე ჩემი ბებერი ცხენი და იქით გავემურე, სადაც ინდიელთა პარიკები და ტანსაცმელი იპოვეს. ადვილად მივაგენი იმ ადგილს. ვიცოდი, რომ მათ მეგზურად გამოუცდელი ძუძუმწოვარა — სპენგლერი ახლდათ და კვალის ასავალ-დასავალს ვერას გაუგებდნენ. ამაში რა თქმა უნდა, არც შევმცდარვარ. მათ დატოვებული ნაკვალევის ნახევარიც ვერ შეემჩნიათ. ისე რომ, საქმე ჩემთვისაც დარჩენილიყო. უგუნური ადამიანიც კი, ვისაც ოდესმე ტრამალზე ფეხი დაუდგამს, არ შეცდებოდა, ამ ვითომ კამანჩების ნაკვალევს იპოვიდა და კუდის რიკამდე ჩაჰყვებოდა. მაგრამ სპენგლერმა და მისმა თანმხლებმა მღევრებმა ეს ვერ მოახერხეს. მართალია, მღევრებს ნაკვალევი გადაეთქერათ, მაგრამ მაინც ადვილად ვიპოვე იგი. ოთხივე ცხენის ნაკვალევს მანამდე ვდიე, სანამ კვალმა მათი ცხენების საჯინიბოებამდე არ მიმიყვანა.

— მერე?

— მერე, მაიორს მოველაპარაკე და ნახევარ საათში ოთხივე ავა-
ბაკი გაბაწრული ჰაუპტვახტში ჩაამწყვდიეს. პირველად მეთაური
შეიპყრეს, თორემ გუმანითაც რომ რაიმეს მიმხვდარიყო, ხელიდან
დაგვისხლტებოდა. არ შევმცდარვარ, ჩემი ნიშანი დავაჩნიე-მეთქი.
ტყვია მართლაც მარჯვენა ხელში მოხვედროდა და ლაზოც ამიტომ
გავარდნოდა ხელიდან.

— მაშ ის მიგუელ დიასი იყო? — უნებურად წამოიძახა ლუიზამ, —
ძალიან უცნაური კია! — განაგრძო მან ისე ხმადაბლა, თითქოს თა-
ვის თავს ეჩურჩულებოდა, — მე სწორედ ის ვნახე ჯუჯა ტრამალზე! ქა-
ლი კი, ის მექსიკელი ქალი, ლედი, ხშირად იყო ხოლმე მასთან?

— ვისთან, მის ლუიზა?

— მისტერ ჯერალდთან.

— როგორ გითხრათ, შეიძლება ხშირადაც იყო, შეიძლება არა.
ყოველ შემთხვევაში, ეს მე არ ვიცი. თვითონაც იშვიათად დავდიო-
დი მასთან. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, გეტყვით, ის ქალი ადრე იქ
არასოდეს ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიგია, რომ ყო-
ფილიყო, ის ირლანდიელი ფელიმი აუცილებლად წამოაყრანტა-
ლებდა რამეს. გარდა ამისა, სხვა მიზეზიც არსებობს. როგორც გავი-
გე, იმ ქოხში ქალთაგან ადრე მხოლოდ ერთს დაუდგამს ფეხი.

— ვის? — სწრაფად იკითხა ლუიზამ და მაშინვე ინანა, რომ ზებ
სტუმპს ასეთი შეკითხვა მისცა. როგორც კი ზების გამომცდელი მზე-
რა დაიჭირა, ლაწვები წამოენთო, — თუმცა ამას რა მნიშვნელობა
აქვს, — ისე განაგრძო, რომ ზების პასუხისათვის არ დაუცდია, — მაშ
თქვენ ფიქრობთ, რომ ის მექსიკელები არიან ჩემი ძმის მკვლელები,
არა? — სწრაფად იკითხა ახალგაზრდა ქალმა, რომ საუბარი სხვა სა-
განზე გადაეტანა.

— მართალი გითხრათ, მის ლუიზა, არც კი ვიცი, რა ვიფიქრო.
ტრამალზე ასეთი საიდუმლოებით მოცული ამბავი ჯერ არ მომხდა-
რა. ხან იმას ვფიქრობ, დანაშაული მექსიკელებმა ჩაიდინეს-მეთქი,

ხან კი თავში ისეთი აზრები მომდის, რომ ამ შავბნელი საქმის მომწყობი სულ სხვა ვინმე უნდა იყოს. ვინ? ამას ვერ გეტყვით.

— მხოლოდ ის არა, ზებ, მხოლოდ ის არა!

— არა, მუსტანგერზე არ მოგახსენებთ, ის აქ არაფერ შუაშია. მართალია, ღვარძლით მასზე ბევრი რამ ავი ითქვა, მაგრამ მის პატიოსნებაში იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარება.

— ოჰ! როგორ დაამტკიცებს, რომ უდანაშაულოა? ამბობენ, ყველა დამამტკიცებელი საბუთი მის წინააღმდეგ ლაპარაკობსო. ერთი ადამიანიც კი არ მოიძებნება, რომ მის დასაცავად კრინტი დაძრას!

— არა, არც ასე გახლავთ. მე თვალი მეჭირა მუსტანგერზე და სხვებზეც. საქმე რომ გამომეკვლია, ამის დრო არა მექონდა. ახლა კი ამის შესაძლებლობა მომეცა და ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო. ტრამალი, მისს პოინდექსტერ, დიდი წიგნია, ძალიან საოცარი, უზარმაზარი წიგნი მათთვის, ვისაც მისი წაკითხვა შეუძლია. მართალია, მე მწიგნობრობით ვერ დავიკვებხნი, მაგრამ ტრამალის წიგნის წაკითხვა კი შემიძლია. შეიძლება ტრამალზე ბევრი რამ იყოს ისეთი, რაც მორის მუსტანგერის სასარგებლო დამამტკიცებელ საბუთად იქცევა. ეს საბუთები კი შეიძლება ტრამალის ბალახზე, ქვებზე და ალამოს ნაპირებზე იყოს შემორჩენილი.

— იმედი გაქვთ, რომ ნაკვალევს იპოვით?

— უნდა წავიდე და ყველაფერი გულმოდგინედ დავათვალიერო. განსაკუთრებით კი ის ადგილი, სადაც მორის ჯერალდი ვეფხვის კლანჭებიდან დავიხსენი. ადრევე უნდა წავსულიყავი, მაგრამ როგორც გითხარით, იმ დაბრკოლების გამო ვერ წავედი. მადლობა ღმერთს, წვიმა არ ყოფილა და ერთი კვირისწინანდელ ნაკვალევს ისევ კარგად გაარჩევს კაცი, როგორც გუშინდელს, თუკი კვალში ჩადგომა შეუძლია. ახლა კი უნდა გავემგზავრო, მის ლუიზა. მე იმის შესატყობინებლად მოვედი, რაც ფორტში მოხდა. ახლა კი დრო აღარ იცდის. დღეს დილით მორისთან შემიშვეს. ეტყობა, გრძნობაზე მოდის და მალე კარგად გახდება. „წესრიგის დამცველები“ კი,

როგორც იცით, მხოლოდ იმას ელოდებიან, გრძნობაზე მოვიდეს და იმწამსვე გაასამართლებენ. შეიძლება ყოველივე ეს სამ დღეზე ადრე მოხდეს და ყველაფერი მანამდე უნდა მოვასწრო.

— წადით, ზებ, და ღმერთი იყოს თქვენი შემწე! დაბრუნდით და თან მისი გამამართლებელი საბუთები მოიტანეთ. მე კი ყოველთვის თქვენი მადლიერი დავრჩები, რომ სიცოცხლე შემინარჩუნეთ.

32 - წაბლა ცხენი

ამ მგზნებარე სიტყვებით შთაგონებულმა მონადირემ საჯინბოს მიაშურა, სადაც თავისი უბადლო ცხენი ეგულებოდა.

ზებმა თავის ფაშატს ცხვირში ხელი ჩაავლო, კბილებში აღვირი ჩასწრა, დიდ ყურებზე აღვირის დასამაგრებელი თასმები გადააცვა, მოაბრუნა და საჯინბოდან გამოსვლა დააპირა.

ცხენი გაჯიუტდა, ეტყობოდა, ნოყიერი საკვების მითოვება დაენანა. ზებმა აღვირი თავისკენ მოსწია და ფაშატი თითქმის გაათრია ადგილიდან.

— ჰო, ჰო! მასსა სტუმპ, — მიმართა პლუტომ, — რატომ აჩქარდით? საწყალ ცხენს დაყრილი სიმინდის ნახევარიც არ შეუჭამია, გაუშვით, ჭამა მოათავოს, დამიჯერეთ, ეს არ ავნებს.

— მეტი დრო აღარა მაქვს, ზანგო! ორ საათში ასი მილი უნდა გავირბინო.

— ჰო, ჰო! ასე რა გაჩქარებთ, ალბათ მეხუმრებით, მასსა სტუმპ?

— სრულებითაც არ ვხუმრობ.

— დასწყევლოს ეშმაკმა! როგორ ჩქარა დადიან ამ ტრამალზე... აი, იმ ცხენმა, მგონი, ერთ ღამეში ორასი მილი გაირბინა.

— რომელმა ცხენმა?

— აი, ის წაბლა, იქ ცალკე რომ დგას, კარს იქით, მასსა კოლჰაუნის ცხენმა.

— საიდან მოიტანე, რომ ორასი მილი გაირბინა?

– იქიდან, რომ ოფლში იყო გაღვრილი და მთელ ტანზე თეთრი ქაფი ედო. გარდა ამისა, სიარულის თავიც კი აღარ ჰქონდა, მდინარეზე დასარწყულებად რომ წავიყვანე. ახლადდაბადებულ ხბოსავით ბარბაცებდა და ეცემოდა!

– ეს როდის მოხდა, პლუტო?

– რომელ ღამეს? დამაცადეთ, მოვიგონო! რა თქმა უნდა, სწორედ იმ ღამეს, მასსა ჰენრი რომ დაიკარგა. ალიონზე საჯინიბოში რომ შევედი, ეგ წაბლა ცხენი იქ დამხვდა. დილით კი, მზე რომ ამოვიდა, დავინახე, სულ ოფლში ცურავდა, თითქოს დიდი მდინარე გადმოელახოს. ისეთი ქაფი მოსდებოდა, გეგონებოდათ, ახალ ორლენაში გამართულ მარულაში მიუღია მონაწილეობა და ერთი ოთხასი მილი გაურბენიაო.

– ზედ ვინ იჯდა, პლუტო?

– არ ვიცი, მასსა სტუმპ. მაგრამ მასზე შეჯდომის ნება მასსა კოლჰაუნის გარდა არავისა აქვს.

– მაშ თვითონ კოლჰაუნი მჯდარა, არა, პლუტო?

– არ ვიცი, მასსა სტუმპ, არაფერი ვიცი. არც გარეთ გამოყვანილი მინახავს, არც მაშინ შემიმჩნევია, როცა საჯინიბოში დააბრუნეს.

– თუ შენ მართალს ამბობ, რომ ცხენი გაქაფული იყო, მაშინ, ეტყობა, ზედ ვილაც მჯდარა.

– ჰა! ჰა! ვილაც მჯდარა, რა თქმა უნდა.

– მომხედე, პლუტო! თუმცა შავკანიანი, მაგრამ ალალი ვაცი ხარ. მე მგონი, მართალს ამბობ და ნამდვილად არ იცი, ვინ იჯდა იმ ღამეს კოლჰაუნის ცხენზე. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო? შენ იცი, რომ მისტერ პონინდექსტერი ჩემი მეგობარია და არ მინდა მისი საკუთრების უფლება ასე აბუჩად აიგდონ. ასევეა მისტერ კოლჰაუნიც. ალბათ პლანტაციებში მომუშავე რომელიმე ზანგმა ჩუმად გაიყვანა კოლჰაუნის ცხენი და მთელი ტრამალი შემოარბენინა?

— არა, მასსა სტუმპ. პლანტაციაში მომუშავე ზანგებს საჯინიბოში შესვლა აკრძალული აქვთ და ვერც ერთი მათგანი ვერ გაბედავდა კოლჰაულის წაბლა ცხენის ხელის ხლებას.

— დასწყევლოს ეშმაკმა, მაშ ვინ გაიყვანა გარეთ? იქნებ ზედამხედველმა გაიყვანა, ჰა, პლუტო? შენ რას იტყვი?

— არა, ბატონო.

— მაშ თვითონ პატრონს გაუყვანია და მე რა მესაქმება. მას როცა უნდა, მაშინ შეჯდება თავის საკუთარ ცხენზე და რამდენსაც უნდა, იმდენს ატენებს. ეს ვისი რა საქმეა?

— ჰო, ჰო! არც ჩემი საქმეა, მასსა სტუმპ, რა კარგად თქვით, რატომ მეც არ მომაგონდა ეს ამ დილით.

— მერედა, რა მოხდა ამ დილით, პლუტო, რას ნანობ?

— რა მოხდაო? რა მოხდა და დიდი უბედურება, დიდი უბედურება, მასსა სტუმპ.

— აღარ იტყვი, პლუტო, რა უბედურებაზე ლაპარაკობ?

— პანლური ამომკრეს დღეს, მასსა სტუმპ, სწორედ დღის პირველ საათზე, პანლური ამომკრეს.

— პანლური ამოგკრეს?

— და მერე რა მაგარი, მასსა სტუმპ.

— ოჰ, გასაგებია, ცხენმა წიხლი გკრა ალბათ, რომელმა?

— შეცდით, მასსა სტუმპ. ცხენმა კი არა, ყველა ცხენების პატრონმა, აი, იმ წინწყლებიანი მუსტანგის გარდა, ყველა ცხენის პატრონმა, კასიუს კოლჰაუნმა მცემა, სულ წიხლები მირტყა.

— ალბათ რაღაც ისეთი ჩაიღინე, რომ წიხლით გცემეს.

— ზანგს არაფერი ცუდი არ ჩაუდენია, მასსა სტუმპ. მე მხოლოდ კაპიტან კოლჰაუნს ის ვკადრე, იმ ღამეს რა მოხდა, ცხენი რომ ასეთი გაოფლიანებული იყო-მეთქი. მან კი მიპასუხა, ეს შენი საქმე არ არისო და პანლური მითავაზა, მათრახიც გადამიჭირა და დამემუქრა: თუ

კიდევ ამის თაობაზე რამე გითქვამს, მათრახის ასი დარტყმით გაგი-
მასპინძლდებიო. მაგინა კიდევ და მერე როგორი სიტყვებით. ასეთი
გადარეული ჯერ არ მინახავს.

— ახლა სად არის? დღეს არსად მინახავს. რაკი წაბლა აქა ჰყავს,
თვითონაც ალბათ შინ იქნება, არა?

— არა, მასსა სტუმპ, შინ არ არის, სწორედ ახლახან წავიდა. ამ
ბოლო ხანებში სახლიდან რომ გადის, გვიანობამდე არა ბრუნდება.

— ცხენით მიდის ხოლმე?

— დიახ, ცხენით, მაგრამ ახლა რუხ ცხენზე ჯდება და წაბლას შინ
ტოვებს ხოლმე. ჰა, ჰა! იმ ღამის შემდეგ მხოლოდ ერთხელ იჯდა ამ
ცხენზე. იქნებ ფიქრობს, იმ ღამეს ძალიან დაიღალაო და ახლა ასვე-
ნებს.

— ყური მიგდე, პლუტო! — უთხრა ზებ სტუმპმა კარგა ხნის დუმი-
ლის შემდეგ, — შენი თქმისა არ იყოს, მგონი, ისა სჯობია, ჩემს ცხენს
ძლომაზე ჭამა ვაცალო, თორემ წინ ძალიან დიდი გზა მიძევს. კარგი
იქნება, თუ მეც ოდნავ წავიხემსებ. აბა, ერთი სამზარეულოში შეირ-
ბინე და ნახე, იქნებ ცივი ხორცის პატარა ნაჭერი და პური მომიტანო,
მეტი არაფერი მინდა. შენი ქალბატონი ბევრს მეპატიჟა, მაგრამ მე-
შინოდა, არ დამგვიანებოდა და უარი ვუთხარი. ახლა რაკი ცხენს მა-
ინც უნდა დაველოდო, ბარემ მეც დავნაყრდები.

— მართალი ბრძანებაა, მასსა სტუმპ, ამწამსვე სამზარეულოში
გავიქცევი.

ეს სიტყვები რომ თქვა, პლუტონი სამზარეულოსაკენ გაეშურა და
ზები საჯინიბოში მართო დატოვა.

როგორც კი პლუტონი საჯინიბოდან გავიდა, ზებს სახეზე სწრა-
ფად გაუქრა გულგრილი იერი, რომლითაც პლუტონს ელაპარაკე-
ბოდა და იგი ყურადღებიანმა და დაკვირვებული ადამიანის გამო-
მეტყველებამ შეცვალა.

ზები ქვით მოკირწყლული გზით, რომელიც ორად ჰყოფდა საჯი-
ნიბოს, წაბლა ცხენისაკენ გაემართა.

შიშისაგან აცახცახებული ქურანი კედელს გაეკრა, ალბათ ზების მტკიცე გამოხედვამ შეაშფოთა.

— ჭკვიანად იყავი, წყეულო! — წაიბურტყუნა ზებმა, — არას გავნებ. პატრონით ავგული კი ყოფილხარ. ჭკვიანად-მეთქი, გეუბნები. მე მხოლოდ შენი ნალების გასინჯვა მინდა, — ეს რომ თქვა, ზები დაიხარა და შეეცადა, წინა ფეხი აეწია ქურანისათვის, მაგრამ ვერ შეძლო. ცხენმა ფილაქანზე ტორების ცემა დაიწყო და თან ფთხვინავდა, თითქოს შიშობდა, რაღაც მახეს მიგებენო.

— წყეულიმც იყავი, შე უტვინო! — წამოიყვირა გაჯავრებულმა ზებმა, — რა ჭირი გეცა, რომ ერთ წუთს წყნარად ვერ ჩერდები. მე რა უნდა გავნო? აბა, მოდი, შე მართლა პირუტყვო, შენა! მე მხოლოდ იმის ნახვა მინდა, როგორ ხარ დაჭედილი.

ზები კვლავ შეეცადა, ფეხი აეწია ცხენისათვის, მაგრამ იგი კვლავ განზე გაუხტა.

— ასეთ რამეს კი ნამდვილად არ მოველოდი, — ჩაილაპარაკა ზებმა და ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს რაღაცას ეძებდა, რომ ეს დაბრკოლება გადაელახა, — რა ექნა? დავუძახო ზანგს, რომ მომეხმაროს? არ შეიძლება. პირიქით, უნდა ვიჩქარო, რომ არ შემომისწროს და არ დაინახოს, რას ვაკეთებ. ეშმაკმა წაიღოს ეს წყეული, რა ალქაჯი ყოფილა! რა ვიღონო, როგორ დავათვალიერო ნალები.

ერთხანს ზებ სტუმპი გარინდებული იდგა და ფიქრობდა. სახეზე კი სიფიცხე და მოუთმენლობა ეხატებოდა.

— დასწყევლის ღმერთი ამ წყეულს! — კვლავ წამოიძახა ზებმა, — უნდა აიღო და რამე ჩაართყა! ჰა! მე მგონი, მივხვდი, როგორც უნდა მოვიქცე, თუ ზანგმა არ შემომისწრო. ფლორინდა ალბათ ცოტა ხანს შეიქცევს და მანამდე ჩემსას ვეწევი. ოჰ, წყეულო, ან დაგაწყნარებ, ან მოგახრჩობ! აბა, ჯერ საყელო გადაგაცვა და მერე ვნახავ, როგორც იხტუნებ.

ეს რომ თქვა, ზებმა თავისი უნაგირიდან ლაზო მოხსნა, ცხენს კისერზე გადააცვა და თოკი თავისკენ მოსწია. ცხენი ერთხანს ბაგასთან იდგა და სიბრაზისაგან ფთხვინავდა. მალე ეს ფთხვინვა ნესტოებიდან ამომავალ სულთმობრძავ სტვენად იქცა და ცხენის სიფიცხე სიკვდილის შიშმა შეცვალა. ყოველივე ეს კი კისერზე მაგრად შემოჭერილმა ლაზომ დამართა.

ზები ახლა უშიშრად მიეახლა პირუტყვს. თოკი იქვე მიაბა და დიდი ყურადღებით ხან ერთ ფეხს უსინჯავდა, ხან — მეორეს. იმახსოვრებდა ნალების მოყვანილობას, ლურსმნების რაოდენობას და მათ განლაგებას. ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც მას ამ წაბლა ცხენის კვალის მიგნებას გაუადვილებდა.

როცა უკანა მარცხენა ფეხი აუწია ცხენს, ზებს სიხარულისა და გაკვირვების წამოძახილი აღმოხდა. ამ გატეხილი ნალის დანახვამ გაახარა ძველი მონადირე. ეტყობოდა, ნალი კარგა ხანია, დაჰკარგვოდა ცხენს, რის გამოც მისი კვალის პოვნა ტრამალზე შეუმცდარად შეიძლებოდა.

— რომ მცოდნოდა, ასეთი ნიშანი გქონდა ამ ფეხზე, მაშინ დანარჩენი ფლოქვების გასინჯვაზე აღარ გაგაწვალებდი. შენი კვალის პოვნა ძალიან ადვილი საქმეა და ისა სჯობია, ეს ნალი მოგაძრო და თან წავიღო.

ეს გადაწყვეტილება რომ მიიღო, ზებმა ჯიბიდან თავისი უზარმაზარი სანადირო დანა ამოიღო, ნალს ქვევიდან შეუყარა, მოსწია, გატეხილი ნალი ცხენს ფლოქვიდან ლურსმნებიანად მოაძრო და კურტაკის ერთ-ერთ ჯიბეში ჩაიღო. შემდეგ ცხენს კისერზე მჭიდროდ შემოჭერილი ლაზო მოხსნა და ტყვეობიდან გაათავისუფლა.

ის-ის იყო, ზებმა თავისი საქმე დაამთავრა, რომ პლუტო ვეებერთელა ლანგარზე დაწყობილი სანოვაგით შემოვიდა. არც ზების საყვარელი მონონგაჰელა დავიწყებოდა. ზებ სტუმპი იმწამსვე ჭამას შეუდგა და ერთი სიტყვაც არ დასცდენია პლუტოსთან იმაზე, რაც მისი

არყოფნის დროს საჯინიბოში მოიმოქმედა. თუმცა პლუტო უთქმელად მიხვდა, რომ წაბლისფერი ცხენის თავს რაღაც ამბავი იყო. ცხენი ადგილზე ვერ ჩერდებოდა, შეშინებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და მთელი ტანით კანკალებდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა პლუტომ, — რა დაემართა იმ ქურანს? ჰო, ჰო! ისე იყურება, თითქოს თქვენი ეშინიაო, მასსა სტუმპ.

— შეიძლება! — თქვა ზებმა მოჩვენებითი გულგრილობით, — მე მგონი, მართლაც უნდა ეშინოდეს ჩემი, რადგან კარგა მაგარი ვუთავაზე ლაზოთი, ჩემს ცხენს კბენა დაუპირა.

პლუტო ამ პასუხმა სრულიად დააკმაყოფილა და ამაზე მეტი აღარც ულაპარაკნია.

— ყური მიგდე, პლუტო! — უთხრა ზებმა, — ვინ ჭედავს თქვენს პირუტყვს? ალბათ თქვენივე მჭედელი, არა?

— ჰო! ჰო! ყვითელკანიანი ჯეკია ჩვენი მჭედელი, მაგრამ რაში გაინტერესებთ ეს, მასსა სტუმპ?

— მინდა, ჩემი ფაშატი დავაჭედინო და მგონი, ჯეკი არ დამზარდება არა, პლუტო?

— ჰო, ჰო! რა თქმა უნდა, თქვენ უარს არ გეტყვით, მასსა სტუმპ.

— იმდენი დრო არც მაქვს, მაგრამ ნეტავ რამდენი ხანი დასჭირდება, რომ მხოლოდ ორ ფეხზე დააკრას ნალები?

— ყველა იმას ამბობს, ჯეკი კარგი მჭედელიაო და მე მგონი, თქვენი ცხენის დაჭედვას სწრაფად შეძლებს.

— ნეტავ ნალები თუ აქვს? ეს კი, ჩემი აზრით, იმაზეა დამოკიდებული, როდის დაჭედა უკანაკნელად თქვენი ცხენები. მაინც რამდენი ხანი იქნება მას შემდეგ, პლუტო?

— ერთ კვირაზე ცოტა მეტი ხნის წინათ, მასსა ზებ. ჰო, ჰო! ყველაზე ბოლოს მისსა ლუიზას ცხენი, წინწკლებიანი მუსტანგი დაჭედა. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მე თვითონ ვიცი, რომ ნალები გამზადებული აქვს, რადგან კოლჰაუნის ცხენი უნდა დაჭედოს. აი, ის წაბლა რომაა. ერთ ფეხზე ნალი აქვს გატეხილი. ეს ამბავი ათი დღის

წინათ მოხდა. მასსა კოლჰაუნმა უბრძანა კიდევ, ცხენი დამიჭედო, მე თვითონ გავიგონე, ჯეკს რომ ელაპარაკებოდა ამ დილით.

— მე მგონი, მერე რომ დავაჭედვინო, ის აჯობებს, — ისე თქვა ზებმა, თითქოს ეს გადაწყვეტილება ამ წუთში მიიღო, — ჰო, უკან დაბრუნებამდე ჩემი ბებერი ფაშატი როგორმე მოიცდის. საითაც მივდივარ, იმ მხარეს გზა მეტწილად ბალახითაა დაფარული და მგონი, ცხენს არაფერი გაუჭირდება. ახლა დრო აღარ იცდის, — დაუმატა მან, გარეთ გავიდა და ცას ახედა, — აბა, ჩემო ბებერო! აი, ეს რკინა უნდა ჩაიღო პირში, მაგ სიმინდის მაგივრად. პირი გააღე! აი, ასე, ყოჩაღ!

ამ ლაპარაკში ზებმა ცხენი გარეთ გამოიყვანა, ერთხელ კიდევ გაუკეთა ავშარი, ზედ შეჯდა და ღრმა ფიქრებში ჩაფლული იქაურობას გაშორდა.

33 - კვალის მიგნება

როცა ჰასიენდა კასა დელ კორვო უკან ჩამოიტოვა, ზებ სტუმპი მდინარე ლეონას აღმა ახალშენის მიმართულებით აუყვა.

უნდოდა, ფორტში მისულიყო და ახლა იქით მიეშურებოდა. თხუთმეტ წუთსაც არ გაუვლია და ზები უკვე იქ იყო.

ზებ სტუმპს ფორტის კომენდანტთან შესვლა ჩვეულებრივ არ უჭირდა ხოლმე. ფორტის ოფიცრები იცნობდნენ ამ განსაკუთრებული ხასიათის ადამიანს და პატივისცემით ეპყრობოდნენ. მისთვის არც პაროლი არსებობდა იქ შესვლისას და არც სხვა რაიმე ფორმალური დაბრკოლება. გუშაგებმა ამჯერადაც დაუბრკოლებლად გაატარეს ძველი მონადირე. მორიგე ოფიცრმა სალამი მისცა და მოიკითხა, ხოლო მაიორის ადიუტანტი იმწამსვე გაიქცა და უფროსს მოახსენა — ზებ სტუმპი გეახლათო.

მაიორის სიტყვებიდან ნათელი გახდა, რომ იგი ელოდა ზებ სტუმპს.

— აჰ! მისტერ სტუმპ! ძალიან მოხარული ვარ, რომ კვლავ ასე მალე შევხვდით ერთმანეთს. შესძელით განა ამ უცნაურ საქმეში გარკვევა? თქვენი ასე სასწრაფოდ უკან მობრუნება საფუძველს მძლევს, ვიფიქრო, ასეა-მეთქი. რაღაც საიმედო ამბავი შეიტყვეთ იმ უბედური ჯერალდის შესახებ, არა? მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ მის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, მაინც იმ აზრისა ვარ, მორის მუსტანგერი დამნაშავე არ უნდა იყოს. თქვენ რაღა ამბავი მოიტანეთ?

— მე ისეთი არაფერი აღმომიჩენია, მაიორო, — უპასუხა ზებმა და პატივისცემის ნიშნად ქუდი მოიხადა, — რომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე, ფორტში დავბრუნებულიყავი თქვენთან მოსალაპარაკებლად, თუმცა ტრამალზე ნაკვალევის შესწავლამდე არ ვაპირებდი აქ მოსვლას.

— ძალიან კარგი. მზად ვარ, მოგისმინოთ.

— მე იმის სათხოვნელად მოვედი, რომ რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება, შორს გადადოთ საქმის განხილვა. ვიცი, აქ აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მოინდომებენ საქმის განხილვა დაგაჩქარებინონ, მაგრამ ისიც ვიცი, თქვენ ძალა შეგწევთ წინააღმდეგობა გაუწიოთ და მათი სიტყვა არ შეასრულოთ. მე მგონი, თქვენი სურვილიც ასეთია.

— მართალი ბრძანებაა, მისტერ სტუმპ. მაგრამ „ძალა შეგწევთ“, რომ ამბობთ, ეს მხოლოდ ნაწილობრივაა მართალი. კარგად იცით, ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ხელისუფლება უფრო მალლა დგას, ვიდრე სამხედრო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამხედრო მდგომარეობა გამოცხადებული. ამისაგან კი ღმერთმა დაგვიფაროს. მე შემოძლია კანონის დარღვევის წინააღმდეგ წავიდე, მაგრამ თვითონ კანონის წინააღმდეგ წასვლა არ შემოძლია.

— არც მიფიქრია, მეთხოვნა, კანონი დაარღვიეთ-მეთქი. მე მხოლოდ იმას გთხოვთ, ვინც თვითონ აპირებს კანონის დარღვევას, ნუ მისცემთ ამის უფლებას. ასეთი ადამიანები კი ახალშენში მრავლად

არიან და თუ ისინი დროზე არ ალაგმეთ, კანონს თვითონ დაარღვევენ. განსაკუთრებით კი ერთი მათგანი და მე ვიცი, ვინცაა იგი.

— ვინაა?

— ვიცი, თქვენი ნდობა შეიძლება, მაიორო, მაგრამ...

— მისტერ სტუმპ, ხომ იცით, რაც აქ ითქმება, საიდუმლოებად დარჩება. ამიტომ, რაც გინდათ, ის თქვით.

— მაშინ გეტყვით, რომ მკვლელობა მორის ჯერალდს არ ჩაუდენია.

— მე მგონი, თქვენ კარგად იცით, რომ ჩემი აზრიც ასეთია. ნუთუ ამის მეტი არაფერი გაქვთ სათქმელი?

— სათქმელი კი მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, თუ თავს შევიკავებ, უმჯობესი იქნება, რადგან ჯერ ყველაფერი ეჭვით ვიცი და ხომ შეიძლება ვცდებოდე. ჯერ მოვიცდი, მდინარე ნუესას ნაპირებს მოვინახულებ და მერე მოგიყვებით იმას, რაც ახლა ვიცი და იმასაც, რასაც იქ შევიტყობ.

— მე კი დიდი ინტერესით დაველოდები თქვენს დაბრუნებას.

ზებ სტუმპი დაემშვიდობა მაიორს და იქით გაეშურა, სადაც მისი ბებერი ფაშატი ება. შეჯდა ცხენზე და იქაურობას სასწრაფოდ გაშორდა.

ახალშენის სანახებიდან გამოსული ისევ იმ გზას დაადგა, რომლითაც მოვიდა.

პოინდექსტერის მამულს რომ მიაღწია, ლეონას ველი უკან მოიტოვა და მალლობს აუყვა. მალლობზე ავიდა, გაივაკა და ბუჩქნარში, აკაციის ჩრდილქვეშ ცხენი შეაყენა, მაგრამ ეტყობოდა, დაბლა ჩამოსვლას არ აპირებდა. უნაგირზე მჯდომი წინ გადაიხარა, თვალით მიწას ისე დააშტერდა, როგორც ეს ჩაფიქრებულ ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე.

ზებ სტუმპმა ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს ვიღაცას ეძებდა.

— არანაირი მნიშვნელობა ფორტისა და ახალშენის ახლომახლო კვალის მოძებნას არა აქვს. იქ ცხენის ფლოქვებისაგან მთელი

მიწა ისეა გადათქერილი, როგორც საჩეხეში. უმჯობესია, ტრამალი-საკენ წავიდე და კვალი რიო გრანდეს მიმართულებით ვეძიო.

ერთ მიღზე მეტი ჰქონდა გავლილი, როცა რაღაცამ მიიქცია მისი ყურადღება და აღვირი ანაზღად მოსწია.

ცხენი სიამოვნებით შედგა. გებ სტუმპში უნაგირიდან თითქმის ჩამოფრინდა, ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა და მუხლებზე დაეცა.

ჯიბიდან ნალი ამოიღო და ბალახზე მკაფიოდ გამოსახული ცხენის ფლოქვის ნაკვალევს დაადო.

ნალი ნაკვალევს დაემთხვა.

— დაემთხვა, — წამოიძახა გახარებულმა მონადირემ, — ეშმაკმა დალახვროს, სწორედ ასეა! აი, მოღალატის ნაკვალევი და შესაძლოა, მკვლელისაც.

34 - კუნძული ტრამალზე

ცხენების ჯოგი, რომელიც ბალახს ძოვს ტრამალზე, ერთ ნახვად ღირს, მაგრამ ტეხასელის თვალს ასეთი რამ ვერ გააკვირვებს. პირიქით, იგი მაშინ დარჩება გაკვირვებული, თუ საძოვარზე მხოლოდ ერთ ცხენს შენიშნავს.

პირველ შემთხვევაში ის უბრალოდ გაიფიქრებს: ალბათ მუსტანგების ჯოგი იქნებაო, ხოლო თუ საძოვარზე ერთ ცხენს მოჰკრა თვალი, მაშინ გაუგებარი და ორაზროვანი ფიქრები აეშლება. ტრამალზე მოხეტიალე განმარტოებული ცხენი ან ჯოგიდან განდევნილი ველური ულაცი უნდა იყოს, ანდა რომელიმე მგზავრის გზააბნეული და ბანაკს ჩამოცილებული ცხენი.

ასეთი ცხენი და მხედარი გამოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ ტეხასში 185... წელს. წლის მითითება უფრო გარკვევით არ შეგვიძლია, მაგრამ ეს ნამდვილად ორმოცდაათიან წლებში მოხდა. უფრო ზუსტად შეიძლება მინიშნება იმ ადგილისა, სადაც უთავო მხედარი გა-

მოჩნდებოდა ხოლმე. ეს მდინარე რიო დე ნუესას და მდინარე ლეონას შუა მდებარე ადგილი გახლდათ, რომელსაც სიგრძე და სიგანე ერთნაირი ზომისა ჰქონდა და ოც მილამდე აღწევდა.

უთავო მხედარი სხვადასხვა დროს ბევრმა ადამიანმა დაინახა. პირველად ჰენრი პოინდექსტერისა და მისი მკვლელის მდევერებმა; მეორედ მორის მუსტანგერის მსახურმა ფელიმმა; მესამედ კასიუს კოლჰაუნმა ღამ-ღამობით ტყეში ხეტიალის დროს; მეოთხედ ინდიელებად გადაცმულმა თეთრკანიანებმა; მეხუთედ ზებ სტუმპმა.

იყვნენ ადამიანები, რომლებიც იმის დადგენას ცდილობდნენ, რა კავშირი უნდა არსებულიყო ჰენრი პოინდექსტერის გაუჩინარებასა და უთავო მხედრის გამოჩენას შორის.

უმრავლესობას სწამდა, რომ ამ ორ ამბავს შორის მართლაც იყო რაღაც კავშირი, მაგრამ რა? როგორ? და საიდან? ამისი ახსნა არავის შეეძლო. ის კი, ვისაც შეეძლო საქმისათვის ნათელი მოეფინა, კვლავ გონებაარეული ბოდავდა.

ასეთი სჯა-ბაასი ერთ კვირას გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში უთავო მხედარი ხშირად უნახავთ თავისი ბედაურიტურთ, რომელიც ხან დაოთხილი დარბოდა ტრამალზე, ხან კი ნელი, მშვიდი ნაბიჯით დასაეირნობდა ტრამალის ბუჩქნარში.

უთავო მხედარზე ბევრ უცნაურ და დაუჯერებელ ამბებს ყვებოდნენ, რომელთა გამეორება საჭირო არცაა. მხოლოდ ერთი ეპიზოდი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ უცნაურ ისტორიაში, აუცილებლად უნდა გადმოგცეთ.

უკიდევანოდ გადაშლილ, თვალმიუწვდენელი ტრამალის შუაგულში სამი თუ ოთხი აკრის სიგრძე-სიგანეზე ხეები იყო ჩამჭკრივებული. ტრამალის მცხოვრებნი მას კუნძულს ეძახიან და თუ კარგად დააკვირდებით, ეს შედარება არც უნდა იყოს საფუძველს მოკლებული, რადგან ეს უზარმაზარი მწვანე ტრამალი მართლაც რომ ზღვასავითაა გადაშლილი.

ამ ხეთა კუნძულის ახლოს, დაახლოებით ორასი იარდის დაშორებით ცხენი მშვიდად ძოვდა. ეს გახლდათ სწორედ ის ცხენი, რომელიც უთავო მხედარს ატარებდა. უცნაური მხედარი ახლაც ცხენზე იჯდა. მას შემდეგ, რაც იგი პირველად ნახეს, მის ტანსაცმელსა და გარეგნობაში ძალზე ცოტა რამ შეცვლილიყო. ბოლებიანი სერაპე ისევ მხრებზე ჰქონდა წამოგდებული და ფეხზე კვლავ ვეფხვის ტყავის მაღალყელიანი საცვეთები ეცვა. სხეული ოდნავ წინ გადაეხარა, თითქოს არ უნდა ცხენს ბალახის ძოვაში ხელი შეუშალოსო.

თავი მარცხენა თედოსთან მოუჩანდა. ხოლო ნიკაპი თითქმის მუხლს ეხებოდა. ეს სურათი მხოლოდ მაშინ შეგეძლოთ შეგემჩნიათ, თუ მხედარს მარცხნიდან შეხედავდით და ისიც მაშინ, თუ თავს წამოსასხამი არ უფარავდა.

ხანდახან სახესაც მოჰკრავდით თვალს. ნაკვთები ლამაზი ჰქონდა, მაგრამ ამასთანავე ძალზე საშინელი. უთავო მხედარი გამომეტყველებითაც იქცევდა ყურადღებას. ტუჩებს სიცოცხლის ფერი აღარ ედო და მის უკან თეთრი კბილების ორი რკალი მოუჩანდა ზედ შემხმარი საშინელი ღიმილით.

მართალია, უთავო მხედრის გარეგნობაში მისი პირველი გამოჩენიდან საგრძნობი ცვლილება არ მომხდარა, მაგრამ რაღაც ახალი რამ მაინც შეინიშნებოდა. აქამდე ის მარტოდმარტო დადიოდა, ახლა კი თანამგზავრებიც გაუჩნდნენ.

ვერ იტყოდით, სასიამოვნო თანამგზავრები არიანო. ესენი იყვნენ კოიოტები, რომლებიც უკან დასდევდნენ უთავო მხედარს, დროდადრო გარს ერტყმოდნენ და მის გარშემო ხტუნავდნენ.

უთავო მხედრის ბედაურს კოიოტების მიახლოება, ეტყობოდა, არ სიამოვნებდა, რადგან მათი მიახლოებისთანავე ტორებს სცემდა და ფთხვინავდა.

მხედარი უფრო გულგრილი ჩანდა არა მარტო კოიოტების, არამედ იმ შავი სვავეების მიმართაც, რომლებიც თავს დასტრიალებდნენ. მაშინაც კი არ გამოუღია ხელი, როცა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაბედული სვავი ზედ დააჯდა.

სვავი სამჯერ დააჯდა უთავო მხედარს. პირველად მარჯვნივ, მეორედ მარცხნივ და მესამედ სწორედ იმ ადგილზე, სადაც თავი უნდა ყოფილიყო!

ფრინველი დიდხანს ვერ შერჩა ამ უცნაურ ადგილს. მართალია, მხედარი უხმოდ იჯდა და ონავარი ფრინველი არ მოუცილებია, მაგრამ მისი ცხენი შედგა ყალყზე და ისეთი საშინელი ჭიხვინი ატეხა, რომ სვავეები ერთიანად დააფრთხო, თუმცა ისინი კიდევ დიდხანს არ მოსცილებიან.

ზემოთ აღწერილი უცნაური სანახაობა, რომელსაც შეიძლება საოცრება ეწოდოს, იმდენად საშინელი იყო, რომ უაზრო ან სულელური იყო, ვერ იტყოდით. არ შეიძლება ადამიანს ენახა და არ შეძრწუნებულიყო, ანდა შიშისაგან ძარღვებში სისხლი არ გაჰყინოდა.

უცქეროდა კი ვინმე სვავეებისა და კოიოტების გარდა?

დიახ, უცქერდა. ეს იყო მთელ ტეხასში ერთადერთი კაცი, რომელმაც უკვე ამოხსნა ეს შემზარავი საიდუმლოება.

მიუხედავად იმისა, რომ უთავო მხედრის დანახვაზე შიშისაგან კანკალებდა და თანაც უნდოდა, არავის შეემჩნია, იგი თან სდევდა მას, თითქოს რაღაც მაგნიტური ძალა იზიდავდა მისკენ.

უფრო მეტიც, სანამ უთავო მხედარი თვითონ კუნძულს შეათარებდა თავს, მღევარმა მანამდე შეამჩნია. მას თავისუფლად შეეძლო, გვერდი აექცია უთავო მხედრისათვის. მაგრამ ამის ნაცვლად, პირდაპირ მისკენ აიღო გეზი.

ვინც კი მღევრის საქციელს დაუკვირდებოდა, ადვილად მიხვდებოდა მის განზრახვას. მღევრის თვალები უთავო მხედარს მიშტერებოდა.

— შეიძლება მოვახვედრო კიდევ, მაგრამ ტყვია იქამდე ძალას ვერ მიატანს და შეიძლება ცხენი არათუ ვერ მოვკლა, მისი დაჭერაც კი ვერ მოვახერხო. მეტი გზა არ არის, უნდა მოვითმინო, სანამ უფრო მომიახლოვდება. თჰ, ეს წყეული კოიოტები! ესენი რომ არ ასდევნებოდნენ, უფრო ახლოს მოვიდოდა. იქნებ მოფერებამ გაჭრას, ჰა! შეიძლება ადამიანის ხმის გაგონებაზე მოახლოვდეს, მაგრამ რალაც შეეჭვება. ეშმაკმა არ იცის, რას ატარებს ზურგით და არც გასაკვირია, რომ ცხენი ასე გაველურდა. აჰ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს რალაც ხრიკი უნდა იყოს, რალაც მამაძაღლური ხრიკი!

ეს რომ თქვა, აღვირი მოზიდა, ცხენი შეაყენა და წინ გადაიხარა, რომ ხეებს შორის უფრო კარგად გაეხედა და უცნაური მხედარი, რომელიც ხეთა კუნძულს უვლიდა გარს, კარგად შეეთვალიერებინა.

— ეს ხომ მისი ცხენია, მისი უნაგირი, მისი სერაპე. ყველაფერი მისი ჩანს. მაშ როგორღა მოხვდა სხვის ხელში? — კვლავ ჩაფიქრდა.

ზებ სტუმპი მცირე ხანს შეჩერდა იმ ადგილას, სადაც გატეხილი ნალის ნაკვალევი აღმოაჩინა.

ექვსი წამი დასჭირდა ნალისა და ნაფეხურის შედარებას და იმის დადგენას, რომ ეს სწორედ იმ ცხენის კვალი იყო, რომელსაც ზების მიერ ჯიბიდან ამოღებული ნალი ეკუთვნოდა. ყოველივე ამას რომ მორჩა, ის სასწრაფოდ წამოდგა და კვალს მიჰყვა. მოხუცი მონადირე ცხენზე აღარ შემჯდარა. ბებერ ფაშატს ხელით ანიშნა, — მომყევო და ისიც მორჩილად მიჰყვებოდა უკან პატრონს საკმაო მანძილით დაცილებული.

ასე გაიარა ერთი მილი. როგორც არქეოლოგი კითხულობს უძველეს წარწერებს და ეს იეროგლიფები მხოლოდ მისთვისაა გასაგები, ასევე ზებ სტუმპი ტრამალზე ამჩნევდა და კითხულობდა ნაკვალევსა და ნიშნებს, რომელსაც მის მეტი ძე-სულიერი ვერ გაარჩევდა.

უცებ მისი სმენა ხმაურმა მიიპყრო. ეს თოფის ხმა იყო, მაგრამ ისე შორეული, რომ მარტო ფისტონის აფეთქებასავით შემოესმა.

ზები ინსტინქტურად შეჩერდა. მალლა აიხედა, მაგრამ წელში არ გასწორებულა. მახვილი მზერა იმ მხარეს მოაწვლო, საიდანაც სროლა გაიგონა. ზებმა შენიშნა, რომ ძალზე შორს ბურთის მოყვანილობის მოლურჯო კვამლი ნელა მიიწევდა ცისაკენ.

— ძალზე უცნაურია თუ მეტი არა ასეთ ადგილზე ნადირობა. მე ფეხდაფეხ მაქვს მოვლილი ხეთა კუნძული და კოიოტების მეტი არაფერი მინახავს. ანკი რით იკვებებიან ეს ნადირები? აჰ, ეს ახალშენიდან ექსკურსიაზე, როგორც თვითონ ამბობენ ხოლმე, წამოსული ვინმე ვაჭრუკანა იქნება. მგონი, აქეთ ვიღაც მოდის. ვიღაც მხედარია და ისე მოაჭენებს, თითქოს უკან თვითონ ეშმაკი მოსდევდეს. რაო, ეს ხომ უთავო მხედარია!

ზებ სტუმპმა მართალი თქვა. ეს ნამდვილად უთავო მხედარი გახლდათ, რომელიც პირდაპირ ზებისაკენ მოეშურებოდა, თითქოს იცოდა მისი ადგილსამყოფელი და მისი ნახვა სურდა.

ამ გულად ადამიანს არც მტრულად მოსული ადამიანისა ეშინოდა და არც მხეცისა, მაგრამ არაბუნებრივი არსების წინაშე უკან დაიხია. ვინც არ უნდა ყოფილიყო მის ადგილას, ამ სიკვდილის ზიარ უთავო მხედრის დანახვაზე შეშინდებოდა.

ზებ სტუმპი არა მარტო შედრკა, ერთიანად აკანკალდა და თავშესაფრის ძებნა დაიწყო.

ეს მანამდე მოხდა, ვიდრე უთავო მხედარი ხმის მისაწვდენ მანძილზე მიუახლოვდებოდა. ან როგორც თვითონ ზები ფიქრობდა, თვალს მოჰკრავდა ამ უკანასკნელს.

იქვე ახლოს ბუჩქნარი შენიშნა და შეშინებულმა ზებ სტუმპმა საჩქაროდ თავი ჩირგვებს შეაფარა.

მაგრამ შესაძლო იყო, ბებერ ფაშატს მისი იქ ყოფნა გაემჟღავნებინა. ამიტომ სანამ თვითონ ჩაიმუხლებდა, წინასწარი ზომები მიიღო.

— დაწეი! — დაუყვირა ფაშატს, რომელსაც, მართალია, ლაპარაკი არ შეეძლო, მაგრამ პატრონის ყოველი სიტყვა მშვენივრად ესმოდა.

ზებ სტუმპმა და მისმა ცხენმა ძლივს მოასწრეს მიმალვა, როცა უთავო მხედარმა გვერდით ჩაურბინა.

უთავო მხედარი მთელი ძალით მიაგელვებდა ცხენს და ეტყობოდა, არც აპირებდა შეჩერებულობას, ამან ზები ძალიან გაახარა. უთავო მხედარი სრულიად შემთხვევით წამოვიდა ზებ სტუმპისაკენ. მას არც ზები შეუმჩნევია და არც მისი საცოდავი ფაშატი. მართალია, მოხუცი მონადირე შეშინებული იყო, მაგრამ სანამ უთავო მხედარი თვალს მიეფარებოდა, მაინც მოასწრო კაგად შეეთვალა იერებინა იგი.

ის, რაც აქამდე ყველასთვის საიდუმლოებას წარმოადგენდა, გებულონ სტუმპისათვის უკვე ნათელი გახდა.

როცა უთავო მხედრის ცხენი იმ ჩირგვებს დაუპირისპირდა, სადაც ზები ჩაიმალა, ქარმა უთავო მხედარს სერაპე აუფრიალა და ზებ სტუმპმა მისთვის კარგად ნაცნობი ხალათი დაინახა. ეს იყო ბამბის ლურჯი, მკერდთან ნაკეცებით განწყობილი ხალათი, რომელიც ახლა წითელი ლაქებით იყო დასვრილი, მაგრამ მონადირემ მაინც შეიცნო იგი.

მაგრამ ზებ სტუმპს ასევე დაბეჯითებით არ შეეძლო ეთქვა, ბარცაყბე დადებული თავი ვიცანო.

თუმცა ეს არც იყო საკვირველი.

თვითონ შვილის უსაზღვრო მოყვარული დედაც კი ვერ იცნობდა ახლა მას.

ზებ სტუმპმაც ვერ იცნო. მან მხოლოდ დაასკვნა, ვისი იყო თავი. ცხენი, უნაგირი, რევოლვერის ბუდე, ლურჯი ხალათი, შარვალი და ასე განსაჯეთ, ქუდიც კი ნაცნობი იყო ზებ სტუმპისათვის. ასევე იცნო მხედრის ტანიც. ალბათ თავიც მისი უნდა ყოფილიყო, თუმცა სახე შეცვლოდა.

— იოსათათ! მაშ სიმართლე ყოფილა! საწყალი ბიჭი მკვდარია, მკვდარი!

ზებ სტუმპი ახლა კი ნამდვილი მხედარი შენიშნა, მხედარი, რომელსაც მხრებზე თავი ჰქონდა.

იგი საკმაო მანძილით იყო დაცილებული ზებისაგან და ეტყობოდა, ბუჩქნარში ერთი წამით წამომდგარი მონადირისათვის თვალი არც მოუკრავს. რა თქმა უნდა, მით უფრო ვერ შენიშნავდა მის ბებერ ფაშატს, რომელიც ბუჩქებში იწვა.

მხედარი ცხენიდან ისე გადმოხრილიყო და ისე ჩაჰკირკიტებდა მიწას, აშკარად ეტყობოდა, საეჭვო არაფერი შეუმჩნევია. არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენდა იმის გამოცნობა, თუ რას ეძებდა ეს უცნაური მხედარი. ყოველ შემთხვევაში, ზებ სტუმპი განზრახვას იმწამსვე მიუხვდა. იგი უთავო მხედრის ნაკვალევს მიჰყვებოდა.

— აჰა! — წაიხურჩხულა ზებმა, — მაშ მართლ მე როდი მაინტერესებს ამ საიდუმლოს ამოხსნა! ნეტავ ვინ უნდა იყოს? აუცილებლად უნდა გავიგო.

ზებს დიდხანს არ დასჭირვებია ცდა, რომ თავისი სურვილი დაეკმაყოფილებინა. რაკი კვალი ახალი იყო და კარგად მოჩანდა, მხედარს ნავარდით მოჰყავდა ცხენი და ბუჩქებში ჩამალულ ზებს უახლოვდებოდა. მალე იგი ისე მიუახლოვდა, რომ ადვილად იცნობდი.

— იოსათათ! — წაიხურჩხულა მონადირემ, — რატომ ამას ადრევე ვერ მივხვდი. და თუ არ ვცდები, ეს იმ ტრამალის წიგნის ერთი შემადგენელი თავი უნდა იყოს, ეს ნამდვილად დამამტკიცებელი საბუთების ძებნაში დამეხმარება. აბა, ჭკვიანად იწევი, — მიმართა მან თავის ბებერ ფაშატს, — თორემ თუ განძრეულხარ, ულაპარაკოდ გამოგჭრი ყელს.

ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, ზები ისევ საფარში ჩაჯდა და იქიდან გაფაციცებით დაუწყო თვალყურის დევნება მისკენ მომავალ მხედარს.

მომავალი მხედარი ისეთი ადამიანი გახლდათ, რომ ერთხელ თუ ნახავდით, ძნელად დაგავიწყდებოდათ. ოცდაათი წლისა ძლივს იქნებოდა, მაგრამ სახეზე აშკარად აღბეჭდოდა ბოროტი ვნებების კვალი. ახლაც რაღაც ისეთი საზრუნავი გასჩენოდა, რომ შეშინებულნი ჩანდა. ეტყობოდა, ეს ზრუნვა და შიში კარგა ხანია, სტანჯავდა, თუმცა იმედი ჰქონდა, რომ მისგან მალე დაიხსნიდა თავს.

ზებ სტუმპში მანამდე გაჰყურებდა კოლჰაუნს, სანამ ეს უკანასკნელიც იმ ადგილას არ გაუჩინარდა, სადაც უთავო მხედარი მიეფარა თვალს.

მონადირეს თავში მრავალი ახალი აზრი დაებადა. დიდი მახვილგონიერება იყო საჭირო, რომ ყოველივე კარგად აეწონ-დაეწონა და გადაწყვეტილება მიეღო.

ზებს ბევრი აღარ უფიქრია, გადაწყვიტა, კასიუს კოლჰაუნს დასდევნებოდა.

* * *

მაგრამ თავის სიცოცხლეში ზებიც შეცდა ერთხელ. იგი შეცდომას მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა იმ აკაციებს შემოუარა გარს, რომლის იქით წინ მიმავალი მხედრები გაუჩინარდნენ.

ამას იქით გადაჭიმული იყო ცარციანი ტრამალი, რომლის გავლა უთავო მხედარს უკვე მოესწრო.

ზებ სტუმპში ამას კოლჰაუნის საქციელმა მიახვედრა. სამსახურიდან გადამდგარი მოხალისეთა კაპიტანი აქეთ-იქით აწყდებოდა და უთავო მხედრის დაკარგულ კვალს დაეძებდა, როგორც პოინტერი დაეძებს ხოლმე ნამკალში კაკაბს.

ზებ სტუმპში აკაციებს მოეფარა და კოლჰაუნის აღმა-დაღმა სიარულს მალულად უთვალთვალებდა.

კოლჰაუნის ყოველივე ცდა, როგორმე ეპოვა კვალი, მარცხით დამთავრდა. ცარციანი ტრამალი უტყვი აღმოჩნდა; ყოველ შემთხვევაში, ისეთი გამოუცდელი ადამიანისათვის, როგორც კოლჰაუნი იყო.

კარგა ხნის ყიალის შემდეგ, ეტყობა, კოლჰაუნმა განზრახვაზე ხელი აიღო, ცხენს დეზი ჰკრა და ლეონასაკენ გაჰქუსლა.

როგორც კი კოლჰაუნი გაუჩინარდა, ახლა გებმა განაგრძო კვალის ძებნა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი ხელოვნება, ცოდნა და გამოცდილება შიგ ჩააქსოვა, მაინც ვერაფერს გახდა.

ცარციან ტრამალს მზე აცხუნებდა და ანარეკლი მზის სხივები თვალს ისე სჭრიდა, შეუძლებელი იყო რაიმე გაგერჩიათ. ამ დროს მხოლოდ სალამანდრას თუ შეუძლია მზეს ან მის ანარეკლ სხივებს გაუსწოროს თვალი.

მზის შუქისაგან თვალებმოჭრილმა მონადირემ გადაწყვიტა, უკან დაბრუნებულიყო და ისევ იმ ნაკვალევს მიჰყოლოდა, რომელსაც მხედრების გამოჩენამდე ადგა.

გებ სტუმში ერთგან შეჩერდა იქ, სადაც ნაკვალევს კიდევ ორი სხვა ნაკვალევი უერთდებოდა. ამ ადგილიდან სამი ცხენის კვალი ერთმანეთისაგან ასე ოციოდე იარდის დაშორებით ხან პარალელურად მიემართებოდა და ხან კი ერთმანეთს ემთხვეოდა.

ეს ცხენებიც ნალგატეხილი ცხენივით დაჭედნილები უნდა ყოფილიყვნენ, მონადირე ისევ შეჩერდა, რომ მათი ნაფეხურები კარგად დაეთვალიერებინა. ფლოქვების კვალის მიხედვით, გებ სტუმპმა დაასკვნა, რომ ერთი მათგანი ამერიკული ცხენი უნდა ყოფილიყო, მეორე კი მუსტანგი. ეტყობოდა, მუსტანგი ულაცი იყო და ძალიან დიდი ზომისაც, რადგან მისი ფლოქვების ნაკვალევი ამერიკული ცხენის ფლოქვების ნაკვალევს უტოლდებოდა.

სამივე ცხენს სხვადასხვა დროს სათითოდ გაეწლო ერთი და იგივე ადგილი, სადაც ამჟამად გებ სტუმში იდგა.

რა ფიქრები უტრიალებდა ამჟამად თავში, ვერავინ გაიგებდა, რადგან არაფერი უთქვამს, გარდა უბრალო წამოძახილისა: — „ძალიან კარგი!“ სახეზე ეტყობოდა, რომ ნაკვალევმა სიამოვნება მოჰგვარა.

— რომელ ნაკვალევს გავყვე პირველად? თუ ამ ორ ნაკვალევს მიყვები, მიმიყვანენ იქ, სადაც სისხლის ტბორი იდგა. აბა, ვნახოთ, მესამე ნაფეხურებიც იქით ხომ არ მიდის. მარჯვნივ გადმოუხვიე, ჩემო ბებერო, — მიმართა მან ცხენს, — და უფრო ახლოს მომყევი, თორემ დამეკარგები და შენი ცხიმიანი ხორციით კოიოტები გამოძლებიან. ჰი, ჰი, ჰი!

თავისი ბებერი ფაშატისადმი მიმართვა სიცილით დაასრულა, მერე ისევ ნალგატეხილი ცხენის ნაკვალევს მიჰყვა. ნაკვალევი ტყის პირს მიჰყვებოდა და განაკაფ ზოლამდე აღწევდა. სამივე ცხენის ნაფეხურები სწორედ ამ განაკაფ ადგილს უახლოვდებოდა. ნალგატეხილი ცხენის ნაფეხურები კი განაკაფი ზოლიდან ორასი იარდით ტყის სიღრმეში უხვევდა. ორმოცდაათიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, ზებ სტუმპმა ის ადგილი იპოვა, სადაც ნალგატეხილი ცხენი ხეზე მიეხათ. ამას იქით კი ცხენის ნაფეხურები აღარსად ჩანდა. ამ ადგილიდან ნალგატეხილი ცხენის ნაკვალევი პირდაპირ ტრამალისაკენ მიემართებოდა, მაგრამ ეტყობოდა, ტრამალზე იმავე გზით აღარ დაბრუნებულა, რომლითაც ტყის განაკაფ ზოლამდე მივიდა.

ცხენი რომ ხეზე მიეხა და პატრონი ქვეითად წასულიყო, ამას სანახევროდ დამშრალი ნაკადულის ადგილას მის მიერ დატოვებული გამხმარი ნატერფლები ადასტურებდა.

ზებ სტუმპმა თავისი ბებერი ფაშატი იმ ადგილას დასტოვა, სადაც წინათ ნალგატეხილი ცხენი მიეხათ, თვითონ კი ახალ ნაფეხურებს ჩაუდგა კვალში. მალე მან აღმოაჩინა, რომ ეს ნაფეხურები ჯერ ტყის განაკაფი ზოლისაკენ მიდიოდა და მერე უკანვე ბრუნდებოდა. ზები ტყის ზოლისაკენ მიმავალ ნაფეხურებს მიჰყვა.

ძველ მონადირეს სრულიად არ გაჰკვირვებია, როცა ამ ნაფეხურებმა იმ მხარეს წაიყვანეს, სადაც წინათ სისხლის ტბორი იდგა, რომელიც კოიოტებს აელოკათ.

ნაფეხურები ზებ სტუმპს ალბათ პირდაპირ სისხლის ტბორამდეც მიიყვანდა, მაგრამ ახლა იქაურობა ასი ცხენის ფლოქვებით მაინც იყო გადაჯეგილი.

სანამ ამ ადგილს გასცილდებოდა, ზებ სტუმპმა კიდევ ერთი ახალი ნიშანი აღმოაჩინა და კარგად დააკვირდა. მან შენიშნა, რომ ხშირ ბუჩქნარში ვიღაც კარგა ხანს მდგარიყო. იმ ადგილას ბუჩქებს ქვეშ ბალახი საერთოდ არ ამოდის და ფხვიერი მიწა კი დატკეპნილი და მოსწორებული ჩანდა.

აქედან ნაფეხურები იმ ადგილისაკენ მიდიოდა, სადაც წინათ სისხლის ტბორი იდგა და იქიდან უკანვე მოემართებოდა. ბუჩქნარში სტუმპა შენიშნა ხის ტოტზე შერჩენილი რაღაც ქალაღდი, რომელიც არა მარტო მდევრების, არამედ მათი მეგზურისა და მეკვლის — სპენგლერის თვალსაც მხედველობიდან გამორჩენოდა. ეს იყო ნახევრად დამწვარი, ჩაშავებული ქალაღდი, რომელიც თოფის გასროლის შედეგად, თოფის დამცლელის მასრიდან უნდა ამოვარდნილიყო.

ეს ქალაღდის ნაგლეჯი თეთრი აკაცის ტოტზე ეკალს შერჩენოდა. ქარისა და წვიმისაგან მაგრად მიწებებული ქალაღდის ნაგლეჯი ძველმა მონადირემ აკაცის ეკლიდან ჩამოხსნა, ხელის გულზე გაშალა და არა მარტო გვარისა და სახელის, სამხედრო ჩინის აღმნიშვნელი ინიციალებიც ამოიკითხა. ეს იყო მისთვის კარგად ცნობილი „კ.კ.კ.“.

35 - კიდევ ერთი საბუთი

ნახევრად დამწვარი ქალაღდის ნაგლეჯზე რომ ინიციალები ამოიკითხა, ზებ სტუმპი უფრო ნასიამოვნები ჩანდა, ვიდრე გაკვირვებული.

— ეს ხომ კონვერტის ნაგლეჯია, მე მგონი, ეს უფრო მეტი რამის მთქმელია, ვიდრე ის, რაც ალბათ წერილში ეწერა. ალბათ მასრამი

ტყვიის ტიზად მერე ჩატენა! ისე კი, ეს ინიციალები ქალის ხელით უნდა იყოს დაწერილი, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. წერილი მისთვის გაუგზავნიათ და მას ეკუთვნის. ეს კარგად უნდა შევინახო.

ეს რომ თქვა, ზებმა ტყავის მომცრო საფულე ამოიღო, რომელშიც ფთილა, კვესი და აბედი ჰქონდა შენახული. მათ გვერდით ის ქალადის ნაგლეჯი მოათავსა და ისევ ჯიბეში ჩაიდო.

მას შემდეგ, რაც ნაკვალევი დაათვალიერა, ზებს შეეძლო არა მარტო დღე განესაზღვრა, როდის გაველოთ ამ ადგილას ცხენებს, არამედ ის საათიც შეეძლო ზუსტად დაედგინა, როცა ეს ამბავი მოხდა. მაგრამ ახლა ეს საჭირო აღარ იყო. ზებმა იცოდა, რომ ეს მაიორის მიერ მეგზურად დანიშნული სპენგლერისა და მისი ჯგუფის მიერ დატოვებული ცხენების ნაკვალევი იყო.

ის იყო, ზები შემოტრიალდა და მინდვრიდან წასვლას აპირებდა, რომ გონებაში რაღაც სხვა აზრმა გაუელვა.

— თუმცა რა, ახალშენისაკენ მიმავალი არამზადის ნაკვალევს, როცა მინდა, მაშინ გავყვები, ხომ კარგად ვიცი, რომ ეს ნაკვალევი კასა დელ კორვოს საჯინიბოში მიმიყვანს.

მაგრამ რაკი აქა ვარ, ამ მეორე ნაკვალევის მიტოვება არ ღირს. შეიძლება დამატებით ერთი ათი მილის გავლაც მომიწიოს, მაგრამ ჯანდაბას, მცირე მანძილზე მაინც გავყვები ნაფეხურებს. ჩემი ბებერი ფაშატი მოიცდის, სანამ დავბრუნდებოდე.

ეს რომ თქვა, სპენგლერისა და მისი ჯგუფის ნაკვალევს მიჰყვა. თუმცა მათ ნაკვალევს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არც აქცევდა. მისი თვალეები ჰენრი პოინდექსტერის ცხენის ნატერფალებს დაშტერებოდა. მართალია, სპენგლერის ჯგუფს ეს ნაკვალევი გადაეთქერა, მაგრამ ზებ სტუმპის გამოცდილ თვალს მისი ამოცნობა მაინც არ უჭირდა.

როგორც ზებ სტუმპმა შენიშნა, სპენგლერი და მისი ჯგუფი არსად არ შეჩერებულან და არც გზიდან გადაუხვევიათ, მაშინ როცა ჰენრი პოინდექსტერის ცხენი ბილიკიდან გადასულიყო.

ეს ხეივნიდან სამი მეოთხედი მილის მოშორებით მომხდარიყო.

მონავარდე ცხენი კი არ შეჩერებულა, არამედ ბილიკიდან გადა-
ეხვია, თითქოს მგლის, ვეფხვის, ან სხვა რომელიღაც მხეცის დანახ-
ვისა შეშინებოდა.

ცხენს მხოლოდ ამ ერთ ადგილას გაემრუდებინა გზა. იმას იქით
კი ვუდლი პოინდექსტერის პლანტაციებამდე ნავარდით ველო.

ზებ სტუმპი უფრო ცნობისმოყვარე აღმოჩნდა და შეჩერდა. ეს
იყო ხრიოკი, წვრილი კენჭებითა და სილით დაფარული მიწის ზო-
ლი. ეს ადგილი უზარმაზარ ხეს თავისი ჰორიზონტალურად გაშლი-
ლი ტოტებით დაეჩრდილა. ერთი მოზრდილი ტოტი ისე დაბლა დახ-
რილიყო, რომ მის ქვეშ ცხენოსანი წელში მოუხრელად ვერ გაივლი-
და. ზებ სტუმპის ყურადღება სწორედ ამ ტოტმა მიიქცია. ერთ ადგი-
ლას ხეს ქერქი გასცლოდა. მართალია, კანგაცლილი ადგილი დიდი
არ იყო, მაგრამ აშკარად ჩანდა, იგი რაღაც მაგარი საგნის შეხებას
უნდა გამოეწვია.

— ეს ადამიანის თავის დარტყმის შედეგი უნდა იყოს, — დაასკვნა
ზებ სტუმპმა, — ბილიკის იმ მხარეს, სადაც ტოტდაზნექილი ხე იდგა,
მხედარს უნდა გაეფლო, მეორე მხარეს კი იგი უკვე ცხენზე აღარ იქ-
ნებოდა, რადგან თავის დარტყმის შედეგად დაბლა ჩამოვარდებო-
და. ასეთი დარტყმის შემდეგ ცხენს ვერც ერთი ადამიანი ვერ შერჩე-
ბოდა. აი, სად დაცემულა ჩამოვარდნილი მხედარი, ამას იქით კი
ფორთხვით წასულა. ახლა კი შემოძლია ვთქვა, საიდან გაჩნდა ის ვე-
ებერთელა კოპი, რაც საგონებელში მაგდებდა. ვიცოდი, რომ იგი
არანაირი მხეცის კლანჭებისაგან არ იყო მიყენებული. არც ჯოხის
დარტყმისა და ქვის მოხვედრით გამოწვეულ კოპს არ მიაგავდა. აი,
ამ ტოტის შედეგი კი ყოფილა.

გამარჯვებული ადამიანის სახითა და მსუბუქი ნაბიჯებით გაუყვა
ზები ხოხვით მიმავალი ადამიანის კვალს.

შეიძლება ამ ადგილებში აქამდე ადამიანს ფეხიც არ დაედგა,
მაგრამ მოგეხსენებათ, ზებ სტუმპი მეგზურს არ საჭიროებდა, იგი ისე

თავისუფლად მიაბიჯებდა, თითქოს სანიშნო სვეტების მიერ ნაჩვენები გზით მიდიოდა. მხოლოდ ერთ მხარეს მოგრეხილი ხის ტოტები, გაქედილი, ერთ მხარეს გადაწვენილი ბალახი და მიწაზე დატოვებული ნაკვალევი აშკარად ამტკიცებდა, რომ აქ ადამიანს ეფორთხა.

ზებ სტუმპმა ამ ნაკვალევს ნაკადულამდე ჩასდია.

ამას იქით წასვლა საჭირო აღარ იყო. თავისი კვლევა-ძიების ჯაჭვს მან ერთი რგოლი კიდევ მოუმატა. ცოტაც და მთელი საიდუმლოების გასაღები მის ხელთ იქნებოდა.

36 - ცხენების გამოცვლა

ცარცის ტრამალზე უთავო მხედრის კვალი რომ დაკარგა და ვერაფერს გახდა, შუბლშეჭმუხულმა და ცხვირჩამოშვებულმა კოლჰაუნმა ერთი ლაზათიანად შეიგინა და უკან გაბრუნდა.

— წინ წასვლას არანაირი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია! ეშმაკმა იცის, საით წავიდა. ნეტავ კიდევ გამიღიმებს ბედი, რომ სადმე შევხვდე? თუ უკან წავალ და ისევ მდინარესთან შევხვდები, თორემ სხვა გზა არა რის, თუმცა რა, ცხენი სასროლ მანძილზე არ მიკარებს, თითქოს იმ წყეულმა იცოდეს, რა განზრახვაც მიდევს გულში! ალბათ მუსტანგერმა თუ გაწვრთნა ასე. თუ სადმე წამოვეწიე, მარჯვე გასროლა და უთავო მხედრის ხეტიალსაც ბოლო მოეღება, — ეტყობა, მიპარვა შეუძლებელია. ჩემი მოუქნელი ცხენით კი მისი დაწევა წარმოუდგენელია. — ეჰ, ისეთი ცხენი რომ მაშოვნინა, იმ მუსტანგს დავეწეოდე, ფულს არ დავიშურებდი. ახალშენში ალბათ იქნება კიდევ ასეთი ცხენი. როცა დავბრუნდები, უნდა მოვიკითხო. თუნდაც ორასი ან სამასი დოლარი დამიჯდეს, არა უშავს.

თავის თავთან საუბარი რომ დაამთავრა, კოლჰაუნმა ცარცის ტრამალიდან ცხენი მოაბრუნა და უკან გამოსწია.

საათზე ნაკლებ დროში კოლჰაუნი უკვე მეგვიტოს აკაციებს ხეივანს მიაღდა, პოინდექსტერის მამულს რომ ერტყა.

აქ კოლჭაუნისათვის კარგად ნაცნობი ბილიკი გადიოდა. სხვა ცხენზე ამხედრებულს მას წინათაც გაეწვლო იმ ადგილას. როცა კოლჭაუნმა კარგა ხნის გვალვისაგან ამომშრალი ნაკადულის ვალაპოტში ნალგატეხილი ცხენის კვალი შეამჩნია, გაოცებისაგან შეჩერდა. ნაკვალევი ისე ჩანდა, შვიდი, რვა დღის წინათ დანატოვარი უნდა ყოფილიყო. კოლჭაუნს ამის ამოცნობა არ სჭირდებოდა, იგი საათსა და წუთსაც კი გეტყოდათ, როდის დატოვა მისმა ქურანმა ეს ნაფეხურები.

იგი სულ სხვა აზრით გადმოიხარა ცხენიდან. გაკვირვება და ცრურწმენა აირია მის გონებაში. ნაკვალევი ისე აშკარად მოჩანდა, თითქოს წინა დღის დანატოვარი ყოფილიყო. ბუნების მოვლენებს ვერ გაენადგურებინა ნაფეხურები, პირიქით, თითქოს კოლჭაუნის მამხილებელ საბუთად ხელუხლებლად დაეტოვებინა იგი.

კოლჭაუნი ცხენიდან ჩამოხტა, რომ ნაკვალევი წაეშალა. თუმცა უმჯობესი იყო, ასე არ მოქცეულიყო, საკუთარი თავი არ გაეცა და არ გაემჟღავნებინა, რომ ნალგატეხილი ცხენის ნაფეხურების წაშლით იყო დაინტერესებული. კოლჭაუნს უკან ისეთი ადამიანი მოჰყვებოდა, რომლის მახვილ თვალს ასეთი რამ არ გამოეპარებოდა.

კოლჭაუნი ცხენს მოახტა და თან ფიქრობდა, როგორი წინდახედული, ეშმაკი და მოხერხებული ვარო.

მისი ფიქრები ცხენის ფეხის ხმამ შეწყვიტა, თუმცა ბუჩქნარში ცხენი არ ჩანდა.

ფლოქვების თქარუნის ხმა ახლოვდებოდა. ცხენის ფეხის ხმა ისე მძიმედ და გამოთვლილივით გაისმოდა, რომ ეტყობოდა, მასზე მხედარი იჯდა.

კოლჭაუნი ისიდორასათვის ის ადამიანი იყო, რომელსაც მისი საძულველი მეტოქე უყვარდა. ისიდორაში კი კოლჭაუნი იმ ადამიანს ხედავდა, რომელსაც უზომოდ უყვარდა მორის მუსტანგერი, ის, ვინც კოლჭაუნს ჭირივით ეზიზღებოდა და მზად იყო, თუკი ამას შესძლებდა, გაენადგურებინა კიდევ.

ერთმანეთის შესახებ ასეთი ცნობები ზოგი გადმოცემით იცოდნენ და ზოგიც საკუთარი თვალთ ენახათ. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეს ორი ადამიანი საკმაოდ უცნაურ გარემოებაში მეორედ ხვდებოდა ერთმანეთს. ერთიმეორის უიღბლო სიყვარულზე ორივემ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ორივე იმედოვნებდა, ჩემზე არაფერი იცისო.

ისიდორას კარგად ახსოვდა, რით დამთავრდა ყოველივე, ინდიელებად გადაცმული თეთრკანიანები რომ დაედევნენ. მან იცოდა, რამდენი რამ ითქვა მასზე, საშველად ნახმობ ტუხასელებს ადგილზე რომ აღარ დაუხვდა, მაგრამ მას საამისო მიზეზი ჰქონდა, რომლის გამხელას არავისთან არ აპირებდა. ახლა ეშინოდა, მისკენ მიმავალ კოლჭაუნს არ ეკითხა, მაშინ რატომ გაუჩინარდითო.

ისიდორას უნდოდა, თავი ოდნავ დაეკრა კოლჭაუნისთვის და ისე ჩაეველო გვერდით. ალბათ კოლჭაუნიც ასევე მოიქცეოდა, რომ თავში რაღაც ახალი ამრი არ დაჰბადებოდა.

ისიდორას თვალისმომჭრელი სილამაზის მიუხედავად, კოლჭაუნს აზრადაც არ მოსვლია ქალს გაარშიყებოდა.

მას ასეთ ამბავზე სულაც არ უფიქრია, როცა შუა ბილიკზე ცხენი შეაყენა, ქუდი მოიხადა, ქალს თავაზიანად მიესალმა და გამოეღაპარაკა.

ისიდორა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ საუბრისაგან თავის დაღწევა აღარ შეეძლო.

— მაპატიეთ, სინიორიტა, მე ვიცი, გზის მოჭრა ძალიან ცუდი საქციელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამას უცნობი სჩადის, როგორც თქვენთვის ამ შემთხვევაში მე გახლავართ.

— ბოდიშის მოხდა საჭირო არაა, სინიორ. თუ არ ვცდები, ჩვენ წინათაც შევხვედრივართ ერთმანეთს, აი იქ, ნუესას ნაპირთან ახლოს, ტრამალზე.

— მართალია, მართალი! — ენის ბორძიკით თქვა კოლჭაუნმა, რომელსაც მაინცდამაინც არ გახარებია იმ შემთხვევის გახსენება,

— მე იმ შეხვედრაზე კი არა, თქვენს უცნაურ გაუჩინარებასა და ჩვენს გაოცებაზე მინდოდა მეთქვა ორიოდ სიტყვა.

— იქ გასაოცარი არაფერი მომხდარა, კაბალიერო! ტყვიამ, რომელიც თქვენებმა ესროლეს ჩემს მდევერებს, ისინი ჩამომაცილა. მე დავინახე, როგორ გაბრუნდნენ უკან და ჩემი გზით წავედი.

მართალია, ისიდორამ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, მაგრამ კოლჰაუნს ეს არ სწყენია. მას სულ სხვა რამის თქმა სურდა და ეჭვი არ ეპარებოდა, წარმატებასაც მიაღწევდა.

იგი ისეთი თვალეებით შეჰყურებდა ისიდორას ცხენს, მისთვის რომ შეგეხედათ, აუცილებლად მიხვდებოდით, რაღაც სურს უთხრას ამ პირუტყვზე.

— თქვენი ისეთი უეცარი გაუჩინარება მარტო მე არ გამკვირვებია, სინიორიტა! პირიქტ, მე ვიცი, რომ თქვენ საამისო მიზეზი გექნებოდა. მაგრამ როცა დავინახე, როგორ მოაჭენებდით ცხენს, მართალი გითხრათ, აღარც შემშინებია და ვფიქრობდი, სამშვიდობოს თავისუფლად გახვიდოდით. მერედა, რა ცხენი გყავდათ! მგონი, ნავარდით მოდიოდა კი არა, მოფრინავდა! ახლა რომ ზიხართ, ეგ ის ცხენი გახლავთ, არა? მაპატიეთ, რომ ასეთ წვრილმანებზე გაწუხებთ.

— ის გახლავთ? მოიცათ, მოვიგონო. მე ცხენებს ძალიან ხშირად ვიცვლი, მაგრამ იმ დღეს კი, მგონი, ეს იყო. დიახ, დიახ, ახლა გამახსენდა, სწორედ ეს იყო. ეს წყეული იყო იმ დღეს, რომ გამცა.

— მაინც, როგორ გაგცათ?

— ჭიხვინით. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეჭიხვინა. მას საკმაოდ კარგა ხანს წვრთნიდნენ და ასწავლიდნენ, რომ ასეთი რამ არ შეიძლება. მაგრამ არა უშავს. ჯერ მივიყვანო რიო გრანდეში, მერე ზედ აღარც შევვადები. წავიდეს და იალალზე ეგდოს.

— მაპატიეთ, სინიორიტა, რომ ასეთ რამეზე გელაპარაკებით, მაგრამ ეს ამბავი ძალიან საწყენია.

— რა არის საწყენი?

— რომ ასეთი შესანიშნავი ცხენი იალალზე უნდა ძოვდეს, მაშინ როცა მე მზად ვარ, მასში დიდი საფასური გავიღო.

— თქვენ ხუმრობთ, კაბალიერო. ეს ჩვეულებრივი მუსტანგია და მეტი არაფერი. მხოლოდ ისაა, რომ შეიძლება სხვა მუსტანგებზე ოდნავ ლამაზია და სწრაფი. მამას ხუთი ათასი ასეთი მუსტანგი ჰყავს. მათ შორის ამაზე ლამაზი და სწრაფი ძალიან ბევრია. ეს ამტანია და ამიტომ, რომ ამაზე ვჯდები. ახლა რომ რიო გრანდემდე წასასვლელი არ ვიყო, ამას ან თქვენ განუქებდით, ან ვისაც მოეწონებოდა. აბა, ჩემო ცხენო, ჭკვიანად იყავი, შენ წინ ის ადამიანია, ვინც ჩემზე მეტად გაფასებს.

ამ სიტყვებით მიმართა ისიდორამ მუსტანგს, რომელიც პატრონით მოუთმენლად ელოდა საუბრის დასასრულს.

კოლჰაუნი, ეტყობოდა, საუბრის დამთავრებას არ ჩქარობდა, ყოველ შემთხვევაში, ასე არ უნდოდა მისი დასრულება.

— მაპატიეთ, სინიორიტა, თუკი არაფრად მიგაჩნიათ თქვენი მუსტანგი, მე სიამოვნებით გაგიცვლით ჩემს ცხენში. მართალია, ჩემი ცხენი არც ისეთი ლამაზია, მაგრამ ტეხასელი ჩარჩ-დალალები მასში საკმაოდ დიდ თანხას მაძლევდნენ. ისიც მართალია, იგი სწრაფ-მავალი არაა, მაგრამ რიო გრანდემდე მშვიდობით მიგიყვანთ.

— რა თქვით, სინიორ! — წამოიძახა განცვიფრებულმა ისიდორამ, — მზად ხართ, გაცვალოთ თქვენი შესანიშნავი ამერიკული ცხენი მექსიკურ მუსტანგში? იცით თუ არა, რომ რიო გრანდემი თქვენს ცხენში სამ და შეიძლება ექვს მუსტანგსაც მისცემენ?

კოლჰაუნმა ყოველივე ეს კარგად იცოდა.

მისდა საბედნიეროდ, ისიდორას აზრდაც არ მოსვლია, ფული გამოერთმია კოლჰაუნისთვის. თუმცა ისიდორაზე ვერაფერ იტყოდა, ფულის მოყვარულიაო. მამამისს საკუთარ იალალებზე ხუთი ათასი ცხენი დაუდიოდა და რატომ უნდა ეთქვა უარი ასეთ მცირე თხოვნაზე ადამიანისათვის, თუმცა ეს ადამიანი მისთვის უცნობი გახლდათ და შეიძლება მტერიც გამომდგარიყო.

ისიდორას უარი არც უთქვამს.

– თუ თქვენ გულწრფელად გსურთ გაცვლა, სინიორ, დიდი სიამოვნებით, – თქვა მან.

– ნამდვილად გულწრფელად გთხოვთ, სინიორიტა.

– მაშ ინებეთ ჩემი ცხენი! – უთხრა ისიდორამ და ცხენიდან ჩამოხტა. უნაგირების გაცვლა არ მოხერხდება, თქვენი ძალიან დიდია.

კოლჭაუნი ისეთი კმაყოფილი დარჩა, რომ მადლობის სათქმელად სიტყვა ვერ იპოვა. იგი სასწრაფოდ ჩამოხტა ცხენიდან, ჯერ ისიდორას მიეშველა უნაგირის მოხსნაში და მერე კი თავისი უნაგირი მოხსნა.

შეთანხმებიდან ხუთ წუთსაც არ გაეგლო, რომ ცხენები გაცვალეს, ხოლო უნაგირები და აღვირები კი პატრონებმა თავ-თავიანთი დაიტოვეს.

ისიდორას ეს ამბავი როგორღაც სასაცილოდ ეჩვენებოდა და თავს ძლივს იკავებდა, რომ არ გადაეხარხარა.

კოლჭაუნი კი ამ გაცვლით ძალიან სერიოზულ მიზანს ისახავდა.

მეტი აღარაფერი უთქვამთ, ისე დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ისიდორამ გეზი რიო გრანდესაკენ აიღო და ამერიკული ცხენით გაემგზავრა. კოლჭაუნმა კი კასა დელ კორვოსაკენ გასწია.

37 - დაულალავი მღევარი

ზებს დიდი ხანი არ დასჭირვებია იმ ადგილამდე მისასვლელად, სადაც ცხენი დააბა. მოხუცი მონადირე ადგილმდებარეობას მშვენივრად იცნობდა და თუ აქამდე ხოხვით მიმავალი ადამიანის კვალს წრიულად მიჰყვებოდა, ახლა გზა პირდაპირ გადაჭრა და თავის ცხენთან გაჩნდა.

ზებ სტუმპი კვლავ ნალგატეხილი ცხენის ნაფეხურებს ჩაუდგა კვალში. მას სრული იმედი ჰქონდა, რომ ნაკვალევი პირდაპირ ჰასიენდა კასა დელ კორვოში მიიყვანდა. ზები ახლა რიო გრანდედან

ფორტ ინჯისაკენ მიმავალ გზას მიჰყვებოდა. გზა ნახევარი მილის სიგანის მაინც იქნებოდა. ტეხასში ეს ჩვეულებრივი ამბავია, რადგან თითოეული მგზავრი, როგორც მოესურვება, ისე დადის და მხოლოდ იმას ცდილობს, საერთო მიმართულება არ დაკარგოს.

ნალგატეხილი ცხენის ნაკვალევი გზას ნაპირ-ნაპირ მიჰყვებოდა და ფორტ ინჯამდე ოთხი თუ ხუთი მილის დაშორებით პოინდექსტერის მამულისაკენ უხვევდა. ზებ სტუმპი დარწმუნებული იყო, ნაკვალევი პირდაპირ კასა დელ კორვოსაკენ მიემართებოდა და მიწას აღარც დაჰყურებდა. ისე სწრაფად მიჰყავდა ცხენი, თითქოს გზის მაჩვენებელ სვეტებს უყურებს და წინ ისე მიიწევსო.

ზებ სტუმპი ცხენზე ჯდომას ფეხით სიარულს ამჯობინებდა, მაგრამ ახლა ტყეში ამდენი სიარულისაგან ისე გასავათებულებოდა, რომ ცხენზე ჯდომა ირჩია. კვალის დაკარგვისა სულაც არ ეშინოდა, მაგრამ ხანდახან მაინც დაიხედავდა ხოლმე დაბლა, იქნებ ახალი რამ შევნიშნო და არაფერი გამომეპაროსო. ასე მიაგელვებდა თავის ფაშატს მოხუცი მონადირე და მალე პოინდექსტერის მამულს ერთ მილზე მიუახლოვდა. აკაციების კენწეროებს ზემოთ პოინდექსტერის ბანიანი სახლის მოჩუქურთმებული მოაჯირი გამოჩნდა. უეცრად წინ, მიწის ზედაპირზე, რაღაც შენიშვნა და შეჩერდა. ცხენიდან ჩამოხტა, აღვირი ცხენს კისერზე გადააცვა და წინ ფეხით წავიდა.

ცხენი არ შეჩერებულა, ისიც ფეხდაფეხ მიჰყვა პატრონს. ეტყობოდა, ამრიგად იყო გაწვრთნილი და პატრონის ახირებული ხასიათი ზედმიწევნით იცოდა.

ცოტა რომ გაიარა, ბუჩქნარში ამოჰყო თავი და ისე უეცრად შეჩერდა, თითქოს გაუვალ ეკლიან ბარდნარს გადააწყდაო, სადაც ვაცი და ცხენი ვერ გაივლიდა.

მაგრამ არა, ბარდნარს არ შეუჩერებია იგი. ბილიკი წინ შესანიშნავად ჩანდა, თანაც შიშველ ადგილზე გადიოდა და ზებ სტუმპი იძულებული გახდა, შეჩერებულიყო.

ეს გზა დაბლა ეშვებოდა ფერდობისაკენ, რომელსაც პატარა ნაკადულის კალაპოტი მიუყვებოდა. ნაკადული დამშრალიყო და აქაიქ ერთმანეთისაგან კარგა დაშორებით პატარ-პატარა გუბეები იდგა. ნაკადულის კალაპოტში ისეთი ნაფეხურები მოჩანდა, ეტყობოდა, ვილაცას ქვეითად ევლო, ცხენი კი აღვირით ეტარებინა.

ცხენის ნაფეხურების განლაგებაში არაფერი იყო საოცარი და უჩვეულო. ეტყობოდა, პირუტყვი მორჩილად მისდევდა პატრონს.

მაგრამ ადამიანი? — ნაფეხურების მიხედვით მისი მოძრაობა თავგზას აუბნევდა კაცს.

მაგრამ ზებ სტუმპი რაღა ძველი მონადირე და ალლოიანი გზის მკვლევრი იქნებოდა, თუ ასეთი რამ ჩააგდებდა საგონებელში.

იგი თითქმის იმწამსვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ნალგატეხილი ცხენის ნაკვალევის წაშლა უცდია! ტყუილად გარჯილხარ, მისტერ კოლჰაუნ. არაფერი გამოვა. ცხენის ნაფეხურების წაშლა გიცდია, მაგრამ საკუთარი ნაკვალევი კი დაგიტოვებია და მას თუნდაც ჯოჯოხეთამდე ჩაყვები. როცა ზებ სტუმპმა ეს სიტყვები წარმოთქვა, კოლჰაუნი, ვისი მისამართითაც იყო იგი ნათქვამი, თავის საქმეს მორჩა, კვლავ ცხენს მოახტა და კასა დელ კორვოსკენ გასწია.

მონადირე ახლა წინ თავისუფლად მიდიოდა. ეტყობოდა, ჰასიენდა კასა დელ კორვომდე შეჩერებას აღარ აპირებდა.

მაგრამ ზებ სტუმპი შეცდა. ან ვის შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ კასიუს კოლჰაუნი და ისიდორა კოვარუბიო დე ლოს ლანოს შემთხვევით შეხვდებოდნენ ერთმანეთს?

მართალია, ზები განცვიფრებული დარჩა მათი შეხვედრით, მაგრამ ძველმა მონადირემ იფიქრა, რომ დამინახონ, არ ივარგებსო და სამალავში დარჩა. იგი ახლა უფრო ფრთხილად იქცეოდა.

ზებ სტუმპი უხმაუროდ შემობრუნდა უკან, თავის ცხენს ყურში რაღაც სიტყვები წასწურჩულა, აკაცეებს ამოეფარა და წინ წავიდა, რათა ახლოს მისულიყო მათთან და ყველაფერი საკუთარი ყურით მოესმინა.

ზებ სტუმპი კოლჭაუნისა და ისიდორას ვერ ხედავდა, მაგრამ მათი ყოველი სიტყვა გარკვევით ესმოდა.

ზებ სტუმპი იდგა და მათ ნალაპარაკევს მანამ უსენდა, სანამ ცხენები არ გაცვალეს. იგი ამის შემდეგაც კარგა ხანს იდგა სამალავში.

როცა ორივენი თავ-თავის გზას გაუდგნენ, ზებ სტუმპი მხოლოდ მაშინ გამოვიდა საფარიდან.

იმ ადგილას რომ მივიდა, სადაც კოლჭაუნი და ისიდორა იდგნენ, ზებ სტუმპმა მათ გზებს გახედა და წამოიძახა:

— იოსაფატ! ორი სატანა მორიგდა და შეთანხმდა, მაგრამ კაცი ვერ გაიგებს, რომელი დარჩა მოგებული.

38 - ზები ალაცაფის კარს უთვალთვალებს

ისიდორა და კოლჭაუნი რომ თვალს მოეფრნენ. იგი ისევ ცხენების გაცვლაზე ფიქრობდა. ზებმა ხომ მთელი მათი საუბარი მოისმინა. ისიც კარგად გაიგონა, რომ ცხენების გაცვლა ისიდორას კოლჭაუნმა შესთავაზა. სწორედ ამან ჩააგდო საგონებელში. რაში დასჭირდა კოლჭაუნს ცხენის გაცვლა?

ზებმა იცოდა, ისიდორამ მართალი თქვა, ამერიკული ცხენი მუსტანგზე მეტად ფასობსო. მან ისიც კარგად იცოდა, რომ კოლჭაუნი ისეთი ადამიანი არ იყო, ვინმეს გაეცურებინა. მაშ რამ აიძულა ასეთი არახელსაყრელი გარიგებისათვის მიემართა?

ძველმა მონადირემ ქეჩის ქუდი მოიხადა და ერთი-ორჯერ მაგრად გადაისვა ხელი დაუვარცხნელ თმაზე. მერე წვერზე ჩამოისვა და მიწას ისე დააშტერდა, თითქოს იქ უნდოდა ამოეკითხა ამ კითხვის პასუხი.

— მისი მოქმედების ასახსნელად მხოლოდ ერთი აზრი შეიძლება არსებობდეს, ისიდორას ცხენი უფრო სწრაფია, ამაში ეჭვი არ მეპარება. მისტერ ვაშს სწორედ სწრაფი ცხენი ესაჭიროება, თორემ აბა რა ჯანდაბად უნდოდა მუსტანგი? ტეხასში ამერიკულ ცხენში მაგისტანა მუსტანგს ოთხს მისცემდნენ, ხოლო მექსიკაში ორჯერ მეტის მიცემაზე არ ეტყოდნენ უარს. უდავოა, სწრაფი ცხენი სჭირდებოდა და ამიტომ გაცვალა, მაგრამ მიზები? წყეული ვიყო, თუ არა ვხვდებოდე. მაგას უნდა, ჰო, მგონია, ნამდვილად ვხვდები, უნდა, რომ იმ უთავო მხედარს დაეწიოს! კოლჰაუნი უეჭველად უთავო მხედრის საძებნელად წავა. ახლა კასა დელ კორვოსაკენ გაემართა, ალბათ დასანაყრებლად. იქ ალბათ დიდხანს არ დარჩება და მალე გებულონ სტუმპში მას კვლავ ტრამალზე იხილავს. აბა, ჩემო ფაშატო! შენ გეგონა, სახლში წახვიდოდი, არა? ძალიან, ძალიან შემცდარხარ. ისევ აქ მოგიწევს ბალახის ძოვა, ერთი-ორი საათი და შეიძლება მთელი ღამითაც.

პირუტყვი იმ ადგილზე მიიყვანა საბალახოდ, სადაც ცოტა ხნის წინათ თვითონ იმალებოდა, მერე კოლჰაუნის ნაკვალევს გაჰყვა.

ორასი იარღი რომ გაიარა, ბუჩქნარი გათავდა. მერე იწყებოდა შიშველი ტრამალი, რომლის მეორე მხარეს ჰასიენდა კასა დელ კორვო მოჩანდა.

ჰასიენდას გარსშემორტყმულ თეთრი კედლის ფონზე გებ სტუმპმა შენიშნა მხედრის სილუეტი, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ შავად გამოიკვეთა, ალაცაფის კარში შევიდა და გაუჩინარდა.

გებმა იცოდა, ვინც იყო ის მხედარი.

გები ჯერ მუხლებზე დაეშვა, უკან გადაიხარა და აკაციის ტანს ბეჭებით მიეყრდნო, მერე ფეხები გამართა და დაჯდა. თავისი უზარმაზარი ჯიბიდან ამოიღო ტყავის ჩანთა, რომელშიც მჭადი, ღორის ხორცი და მონონგაჰელას მათარა ჩაელაგებინა.

როცა დანაყრდა, დარჩენილი მჭადი და ღორის ხორცი ისევ ჩანთაში ჩაალაგა და ჩანთა თავს ზემოდან აკაციის გამოშვერილ ტოტზე

ჩამოვიდა. საჭმელს მონონგაჰელა დააყოლა, ჩიბუხი გააწყო, ისევ აკაცციას მიეყრდნო, ხელები გულზე ჯვარედინად დაიწყო და თვალე-ბი კასა დელ კორვოს ალაყაფის ჭიშკარს მიაპყრო.

მზის ჩასვლასთან ერთად ზები სტუმპმა თვალთვალი შეწყვიტა, როცა ბინდი ჩამოწვა და გარემო სიბნელემ მოიცვა, ზებ წამოდგა, ისევ ხეს მიეყრდნო და თავი ფიქრებს მისცა, თითქოს ფიქრი ფეხზე მდგომს უფრო ეადვილებოდა.

— შესაძლოა, ეს არამზადა ღამით გამოძვრეს სახლიდან, ან იქნებ განთიადზე გამოვიდეს გარეთ. უნდა ვიცოდე, საით წავა. ცხენი რომ თან წავიყვანო, მგონი, ჯერჯერობით ხელს შემიშლის. მით უმეტეს, ახლა მთვარიანი ღამეებია და იქნებ რომელიმე მონა-ზანგმა კიდევ შეამჩნიოს. უმჯობესია აქვე იბალახოს.

ზები ცხენისაკენ გაემართა. უნაგირი მოხსნა. კისერზე გრძელი საბელი გაუკეთა და ხეზე მიაბა. შემდეგ უნაგირის კეხზე მიმაგრებული შალის საბანი აიღო, მარცხენა ხელზე გადაიღო და კასა დელ კორვოსაკენ გასწია.

ჰასიენდასთან ახლოს მაღალი ბუჩქი იდგა. ზებ სტუმპი მის ქვეშ წამოწვა. ახლა მას, სხვებისაგან შეუმჩნეველს, თავისუფლად შეეძლო კასა დელ კორვოს ჭიშკრიდან გამოსული ყველა სულიერი შეემჩნია.

მთელი ღამის განმავლობაში ზებ სტუმპს ორივე თვალი ერთად არ მოუხუჭავს. ერთით მაინც ჭიშკრისაკენ იყურებოდა. ასეთი გამუდმებული და დაძაბული თვალთვალი იმაზე მეტყველებდა, რომ ზებ სტუმპი იქიდან რაღაც დიდ ამბავს მოელოდა.

მზის ამოსვლისას, ისევე, როგორც მზის ჩასვლისას, ზებ სტუმპმა სათვალთვალო ადგილი გამოიცვალა.

როცა ცისკარმა აღმოსავლეთი ვარდისფრად შედგება, ზებ სტუმპი ფრთხილად წამოდგა, შალის საბანი მხრებზე წამოიხურა, მისი ბოლოები წინ, მკერდთან, გადაიგდო, კასა დელ კორვოსაკენ ზურგით

შემობრუნდა და იმავე ბილიკს გაჰყვა უკან, რომლითაც წინა საღამოს მოვიდა.

დიდხანს არსად არ შეჩერებულა, სანამ იმ აკაცის ხის ძირას არ მივიდა, სადაც წინა საღამოს ივანშმა. ახლაც იქვე ჩაჯდა და საუზმეს შეეცა.

დარჩენილი მჭადის ნახევარი და ხორცი მალე მოათავა, ბედ მათარაში დარჩენილი მონონგაჰელაც დააყოლა.

ჩიბუხი გააწყო, კვესი და კაჟი მოიმარჯვა, მაგრამ უეცრად შენიშნა ისეთი რამ, რამაც განზრახვაზე ხელი ააღებინა. კვეს-აბედი ისევ ჯიბეში შეინახა. განთიადის მოლურჯო ბურუსში კასა დელ კორვოს შესასვლელთან შავი დისკოს მოძრაობა შეამჩნია და მხედველობა დაძაბა. კასა დელ კორვოს ალაყაფის კარი გაიღო.

იმწამსვე იქიდან გამოსულ რუხ, მომცრო ტანის ცხენზე მჯდარ მხედარს მოჰკრა თვალი.

ზებს მხედრისა და ცხენის გამოცნობაზე დრო აღარ დაუკარგავს.

ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს იყო იგივე მხედარი, რომელმაც წინა საღამოს სწორედ იმ ადგილზე გაიარა და კასა დელ კორვოს ალაყაფის კარში შევიდა.

ზებ სტუმპი ძუნძულით გაემართა თავისი ფაშატისაკენ, სწრაფად დაადგა უნაგირი, აღვირი გაუკეთა და ისეთ სამალავში შეიყვანა, რომ ძე-ხორციელი ვერ შეამჩნევდა, თვითონ კი მთელ ტრამალს ხელისგულივით დაჰყურებდა.

ზებს კარგა ხანს მოუწია ცდა, სანამ ჩორთით მავალი მხედარი წინ ჩაუვლიდა, ბუჩქნარის ბოლს გადაჭრიდა და ჯერ კიდევ დაუწმენდელ განთიადის ბურუსში თვალს მიეფარებოდა ტრამალზე.

შემდეგ ძველი მონადირე უნაგირზე აცოცდა, ცხენს ერთადერთი დეზი ისე უთავაზა, რომ ლამის ნეკნებში შეარტო და ადგილიდან დაძრა.

იგი კასიუს კოლჭაუნს მიჰყვებოდა უკან, მაგრამ ისე, რომ წინ მიმავალ კაპიტანს ვერ ხედავდა.

დაცვარული ბალახი ზებ სტუმპისათვის დაწერილი ქალღმადონი გახლდათ, ხოლო რუხი მუსტანგის მიერ დატოვებული ნაკვალევი ამ სუფთა ქალღმადონე დასტამბული სტრიქონები, რომლის წაკითხვაც მას უშეცდომოდ შეეძლო.

ზებ სტუმპი ამ სტრიქონებს მაშინაც კითხულობდა, როცა თავისი ბებერი ფაშატი ნავარდით მიჰყავდა.

39 - თავდაყირა!

კასიუს კოლჰაუნს ეჭვიც კი არა ჰქონდა, რომ გარდა პლუტოსი, რომელმაც რუხი მუსტანგი შეუკაზმა, კიდევ იცოდა ვინმემ სახლიდან მისი გამოსვლისა და ტრამალზე გამგზავრების ამბავი.

მან უდარდელად ჩაუარა იმ ადგილს, სადაც ზებ სტუმპი იყო დამალული.

კოლჰაუნი იმედოვნებდა, რომ ამ დილა-ბნელში ძე-ხორციელი ვერ შეამჩნევდა და სხვა საზრუნავი იმუამად არც გააჩნდა.

იყო ერთი განსაკუთრებული ადგილი, სადაც კოლჰაუნი ორჯერ შეხვდა თავმოკვეთილ მხედარს. ეს რომ გაიხსენა, გაიფიქრა: იქნებ ისევ იქ გადავაწყდეო.

ეს ის ადგილი გახლდათ, სადაც სავანა თავდებოდა და მისი ვიწრო, მოხასხასე პატარა ნაწილი ყურესავით შეჭრილიყო ტყეში. სწორედ იმ ადგილზე ამბობდნენ: მკვლელობა მოხდაო.

— პირდაპირ საოცარია, ყოველთვის იმ ადგილს უბრუნდება, — ფიქრობდა კოლჰაუნი, — ძალიან მიკვირს, თითქოს იცოდეს...

— ფუ! ნეტავ რისა მეშინია... მუსტანგერი ხომ საპყრობილემია? ჩემს ცხენს სულიც რომ გასძვრეს თავმოკვეთილი მხედრის დევნაში, მაინც უნდა დავეწიო და მისი სხეულიდან ტყვია ამოვიღო. მაგრამ ღმერთო ძლიერო, ამას რას ვხედავ?! — ეს უკანასკნელი ხუთი სიტყვა კოლჰაუნმა ხმამაღლა წარმოთქვა და ცხენის სადავე ისე მოსწია, რომ მუსტანგი კინაღამ ყალყბე შედგა. კოლჰაუნს თვალები

ისე დაეჭყიტა, რომ ცოტაც და გუგებიდან გადმოვარდებოდა. მის გამოხედვაში გაკვირვებაზე უფრო შიში გამოკრთოდა. და ეს გასაკვირალი არც იყო. ის სურათი, რომელიც მან იხილა, მასზე უფრო გულმაგარ ადამიანსაც შესძრავდა.

მზე სადღაც შორს, ტრამალის ბოლოს, ჰორიზონტზე ამოიწვერა და მხედარს უკან მოექცა. მის წინ ცის დასალიერამდე მოლურჯო ნისლი იდგა. იგი მაღლა მიიწევდა იმ ტყისა და ბუჩქნარის თავზე, რომელსაც კოლჰაუნე უახლოვდებოდა.

ამ თითქოს პირბადეაფერებულ ტყის იქით, თუ თვითონ ნისლში, გამოჩნდა რაღაც მოძრავი სხეული, რომელიც იმდენად უცნაური იყო, რომ მის შემხედვარე კოლჰაუნს დაუჯერებელი რამ ეგონებოდა, წინათაც რომ არ ენახა. ეს მოძრავი სხეული უთავო მხედარი გახლდათ.

მაგრამ იგი იმ უთავო მხედარს აღარ ჰგავდა. ის ახლა სულ სხვაგვარი იყო. შესახედლობა ისეთივე ჰქონდა, მაგრამ თითქო ათჯერ და მეტადაც გაზრდილიყო.

მხედარი რაღაც გოლიათური აღნაგობის დევივით გამოიყურებოდა, პირუტყვს კი, მართალია, ცხენის იერი და გარეგნობა შერჩენოდა, მაგრამ უზარმაზარი გამხდარიყო.

მაგრამ ეს კიდევ არ იყო ყველაფერი, რაც კოლჰაუნმა უთავო მხედრის დანახვისას აღმოაჩინა: ყველაზე დიდი ცვლილება მის გარეგნობას განეცადა. ცხენი მიწაზე კი აღარ ადგამდა ფეხებს, არამედ ცის ზედაპირზე მიდიოდა. მხედარიცა და ცხენიც თავდაყირა იდგნენ. ამ უკანასკნელს ფლოქვები ნალისათვის მიეზინა, ხოლო ზურგი დედამიწისაკენ ჰქონდა. მხედრის მხრები, — კინაღამ არ წამომცდა, თავი-მეთქი, თითქმის ჰორიზონტის ხაზს ეხებოდა დაბლა. თავდაყირა მდგარ მხედარს წამოსასხამი სწორად ჰქონდა მხრებზე წამოგდებული, მაგრამ მისი ბოლოები მაღლა ფრიალებდა, ზემოთ ნაწილი კი დაბლა ჰქონდა დაშვებული. ასევე თავდაყირა მოჩანდა აღვირი, ფაფარი და ცხენის კუდი.

უთავო მხედარი ახლა უფრო ჰგავდა ნამდვილ მოჩვენებას, ვიდრე ოდესმე. კოლჰაუნს მის დანახვაზე შიშისაგან გული შეეკუმშა.

უეცრად ყოველივე შეიცვალა. უთავო მხედრის გამოსახულება აირია. ცხენი შემობრუნდა და საწინააღმდეგო მიმართულებით გაქუსლა. მისი ფლოქვები კვლავ ზეცას ეხებოდა.

შიშისაგან დაბლადაცემული კოლჰაუნი ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა, სანამ თვითონ უთავო მხედარი არ გაეცლებოდა იქაურობას, მაგრამ მისი რუხი მუსტანგი უეცრად შემობრუნდა და კოლჰაუნი უთავო მხედრის პირისპირ აღმოჩნდა.

შემობრუნებულ კოლჰაუნს ცხენის ფლოქვების ხმა შემოესმა და მიხვდა, რომ მის ახლოს ახლა ნამდვილი მხედარი იდგა, თუკი შეიძლება ნამდვილი ეწოდოს იმას, რის ჩრდილმაც აგრერიგად შეაძრწუნა სამსახურიდან გადამდგარი მოხალისეთა ყოფილი კაპიტანი.

— ეს ხომ მირაჟია! — წამოიძახა კოლჰაუნმა და ერთი ლაბათიანად შეიკურთხა, რითაც თავისი შეშინების გამო წყენა გამოხატა, — ოჰ, როგორი სულელი ვარ, რომ ამ მოჩვენებისა შემეშინდა! ეს ხომ ამ მხედრის ანარეკლი იყო და მეტი არაფერი. მე ხომ ამ უთავო მხედარს დავეძებ! მერე, როგორ ახლოს იყო! რომ მცოდნოდა, დავიჭერდი, სანამ დამინახავდა. ახლა ტეხასის საზღვრამდე რომ მომიწიოს დევნა, მაინც უნდა მივყვე!

დევნა დიდხანს არ გაგრძელებულა. კოლჰაუნი უკვე თავის თავს გამარჯვებას ულოცავდა და იმედოვნებდა, ამჯერად უთავო მხედარს შეჭველად დავატყვევებო.

მისი ცხენი უფრო სწრაფად მიქროდა, ვიდრე უთავო მხედრის სისხლისფერი ბედაური. შეიძლება იმიტომ, რომ კაპიტანი თავის მუსტანგს გულმოდგინედ მიერეკებოდა, ან შეიძლება სისხლისფერ ბედაურს კარგად არ ჰქონდა შეგნებული ის საფრთხე, რომელიც მას ემუქრებოდა. კოლჰაუნის რუხი ცხენი უთავო მხედრის მუსტანგს ისე წამოეწია, რომ კოლჰაუნმა თოფი მოიმარჯვა.

იგი სასროლ მანძილზე მიუახლოვდა სისხლისფერ ბედაურს, მაგრამ არ ესროლა, ეშინოდა, არ ავაცდინო. უთავო მხედრის დევნაში რამდენჯერმე ხელმოცარულ კოლჭაუნს უნდოდა, ისე მიახლოვებოდა მას, რომ ტყვია აუცილებლად მოეხვედრებინა.

სანამ კოლჭაუნი ამ ფიქრებში იყო, სისხლისფერმა მუსტანგმა ტყეს მისცა თავი.

კოლჭაუნისათვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო და კვლავ ჩამორჩა. გულმოდგინედ ჭენების შედეგად სამსახურიდან გადამდგარმა კაპიტანმა კვლავ შეამცირა ის მანძილი, რომელიც უთავო მხედარს აშორებდა.

სისხლისფერი ბედაური და მისი მდევარი, რომელიც მიდამოს ძალიან კარგად იცნობდა, ახლა იმ ადგილს უახლოვდებოდნენ, სადაც სისხლის ტბორი იდგა.

სხვა დროს კოლჭაუნი ამ ადგილს გვერდს აუქცევდა, მაგრამ ახლა გულში ისეთი განზრახვა ედო, რომ წარსულზე ფიქრს თავი ანება და მომავლის შიშით შეძრწუნებული აღარაფერს დაგიდევდათ. მხოლოდ ამ უცნაური მხედრის დარტყვევებას შეეძლო მისი შიშისაგან განკურნება. ეს იქნებოდა ერთადერთი გზა, რომელიც სამსახურიდან გადამდგარი მოხალისეთა კაპიტანს განსაცდელისგან დაიხსნიდა.

იგი კვლავ დაეწია უთავო მხედარს. წუთიც და სისხლისფერი ბედაური ნეკნებგახვრეტილი ალბათ მიწაზე აფართხალდებოდა, მაგრამ თითქოს საშიშროება იგრძნო, სისხლისფერი მუსტანგი გვერდზე გახტა, რუხ მუსტანგს ყბაში ტლინკები ამოჰკრა და საწინააღმდეგო მიმართულებით გაიქცა.

ამ მოულოდნელმა ამბავმა კოლჭაუნი და მისი რუხი მუსტანგი დააბნია. თვითონ კოლჭაუნი გონს მალე მოეგო, მაგრამ მუსტანგი გაოგნდა და გამოდევნებას აღარ აპირებდა. როცა ნეკნებში ღრმად შეერჭო დებები, მერე კი იკადრა ნავარდი.

წინ მიმავალი უთავო მხედარი ბუჩქნარში უკვე სანახევროდ გაუჩინარდა. კოლჭაუნი ახლა მხოლოდ მისი ცხენის გავას ხედავდა და თოფი დაუმიზნა.

კოლჭაუნის თოფის ლულიდან გოგირდის ალი ამოვარდა. თოფის ჭექის ხმა გაისმა და თითქოს რაღაც შავმა საგანმა დედამიწაზე ზღართანი მოიღო.

იგი დაგორდა, კოლჭაუნის ცხენს ფეხებქვეშ მოექცა და ბზრი-ალასავით დატრიალდა.

ცხენმა დაიფრუტუნა, ყალყზე შედგა. კოლჭაუნმა შიშისგან შეჭყვირა. ეს არც იყო გასაკვირი, კოლჭაუნს რომ შექსპირი ჰქონოდა წაკიხული, შეეძლო მაკბეტის სიტყვები გაემეორებინა: „ტყუილად აქნევ მაგ სისხლიან თავს“... მისი ცხენის ფეხებქვეშ გორაობდა ადამიანის თავი, რომელსაც სომბრერო ზედ შერჩენოდა.

სომბრეროს მაგარფარფლებიანი მრგვალი კიდეები საშუალებას არ აძლევდა თავს ერთ ადგილზე გაჩერებულიყო.

სახე პირდაპირ კოლჭაუნს მიშტერებოდა. გაფითრებული ნაკვთები დაჰპატარავებოდა და სისხლში ამოთხვროდა. თვალები ღია დარჩენოდა, მაგრამ როგორღაც ცივი, ბუნდოვანი შუშის მრგვალი ნატეხებივით ისხდნენ გუგეებში. ჩაშავებულ ტუჩებს შიგნით მოელვარე თეთრი კბილები მოუჩანდა. ისეთი შესახედავი იყო, ეტყობოდა, სიკვდილის წინ უბრუნველად იღიმებოდა. ეს ღიმილი ტუჩებზე ზედ დაჰკვდომოდა.

ყოველივე ეს კოლჭაუნმა კარგად დაინახა.

იგი შიშისაგან კანკალებდა. რაღაც არაბუნებრივი და გამოუცნობი ძალის წინაშე ვი არ ცახცახებდა, მან ნამდვილად ზუსტად იცოდა, რისიც ეშინოდა.

ამ უტყვი, მაგრამ ბევრის მთქმელი მოკვეთილი თავის წინაშე კოლჭაუნი დიდხანს არ მდგარა. მაგარფარფლებიანი სომბრეროს გამო თავი ჯერ ისევ ტრამალის ბალახზე მოძრაობდა, როცა კოლჭაუნმა ცხენი შემოაბრუნა, დეზები შემოჰკრა და გაქუსლა.

კოლჰაუნი აღარ გამოსდევნებია უთავო მხედარს, რომელიც იქვე ახლოს, ბუჩქებში მიიკვლევდა გზას. მან კასა დელ კორვოსაკენ აიღო გეზი.

40 - უცნაური ამანათი

ბუჩქნარიდან გამოსული ზებ სტუმპი ისე დინჯად მიჰყვა კოლჰაუნის ცხენის ნაკვალევს, თითქოს მის განკარგულებაში მთელი დღე იყო და საჩქარო არაფერი ჰქონდა.

მაგრამ კარგად თუ დააკვირდებოდით, მის სახეზე შეშფოთებასა და მოუთმენლობას ამოიკითხავდით.

უნაგირზე მჯდარი ზებ სტუმპი ნერვიულობდა და წინ მალ-მალე გაიხედავდა ხოლმე.

იგი კოლჰაუნის ნაკვალევს როდი ჩაჰკირკიტებდა. მისი მიყოლა ზებ სტუმპს, როგორც იტყვიან, თვალდახუჭულს შეეძლო. მართალი რომ ითქვას, ამისათვის არც დასჭირვებია გამოეყენებინა თავისი გამოცდილება. კოლჰაუნის კვალში ჩადგომას მისი ბებერი ფაშატიც კი შესძლებდა.

ზები არც იმის გამო იზღაზნებოდა, რომ კვალის მიყოლა ეადვილებოდა. იგი ცდილობდა, მხედველობიდან თვითონ კოლჰაუნი არ დაჰკარგვოდა. მაგრამ რომ ეჩქარა, სამსახურიდან გადამდგარი მოხალისეთა კაპიტანიც შენიშნავდა და ეს ამბავი ზებს საბოლოო განზრახვის შესრულებაში შეუშლიდა ხელს.

ის, რაც მან ნახა, მოჩვენებაზე ნაკლებ საინტერესო როდი გახლდათ. აქ ერთიმეორეს მისდევდა ორი წყვილი კვალი. კოლჰაუნის ცხენის ახალი ნაკვალევი მის წინ მავალი ცხენის დატოვებულ ნაფეხურებს მიჰყვებოდა.

— უყურეთ ამ არამზადას, მაინც უპოვია უთავო მხედარი! — თქვა ზებ სტუმპმა, როცა ორ წყვილ ნაკვალევს დაჰხედა, — მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ უთავო მხედარი შეიპყრო? თუმცა ვინ იცის?

წყეული ვიყო, თუ გული რაღაც ცუდს არ მიგრძნობდეს. მუსტანგი რომ მუსტანგს დაინახავდა, შესაძლოა, კოლჭაუნი ახლო მიეშვა.

— მაგრამ მაშინ აქ რაღას ვუდგევარ? ახლა ყოყმანის დრო აღარაა. თუ კოლჭაუნი იმ ცხენს დაეწია და თავისი საწადელი შეისრულა, მაშინ სულ ცუდუბრალოდ მიყანყალია ამდენი. უნდა ვიჩქარო. აბა, ჩემო ბებერო, შეეცადე ამ ნახევარი საათის წინ აქ გავლილ რუხ მუსტანგს დაეწიო. აბა, ახლა დამიმტკიცე, რომ შენ არც ერთ ცხენზე ნაკლები არა ხარ.

როცა ზებ სტუმპს ეჩქარებოდა, ცხენს ბეჭში დანას უჩხვლევდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად მხოლოდ დები შემოჰკრა და ისე ააჩქარა პირუტყვი. ცხენი ჩორთით წავიდა წინ. ზებს არ უნდოდა, ნავარდზე გადაეყვანა ფაშატი. კვლავინდებურად ფრთხილობდა და მიდამოს გამჭრიახი თვალებით ზვერავდა.

— თითქოს ვხვდები, საითაც წამიყვანს ეს ნაკვალევი, — ჩაილაპარაკა ძველმა მონადირემ, — მგონი, ყველა გზა იმ ადგილას იყრის თავს. ის საწყალი ყმაწვილიც იმ ადგილისაკენ მიდიოდა და უკან ვეღარ დაბრუნდა. მაგრამ თუ მისი მკვდრეთით აღდგომა შეუძლებელია, ის ხომ შეიძლება, ავაზაკი, ვინც მას სიცოცხლე მოუსწრაფა, მოიძებნოს და მკაცრად დაისაჯოს. თვალი თვალისა წილ! კბილი კბილისა წილ! მე მგონი, ვიღაცას უნდა დაუბნელდეს მზე და ეს ალბათ იმ ადამიანს მოუწევს, ვისაც ეჭვი არ ეპარება, რომ ჰენრის მკვლელობაში ეჭვმიტანილი თვითონ ის გახლავთ... ჰეი აქეთ მოდის, უთავოც აქეთ მოაჭენებს ცხენს! იოსაფატ! ორივენი ნავარდით მოდიან. წყეული ვიყო, თუ ის რუხი მუსტანგი სისხლისფერ ბედაურს არ დაეწიოს!

ზებ სტუმპს აქ ვინმეს შეხვედრის მოლოდინი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ფრთხილობდა. მისმა წინდახედულობამ შედეგი გამოიღო. გზაზე სწორედ ის ადამიანი გამოჩნდა, ვისაც ზები აჩრდილივით უკან დაჰყვებოდა. ზებ სტუმპი მის უკან დაბრუნებას არავითარ შემთხვევაში არ მოელოდა.

სროლის ხმა რომ გაიგონა, ძველ მონადირეს არ გაჰკვირვებია. როცა თვალი მოჰკრა კოლჰაუნს, რომელიც უთავო მხედარს მისდევდა, იმ წუთიდან თოფის გასროლას ყოველ წუთს მოელოდა.

ზებ სტუმპს უფრო ის გაუკვირდა, რომ თოფის დაცლიდან ხუთ წუთსაც არ გაეველო და ის, ვინც ისროლა, ტყიდან შეშინებული გამოვარდა.

კოლჰაუნი შეძრწუნებული ჩანდა და სახეზე შიშისაგან ისეთი ველური გამომეტყველება აღბეჭდვოდა, ზებ სტუმპი შუა გზაზედაც რომ მდგარიყო, კოლჰაუნი მაინც ვერ შეამჩნევდა.

— მაინც რა მოხდა? უკან არავინ მოსდევს, ის კი მაინც გარბის. ნეტავ საით მიეშურება? საჭიროა, თვალყური ვადევნო. შინ ბრუნდება! — წამოიძახა ძველმა მონადირემ, როცა ტყის პირას გამოვიდა და ტრამალზე ტენებით მიმავალ კოლჰაუნს მოჰკრა თვალი, — ჩვენ კი, ჩემო ბებერო, — განაგრძო ზებ სტუმპმა, როცა კოლჰაუნის რუხი მუსტანგი თვალს მიეფარა, — სხვა გზით უნდა წავიდეთ. აბა, ვნახოთ, რას ესროლა იმ არამზადად.

ათი წუთის შემდეგ ზებ სტუმპი ცხენიდან ჩამოხდა და ის საგანი აიღო ხელში, რომელსაც ვერც ერთი გულადი ადამიანი ზიზღისა და შიშის გარეშე ვერ შეეხებოდა, მათ შორის ზებ სტუმპიც. მაგრამ ძველმა მონადირემ ამ საგანზე ნაცნობი სახის ნაკვეთები შენიშნა. მართალია, გამშრალი სახის კანი დანაოჭებულიყო და ჩამონადენ, ზედ მიძხმარ სისხლს სახე სრულიად დაემახინჯებინა, მაგრამ ზები-სათვის იგი უწყალოდ დასახინჩრებული და უსულოც ძვირფასი იყო.

ზებს უყვარდა ის სახე, რომელიც ოდესღაც პატარა ჰენრის ეკუთვნოდა. მან სომბრეროს ჩააგლო ხელი და თავიდან მოხდა მოუნდომა, მაგრამ ქუდი ისე მაგრად შემოსალტოდა საფეთქლებს, რომ მოხუცმა მონადირემ მისი მოხდა ვერ შეძლო. ის კარგა ხანს დაჰყურებდა ამ განაწამებ სახეს და გული ეკუმშებოდა.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ეს რა საჩუქარი იქნება უბედური მამისათვის, ან დას რა უნდა ვუთხრა. თუმცა თან არ წავიდებ და ის იქნება. აქვე გავთხრი მიწას, შიგ ჩავფლავ და არავის ერთ სიტყვასაც კი არ ვეტყვი. არა, არა, ეს არ ივარგებს. ეს რა აზრი მომივიდა თავში. თავი, მართალია, მკვლელის პირდაპირი მამხილებელი საბუთი არ არის, მაგრამ თან უნდა წავიღო. ძალიან უცნაური მოწმე კი იქნება, როცა სასამართლოს წარვუდგენ!

ეს რომ თქვა, უნაგირიდან ძველი შალის საბანი მოხსნა და მოკვეთილი თავი ქუდიანად შიგ შეახვია.

მერე ეს უცნაური ამანათი უნაგირის კეხზე დაამაგრა, ცხენზე შეჯდა და ტყიდან ღრმა ფიქრებში ჩაფლული ხმისამოუღებლად გამოვიდა.

41 - ვეჯილები

დაპატიმრებიდან სამი დღის შემდეგ მორის ჯერალდს ციებ-ციხელებამ გაუარა და ბოდვა შეწყვიტა. მეოთხე დღეს თითქმის გამოჯანმრთელდა და მისმა ძლიერმა ორგანიზმმა სასიცოცხლო ძალები დაიბრუნა. მეხუთე დღეს კი მისი სასამართლო დანიშნეს! ასეთ აჩქარებას ყველა უჩვეულო ამბად მიიჩნევდა, მაგრამ ტეხასში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. იქ მკვლელს ოცდაოთხ საათში ასამართლებენ და თუ სიკვდილი მიუსაჯეს, იმწამსვე ჩამოახრჩობენ კიდევ.

ბრალდებულს უფლება ჰქონდა ვეჯილი მოეთხოვა, მაგრამ ფორტ ინჯიში დამცველები არ იყვნენ. ჩვეულებრივ, ასეთ დროს დამცველები მოსამართლესთან ერთად ჩამოდიოდნენ ხოლმე ცენტრიდან. მოსამართლე კი ჯერ თვითონ არ იყო ჩამოსული. ყველასათვის მოულოდნელად ქალაქ სან ანტონიო დე ბეჯარიდან ვეჯილი ჩამოვიდა და განაცხადა: მე მუსტანგერის ინტერესების დასაცავად ჩემის ნებით მოვედიო.

ნათქვამია: უბედურებას უბედურება მოსდევს, სიკეთეს — სიკეთეო. ახლაც ასე მოხდა. ვეჯილს კიდევ ერთი ვეჯილი მოჰყვა.

სასამართლოს წინ ფორტ ინჯიში კიდევ ერთი სხვა ვექილი ჩამოვიდა და განაცხადა: მეც მუსტანგერის ინტერესებს დავიცავო.

დუბლინელი იურისტი ჯერალდის დასაცავად არ იყო ჩამოსული და ძალიანაც გაოცდა, როცა ობერდოფერის სასტუმროში მორის ჯერალდი მოიკითხა და უთხრეს — დაპატიმრებულიაო.

— რაო?! ჯერალდთა გვარის შთამომავალს ადამიანის მოკვლას აბრალებენ? ბალაჰის ციხე-კოშკის და მისი მშვენიერი პაკის მფლობელს... მე ყველა ამის დამამტკიცებელი საბუთი თან მაქვს. გზა მიმასწავლეთ, როგორ უნდა ვნახო იგი! — მოითხოვა მან.

ობერდოფერმა ერთი კი გაიფიქრა, ეს ჩემი ახალი სტუმარი ჭკუაზე შეშლილი უნდა იყოსო, მაგრამ გამყოლი მაინც აახლა, რომ ჰაუპტვახტამდე მიეცილებინა.

დუბლინელ იურისტს ბრალდებულის ნახვაზე უარი არ უთხრეს. პირიქით, შესთავაზეს, როცა გენებოთ და რამდენ ხანსაც გენებოთ, იმდენჯერ ინახულეთ და ესაუბრეთო.

ეს პრივილეგია მას მისცა სწორედ იმ საბუთებმა, რომლებზეც ობერდოფერს ელაპარაკა და ფორტის კომენდანტ მაიორს წარუდგინა. ამ საბუთების წყალობითვე იგი ტეხასელ იურისტსაც დაუმეგობრდა.

ზებ სტუმპი ვექილებს მხოლოდ ერთხელ ელაპარაკა და მერე აღარც გამოჩენილა. ამის შემდეგ იგი სადღაც წავიდა. ყველას ეგონა, ჩვეულებრივ სანადიროდ გაემგზავრაო.

ზებ სტუმპი მართლაც სანადიროდ იყო, მაგრამ იგი უთავო მხედრის სისხლისფერ ცხენზე ნადირობდა და არა ჩვეულებრივ ნადირზე.

42 - მოსიყვარულე დისშვილი

მადლობა ღმერთს, სასამართლო ხვალია დანიშნული! მე მგონი, ხვალამდე იმ წყეული ცხენის დაჭერას ვერავინ შესძლებს. მხოლოდ ეგ უთავო მხედარი მადარდებს, თორემ აბა, სხვა რისი უნდა მეშინო-

დეს? უიმისოდ ძნელად თუ ვინმე გაერკვევა, რაც მოხდა. თუნდაც ჩამომახრჩონ, თვითონაც არაფერი ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი... უცნაურია, ეს ირლანდიელი ოინბაზი საიდანღა გამოტყვრა? — ან ის, სან ანტონიოელი ყმაწვილი? რა ჯანდაბამ მოიყვანა ისინი აქ? ალბათ ვიღაც გასამრჯელოს აძლევს. ჭირსაც წაუღია მაგათი თავიდა ტანი. ან რა უნდა გააკეთონ, რა შეუძლიათ? ჯერალდის გარდა ეჭვმიტანილი არავინაა. ყველას ჰგონია, რომ დამნაშავე ისაა. ყველა საბუთი მას ამტყუნებს და სხვა რაღაა საჭირო? მხოლოდ ზებ სტუმპი ფიქრობს სხვაგვარად. აი, ის მოხუცი გველი! ყველგან რომ უნდა შესრი-ალდეს და ცხვირი შეჰყოს. როგორც თქვეს, სანადიროდ წათრეულა. თუმცა ახლა მასზე ფიქრის დრო არაა. მაგრამ ვაითუ მასზე ნადირობს? ერთიც ვნახოთ და შეიპყრობს, მერე?

— დრო რომ მქონდეს, კიდევ ვცდიდი ბედს, მაგრამ დროც რომ არა მაქვს? ხვალ საღამომდე ყველაფერი დამთავრდება. მერე კი... ჭირმა წაიღოს ეს მერე! ყველაფერი ახლა უნდა მოწესრიგდეს. მომავალი არ მაშინებს. როცა მკვლევლობისათვის ერთს ჩამოახრჩობენ, მეორეს არავინ გამოეკიდება, თუნდაც რაიმე საეჭვო მამხილებელი საბუთებიც აღმოჩნდეს. მოსამართლენი შეშინდებიან, რომ უდანაშაულო ადამიანი ჩამოახრჩვეს და თვითონვე ეცდებიან, სხვას აღარ დასდონ ბრალი იმავე დანაშაულისათვის.

მგონი, „წესრიგის დამცველებთან“ ყველაფერი მოვაგვარე, თვითონ სემ მენლი დარწმუნებულია, რომ მკვლელი ნამდვილად მორის მუსტანგერია. ყოველგვარი ეჭვი გავუფანტე, როცა ვუთხარი, იმ ღამით რაც გავიგონე. თუმცა იმაზე მეტი კი მოვუყევი, რაც გავიგონე, მაგრამ არა უშავს, ესეც საჭიროა, რომ ადამიანი შეაცდინო და გაასულელო. უბედურებას ცრემლები არ შველის. რაც იყო, იყო. ლუიზა შეხვდა მას და ყოველივე ამით მთავრდება. ის ხომ ზეცაში ასვლამდე აღარასოდეს შეხვდება მუსტანგერს და აქ, მიწაზე ყოველივე თავდება. თუმცა ეს მხოლოდ ლუიზაზეა დამოკიდებული. იქნებ მადლობას უხდიდა და მეტი არაფერი. არა, არა, არა! არავითარ

შემთხვევაში. შუალამისას მადლობის სათქმელად ვინ ამდგარა და მამაკაცთან შესახვედრად ბაღის ბოლოში ვინ წასულა? ლუიზას ის უყვარს, ნამდვილად უყვარს! წყეულიმც იყოს მისი სიყვარული! მორისი ვერასოდეს მისი ვერ გახდება. ლუიზა ველარასოდეს იხილავს ჯერალდს. თუ გაჯიუტდება და მის ნახვას მოინდომებს, ესეც მუსტანგერის დანაშაულის დასამტკიცებელ საბუთად გამოდგება. ერთი სიტყვაც რომ დასცდეს ლუიზას, მუსტანგერს აუცილებლად ჩამოახრჩობენ. და ის ერთი სიტყვა მას დასცდება კიდევ, თუ იმ წინადადებაზე დადებით პასუხს არ გამცემს, რაც მე ორჯერ შევთავაზებ. მესამედ და უკანასკნელად კიდევ უნდა ვუთხრა. თუ კვლავ უარი მივიღე, ვაჩვენებ ჩემს ძალას. იმ ირლანდიელ ავანტიურისტს ხომ მოვუღებ ბოლოს და მისი სიკვდილის მიზეზად კი თვითონ ლუიზას ვაქცევ. პლანტაცია, სახლი, მონები და ყოველივე... აჰ, ბიძია ვუდლი, შენი ნახვა მინდა.

მთელი ეს მონოლოგი ვასიუს კოლჰაუნმა თავის ოთახში წარმოთქვა. ფიქრი ბიძის – ვუდლი პოინდექსტერის შემოსვლამ შეაწყვეტინა. დამწუხრებული, მოწყენილი ვუდლი პოინდექსტერი ჰასინენდას დერფნებში დაეხეტებოდა და დისშვილის ოთახში თავი უნებურად ამოყო.

– ჩემი ნახვა გინდოდა? რისთვის, დისშვილო?

– მინდა ლუიზაზე მოგელაპარაკო, – უთხრა კოლჰაუნმა.

სწორედ ამ თემამზე საუბარს გაურბოდა ვუდლი პოინდექსტერი. სწორედ კოლჰაუნთან არ უნდოდა მასზე ლაპარაკი. მაგრამ კოლჰაუნის ნათქვამი მაინც არ გაჰკვირვებია.

– ლუიზაზე? რაშია საქმე? – მოჩვენებითი სიმშვიდით ჰკითხა პლანტატორმა.

– კარგი, – ისე თქვა კოლჰაუნმა, თითქოს ძალიან ეუხერხულებოდა ამ საგანზე საუბრის დაწყება, – მე მინდოდა...

— მე ვარჩევდი, ამის თაობაზე ცოტა დრო რომ გაივლის, მერე მოგვესაუბრა, — კოლჭაუნის პასუხით ისარგებლა და გაუბედავად, თითქმის ვედრებით ჩაურთო პოინდექსტერმა.

— და რატომ ახლა არა? — იკითხა წინააღმდეგობით, ცოტა არ იყოს გაღიზიანებულმა კოლჭაუნმა.

— შენ იცი მიზეზი, ჩემო დისშვილო!

— მე ვიცი, რომ ახლა ასეთი საუბრისათვის მართლაც შეუფერებელი დროა. საწყალი ჰენრი დაიკარგა. ფიქრობენ, რომ... მაგრამ ხომ შეიძლება დაბრუნდეს და ყველაფერი კარგად მოეწყოს.

— არასოდეს! ჩვენ მას ვერასოდეს ვნახავთ. მე შვილი აღარ მყავს.

— მაგრამ ხომ გყავს ქალიშვილი და ის...

— ლუიზამ მე შემარცხვინა!

— მე მაგას ვერ დავიჯერებ, ვერა.

— მაშ რით ავხსნა ის, რაც ჩემი საკუთარი თვალით ვნახე და გავიგონე? მაშ რა უნდოდა, ოცი მილი რისთვის გაიარა მარტოდმარტომ, რატომ შევიდა ვიღაც ცხენებით მოვაჭრის ქოხში და თავს დაადგა ავადმყოფს? ოჰ, ღმერთო! მერედა, როგორ თავგამოდებით იცავდა ჩემი შვილისა და თავისი ძმის მკვლელს? ოჰ, ღმერთო!

— რაც თვითონ ლუიზამ გვითხრა, თქვენი ბრალდების პირველ ნაწილს აბათილებს. რაც შეეხება თქვენი ბრალდების მეორე ნაწილს — რატომ იცავდა მუსტანგერს, მე მგონი, ყველა ქალი მის ადგილზე ასე მოიქცეოდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ქალი, როგორიც ლუა.

— მაგისი მსგავსი ქალი სხვა მეორე არ მოიძებნება. მე, მისი მამა, ვამბობ ამას. ოჰ! მართლაც ისე რომ იყოს, როგორც შენ ამბობ! ჩემი საბრალო გოგო, რომელიც ჩემი სიბერის ნუგეში უნდა ყოფილიყო, რაკილა ღმერთმა ვაჟი წამართვა!

— ახლა ისევ ლუიზა თუ გიშველით, ძიავ, და დაკარგული ვაჟიშვილის სანაცვლოდ სხვას შეგძენთ. მართალია, სიძე შვილის ადგილს ვერ დაიჭერს, მაგრამ რა გაეწყობა. იგი ყოველნაირად ეცდება, დარდი შეგიმსუბუქოთ. თქვენ იცით, მე ქარაგმებით ლაპარაკი არ მიყვარს, ძია ვუდლი. ისიც იცით, ვისზეც ვამბობ ლუიზა გაჰყვესმეთქი. მე მინდა ვითხოვო ლუ. ძიავ!

პლანტატორი კოლჰაუნის ასე უბოდიშო გულის გადაშლამ არ გააკვირვა. იგი ელოდა, რომ კოლჰაუნი ამას ეტყოდა. ისედაც დაღვრემილი სახე კიდევ უფრო დაეღრიჯა. აშკარა იყო, კოლჰაუნის სიძედ მოკიდება არ ეჭაშნიკებოდა. ეს შეიძლება პოინდექსტერის მხრივ რაღაც უცნაური საქციელიც იყო. აქამდე თვითონ შუამავლობდა კოლჰაუნს და თავის ქალიშვილს. რამდენჯერ ფრთხილად სიტყვაც კი ჩააწვეთა ყურში.

ეტყობოდა, ტეხასში ჩამოსვლისას თავის დისშვილზე პოინდექსტერმა ძალიან ცოტა რამ იცოდა და კარგ ადამიანად ეჩვენებოდა.

სანამ დავაჟვაცდებოდა, კოლჰაუნი მისისიპის შტატის მოქალაქე გახლდათ, მაგრამ უმეტესად ახალ ორლეანში ცხოვრობდა. იგი ლუიზიანაში ბიძას იშვიათად ესტუმრებოდა ხოლმე. როცა ლუიზა წამოიზარდა და სილამაზით მზეს დაუწყო ცილობა, კოლჰაუნმა ვიზიტებს მოუხშირა.

მერე მექსიკის ომში მონაწილეობდა და კაპიტნის ჩინი მიიღო. ომიდან გამარჯვებული დაბრუნდა და მტკიცედ გადაწყვიტა, ახლა თავისი ბიძაშვილის — ლუიზას გულზე მიეტანა იერიში და დაეპყრო.

ერთ დროს ძალიან მდიდარი პლანტატორი ვუდლი პოინდექსტერი თანდათან გაღარიბდა. გადაჭარბებულმა ხელგაშლილობამ ვალებში ჩააგდო. კოლჰაუნს კი პირიქით დაემართა. არაფრისმქონედან უცებ, შემთხვევის წყალობით, გამდიდრდა. ამ მდგომარეობამ ისინი ერთმანეთს დააახლოვა.

ლუიზიანაში პოინდექსტერს ყველანი კრძალვითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. ეს აიძულებდა კოლჭაუნს, კრედიტორთათვის დამახასიათებელი ქედმაღლობით არ მოპყრობოდა ბიძას.

ტეხასში გადასვლის შემდეგ ბიძა-დისშვილის ურთიერთობამ ისეთი ხასიათი მიიღო, როგორც ჩვეულებრივ მევალესა და მოვალეს შორის დამყარდება ხოლმე.

ეს ურთიერთობა უფრო აშკარა გახდა მას შემდეგ, რაც კოლჭაუნმა ლუიზას სიყვარული გაუშლავნა, ხოლო ქალმა უარი სტკიცა.

ვუდლი პოინდექსტერმა ტეხასში უფრო ახლო გაიცნო თავისი დისშვილი და კასა დელ კორვოში ჩასახლების დღიდან თანდათან შეძულდა იგი.

მართალია, კოლჭაუნსა და მუსტანგერს შორის დუელის დროს, მას, როგორც ახლო ნათესავს, პირველის მხარე ეჭირა, მაგრამ ამ დუელს დისშვილისადმი მისი პატივისცემა არ გაუზრდია.

იყო კიდევ სხვა ამბებიც, რის გამოც ვუდლი პოინდექსტერს არ სურდა, კოლჭაუნი მისი სიძე გამხდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქორწინება ეკონომიურად მისთვის ხელსაყრელი გახლდათ.

საუბედუროდ, ბევრი ხელისშემშლელი მიზეზი გამო იგი პირდაპირ უარს ვერ ეუბნებოდა ქორწინებაზე საღერღელაშლილ დისშვილს.

მწუხარებაზე უფრო ყოყმანმა და გაუბედაობამ აიძულა ვუდლი პოინდექსტერი ასეთი პასუხი გაეცა:

— თუ არ ვცდები, შენ, მგონი, ქორწინებაზე უნდა ლაპარაკობდე, დისშვილო, არა? ჩვენს სახლში ჯერ კიდევ სიკვდილის აჩრდილი დადის და შენ თვითონაც იცი, რომ ახლა ამის დრო არ არის, კასიუს! ეს ხომ მთელ ახალშენში სასკანდალო საქმე იქნება და თავი მოგვეჭრება.

— თქვენ ვერ გამიგეთ, მე ქორწინებაზე სიტყვაც არ მითქვამს. მე მხოლოდ ისეთი რამ მინდა, რაც ლუიზას ხელს ჭეშმარიტად მე მომაკუთვნებს.

— ვერაფერი გავიგე, კაშ.

— ახლავე გაიგებთ, თუ ყურს კარგად დამიგდებთ.

— აბა, ილაპარაკე!

— აი, რა მინდა გითხრათ: მე გადავწყვიტე, დავქორწინდე. თქვენც კარგად იცით — საცაა ოცდაათი წლის გავხდები. ასე მარტოსულს წანწალი მომწყინდა და მომბებრდა კიდევ. მინდა ლუიზა შევირთო. საჩქარო არაფერია, მაგრამ ლუმ პირობა მომცეს, რომ გამომყვება. იმის პირობა, რომ აუცილებლად გამომყვება და მერე აღარ იცოცმანებს. როცა ყველაფერი გაივლის და მოწესრიგდება, მაშინ ვილაპარაკებთ ქორწინებასა და მასთან დაკავშირებულ ამბებზე.

„ყველაფერი გაივლის“, ეს სიტყვები შვილზე მგლოვიარე მამას უხეშად მოხვდა ყურში.

პოინდექსტერი აღელდა, ოდესღაც ამ ამაყი კაცის სულში მიძინებულმა ამპარტავნობამ კვლავ იფეთქა და მისი გულისწყრომა გამოიწვია.

მაგრამ მალევე დაწყნარდა. ერთ მხარეს იყო სიმდიდრე, პლანტაცია, მონები და მდიდართა საზოგადოება, ხოლო მეორე მხარეს — სიღატაკე და დაღუპვა, როგორც ეს პოინდექსტერს ეჩვენებოდა.

თუმცა სრული თანხმობა მაინც არ მისცა, როგორც ეს მისი პასუხიდან ჩანდა: — ძალიან კარგი, ჩემო დისშვილო — შენ ძალიან გარკვევით თქვი ყველაფერი. მაგრამ როგორი იქნება ლუიზას პასუხი, აი, ეს არ ვიცი. შენ ამბობ, ლუიზას შერთვა მინდაო, მაგრამ უნდა თუ არა ლუიზას გამოგყვეს, მე მგონი, ესაა საკითხავი.

— ძალიან კარგი, მე გითხარით, რომ მტკიცედ გადავწყვიტე ეუღლად წანწალს თავი დავანებო და ღუბა ჩავუშვა. მე საცოლედ ლუ ავირჩიე. ის მინდა იყოს კასა დელ კორვოს დიასახლისი და არა სხვა ვინმე — ახალშენიდან, ტეხასიდან და თუნდაც მთელი ქვეყნიდან.

ვუდლი პოინდექსტერი კოლჰაუნის სიტყვებმა შეაძრწუნა. მას პირველად უთხრეს, რომ იგი კასა დელ კორვოს ბატონ-პატრონი

აღარაა. მართალია, ეს არაპირდაპირ, ქარაგმულად იყო ნათქვამი, მაგრამ პოინდექსტერი ყველაფერს მიხვდა.

ერთხელ კიდევ გაულევა გონებაში პლანტაციამ, მონებმა, სიმ-დიდრემ და სოციალური კიბის თავში ყოფნამ, ხოლო მეორე მხრივ დამცირებამ და სილატაკემ.

სილატაკისა პოინდექსტერს ეშინოდა და ეზიზღებოდა, თუმცა იმაზე მეტად არა, როგორც თავისივე დისშვილი, რომელსაც მისი სიძედ გახდომა ეწადა.

* * *

— ლუ!

— რა გნებავთ, მამა?

— სათხოვარი მაქვს შენთან.

— რა სათხოვარი, მამა?

— ხომ იცი, შენს მამიდაშვილს, კასიუსს უყვარხარ. ისე ძლიერ უყვარხარ, რომ მზადაა, სიცოცხლე შემოგწიროს. იგი შენს ხელსა მთხოვს.

— მაგრამ მე არ გავყვები, არ გავყვები! მის ცოლობას სიკვდილი მირჩევნია. თავდაჯერებული არამზადა! ასე გადაეცით, მირჩევნია ტრამალის ველურ ცხენებზე ნადირობით მოვიპოვო ლუკმა-პური, ვიდრე მისი ცოლი გავხდე.

— კარგად განსაჯე, შვილო! შენ არ იცი...

— რომ კოლჰაუნის მოვალე ხარ? მე ყველაფერი ძალიან კარგად ვიცი, ძვირფასო მამა. მაგრამ ისიც ვიცი, რომ შენ ვუდლი პოინდექსტერი ხარ და მე კი — შენი ასული.

ამ სიტყვებმა სასურველი შედეგი გამოიღო. ვუდლი პოინდექსტერს თავისი სიამაყე კვლავ დაუბრუნდა და წარმოთქვა.

— ძვირფასო ლუიზა! როგორ საოცრად ჰგავხარ საწყალ დედაშენს! მე ეჭვი მეპარებოდა შენში. მაპატიე, ჩემო ამაყო გოგონა! დავიწყებას მიეცი, რაც მოხდა. როგორც გინდა, ისე გადაწყვიტე. თუ გინდა, უარი უთხარი.

43 - კეთილი მამიდაშვილი

ლუიზამ ისარგებლა იმ თავისუფლებით, რომელიც მამამ მისცა და კოლჭაუნს ცოლობაზე სასტიკი უარი განუცხადა.

ეს უკვე მესამედ სთხოვა კოლჭაუნმა ხელი. ორჯერ ეს თხოვნა პირდაპირი და გამოკვეთილი არ იყო. მან რაღაც ნართაულად აგრძნობინა ქალს, რომ მისი შერთვა სურდა, მაგრამ მესამედ კი სამსახურიდან გადამდგარმა მოხალისეთა ყოფილმა კაპიტანმა იერიში პირდაპირ მიიტანა თავის ბიძაშვილზე.

ასეთ გარკვეულ და პირდაპირ თხოვნას პასუხიც შესაფერისი უნდა მოჰყოლოდა და აკი მოჰყვა კიდეც. ლუიზამ უბრალოდ, მაგრამ მტკიცედ თქვა, — „არაო“ და შემდეგ გარკვევით, გადაწყვეტილი „არასოდეს“ მიუმატა.

ეს არა ჰგავდა ქალების ჩვეულებრივ ორჭოფულ პასუხს, რომელშიც „ჰოც“ იგულისხმება და „არაც“. ლუიზას არც ის უცდია, შეერბილებინა თავისი უარი.

კოლჭაუნმა მშვიდად მოისმინა, როგორ უარყო ლუიზამ მისი წინადადება და სახეზე არანაირი გაკვირვება არ გამოუხატავს. შესაძლოა, იგი ასეთ პასუხს მოელოდა.

მაგრამ კოლჭაუნის გამოხედვა სასოწარკვეთას არ გამოხატავდა. იგი არ გაფითრებულა და სახეზე ნერვიულობისაგან ერთი ნაკვთიც არ ასთამაშებია.

ისე იდგა თავისი მშვენიერი ბიძაშვილის წინაშე, როგორც ვეფხვი, რომელიც მსხვერპლზე თავდასასხმელად ემზადება.

— მე შენ მიყვარხარ, — განაგრძო კოლჭაუნმა და მის ხმაში ახსნა-განმარტება და მუდარა ერთად გაისმა, — მე შენ მიყვარხარ, ლუ, ისე, როგორც ჯერ არც ერთ მამაკაცს ქალი არ ჰყვარებია. ეს სიყვარული მხოლოდ ჩემს სიცოცხლესთან ერთად ჩაქრება. შენი სიკვდილიც კი ვერ გაანელებს შენდამი ჩემს სიყვარულს.

კოლჭაუნი შეჩერდა, მაგრამ ლუიზას ხმა არ ამოუღია.

— მე მგონი, არც იმას აქვს აზრი, რომ ჩემი სიყვარულის ისტორია მოგიტხრო, ის იმ დღიდან დაიწყო... უფრო სწორად იმ საათიდან... როცა პირველად გნახე. შენდამი სიყვარული ჩემს გულში ჟამთა სვლასთან ერთად ძლიერდებოდა.

ლუიზა კვლავ ჩუმად იყო, მაგრამ ეტყობოდა, ყურადღებით უსმენდა. ასეთი მჭევრმეტყველება, გულწრფელი და მგრძნობიარე აღსარება, ალბათ ყველა ქალის გულს შესძრავდა. ამ დემონსაც თავისი მჭევრმეტყველებით სურდა გამარჯვებისათვის მიეღწია.

— ოჰ, მოწყალეო კაპიტანო კოლჭაუნ! როგორ ველურივით ლაპარაკობ და მგონი, სულელურადაც!

— მაშ არ გამომყვები?

— აი, ფუჭი და ურგები კითხვა სწორედ ეგაა. ხომ გითხარი, არ მიყვარხარ-მეთქი. მე მგონი, პასუხად ესეც კმარა.

— მე კი გითხარი, მიყვარხარ-მეთქი! და ეს ერთ-ერთი ის ძირითადი მიზეზია, რისთვისაც ხელი გთხოვე, არის კიდევ სხვა მიზეზებიც, გინდა მომისმინო?

როცა კოლჭაუნმა უკანასკნელი კითხვა „გინდა მომისმინო“ წარმოთქვა, სახიდან მავედრებელი გამომეტყველება გაუქრა და ისევ მსხვერპლზე თავდასასხმელად მომზადებული ვეფხვის იერი აღებეჭდა.

— შენ თქვი, სხვა მიზეზებიც არისო. დაასახელე, არც ერთი არ დამიმალო, მე არ მეშინია.

— მაშ არ გეშინია? — უთხრა კოლჭაუნმა და დამცინავად გაიღიმა.

— რის უნდა მეშინოდეს? რა მჭირს ისეთი?

— შენ არა, მაგრამ, ბიძია ვუდლის კი სჭირს.

— პირდაპირ მითხარი. რაც მამას ეხება, ის მეც მეხება. მისი ასული ვარ, საუბედუროდ, ახლა ერთადერთი შვილი... განაგრძე, ჩემო მამიდაშვილო, რა ამბავია მის თავს?

— ეს ისეთი რამაა, რომელთან ბრძოლა მამაშენს აღარ ძალუძს. შენ მაიძულე, ისეთი რამე გაგანდო, რაც არ უნდა იცოდე.

— ოჰ, ძალიან ცდები, ჩემო მამიდაშვილო კაშ. მე ყველაფერი ვიცი, ვიცი, რომ მამას ვალები აქვს და იგი შენი მოვალეა. როგორ შეიძლებოდა, რომ ამას ვერ მივხვედრილიყავი? შენი ყოყოჩობა ჩვენს სახლში, ის ქედმაღლობა და თავდაჯერებული ქცევა მსახურებთან და მონებთანაც კი, აშკარად აგრძნობინებდა ადამიანს, რომ ამის უკან რაღაც იმალებოდა. ახლა შენ ხარ კასა დელ კორვოს პატრონი, ეს ვიცი, მაგრამ ჩემი ბატონი არა ხარ.

კოლჭაუნი ასეთ გამომწვევ პასუხს არ მოელოდა და შედრკა. მისმა ხრიკმა არ გაჭრა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია. მას კიდევ ჰქონდა გაჭირვების ტალკვესივით შემონახული ხრიკი.

— ჭეშმარიტად! — კვლავ ქირქილით წარმოთქვა მან, — თუ შენს გულს ვერ დავეპატრონები, შენი ბედნიერება მაინც ჩემს ხელთაა. მე ვიცი, რომ იმ უღირსი არამზადას გამო უარმყავი.

— ვისზე ამბობ?

— ოჰ, როგორი უცოდველი ხარ! აღარც ეს იცი, არა?

— თუ უღირს არამზადას საკუთარ თავს უწოდებ, მაშინ ადვილი მისახვედრია, სერ, რადგან ეს სახელი სწორედ შენზეა ზედგამოჭრილი.

— ასე იყოს! — თქვა განრისხებულმა კოლჭაუნმა, თუმცა რატომღაც მაინც შეიკავა თავი, — მე მგონი, ეგ აზრი უფრო გაგიმტკიცდება, როცა გაიგებ, რასაც გიპირებ.

— რა უნდა დამიპირო, ან რა უნდა დამმართო? ძალიან თავდაჯერებული ხარ, კაშ! ისე ლაპარაკობ, თითქოს შენი მსახური ან მონა ვიყო! მე არც ერთი ვარ და არც მეორე!

კოლჭაუნი მოერიდა გაგულისებულ ქალს და ხმა არ ამოუღია.

— ღმერთმანი, — განაგრძო ლუიზამ, — ძალიან მაინტერესებს, რით მაშინებ, მითხარი, რა უნდა მიყო?

— გაიგებ და ნახავ.

— ახლავე მითხარი! ტრამალზე უსახლკაროდ გამაგდებ, მონასტერში ჩამკეტავ თუ ციხეში გამომამწყვდევ?

— ეჭვი არ არის, უკანასკნელს ირჩევდი, მეტადრე თუ იმასთან ერთად მოხვდებოდი...

— განაგრძეთ, სერ! მინდა ვიცოდე, როგორი იქნება ჩემი ბედი. მოთმინება არ მყოფნის, სანამ გავიგებდე.

— ნუ იჩქარებ. პირველი აქტი ხვალ გათამაშდება.

— ასე მალე? და ეს სად იქნება, შეიძლება გავიგო?

— სასამართლოში.

— ეგ როგორ, სერ?

— შენ წარსდგები მოსამართლისა და მსაჯულების წინაშე.

— ხუმრობთ, კაპიტანო კოლჰაუნ, და მე კი სრულებით არ მომწონს ეგ თქვენი ოხურჯობა...

— ეგ ოხურჯობაა, არა? ხვალ სასამართლოა, მისტერ მორის ჯერალდი თუ ის ვიღაც ჯანდაბაა, სასამართლოს წინაშე წარსდგება. მას ხომ შენი ძმის მკვლელობაში ედება ბრალი.

— ეს ტყუილია! მორის ჯერალდი არასოდეს..

— ჰენრის არ მოჰკლავდაო, გინდოდა გეთქვა, არა? ამას დამტკიცება სჭირდება და დამტკიცდება კიდევ, მაგრამ არა ისე, როგორც შენ ამბობ, არამედ პირუკუ, ამასთანავე შენი პირიდან ამოვა ის სიტყვები, რაც მორის ჯერალდს ჩადენილ დანაშაულს დაუმტკიცებს.

ლუიზას ჯეირანისებური თვლები კიდევ უფრო გაუფართოვდა. იგი მართლაც დამფრთხალი ჯეირანი გეგონებოდათ, ისეთი შეშინებული და გაოცებული თვალებით შეჰყურებდა კოლჰაუნს.

სანამ ლუიზა კვლავ ხმას ამოიღებდა, რამდენიმე წუთმა განვლო, ფიქრები, შიში, ეჭვები, განსჯა ყველაფერი ერთად აერია თავში. ბოლოს, როგორც იქნა, წარმოთქვა:

— მე იქნებ კარგად ვერ გავიგე, შენ ამბობ, რომ მე სასამართლოში გამომიძახებენ? კი მაგრამ, რისთვის?

— არავინ იცის, როგორ ჩაერია თქვენს ფარულ შეხვედრაში ჰენრი და როგორ უნდოდა დაეცვა არა მარტო თავისი დის ინტერესები,

არამედ მთელი ოჯახის ღირსება. იგი სიკვდილით ემუქრებოდა მორის ჯერალდს და მხოლოდ შენმა გამოქომაგებამ იხსნა მუსტანგერი განსაცდელისაგან! არავინ იცის, რა მოხდა შემდეგაც, ჰენრი როგორ გიჟივით დაედევნა იმ არამზადას და რა განზრახვა ედო გულში. გარდა მორის ჯერალდისა და ჰენრისა, მხოლოდ ორი ადამიანი იყო ამ ამბების მოწმე.

— ორი? ვინ და ვინ?

ეს კითხვა ლუიზამ უნებურად წარმოთქვა. ამიტომ მშვიდი და გულგრილი გამოუვიდა ნათქვამი.

კოლჰაუნის პასუხიც ასეთივე გულგრილი იყო:

— ერთი იყო ლუიზა პოინდექსტერი და მეორე კი კასიუს კოლჰაუნი.

ლუიზა არ შემკრთალა. მის სახეს განცვიფრებაც კი არ გამოუხატავს, მანამდე ისეთი ამბები ითქვა, რომ ლუიზა უკვე ყველაფრისათვის მზად იყო. მან მხოლოდ ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა და ისიც გამომწვევად.

— კარგი!

— „კარგი“, — გამოაჯავრა კოლჰაუნმა ნაწყენმა იმით, რომ მისმა სიტყვებმა სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, — ახლა, მე მგონი, გესმის, რაშიც არის საქმე.

— ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი ვერაფერი გავიგე, რაც წელანვე ვიცოდი.

— რაო, გინდა კიდევ განვაგრძო?

— როგორც გენებოთ, სერ.

— კარგი, მაშ ვიტყვი. არის ერთი გზა, რომლითაც შენ შეგიძლია, მამა გაკოტრებისაგან იხსნა, ხოლო საკუთარი თავი შერცხვენას გადაარჩინო. მგონი, ხვდები, რასაც გეუბნები.

— დიახაც ვხვდები.

— მე მგონი, ახლა მაინც არ იტყვი უარს.

— ახლა უფრო ვიტყვი, არა-მეთქი, ვიდრე ოდესმე!

— ასე იყო! ვფიცავ ზეცას, ხვალ ამ დროს შენ სამსჯავროს მოწმედ წარუდგები.

— ბილწო მამბებლარავ! ჯოჯოხეთშიც ჩავალ, თუ იქაც არ დამიხვდები! მომწყდი თავიდან, თორემ ახლავე მამას დავუძახებ!

— ნულარ იტანჯები. ჩემი აქ ყოფნით აღარ შეგაწუხებ. დაგტოვებ, რომ ყოველივე კარგად აწონ-დაწონო. სანამ სასამართლო სხდომა დაიწყება, იქნებ აზრი შეიცვალო. თუ ასე იქნება, იმედი მაქვს, დროზე შემატყობინებ. ღამე მშვიდობისა. ლუ, მე შენზე ფიქრში ჩამეძინა.

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, კოლჭაუნს ტუჩებზე დამცინავი ღიმილი უთამაშებდა.

44 - ტეხასის სასამართლო

ვარსკვლავებით მოჭედილი ფორტ ინჯის დროშის ქვეშ არასოდეს ყოფილა ისეთი სანახაობა, როგორსაც იმ დღეს მოელოდნენ. გამოჩნდნენ ფორტ ინჯისაკენ ოთხივე მხრიდან მომავალი მხედრები. ისინი ორ-ორნი, სამ-სამნი და ხანდახან უფრო დიდ ჯგუფებად მიემართებოდნენ დანიშნული ადგილისაკენ, სწრაფად ქვეითდებოდნენ და ცხენებს ღობებზე ან გაშლილ ტრამალზე დარჭობილ პალოებზე აბამდნენ.

მერე ჯგუფებად გროვდებოდნენ, ახალშენის მოედნისაკენ მიემართებოდნენ და იქ ლაზღანდარობდნენ. ყველა მათგანი ადრე თუ გვიან ობერდოფერის სალონში შედიოდა და ამ ჩინებული დაწესებულებისადმი თავის პატივისცემას გამოხატავდა.

მოედანზე სულ სხვადასხვა ეროვნების ხალხს მოეყარა თავი. აქ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენელს ნახავდით. უმრავლესობა იქ მყოფთაგან ახოვანი მოყვანილობისანი იყვნენ. მათმა წინაპრებმა ხომ იმ ადგილებიდან ინდიელები განდევნეს, სისხლით მორწყულ მიწაზე ხის მორებისაგან სახლები აიშენეს. მათ ადგილზე თვითონ დასახლდნენ და ამ სახლებში გაატარეს მთელი სიცოცხლე.

თავიანთი მოწოდებითა და მიდრეკილებით უმრავლესობა პლანტატორები იყვნენ. მაგრამ მათ შორის შენიშნავდით მსხვილი რქოსანი პირუტყვის მეპატრონეებს, მონადირეებს, დალალებს, მე-
დუქნეებს, ყველა ჯურის ვაჭრებს და მონებით მოვაჭრეებსაც კი.

აქვე იყვნენ ვექილები, მიწის მზომავები, მიწით მოვაჭრენი და იოლი გამდიდრების მოყვარულნი, რომლებიც გამორჩენისათვის მზად იყვნენ, ყოველგვარი საქმისათვის მოეკიდათ ხელი — იქნებო-
და ეს საქონლის დადაღვა, ინდიელების წინააღმდეგ ბრძოლა, თუ რიო გრანდეს საძარცვავად თარეში.

ფორტ ინჯიდან ყველანი მოედნისაკენ დაიძრნენ იმ იმედით, რომ ამ უცნაურ ამბებს ახლა მაინც გამოიტანდა სააშკარაოზე სასამარ-
თლო.

რა თქმა უნდა, დამსწრეთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ბრალდებულის ბედი აწუხებდათ. იყვნენ მოკლულად მიჩნეული ჰენრი პოინდექსტერის ნათესავები და მეგობრები. მოკლულად მიჩ-
ნეულიო, ვამბობთ, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ ჰენრის სიკვდი-
ლი ჯერ დამტკიცებული არ იყო.

მაგრამ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ საწყალი ჰენრი ცოცხლებ-
ში აღარ ეწერა. რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ამ-
ბის გამო ყველა ეჭვით ფიქრობდა, რომ დანაშაული სწორედ მათ
თვალწინ მომხდარიყო.

ახლა იდგნენ და ელოდნენ, რომ შეეტყოთ საქმესთან დაკავში-
რებული ყოველი წვრილმანი: სად, როდის, როგორ და რატომ მოხ-
და ყოველივე ეს.

ტეხასში სასამართლოსათვის სპეციალური შენობა არ არსე-
ბობს, თუმცა ერთი ოთახი კი არის, რომელსაც მრავალი მიზნისათ-
ვის იყენებენ. იმ დღეს, ეტყობოდა, ცხელი დღე დადგებოდა და სასა-
მართლოს ჩატარება გარეთ — უზარმაზარი მუხის ძირში გადაწყვი-
ტეს. მუხა ესპანური ხავსით იყო დაფარული და მოედნის განაპირას
იდგა, მისი ჩრდილი კი მწვანე ტრამალს შორს ეფინებოდა. მუხის

ქვეშ იდგა ფიჭვის ხისაგან ნაკეთები დიდი მაგიდა, რომლის გარშემო ტყავადაკრული ათობით სკამი შემოერიგებინათ. მაგიდაზე სამელნე იდგა და უწესრიგოდ ეყარა დიდ ზომაზე დაჭრილი საწერი ქალღაღადი. კალმებად ბატის ფრთები დაეწყით. მაგიდაზევე ეწყო კოდექსები, ელაგა უმაღლესი ხარისხის კონიაკის ბოთლები, ჰავანური სიგრებისა და ასანთის ყუთები.

მაგიდასთან მოსამართლეს დაეკავებინა ადგილი. პაპანაქება სიცხის გამო ალბათ გადაწყვიტა, შილიფად ჩაცმულს, პერანგისამარა გაერჩია საქმე.

პარიკის ნაცვლად თავზე პანამა ქუდი ეხურა, რომლის ფარფლები მარცხენა მხარეს დაბლა ჰქონდა დაშვებული, მარჯვენა მხარეს კი თითქოს წონასწორობის შესანარჩუნებლად, ნახევრად დაღრღნილი და ნახევრად მოწეული ჰავაური სიგარა გაეჩარა პირში.

სხვა სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთა პროფესიის გამოცნობა შეუძლებელი იყო მათი ჩაცმულობის მიხედვით.

ესენი იყვნენ ვექილები, პროკურორები, მრჩევლები, შერიფი და მისი მოადგილე, ფორტის სამხედრო კომენდანტი, კათოლიკე მღვდელი, ექიმი, რამდენიმე ოფიცერი და მოქალაქე.

ცოტა მოშორებით თორმეტ მსაჯულს მოეყარა თავი. ზოგიერთები ხის გრძელ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ, დანარჩენები კი პირიდაპირ ბალახზე წამოწოლილიყვნენ.

ნაფიცი მსაჯულები ისევე აუცილებელია ტეხასის სასამართლოში, როგორც ინგლისში. მაგრამ ინგლისის ნაფიც მსაჯულთაგან განსხვავებით, ტეხასში მათ ათჯერ უფრო მეტ ნდობას უცხადებენ. ტეხასში ნაფიცი მსაჯულები მოსამართლის დიქტატს არ ემორჩილებიან და დამოუკიდებლად აზროვნებენ.

ჰენრი ჰოინდექსტერის მკვლელობისათვის პირველად ფელიმ ონილის, მიგუელ დიასისა და მისი ამფსონების გასამართლებასაც ფიქრობდნენ. მაგრამ საქმის წინასწარი გამოძიების დროს მიგუელ

ღიასმა და მისმა ამფსონებმა შეძლეს თავიანთი ალიბის დამტკიცება. მათ აღიარეს, რომ ინდიელების ტანსაცმელი გადაიცვეს, მაგრამ ისიც დაუმატეს, ეს ამბავი ხუმრობით ჩავიდინეთო. ეს ფაქტი ყველამ იცოდა. ისიც შეიტყვეს: მიგუელ ღიასი, იმ ღამით, როცა ჰენრი პოინდექსტერი უგზოუკვლოდ დაიკარგა, ქოხში უგონოდ მთვრალი იწვა და მისი ამფსონები თავიანთ სახლებში ისხდნენ და ამიტომ ოთხივენი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

45 - ცრუ მოწმე

დამსწრეთაგან ცოტა ვინმე თუ იცნობდა პირადად ბრალდებულს, მაგრამ იქ მყოფთა შორის ისეთი არავინ მოიძებნებოდა, ვისაც არაფერი გაეგონა მორის მუსტანგერზე.

მისი სახელი განსაკუთრებით ცნობილი გახდა კოლჭაუნთან მომხდარი დუელის შემდეგ, იქამდე მორისზე მხოლოდ იმას ამბობდნენ, კარგი მუსტანგერიაო. მას ყველა პატივისცემით ეპყრობოდა, როგორც შესანიშნავ, მამაც, ლამაზ ყმაწვილს. იგი გულღია და ენამოსწრებული გახლდათ, როგორც ჩვეულებრივ ირლანდიელები არიან ხოლმე.

მაყურებელთა შორის ბევრი ცნობისმოყვარეობით, მაგრამ უმრავლესობა განრისხებული და შურისძიების წყურვილით ანთებული შეჰყურებდა ბრალდებულს.

მაგრამ მაყურებელთა შორის იყო წყვილი თვალი, რომელიც სულ სხვაგვარად შესცქეროდნენ მუსტანგერს. იმ თვლებში სინაზე და სიმტკიცე იგრძნობოდა. იმ სინაზესა და სიმტკიცეს თან რაღაც უცნაური შიშიც გადაჰაჭვოდა.

იმ თვალების პატრონის ფერმკრთალმა და მშვენიერმა სახემ მაყურებელთა საყოველთაო ყურადღება მიიქცია. მათი გამოხედვის აზრი მხოლოდ რამდენიმე იქ მყოფთაგანს ესმოდა.

იმ ადამიანთა შორის თვითონ ბრალდებულიც ერია. როცა მორისმა მისკენ მომზირალი თვალები შენიშნა, ტანში სასიამოვნო

ჟრუანტელმა დაუარა და მისი სული სიამაყის გრძნობით აივსო. ამ სასიამოვნო გრძნობამ დროებით ისიც კი გადაავიწყა, რა განსაცდელიც ემუქრებოდა.

სასამართლო დაიწყო. ბევრ ფორმალობას მაინცდამაინც არ გამოჰკიდებიან. მოსამართლემ ქუდი მოიხადა, ასანთი გაკრა და ჩამქრალ სიგარას მოუკიდა. ერთი ექვსიოდეჯერ მაგრად მოქაჩა, მერმე სიგარა პირიდან გამოიღო, მაგიდის ბოლოს დადო და წარმოთქვა:

— ბატონო ნაფიცო მსაჯულნო! ჩვენ შევიკრიბეთ, რომ გავარჩიოთ ის საქმე, რომლის ასვალ-დასავალი კარგად მოგეხსენებათ. მოკლეს ადამიანი, რომელიც ჩვენი ძალზე პატივსაცემი თანამოქალაქის ვაჟიშვილი გახლდათ. ამ დანაშაულის ჩადენისათვის დაპატიმრებული ადამიანიც თქვენ წინაა. ჩემი მოვალეობაა სასამართლო საქმის სწორად წარმართვა და საპროცესო ნორმების ზუსტად დაცვა. თქვენი ვალია, მოუსმინოთ ბრალდებას, ყოველივე კარგად აწონ-დაწონოთ და განაჩენი ბრალდებულს ისე გამოუტანოთ.

დაპატიმრებულს ჩვეულებრივ ჰკითხეს:

— დამნაშავე ხართ თუ არა?

— არა, — მტკიცედ განაცხადა ბრალდებულმა.

კასიუს კოლჰაუნმა და რამდენიმე ვიგინდარამ იქედნურად ჩაიცივნეს. მოსამართლემ კვლავ სიგარა მოქაჩა.

პროკურორი ბრალდების მოწმეთა დაკითხვას შეუდგა.

პირველად ფრანც ობერდოფერს გამოუძახეს. მან ჩვენებაში იგივე გაიმეორა, რაც ადრევე მდევრებს მოახსენა. მან თქვა: იმ დამით, როცა ახალგაზრდა პოინდექსტერი დაიკარგა, მორის ჯერალდმა შუალამისას დასტოვა ჩემი სასტუმრო და გადაიხადა დანახარჯი. ობერდოფერს არ დავიწყებია ეთქვა: საკუთარი თვალით დავინახე, მორის მუსტანგერს დიდძალი ფული ჰქონდა. იგი ნუესას ნაპირზე მდგარ თავისი ქოხისაკენ გაეშურა. თუმცა არ უთქვამს, სად

მიდიოდაო. ობერდოფერი მხოლოდ თავის შეხედულებას გამოთქვამდა, რადგან წინააღმდეგობით მორის ჯერალდის მსახურს მთელი ბარგი ჯორისათვის აეკიდნა და სასტუმროდან ქოხისაკენ გამგზავრებულიყო.

რა ჰქონდა თან მუსტანგერს სასტუმროდან გასვლისას? მოწმეს დაწვრილებით ამისი თქმა არ შეეძლო. ობერდოფერმა არ იცოდა, თან წაიღო თუ არა მორის ჯერალდმა თოფი. მან ჭოჭმანით განაცხადა, მგონი, მექსიკურ ყაიდაზე უნაგირსმიკრულ თოფს მოვკარი თვალიო. მაგრამ მოწმემ მტკიცედ განაცხადა, რევოლვერი რომ ბუდეში ედო და წელზეც სანადირო დანა ეკიდა, ნამდვილად დავინახეო. ჯერალდი ჩვეულებრივ მექსიკურად იყო გამოწყობილი და მხეხვით ზოლებიანი წამოსასხამი ჰქონდა წამოგდებული. მოწმის სიტყვებით, მას უცნაურად მოეჩვენა, რომ მუსტანგერი ასე გვიან ღამით გამგზავრა, მაშინ, როცა უთხრა, დილით უნდა წავიდეთ.

მთელი საღამო მუსტანგერი სასტუმროში არა ყოფილა, თუმცა მისი ცხენი სასტუმროს საჯინიბოში ებაო, განაცხადა ობერდოფერმა. სასტუმროში დაბრუნების შემდეგ კი სასწრაფოდ გამგზავრება დააპირა და მხოლოდ იმან დააყოვნა, რომ ანგარიშის გასწორება მოინდომაო. იგი აღელვებული ჩანდა და ჩქარობდა. ეტყობოდა, ფხიზელი იყო. მართალია, მათარა ამავსებინა, მაგრამ თვითონ სასტუმროში წვეთი სასმელი არ დაუღვებიაო. მოწმე მზად იყო დაეფიცა, რომ მუსტანგერი ნასვამი არ იყო. აღელვება მის საქციელში შევნიშნე, — ცხენს კაზმავდა და რაღაც გაჯავრებული ბურტყუნებდაო.

შემდეგ ობერდოფერს ჰკითხეს, რა იცი ჰენრი პოინდექსტერზეო.

ვინაიდან ჰენრი სასტუმროში იშვიათად დადიოდა, ობერდოფერი მას ნაკლებად იცნობდა. ის სასტუმროში იმ ღამით ყოფილა, როცა უკანასკნელად ნახეს. მოწმემ თქვა, რომ მისი გამოჩენა სასტუმროში ორმხრივ გაუკვირდა. ჯერ ერთი, რომ იგი სასტუმროში იშვიათი სტუმარი იყო და მეორეც, ასე გვიან ღამით რომ ესტუმრა. ახალ-

გაზრდა პოინდექსტერი სასტუმროში არც შესულა. მას მხოლოდ შეუხედავს და ობერდოფერი გარეთ გამოუძახია. ჰენრის მორის ჯერალდი უკითხავს. ობერდოფერის განცხადებით, ისიც აღელვებული ჩანდა, როცა მოწმეს უთქვამს, მუსტანგერი კარგა ხანია, გაემგზავრაო, ჰენრი კიდევ უფრო აღელვებულია და წაულაპარაკია, რომ ჯერალდის ნახვა სწორედ იმ დამით სურდა და ობერდოფერისათვის გამოუკითხავს, რომელ მხარეს წავიდაო. ობერდოფერს გზა რიო გრანდესაკენ მიუსწავლელია. ჰენრის უთქვამს, გზა კარგად ვიცი და მუსტანგერს დავედევნებიო.

კიდევ რამდენიმე მოწმე დაკითხეს, მაგრამ მათი მოწმობა ბრალდებულს უფრო ამართლებდა. მათი ჩვენების მიხედვით ბრალდებულსა და ჰენრი პოინდექსტერს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ.

მოწმედ გამოძახებულმა კასიუს კოლჰაუნმა კი სრულიად საწინააღმდეგო რამ განაცხადა.

ვერაგობით აღსავსე წინაწასარი განცხადების შემდეგ, რომ ის იძულებული იყო, ასეთი ამბავი სააშკარაობზე გამოეტანა, მან ილაპარაკა ბაღში ლუიზასა და მორის ჯერალდის შეხვედრაზე, ჰენრის გამოჩენასა და ჩხუბზე, ჯერალდის წასვლაზე და იქვე დაუმატა, წასვლისას მუსტანგერი იმუქრებოდაო. მერე განაცხადა, ჰენრი მორისს უკან დაედევნაო და ერთი სიტყვით, ყველაფერი თქვა, ყველა მიზეზი დაასახელა — თუ რატომ გამოედევნა ჰენრი მუსტანგერს. იმაზე კი არაფერი უთქვამს, თვითონ რა მონაწილეობას იღებდა მონაცოლ ამბებში.

ამ აღმაშფოთებელმა გამოაშკარავებამ საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია, ყველანი განცვიფრდნენ — მოსამართლეს, ნაფიცი მსაჯულებიცა და მაყურებლებიც. შეიქნა ერთი ჩურჩული, გადალაპარაკება და აღშფოთებული წამოძახილები.

ამ საყოველთაო ზუზუნში გაისმა გულის სიღრმიდან ამომსკდარი ოხვრა, რომელიც გაუბედურებული შვილებით გაწამებულ მამას აღმოხდა.

სასამართლოს მოხელემ, რომელიც მოწმეებს იძახებდა, უეცრად დაიყვირა: — მოწმე ლუიზა პოინდექსტერი!

კოლჭაუნი განზე გადგა.

46 - უნებლიე მოწმე

სანამ სასამართლოს გამომძახებელი მონოტონურად მესამედ წარმოთქვამდა მის გვარსა და სახელს, ლუიზა კარიოლის კიბებზე ჩამოვიდა.

სასამართლოს მოხელე-ოფიცრის თანხლებით იგი იმ ადგილამდე მივიდა, სადაც ჩვეულებრივ დაკითხვაზე მოწმენი იდგნენ.

ყოველგვარი შიშისა და კანკალის გარეშე წარსდგა ლუიზა სასამართლოს წინაშე.

ახლა ყველანი მას მისჩერებოდნენ. ერთნი ცნობისმოვარეობით, მეორენი ზიზღით, მესამენი კი, და ეს უმრავლესობა გახლდათ, თავიანთ აღტაცებას ვერ მალავდნენ. მაყურებლებს ლუიზა ნახევრად დამნაშავედ მიაჩნდათ, მაგრამ მისი ქალური მშვენიება იმდენად წარმტაცი იყო, რომ თვალი ვერ მოეშორებინათ.

იქ მყოფთა შორის ერთი ადამიანი სულ სხვაგვარად შეჰყურებდა პოინდექსტერის ასულს. მის გამოხედვაში იგრძნობოდა უსაზღვრ სინაზე და ფარული, უხილავი უნდობლობის ეჭვი.

ეს თვითონ ბრალდებული გახლდათ. მაგრამ ლუიზა არც მას და არც არავის არ უყურებდა. თავისი ყურადღების ღირსად, ეტყობა, მშვენიერმა ლედიმ მხოლოდ ის ადამიანი სცნო, ვინც სასამართლოში მოწმის ადგილზე დააყენა. იგი დაჟინებით შესცქეროდა კოლჭაუნს, — თითქოს უნდოდა, თვალებით განეგმირა იგი.

კოლჭაუნმა ლუიზას ასეთ დაჟინებულ მზერას ვერ გაუძლო, უკანასკნელად დაიხია და ხალხში მიიმალა.

— სად იყავით, მისს პოინდექსტერ, იმ ღამეს, თქვენი ძმა რომ უგზო-უკვლოდ გაქრა.

ეს კითხვა ლუიზას პროკურორმა დაუსვა.

— მამაჩემის სახლში.

— თუ შეიძლება, მიპასუხოთ, იყავით თუ არა იმ საღამოს ბაღში?

— ვიყავი.

— რომელი საათი იქნებოდა?

— თუ არ ვცდები, შუალამე უნდა ყოფილიყო.

— მარტო იყავით?

— არა.

— მაშასადამე თქვენთან სხვა ვინმეც იყო?

— დიახ, გახლდათ.

— თუ თქვენი გულწრფელი პასუხის მიხედვით ვიმსჯელებთ, მის პოინდექსტერ, მაშინ იმედი მაქვს, გვეტყვით, იყო ვინმე თქვენთან ერთად იმ ღამით?

— რა თქმა უნდა.

— შეიძლება დაასახელოთ?

— ჩემთან ერთად ბაღში ორი ადამიანი გახლდათ. მათ შორის ჩემი ძმა.

— სანამ თქვენი ძმა მოვიდოდა, იყო თუ არა თქვენთან ვინმე?

— იყო.

— ჩვენ სწორედ მისი სახელი გვანტერესებს. იმედი გვაქვს, პირდაპირ გვეტყვით.

— რატომ უნდა დაგიმალოთ? ეს მისტერ მორის ჯერალდი გახლდათ.

ამ პასუხმა ხალხში არა მარტო გაოცება, ზიზღი და გულისწყრომაც გამოიწვია.

პასუხმა მხოლოდ ბრალდებული გაამხიარულა. მას ახლა თავის ბრალმდებელზე უფრო მხიარული სახე ჰქონდა.

— ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, ეს შეხვედრა წინასწარ დათქმული იყო, თუ შემთხვევითი?

— დათქმული გახლდათ.

— მის პოინდექსტერ! მე თქვენ ცოტა უხერხული კითხვა უნდა დავისვით. მაგრამ ვინაიდან ეს ჩემი ვალია, გთხოვთ, მაპატიოთ. რა იყო თქვენი შეხვედრის მიზანი ან საბაბი?

მოწმემ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ოდნავ დააგვიანა. იგი ყოყმანობდა.

მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა. ლუიზა წელში გასწორდა, ხალხს დაუდევრად გადახედა და წარმოთქვა:

— მიზანი და საბაბი, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ორივე ერთია. მე არაფერს არ დაგიმალავთ. მე ბალში ჩავედი იმ კაცის შესახვედრად, ვინც მიყვარდა და ახლაც მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახლა დამნაშავეის სკამზე ზის და დანაშაულის ჩადენა ბრალდება! კმაყოფილი ხართ ჩემი პასუხით, სერ?

— ჯერ არა, — ისე განაგრძო პროკურორმა, რომ არანაირი ყურადღება არ მიუქცევია ხალხის ჩურჩულისათვის, — მე კიდევ მინდა მოგცეთ რამდენიმე შეკითხვა, მის პოინდექსტერ. მართალია, ამით მე დავარღვევ მიღებულ სასამართლო წესს, მაგრამ დროს მოვიგებთ. ვიმედოვნებ, ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნება. ალბათ, მოისმინეთ, რაც თქვენზე ადრე დაკითხულმა მოწმემ განაცხადა. მართალია თუ არა, რომ თქვენი ძმა და ბრალდებული აღელვებული დაშორდნენ ერთმანეთს?

— მართალია.

ლუიზას პასუხმა ხალხი აღელვა და მათი გულისწყრომა გამოიწვია. ახალგაზრდა ლედის პასუხმა კოლჰაუნის ჩვენება დაადასტურა და მკვლელობის საბაბიც აშკარა გახდა. ხალხი აღარ აცლიდა ლაპარაკს მოწმეს, რომელსაც სურდა ჩვენება მიეცა. აქა-იქ გაისმა ყვირილი: ჩამოვახრჩოთ, ჩამოვახრჩოთ.

— დაიცავით წესრიგი! — დაიყვირა მოსამართლემ, თან პირიდან სიგარაგამოიღო და იქაურობას თვალი მედიდურად მოავლო.

— ჩემი ძმა ბრალდებულს აღელვებული არ დასდევნებია. მან აპატია მისტერ ჯერალდს ყოველივე და სურდა, ბოდიში მოეხადა მის წინაშე, — შეკითხვის გარეშე დასძინა ლუიზამ.

— მე მინდა ამის თაობაზე კიდევ მოგახსენოთ რაღაც, — ჩაერია ლაპარაკში კოლჰაუნი და ამით დაარღვია სასამართლო წესი, — მათ შემდეგაც იჩხუბეს. მე სახლის ბანზე ვიდექი და ყველაფერი გავიგონე.

— მისტერ კოლჰაუნ! — მკაცრად მოუჭრა მოსამართლემ, — თუ პროკურორს თქვენი ჩვენება კვლავ დააინტერესებს, გამოგიძახებთ, მანამდე კი, სერ, კეთილი ინებეთ და სასამართლო პროცესის მიმდინარეობას ხელს ნუ უშლით.

კიდევ რამდენიმე უმნიშვნელო კითხვა და ლუიზა მოწმის ადგილს მოსცილდა.

იგი კარიოლში გულდამძიმებული დაბრუნდა. ახალგაზრდა ლედიმ იგრძნო, რომ თავისი ალალი ჩვენებით სარგებლობის მაგივრად ბრალდებულს უფრო ავნო და ამასთანავე თავისი საქმეც გაიფუჭა. უკან რომ ბრუნდებოდა, ლუიზამ წრედ შემორტყმული ხალხის თვალებში თავის მიმართ სიძულვილი ამოიკითხა.

კოლჰაუნი ისევ მოწმის ადგილზე მიიწვიეს. მან დამატებითი ცრუ ჩვენებით ხალხს კიდევ უფრო გაუღვივა ბრალდებულის მიმართ სიძულვილი. ყოველივე მისი სიტყვა მტკნარი სიცრუე გახლდათ, მაგრამ როგორღაც დამაჯერებლად მოგეჩვენებოდათ.

ყვირილი გრძელდებოდა. გაისმოდა ბრალდებულის წინააღმდეგ ცილისმწამებლური განცხადებანი, რომლის მიზანი იყო ისედაც აღელვებული ბრბოს გახელება. წამოძახილები თანდათან მკაცრი, ღვარძლიანი და დაუნდობელი ხდებოდა. შეიძლებოდა მოსამართლე რობერტსი გადაეყენებინათ და ბრალდებული ლინჩის წესით გაესამართლებინათ.

— რა მოჰყვებოდა ამას? მორის ჯერალდს ველარ გაასამართლებდნენ სასამართლოს წესით, ველარ გამოიტანდნენ განაჩენს, რადგან მისი ბედი ხალხს წინასწარ გადაეწყვიტა. განაჩენის სისრულეში მოყვანას კი სულ ცოტა ხანი დასჭირდებოდა. გამოცდილი ჯალათები იმწამსვე გადააცვამდნენ ყულფს კისერზე მუსტანგერს და მუხის ტოტზე ჩამოჰკიდებდნენ!

ეს ფიქრი უტრიალებდა უმრავლესობას გონებაში. საკმარისი იყო, ვინმე თავზეხელაღებულს ეთავა ეს საქმე და მხარდამჭერნიც გამოუჩნდებოდნენ.

სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილმა ოფიცრებმა ერთმანეთს სწრაფად რაღაც გადაულაპარაკეს; ესენი იყვნენ ფორტის ოფიცრები, რომელთა შუაში მათი კომენანტი — მაიორი იდგა.

ეს საუბარი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მაიორმა ბრძანება გასცა, დაეკრათ საყვირი. გაისმა ბუკის ხმა.

იმწამსვე ფორტ იხვიდან ცხენოსანთა ორი ოცეული დაიძრა და მუხის ქვეშ შეკრებილი ხალხისაკენ გამოემართა.

ბრბო დაწყნარდა. ცხენოსანთა ორი ოცეულის გამოჩენამ არა მარტო ჩააჩუმა ისინი, არამედ მორჩილნიც კი გახადა. ყველამ აშკარად იგრძნო, რა მიზნით მიმართა ასეთ წინასწარ სიფრთხილეს ფორტის უფროსმა მაიორმა.

ყველასთვის ნათელი გახდა, რომ მორის ჯერალდს ლინჩის წესით ველარ გაასამართლებდნენ. კანონის უხემ დარღვევასა და უწესრიგობაზე ქვეყნის სამართალმა გაიმარჯვა.

მოსამართლე რობერტის ფუნქციებში უხეშად ჩარევის ცდა აღარ განმეორებულა.

— თანამოქალაქენო! — რიხიანად წარმოთქვა მან. მის ხმაში საყვედურის კილო უფრო გაისმა, ვიდრე მოწოდება, — უნდა ვიმოქმედოთ კანონის მიხედვით. კანონი ისევე უნდა დავიცვათ აქ, როგორც სხვა შტატებშია მიღებული. ტეხასი მისისიპის შტატი ხომ არაა, თვითნებურად რომ მოვიქცეთ. როგორ შეიძლება ჩამოვახრჩოთ

ადამიანი, თუ არ ვკითხეთ, რა მიზეზით ჩაიდინა დანაშაული და რით შეუძლია იმართლოს თავი? მისი თვითნებური დასჯა უკანონობა, უსამართლობა — პირდაპირ მკვლელობა იქნებოდა.

— თვითონ თუკი ჩაიდინა მკვლელობა? — წამოიძახა რომელიღაც ვიგინდარამ, რომელიც კოლჰაუნის გვერდით იდგა, — ბრალდებულს ისევე უნდა მოვექცეთ, როგორც ის მოექცა ახალგაზრდა პოინდექსტერს.

— ჯერალდმა ჩაიდინა თუ არა დანაშაული, არავის დაუმტკიცებია. არ მოგვისმენია ყველა მოწმისათვის. მოითმინეთ, ჯერ მოპირდაპირე მხარის მოწმეები დაგვკითხოთ.

— გამომცხადებელი! — მიუბრუნდა იგი სასამართლოს მოხელეს, — გამოუძახეთ დაცვის მოწმეებს.

გამომცხადებელმა მორჩილად შეასრულა მოსამართლის მითითება და მოწმის ადგილი ფელიმ ონილმა დაიჭირა.

საჯინიბოში გაზრდილი ბიჭის არეულ-დარეულ, უაზრო და დაუჯერებელ ლაპარაკს მისი ბატონის უცოდველობის დამტკიცება არ შეეძლო.

სან ანტონიოელი ვეჭილი ფელიმის ჩვენებამ ისე ააღელვა, რომ ცდილობდა, რაც შეიძლება მალე შეეწყვეტინებინა მისთვის ლაპარაკი, იგი მთელ იმედებს მეორე მოწმეზე ამყარებდა.

ეს მეორე მოწმე ზებულონ სტუმპი გახლდათ.

როცა სასამართლოს მოხელემ იყვირა: ზებულონ სტუმპიო, მისი ხმის ექო ჯერ კიდევ არ აერეკლა უზარმაზარ მუხის ტოტებს, რომ მოხუცის ვეებერთელა ტანი ხალხში წამოიძარათა და მოწმის ადგილისაკენ გაემართა. ყველა იქ დამსწრემ იცნო სახელგანთქმული მონადირე.

ზებ სტუმპმა სამი თუ ოთხი ნაბიჯი გადადგა და მოწმის ადგილი დაიკავა.

დადგენილი წესის თანახმად, ზებ სტუმპი ემთხვია სახარების წიგნს და ფიცი დადო, სიმართლეს იტყოდა.

ძველმა მონადირემ ისეთი ხმაურით აკოცა წიგნს, რომ სასამართლოს გარშემო წრედ შემორტყმული ხალხის ბოლოშიც კი გაიგონეს. მიუხედავად დაძაბული მდგომარეობისა, ხალხში ხარხარი გაისმა. მათ წესრიგისაკენ მოუწოდეს. ზებ სტუმპიცი შემობრუნდა და ხალხს დააკვირდა, აბა, რომელი იცინისო. იქ მყოფნი კარგად იცნობდნენ ძველი მონადირის ხასიათს: ის არავის შეარჩენდა დაცინვას და უცებ სერიოზული სახეები მიიღეს.

რამდენიმე წინასწარი კითხვის შემდეგ ზებ სტუმპს სთხოვეს, დაწვრილებით ელაპარაკა, რაც იცოდა ამ უცნაური ამბის შესახებ.

— მე მზად ვარ, ბატონო მოსამართლე! — უთხრა მან რობერტს, რომელიც კვლავ პირში სიგარაგაჩრილი იჯდა, — მოგცეთ ჩვენება, მაგრამ თუ თქვენ და ნაფიცი მსაჯულნი წინააღმდეგნი არ იქნებით, ვამჯობინებდი, ჯერ ამ ყმაწვილს ელაპარაკა და მერე მოგესმინათ ჩემი ჩვენება, რომელიც დაადასტურებს მის სიტყვებს.

— თქვენ რომელ ყმაწვილზე ლაპარაკობთ? — ჰკითხა რობერტსმა.

— რა თქმა უნდა, მუსტანგერზე მოგახსენებთ, მასზე, ვისაც ჰენრი პოინდექსტერის მკვლელობაში ედება ბრალი.

— ეს ოდნავ დაარღვევს საპროცესო ნორმებს, — უთხრა მოსამართლემ, — თუმცა ჩვენი მოვალეობაა, გავიგოთ სიმართლე, პირადად მე, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ ნაფიცი მსაჯულებიც დათანხმდებიან, იყოს ნება თქვენი.

თორმეტმა მსაჯულმა თავიანთი მეთაურის პირით განაცხადა, რომ არც ჩვენ გვაქვს რაიმე საწინააღმდეგო, ჯერ ბრალდებულმა ილაპარაკოსო.

47 - ბრალდებულის აღიარება

ვექილის რჩევით, მუსტანგერმა გადაწყვიტა, აღსარება ეთქვა.

მოსამართლის ბრძანებისთანავე იგი წინ წამოდგა, მცველებიც თან გაჰყვნენ.

ვფიქრობ, ზედმეტია აღვნიშნოთ, თუ როგორი სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— ბატონო მოსამართლე, ბატონო ნაფიცო მსაჯულნო! — ტეხასურ კილოზე წარმოთქვა მან, — თქვენი მხრივ დიდი კეთილშობილებაა, რომ ლაპარაკის საშუალება მომეცით. პირობას გაძლევთ, ამ უფლებას ბოროტად არ გამოვიყენებ და თავს არ მოგაბებრებთ. პირველ ყოვლისა, მინდა მოგახსენოთ, რომ აქ გაგონილ ამბებს, რაც უცნაურად და დაუჯერებლად გეჩვენებათ, ნათელს მოჰყენს ჩემი გულწრფელი აღსარება. ბევრი რამ მოწმეთა ჩვენებიდან არ შეეფერება სიმართლეს და ზოგმა მათგანმა მტკნარი სიცრუეც ილაპარაკა.

ეს რომ თქვა, მორისმა მზერა გადაიტანა კასიუს კოლჰაუნზე, რომელიც ამ შეხედვამ ისე შეაკრთო, თითქოს ექვსვაზნიანი რევოლვერის ლულა დაუმიზნესო.

— მისს პოინდექსტერმა მართალი მოგახსენათ, მას მამამისის ბაღში შევხვდი. კეთილშობილმა ლედიმ თავისი დიდსულოვანი აღსარებით მიხსნა ფიცის გატეხვისა და ცრუ ჩვენებისაგან. მას რომ არ ეთქვა, წინასწარი დათქმის თანახმად ერთმანეთს ბაღში შევხვდითო, მე ვერ გამოვტყდებოდი. ახლა კი გთხოვთ, რასაც ვიტყვი, ყოველივე სარწმუნოდ მიიჩნიოთ. სწორია ისიც, რომ ჩვენ ფარულად შევხვდით და თავს წამოგვადგა ადამიანი, რომელიც აქ არ არის და ამიტომაც ვერაფერს ვიტყვი მასზე. ჩვენ მკვახე სიტყვებით მივმართეთ ერთმანეთს, მაგრამ უფრო სწორი ის იქნება, თუ ვიტყვით, მან მომმართა-მეთქი. მაგრამ არ შეეფერება სიმართლეს, ვითომ ჩვენ შორის დავა ისევ განახლებულიყოს. ხოლო ეს ადამიანი, ვინც ეს მოგახსენათ, ასეთ რამეს ვერ იტყოდა, თავისუფალი რომ ვიყო და შემეძლოს სათანადო პასუხი გავცე, — ბრალდებულმა კვლავ მომნუსხველი მზერა მიაპყრო კოლჰაუნს, რომელიც ხალხში მიიმალა, — პირიქით, — განაგრძო მორის ჯერალდმა, — ჩვენი მომდევნო შეხ-

ვედრის დროს ჰენრი პოინდექსტერმა ჩემი გალანძღვის გამო ბოდიში მომიხადა. მე პირადად მასთან ერთად მხოლოდ მეგობრობა და სიყვარული მსურდა.

– თქვენ ამბობთ, რომ შერიგდით, არა? – ჩაურთო მოსამართლემ, რომელმაც – სად შერიგდით?

– მკვლელობის ადგილიდან ოთხასი იარდის დაშორებით.

მოსამართლე ფეხზე წამოხტა. ასევე მოიქცნენ მსაჯულებიც. მაყურებელი კი თავიდანვე ფეხზე იდგნენ. სახეზე ყველას გაცეცხის კვალი აღბეჭდვოდათ.

მკვლელობის ადგილზე სიტყვა არავის დაუძრავს. არც ის უთქვამთ, მკვლელობა მოხდაო.

– თქვენ იმ ადგილზე ლაპარაკობთ, სადაც სისხლის ტბორი იდგა? – იჭვნეულად შეეკითხა მოსამართლე.

– მე იმ ადგილზე მოგახსენებთ, სადაც ჰენრი პოინდექსტერი იქნა მოკლული.

შეკრებილი ხალხი უფრო განცვიფრებული მიაჩერდა ბრალდებულს. გაისმა ჩურჩული და ხმადაბალი წამოძახილები. ვუდლი პოინდექსტერის ღრმა ამოოხვრამ ყველა ხმა დაფარა. ასე აშკარად მან პირველად მოისმინა, რომ ვაჟიშვილი აღარ ჰყავდა. მოხუცი მამის გულში აქამდე კიდევ ღვიოდა იმედის ნაპერწკალი, იქნებ ჰენრი ცოცხალი იყოს, ხომ შეიძლება ავად გახდა და სადმეა თავშეფარებული, ან ინდიელებს ჩაუვარდა ტყვედო, აქამდე არც არსებობდა ჰენრის მკვლელობის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი.

ვუდლი პოინდექსტერს ეს უკანასკნელი იმედიც წაართვა ბრალდებულის სიტყვამ.

– თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ჰენრი პოინდექსტერი მკვდარია? – ჰკითხა პროკურორმა.

– სრულიად. რომ გენახათ ის, რაც საკუთარი თვალით ვნახე, მაგკითხვას აღარ მომცემდით.

– ნუთუ გვამი ნახეთ?

– ასეთი დაკითხვის წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებ, – განაცხადა ბრალდებულის დამცველმა, – ეს დაკითხვის წესის აშკარა დარღვევაა.

– ასეთ რამეს ჩვენს სასამართლოში ვერ მოითმენენ, – დაუმატა ოკეანის გალმიდან გამოსულმა ირლანდიელმა იურისტმა, – ჩვენში პროკურორს ჯვარედინ დაკითხვამდე სიტყვის უფლება აღარ აქვს.

– აქაც ასეთივეა კანონი, – უპასუხა მოსამართლე რობერტსმა და პროკურორს მკაცრად შეხედა, – ბრალდებულო, შეგიძლიათ განაგრძოთ. სანამ ჩვენებას არ დაამთავრებთ, შეითხვების მოცემის უფლება მხოლოდ და მხოლოდ თქვენს დამცველსა აქვს. აბა, განაგრძეთ, თქვენ რაც გაქვთ სათქმელი!

– მე შერიგებაზე მოგახსენებდით, – თქვა ბრალდებულმა, – და ისიც ვთქვი, სადაც შევრიგდით. ახლა ის მინდა მოგახსენოთ, თუ მაინცდამაინც რატომ იმ ადგილას მოხდა ჩვენი შერიგება. თქვენ უკვე იცით, როგორ დავცილდით ერთმანეთს მის პოინდექსტერი, ჰენრი და მე. მათ რომ დავცილდი, მდინარე ცურვით გადავლახე. ეს იმიტომ მოვიმოქმედე, რომ, ერთი მხრივ, არ მინდოდა გაეგოთ, როგორ შევდიოდი ხოლმე ბაღში, ხოლო მეორე მხრივ, ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ საერთოდ არ შემეძლო გაღმა გასვლაზე ბევრი მეფიქრა. დინებას მაღლა ავყევი და ახალშენისაკენ გავემართე. ალბათ ბევრ თქვენგანს ახსოვს, რომ ძალიან თბილი ღამე იდგა და სანამ ობერდოფერის სასტუმროს მივალწევდი, ტანსაცმელი შემამშრა კიდევ. სასტუმრო ჯერ კიდევ ღია იყო და მასპინძელიც დახლში იდგა, მაგრამ რაკი ობერდოფერის ჩემდამი უსულგულო დამოკიდებულების ამბავი ვიცოდი, მის ჭერქვეშ ყოფნა აღარ მოვისურვე. ამასთანავე ალამოს ნაპირებისაკენ ჩემს ქოხში უნდა წავსულიყავი და ღამით სიგრილეში სიარული ვამჯობინე. მსახური წინასწარ გავგზავნე ქოხში, მე კი მეორე დილით უნდა წავსულიყავი, მაგრამ კასადელ კორვოში მომხდარმა ამბავმა ამაჩქარა. ობერდოფერს ანგარიში გავუსწორე და ალამოსაკენ გავწიე.

— საიდან იშოვეთ ის თანხა, რომლითაც ობერდოფერს ანგარიში გაუსწორეთ? — ჰკითხა პროკურორმა.

— პროტესტს ვაცხადებ ასეთი დაკითხვის წინააღმდეგ, — განაცხადა ბრალდებულის დამცველმა.

— ეს რა ამბავია! — წამოიძახა ირლანდიელმა ვეჟილმა, — თქვენ რომ ასეთი რამ ჩვენს სასამართლოში გაგებდათ, მაშინ ნახავდით, რა დღესაც დაგაყრიდნენ!

— ჯენტლმენებო, დაწყნარდით! — ავტორიტეტულად განაცხადა მოსამართლემ, — მივცეთ ბრალდებულს იმის საშუალება, რომ ჩვენება განაგრძოს.

— მე ნელა მივდიოდი. ანკი რა მქონდა საჩქარო. ძილის ხასიათზე არ ვიყავი და ჩემთვის სულერთი გახლდათ, იმ ღამეს ტრამალზე შემომათენდებოდა, თუ ჩემს ქოხში. კარგად ვიცოდი, განთიადამდე ალამოს ნაპირს მივაღწევდი და მეც ეს მინდოდა. არც კი მიფიქრია, უკან მომხედა. გუმანითაც კი არ ვიცოდი, თუ ვინმე მომდევდა. ხოლო როცა ტყის სიღრმეში ნახევარ მილზე მეტი გავიარე და რიო გრანდეს გზაჯვარედინს მივაღწიე, ცხენის ფლოქვების ხმაური შემომესმა. ამ დროს გზაზე მდებარე მოსახვევი გავლილი მქონდა და ვერავის ვხედავდი, მაგრამ სმენით შევატყვე, რომ მხედარი ჩორთით მიახლოვდებოდა, იქნებ ვინმე მომდევს სამტროდ — გამიელვა უცებ გონებაში, თუმცა ისეთ ხასიათზე ვიყავი, რომ რაც უნდა მომხდარიყო, არ ვინაღვლებდი. უფრო ჩვეულების მიხედვით, რასაც ინდიელებთან მეგობლად ცხოვრება აჩვევს ადამიანს, ცხენი გზიდან ტყეში შევიყვანე და უცნობის მოახლოებას დაველოდე. მალე ისიც გამოჩნდა. თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა უცნობის ნაცვლად დავინახე ადამიანი, რომელთანაც ცოტა ხნის წინათ უსიამოვნება შემემთხვა. ამ უსიამონებაში მე ვგულისხმობ ჰენრის მიერ ჩემს გალანძღვას. არ ვიცოდი, ისევ გაბრაზებული იყო თუ არა. იქნებ თავისი დის იქ ყოფნამ შეუშალა ხელი, რომ ბალშივე გამსწორებოდა

და ახლა იმიტომ მომდევდა, ვითომდა შეურაცხყოფისათვის სამაგერო მოეზლო? ნაფიცო მსაჯულნო! მე არ უარყვოფ, რომ მაშინ მის დანახვაზე სწორედ ეს გავიფიქრე. როცა შევიცანი, ვინც იყო მხედარი, ტყიდან გამოვედი და მის წინ გზაზე გავჩერდი. საკმაო სინათლე იყო და დამინახა თუ არა, იმწამსვე მიცნო. ნაცვლად მოსალოდნელი შეჯახებისა, მისმა გულთბილმა შეხვედრამ ძალიან გამახარა, მისი პირველი სიტყვა იყო: მეპატიებინა შეურაცხყოფა და მეგობრულად გამომიწოდა ხელი. განა საჭიროა იმის თქმა, რომ მის გამოწვდილ ხელს სულითა და გულით შევაგებე ჩემი მარჯვენა? ვიცოდი, რომ ეს მართალი ადამიანის ხელი იყო და მეტსაც გეტყვით, მე ვიმედოვნებდი, იგი ჩემი ძმის ხელი გახდებოდა. ჩვენ ერთად გავიარეთ მცირეოდენი მანძილი და მერე ხის ძირას შევჩერდით. ჯერ სიგარები გავცვალეთ და მოვწიეთ, მერე ქუდები და წამოსასხამები გავცვალეთ. მე ჰენრის ჩემი მექსიკური სომბრერო და ზოლებიანი წამოსასხამი მივეცი, მან კი სანაცვლოდ თავისი სერაპე და პანამის ქუდი გადმომცა. ამის შემდეგ ერთმანეთს დავცილდით. ის ახალშენისაკენ გაეშურა, მე კი იქვე დავრჩი. მიზეზს ვერ გეტყვით, იქ რატომ შევჩერდი. ალბათ არ მინდოდა, დამეტოვებინა ძვირფასი ადგილი, სადაც მე და ჰენრი შევრიგდით. ალამოსაკენ იმ ღამესვე წასვლა უკვე აღარ მეჩქარებოდა, ძალზე ბედნიერი ვიყავი და ხის ქვეშ ვარჩიე ღამის გათევა. ცხენიდან ჩამოვხტი, პირუტყვი პალოზე გამოვაბი, წამოსასხამში გავეხვიე და ქუდიც კი არ მომიხდია, ისე მივწექი ხის ძირში ბალახზე. იმწამსვე ჩამეძინა. იშვიათად ჩამძინებია ასე მალე, ადრე ეს არასოდეს შემმთხვევია. ალბათ დიდი უსიამოვნების შემდეგ ჰენრისთან შერიგებამ ძალიან გამახარა და გრძნობამორეულს ძილმაც ხელი დამრია. მაგრამ ძალიან ფხიზლად მეძინა და მალე თოფის მჭახე ხმამ გამომადვიდა. თუმცა უნდა ვაღიარო, დაბეჯითებით ვერ გავარკვიე, მართლა თოფის ხმა იყო, თუ მომეჩვენა. ცხენს შევხედე, ყურები ისე დაეცქვითა და ფთხვინავდა, თითქოს ტყვია მისთვის ესროლათ. ფხიზე წამოვხტი და სმენად გადავიქეცი. მაგრამ

რაკი ხმაური ველარ გავიგონე და ცხენი მალე დაწყნარდა, მეგონა, ორივეს მოგვეჩვენა-მეთქი. ვიფიქრე: პირუტყვი ალბათ რომელიმე მოხეტიალე ნადირის ფეხის ხმამ დააფრთხო და მე კი ტოტის ტკაცუნის ხმა შემომესმა-მეთქი. შესაძლოა, ეს რაღაც იდუმალი ჩქამი ყოფილიყო, რომელიც ხშირად გაისმის ხოლმე ტვერში და მიზეზი მუდამ გაურკვეველი რჩება. ამის შემდეგ მასზე აღარ მიფიქრია. ისევ წამოსასხამში გავეხვიე, ბალახზე მივწეე და ხელმეორედ ჩამეძინა. სანამ დილის ნოტიო სუსხმა არ შემაწუხა, არც გამღვიძებია. ხის ქვეშ დარჩენა უკვე აღარანაირ სიამოვნებას აღარ მგვრიდა. ცხენი მოვზიდე და წასვლას ვაპირებდი, მაგრამ თოფის ხმა ახლაც ყურში მიწიოდა. ეს ხმა ახლა უფრო ძლიერად ჩამესმოდა, ვიდრე ღამით, ძილში რომ მომეჩვენა. გული რატომღაც მეუბნებოდა, სროლა იქიდან მოისმა, საითაც ჰენრი პოინდექსტერი წავიდაო. არ ვიცოდი, ეს ჩემი ფანტაზია იყო თუ სინამდვილე, მაგრამ გასროლა ჰენრის წასვლას დავუკავშირე და მანამდე ვერ მოვისვენე, სანამ იმ მხარეს წასვლა და საქმის გარკვევა არ გადავწყვიტე. დიდხანს არ მივლია, მალე წავადექი თავზე... მაგრამ ოჰ, ღმერთო, რა დავინახე, ჩემ წინ იყო...

— უთავო მხედარი! — დაიძახა ვიღაცამ და ხალხი მიახედა.

— უთავო მხედარი, — იმწამსვე გაიმეორა ორმოცდაათიოდე კაცი.

— ეს რა ამბავია, სასამართლოს ამასხარავეთ თუ რა? — მაგრამ ეს აზრი თავში არავის მოსვლია, რადგან ამ დროსათვის ყველამ გარკვევით დაინახა უთავო მხედარი, რომელიც ტრამალზე მოჭქროდა.

— აი, იქით მიქრის! — აი, იქ ხედავთ? — გაისმა ხალხში.

— არა, აქეთ მოდის, უყურეთ! სწორედ ფორტისაკენ მოაჭენებს, — ვინც ეს ბოლო წინადადება წარმოთქვა, მართალი გახლდათ. მაგრამ როგორც კი უთავო მხედარი ხის ქვეშ შეკრებილთ მოუახლოვდა და წამით შეავლო თვალი იქაურობას, ეტყობოდა, ბედაურს არ

მოეწონა მის წინაშე გადაშლილი სურათი, ერთი დაიფთხვინა, დაიჭიხვინა, შემობრუნდა და ისევ ტრამალზე გაქუსლა.

ბრალდებულის ჩვენებისადმი ინტერესი უთავო მხედრის გამოჩენამ გააქარწყლა. ყველა დარწმუნებული იყო, თუ უთავო მხედარს დაიჭერდნენ, საიდუმლოებას ფარდა აეხდებოდა.

სასამართლოში შეკრებილი ხალხის სამი მეოთხედი ცხენებზე შესხდა და უთავო მხედარს გამოუდგა. მღევრებში თვითონ ნაფიც მსაჯულთაგან ექვსი კაცი ერია.

უთავო მხედრის ბედაური ერთი წამით შედგა. მღევრები შეათვალიერა, მერე ერთი ველურად დაიჭიხვინა და მთელი ძალით ტრამალზე გაქუსლა. მღევრები ჯგუფ-ჯგუფად კიუნით დაედევნენ.

48 - ტყეში გამოღვენება

ტყე, საითკენაც უთავო მხედარი მიქროდა, ათი მილით მაინც იქნებოდა დაშორებული ახალშენიდან. მღევრები ტყესა და ახალშენს შორის მდებარე ტრამალზე მიქროდნენ.

სანამ ტყეს მიაღწევდნენ, ჩამორჩენილთა რიცხვმა თანდათან იმატა. ტყის პირამდე უთავო მხედარს ცოტანილა მიჰყვნენ — მათ შორის მხოლოდ ორმა შეძლო დაენახა ის ადგილი, სადაც უთავო მხედარი გაუჩინარდა.

ყველაზე ახლო უთავო მხედართან იმყოფებოდა რუხი მუსტაგი, რომლის პატრონი, ეტყობოდა, არც ცხენს და არც თავის თავს არ უფრთხილდებოდა. იგი გამუდმებით დეგებს სცემდა ფერდებში ბედაურს, დაჰკიოდა და მათრახსაც წარამარა გადაუჭერდა ხოლმე.

უკან, კარგა მანძილით ჩამორჩენილი, უზარმაზარი აღნაგობის მხედარი მისდევდა. ძე-ხორციელი ვერ იფიქრებდა, თუ მის ცხენს ასეთი სწრაფი ჭენება შეეძლო. მეორე მხედარი ცხენს არც დეგებს სცემდა, არც მათრახს. იგი უხმოდ მიერეკებოდა პირუტყვს, მაგრამ უფრო სასტიკად ექცეოდა. დროდადრო პირუტყვს დანის წვერს გავაში ჩხვლეტდა და სისხლს ადენდა. ეს დაწინაურებული მხედრები

კასიუს კოლჰაუნი და ზებ სტუმპი იყვნენ. რუხი მუსტანგის სისწრაფემ კოლჰაუნს საშუალება მისცა ყველასთვის გაესწრო. იგი პირუტყვს ისე მიერეკებოდა, თითქოს გარდაუვალი საფრთხის წინ იდგა და სურდა სიკვდილს გაქცეოდა.

მოხუცი მონადირეც მისთვის უჩვეულო სისწრაფით მიქროდა წინ, იგი თითქოს თავის თავს აღარ ენდობოდა და ცდილობდა, რა-დაც უნდა დასჯდომოდა, კასიუს კოლჰაუნი მხედველობიდან არ დაჰკარგვოდა.

რამდენიმე წამიც და ისინი ტყეში შევიდნენ.

ტყეში სამი მხედარი მიიკვლევდა გზას. ვამბობ, გზას-მეთქი, მაგრამ ისინი ნადირთა მიერ გაკვალული ვიწრო ბილიკზე მისდევდნენ ერთმანეთს. ეს ბილიკი კი ტყეში ხან აღმა მიემართებოდა, ხან დაღმა.

თითქოს არანაირი დაბრკოლება არ ეღობებათო, მხედრები უშიშრად მიიწევდნენ ტყის სიღრმეში. არად აგდებდნენ კაქტუსისა და აკაციების მჩხვლეთავ ეკლებს და გზას განაგრძობდნენ.

ისმოდა ტოტების ლაწანი და ტკაცუნა, მის ხმაზე დამფრთხალი ფრინველები თავს უშიშარ ადგილს აფარებდნენ.

დევნილ უთავო მხედრის ცხენს მდევრებთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ გზას თვითონ ირჩევდა. მდევრების ცხენებს კი მეტი რა გზა ჰქონდათ, თუ სურდათ დასწეოდნენ, უკან უნდა მიჰყოლოდნენ.

მართალია, მათ შორის მანძილი მაინცდამაინც არ გაზრდილა, მაგრამ მდევრებმა არა თუ უთავო მხედარი, ერთმანეთიც კი დაკარგეს მხედველობიდან. ამას გაუვალი ტყის სიხშირემაც შეუწყო ხელი.

მხედრები ერთმანეთს ვეღარ ხედავდნენ, მაგრამ სვავების შორსმხედველ თვალებს სამთაგან არ ერთი არ დაჰკარგვია.

რაკი მდევართა თვალს მოეფარა, დევნილს ახლა შეეძლო თავისუფლად ენავარდა. მდევრებს კი კვალის მიგნებისათვის უნდა ემ-

რუნათ. მართალია, უთავო მხედრის ცხენის ფეხისა და დამტვრეული ტოტების ლაწუნის ხმაზე ჯერ კიდევ შეიძლებოდა გზის გაგნება, მაგრამ მის წინ მიმავალი მდევარი სასოწარკვეთილებამ მოიცვა.

— დასწყევლოს ღმერთმა ჩემი გამჩენი, — წამოიყვირა გაცხარებული კოლჰაუნმა, — ახლაც გამექცევა! ამას არ ვინაღვლებდი, რომ ჩემ გარდა აქ არავინ იყოს. მაგრამ ის ჯოჯოხეთის მაძებარი ძალღი ტყეშია. მე რომ ტყის პირს მივალწიე, ერთი სამასი იარდით თუ ჩამომრჩებოდა.

ოჰ, ნეტავ შემეძლოს მისგან თავის დაძვრენა, მაგრამ ისეთია, მიპოვის.

ეს რომ თქვა, კოლჰაუნმა ცხენი ნახევრად შეაბრუნა და იმ ბილიკს დაუწყო თვალთვალი, წელან რომ გამოიარა.

იგი გზას გასცქეროდა იმ ადამიანივით, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო და ახლა იმასლა ანგარიშობდა, თავისი ჩანაფიქრის შესასრულებლად რომელი ადგილი აერჩია.

კოლჰაუნმა თითებით ჩაბლუჯა უნაგირზე მიკრული მოკლეულიანი თოფი. მის საქციელში იგრძნობოდა მოუთმენლობა. მაგრამ ისეთი გამოხედვა ჰქონდა, ეტყობოდა, კვლავ ყოყმანობდა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თავისი განზრახვა უარყო.

— არა, ასე არ ივარგებს, — წაიჩურჩულა მან, — მდევრები ბევრი არიან, რამდენიმე მათგანი ალბათ კვალს მოჰყვება. ისინი მის გვამს იპოვნიან და შეიძლება სროლის ხმაც გაიგონონ. არა, ასე არ ივარგებს.

იგი რამდენიმე ხანს იდგა და სმენად იყო გადაქცეული. არც წინიდან, არც უკნიდან ჩქამი არ ისმოდა. მხოლოდ ზემოთ სვავების ფრთებს გაჰქონდა ტლაშუნი. კოლჰაუნს უკვირდა, რატომ დასტრიალებდნენ თავს ეს ფრინველები.

— ნამდვილად ამ ადგილას გამოვა. ბედი უნდა ყველაფერს. რაღა ახლა მოუნდათ იმ დანარჩენებსაც გამოდევნება? მერედა, როგორ

ახლოს არიან. ასე რომ არ იყოს, ჩემს ამდენ ხეტიალს ახლავე მოვუღებდი ბოლოს! მერედა, როგორ ადვილად!

არც ისე ადვილად, როგორც თქვენ ფიქრობთ, კასიუს კოლჰუნ. იმ ფრინველებს რომ ენა ჰქონდეთ, ისინიც გეტყოდნენ, რომ თქვენი განზრახვა არც ისე იოლი შესასრულებელია. ფრინველები კარგად ხედავენ, რომ ზებ სტუმში გიახლოვდება, მაგრამ ძველი მონადირე ისე ბრიყვი არაა, რომ შენ მოგაკვლევინოს თავი. იგი ჩუმად გეპარება.

— რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ კვალი დაჰკარგოს, — გაიფიქრა კოლჰუნმა, — ყოველ შემთხვევაში, სანამ შესაძლოა, მე თვითონ უნდა გავყვე კვალს, თორემ იქნებ ვინმე სულელს გაუმართლოს ბედმა და თავს წაადგეს.

მე თვითონა ვარ სულელი, რომ ამდენი დრო ცუდუბრალოდ დავკარგე. თუ არ ვიჩქარე, ის ბებერი ძაღლი წამომეწევა და რაღა შეიძლება ამაზე უარესი მოხდეს?

კოლჰუნმა დებები შემოჰკრა მუსტანგს და სწრაფად გასწია წინ, რამდენადაც ამის საშუალებას მიხვეულ-მოხვეული ბილიკი და ხშირი ტყე იძლეოდა.

ორასი ნაბიჯიც არ გაეწლო, რომ გაკვირვებული შეჩერდა და სინარულისაგან შეჰყვირა.

მის წინ, ოც ნაბიჯზე უთავო მხედარი იდგა. იგი დაბალ ბუჩქებთან შეჩერებულიყო. ცხენს თითქოს კისერი მოეღერებინა დამეზვიტოს ჯიშის აკაციის ფოთლებს წიწვნიდა. პირველ დანახვაზე ასე გაიფიქრა კოლჰუნმა. თოფი სწრაფად მოიმარჯვა, მაგრამ ისევე სწრაფად დაუშვა და უნაგირზე მიამაგრა. ცხენი, რომლისთვისაც ტყვია უნდა ესროლა, მშვიდად როდი იდგა ახლა. ის თავს აქნევდა და გათავისუფლებას ცდილობდა.

კოლჰუნი მიხვდა, რომ აღვირი აკაციას გამოსდებოდა და უთავო მხედრის ცხენი ველარსად წაუვიდოდა.

— გაება, ჩემს ხელთაა! მაღლობას გწირავ, ღმერთო! — სიხარულისაგან კინალამ დაიყვირა, მაგრამ თავი შეიკავა, შესაძლო იყო ხმაურზე ყველანი აქეთ წამოსულიყვნენ. კოლჭაუნი იმწამსვე მიიჭრა უთავო მხედართან, რომელსაც ამდენი ხანი უშედეგოდ დასდევდა.

49 - უხალისო დაბრუნება

კოლჭაუნმა აკაცის ხეზე გამოდებულ აღვირს მაგრად ჩაავლო ხელი.

ცხენმა სცადა გაეთავისუფლებინა თავი, მაგრამ ვერ შეძლო. პირუტყვი მხოლოდ აკაცის გარშემო უვლიდა წრეს.

თვითონ მხედარს ტყვეობიდან თავის დახსნა არც უცდია. იგი გაუნძრევლად იჯდა უნაგირზე და აკაცის გარშემო პირუტყვის წრივალს გულგრილად ითმენდა.

ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ უთავო მხედრის სისხლისფერი ბედაური კოლჭაუნს დანებდა. ამ უკანასკნელს სიხარულის წამოძახილი აღმოხდა.

სამსახურიდან გადამდგარი მოხალისეთა ყოფილი კაპიტანი უცებ გაჩუმდა, რადგან თავისი საბოლოო მიზანი ჯერ კიდევ შესასრულებელი იყო.

როცა ტყე კარგად შეათვალიერა და დარწმუნდა, ჩქამიც არსად ისმოდა, საქმეს შეუდგა.

ვინც არ იცოდა, რის ჩადენას აპირებდა, მისი საქციელი რაღაც უცნაურად მოეჩვენებოდა. კოლჭაუნმა ქარქაშიდან დანა ამოიღო. მერე გულის პირში ჩაავლო ხელი უთავო მხედრის მხრებზე წამოგდებულ წამოსასხამს და ისე დაიხარა. თითქოს გულში დანის ჩაცემას უპირებსო. დანიანი ხელი მაღლა ასწია. ალბათ ჩასცემდა კიდევ, მაგრამ უთავო მხედრისათვის დანის დაკვრა მაინც ვერ მოახერხა. ტყიდან ადამიანის ყვირილი მოისმა და კოლჭაუნი სწორედ ამ ხმამ შეაჩერა. მალე ზეხსტუმპიც გამოჩნდა.

— თავი ანებეთ ასეთ თამაშს! — დაიყვირა მონადირემ, რომელიც დაბლა ბუჩქნარში გზას სწრაფად მოიკვლევდა, — შეჩერდით-მეთქი, გეუბნებით.

— რა თამაშს? — ჰკითხა საქციელწამხდარმა კოლჭაუნმა და დანა ჩუმად ქარქაშში ჩააგო, — რაზე ლაპარაკობთ? ეს წყეული ცხენი აღვირით აკაცინას წამოსდებია. მეშინოდა ისევ არ გამქცეოდა და ყელი მინდოდა გამომეჭრა.

— ყელის გამოჭრა რა საჭიროა. ამ საქმეს სისხლის დაუღვრელადაც გავაკეთებთ. თუმცა ვისი ყელის გამოჭრა გინდათ, კარგად ვერ გავიგე? ცხენისა?

— რა თქმა უნდა, ცხენისა.

— ჰო, მე მეგონა, ადამიანზე ამბობდით, რადგან მისთვის უკვე ვილაცას გამოუჭრია ყელი. თქვენ რას ფიქრობთ, მისტერ კაშ კოლჭაუნ?

— ღმერთმა დასწყევლოს! აბა რა ვიცი, დროც არა მექონდა, კარგად შემეთვალაიერებინა მხედარი. ეს არის მოვედი. ციურნო ძალნო! — უცებ თვალთმაქცურად წამოიძახა მან, — ეს ხომ მკვდარი ადამიანის გვამია!

— რა თქმა უნდა გვამია, მისტერ კაშ კოლჭაუნ! აბა, უთავო კაცი ცოცხალი ხომ არ იქნებოდა? ნეტავ ამ წამოსასხამის ქვეშ ხომ არაფერია დამალული?

— არა მგონია, ან რა უნდა იყოს?

— აბა, ასწიეთ და ვნახოთ.

— ისეთი ამბრზენი შეხედულება აქვს, არ შემიძლია ხელი ვახლო.

— რა ვიცი, ცოტა ხნის წინათ არ გეზიზღებოდათ და ახლა რა დამეპართათ?

— აჰ! — ენის ბორძიკით დაიწყო კოლჭაუნმა, — იმდენი ვდიე, რომ გაჯავრებული ვიყავი და მინდოდა, მისი ოინბაზობისათვის ბოლო მომეღო.

— არა უშავს, — შეაწყვეტინა ზებმა, — ახლა მე მოვუვლი. დიახ, დიახ, — განაგრძობდა ძველი მონადირე, თან უთავო მხედარს უახლოვდებოდა, — დიახ, ეს ნამდვილი ადამიანის გვამია და ისე გახევებულა, თითქოს გაუყინავთო.

— ოჰ, — წამოიძახა ზებ სტუმპმა, როცა სერაპეს კალთა გადაუწია, — ეს ხომ იმ ადამიანის გვამია, ვისი მკვლელობის საქმესაც ახლა იქ, მუხის ძირში, სასამართლო არჩევს. ეს ხომ თქვენი ბიძაშვილის გვამია — ახალგაზრდა ჰენრი პოინდექსტერის გვამი. ეჰ, იგი სამარადისოდ გამგზავრებულა ღმერთთან.

— მგონი, თქვენ მართალი უნდა იყოთ. ოჰ, ღმერთო, ნამდვილად ჰენრის გვამია!

— იოსაფატ! — განაგრძო ზებ სტუმპმა თვალთმაქცურად, თითქოს გაკვირვებული იყო ასეთი აღმოჩენით, — ეს ხომ დიდი საიდუმლოებით მოცული ამბავია. მე მგონი, ახლა აქ დგომით ტყუილუბრალოდ ვკარგავთ დროს. უმჯობესი იქნებოდა, თუ გვამს სასამართლო სხდომაზე წავიღებდით. ჩემი აზრით, იგი ძალიან მაგრად უნდა იყოს დაკრული ცხენზე. ამ ცხენსაც ვიცნობ. ვფიქრობ, ჩემს ცხენს რომ დაყნოსავს, იცნობს და უკან გამოგყვება. აბა, ჩემო ბებერო ფაშატო, მიესალმე და გამოეცნაურე, ველარ სცნობ? ეგ ხომ შენი ძველი მეგობარია, მართალია, ამ ბოლო დროს მოვლა-პატრონობა დაჰკლებია და ალბათ ამიტომაც ვერ იცანი, არა?

სანამ ძველი მონადირე ლაპარაკობდა, ცხენებმა ერთმანეთს თავები მიუახლოვეს, დაყნოსეს და გამოეცნაურების ნიშნად დაიფრუტუნეს.

— მეც ხომ ასე ვფიქრობდი, — წამოიძახა ზებ სტუმპმა და თან აკაციაზე წამოდებული აღვირი ჩამოხსნა, — ჩემს ცხენთან ერთად ეს სისხლისფერი ბედაური წყნარად ივლის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მისთვის ყელის გამოჭრა არ დაგვჭირდება. აბა, მისტერ კოლჭაუნ, — თან ჩუმად გახედა, რომ გაეგო, ჩემმა სიტყვებმა როგორ იმოქმედო, — დრო არ არის, გზას გავუდგეთ? ალბათ სასამართლო ისევ

გრძელდება და ჩვენ ხომ იქ საჭირონი ვართ. ჩემი აზრით, კიდევ მიგვყავს დამატებით ერთი უტყვი მოწმე და მუსტანგერს ამის შემდეგ ან ჩამოახრჩობენ და ან გაათავისუფლებენ. აბა, მზადა ხართ, გზას გავუდგეთ?

— რა თქმა უნდა, როგორც თქვენ თქვით, აქ დარჩენა არას გვარგებს.

ზეზი პირველი დაიძრა და თან მორჩილად გაიყოლია ტყვე. კოლჭაუნიც უკან მიჰყვა, მაგრამ ეტყობოდა, კმაყოფილი არ იყო.

კოლჭაუნი არ ჩქარობდა. იქ, სადაც ბილიკი უხვევდა, ცხენი ისე შეაყენა, თითქოს ფიქრობდა, გზა განეგრძო, თუ უკან გატრალეულიყო და თავისთვის ეშველა.

კოლჭაუნის გამომეტყველება საშინელ სულიერ მღელვარებას ამჟღავნებდა. როგორც კი მისი ცხენის ფეხის ხმა მიწყდა, ზებ სტუმპმა წამსვე შენიშნა. ძველმა მონადირემ თავისი ბებერი ფაშატი შეაყენა და უკან მოიხედა. ისე შეხედა კოლჭაუნს, თითოს ეკითხებოდა, რას აპირებო?

დანიახა თუ არა კოლჭაუნის აღელვებული სახე, ზებ სტუმპი იმწამსვე მიხვდა მიზმს.

ძველ მონადირეს ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე ჩამოიღო მარცხენა მხარზე გადაკიდებული თოფი და ხელში დაიკავა. ასე თოფმომარჯვებულ ზებ სტუმპი დაჟინებით შესცქეროდა სამსახურიდან გამდმდგარ მოხალისეთა ყოფილ კაპიტანს.

ზებს მისთვის არაფერი უთქვამს. არც იყო საჭირო. თვით მოქმედებიდან ჩანდა, იგი აფრთხილებდა თანამგზავრს: „აბა, დაბრუნდი უკან თუ ბიჭი ხარო“.

კოლჭაუნმა ისე განაგრძო გზა, ვითომ არაფერი შეემჩნიოს.

კოლჭაუნს ზებ სტუმპმა აღარ მისცა იმის საშუალება, რომ უკან ჩამორჩენილს ევლო. ერთხელვე დაეჭვებულმა ძველმა მონადირემ რაღაც მოიმზებდა და თვითონ ჩამორჩა უკან, რაზვეც კოლჭაუნი უხალისოდ დათანხმდა

ისინი ტყეში ნელა მიიწევდნენ წინ და უტყეო ტრამალს უახლოვდებოდნენ. შორს, ჰორიზონტზე, რაღაც გამოჩნდა, რამაც კოლჭაუნი აიძულა, აღვირი მოეზიდა და ცხენი შეეყენებინა. იგი შიშისაგან დაფეთებული იდგა და ფიქრობდა.

ის ახლა საშინელი არჩევანის წინაშე იდგა. დარჩენილიყო ტყეში თუ წასულიყო წინ და განსაცდელს პირდაპირ შეგებებოდა.

ყველაფერს მისცემდა, რაც გააჩნდა, იმასაც კი, რისი იმედიც ჰქონდა, რომ მომავალში დაეუფლებოდა, თვითონ ლუიზა პოინდექსტერსაც კი, ოღონდ ეს საძულველი ზებ სტუმპში ჩამოშორებოდა და ერთი წუთი უთავო მხედართან მარტო დაეტოვებინა.

მაგრამ ეს „მაძებარი ძაღლი“ — ზებ სტუმპი, რომელიც უკან მოსდევდა, ახლა უფრო უღმობელი ჩანდა, ვიდრე ოდესმე. კოლჭაუნი ალღოთი გრძნობდა, რომ ზებ სტუმპი მას თავის ტყვედ თვლიდა და გაქცევის შემთხვევაში ტყვიას დაადევნებდა უკან.

ბოლოს და ბოლოს, რა უნდა უთხრას ან მოიმოქმედოს ზებ სტუმპმა? მან ხომ იცის, რა ფიქრები სტანჯავს კოლჭაუნს? ანდა, იქნებ ვერც ვერაფერი შეიტყონ?

ჯერ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ზებ სტუმპი გუმანით რაღაცას ეჭვობს. მერე რა მოხდა? ეჭვისა მხოლოდ იმას ეშინია, ვისაც მეგობრები არა ჰყავს. კასიუს კოლჭაუნს კი რის უნდა ეშინოდეს? სანამ არ აღმოაჩინენ იმას, რისი გახსენებაც კოლჭაუნს თავზარსა სცემს, მანამდე ვინ რას გაუბედავს. მაგრამ ეს ხომ ადვილი აღმოსაჩენი არაა. რალა მაინცდამაინც სხეულში დარჩებოდა ტყვია! არა, იგი ახლა უთუოდ სადმე გდია ტყეში.

ამ იმედით გამხნეებული კოლჭაუნი ისე გამოვიდა ტრამალზე, ვითომც არაფერიაო, მაგრამ გულში მაინც ეშინოდა. უკან ზებ სტუმპი მოჰყვებოდა. ძველ მონადირეს დასადავებული მოჰყავდა სისხლისფერი ბედაური, რომელზეც ჰენრი პოინდექსტერის გვამი იყო დამაგრებული.

50 - თაემოკვეთილი გვამი

ნაფიც მსაჯულთა განახევრებამ და მაყურებელთა ორი მესამედით შემცირებამ სასამართლო პროცესი შეწყვიტა.

სასამართლო არ გადადებულა. მხოლოდ იძულებული გახდნენ, დროებით შეეწყვიტათ პროცესი.

შესვენებამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში მოსამარტლემ ორი სიგარა მოსწია და კარგა ბლომად კონიაკიც დალია. თან პროკურორს, ვექილებს, ადგილზე დარჩენილ ნაფიც მსაჯულებს და ხალხს ელაპარაკებოდა.

საუბარი ადვილად გააბეს, რადგან ასეთი შემთხვევა ერთ საათს კი არა, მთელი სიცოცხლის მანძილზე ეყოფა ვაცს სალაპარაკოდ.

ადგილზე დარჩენილი მდევრების დაბრუნებას მოუთმენლად ელოდნენ. ყველას სჯეროდა, რომ მდევრები ამჯერად მაინც შეიპყრობდნენ უთავო მხედარს, გაირკვეოდა არა მარტო უთავო მხედრის საიდუმლოება, არამედ მკვლელობის საქმეც.

უმარამბარი მუხის ძირში დარჩენილთა შორის იმყოფებოდა ადამიანი, რომელსაც უთავო მხედრის საიდუმლოების ამოხსნა შეეძლო. მაგრამ მკვლელობის ამბავი არ იცოდა. ეს ადამიანი მორის ჯერალდი გახლდათ. მას განზრახული ჰქონდა, როგორც კი სასამართლო პროცესი განახლდებოდა, თავისი აღსარება განეგრძო.

მანამდე კი მოსამართლის მითითებისა და თავისი ვექილის რჩევით, იჯდა და ხმას არ იღებდა.

მდევრები თანდათან დაბრუნდნენ. ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა. ვერც ერთი მათგანი ვერ მიახლოებოდა უთავო მხედარს ისე, რომ რაიმე ახალი ეთქვა. უთავო მხედრის საიდუმლოება წინანდებურად გამოურკვეველი დარჩა.

მალე ნათელი გახდა, რომ ორი მდევარი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. ეს ორი მხედარი ვასიუს კოლჭაუნი და ზებ სტუმპი გახლდათ.

ყველანი ტრამალს გასცქეროდნენ. თითქოს ელოდნენ, რომ კოლჰაუნი და ზებ სტუმპი უთავო მხედარს მოიყვანდნენ.

ერთი საათი გავიდა და ისინი კიდევ არ ჩანდნენ.

გადაედოთ თუ არა სასამართლო?

პროკურორი დაჟინებით იმეორებდა, პროცესი განვაგრძოთო. ბრალდებულის დამცველი თავგამოდებით მოითხოვდა პროცესის მეორე დღისთვის გადადებას, რადგან ბრალდებულის მხრიდან ყველაზე მთავარი მოწმე — ზებ სტუმპი არ იყო დაკითხული.

ხალხში აქა-იქ გაისმა ხმები — პროცესი გავაგრძელოთო. დიდი სჯა-ბაასი შემდეგ გადაწყვიტეს სასამართლო პროცესი განეგრძოთ, მით უმეტეს, ბრალდებულის ჩვენება ჯერ ბოლომდე არ მოესმინათ და მანამდე კი შეიძლება ზებ სტუმპიც გამოჩენილიყო. თუ იგი მანამდე ვერ მოვიდოდა, სასამართლო პროცესის გადადების საკითხზე მერეც შეეძლოთ ემსჯელათ.

ასე გადაწყვიტა მოსამართლემ. ნაფიცმა მსაჯულებმა კვერი დაუკრეს და ხალხსაც ეს უნდოდა.

ისევ გამოიძახეს ბრალდებული და უბრძანეს, გაეგრძელებინა ჩვენება, რომელიც უთავო მხედრის გამოჩენამ ასე მოულოდნელად შეაწყვეტინა.

— თქვენ გინდოდათ გეთქვათ, რაც დაინახეთ, — გაახსენა ვექილმა, — აბა, განაგრძეთ და გვითხარით, რა დაინახეთ.

— დავინახე კაცი, რომელიც ბალახზე გაშოტილიყო.

— მძინარი?

— დიახ, სამარადისოდ მძინარი.

— მკვდარი?

— უფრო მეტიც, თუ შეიძლება ასე ითქვას. როცა მისკენ დავიხარე, შევნიშნე, რომ თავი ჰქონდა მოკვეთილი!

— რაო! თავი ჰქონდა მოკვეთილი?

— დიახ, ეს მანამდე არ შემიძინევია, სანამ დაბლა არ დავიხარე. პირქვე იწვა და თავიც ისე ჩვეულებრივად დაედო, ვერ იფიქრებდით, რომ მოკვეთილი ჰქონდა. ქუდიც კი ისევ თავზე ეხურა.

— მართალია, გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ მაინც გავიფიქრე, — ალბათ სძინავს-მეთქი. ხელები და ფეხები ისე გაეშალა, მძინარეს არ ჰგავდა. გარდა ამისა, ბალახი წითლად იყო შეღებილი, თუმცა დილის მკრთალ სინათლეზე, ერთი შეხედვით, ვერ გავარჩიე, რა უნდა ყოფილიყო.

როცა დაბლა დავიხარე, კარგად რომ გამერჩია, რა იყო, წითლად რომ მოჩანდა, რაღაც უცნაური მლაშე სუნი მეცა და მივხვდი, ეს დაღვრილი სისხლის სუნი ტრიალებდა ჰაერში.

ახლა უკვე ეჭვიც აღარ მეპარებოდა, რომ ჩემ წინ გვამი ეგდო. კისერზე ჭრილობის კვალი შევნიშნე, კარგად რომ დავაკვირდი, დავინახე, თავი მოკვეთილი ჰქონდა!

მსმენელებს შიშის ჟრუანტელმა დაუარა. გაისმა წამოძახილები, რაც ასეთ დროს ჩვეულებრივია მბავია.

— იცანით, ვინც იყო თავმოკვეთილი ადამიანი?

— ვიცანი.

— იცანით ისე, რომ თავი არ გინახავთ?

— ტანსაცმელმა თავისთავად ყველაფერს მიმახვედრა.

— რომელმაც ტანსაცმელმა?

— ჩემეულმა, — ზოლებიანმა წამოსასხამმა და სომბრერომ. მე და ჰენრის რომ ტანსაცმელი არ გაგვეცვალა, უთუოდ ვიფიქრებდი, რომ მკვდარი მე ვიყავი. დიახ, ის ჰენრი პოინდექსტერი გახლდათ.

ხალხის ჩურჩულში ისევ ყურთასმენისწამლები გმინვა გაისმა.

— განაგრძეთ, სერ! — უთხრა ვეჩილმა, — მოახსენეთ სასამართლოს, რა ნახეთ კიდევ.

— გვამს რომ ხელი შევახე, ვიგრძენი, გაციებული და გახვევებული იყო. მივხვდი, რომ იგი უკვე რამდენიმე საათი იწვა ასე. სისხლი უკვე

შედებოდა, თითქმის გამხმარიყო და ჩაშავებულიყო, ყოველ შემთხვევაში, დილის მკრთალ სინათლეზე მე ასე მომეჩვენა. მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული.

შეიძლებოდა ადვილად შევმცდარიყავი და მგონებოდა, რომ ჰენრის სიკვდილი თავის მოკვეთისაგან იყო გამოწვეული. მაგრამ გამახსენდა ღამით გასროლილი თოფის ხმა, რომელიც ჯერ კიდევ ყურებში მიწიოდა და მიცვალებულის გვამზე ნატყვიარის ძებნა დავიწყე.

როცა მიცვალებული გადმოვაბრუნე, წამოსასხამზე, მკერდთან, ნახვრეტი დავინახე, რომლის გარშემო სერაპე სისხლით გაჟღენთილი ჩანდა. როცა სერაპე გადავუწიე, მკერდზე ნატყვიარი შევნიშნე. ტყვია უკანა მხარეს არ გასულიყო. ეტყობა, ძალა აღარ ეყო და სხეულში ჩარჩა.

— თქვენი აზრით, ტყვიით მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო იყო თუ არა?

— ვფიქრობ, თუ ტყვიამ იმწამსვე არ მოკლა, რამდენიმე წუთზე მეტს მაინც ვერ იცოცხლებდა.

— თქვენ ამბობთ, თავი მოკვეთილი ჰქონდაო. თავი სრულიად მოშორებული იყო თუ არა სხეულისაგან?

— მთლიანად, თუმცა ისე მჭიდროდ იყო სხეულზე მიდებული, რომ გეგონებოდათ, არც თავსა და არც სხეულს არავინ შეხებიაო.

— თქვენი აზრით, თავი რაიმე ბასრი იარაღით იყო მოკვეთილი?

— დიახ.

— მაინც რით უნდა ყოფილიყო მკვდარი?

— შეიძლება ცულით ან მონადირის დანით.

— როგორ შეატყვეთ, თავი ერთი დარტყმით იყო მოკვეთილი, თუ რამდენიმე დარტყმით?

— ჩემი აზრით, რამდენიმე დარტყმით. მაგრამ ამის ნიშნები არ ჰქონდა. იგი კისრის მხრიდან ნელ-ნელა მოეკვეთათ.

— ეჭვი ხომ არავისზე მიიტანეთ, ვის შეეძლო ასეთი დანაშაული ჩადენა?

— არა, მაშინ ისე აღელვებული ვიყავი, რომ ფიქრისა და განსჯის უნარი არ მქონდა. ისიც არ ვიცოდი, ყველაფერი ეს სიზმარში ხდებოდა თუ ცხადში. როცა დავმშვიდდი და ვნახე, ეს ყველაფერი ცხადი იყო და ჰენრი პოინდექსტერის გვამი ჩემ წინ ესვენა, ვიფიქრე, ალბათ კამანჩებმა მოკლეს-მეთქი. მაგრამ ინდიელებმა კაცი მოკლან და სკალპი არ ააძრონ? — ეს წარმოუდგენელი ამბავია, ამას გარდა, უკვე გითხარით, სკალპი აძრობილი კი არა, ქუდიც ზედ ეხურა.

— თქვენი აზრით, მაშ ინდიელებს არ მოუკლავთ, არა?

— არა.

— მაშ ვის უნდა მოეკლა?

— მაშინ ეჭვი არავისზე არ მიმიტანია. მე არსად მსმენია, რომ ჰენრი პოინდექსტერს ტეხასში და მისისიპიში მტრები ჰყოლოდეს. მაგრამ მერე ეჭვები მაინც აღმეძრა და დღესაც ასევე ვფიქრობ.

— თქვით, ვისზე აღგეძრათ ეჭვი.

— მე ამის წინააღმდეგი ვარ, — წარმოთქვა პროკურორმა, — ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს, რა ეჭვები აქვს პატიმარს.

— გააგრძელოს ჩვენება და თქვას, რაც სათქმელი აქვს, — განაცხადა მოსამართლემ, თან ახლა ჰავანურ სიგარას მოუკიდა, — თქვით ყველაფერი, რაც შემდეგ გააკეთეთ, — უთხრა მოსამართლემ.

— რამდენიმე ხანს ისე ვიყავი თავზარდაცემული, რა უნდა მექნა, არ ვიცოდი. დავრწმუნდი, რომ ჰენრი პოინდექსტერი ვილაცამ წინასწარ განზრახვით მოკლა. იმასაც მივხვდი, იგი მოკლეს იმ გასროლით, რომელიც გავიგონე, მაგრამ ვინ ესროლა? დარწმუნებული ვიყავი და ვარ, რომ აქ კამანჩების ხელი არ ურევია. ერთხანს ვფიქრობდი, იქნებ მძარცველებმა მოკლეს-მეთქი. მაგრამ ესეც მალე გადავიფიქრე, რადგან ჩემი მექსიკური წამოსასხამი, რომელიც ასი დოლარი მაინც ღირს, ხელუხლებელი ეგდო. ასევე ხელუხლებელი

იყო ის ძვირფასი ნივთები, რასაც ჰენრი პოინდექტერი თან ატარებდა. ოქროს საათიც კი მოკლულს ჟილეტის ჯიბეში ედო და ოქროსავე ძეწვი გასისხლიანებულ ყელზე ეკიდა.

— იმ დასკვნამდე მივედი, მკვლელობა წყენის ან შურისძიების ნიშანად იყო ჩადენილი და ვცდილობდი, გამეხსენებინა, თუ ვისთან მოსვლოდა უსიამოვნება, ან ვინმე ხომ არ მტრობდა პოინდექტერს. მაგრამ ვერაფერი გავიხსენე. გარდა ამისა, მკვლელს თავის მოჭრა რაღაში სჭირდებოდა? აი, ამ ამბავმა ყველაზე უფრო შემაფიქრინა. როცა ვერაფრით ავხსენი ასეთი მკვლელობა, იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ რა უნდა მეღონა. გვამთან დარჩენას არანაირი აზრი არ ჰქონდა. ასევე უმიზნო იქნებოდა, რომ დამესაფლავებინა.

მერე გადავწყვიტე, ჭენებით დავბრუნებულიყავი ახალშენში. იქიდან მაშველი წამომეყვანა და გვამი კასა დელ კორვოში გადამეტანა.

მაგრამ გვამი რომ ტყეში მიმეტოვებინა, კოიოტები იპოვნიდნენ და მტაცებელ ფრინველებთან ერთად ჩემს დაბრუნებამდე დაგლეჯდნენ, მით უმეტეს, გვამს სვავეები უკვე თავს დასტრიალებდნენ.

51 - საიდუმლოებას ფარდა ეხდება

ბრალდებული ცოტა ხანს შეჩერდა. იგი არავის აუჩქარებია, არც შენიშვნებს აძლევდნენ. ყველა სულგანაბული უსმენდა დაუმთავრებელი, კრიალოსანივით ასხმული ჩვენების დასრულებას და არავის უნდოდა შეეწუხებინა ბრალდებული, რომ თხრობის მიმდინარეობა არ დაერღვია.

მოსამართლე, ნაფიცი მსაჯულები და ხალხი ყველანი თითქოს სუნთქვაშეკრულნი ისხდნენ, მზერა ბრალდებულისთვის მიეპყროთ.

ეს სამარისებური სიჩუმე ისევ ბრალდებულის ხმამ დაარღვია:

— მერე ვიფიქრე, წამოსასხამში გამეხვია და ჩემი სერაპეც ზემოდან წამეფარებინა. ამ გზით შეიძლებოდა გვამი კოიოტებისა და მტაცებელი ფრინველებისაგან დამეცვა.

წამოსასხამი რომ გავიხადე, გონებაში გამიელვა ახალმა აზრმა, რაც ჩემი აზრით, ათასჯერ უკეთესი უნდა ყოფილიყო.

ფორტში მართო დაბრუნების ნაცვლად გადავწყვიტე, ჰენრი პოინდექსტერის გვამიც თან წამომეღო. ეს საქმე ძალიან ადვილი მეჩვენა. ვიფიქრე, გვამს ცხენს ლაზოთი სიგრძივ დავაკრავ და გზას გავუდგები-მეთქი. ჩემი ცხენი მოვიყვანე და საქმეს უნდა შევდგომოდი. ამ დროს შევნიშნე, იქვე ახლოს მიცვალებულის ცხენი ისე სძოვდა ბალახს, თითქოს მის მხედარს არაფერი შემთხვეოდეს. კარგად რომ დავაკვირდი, დავინახე: აღვირი ძირს ეგდო და მისი დაჭერაც არ გამიჭირდებოდა. უფრო ძნელი აღმოჩნდა ცხენის წყნარად გაჩერება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მიწაზე გამოტილი გვამი ავწიე და ცხენზე დასაკრავად მასთან მივიტანე.

ცხენის აღვირი კბილებით მეჭირა, გვამი სიგრძივ უნაგირზე დავდე, მაგრამ ზედ ვერანაირად ვერ გავაჩერე, რადგან გვამი გახევებული იყო და სხლტებოდა. გარდა ამისა, როცა ცხენმა დაინახა, როგორი იყო მისი ტვირთი, გაფიცხდა და ადგილზე ველარ გავაჩერე. რამდენჯერმე ვცადე და როცა არაფერი გამომივიდა რა, ამ განზრახვაზე ხელი ავიღე. გადავწყვიტე, ისევ მართო წავსულიყავი ახალშენისაკენ. მაგრამ ამ დროს კვლავ დამებადა ერთი აზრი, რომელიც წინანდელ განზრახვაზე უფრო მოხერხებული მეჩვენა. გამახსენდა, რაც სამხრეთ ამერიკელ გაუჩოებზე წამეკითხა. როცა რომელმე მათგანი მოკვდება, ანდა პამპასებში ბრმა შემთხვევის მსხვერპლი გახდება, ამხანაგები მას ცხენზე ცოცხალივით შესვამენ ხოლმე და მიცვალებული სახლში ისე მიჰყავთ.

პირველად ვცადე, ჰენრი პოინდექსტერი თავისსავე ცხენზე შემესვა, მაგრამ უნაგირი ბრტყელი აღმოჩნდა და ცხენიც ვერ გავაჩერე.

ახალშენში რომ დავბრუნებულიყავი, მრჩებოდა ერთადერთი საშუალება, შემეცვალა ცხენები. ვიცოდი, ჩემი ცხენი არ გაჭირვე-

ულდებოდა. გარდა ამისა, ჩემი მექსიკური უნაგირი თავისი ღრმა კეხით უფრო მოხერხებული საჯდომი იქნებოდა გახევებული მიცვალებულისათვის.

მოკლულის გვამი ცოცხალივით შევსვი ჩემს ცხენზე, გვამის გახევება, რაც აქამდე მამბრკოლებდა, ახლა უფრო გამომადგა. მიცვალებულს ფეხები უზანგებში გავაყოფინე. ცხენის მუცელქვეშ თოკი გავატარე და ორივე ფეხი ერთმანეთზე მაგრად მივუბი. მერე გვამს ლაზო შემოვახვიე და ერთი ბოლო უნაგირის კეხს წინ გამოვაბი, მეორე ბოლო კი — უკან. ამგვარად გვამი ისე მაგრად დავაკარი უნაგირზე, ცხენს მისი ჩამოგდებაც რომ მოენდომებინა, ვერ გადმოადგებდა. ახლა მიცვალებულის თავზე უნდა მეზრუნა, რადგან ისიც თან უნდა წამომეღო. დაბლა დავიხარე, ხელში ავიღე, რომ ქუდი მომეხადა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მიცვალებულს თავი გასიებოდა და სომბრერო ზედ საკუთარი ტყავით დაჰკვროდა. როცა ქუდს მოსახდელად დავეჭაჯგურე და ვერას გავხდი, გადავწყვიტე ქუდი თასმით უნაგირის წინ კეხზე მიმება. ამით დავამთავრე ახალშენისკენ წასასვლელად მზადება.

მერე მოკლულის ცხენს მოვახტი და ჩემს ცხენს ვუბრძანე, უკან გამომეყოლოდა. იგი მიჩვეული იყო ასე სიარულს და გამომეყვა კიდევ. ასე გავემართე ახალშენისაკენ.

ხუთი წუთის შემდეგ ცხენიდან გადმოვვარდი და გრძნობა დავკარგე.

ასე რომ არ მომსვლოდა, ახლა აქ თქვენ წინაშე ბრალდებულის როლში არ ვიქნებოდი.

— ცხენიდან გადმოვარდით?! — წამოიძახა მოსამართლემ, — როგორ? რამ გადმოგაგდოთ?

— სრულიად შემთხვევით. თუმცა პირდაპირ უნდა ითქვას, ჩემი გაუფრთხილებლობის წყალობით. სხვის ცხენზე შევჯექი და აღვირის ხელში აღება გადამავიწყდა. ჩემს ცხენზე, ჩვეულებრივ, ისე ვზი-

ვარ, რომ აღვირი ხელში იშვიათად მიჭირავს და ძახილითა და მუხლების მეშვეობით ჩემს ნებაზე ვატარებ. ის კი ველარ მოვისაზრე, რაც შემდეგ მოხდა. ცხენმა, რომელზედაც ვიჯექი, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმისთანავე თავი უკან მიატრიალა, უეცრად გვერდზე გახტა და დაფეთებული ნავრადით გაიჭრა წინ. მივხვდი, რამაც დააფეთა. პირუტყვმა უკან რომ მიიხედა, უჩვეულო და უცნაური რამ იხილა. ასეთი საშინელება ცხენსაც დააფეთებდა და კაცსაც. იმწამსვე აღვირს წავეპოტინე, მაგრამ ვერ მივწვდი. ამასობაში ცხენი დაოთხილი წავიდა წინ.

ამ ამბავმა პირველად სრულიად არ შემაშფოთა. ვიმედოვნებდი, აღვირს მივწვდებოდი და ცხენსაც შევაჩერებდი.

სანამ იმას ვცდილობდი, აღვირს მივწვდომოდი, დამავიწყდა, გზა შემეთვალისწინებინა და გამეგო, საით მიმაქროლებდა მოკლულის ცხენი, როცა სახეში აკაცის პატარა ტოტი მომხვდა, მხოლოდ მაშინ მივხვდი, ცხენი ტრამალზე კი არა, ბუჩქნარში მიმაქანებდა.

ამის შემდეგ კი აღვირის ხელში ჩაგდებაზე ფიქრიც გედმეტი იყო. ახლა გაფაციცებით უნდა მედევნებინა თვალყური მეზქვიტოს ტოტებისათვის, რომელთა ქვეშაც ცხენი მიგელავდა. ასე რომ არ მექნა, ტოტს წამოვედებოდი და ცხენიდან გადმოვვარდებოდი.

ტოტებს მარჯვედ ვარიდებდი თავს, მაგრამ ერთი უზარმაზარი ხის მოზრდილი ტოტი ზედ ბილიკზე, ჩემი მკერდის დონემდე გადმოხრილიყო დაბლა. დამფრთხალი ცხენი სწორედ მის ქვეშ მიმაქანებდა. მხოლოდ ის მახსოვს, როგორ მივუახლოვდი ტოტს, ხოლო შემდეგ საით წავიდა ცხენი, აღარაფერი ვიცი. ეს თქვენ უკეთ გეცოდინებათ. მხოლოდ ის შემიძლია დავუმატო, რომ სწორედ იმ უზარმაზარი ხის ქვეშ ჩამოვვარდი. მუხლი დამიშავდა და თავზეც დიდ კოპი დამაჯდა. მაგრამ ყოველივე ეს გავიგე ცხენიდან ჩამოვარდნის ორი-სამი საათის შემდეგ, როცა გონს მოვეგე.

გონზე რომ მოვედი, მზე კარგა მალლა ასულიყო და თავზე სვავე-ბი დამტრიალებდნენ. კარგად გავარჩიე, როგორ იგრძელებდნენ ის ონავარი ფრინველები კისერს.

ამ სანახაობამ და წყურვილის გრძნობამ მაიძულა, წამოვმდგარიყავი. ფეხზე რომ დავდექი, ვიგრძენი, სიარული არ შემეძლო, უფრო მეტიც, ძლივს ვიდექი ფეხზე.

ადგილზე დარჩენა სახიფათო იყო. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მომეჩვენა. ამ ფიქრში ვიყავი და მთელი ნებისყოფის დაძაბვით ვცდილობდი, როგორმე წყლამდე მიმედღია.

ვიცოდი, იქ სადღაც ახლო იყო ნაკადული. ხოხვით და იქვე სახელდახელოდ გამოჩორკნილი ყავარჯნის დახმარებით ნაკადულამდე მივფორთხი. წყურვილი რომ მოვიკალი, შვება ვიგრძენი და მალე ჩამეძინა.

როცა გავიღვიძე, გარს ორმოცამდე კოიოტი მეხვია. შიში არ მიგრძენია. კოიოტები ძალზე მხდალები არიან, მაგრამ მალე იძულებული გავხდი, სხვაგვარად მეფიქრა. კოიოტებმა რომ დაინახეს, დაუძლურებული ვიყავი, იერიში მოიტანეს.

გარდა მონადირის დანისა, სხვა იარაღი არაფერი მქონდა. ესეც რომ არ მქონოდა, კოიოტები ნაფლეთებად მაქცევდნენ და გადამსანსლავდნენ. მოვიგერიე რამდენიმე მათი იერიში და ექვსამდე კოიოტი მოვკალი. მიუხედავად ამისა, ეს ბრძოლა ჩემთვის მაინც ცუდად დამთავრდა. ნაკბენი ადგილებიდან სისხლი მდიოდა და თანდათანობით ვსუსტდებოდი, მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ განსაცდელისაგან მიხსნა. ეს იყო ღმერთისაგან გამოწვდილი ხელი.

ეს რომ თქვა, ახალგაზრდა ირლანდიელმა თვალები მალლა აღაპყრო, შეჩერდა და მერე განაგრძო:

— ეს იყო ადამიანზე ერთგული პირუტყვი, ჩემი საყვარელი ძალი ტარა. იგი ალბათ სახლიდან ჩემს საძებნელად წამოვიდა, თუმცა მერე მითხრეს ტარას სახლიდან წამოსვლის მიზეზი, მაგრამ თქვენს ყურადღებას ამის თხრობით აღარ დავღლი. ერთი სიტყვით, ძალღმა

მიპოვა და აშკარა განსაცდელისაგან დამიხსნა. მისი გამოჩენისთანავე კოლოტები დაფრთხნენ და სწორედ სულზე გადავრჩი. მერე ისევ ჩამეძინა. კარგად არ ვიცი, შეიძლება ისევ გონი დავკარგე.

როცა გავიღვიძე, ჩემი მდგომარეობა ავწონ-დავწონე. ვიცოდი, რომ ტარა მოსული იყო ჩემი ქოხიდან, რომლისაგან რამდენიმე მილით ვიყავი დაშორებული. ჩემი მსახური იმჟამად ქოხში მეგულეობდა, რადგან ის წინა დღით ტარასთან ერთად გავაგზავნე. გადავწყვიტე, ფელიმისათვის წერილი მიმეწერა. ფოსტალიონობა ტარას უნდა ეკისრა. სადარბაზო ბარათზე, რომელიც, საბედნიეროდ, თან მქონდა, რამდენიმე სიტყვა დავწერე. ვიცოდი, რომ ჩემმა მსახურმა კითხვა არ იცოდა, მაგრამ სადარბაზო ბარათს რომ ნახავდა, იცნობდა და დაწერილს ვინმეს წააკითხავდა. მით უმეტეს, რომ მეღნად სისხლი ვიხმარე.

სადარბაზო ბარათი ირმის ტყავში გავახვიე და ტარას კისერზე ჩამოვკიდე. ძაღლის გაგზავნა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ როგორც იქნა, დიდი წვალებით ამასაც მივაღწიე. ჩემი წერილი ტარას დანიშნულებისამებრ მიუტანია, თუმცა შედეგი მხოლოდ გუშინ შევიტყვე. ძაღლი რომ წავიდა, ისევ ჩამეძინა და გამოღვიძებულს უკვე ახალი საბრუნავი გამიჩნდა. ახლა უფრო მძვინვარე მტერი მოდიოდა ჩემზე.

ეს ვეფხვი გახლდათ.

ჩვენ შორის დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, მაგრამ რით დამთავრდა, აღარ ვიცი. მის თხრობას ჩემს მხსნელს — ზებ სტუმპს ვანდობ. მგონი, იგი მალე დაბრუნდება და ბევრ რამეს მოჭფენს ნათელს თავისი სიტყვით.

მეტი არაფერი მახსოვს. რაც გონი დავკარგე, საზარელი სიზმრების კოშმარში ვტრიალებდი. ასე ვიყავი გუშინწინდელ საღამომდე. გუშინწინ კი გონს რომ მოვედი, გავიგე დაპატიმრებული ჰაუპტვახტში ვიმყოფებოდი და ადამიანის მკვლელობაში შედებოდა ბრალი.

ბატონო ნათიცო მსაჯულნო, მე დავამთავრე.

* * *

— თუ აღსარება სარწმუნო არ არის, კარგი გამონაგონი მაინც არის, — გაიფიქრეს მოსამართლემ, ნაფიცმა მსაჯულებმა და ხალხმა, როცა ბრალდებულმა დაამთავრა თავისი ჩვენება.

ვინც ჩვენება მოისმინა, ბევრმა ირწმუნა ბრალდებულის სიმართლე. ჩვენება ისეთი დაწვრილებითი და უბრალო იყო, ისე გულწრფელი ჩანდა, რომ გონდაკარგულსა და ცნობაზე ერთი დღის წინათ მოსულ ადამიანს შეუძლებელი იყო, ასეთი რამ გამოეგონა. დაუჯერებელი იყო, რომ ბრალდებულს ასეთი რამ შეეთხზა. ასე ფიქრობდა უმრავლესობა, ვინც მას მოუსმინა.

ბრალდებულის ამ უბრალო აღსარებამ მის გასამართლებლად უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე მისი დამცველის მჭევრმეტყველებამ.

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო. ბრალდებულს ახლა საბუთები და მოწმეები სჭირდებოდა, რომ გაემართლებინათ.

სად წავიდა მოწმე — ზებ სტუმპი, რომელზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული?

ხუთასი კაცი მაინც იცქირებოდა ტრამალისაკენ, რომ დაენახათ, ძველი მონადირე ხომ არ მოდისო. ხუთასი ადამიანის გული მოუთმენლად ელოდა ზებ სტუმპის გამოჩენას. ელოდა მარტო მას, ან კასიუს კოლჰაუნთან და უთავო მხედართან ერთად, ან უიმისოდ, რადგან თავმოკვეთილი მხედრის საიდუმლოება უკვე იცოდნენ და მათთვის იგი დიდ ინტერესს აღარ წარმოადგენდა.

უზარმაზარი მუხის ძირში შეკრებილმა ადამიანებმა იცოდნენ, რომ ამქვეყნად შეუძლებელი არაფერია და ყველაფრის მოლოდინი უნდა ჰქონოდათ. ისინი სამხრეთ დასავლეთ ტეხასის მკვიდრნი იყვნენ. იმ მთების მოსაზღვრე ქვეყნის მკვიდრნი, სადაც კრისტალივით გამჭვირვალე ლეონა და კაკლის მდინარედ წოდებული რიო დე ნუესა იღებდნენ სათავეს.

სამხრეთ-დასავლეთ ტეხასში მცხოვრებლებმა კარგად იცოდნენ თავიანთი კლიმატის თავისებურება: მათ სამკვიდროში სიკვდილს თან ორგანიზმის გახრწნა არ მოსდევდა. თუ ტყვიით განგმირული ირემი, ან თავისით მკვდარი ცხენი მხეცების ლუკმა არ გახდებოდნენ, არ გაიხრწნებოდნენ – ორი დღე-ღამის განმავლობაში ეგვიპტურ მუმიებს დაემსგავსებოდნენ.

იქ შეკრებილთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელმაც კარგად იცოდა ტეხასის ჰავის თავისებურება, განსაკუთრებით იმ ადგილებსა, რომლებიც სიერა მადრესა და ლიანო ესტაკადოს მთებს ეკვროდნენ.

თავმოკვეთილი ჰენრი პოინდექსტერის გვამი რომ ახლა უზარმაზარი მუხის ქვეშ მოეტანათ, არც ერთი იქ მყოფთაგანი არ იკითხავდა, ამდენ ხანს გვამი რატომ არ გაიხრწნაო. არც საკვირველ ამბად მიიჩნევდნენ. ბრალდებულის აღსარება ამ შემთხვევაში საეჭვოდ არც ერთ მათგანს არ გაუხდია.

მუხის ქვეშ შეკრებილთა მოუთმენლობა სულ სხვა მიზეზით იყო გამოწვეული. იგი წარმოიშვა იმ ეჭვის ნიადაგზე, რომელმაც სასამართლოს დაწყებიდანვე დაისადგურა, თანდათან გაიზარდა და ბოლოს თითქოს ყველამ ირწმუნა.

ამიტომ იყო, რომ ყველა მოუთმენლად ელოდა ზებ სტუმპის დაბრუნებას. ძველი მონადირის ჩვენება ბრალდებულს ან გაათავისუფლებდა და ან სახრჩობელაზე აიყვანდა.

აი, რატომ იყურებოდა ყველა ჰორიზონტისაკენ, სადაც საფირონისფერი ცა მწვანე მოხასხასე სავანას უერთდებოდა.

52 - უკანასკნელი მოწმე

ზებ სტუმპის მოლოდინში ერთი ათი წუთი კიდევ გავიდა. ყველანი დაძაბული იდგნენ და ელოდნენ. ირგვლივ ჩამოწოლილ სიჩუმეს დროდადრო წამოძახილები არღვევდა. შეკრებილთაგან ხან ერთს,

ხან მეორეს ეჩვენებოდა, ჰორიზონტზე რაღაც შავ წერტილს მოვკარი თვალიო. იგი, მათი აზრით, ზებ სტუმპი უნდა ყოფილიყო. როგორც კი ვინმე ამას წამოიძახებდა, ყველანი ფეხის წვერებზე დგებოდნენ, რომ უფრო კარგად გაერჩიათ მათკენ მომავალი მხედარი.

ასეთი ამბავი სამჯერ განმეორდა უზარმაზარი მუხის ძირში და შეკრებილ ხალხს სამჯერვე გაუცრუვდა მოლოდინი. მათ უკვე გადაუწყდათ იმედი, როცა ხალხში ისევ ატყდა ჩოჩქოლი. ახლა უკვე მეოთხედ გაისმა: გამოჩნდა, გამოჩნდაო. ამჯერად უფრო დარწმუნებით იძახდნენ — მოდისო.

მართლაც ჰორიზონტზე გამოისახა რაღაც ლანდები, რომელთაც მალე ცხენზე ამხედრებული მოძრავი ადამიანების სახე მიიღეს.

ძველმა საქსონურმა ველურმა ღრიალმა — „ჰურამ“ იქაურობა შესძრა, როცა მუხის ქვეშ თავმოყრილმა ხალხმა მათკენ მომავალი სამი მხედარი გააჩნია.

ორი მათგანი: ზებ სტუმპი და კასიუს კოლჰაუნი იმწამსვე იცნეს. ბრალდებულის აღსარების შემდეგ მესამის ცნობაც აღარ წარმოადგენდა სიძნელეს.

ხალხში მეორედ გაისმა „ჰურას“ ძახილი. პირველად, როგორც ვიცით, იგი მხედრების დანახვით გამოწვეულ სიხარულს გამოხატავდა, ამჯერად კი მესამე მხედრის დანახვაზე ახმაურდნენ. ეს იყო უთავო მხედარი, რომელიც დიდხანს საიდუმლოებით მოცულ მითქმა-მოთქმის საგნად ქცეულიყო. მართალია, ბრალდებულის აღსარების შემდეგ ყველამ იცოდა, რასაც წარმოადგენდა უთავო მხედარი, მაგრამ მისი მოახლოებისას შეკრებილთ მაინც შიშის ჟრუანტელმა დაურბინა.

მხედრების მოახლოებამდე სიჩუმე აღარ დარღვეულა. როცა იქ შეკრებილთა მხედრებმა გვერდით ჩაუარეს, მაყურებელთა შორის ჩურჩული გაისმა, თითქო რაღაც მნიშვნელოვან ამბებს უზიარებდნენ ერთმანეთს, თანაც ეშინოდათ, არავინ გაიგონოსო.

შეკრებილთაგან ზოგი მოახლოებული მხედრების შესაგებებლად გაეშურა და ახლა გაოცებული მოჰყვებოდნენ უკან.

სამივე მხედარი სასამართლოს გარშემო წრედ შემორტყმული ხალხის ბოლოში შეჩერდა. მათ გარს შემოეხვივნენ და მხედრები უცებ წრის ცენტრში აღმოჩნდნენ.

ორი მხედარი ცხენიდან ჩამოხდა, ერთი მათგანი კი ისევ ზედ შერჩა.

კოლჭაუნმა თავისი ცხენი გვერდზე გაიყვანა და ხალხს შეერია. თავმოკვეთილი მხედრის შემხედვარეთ კოლჭაუნი უცებ გადაავიწყდათ, ყველა უთავო მხედარს მისჩერებოდა.

ზებ სტუმპმა თავისი ბებერი ფაშატი მიატოვა და ბედაური, რომელზეც თავმოკვეთილი მხედარი იჯდა, დასადავებული წაიყვანა მსაჯულებისაკენ.

— მოსამართლე! ნაფიცო მსაჯულნო! — ისეთი ხმით დაიწყო ზებ სტუმპმა, თითქოს ყველა იქ მყოფთა უფროსი ყოფილიყოს, — აი, ის მოწმე, რომელსაც შეუძლია ნათელი მოჰფინოს ამ საიდუმლოებით მოცულ მკვლევლობის საქმეს. აბა, რა შეკითხვები გაქვთ?

— ოჰ, ღმერთო! ეს ხომ ჰენრია! — გაისმა ვუდლი პოინდექტერის ღრიალი. საცოდავი მამა თავმოკვეთილ შვილს მიუახლოვდა და მის გვერდით დადგა.

კარიოლიდან გაისმა ქალის კვილი, რომელიც მალე გულამოსკვნილმა ქვითინმა შეცვალა. ეს თავმოკვეთილი მხედრის და, ლუიზა პოინდექტერი გახლდათ.

ცოტა ხნის შემდეგ გონდაკარგული ვუდლი პოინდექტერი კარიოლისაკენ წაიყვანეს და ლუიზას გვერდით დასვეს.

კარიოლი კვლავ ძველ ადგილზე იდგა. ლუიზას გადაწყვეტილი ჰქონდა, განაჩენის გამოცხადებამდე და დამნაშავის დასჯამდე, თუკი ასეთი რამ მოხდებოდა, ადგილიდან ფეხი არ მოეცვალა.

ზებ სტუმპს ოფიციალურად სთხოვეს, მოწმის ადგილი დაეჭირა.

მოსამართლის მითითების თანახმად, დაკითხვას ბრალდებულის დამცველი შეუდგა. მან გვერდი აუარა მრავალ ფორმალურ კითხვას, რადგან ძველ მონადირეს ფიცი — „ყველაფერს მართალს ვიტყვიო“, უკვე დადებული ჰქონდა. პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ და ზებ სტუმპს სთხოვეს, რაც იცი, სასამართლოს ყველაფერი დაწვრილებით მოახსენეო.

— ეს სამწუხარო ამბავი ჰენრი პოინდექსტერის დაკარგვიდან მეორე დღეს შევიტყვე. ის იყო, ნადირობიდან დავბრუნდი და მაშინვე გავიგე, მუსტანგერს ჰენრი პოინდექსტერის მკვლელობას აბრალებენო. მე ვიცოდი, მუსტანგერი ისეთი კაცი არაა, რომ კაცი მოკლას, მაგრამ მაინც წავედი, რომ პირადად მენახა. შინ არ დამხვდა, ქოხში მხოლოდ მისი მსახური იყო, რომლის ნალაპარაკებიდან ვერაფერი გავიგე.

სანამ ჩვენ ვლაპარაკობდით, ქოხის კარს მოადგა მუსტანგერის ძაღლი, რომელსაც კისერზე სადარბაზო ბარათი ჰქონდა ირმის ტყავით ჩამოკიდებული. ბარათში რამდენიმე სიტყვა იყო წითელი მელნით დაწერილი. კარგად რომ დავაკვირდი, წითელი მელნით კი არა, სისხლით ნაწერი შევიცანი.

ბარათში მინიშნებული იყო ის ადგილი, სადაც გაჭირვებაში მყოფი მუსტანგერი იმყოფებოდა.

იქით გავემართე და ფელიმიცა და ძაღლიც თან გავიყოლე.

სწორედ სულზე მივუსწარი, თორემ ზოლებიანი პანტერა, მექსიკელები რომ ვეფხვს ეძახიან, მის გასაგლეჯად ემზადებოდა. თვითონ მუსტანგერი, როგორც მისგან გამიგონია ხშირად, იმ ცხოველს იაგუარს უწოდებს.

იმწამსვე თოფი დავუმიზნე, ტყვია შიგ გულში მოვახვედრე და ბოლო მოვუღე.

მუსტანგერი ქოხში წამოვიყვანეთ. საკაცით მიგვყავდა, რადგან ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეეძლო. ამასთან ცოტა გონებაზეც

ვერ იყო კარგად. პირდაპირ უნდა ითქვას, ინდაურივით აზროვნებდა. დავაწვინე ქოხში და მანამდე იყო იქ, სანამ მდევერები არ მოვიდნენ.

ზებ სტუმპში ცოტა ხნით შეჩერდა. ალბათ იმას ფიქრობდა, რაც ქოხში მდევერების მოსვლამდე მოხდა, ყველაფერი ვთქვა თუ არაო. მერე დაასკვნა, ყველაფრის თქმა არ ივარგებსო და ამბის ნაწილი გამოტოვა.

ეს არ მოეწონა პროკურორს და ძველი მონადირის დაკითხვა დაიწყო. იქამდე ჩასდია, სანამ ყველაფერი დაწვრილებით არ აამბობინა ჰაუპტვახტში მუსტანგერის მოყვანამდე.

— ახლა კი, — განაგრძო ზებ სტუმპმა, როცა კითხვებზე პასუხს მორჩა, — ფიქრობთ, ყველაფერი მათქმევინეთ? მე კი ბევრი რამ დამრჩა სათქმელი და თვითონვე მოგახსენებთ.

— განაგრძეთ, მისტერ სტუმპ, — შეაგულიანა სან-ანტონიოელმა ვეჟილმა.

— ძალიან კარგი. რაც ახლა უნდა გიამბოთ, იგი ბრალდებულს იმდენად არ ეხება, რამდენადაც იმ ადამიანს, ვინც ჩემი აზრით, მის ნაცვლად ბრალდებულის სკამზე უნდა იჯდეს. მე არ დავასახელებ, ვისაც ვგულისხმობ. მხოლოდ გიამბობთ, რაც ვიცი. თქვენ ხომ ნაფიცი მსაჯულები ხართ და დასკვნა თქვენ გამოიტანეთ.

ძველი მონადირე ცოტა ხნით შეჩერდა და ისე ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს აღსარების სათქმელად ჰაერი უნდა მოიმარაგოსო.

არავის არ აუჩქარებია, უკვე აღარც არავინ ჩარევია ლაპარაკში. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ზებ სტუმპმა მკვლელობის საიდუმლოება იცოდა და მისი გახსნა ეწადა.

— მაშ ასე, ჩემო თანამემამულენო! მას შემდეგ, რაც გავიგონე და რაც ჩემი თვალით ვნახე, დავრწმუნდი, რომ საწყალი ჰენრი პოინდექსტერი ცოცხალი აღარ იყო, ამასთან, მტკიცედ მჯეროდა, რომ ამდაგვარ უსინდისო მკვლელობას მორის ჯერალდი არ იკადრებდა.

მაშ ვის უნდა მოეკლა ჰენრი? აი, კითხვა, რომელიც თავში მიტრიალებდა და მაწვალებდა ისევე, როგორც ყველა თქვენგანს, ვისაც ამაზე უფიქრია. რაკი ვფიქრობდი, მკვლელობაში მუსტანგერს არ მიუძღვოდა ბრალი, სიმართლის დადგენა განვიზრახე. მართალი უნდა ითქვას, ბევრი საბუთი მუსტანგერის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ამ საბუთებმა ჩემი რწმენა ვერ შეარყია.

გადავწყვიტე, თვითონ შემესწავლა ტრამალზე დატოვებული ნაკვალევი. ვიცოდი, იქ აუცილებლად დარჩებოდა იმ ადგილას მისული და უკან დაბრუნებული მკვლელის ნაკვალევი. მაგრამ საუბედუროდ, იქ სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი ბევრი კვალი აღმოჩნდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ყველაფერი ადვილად გადაწყდებოდა.

მაგრამ იქვე გადავაწყდი ერთი ცხენის კვალს, რომელიც ძალიან საეჭვოდ მომეჩვენა და გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, ბოლომდე მივყოლოდი. ეს იყო ამერიკული ცხენის ნაფეხური, რომელსაც ერთი ნალი გატეხილი ჰქონდა. აი, ის ნალიც.

მოწმემ ჰიბეში ერთხანს აფათურა ხელი და მერე გატეხილი ნალი ამოიღო.

ნალი ძალზე მაღლა ასწია, რომ მოსამართლეს, ნაფიც მსაჯულებს და ხალხს დაენახათ.

— დიახ, ბატონო მოსამართლე, — განაგრძო ზებ სტუმპმა, — გატეხილნალიანი ცხენი სწორედ იმ ღამეს დაქროდა ტრამალზე, როცა მკვლელობა მოხდა. იგი უკან მისდევდა ჰენრი ჰოინდექსტერისა და მორის ჯერალდის ცხენებს და მკვლელობის ადგილიდან იქვე ახლოს წყდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ შეჩერდა ცხენი და არა მისი პატრონი. დიახ, ეტყობა, იგი ცხენიდან ჩამოხტა და ფეხით მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც თქვენ სისხლის ტბორი ნახეთ. მკვლელი იმ ნალმოტეხილ ცხენზე იჯდა!

— განაგრძეთ ჩვენება, მისტერ სტუმპ! — მიუთითა მოსამართლემ, — და აგვიხსენით, რა იგულისხმება თქვენს მოულოდნელ განცხადებაში.

— ჩემს განცხადებაში ის იგულისხმება, რომ ადამიანი, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა, იქვე ტყეში იყო დამალული, თოფი ესროლა და ჰენრი პოინდექსტერი მოჰკლა.

— ვინ იყო ის? გვითხარი მისი სახელი! — უეცრად ერთდროულად გაისმა ოცამდე ადამიანის ხმა.

— მის სახელს აი, იქ იპოვნით.

— სად?

— აი იქ, თავმოკვეთილი მხედრის გვამში. მოიხედეთ აქეთ, ხედავთ თუ არა, რომ ზოლებიანი წამოსასხამი მკერდთან გახვრეტილია. უკანა წამოსასხამი მთელია. ვფიქრობ, ტყვია გვამში უნდა იყოს დარჩენილი. გავხადოთ და ვნახოთ!

ზებ სტუმპის წინადადებას ჩუმი დასტურით შეხვდნენ. მაყურებლებს ორი თუ სამი კაცი გამოეყო და წინ წამოდგნენ. მათ შორის სემ მენლიც. მათ ფრთხილად მოაშორეს თავმოკვეთილ მხედარს წამოსასხამი.

როგორც საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოჩენილი ადამიანის ძეგლის გახსნისას ჩამოწვება ხოლმე სიჩუმე, ისე მიყუჩდა უბარმაზარი ხის ძირში ხალხი, როცა თავმოკვეთილ მხედარს წამოსასხამს ხსნიდნენ. გარდაცვლილის მიმართ მოკრძალებისა და პატივისცემის გამომხატველი საზეიმო სიჩუმე არავის დაურღვევია, სანამ თავმოკვეთილ მხედარს წამოსასხამს შემოხსნიდნენ. მერე კი უჩვეულო ჩოჩქოლმა მოიცვა გარემო. მიცვალებულს ლურჯი ბამბის ქსოვილის ხალათი ეცვა, ღილები ბოლომდე შეკრული ჰქონდა. შარვალიც იმავე ქსოვილისა და იმფერისვე იყო, მაგრამ მხოლოდ მუხლებამდე მოუჩანდა, რადგან მუხლებს ქვემოთ წყალგაუმტარი ვეფხვის ტყავის ზოლებიანი საცვეთები ეცვა.

წელზე ორმაგად ჰქონდა შემოხვეული ცხენის ძუისაგან დაწნული თოკი, რომლითაც წინა და უკანა მხარეს უნაგირის კეხზე იყო დამაგრებული. სწორედ ამ თოკის წყალობით იჯდა ცოცხალი ადამიანივით ცხენზე თავმოკვეთილი ადამიანის გვამი. ასევე თოკით იყო დამაგრებული უზაგებში მისი ფეხები. ცხენის მუცელქვეშ გატარებული, ერთმანეთთან გადაბმული ლაზოთი. ყველაფერი ისე იყო, როგორც ბრალდებულმა აღწერა, მხოლოდ მოკვეთილი თავი არ ჩანდა.

სად უნდა ყოფილიყო ის?

ეს კითხვა არავის დაუსვამს. ყველას გულისყური ზებ სტუმპისაკენ ჰქონდა და თვალები თავმოკვეთილი გვამისათვის მიეპყროთ.

გვამს ორი ნატყვიარი აჩნდა. ერთი ტყვია გულის არეს ზემოთ მოხვედროდა, მეორეს კი მკერდის ძვალი დაემსხვრია და შიგ გულში გაეფლო.

ყველა ამ მეორე ჭრილობას მიაშტერდა. სწორედ ამ ნაჭრილობევის პირდაპირ იყო სისხლით გაჟღენთილი და წითლად შეღებილი ლურჯი ხალათი. მეორე ნატყვიარი სულ სხვანაირი გახლდათ. მის გარშემო სისხლი არ ჩანდა.

— ამას, — თქვა ზებ სტუმპმა და ზემო ნატყვიარზე მიუთითა, — არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ჩემი ნასროლი ტყვიაა. აი, ხომ ხედავთ, მის გარშემო სისხლი არ ჩანს. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — ტყვია მაშინაა მოხვედრილი, როცა იგი უკვე თავმოკვეთილი ადამიანის გვამი გახლდათ. აი, ეს მეორე ნატყვიარი კი სულ სხვანაირია. ამ ტყვიას მოუღია ბოლო ჰენრი პოინდექსტერისათვის და ჩემი აზრით, იგი ისევ გვამში უნდა იყოს. თუ არ გჯერათ, გავჭრათ და ვნახოთ!

ზების წინადადების წინააღმდეგ არავინ წასულა. პირიქით, მოსამართლემ მოითხოვა ისე მოქცეულიყვნენ, როგორც საქმის ინტერესები მოითხოვდა.

თოკები დახსნეს და გახევებული გვამი ცხენიდან ჩამოიღეს. ვინც ცხენიდან გვამის ჩამოღებაში მიიღო მონაწილეობა, შენიშნა, რომ მიცვალებულს ფეხები და ხელები ადამისდროინდელი მუმიასავით გაჰქვავებოდა და მასავით მსუბუქი გამხდარიყო.

გვამი დიდი სიფრთხილით დაასვენეს ბალახზე. გაკვეთის მონაწილენი ხმაამოუღებელივ დაიხარნენ დაბლა. სემ მენლი ისე მოქმედებდა, ეტყობოდა, უფროსი ის იყო.

მოსამართლის მითითების თანახმად, მან გვამი გაჰკვეთა ქვემო ნატყვიართან, რომლის პირდაპირაც მოკლულის ხალათი სისხლით იყო მოსვრილი.

ტყვია მარცხენა ფილტვში იპოვეს. ის ამოიღეს, გაწმინდეს და ნაფიც მსაჯულებს გადასცეს.

მიუხედავად იმისა, რომ თოფის ლულის შიდა წრეს, რომელიც ტყვიას ბრუნვით მოძრაობას ანიჭებს, დაეკაწრა ის, ხოლო ნეკნზე მოხვედრის შედეგად ოდნავ მიჭყლეტილიყო, გვამიდან ამოღებულ ტყვიაზე მაინც გარკვევით მოჩანდა ნახევარწრე და ინიციალები კ.კ. ოჰ! რა ბევრი რამის მთქმელი იყო ეს ინიციალები!

აქ იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ახსოვდათ ვეფხვზე ნადირობას ატეხილი დავა. როგორ იკვებხნოდა ერთი მონადირეთაგანი — ჩემი ტყვია ნიშანდებულიაო. ახლა ალბათ ნანობდა კიდევ მაშინდელ ტრაბახს.

მაგრამ სად იყო ახლა იგი, მუხის ქვეშ შეკრებილი ხალხი თვალებით დაეძებდა მას.

— თქვენ როგორ ხსნით ამ ამბავს, მისტერ სტუმპ? — ჰკითხა ვექილმა.

— მე მგონი, ამას ახსნა-განმარტება არ სჭირდება. ყველაფერი დღესავით ნათელია და ბავშვიც კი მიხვდება, სწორედ ამ ტყვიამ მოუღო ბოლო ახალგაზრდა პოინდექსტერს.

— მაგრამ ვის უნდა ესროლა?

— მე მგონი, ესეც ადვილი მისახვედრია. როცა ადამიანი ხელს აწერს გაგზავნილ წერილზე, მერე აღარავინ ეჭვობს, წერილი მისგანაა თუ არა გაგზავნილი. მართალია, ტყვიაზე მხოლოდ ინიციალებია აღნიშნული, მაგრამ ყველამ ვიცით, ვისაც ეკუთვნის ის.

— მე ამ ამბავს დამამტკიცებელ საბუთად ვერ მივიღებ, — ჩაურთო პროკურორმა, — მართალია, ტყვია ნიშანდებულია, მაგრამ ხომ შეიძლება მკვლელობა მოპარული იარაღით იყოს ჩადენილი. ეს ხომ ძალიან გავრცელებული ხერხია. გარდა ამისა, — განაგრძო პროკურორმა, — რა მიზეზით უნდა მოექცლა იმ ადამიანს ჰენრი პოინდექსტერი, ვისზეც გაქვთ ეჭვი. ჩვენ გვარისა და სახელის უთქმელადაც კარგად ვიცით, ვისია ეს ინიციალები. არ მგონია, პატივცემულმა ჯენტლმენმა უარყოს ეს ამბავი. მაგრამ როგორც აღვნიშნე, ინიციალები ამ შემთხვევაში მკვლელობის დამამტკიცებელ საბუთად არ გამოდგება. მიზეზობრივი კავშირი ეჭვმიტანილის განზრახვასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის არ არსებობს.

— თქვენ ასე ფიქრობთ? — ჰკითხა ზებ სტუმპმა, რომელიც მოუთმენლად ელოდა, თუ როდის დაამთავრებდა თავის სიტყვას პროკურორი, — ამბზე რაღას იტყვით? — უთხრა ზებ სტუმპმა და ჯიბიდან თოფის წამლისაგან ჩაშავებული და ნახევრად დამწვარი ქაღალდი ამოიღო.

— ეს მე, — განაგრძო ზებ სტუმპმა და ქაღალდი ნაფიც მსაჯულებს გადააწოდა, — მკვლელობის ადგილზე ვიპოვე. იგი აკაცის ეკალზე იყო შეჩენილი. ისიც ამ თოფის ლულიდანაა ამოვარდნილი, საიდანაც გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა ეს ადამიანი. ეს ხომ კონვერტის ნაგლეჯია, რომელიც დამნაშავეს საცობად უხმარია. კონვერტის ამ ნაგლეჯზე წარწერილი გვარი და სახელი ინიციალებს ემთხვევა. ნაფიც მსაჯულებს შეუღლიათ წაიკითხონ და ერთმანეთს შეადარონ, თუ ვტყუი.

ნაფიც მსაჯულთაგან უფროსმა ქაღალდის ნაგლეჯი აიღო და ხმა-მაღლა წაიკითხა:

— კაპიტან კასიუს კოლჭაუნს!

53 - გაპარვა

ამ სახელის გამოცხადებამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამას თან არ მოჰყოლია გაკვირვების წამოძახილები; ადამიანთა გულებს ერთბაშად მოასკდათ აზრთა და გრძნობათა ჭიდილით გამოწვეული ყვირილი. ხალხის ამ ყვირილს ორმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ისინი ბრალდებულს ამართლებდნენ და მეორეც, საბრალდებო სკამზე იმ ადამიანის დასმას მოითხოვდნენ, ვინც ყველაზე გადაჭრით სდებდა ბრალს მუსტანგერს.

ზებ სტუმპმა თავის ჩვენებაში კოლჭაუნს, როგორც დამნაშავეს, პირდაპირ როდი დაადო ხელი. იგი ამბავს ყვებოდა და მსმენელებს ანიშნებდა, ვის შეეძლო დანაშაულის ჩადენა. იგი ფაქტს ფაქტზე ალაგებდა და ამით ნამდვილი დამნაშავის მიმართ გამოთქმულს ეჭვს თანდათანობით აძლიერებდა. ასე განაგრძობდა, სანამ თავისი მსმენელები არ დაარწმუნა, რომ ჰენრი პოინდექსტერის მკვლელი მორის ჯერალდი არ იყო.

ყველა დარწმუნდა, კოლჭაუნის მიერ ჩადენილ დანაშაულში. მართალია, კონვერტის ნაგლეჯი არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს წამოადგენდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა კიდევ ერთმა დამამტკიცებელმა საბუთმა ყველა დააჯერა, რომ მკვლელი კასიუს კოლჭაუნი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ იცოდნენ მკვლელობის მოტივი.

კონვერტის ნაგლეჯი ხელიდან ხელში გადადიოდა. ნაფიცმა მსაჯულებმა დიდი ყურადღებით გასინჯეს ის და შემდეგ ზებ სტუმპს, რომელმაც განაცხადა, სათქმელი კიდევ დამრჩაო, უფლება მისცეს, ჩვენება განეგრძო.

მან დამსწრეთ მოუთხრო, თუ როგორ აღეძრა ეჭვი, როგორ გადაწყვიტა, თვითონვე წასულიყო და საკუთარი თვალით მოენახა

ნაკვალევი. როგორ ესროლა თოფი „ხეთა კუნძულში“ დადარაჯებულმა კოლჭაუნმა უთავო მხედრის ცხენს და როცა ტყვია ააცილა, როგორ გამოედევნა, რომ დასწოდა. არც ცხენების გაცვლის ამბავი დავიწყებია. ყველაზე ბოლოს კი უთავო მხედრის შეპყრობის ეპიზოდი მოყვა. ჩვენება რომ დაამთავრა, გაჩუმდა, მაგრამ ისევ ხმა-ამოუღებელივ იდგა მოწმის ადგილზე, თითქოს შეკითხვებს ელოდებოდა.

მაგრამ დამსწრეთ ზებ სტუმპი აღარ აინტერესებდათ. იგი უკვე დაცლილი სურა იყო და სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. დასკვნის გამოსატანად კი მათ ის დამამტკიცებელი საბუთიც საკმაოდ ჩათვალეს, რაც იცოდნენ.

ხალხმა იმასაც კი აღარ მოუცადა, სასამართლოს ფაქტები აეწონ-დაეწონა და შეემოწმებინა. იმათ, ვინც საკუთარი თვალით ნახეს, რომ სასამართლო კინაღამ მოტყუვდა და ისინიც შეცდომაში შეიყვანეს, მსაჯულთა ასეთი ზოზინი აღარ მოსწონდათ. სწორედ ამის გამო იყო, რომ ხმამაღლა მოითხოვდნენ:

გაათავისუფლეთ ირლანდიელი, გაუშვით, წავიდეს, უდანაშაულოა! ამაზე მეტი დამამტკიცებელი საბუთები აღარ გვესაჭიროება, ყველაფერი გასაგებია. მუსტანგერი გაათავისუფლეთ!

ასეთი იყო აღელვებული ხალხის მოთხოვნა, მაგრამ მალე სხვა ხმებიც გაისმა:

დააპატიმრეთ კასიუს კოლჭაუნი! მკვლელი ის არის! სწორედ ამიტომ იყო, რომ ასე გააფთრებით ესხმოდა თავს მუსტანგერს. თუ უდანაშაულოა, იმართლოს თავი. მას ხომ ლინჩის წესით არ გაასამართლებენ. აბა, ბატონო მოსამართლე, გელოდებით! უბრძანეთ, კასიუს კოლჭაუნი ახლავე დააკავონ და სასამართლოს წარუდგინონ. უდანაშაულო გაათავისუფლეთ, ხოლო მის ადგილზე დამნაშავე დასვით. — თავდაპირველად ამას ხუთი-ექვსი კაცი გაჰყვიროდა, მაგრამ მალე ყველა შეუერთდა.

მართალია, ეს წესების დარღვევა იქნებოდა, მაგრამ მოსამართლეს ამ აღელვებული ხალხის დაწყნარება სხვანაირად არ შეეძლო და ბრძანება გასცა, კასიუს კოლჰაუნი გამოიძახეთო.

სამჯერ გამოაცხადეს ხმამაღლა, კოლჰაუნი წინ წამოდგესო, მაგრამ პასუხი არ იყო. ყველა თვალებით დაეძებდა სამსახურიდან გადამდგარ მოხალისეთა ყოფილ კაპიტანს.

მხოლოდ ერთი ადამიანი იცქირებოდა სწორი მიმართულებით. ეს ადამიანი ზებ სტუმპი გახლდათ. იგი სასწრაფოდ მოსცილდა მოწმის ადგილს და სისხლისფერი ბედაურის გვერდით მდგარი თავისი ფაშატისკენ გაეშურა. ზებ სტუმპი ისე მარდად მოახტა ცხენს, რომ ყველანი განაცვიფრა.

იმავე დროს მაყურებლებმა შენიშნეს, რომ იქ, სადაც ცხენები ება, ვიღაც კაცი დაძვრებოდა.

იგი ისე ქურდულად მიიპარებოდა, ეტყობოდა, ეშინოდა, არ შემამჩნიონო.

— ისაა, კოლჰაუნი! — დაიყვირა ვიღაცამ.

— გაპარვა უნდა! — წამოიძახა მეორემ.

— არ გაუშვათ, მიჰყევით! — მკაცრად დაიყვირა მოსამართლემ, — უკან დააბრუნეთ.

ბრძანების გამეორება საჭირო აღარ იყო. მოსამართლეს სიტყვები არცკი დაემთავრებინა, რომ ოცამდე კაცი ცხენებისაკენ გაიქცა.

სანამ ისინი ცხენებთან მივიდოდნენ, კოლჰაუნმა დაასწრო და განაპირას მდგარ თავის რუხ მუსტანგს მოახტა. იგი ისევ შეკაზმული და ლაგამამოდებული იდგა.

როცა მუხის ქვეშ ჩოჩქოლი და ყვირილი ატყდა, კოლჰაუნი მიხვდა, რომ შენიშნეს.

ქურდულ მოქმედებას უკვე აზრი აღარ ჰქონდა. იგი ცხენისაკენ გაიქცა და პირუტყვს ელვისებურად ზურგზე მოექცა. უკან ნადირით ერთი კი მოიხედა და ტრამალზე გაჰქუსლა. მაიორმა ბრძანება

გასცა: მოიყვანეთ ან ცოცხალი ან მკვდარი. გაქცეულს წამსვე ორ-მოცდაათი მხედარი დაედევნა.

კოლჭაუნის სიცოცხლე მაშინაც კი არ ყოფილა ისეთ განსაცდელში, როცა ბუნა ვისტასთან იბრძოდა. არც მაშინ, როცა ობერ-ლოფერის სასტუმროში მუსტანგერის ექვსვაზნიანი რევოლვერის ლულა მის საფეთქელთან იყო მიბჯენილი.

ეს თვითონაც კარგად იცოდა. ამიტომაც აჩქარებდა ცხენს და ხანდახან შეშინებული და გამძვინვარებული სახით იხედებოდა უკან.

მაგრამ მის გამოხედვაში არ ჩანდა სასოწარკვეთილება. მას ყურში ჩაესმოდა მდევართა შურისძიების ყიჟინა, მაგრამ წუთითაც არ კარგავდა გადარჩენის იმედს.

კოლჭაუნმა იცოდა, ფეხმალ ბედაურზე იჯდა და წინ ტყე ეგულე-ბოდა.

მართალია, ტყემდე ათი მილი უნდა გაერბინა, მაგრამ ეს მანძილი დიდს არაფერს წარმოადგენდა. იგი საათში ოცი მილის სისწრაფით მიქროდა და სანამ ნახევარი საათი გაივლიდა, თავს უღრან ტყეს შეაფარებდა.

ნუთუ ტყეში დამალვის იმედი ჰქონდა?

ძნელი დასაჯერებელია. მან კარგად იცოდა, მდევართაგან ბევრს შეეძლო მის კვალს მიჰყოლოდა და ზებ სტუმპიც ხომ მათ შორის იყო!

მაშ რის იმედით მიქროდა წინ? რატომ ეურჩებოდა ბედისწერას? იქნებ ცხოველური ინსტინქტი მიაქანებდა წინ ასე უგზო-უკვლოდ?

არა! ჰენრი პოინდექსტერის მკვლელი არც ისეთი სულელი იყო, რომ კანონისაგან თავის დაღწევის იმედი თავის ფეხმალ ცხენზე დაემყარებინა, ანდა ტყეში დამალულიყო და გაურკვეველ მომავალს იქ დალოდებოდა.

ტყის იქით სასაზღვრო ბოლი გადიოდა. აი, რის იმედი ჰქონდა კოლჭაუნს.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ტყის გაღმა ორი სასაზღვრო ზოლი გადიოდა — ერთი მექსიკისაკენ, მეორე კი — ინდიელებისაკენ. ერთ-ერთი სასაზღვრო მიჯნა ცივილიზებულად წოდებულ ხალხებს ყოფიდა. და მათ შორის დამნაშავეთა ურთიერთგადაცემის ხელშეკრულება იყო დადებული.

მართალია, ეს ხელშეკრულება ხშირად ირღვეოდა, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას ორივე მხარე გაურბოდა, მაგრამ კოლჭაუნს სიცოცხლის სასწორზე დადება არ უნდოდა. კაენის დანაშაულის ჩამდენმა კარგად იცოდა, რომ დანაშაულს არავინ აპატიებდა.

იგი რიო გრანდესაკენ მიაჭენებდა ცხენს, მაგრამ იმ განზრახვით, რომ ფარულად გადაელახა მეორე საზღვარი და თავი კამანჩების სამფლობელოში ამოეყო. მართალია, ინდიელები არ ინდობდნენ თეთრკანიანებს, მაგრამ ვინც თანამოძმის სისხლს დაღვრიდა, პატივისცემით ეკიდებოდნენ.

ინდიელთა კარვებში მკვლელი არა მარტო თავშესაფარს მიიღებდა, პატივისცემის იმედიც შეეძლო ჰქონოდა და სისხლიანი კარიერის გაგრძელება მის ხელთ რჩებოდა.

აი, ამიტომ იყო, რომ შურისძიებით აგზნებული მდეგრების დანახვაზე კოლჭაუნს იმედი არ დაუკარგავს და რიო გრანდეს მიმართულებით მიმავალი ფიქრობდა, სხვების შეუმჩნეველად ლანო ესტაკადოსკენ გადაეხვია.

იგი არ უფრთხოდა იმ საშინელებას, რაც შეიძლებოდა კამანჩების ქვეყანაში შეხვედროდა. ანკი იმაზე უარესი რა უნდა დამართოდა, რაც ახლა მდეგრებისაგან ემუქრებოდა?!

შეიძლება მერე სანანებელიც გახდომოდა სიმდიდრის, მეგობრების, საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკარგვა და ცივილიზებულ გარემოში ყოფნას მიჩვეულს თითზე მწარედ ეკბინა, მაგრამ ახლა ამისათვის არ ეცალა.

იგი ამით კარგავდა იმ ადამიანსაც, რომელიც აგრერიგად უყვარდა და შეიძლება ველარასოდეს ენახა, მაგრამ ახლა არც იმისთვის სცხელოდა. ამ უზნეო ადამიანის ბუნება სიცოცხლეს სიყვარულზე მაღლა აყენებდა. მან იცოდა, წინ სიცოცხლე იყო, უკან კი ფეხდაფეხ სიკვდილი მისდევდა.

მკვლელი მთელი სისწრაფით მიაქროლებდა არაბული ცხენით სწრაფ მუსტანგს.

რუხი მუსტანგი აქამდეც უნდა დაღლილიყო. დილიდან ოც მილზე მეტი გაირბინა, მაგრამ მოქანცვის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. როგორც ყველა მუსტანგს, მასაც ორმოცდაათი მილის და, თუ საჭირო იქნებოდა, ასი მილის გავლა შეეძლო ჭენებით, ისე, რომ სისწრაფე არ შეენელებინა.

— რა ბედი მეწია, რომ ცხენი იმ მექსიკელ ქალიშვილს გავუცვალებე! — ფიქრობდა კოლჰაუნი, — ეს რომ არა, ახლა მუხის ქვეშ მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების წინაშე ვიდგებოდი. ხალხი ალბათ მოითხოვდა ლინჩის წესით ჩემს გასამართლებას და „წესრიგის დამცველთა“ კოჰორტა გარს შემომერტყმოდა.

მკვლელს უკვე ეგონა, ბედისწერასა და განსაცდელს თავი დაავალწიეო. უკან მოიხედა და ჩამორჩენილი მდევრები ერთხელ კიდევ შეათვალიერა. წინ გადაშლილ მოხასხასე მწვანე სავანას იქით სულ ახლო ტყე მოჩანდა. კოლჰაუნს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ტყეში შესული განსაცდელს გადაურჩებოდა.

მართალია, იქ ვერ დაიმალებოდა, მაგრამ ვერც ვერავინ დაეწეოდა და საფრთხეს თავს დააღწევდა.

ანკი ვინ უნდა დასწეოდა? მდევრები უკვე საკმაო მანძილით ჩამორჩენილიყვნენ.

იგი თავის გადარჩენას ზეიმობდა და მექსიკელ ქალიშვილთან შეხვედრის წუთებს ლოცავდა, რის შედეგად ასეთი სწრაფი ცხენი ჩაიგდო ხელში, მაგრამ მკვლელს მადლობა ეშმაკისათვის უნდა შეეწირა.

განა შეეძლო ღმერთს, ეს სისხლში ამოსვრილი ავაზაკი გადაერჩინა? განა შეეძლო თავისი ყოვლისშემძლე ხელიდან გაეშვა მკვლეელი?

54 - მკვლელის დევნა

ნუთუ ღმერთი ამ სისხლით ხელგასვრილ ავაზაკს გადაარჩენს? ნუთუ შეუძლია თავის ყოვლისშემძლე ხელიდან გაუშვას მკვლეელი?

ასეთი კითხვით მიმართავდნენ ერთმანეთს მუხის ქვეშ დარჩენილი მაყურებლები.

მათ სამართლიანობის გრძნობა უკარნახებდათ — ეს შეუძლებელიაო. როცა კოლჭაუნი თავის ფეხმარდ ცხენს მოახტა და გაქუსლა, გაიფიქრეს, ველარავინ დაეწევა და ხელიდან დაგვისხლტებაო. ზებ სტუმპი რომ ბებერ ფაშატზე შეჯდა და გამოედევნა, მაყურებლებს ცოტა იმედი მიეცათ. ხოლო როცა ასამდე სამხედრო და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მხედარი კოლჭაუნს უკან დაედევნა, შვება იგრძნეს.

მაგრამ იმედი რწმენით მხოლოდ მაშინ შეეცვალათ, როცა მკვლელსა და წინწასულ მდევრებს კიდევ ერთი მხედარი გამოედევნა. ეს იყო სისხლისფერ ბედაურზე ამხედრებული მორის ჯერალდი. მართალია, იგი ყველაზე ბოლოს მოსწყდა ადგილს, მაგრამ ყველამ იცოდა, იგი წინწასულებს გაუსწრებდა. სასამართლო განუსაზღვრელი დროით გადაიდო. ხალხის მოთხოვნას — მორის ჯერალდი გაათავისუფლეთო, მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები უსიტყვოდ დაეთანხმნენ და მუსტანგერმა გაიგო, რომ თავისუფალი იყო.

პირველი, რაც გაათავისუფლების შემდეგ გააკეთა, ის იყო, რომ ცხენისაკენ გაიქცა და ზედ შეჯდა.

ბედაურმა მიახლოებისთანავე იცნო პატრონი. მისკენ გაქანდა და სიხარულით დაიჭიხვინა.

ბედაურსა და მის პატრონს ერთმანეთი დიდი ხანია, არ ენახათ, მაგრამ ახლა მისალმების დრო არ იყო. პირუტყვის ჭიხვინს მუსტანგერმა მხოლოდ ერთი სიტყვით უპასუხა და იმწამსვე ბურგზე მოახტა. გვერდით მდგომთ ლაზო სთხოვა და როცა დახვეული თოკი მიაწოდეს, ცხენს დები ჰკრა და ტრამალზე გაქუსლა.

მაყურებლებმა თვალი გაადევნეს. რით დამთავრდებოდა გაქცეულის დევნა, ამაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა. საყოველთაო სურვილი საყოველთაო რწმენად გადაიქცა. დამნაშავეს ღმერთი დაუსჯელად არ გაუშვებსო, — ფიქრობდნენ მუხის ქვეშ დარჩენილები, მას აუცილებლად დაეწევიან, დაიჭერენ და იმავე მუხის ქვეშ, იმავე სასამართლოს წარუდგენენ, სადაც ახლახან მოწმედ გამოდიოდნო.

და მას სწორედ ის ადამიანი დაატყვევებს, ვისი სიკვდილით დასჯასაც კოლჰაუნი ცრუ ჩვენებით ცდილობდაო.

ლაზოთი აღჭურვილმა და ტრამალზე გასულმა მუსტანგერმა შენიშნა, რომ სულ უკან მიმავალ მხედარს იგი რამდენიმე ასეული იარდით ჩამორჩებოდა, მაგრამ თავისი ცხენის იმედი ჰქონდა და ეს არაფრად ჩააგდო.

სისხლისფერმა ბედაურმა ისე გააქანა წინ პატრონი, თითქოს განზრახვას მიუხვდაო. პირუტყვი გახარებული ჩანდა ცალკე იმით, რომ უცნაური ტვირთი მოიცილა და, რაც მთავარია, თავის პატრონს დაუბრუნდა. ცხენი გრძელი ნახტომებით მიიწევდა წინ. მორისი დარწმუნდა, მისი ბედაური წინანდებურად ძლიერი იყო და მის ფეხებს სიმარდე და მოქნილობაც შეენარჩუნებინა.

მუსტანგერი მალე წამოეწია ჩამორჩენილებს, რიგრიგობით გაუსწრო მათ და მალე თავში აღმოჩნდა. იგი თავზე გადაეველებოდა ხოლმე გორაკებს, ხევებს და ასე იმოკლებდა გზას, სანამ დანარჩენმა მდევრებმა კოლჰაუნივით არ დაკარგეს იგი მხედველობიდან.

მხოლოდ ერთი მხედარი ხედავდა კვლავ მორის ჯერალდს. ეს მხედარი საცოდავ ბებერ ფაშატზე მჯდარი ზებ სტუმპი გახლდათ. მისი ცხენის ასეთი სწრაფი ჭენება მხოლოდ იმ დანას შეეძლო, პატრონი დროდადრო რომ სჩხვლეთდა გავაზზე.

მორისის სისხლისფერი ბედაური კოლჭაუნმაც შეამჩნია. ცხენზე ახლა უთავო მხედრის ნაცვლად მისთვის უფრო საშიში მორის მუსტანგერი იჯდა და უახლოვდებოდა. და ეს მაშინ, როცა იმედი მიეცა, მღევრებს თავს დავაღწევ და სამშვიდობოს გავალო.

ლტოლვილს ცივმა ოფლმა დაასხა და ააკანკალა. კოლჭაუნს მოეჩვენა, რომ საკუთარ ბედისწერას ებრძოდა. გადაწყვიტა, უსარგებლო ბრძოლისათვის თავი დაენებებინა და ბედს დამორჩილებოდა.

კოლჭაუნი ახლა სასოწარკვეთილი იჯდა უნაგირზე და ეჩვენებოდა, რომ მისი ცხენის თავდაუზოგავი ჭენება უკვე ამაო იყო.

ჩირგვნარის სიახლოვემ კოლჭაუნს კვლავ ჩაუსახა ხსნის იმედი. ისედაც გაწამებულ ცხენს უკანასკნელი ძალა დაატანა და წინ გაიჭრა.

უცებ განაკაფი ტყის ბოლი შენიშნა. კოლჭაუნი შიგ შევიდა და ნახევარი მილი გაირბინა. იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ბილიკი მკვეთრად უხვევდა და მერე უღრან ტყეში იკარგებოდა. ახლა კი თავს დავაღწევო მღევარს, — გაიფიქრა მან და ცხენს მათრახი გადაჰკრა.

ამ ადგილს იგი ძალიან კარგად იცნობდა. ეს იყო საბედისწერო ადგილი. ნუთუ სწორედ აქ ელოდება ბედისწერა? დიახ! მან ეს იგრძნო და ცხენი უკვე უმიზნოდ და უმისამართოდ მიჰყავდა. კოლჭაუნმა სისხლისფერი ცხენის ფლოქვების თქარუნს მოჰკრა ყური და შურისმაძიებლის ხმაც შემოესმა: — შეჩერდი! — იგრძნო, ველარ მოასწრებდა მოსახვევში გაუჩინარებას და ველარც უღრან ტყეს შეაფარებდა თავს. უცებ დაიყვირა და ცხენი შეაყენა. ეს წამოყვირება ნა-

წილობრივ სასოწარკვეთით, ნაწილობრივ კი ბედისადმი შეურიგებლობით იყო გამოწვეული. იგი მიაგავდა ალყაშემორტყმული, სასიკვდილოდ განწირული ვეფხვის ღრიალს. ამას თან რევოლუერის გასროლის მჭახე ხმაც მოჰყვა.

ტყვია მიზანს ასცდა. მეორე მხრიდან კი ჰაერში ჯერ სისინი გაისმა და მერე თითქოს უზარმაზარი გველი აღიმართა კოლჰაუნის თავზე.

კოლჰაუნმა შეამჩნია, რომ ლაზო სწორედ მის თავზე დატრიალდა. სანამ მეორე გასროლას მოასწრებდა, ან გვერდზე გახტებოდა და ლაზოს ყულფს თავს დააღწევდა, იგი უკვე მის მხრებზე დაეშვა. იმწამსვე ლტოლვილს ჩაესმა ავისმომასწავებელი სიტყვა „დამნებდი“. კოლჰაუნმა სისხლისფერი ცხენის კუდს მოჰკრა თვალი და თითქოს ეშაფოტიდან დაბლა გადმონარცხესო, ცხენიდან გადმოვარდა.

ამის შემდეგ აღარაფერი გაუგონია, არც უგრძვნია. უნაგირიდან გადმოვარდნილმა გონება დაკარგა!

55 - არ მომკვდარა!

ლაზოთი ხელებშებოტილი მკვლელი მიწაზე მკვდარივით განრთხმულიყო.

მისმა დამტყვევებელმა იცოდა, კოლჰაუნს გონება ჰქონდა დაკარგული, ან თავს იმკვდარუნებდა! ამიტომ არ ჩამოდიოდა მუსტანგერი ცხენიდან და ლაზოც კვლავ დაჭიმული ეჭირა.

სისხლისფერი ბედაური ყურებდაცქვეტილი ელოდა პატრონის ნიშანს.

სროლის ხმაზე სვავეები მოფრინდნენ, იქნებ რამე საკბილო ვიშოვნოთო.

მორის მუსტანგერს რომ ცხენისათვის დეზი შემოეკრა, სვავეებს მოლოდინს გაუმართლებდა და გაახარებდა, მაგრამ ამ დროს თვითონ მორისის ხმა გაისმა: — უარესიც დაიმსახურა, მაგრამ ჯერ

იცოცხლოს. მაღალო ღმერთო! როგორი დანაშაული ჩაიდინა! მოკ-
ლა საკუთარი ბიძაშვილი და მერე თავი მოჰკვეთა! მარტო ღმერთმა
იცის, რისთვის ჩაიდინა ეს ბინძური საქმე, თუმცა ცოცხალია და ვი-
თონვე იტყვის ყველაფერს. მე კი საკუთარი აზრი მაქვს. ვიცი, რომ
მას ლუიზა უყვარს და შეიძლება ჰენრი ამ საქმეში ხელს უშლიდა.

მაგრამ როგორ? რანაირად? ეს მხოლოდ მაღალმა ღმერთმა და
თვითონ უწყიან.

— ცდები, ყმაწვილო, — გაისმა ზებ სტუმპის ხმა, — მე ყველაფერი
ვიცი, მაგრამ ახლა ამ ამბების მოყოლის დრო არა არის. ჯერ ეგ ვაჟ-
ბატონი მუხის ძირას შეკრებილ ხალხს უნდა წარვუდგინოთ და იქ
თავის საკადრის პასუხს მიიღებს. მართალია, ავი სანახავი სურათი
კი იქნება და სჯობდა, აქვე ლაზოთი მოღებოდა ბოლო, მაგრამ არა
უშავს. ჰენრი პოინდექსტერის ჯავრს ჩვენ ვერ ამოვიყრით. ეს „წეს-
რიგის დამცველთა“ საქმეა.

— როგორ უნდა ჩავიყვანოთ? მისი ცხენი რომ გაიქცა?

— ეს ძნელი საქმე არ არის, მისტერ ჯერალდ, ის ხომ გონდაკარ-
გულია, ან შეიძლება თავს ცნობამიხდილად გვაჩვენებს. ორივე შემ-
თხვევაში ერთი წამალი გაჭრის. თუ ფეხით სიარული არ შეუძლია,
ჩემს ცხენზე შევსვამ და ისე წამოვიყვან. ცხენზე ჯდომა მომწყინდა
და მგონი, ჩემს ბებერ ფაშატსაც თავი მოვაბებრე. ყოველ შემთხვე-
ვაში, ჩემი დანით მაინც. თუ მისტერ ვაშ კოლჰაუნი არ მოინდომებს
ჩემს ცხენზე შეჯდომას, მაშინ ხურჯინივით გადავკიდოთ უნაგირზე
და ისე ჩავიყვანოთ. მოიცა! მგონი, გონს მოდის! აბა, აბრძანდით,
აბრძანდით! — განაგრძო ზებ სტუმპმა, თან კოლჰაუნს საყელოში ხე-
ლი ჩაავლო და ნჯღრევა დაუწყო, — აბრძანდით და თან გამოგვეყ-
ვით. იქ სურთ მოგელაპარაკონ.

— ვის? სად? — იკითხა კოლჰაუნმა, რომელიც თვალებს აქეთ-
იქით აცეცებდა, — ვის უნდა ჩემი ნახვა?

— მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი მე ვარ...

— ოჰ, ეს თქვენ ხართ, ზებ სტუმპ! და...

— დიახ, და... ეს მისტერ მორის ჯერალდი, მუსტანგერია. მე მგონი, წინათაც გინახავთ, არა? მასაც სურს თქვენთან დალაპარაკება. ჩვენ გარდა, იქ, ფორტთან, ხალხს უნდა თქვენი ნახვა. ასე რომ, აბრძანდით და წამოგვყევით.

მიწაზე განრთხმული კოლჭაუნი ნელა წამოდგა. ახლალა შეამჩნია, რომ ხელები ლაზოთი ჰქონდა შეკრული.

— ჩემი ცხენი? — წამოიძახა მან და ირგვლივ მიმოიხედა, — სად არის ჩემი ცხენი?

— ეშმაკმა იცის მისი თავი და ტანი. შეიძლება რიო გრანედსაკენ წავიდა. რაც მის პატრონს გაუცვალეთ, როგორ დატანჯეთ საწყალი პირუტყვი! ალბათ ცოტას დაისვენებს.

კოლჭაუნმა შეშფოთებით შეხედა ძველ მონადირეს, — გაცვალეთო? ნუთუ ესეც იცის!

— ახლა კი! — განაგრძო ზებმა მოუთმენლად, — უხერხული იქნება, იმდენი ხალხი ვალოდინოთ, მზად ხართ?

— მზად ვარ? რისთვის?

— პირველ ყოვლისა, იმისთვის, რომ მე და ჯერალდს თან გამოგვყვით და მერე, რაც მთავარია, სასამართლოს წინაშე წარსდგეთ.

— სასამართლოში წარვდგე? მერედა, რა მინდა სასამართლოში?

— როგორ თუ რა გინდათ, მისტერ კაშ კოლჭაუნ!

— განა რა ჩავიდინე ისეთი?

— თქვენ მოკალით ჰენრი პოინდექსტერი — თქვენი საკუთარი ბიძაშვილი.

— ეგ ტყუილია, ცილისწამებაა, დიახ, ცილისწამებაა და ვინც ამას ამბობს, მე მას...

— აბა, მეტი აღარაფერი თქვა! — დაუყვირა ზებმა, — ისედაც ბევრი ლაპარაკი მოგიწევთ და ენერგია შემოინახეთ. ახლა კი წამოდით! მოსამართლე და ნაფიცო მსაჯულები გელოდებიან. თვითონ მართლმსაჯულება გელოდებათ, „წესრიგის დამცველნიც“ იქ არიან და თქვენს მოლოდინში იტანჯებიან.

— არ წამოვალ, — ჯიუტად განაცხადა კოლჭაუნმა, — რომელი კანონის საფუძველზე მიბრძანებთ უკან დაბრუნებას? თქვენ ჩემი დაპატიმრების ორდერი გაქვთ თუ რა?

— როგორ არა გვაქვს. აი, დაპატიმრების ორდერი, — უთხრა ზებ სტუმპმა და თავის თოფი უჩვენა, — ასე რომ, ტყუილუბრალოდ ნუ ილაპარაკებთ. გირჩევნიათ, ჩემს ცხენზე შეჯდეთ და თან გამოგვყვეთ, თორემ ხურჯინივით გადაგკიდებთ უნაგირზე და ისე ჩაგიყვანთ.

კოლჭაუნს არაფერი უპასუხია. იგი ხან ზებ სტუმპს შესცქეროდა, ხან მორის ჯერალდს. მერე მალულად დახედა თავის მეორე რევოლვერს, რომელიც გულის ჯიბეში ედო. ერთი მათგანი მაშინ დაუვარდა, როცა ლაზომ ხელები შეუბოჭა. კოლჭაუნმა სცადა რევოლვერი ამოეღო, მაგრამ ლაზომ ხელი შეუშალა. თუმცა ლაზოც რომ არა, ზებ სტუმპმა თავისი გრძელლულიანი თოფი მოუღერა და უთხრა:

— აბა, სწრაფად, ცხენზე შეჯექით, მისტერ კოლჭაუნ! ჩემი ბებერი ფაშატი გელოდებათ, მალე შეჯექით!

კოლჭაუნი ძველი მონადირის ბრძანებას თოჯინასავით დაემორჩილა, რადგან კარგად გრძნობდა, წინააღმდეგობის გაწევას მისი სიკვდილი მოჰყვებოდა. ზებ სტუმპი ცხენს წინ წაუძღვა.

56 - მკვლელობის ცდა და თვითმკვლელობა

მეორე მოულოდნელი შესვენება უფრო ხანმოკლე გამოდგა. მალე უზარმაზარი მუხის ქვეშ სამსჯავრო სხდომა ისევ განახლდა.

მოსაღამოვდა. ჩამავალი მზის ალმაცერი სხივები გიგანტური მუხის ტოტებში აციალდა.

კაშკაშა მზის სხივები, შუადღისას ოქროსფრად რომ ავარაყებდა დედამიწას, ახლა მიფერმკრთალებულიყო, თითქოს მზე სამყაროს ემდუროდა. ეს რაღაც ქარიშხლის მომასწავებელ საბედისწერო ნიშანს მიაგავდა.

თითქოს ბუნებაც იზიარებდა ადამიანთა პირქუშ განწყობილებას. მუხის ქვეშ შეკრებილი ხალხიც ხომ ასევე გაავეებული და გულჩათხრობილი იდგა. თითქოს ცას და დედამიწას ერთიანად მოსდებოდა აღშფოთება და მრისხანება.

მორის ჯერალდს უკვე აღარ შესცქეროდნენ აღშფოთებით. იგი გაამართლეს და სასამართლოში ახლა მოწმედ გამოდიოდა.

დამნაშავის ადგილზე კასიუს კოლჭაუნი იდგა. მხოლოდ ბრალდებული შეიცვალა. მოსამართლე, ნაფიცი მსაჯულები და მაყურებელნი იგივენი დარჩნენ, მაგრამ ბრალდებულის მიმართ მათი დამოკიდებულება და გრძნობები ახლა სულ სხვაგვარი გახლდათ.

კოლჭაუნი რომ მკვლეელი და დამნაშავე იყო, ამაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. ყველა საამისო დამამტკიცებელი საბუთი ხელთ ჰქონდათ. მართალია, ეს დამამტკიცებელი საბუთები მკვლელობის საქმის განხილვის დროს უმეტეს შემთხვევაში არაპირდაპირია, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები ერთი მთლიანი ჯაჭვის პატარ-პატარა რგოლებს წარმოადგენდა, რომელსაც ძირითადი რგოლი — მკვლელობის მიზეზის ახსნა აკლდა.

საჭირო იყო არა მარტო მკვლელობის, არამედ თავის მოკვეთის მიზეზის დადგენაც. ჯერალდის ჩვენებით, ჰენრი პოინდექსტერი ჯერ მოეკლათ და თავი მერე მოეკვეთათ. ფორტის ქირურგმა გვამის შემოწმების შედეგად დაადასტურა მორის ჯერალდის ჩვენება.

რატომ მოკლა კასიუს კოლჭაუნმა თავისი საკუთარი ბიძაშვილი? რატომ მოჰკვეთა თავი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დამნაშავის გარდა, არავის შეეძლო. თუმცა ამ მკვლელობის მიზეზის დადგენის გარეშეც შეიძლება ადამიანის დამნაშავედ ცნობა და განაჩენის გამოტანა.

სამსჯავრო სხდომა მალე დამთავრდა. განაჩენი გამოიტანეს და კასიუს კოლჭაუნი დამნაშავედ სცნეს. მოსამართლემ თავისი პანამის ქუდი გვერდზე გადადო, რომ სიკვდილის ემბლემა — შავი ქუდი

დაეხურა. ამას წესი მოითხოვდა განაჩენის გამოცხადების დროს. დამნაშავეს საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მისცეს. მოსამართლის სიტყვები კოლჰაუნს სულთათნასავით ჩაესმა. მან გარემოს გახელებით შეავლო თვალი. როცა თანაგრძნობა ვერავის სახეზე ვერ ამოიკითხა, იმედი გადაუწყდა, ეტყობოდა, არავის ებრალებოდა, რადგან ყველა მოღუშული იდგა და კუშტად შეჰყურებდა.

ხოლო ავაზაკის და მოსყიდულ თანამონაწილეთა თანაგრძნობას დამნაშავესათვის რა სიკეთის მოტანა შეეძლო, თუმცა ახლა კანონის სიდიადის წინაშე იმათაც უკან დაიხიეს.

კოლჰაუნის სოციალური მდგომარეობისა და სიმდიდრის მიუხედავად, იგი ახლა ყველასაგან გარიყული აღმოჩნდა. ასეთია მკვლელის ბედი ტეხასში!

კოლჰაუნის სახეზე გამქრალიყო ყოყონა იერი და შეშინებული, სულიერად გატეხილი ჩანდა. ეს არც იყო გასაკვირი.

იგი გრძნობდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა და კარსმომდგარი სიკვდილისაგან ვერაფერი დაიხსნიდა.

უეცრად მის თვალეებში რაღაცამ გაიელვა. სახეზე ისეთი გამომეტყველება აღებეჭდა, თითქოს აღსარების თქმა უნდაო. აღიარებდა თუ არა დანაშაულს? იქნებ სურდა სინდისის ქენჯნისათვის დაეღწია თავი?

მაყურებლები განზრახვას მიუხვდნენ და გაირინდნენ.

ჭრიჭინობელებიც კი მიწყნარდნენ.

სამარისებური სიჩუმე მოსამართლის შეკითხვამ დაარღვია.

— რით შეგიძლიათ იმართლოთ თავი და სასჯელი შეიმსუბუქოთ?

— არაფრით, — წამოიძახა კოლჰაუნმა, — განაჩენი კანონიერია, ვიცი, სიცოცხლეს უნდა დავემშვიდობო და ეს დავიმსახურე კიდევ.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს ბევრი უცნაური ამბავი მოხდა და გამოირკვა, მაყურებელი აქამდე ისე არ აღშფოთებულა, როგორც კოლჰაუნის ამ სიტყვების გაგონებაზე. თითქოს ლაპარაკის

უნარი წაერთვათო, დადუმებულნი იდგნენ. ამ სიჩუმეში კვლავ გაისმა ბრალდებულის ხმა და ყველამ იფიქრა, ალბათ სიკვდილის წინ აღსარებას ამბობსო.

— მართალია, — განაგრძო კოლჭაუნმა, — მე მოვკალი ჰენრი პოინდექსტერი, ღამით, ტყეში.

ბრალდებულის ამ განცხადებას თან მოჰყვა მაყურებელთა გულებიდან ამოხეთქილი ღრიალი, რომელიც ბრალდებულის მიმართ გულისწყრომას კი არა, უფრო ზიზღს გამოხატავდა.

ასევე უნებური კვნესა აღმოხდა ვუდლი პოინდექსტერს, რომელიც ისევ მაყურებელთა შორის იმყოფებოდა. როცა ეს ხმები მიწყნარდა, ბრალდებულმა ისევ განაგრძო:

— მე ვიცი, რომ სიკვდილით უნდა დავისაჯო, — მოჩვენებითი სიმშვიდით წარმოთქვა კოლჭაუნმა, — ასეთია განაჩენი და თქვენი გამომეტყველებიდანაც ჩანს, არავითარ შემთხვევაში არ შეცვლით ამ განაჩენს.

მე ვაღიარე ჩემი დანაშაული და სისულელე იქნებოდა, თქვენი მხრივ შეწყალების იმედი მქონოდა. ეჭვი არ არის, დავიმსახურე მკაცრი სასჯელი, მაგრამ მაინც ისეთი ბოროტმოქმედი არა ვარ, როგორც თქვენ, ერთი შეხედვით, გეჩვენებათ. მე ისე არ მინდა წავიდე ამქვეყნიდან, რომ საკუთარი ბიძაშვილის მკვლელის სახელი მერქვას. მე უკვე ვაღიარე, რომ ჰენრი ჩემი ტყვიის მსხვერპლი გახდა. თქვენ გაინტერესებთ მკვლელობის მიზეზი, მაგრამ მე ჰენრის მოკვლა აზრადაც არ მქონია.

ამ სენსაციურმა განცხადებამ მაყურებლები ისევ გააკვირვა, აღელვა და დააინტერესა, მაგრამ არავის ხმა არ ამოუღია.

— გიკვირთ, არა? ეს ადვილი ასახსნელია. მე ის შეცდომით მოვკალი.

მაყურებლებმა გაკვირვება ყვირილით გამოხატეს, მაგრამ იწამსვე დაწყნარდნენ, როგორც კი ბრალდებულმა ლაპარაკი განაგრძო:

— დიახ, შეცდომით და ღმერთია მოწამე, როცა ეს შევიტყვე, თავ-
ზარი დამეცა.

კოლჭაუნმა თვალი ისე მოავლო იქაურობას, თითქოს მაყურე-
ბელთა თვალეში თანაგრძობას ეძებსო, მაგრამ სახე ყველას მო-
ღუშვოდა და ბრალდებულს კუშტად შეჰყურებდნენ.

— მე არ უარვყოფ, — განაგრძო მან, — რომ კაცის მოკვლა მქონდა
განზრახული, არც იმას დავმაღავ, ვინ იყო იგი. აი, ეს ძაღლი. ჩემ
წინ რომ აყუდებულა.

ეს რომ თქვა, კოლჭაუნმა სიძულვილით აღსავსე მგერა მორის
ჯერალდზე გადაიტანა. ამ უკანასკნელმა კი მშვიდად შეხედა, თით-
ქოსდა აქ არაფერიაო.

— დიახ, მე მისი მოკვლა მინდოდა და საამისო მიზგიც მქონდა.
ამის თაობაზე არაფერს გეტყვით, რადგან ამას საქმისთვის არანაი-
რი მნიშვნელობა არ აქვს.

მე მეგონა, თოფით ის მოვკალი. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ
ეს ირლანდიელი ძაღლი ჩემს ბიძაშვილს წამოსასხამსა და ქუდს გა-
უცვლიდა.

დანარჩენი ამბავი თქვენ უკვე იცით, მტერს ვესროლე და მოყვა-
რე მოვკალი. სასიკვდილოდ დაჭრილი საწყალი ჰენრი ცხენიდან ჩა-
მოვარდა. საბოლოოდ რომ დავრწმუნებულიყავი, რომ ჩემს მტერს
მოვუღე ბოლო, მონადირის დანით თავი მოვკვეთე.

დამნაშავის ამ განცხადებამ კვლავ ერთი ჩოჩქოლი გამოიწვია.
მაყურებლებში წამოძახილები გაისმა. ისინი დამნაშავის დასჯას მო-
ითხოვდნენ.

ახლა უკვე ყველაფერი გაირკვა — მკვლელობის საქმეც და
მკვლელობის მიზეზიც. დამნაშავეს აღარავინ აიძულებდა ამ საშინე-
ლი მკვლელობის ამბავი მოეთხრო.

— ახლა კი, — თქვა კოლჭაუნმა, როცა მაყურებლები ასე თუ ისე
დაწყნარდნენ, — იცით ყველაფერი, მაგრამ თქვენ წარმოდგენაც კი

არ გაქვთ, რით დამთავრდება ის. ერთი სცენა კიდევ დაგრჩათ სა-
ნახვი. კარგად ხედავთ, რომ მე სასიკვდილოდ განწირული ვარ, მაგ-
რამ საფლავში ისე არ ჩავალ, რომ ის წინ არ წავიმძღვარო.

კოლჭაუნის სიკვდილის წინ წარმოთქმული ამ სიტყვების აზრი
ალბათ ყველასთვის გასაგები იყო, მაგრამ მისმა საქციელმა, რაც
სიტყვებს მოაყოლა, უფრო ნათელი გახადა ყველაფერი.

როცა კოლჭაუნი ამას ამბობდა, მარჯვენა ხელი ფრენჩის მარ-
ცხენა გულის ჯიბესთან ედო. აღსარება დამთავრდა, ჯიბიდან ელვი-
სებურად რევოლვერი იძრო. ჩამავალი მზის სხივებზე ალაპლაპებუ-
ლი რევოლვერი მაყურებლებმა მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, როცა
კოლჭაუნმა ორჯერ გაისროლა. გასროლას თან ორი ადამიანის და-
ცემა მოჰყვა. ისინი ერთმანეთთან ისე ახლოს დაეცნენ, რომ ლამის
თავებით ეხებოდნენ ერთმანეთს.

ერთი მათგანი მორის ჯერალდი — მუსტანგერი გახლდათ, მეორე
კი სამსახურიდან გადამდგარი მოხალისეთა ყოფილი კაპიტანი, კა-
სიუს კოლჭაუნი.

მათ წამსვე გარს შემოეხვია ხალხი. ყველა დარწმუნებული იყო,
რომ ორივემ სული განუტევა. უეცრად გაისმა ქლის გულისგამგმი-
რავი კივილი.

57 - სიხარული

სიხარული! დიახ, სიხარული და მერე როგორი სიხარული განი-
ცადა ლუიზამ მარადმწვანე მუხის უზარმაზარი ხის ქვეშ, როცა და-
ინახა, რომ კოლჭაუნის გასროლას მხოლოდ თვითმკვლელობა
მოჰყოლოდა; ხოლო მორის ჯერალდი კი ისევ სუნთქავდა.

უკანასკნელ ხანებში გადატანილმა საშინელმა ამბებმა ვერ დაჩ-
რდილა ის სიხარული, რომელსაც ახლა განიცდიდა ლუიზა.

ანდა ვის შეეძლო დაედანაშაულებინა იგი და ეთქვა, რა დროს
სიხარულიაო.

თუ გულწრფელად ვიტყვით, არავის.

ან ვის შეუძლია უმაღლესი გრძნობით გამოწვეული სიხარული უსაყვედუროს ადამიანს. ანდა როგორ შეიძლებოდა ახალგაზრდა ქალს არ გახარებოდა საყვარელი ადამიანის სასწაულებრივი გადარჩენა.

დარწმუნებულმა, რომ მორის ჯერალდი მოკლა, კოლჰაუნმა რევოლვერის ლულა საფეთქელთან მიიტანა, გაისროლა და სიცოცხლე მოისწრაფა. კოლჰაუნის მიერ დამიზნებული ტყვია ჯერალდს სწორედ გულთან, ლუიზას მიერ ნაჩუქარ მედალიონზე მოხვდა. ტყვია ლითონზე ასხლტა და ვიღაც მაყურებელი დაჭრა. მართალია, მორისი არ დაჭრილა, მაგრამ ამ გასროლას მისთვის მაინც სამწუხარო შედეგი მოჰყვა. იგი მთლიანად განკურნებული არ იყო და ავადმყოფობამ ისევ შეუქცია.

მაგრამ ახლა ავადმყოფი ტყეში როდი იწვა კოიოტებთან გარშემორტყმული და არც თავზე დასტრიალებდნენ მისი სიკვდილის მომლოდინე სვავეები. იგი არც ალამოს ნაპირზე მდებარე ქოხში იწვა და არც ჰაუპტვახტში, რომ მოუვლელობით ავადმყოფობას დაეჯაბნა.

როცა ავადმყოფს ცნობიერება დაუბრუნდა, დაინახა, რომ ის ლამაზი სახე, რომელიც სიზმარში დაჰფარფატებდა თავს, მოჩვენება კი არა, სინამდვილე იყო. ეს მშვენიერი სახე მთელ ტეხასში უმშვენიერეს ქალს, ლუიზა პოინდექსტერს ეკუთვნოდა.

ლუიზას ახლა მორისის მოვლას ველარავინ დაუშლიდა. ასე განსაჯეთ, თვითონ ამაყი პლანტატორი ვუდლი პოინდექსტერიც კი; ანკი დასაშლელი რა ჰქონდა, როცა მორის მუსტანგერის ნაცვლად სიძედ ხელში ირლანდიელი ბარონი სერ მორის ჯერალდი შერჩა.

ტეხასში ტიტულით ვერავის გააკვირვებ, არც, მორის ჯერალდი აძლევდა თავის ბარონის ტიტულს რაიმე მნიშვნელობას, მაგრამ იგი აურაცხელი ქონების პატრონი აღმოჩნდა, რასაც ირლანდიელი ბარონები ხშირად ვერ დაიქადნიან.

მორისმა ვუდლი პოინდექსტერის მიერ დაგირავებული კასა დელ კორვოს მამული კასიუს კოლჭაუნის მემკვიდრისაგან გამოიხსნა.

კასიუს კოლჭაუნის სიკვდილის შემდეგ გამოირკვა, რომ მას ერთი პირი ცოლ-შვილი ახალ ორლენში უკვე ჰყოლოდა და მის მემკვიდრედ მისი პატარა ვაჟიშვილი ითვლებოდა.

ლუიზამ და მორისმა ირლანდია მოინახულეს და საცხოვრებლად ისევ ტეხასში დაბრუნდნენ.

ციხე-კოშკ ბალაჰში მცხოვრები „ლურჯთვალეიანი ლამაზი“ გოგონა მხოლოდ ფელიმის ფანტაზიის ნაყოფი აღმოჩნდა. ანდა შეიძლება ის „ლურჯთვალა“ გოგონა მორისის იმ ახალგაზრდული გატაცების ნაყოფი იყო, განშორების შემდეგ რომ საპნის ბუშტივით ქრება.

ასე იყო თუ ისე, ლუიზა პოინდექსტერს — უმჯობესია ამიერიდან ლედი ჯერალდი ვუწოდოთ, — ბურმუხტოვან კუნძულზე მოგზაურობის დროს არავისზე უეჭვიანია.

ეჭვიანობამ მხოლოდ ერთხელ შეძრა მისი სათუთი და კეთილშობილი გული და მაშინაც ჩრდილივით გაქრა.

ეს მოხდა იმ დღეს, როცა მორისი მკლავებზე გადაწვენილი ლამაზი ქალის სხეულით დაბრუნდა სახლში.

ქალს მკერდიდან ღვარივით სდიოდა სისხლი, მაგრამ ჯერ კიდევ ფეთქავდა.

კითხვაზე, ვინ დაგჭრაო, მან მხოლოდ ისლა წარმოთქვა: დიასმა, დიასმა!

ეს იყო ისიდორა კოვარუბიო დე ლოს ლანოსის უკანასკნელი სიტყვები.

მას შემდეგ, რაც უბედურმა სინიორიტამ სამუდამოდ განისვენა, ლედი ჯერალდის გულს ეჭვი აღარ გაჰკარებია.

ეჭვიანობის ადგილი სიბრალულმა დაიჭირა. ლუიზა თვითონ ეხმარებოდა ქმარს სისხლისფერი ბედაურის შეკაზმვაში და თვითონვე ურჩია, ისიდორას მკვლელს დასდევნებოდა.

ლუიზა ჯერალდმა გულით გაიხარა, როცა მორისმა ლაზოთი შებოჭილი დიასი თოკის ბოლოზე გამობმული მიიყვანა.

ლუიზას ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს, როცა სასწრაფოდ შეკრებილმა „წესრიგის დამცველებმა“ დიასი ხეზე ჩამოკიდეს და ჩამოახრჩვეს!

ეს არ იყო უღმობლობა. ეს გახლდათ მართლმსაჯულების უხეში, მაგრამ სამართლიანი ხელი: თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ, სიკვდილი სიკვდილისა წილ. ანდა რა ნაცვალგება იყო ეს? შესანიშნავი გარეგნობის უმანკო, სრულიად ახალგაზრდა სინიორიტა და მისი მკვლელობისათვის ჩამოხრჩობილი საქვეყნოდ ცნობილი ავაზაკი. ამ სურათის მხილველი ტეხასელები უგუნებოდ შეიქნენ.

ისიდორას სიკვდილის შემდეგაც კი არ დაეკარგა შნო და ლაზოთი. სახის ისეთი ნაკვთები, როგორც მას ჰქონდა, იშვიათად გამოჰყვება ადამიანს. მისი ვნებიანი სახე ახლა რაღაც ღვთაებრივი იერით იყო შემოსილი და მნახველებში ამ ცივი ქანდაკებისადმი თავანისცემას იწვევდა.

დიდხანს, ძალიან დიდხანს შეჰყურებდნენ ისიდორას სახეს. მერე უხალისოდ წავიდ-წამოვიდნენ და თან იმას ფიქრობდნენ: „უჰ, რა ქალი უნდა ჩავიდეს სამარეშიო“.

* * *

დროს ყველგან თავისი გააქვს და ყველაფერს ცვლის. აღწერილი ამბებიდან განვლილმა ათმა წელმა ტეხასს, ნუესას და ლეონას თავისი კვალი დაამჩნია.

იქ, სადაც წინათ ტყე და ჩირგვნარი იყო, ახლა პლანტაციები ჰყვალდა; იქ, სადაც წინათ ველური მუსტანგები ძოვდნენ, ახლა ქალაქები გაეშენებინათ.

გაჩნდა ადამიანების, ადგილებისა და საგნების ახალი სახელები.

ჰასიენდა კასა დელ კორვომ თავისი ძველი სახელი შეინარჩუნა. თუ ესტუმრებით, იქ მასპინძლად დაგხვდებათ ტეხასში ყველაზე უფრო მოხდენილი და ლამაზი გარეგნობის მამაკაცი, დიასახლისი კი ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მთელ ტეხასში თითოთი საჩვენებელი ბანოვანი გახლავთ.

იმ სახლის ჭერქვეშ შემოგხვდებათ ჭაღარამოსილი, არისტოკრატიული გარეგნობის, ტკბილმოუბარი მოხუცი, რომელიც დაუზარებლად დაგატარებთ და დაგათვალიერებინებთ საჯინბოებს და რქოსანი პირუტყვის საჩხებს, რომელშიც ათასობით სული საქონელია დამწყვდეული.

მაგრამ ყველაზე მეტად მოხუცს თავი მოაქვს თავისი შვილიშვილებით. ექვსივე ბიჭუნა უკვე დასდევს მოხუცს და პაპას ეძახიან.

თუ მათ დროებით თავს მიანებებთ, იქვე, სადმე, კიდევ ორ პიროვნებას გადაეყრებით. ერთი მთავარი მეჯინბე ფელიმ ონილი გახლავთ, მეორე კი შავკანიანი მეეტლე პლუტო პონდექსტერი, იგი ისეა გათამამებული, რომ ცხენებს მანამდე არ შეხედავს, სანამ კოფოზე არ წამოჯდება და სადავეებს ხელში არ დაიჭერს.

პლუტომ ფლორინდა შეირთო.

არის კიდევ ერთი სახელი, რომელსაც კასა დელ კორვოში სადილობისას აუცილებლად გაიგონებთ. იქ უთუოდ გეტყვიან, მაგიდის თავში, თეფშზე დადებული ინდაურის ან ირმის ხორცი მისი ნანადირევიაო.

საერთოდ, ამ სახლში სადილზე და განსაკუთრებით კი ღვინის სმის დროს ძველ მონადირე ზებ სტუმპზე ბევრ რამეს გაიგონებთ.

თვითონ ზებ სტუმპს კი იქ იშვიათად ნახავთ. იგი ალიონზე გადის ჰასიენდადან, როცა ჯერ კიდევ ლოგინში წვანან და გვიან ღამით

ბრუნდება, როცა უკვე სძინავთ, მაგრამ ინდაური და იქვე ჩამოკიდებული ირმის ბარკალი იმის დამადასტურებელია, რომ ზებ სტუმპი ღამე შინ ყოფილა.

კასა დელ კორვოში ყოფნისას ჰასიენდას მსახურები აუცილებლად მოგიყვებიან ჩურჩულით უცნაურ ისტორიას, რომელიც თითქმის ლეგენდაა ქცეული. ჩურჩულით იმიტომ, რომ იმ ამბის თხრობა სახლის მეპატრონეთა გულში დარდსა და ნაღველს იწვევს.

ეს ტაბუდადებული, ლეგენდად ქცეული ისტორია უთავო მხედრის ამბავია.